სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნების 1500



საიუბილეო კრებული

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
1 9 5 8

დავით გვრიტიშვილი

თბილისი 1500 წლისაა

მიმდინარე წლის ოქტომბერში საზეიმოდ აღინიშნება საქართველოს დედაქალაქის — თბილისის დაარსებიდან 1 500 წლისთავი. ეს დიდი მოვლენაა ქართველი ხალხის ისტორიაში.

თბილისის ისტორია ზოგად ხაზებში ასე წარმოგვიდგება: ჯერ კიდევ 5—6 ათასი წლის წინათ თბილისის ტერიტორია მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. შემდეგში, თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნისათვის თბილისი უკვე ციხე-ქალაქად იქცევა და ქართლის სამეფოს მაშინდელ სატახტო ქალაქს — მცხეთას პირველობაში ეცილება. ამ ხანებში საქართველოში დიდ სოციალურ ძვრას აქვს ადგილი. ძველი მონათმფლობელური წყობილების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის ახალი საზოგადოებრივი წყობილება — ფეოდალური ურთიერთობა. ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება და თბილისიც ამ ახალის ცენტრი ხდება. ეს გარდატეხა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. ვახტანგ გორგასალმა და მისმა მემკვიდრეებმა საცხოვრებლად თბილისი გაიხადეს, თბილისი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. ამ დღიდან ვანგარიშობთ თბილისის 1 500 წლისთავს.

მას შემდეგ, რაც თბილისი ქართული სახელმწიფოებრიობის ცენტრი გახდა, მისი ისტორია განუხრელად დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან.

ქართველ ხალხს მრავალი ჟამთა სიავე და ძნელბედობა გადაუტანია. ვინ არ შემოსეულა საქართველოს: რომაელები თუ სპარსელები, არაბები თუ მონღოლები, თურქები თუ სხვა გადამთიელები. უცხოელთა პირველი დარტყმა თბილისს ხვდებოდა, მტერი მას ანადგურებდა. გადიოდა დრო. ქართველი ხალხი ძალას იკრებდა, მტერს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავდა და თბილისს — თავის საყვარელ დედაქალაქს კვლავ იბრუნებდა, ფერფლიდან აღადგენდა და ძველებურ სიდიადეს უბრუნებდა. ასე, რომ თბილისის ისტორია ამ ქალაქის მშენებლობა-აღდგენისა და ნგრევა-განადგურების ისტორია იყო. ვაშენებდით ჩვენ, ანგრევდა მტერი.

აი საამისო მაგალითები:

ჯერ კიდევ თბილისის ისტორიის გარიჟრაჟზე, 626 — 627 წლებში, ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ ხაზახთა სახელმწიფოს მეთაური ჯიბღუ ხაკანი მოიშველია, თბილისს მოადგა; ქართველებმა მედგარი ბრძოლა გაუმართეს მტერს, ორ წელს

თავგანწირულად იცავდნენ ქალაქს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მტერს დარჩა. შვიდგზის წყეული მტერი ქალაქში შეიჭრა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ან ამოხოცა, ან დაატყვევა, დიდი ალაფი იგდო ხელთ და ქალაქი გადაწვა. ეს იყო თბილისის პირველი ტრაგედია.

ქართველებმა ძალა მოიკრიბეს, მტერი განდევნეს, თბილისი კვლავ აღდგა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და ჩვენს ქვეყანას არაბები შემოესივნენ.

არაბებმა 654 წელს დაიპყრეს საქართველო და აქ დიდხანს ბატონობდნენ. იმის ნათელსაყოფად, თუ რა მოუტანეს არაბებმა საქართველოს, ორი ფაქტის დასახელებაც კმარა: 736 — 738 წლებში აქ ლაშქრობდა არაბი სარდალი მურვან ყრუ, რომელმაც „მოსრნა ყოველი ნაშენი ქვეყანასა ზედა". ამ ველურის რისხვას ვერც თბილისი გადაურჩა. კიდევ უფრო მკაცრი იყო ბუღა თურქის 853 წლის ლაშქრობა თბილისზე. მან ქალაქი ცეცხლს მისცა; მისი ლაშქრობის დროს, არაბი ისტორიკოსების ცნობით, თბილისში 50.000 მცხოვრები დაიღუპა.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში აღმავლობის გზით მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანება. ასეთ ვითარებაში თბილისის განთავისუფლება ქართველი პატრიოტების გადაუდებელ ამოცანად ისახებოდა. 1037 წელს საქართველოს მეფემ ბაგრატ მეოთხემ თავისი ჯარით ალყა შემოარტყა თბილისს.

გამცემლობის გამო თბილისი მაშინ ვერ გაანთავისუფლეს, თუმცა მეთერთმეტე საუკუნის 60-ან წლებში ქართველებმა იმას მაინც მიაღწიეს, რომ თბილისის ამირა არაბეთს აღარ ემორჩილებოდა, იგი საქართველოს მეფეს ყოველწლიურად 44 ათას დრაჰკანს უხდიდა. თბილისის საბოლოო განთავისუფლება დავით აღმაშენებელმა შესძლო. მან 1122 წელს ბრძოლით აიღო თბილისი და ქუთაისიდან სამეფო ტახტი თბილისში გადმოიტანა. 1226 წლამდე თბილისი უცხოელ დამპყრობელს აღარ აუოხრებია. ჩვენმა ქვეყანამ ასი წელი შეისვენა და ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდა. სახალხო დოვლათმა იმატა, ქვეყანა ეკონომიურად დაწინაურდა, საქალაქო ცხოვრება განვითარდა, ვაჭრობა-ხელოსნობა გაფართოვდა. აკად. ბარტოლდის ცნობებით, საქართველოს სამეფო მაშინ იმდენად მდიდარი იყო, რომ საქართველოს მარტო ფინანსური შემოსავალი აღემატებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ერთად აღებულ ფინანსურ შემოსავალს. ასეთ პირობებში ქართულმა კულტურამ განვითარების მაღალ მწვერვალს მიაღწია. მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა ეპოქის შესაფერის სიმაღლეზე ავიდა.

მაშინდელი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი მოძრაობის უდიდეს ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. აქ, თბილისში, იმართებოდა ლიტერატურული დისპუტები, მეცნიერული პაექრობანი, ბაზრობანი, სამხედრო აღლუმები, დიპლომატიური შეხვედრები, თბილისიდან—ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, დასავლეთით თუ აღმოსავლეთით მოედინებოდა ქართული კულტურის ნაკადი. აქ, თბილისში, აძლევდნენ შეფასებას შოთა რუსთაველისა, შავთელისა და ჩახრუხაძის პოეტურ ქმნილებებს, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ისტორიულ-ფილოსოფიურ ტრაქტატებს, ბეშქენ და ბექა ოპიზარების ჭედვითი ხელოვნების ნიმუშებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, მშვიდობიანი ცხოვრება 1226 წელს შეწყდა. ხვარაზმის ყოფილმა მფლობელმა ჯალალედინმა მაჰმადიან ყაჩაღებისა და ქურდების დიდ ბრბოს მოუყარა თავი და საქართველოს შემოესია, თბილისი აიღო, გაძარცვა და გადაწვა, რის შედეგადაც 100.000 მცხოვრები დაიღუპა თბილისში. მან იმდენი ქონება იგდო ხელთ, რომ განაცხადა: მე რომ მარტო სიმდიდრისათვის წამოვსულიყავ, თბილისი საკმარისი იყო.

1231 წელს ჯალალედინის ბატონობას ბოლო მოეღო, საქართველო განთავისუფლდა, თბილისმა აღდგენა იწყო, მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ ჩვენს ქვეყანას ახალი მტერი მოევლინა. ეს ახალი მტერი იყო — გადამთიელი მონღოლი.

მონღოლთა ბატონობა 80 წლამდე გაგრძელდა. ქვეყნის მთელი შესაძლებლობანი სამონღოლო გადასახადებს ხმარდებოდა. ასეთ პირობებში ქალაქის დიდ მშენებლობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. თუმცა ამ შავბნელ ხანაშიც თბილისში რამდენიმე კეთილმოწყობილი სასახლე და ეკლესია აშენდა მე-14 საუკუნის 20-ან წლებში მონღოლები განდევნილ იქნენ საქართველოდან, თბილისი განთავისუფლდა. საკმარისი იყო მშვიდობიანი განვითარების სულ 60 წელი და ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე კვლავ აღდგა. თბილისმა ძველი დიდება დაიბრუნა. მაშინდელ მნა-

ხველებს თბილისი დახასიათებული აქვთ, როგორც ერმრავალი, მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქი.

მე-14 საუკუნის 80-ან წლებში საქართველოს ცა ისევ მოიღრუბლა... 1885 წელს დაიწყო კაცთმოძულე თემურლენგის ლაშქრობები. იგი რვაჯერ შემოესია საქართველოს. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბრძოლაში განადგურდა, ქალაქები და სოფლები დაინგრა, ბაღ-ვენახები დაიღუპა. თემურლენგმა, ერთ-ერთ ლაშქრობის დროს, ქუთაისამდე — 700 სოფელი მიწისაგან პირისა აღგავა. თუ რა მძიმე იყო თემურლენგის ლაშქრობათა შედეგი საქართველოსათვის, თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ ქართულ სიტყვათა ლექსიკონში გაჩნდა ისეთი ცნობები, როგორიცაა: ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნასახლარი, ნავენახარი, ნაფუძარი, პარტახი და სხვ.

ქართველმა ხალხმა ძალა მოიკრიბა, მტერი განდევნა და ქვეყნის აღდგენას ენერგიულად შეუდგა. მაგრამ, მე-15 საუკუნის 40-ან წლებიდან შემოსევები გახშირდა, 1440 წელს თურქმენული ტომები ჯეჰანშაჰის მეთაურობით თბილისს დაესხნენ თავს და ქალაქი ააოხრეს, 1477 წელს უზუნჰასანმა დაარბია თბილისი, 1522 წელს სპარსელებმა თბილისი კვლავ ცეცხლს მისცეს, 1541 წელს ყიზილბაშები მოულოდნელად დაეცნენ თბილისს და ქალაქი გადაწვეს, 1579 წელს თბილისი ოსმალებმა დაიკავეს; 1606 წელს ოსმალები განდევნეს ქართველებმა, მაგრამ კვლავ სპარსელებმა დაიკავეს. ეს ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, თუ რა ტრაგიკული იყო თბილისის ისტორია, მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა შაჰ-აბაზის ცეცხლმა და მახვილმა. მისი ლაშქრობების დროს მარტო კახეთმა 200.000 კაცი დაკარგა — მოკლულთა და ტყვეთა სახით.

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი მრავალგზის ჭარბ მტრის ძალებს არ უშინდებოდა, მედგრად ებრძოდა მას და ხმლით იცავდა ეროვნულ თვითმყოფობას. სამშობლოს უანგარო სიყვარული იყო წყარო ჩვენი ხალხის ფიზიკურად გადარჩენისათვის. დამარცხებაშიც გამარჯვების რწმენა იშენდებოდა. ამ კეთილშობილური შეგნების სული და გული თბილისი იყო.

მე-17 საუკუნის 30-ანი წლებიდან ქვეყანა შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა. ვაჭრობა-ხელოსნობა აღორძინების გზას დაადგა, სოფლის მეურნეობა აღმავლობას განიცდიდა, საქალაქო ცხოვრება მოწესრიგდა. „მშვიდობა“ 1723 წლამდე გაგრძელდა. ამ საერთო აღმავლობის ფონზე დაიწყო ქართული კულტურის აღორძინების ხანა. იმდროინდელი ქართველი სწავლულები (თეიმურაზ I, იოსებ თბილელი, არჩილი, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, ვახტანგ V, სულხან საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.) უკვირდებოდნენ ჩვენი ქვეყნის დამარცხება-დაშლის მიზეზებს, საბავდნენ ახალ გზებს ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა მათი ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა, თბილისში სტამბის დაარსება, საკანონმდებლო და სხვა ხასიათის ღონისძიებანი. ასეთი მოძრაობის მთავარ იდეას ქვეყნის გაერთიანება შეადგენდა. ქართველ პატრიოტთა საბუდარი ამჯერადაც თბილისი იყო.

1723 წელს თბილისი კვლავ უცხოელ დამპყრობთა სათარეშო ასპარეზად გახდა. ქალაქი განადგურდა, ქვეყანა ოსმალეთმა დაიპყრო. ვახტანგმა დიდი ამალით რუსეთს შეაფარა თავი. ჩვენი ქვეყანა სწავლული კაცებისაგან დაიცალა.

მე-18 საუკუნის 60-ანი წლებიდან მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა. ქართლ-კახეთი ერთიან სამეფოდ გაერთიანდა. თბილისი ამ სამეფოს ცენტრად იქცა.

აქ დაარსდა სახელმწიფო სასწავლებლები, აღდგა სტამბა, გაიშალა ცხოველი შემოქმედებითი მუშაობა, შეიქმნა მრავალი სამრეწველო ობიექტი. ასეთ პირობებში დღის წესრიგში დაისვა ქვეყნის გამოხსნა-აღდგენის საკითხი. ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე II-თვის ნათელი იყო, რომ თუ საქართველოს არსებობა სურდა, მას ზურგი უნდა შეეკვრა ველური სამხრეთისათვის და კურსი აეღო ჩრდილოეთზე. რუსეთთან ურთიერთობა მას რეალურ საქმედ მიაჩნდა. 1783 წლის ტრაქტატით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ საფეხურს მოასწავებდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ერთხელ კიდევ თავს დაატყდა ყიზილბაშური სპარსეთის რისხვა ჩვენს ქვეყანას. 1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო, ქალაქი გაძარცვა, მოსახლეობა დაატყვევა, სასახლეები დაანგრია, ბიბლიოთეკები და არქივსაცავები ცეცხლს მისცა და გაბრუნდა უკან. ეს იყო ჩვენი დედაქალაქის უკანასკნელი ტრაგედია.

• • •

1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ ფაქტს დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვეყანამ უცხოელ დამპყრობელთა შემოსევებისაგან მოისვენა. ამ ფაქტმა თავისი ობიექტური შედეგი თბილისის მაგალითზეც დაგვანახა. საკმარისი იყო მშვიდობიანობის რამდენიმე ათეული წელი, რომ თბილისის მცხოვრებთა რიცხვი რამდენჯერმე გაზრდილიყო, რომ იგი დიდმნიშვნელოვან კულტურულ ცენტრადაც გადაქცეულიყო.

მართალია, ცარიზმი ხალხთა საპყრობილე იყო და იგი უხეშ კოლონიურ პოლიტიკას ანხორციელებდა, მაგრამ მეფის რუსეთში მარტო არაკეთილები და ნიკოლოზები როდი ცხოვრობდნენ! მეფის რუსეთის პროგრესული მოღვაწეები ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდნენ მოწინავე ქართველებზე და მომავლის გზებს სახავდნენ ცარიზმის საერთო ძალებით მოსპობისათვის.

საქართველოში, მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ, სულ უფრო და უფრო გზას იკაფავს და ვითარდება ახალი — კაპიტალისტური ურთიერთობა. კაპიტალისტურ ურთიერთობას თან სდევს მისი მესაფლავის — მუშათა კლასის გაჩენაც.

ახალ მოვლენებს ახალი საზოგადოებრივი მიმართულებები მოსდევს. ისახება გზები ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. საქართველოდან რუსეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდები უკავშირდებიან რუსეთის მოწინავე ადამიანებს, იზიარებენ მათ შეხედულებებს, ბრუნდებიან საქართველოში და რუსეთში მიღებულ ცოდნას ჩვენი ქვეყნის თავისებურ პირობებს უფარდებენ. აარსებენ ჟურნალ-გაზეთებს, სკოლებს, საზოგადოებრივ წრეებს.

ასეთი მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებისაა, ისინი სხვადასხვა კლასების ინტერესებს გამოხატავენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — საზოგადოების გამოცოცხლება ფაქტი გახდა. თბილისი იმ ხანის საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია რუსეთის იმპერიაში.

• • •

მე-19 საუკუნის დამლევს საზოგადოებრივი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. რევოლუციური მოძრაობა ფართო ხასიათს იღებდა. მე-20 საუკუნის დამდეგს ეს მოძრაობა მძლავრ ხელმძღვანელ ძალად გადაიქცა, შეიქმნა რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტი. ამ კავშირის საქმიანობის შედეგია, რომ თბილისის მუშებმა, ბაქოსა და სხვა ქალაქების მუშებთან ერთად 1905 წლის რევოლუციის დროს სასწაულები მოახდინეს.

თბილისის ბოლშევიკები ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

დრო გადიოდა, დამპალ ცარიზმს საფუძველი ეცლებოდა, 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა. რუსეთში მომხდარი ამბებით ისარგებლეს ქართველმა მენშევიკებმა და ხელისუფლება ხელთ იგდეს.

მენშევიკების ბატონობის დროს თბილისში არაფერი ახალი არ შექმნილა. გადიოდა დღეები, რევოლუციური მოძრაობა აღმავალი გზით მიდიოდა. თბილისის პროლეტარიატი მედგარ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და იკრებდა ძალებს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

გმირული წითელი არმიის დახმარებით ქართველმა ხალხმა დაამხო მენშევიკების სისხლიანი ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში — თბილისში — აღიმართა წითელი დროშა. „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“, — ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს.

ამიერიდან დაიწყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა. ქალაქი თბილისი განვითარების სრულიად ახალ პერიოდში შევიდა. თუ მანამდე ესა თუ ის წამოწყება მხოლოდ კერძო პირთა კეთილ სურვილზე იყო დამოკიდებული, ამიერიდან ქალაქის განვითარება გეგმაშეწონილად მიმდინარეობს და მთავრობისა და პარტიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თბილისი მხოლოდ კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და „კულტურულ“ ცენტრს წარმოადგენდა და აქ სულ რაღაც 20.000-მდე სა-

მრეწველო მუშა იყო, უფრო ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცი და პოლიციელები, ახლა თბილისი სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია თავისი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე აგებული ფაბრიკებითა და ქარხნებით.

საკმარისია ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით 1957 წელს თბილისის წარმოების დონე 50-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

თბილისი ამავე დროს კულტურისა და მეცნიერების უდიდესი ცენტრია.

თბილისში მრავალი მეცნიერული დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელია. ყველა ისინი საბჭოთა მეცნიერების კერებსა და საბჭოთა ინტელიგენციის სამკვიდროს წარმოადგენენ.

თბილისის 1 500 წლისთავთან დაკავშირებით მთელი ქართველი ხალხი აქებს და ადიდებს ჭაღარით მოსილ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა დედაქალაქს, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობით იზრდება, ლამაზდება და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების სატახტო ქალაქებთან ერთად იბრძვის კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ძველი თბილისი 1796 წ.



შოთა მესხია

თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის თბილისის 1 500 წლისთავს ქართველი ხალხი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს იმ დიდი დამსახურების გამო, რაც ქ. თბილისს მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე.

თბილისის ტერიტორიის მოსახლეობა უძველესი დროიდანვე იღებდა მონაწილეობას ქართველი ტომებისა და მისი კულტურის ჩამოყალიბების საქმეში.

„თბილისის დღევანდელი ტერიტორია ენეოლითის ხანიდან, ძველი წელთაღრიცხვის IV — III ათასწლეულიდან უკვე დასახლებული იყო ქართველი ტომებით. ამას ადასტურებს ენეოლითის დროინდელი ადამიანის ცხოვრების კვალის აღმოჩენა დიდუბეში. თბილური ენეოლითის კულტურა, უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, უკვე საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი მასალებით არის წარმოდგენილი[1]. ამრიგად, ამჟამად უდავოდ არის მიჩნეული თბილისის ტერიტორიის უძველესი მოსახლეობის მონაწილეობა ენეოლითის დროიდანვე ჯერ ქართველი ტომების, ხოლო შემდეგ ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

[1] იხ. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 1, თბილისი, 1955.

თბილისის მოსახლეობა ქართველ ტომთა ცხოვრებაში მონაწილეობდა ბრინჯაოს ხანაშიც. თბილისის ტერიტორიასა და მის მიდამოებში არაერთგან არის აღმოჩენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ადამიანის იარაღ-სამკაულები, ჭურჭლეულობა. ასეთი ნივთები აღმოჩნდა საბჭოს ქუჩაზე, სტალინის სახელობის სანაპიროს მშენებლობისას, ნარიყალაზე. ბრინჯაოს ხანის ნივთები აღმოჩნდა აგრეთვე ღრმაღელეში, ნავთლუღში და სხვაგან[1].

თბილისისა და მისი მოსახლეობის როლი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მომდევნო საუკუნეებში. თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს შემდეგდროინდელი ნივთიერი კულტურის ძეგლებიც. ღრმაღელეში, მიწის სამუშაოების შესრულების დროს, რამდენიმე თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი გემმით, პასტის საკიდი ბაყაყის გამოსახულებით და ერთი ე. წ. „ეგვიპტური სკარაბეი" (ყელსაკიდი ხოჭოს გამო-

[1] იხ. ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის" 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის", ტ. 1, 1955, გვ. 89—90.

სახულებით)[1]. ზოგი ამ ნივთთაგანი უცხოეთიდან, საკმაოდ შორეული ქვეყნიდან (მაგ., ეგვიპტიდან) არის შემოტანილი. როგორც ჩანს, თბილისის ძველ მოსახლეობას იმ დროისათვის უკვე ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა შორეულ ქვეყნებთანაც კი.

თბილისის ამ უძველესი მოსახლეობის მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის შესახებ მეტყველებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი მონეტებიც. მუზეუმისა და კეცხოველის ქუჩის რაიონში აღმოჩენილი იქნა 6 ბაქტრული მონეტა, რომელიც ძვ. წ. III — II საუკუნეებს მიეკუთვნება[2]. თბილისის ტერიტორიაზე ნაპოვნია აგრეთვე რომაული (ავგუსტის ბრინჯაოს) მონეტა[3], ახ. წ. II — III საუკუნეების ბოსფორული მონეტები[4], პართული მონეტები და სხვა. მრავალნაირია აგრეთვე თბილისში აღმოჩენილი იმდროინდელი სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც.

ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნეების და ახალი წელთაღრიცხვის დამდეგის მონეტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლების აღმოჩენა იმაზე მიგვითითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველო თბილისის მეშვეობითაც უკვე იმ დროს სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა როგორც აღმოსავლეთისა და სამხრეთის, ასევე დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, ზოგჯერ საკმაოდ შორეულ — ბაქტრია, ეგვიპტე — ქვეყნებთან.

იმდროინდელი, ელინისტური ხანის, თბილისისა და მისი მოსახლეობის მნიშვნელობისა და როლის ზრდას ხელს უწყობდა ის, რომ იგი მდებარეობდა უძველეს და უდიდეს სავაჭრო გზაზე, თბილისის ტერიტორიაზე გადიოდა წყლის დიდი სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც ადრეელინისტური ხანიდან საქართველოს აკავშირებდა აღმოსავლეთთან და დასავლეთთან[5].

[1] იხ. ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის" 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის", ტ. 1, 1955, გვ. 89—90.

[2] К. Л. Пахомов, Монетные клады, вып. II, გვ. 10.

[3] იქვე. вып. III, გვ. 27. შდრ. вып. I, გვ. 40.

[4] იქვე. вып. II, გვ. 11.

[5] ამ გზის შესახებ იხ. Я. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1954, გვ. 55 და შემდეგ; В. Бартольд, Место прикаспийских областей..., Баку, 1924, გვ. 11 — 12; А. Джапаридзе, Торговля на западе в средние века, СПб., 1904, გვ. 6; Г. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, ისტ. ინსტ. შრ., ტ. II; З. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю (იქვე, გვ. 160—180); ო. ლორთქიფანიძე, ანტიკ. ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ აკადემიის მოამბე, XIX, № 3, 1957, გვ. 377—384 და სხვ.

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 136.

[2] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 200.

[3] იქვე, გვ. 205.

იმდროისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ეს უდიდესი სავაჭრო გზა თბილისთან მთებითა და მტკვრის მაღალკლდოვანი ნაპირებით ადვილად იკეტებოდა; ამ ადგილ-მდებარეობის მფლობელს შეეძლო კონტროლი გაეწია ამ გზისათვის და საჭირო შემთხვევაში ჩაეკეტა ის, თუკი ამ გზაზე, ვაჭართა გემებისა და ქარავნების მაგიერ, ქართლის იმდროინდელი დედაქალაქისაკენ—მცხეთისაკენ, მიმავალი უცხოელი დამპყრობლები გამოჩნდებოდნენ. ასე, რომ იმდროინდელი თბილისი და მისი მოსახლეობა არსებითად ძველი მონათმფლობელური ქალაქის, მცხეთის, მისადგომებს იცავდა. ამიტომ მიიჩნევდნენ ძველი ქართველი ისტორიკოსები ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის თბილისს „ციხედ მცხეთისად"[1].

თბილისის მნიშვნელობა ახალი წელთაღრიცხვის III — IV საუკუნეებში უკვე ამითაც არ ამოიწურებოდა. იგი თანდათან კიდევ უფრო იზრდებოდა და კონკურენციას უწევდა ძველ მონათმფლობელურ მცხეთას. ამიტომ მიაქცია მას განსაკუთრებული ყურადღება ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა (452 — 502) და ამიტომ დაიწყო მან აქ V საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისის, უკვე ამ დრომდე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პუნქტის, სატახტო ქალაქად გადაქცევის მიზნით მშენებლობანი[2]. მაგრამ ვახტანგის სიცოცხლეში ვერ მოესწრო დაწყებული საქმის დამთავრება და მისმა მემკვიდრემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ"[3]. ამრიგად, VI საუკუნისათვის თბილისში არა მარტო და-

სრულდა ქალაქის შენება, არამედ იგი იქცა იმდროინდელი ქართლის „სამეუფო“ ანუ სატახტო ქალაქად.

თბილისის დამსახურებაც პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ იგი VI საუკუნის დამდეგისათვის იქცა ახლად გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის, ადრეფეოდალური ქართლის სამეფოს პირველ პოლიტიკურ ცენტრად. ამდენად, თბილისი იყო ადრეფეოდალური აღმოსავლურ-ქართული მიწა-წყლის შემკრები, მისი ეკონომიური ცენტრიც.

VI საუკუნის თბილისი, ქართლში მეფობის გაუქმებისა და ირანელთა გაბატონების მიუხედავად, იყო ქართული კულტურის ცენტრიც. აქ ისხდნენ ახალი, ფეოდალური ქართლის პოლიტიკური მესვეურები, ერისმთავრები, რომელნიც ირანელთა ბატონობის ხანაშიც თბილისში ქართულ ზედწერილიან მონეტებს ჭრიდნენ[1]. ეს მონეტები ფართოდ იხმარებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობაშიც. იმ დროსვე თბილისში აშენდა ქართული, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა სიონის ტაძარი და ზარის (ანჩისხატის) ეკლესია.

იმავე დროს თბილისი იყო ორგანიზატორი იმ თავდადებული ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ხალხი VI — VII საუკუნეებში ირანელების, ხაზარებისა თუ ბიზანტიელების წინააღმდეგ.

ადრეფეოდალური თბილისი სწრაფად იზრდებოდა და ქვეყნის უდიდეს ეკონომიურ ცენტრად იქცეოდა. აღსანიშნავია, რომ VII საუკუნის დამდეგის თბილისი უცხოელთა მიერ „უკვე მიჩნეული იყო „ნებიერ, მოვაჭრე, სახელოვან დიდ ქალაქად“[2].

არაბთა ლაშქრობებმა VII ს. მეორე ნახევრიდან, ხოლო შემდეგ მათი მფლობელობის დამყარებამ მხოლოდ ერთხანს, დროებით შეაფერხა თბილისის შემდგომი ეკონომიური განვითარება. მალე იგი კიდევ უფრო აქტიურად ჩაება იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში. უკვე VIII ს. თბილისში მოჭრილი „თბილურ-არაბული დრამები“ ვრცელდებოდა საკმაოდ შორს ჩრდილოეთის თუ დასავლეთის ქვეყნებში. თბილისი ცხადია, მით უფრო არ წყვეტდა კავშირს საქართველოს კუთხეებთან და ქალაქებთან. ამაზე აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა აშკარად მეტყველებს. მაჰმადიანთა მფლობელობა-ბატონობის პერიოდშიც თბილისს არ დაუკარგავს თავისი ქართული სახე — იმ პერიოდშიც აქ საკმაოდ მრავლად ესახლნენ ქართველ საეკლესიო თუ საერთო ფეოდალთა ყმები, მათვე თბილისში ეკუთვნოდათ ქულბაქები და სხვა საქალაქო ნაგებობანი. ამას გარდა, არაბთა ბატონობის პერიოდში თბილისი იყო არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრიც. აბო თბილელისა და მის მსგავსთა თავდადება კიდევ უფრო აღვიძებდა და ამტკიცებდა ეროვნული სიამაყის შეგნებას, აკავებდა მებრძოლთა სულისკვეთებას არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიდი ზიანი მოუტანა IX ს. შუა წლების თბილისს არაბთა სარდლის ბუღა თურქის გამანადგურებელმა ლაშქრობამ. ხალხმრავალ თბილისში იმ დროს 50.000-მდე მცხოვრები დაღუპულა. მაგრამ ქალაქი მალე ისევ ფეხზე დადგა და ამიერკავკასიის იმდროინდელ ქალაქთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი დაიჭირა. X ს. თბილისის სიძლიერესა, სიდიდესა და სიმდიდრეზე მოგვითხრობენ, როგორც სომხური, ასევე არაბული წყაროები. მაგალითად, არაბი გეოგრაფი ისთახარი X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისზე წერდა: „თბილისი... სიმდიდრით სავსე ადგილია... მრავალგვარი საქონელი... მტკვრით მიაქვთ იქიდან... მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდაზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს“[1].

მაჰმადიანთა ბატონობის პერიოდში ქალაქის მოსახლეობის პროგრესული ნაწილი ყოველნაირად ცდილობდა თბილისი საქართველოს უკვე ერთიანი სამეფოსათვის შეეერთებინა. ამით აიხსნება ის, რომ საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს, XI ს. 40 — 50-ან წლებში, ქალაქის დამოუკიდებელი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა „თბილელმა ბერებმა“ ორჯერ გადასცეს ქალაქი. მაგრამ ბაგრატ IV-მ, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა წყალობით,

[1] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1950, გვ. 36—37.

[2] იხ. История Агван Моисея Каганкатваци, СПб., 1861, გვ. 107.

[1] ირანელი ავტორები, თარგმანი ვ. ფუთურიძისა, თბილისი, 1937, გვ. 4, შდრ. იქვე, გვ. 15.

თბილისში გამაგრება და მისი საბოლოო შემომტკიცება მაინც ვერ მოახერხა.

მხოლოდ 1122 წელს დავით IV აღმაშენებელმა შეძლო თბილისი ისევ შეეერთებინა თავისი მიწა-წყლისათვის და საბოლოოდ შეპოვეტკიცებინა. ამ დროიდან დაიწყო თბილისის, როგორც აყვავება, ასევე მისი მნიშვნელობისა და როლის ზრდა ქართველი ხალხის შემდგომს ისტორიაში. ამიერიდან თბილისი იქცა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის, მთელი საქართველოს, წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის უდიდეს ცენტრად.

XI — XII საუკუნეთა თბილისი ეს იყო სოციალურად ძლიერი, უკვე ზრდადასრულებული ქალაქი. თბილისმა XI საუკუნის 50-ან წლებში მოიპოვა ქალაქი-კომუნის მმართველობა, დამოუკიდებლობა, და ამით დიდად გაუსწრო არა მარტო საქართველოს სხვა ქალაქებს, არამედ დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ბევრ მის თანამედროვე ქალაქს. თვითმმართველობა, ქალაქ-კომუნის ტიპის წესწყობილება თბილისმა XII ს. 20-ან წლებამდე შეინარჩუნა[1].

სოციალურად ძლიერი ქალაქი დაწინაურდა ეკონომიურადაც; ამ მხრივაც საქართველოს იმდროინდელი დედაქალაქი წამყვანი იყო საქართველოს სხვა ქალაქებს შორის. XII — XIII საუკუნეების თბილისის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული უცხოელ მოგზაურთა და გეოგრაფთა თხზულებებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XIII საუკუნის დამდეგის უცნობი მოგზაურის, სპარსულ ენაზე შედგენილი „სამყაროს საკვირველებათა" ავტორის ცნობები. „თბილისი, — ნათქვამია ამ თხზულებაში, — ეს დიდი, გამაგრებული ქალაქია, რომელიც ძნელად მისადგომ ხევშია გაშენებული. მდინარეზე, რომელიც ქალაქს შუაზე ყოფს, გადებულია ერთმილიანი დიდი ხიდი. ხიდის მახლობლადაა კარგად ნაგები ციხე. ციხეში აუგიათ მეფეთა სასახლეები, მრავალი საყარაულო კოშკი... აუშენებიათ მრავალი წისქვილი, რომელთაც, ჯაჭვით მიმაგრებულებს, იქერენ მდინარეში. მრავალია დულაბები (წყალამწეები ბორბლები) და დოვლათით სავსე ბაღები. მასში (თბილისში, — შ. მ.) 65 აბანოა, წყალი ყველა აბანოში უცეცხლოდ ცხელია... აქ აბანოზე ქირას არ იხდიან. ქალები ატარებენ ქუდებს, სხედან დუქნების წინ და, მუსლიმანებს გარდა, პირსახეს არ იფარავენ. იქაური საქონელია: სპილოს ძვლით ინკრუსტირებული უნაგირები, აღვირები, კაპარჭები — საისრე ყუთები; თაფლი, მრავალგვარი ტკბილეულობა, ცვილი, უამრავი ბროწეული; თახვი, წავი, მონები, მონა-გოგონები, მინა, ფიალები, ბროლის კარგი ნაწარმი"[1]. იმავე თხზულების ავტორი აღწერს რა ანდალუზიის (ესპანეთში) ერთ-ერთი ქალაქის ხიდს, რომლის ქვეშ გემები დადიოდნენ, სხვათა შორის შენიშნავს, რომ მსგავსი ხიდები არის ბაღდადსა და თბილისში და რომ ისინი მან თვით ნახა[2].

XII — XIII საუკუნეების თბილისში მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო. ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობით, თბილისისა და მის გარეუბნებში მოსახლეობა XIII საუკუნის დამდეგისათვის 100.000-ზე მეტი იყო[3].

საქართველოს დედაქალაქში იმ დროს თავს იყრიდნენ არა მარტო ადგილობრივნი, არამედ უცხოელებიც, არა მარტო ვაჭრები და ხელოსნები, არამედ მეცნიერები, პოეტები, ხელოვნებისა და კულტურის სხვა წარმომადგენლებიც.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელს, უცხოური ცნობის მიხედვით, მაჰმადიან სუფიებისა და პოეტებისათვის თბილისში საგანგებო თავშესაფარიც კი აუშენებია.

თბილისი მახლობელი აღმოსავლეთის კულტურის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრის როლს ასრულებდა მაშინაც კი, როცა იგი ჯერ ხორეზმელების,

[1] თბილისის თვითმმართველობის ისტორიის შესახებ იხ. ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, „ენიმკის" მოამბე, ტ. XIII, გვ. 143; ს. ფერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო მოხსენებათა კრებული, 1947; მისივე, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949, გვ. 68—75; V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafariqin, Bulleten of the School of Oriental..., Studies... V. XIII, p. I, 1949, 27—35.

[1] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на персидском языке, Учен. зап. Института Востоковедения, М.—Л., т. IX, вз. 202—203.

[2] იქვე, გვ. 183.

[3] ეკმთაადმწერელი, ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, გვ. 580.

ხოლო შემდეგ მონღოლების ლაშქრობათა წყალობით, დაცემის გზაზე იყო შემდგარი. ამიტომ იყო, რომ მონღოლთა ბატონობის დროსაც კი თბილისი იზიდავდა მეზობელი ქვეყნების მწერლებსა და მეცნიერებს. დამახასიათებელია, რომ 1284 წელს „დიდ ქალაქ თბილისს“ ესტუმრა ცნობილი სომეხი სწავლული, გრამატიკოსი, ფილოსოფოსი და პოეტი იოანე ერზინკელი, რომელმაც აქ, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში (ნარიყალას ქვემოთ), მეცნიერული სიტყვა წარმოთქვა „ზეციურ სხეულთა მოძრაობისათვის“[1].

თბილისი იყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ცენტრიც. სწორედ თბილისში, მისი მოსახლეობის ზედაფენამ, მსხვილმა ვაჭრებმა და ფინანსისტებმა, ე. წ. „სიმდიდრით აღზევებულთა დასმა“, მეფის ვაზირის, მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, მოითხოვა მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვა ახლად შექმნილი საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილი დარბაზით (საბჭოთი), სადაც მონაწილეობას, დიდებულებთან ერთად, „სიმდიდრით აღზევებულთა“ წარმომადგენლებიც მიიღებდნენ. ეს მოძრაობა, მართალია, დამარცხდა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი თბილისის მოსახლეობის ზედაფენის პოლიტიკურ უფლებათა შემდგომი ზრდისათვის, მესამე წოდების იდეურად ჩამოყალიბებისათვის.

იმდროინდელ თბილისში საფუძველი ეყრებოდა სხვა მსგავს პროგრესულ მოძრაობებს, აქედან ეფინებოდა იგი მთელს საქართველოს.

* * *

XIII ს. 30—40-ანი წლებიდან დაიწყო თბილისის ეკონომიური როლის თანდათან დაცემა. ჯერ ხორეზმის შაჰის ჯალალ-ედინის, ხოლო შემდეგ მონღოლებისა და თემურ-ლენგის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა, რომელიც XIII ს. 30-ანი წლებიდან ვიდრე XV ს. დამდეგამდე გაგრძელდა, თბილისის, როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა დასცა, დააქვეითა.

XV ს. დასასრულისათვის კიდევ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაყოფამ რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, შეიძლება ითქვას, დაამთავრა ქალაქის დაცემის პროცესი — თბილისი ამიერიდან შედარებით მცირე ქალაქად და მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად იქცა.

მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიაში თბილისის განსაკუთრებულ დამსახურებას შეადგენს ისიც, რომ იგი ამ პერიოდშიაც, ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდშიც, რჩებოდა საქართველოს ეკონომიურ და კულტურის ცენტრად, განცალკევებული ქართული ფეოდალური ერთეულების ისევ შეკრება-თავმოყრის ინიციატორად, მის გამაერთიანებელ მთავარ ძალად. ამ ძნელბედობის ხანაში თბილისი იყო ქართველი ხალხის შემამჭიდროებელი და დამრაზმველი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეშიც.

მთელი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში თბილისის ამგვარი განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება ის, რომ ქვეყნის დალაშქვრისა და დაპყრობის მსურველი ყოველი აგრესორი პირველ რიგში თბილისის გაძარცვასა და აღებას ცდილობდა. ასეთ აგრესიულ მიზანს ემსახურებოდა ჯეჰან-შაჰის, უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის და სხვა მოძალადეთა მიერ მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობანი XV საუკუნის მთელ სიგრძეზე.

გამანადგურებელი ომები თბილისისათვის XVI საუკუნეშიაც გრძელდებოდა. იმ დროს თბილისი, მთელ საქართველოსთან ერთად, ყიზილბაშური ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ომის ასპარეზად გადაიქცა.

ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თბილისისა და, მაშასადამე, ქვეყნის გასათავისუფლებლად არ შენელებულა, მაგრამ აგრესორთა შემოსევებს, გამუდმებულ ომიანობას, ქალაქისათვის მძიმე შედეგები მოჰქონდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობის რაოდენობა XVI საუკუნის მიწურულისათვის 10.000-მდე დავიდა.

სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში ირანელ მოძალადეთა წინააღმდეგ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით XVII ს. დამდეგიდან დაიწყო. ამ დიდი მოძრაობის მაორგანიზებელი ცენტრი არსებითად თბილისი იყო. შემ-

[1] იხ. Л. Меликсет-Беков, О международном в Тифлисе в 1197 г., ИКИАН, ტ. III, გვ. 59.

თხვევითი არაა, რომ სახალხო გამათავისუფლებელ მოძრაობას XVII ს. პირველ მეოთხედში სათავეში ედგა თბილისის „დიდი მოურავი“ გიორგი საკაძე.

ამ მრისხანე სახალხო მოძრაობამ აიძულა ირანელი დამპყრობლები დათმობაზე წასულიყვნენ: XVII ს. 30-ანი წლებიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ირანისა და ქართლის ურთიერთობაში: გამუდმებული ომიანობა შეწყდა, ირანის შაჰი ამიერიდან ქართლის სამეფო ტახტზე ქართველ (თუმცა გამაჰმადიანებულ) მეფეებს აგზავნიდა, რომელნიც აქ შაჰის მოადგილედ ითვლებოდნენ. თბილისი იქცა მათ რეზიდენციად. მიუხედავად ამისა, თბილისი მაინც რჩებოდა ქართული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრად. ქართველი ხალხის დიდი წინააღმდეგობა აიძულებდა ქართლის გამაჰმადიანებულ მეფეებს დათმობაზე წასულიყვნენ, ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და სოციალური ცხოვრება უცვლელად დაეტოვებინათ, კიდევ მეტი, ზოგი გამაჰმადიანებული მეფეთაგანი, შაჰის ერთგულების საფარველით, არსებითად ქართულ საქმეს აკეთებდა.

დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ქართლის პირველი გამაჰმადიანებული მეფის როსტომის (1632 — 1658) მეუღლე მარიამ დედოფალი თბილისში და მთელს საქართველოში ქართული კულტურის შემდგომი აყვავების დაუღალავი მოღვაწე იყო.

ამავე პერიოდში თბილისი, ქართველი ხალხის შრომისა და თავდადების წყალობით, ისევ იქცა არა მარტო ქართული სულიერი სიმდიდრის კერად, არამედ მატერიალური დოვლათის წარმოების ცენტრადაც. აღორძინებას იწყებდა თბილისის ეკონომიური ცხოვრება. ქალაქმა ისევ გაახლა საგარეო ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. ამასთანავე, მიუხედავად პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა, თბილისი ისევ რჩებოდა მთელი საქართველოს ეკონომიურ ცენტრად. უცხო დამკვირვებელი სერაფინო მელიკოკანელი XVII ს. 60-ანი წლების თბილისის შესახებ წერდა: აქ „განუწყვეტლივ ერთმანეთს ხვდებიან ყოველი კუთხის ვაჭრები — სპარსეთიდან, ალეპოდან, სმირნიდან, კონსტანტინოპოლიდან და მთელი საქართველოდან... ყველაფერი აქ უხვად არის, აუარებელი ვაჭრობაც არის და ყოველდღე დატვირთული ქარავნებიც შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირია“[1].

XVII ს. მეორე ნახევრის თბილისის საგარეო ვაჭრობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ წერდნენ სხვა უცხოელი მოგზაურებიც — შარდენი, ეელია ჩელები, ტურნეფორი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის ცნობით, 1700 წლისათვის თბილისში უკვე დაახლოებით 20.000 მცხოვრები იყო.

თბილისის როლი საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზარდა XVIII ს. დამდეგიდან. ამ დროსაც თუმცა ქართლის მეფე ისევ ირანის შაჰის მოადგილედ ითვლებოდა, თბილისი იყო ქართული კულტურის უდიდესი ცენტრი. სწორედ ამ დროს თბილისში განათლებისა და კულტურის სხვა დაწესებულებებს (წიგნსაცავი, სკოლები) გარდა, 1709 წ. პირველად დაარსდა ქართული სტამბა. იგი იყო პირველი არა მარტო თბილისში, საერთოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებშიც.

თბილისის ამ პირველ სტამბაში, 1709 — 1722 წლებში, ოცი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილება „ვეფხის ტყაოსანი“. თბილისში დაბეჭდილი წიგნები არა მარტო ქართლის სამეფოში, არამედ მთელს საქართველოში ვრცელდებოდა. ამრიგად, პირველად თბილისიდან წავიდა მთელს საქართველოში პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი.

ქართული კულტურის აღორძინების დროიდან თანდათან შემუშავდა უცხოური — ირანულ-ოსმალური—აგრესიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის მეთოდებიც. ამის ცენტრიც ქ. თბილისი იყო. არსებითად აქ ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი — პოეტებისა და ლიტერატორებისა, მეცნიერებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა. იმ დროის პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა სწორედ თბილისში ცხოვრობდა და მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამ სახელოვან პირთა რიცხვს ეკუთვნოდნენ არჩილი, ს.-ს. ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრა-

[1] სერაფ. მელიკოკანელის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა ბ. გიორგაძემ; ხელნაწერი ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში.

ტიონი, ბერი ეგნატაშვილი და მისი „სწაელულ კაცთა“ კომისია და სხვები.

ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე შემდგარი თბილისის შემდგომ განვითარებას წინ გადაეღობა XVIII ს. მეორე მეოთხედისათვის შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება. 1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე წლები. იმდროინდელი თბილისი არაერთხელ ააოხრეს ოსმალებმა თუ დაღისტნელმა ფეოდალებმა. მართალია, ოსმალებმა დიდხანს ვერ იბოგინეს, მაგრამ ქალაქს არ დასცალდა შესვენება: 1735 წლიდან ოსმალების მაგიერ ირანელი ყიზილბაშები გაბატონდნენ. თბილისში და მთელს ქართლში „ყიზილბაშობა“ დამყარდა და მათი ბატონობა 1744 წლამდე გაგრძელდა.

დიდი ხანი დასჭირდა იმ დროს თბილისისადმი მიყენებული მძიმე ჭრილობის მოშუშებას. მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრიდან შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები ერთგვარი მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქალაქის ეკონომიური აღორძინებისათვის.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან თბილისი ისევ მთელი საქართველოს ეკონომიური ცენტრი იყო. აქ თავს იყრიდა ქვეყნის ხელოსნური წარმოება. იმდროინდელ თბილისში ხელობის 60-ზე მეტ დარგს მისდევდნენ. თბილისი იყო ხელობის ახალი დარგების პირველი დამნერგავი, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ახალი საფეხურის პირველი შემქმნელი. XVIII ს. 70-ანი წლებიდან თბილისში წვრილი ხელოსნური წარმოების გვერდით ჩნდება და თანდათან მრავლდება შედარებით მსხვილი სარეწები, რომლებიც იმდროინდელ წყაროებში „ქარხნებად“ მოიხსენიებიან. ასეთი იყო: ზარბაზნებისა და მორტირების ჩამოსასხმელი „სამეფო ქარხანა“, ზარაფხანა, სტამბა, მინის სარეწავი, საპნის სახარში, თოფისწამლის ქარხანა, მარილსახდელი, სამღებროები და სხვა. ამგვარი სარეწავების უმეტესობა ეკუთვნოდათ მეფისა და მისი სახლის წევრებს, რომლებიც ამა თუ იმ სარეწავს იჯარით აძლევდნენ კერძო პირებს, მსხვილ ვაჭარ-მოქალაქეებსა და შეძლებულ ოსტატებს. ეს უკანასკნელნი კი იჯარით აღებულ სარეწავებში ხელოსნებისა და შავი მუშების დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ამრიგად, ეს სარეწავები არსებითად მანუფაქტურული ტიპის საწარმოები იყო. ეს კი ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში ახალი დიდი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა.

ყველაფერი ეს, ცხადია, ცვლიდა თბილისის როლს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის ხალხების ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ დროიდან უფრო დიდი რაოდენობით გადიოდა თბილისური საქონელი საქართველოს საზღვრებს გარეთაც. პოლკოვნიკ ს. ბურნაშევის ცნობით, XVIII ს. 80-ან წლებში თბილისის სახელოსნოები თუ მანუფაქტურული სარეწავები კავკასიის მთის ხალხებსა და ირანელ მეზობლებს აწვდიდნენ „სპილენძის ჭურჭლებს, დაჩითულ, შეღებილ და თეთრ ბამბეულს, ცხენის აღკაზმულობას, ხმლებსა და ხანჯლებს, წვრილ რკინეულ საგნებს, ტანსაცმელს, ქუდებსა და ფეხსაცმელს“[1].

ფართოვდება თბილისის სავაჭრო ურთიერთობის სფეროც. თბილისელი ვაჭრები იმ დროიდან უკვე მიდიოდნენ ჩრდილოეთის საკმაოდ შორეულ ქალაქებშიც, მათ შორის მოსკოვშიც.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან შეიცვალა აგრეთვე თბილისის პოლიტიკური როლიც. 1762 წლიდან იგი იქცა გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად. მაგრამ თბილისის პოლიტიკური როლი იმდროისათვის ამითაც არ ამოიწურებოდა. ერეკლე II-ის ქართლ-კახეთში მეფობის დროიდან თბილისი ისევ მთელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო. აქ თავს იყრიდა ქვეყნის ყველა პროგრესული მოღვაწე, საქართველოს გაერთიანებისა და ქართული კულტურის შემდგომი აყვავებისათვის მებრძოლი. აქ დგებოდა და იწერებოდა გეგმები და ხელშეკრულებები საქართველოს განცალკევებულ სამეფო-სამთავროთა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლის შესახებ; აქ წყდებოდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი; აქვე საფუძველი ეყრებოდა ქართველი და სხვა მეზობელი თუ შორეული ხალხების მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობასა და მეგობრობას.

იმდროინდელი თბილისი იყო აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხების პროგრესულ მოღვაწეთა თავ-

[1] С. Д. Бурнашев, Картина Грузии, Тифлис, 1896, зз. 2.

მოყრის ცენტრი. აქ ისახებოდა უცხო მოძალადეთაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების იდეები, ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის გეგმები და სხვა მსგავსი ღონისძიებანი. ამიტომ იყო, რომ თბილისსა და მის პოლიტიკურ მოღვაწეებს, XVIII ს. მეორე ნახევარში, უკავშირდებოდნენ სომეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ იოსებ ემინი, შაამირ შაამირიანი და სხვები.

იზრდებოდა თბილისის როლი ქართული კულტურის შემდგომი განვითარების საქმეშიც. XVIII ს. მეორე ნახევრიდან თბილისში დაფუძნდნენ სახელმწიფო სკოლებიც. 1755 წ. თბილისში დაარსებული ფილოსოფიის სემინარია ამ მხრივ ერთი პირველთაგანი იყო. აღდგენილ იქნა ქართული სტამბა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოქმედებდა და ქართულ წიგნებს აწვდიდა საქართველოს ყოველ კუთხეს. თბილისში XVIII ს. მეორე ნახევარში დაარსდა ქართული თეატრი, გაიზარდა ქართული წიგნსაცავების რაოდენობა. განსაკუთრებული როლი შეასრულა XVIII საუკუნის თბილისმა ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნაშიც. კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ქართული კულტურისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა რიგები.

ამრიგად, დიდი იყო თბილისის როლი არა მარტო ქართველი ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლის საქმეშიაც. ამიტომაც იყო, რომ ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა 1795 წელს ერთხელ კიდევ სცადა თბილისის აღგვა დედამიწის პირისაგან. კრწანისის ტრაგედიამ ერთხელ კიდევ მძიმე ჭრილობა მიაყენა თბილისს. ქალაქი მოძალადის ხელით გაიძარცვა, გადაიწვა და დაინგრა. მიწასთან იქნა გასწორებული თბილისის ყველა მნიშვნელოვანი სარეწავი. ირანელ დამპყრობთა ამ უკანასკნელმა ლაშქრობამ დიდი რაოდენობით იმსხვერპლა თბილისის მოსახლეობა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან რვა წლის შემდეგაც თბილისის მოსახლეობა ძლივს აღწევდა 15.000 სულამდე. გართულდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, გამწვავდა შინაგანი სოციალურ-ეკონომიური კრიზისი.

* * *

მიუხედავად შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებისა, მტრის ვარაუდი არ გამართლდა. ქართველი ხალხის თავდადებული შრომის წყალობით მალე თბილისი ისევ ფეხზე დადგა და 1801 წლიდან კი, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იგი განვითარების ახალ საფეხურზე შედგა, ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებას მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა შეექმნა.

1801 წელს რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებამ, მიუხედავად ცარიზმის მიერ აქ დამყარებული მძიმე კოლონიური რეჟიმისა, ქვეყანა იხსნა უცხოელთა გაბატონებისა და გადაშენებისაგან. რუსეთის ცარიზმის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად შეიქმნა პირობები ქვეყნის მშვიდობიანი ეკონომიური განვითარებისათვის, მძიმე სოციალურ-ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლისათვის. საქართველო და მისი ქალაქები თანდათანობით ჩაება რუსეთში უკვე მტკიცედ ფეხადგმულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში — თბილისისათვის დგება ახალი ხანა.

დაიწყო ქალაქის სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა. თანდათან იცვლებოდა ფეოდალური თბილისის ეკონომიური და სოციალური სახე; შეიცვალა მისი პოლიტიკური როლიც. თბილისი — ქართლ-კახეთის და არსებითად მთელი საქართველოს ყოფილი სატახტო ქალაქი, ჯერ „საქართველოს უზენაესი მთავრობის", რეზიდენციად, ხოლო შემდეგ „ამიერკავკასიის მხარის" ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. 1845 წლიდან კი 1917 წლამდე თბილისი იყო, მცირე გამონაკლისებით, კავკასიის მეფის ნაცვლის რეზიდენცია.

XIX ს. პირველ ნახევარში აღორძინდა თბილისის ეკონომიური ცხოვრება. იგი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს ცალკეულ კუთხეებს, გამრავლდა ვაჭარ-ხელოსანთა რიცხვი ქალაქში, გაიზარდა სახელოსნო-სავაჭრო დუქანთა რაოდენობა. თუკი 1803 წელს თბილისში 570 დუქანი იყო, 1846 წლისათვის მისმა რაოდენობამ 1 500-ს გადააჭარბა. თანდათან იზრდებოდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ განადგურებული მოსახლეობის რაოდენობაც. XIX ს. პირველი ნახევრის დასას-

რულისათვის თბილისის მოსახლეობამ 56.000-მდე მიაღწია[1].

იზრდებოდა შედარებით მნიშვნელოვან საწარმოთა რიცხვიც: XIX ს. 60-ანი წლების დასაწყისის თბილისში სულ 125 ფაბრიკა და ქარხანა იყო, რომელშიც დაახლოებით 1 200 კაცი მუშაობდა.

კიდევ უფრო ვითარდებოდა ქართული კულტურა თბილისში, იცვლებოდა ქალაქის კულტურული სახეც. 1804 წლიდან თბილისში ზედიზედ იხსნება სხვადასხვა სახის სასწავლებლები, ხოლო XIX ს. ოციანი წლებიდან თბილისში გამოსვლას იწყებს ქართული და რუსული პერიოდული გამოცემები, იხსნება კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებები — ქართული თეატრის განახლება, რუსული თეატრის, იტალიური ოპერის, საჯარო ბიბლიოთეკის, გეოგრაფიული და სამეურნეო საზოგადოებათა, მუზეუმის, ობსერვატორიის და სხვა მსგავსთა დაარსება XIX ს. პირველ ნახევრის თბილისში ამგვარ ღონისძიებათა უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, თბილისი ისევ რჩებოდა ქართული კულტურის მედროშედ, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული თეატრის, ქართული პრესის განვითარების ბურჯად და ცენტრად.

ქალაქის კულტურამ XIX ს. პირველ ნახევრის დასასრულისათვის უკვე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ამიტომ იწერებოდა თბილისიდან 1851 წელს დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომ „თბილისი ძალიან ცივილიზებული ქალაქია" რომ ის „ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და კიდევაც აღწევს მიზანსო"[2].

თბილისი ისე, როგორც წინათ, XIX ს. პირველ ნახევარშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის სხვა ხალხთა კულტურის განვითარების საქმეშიც. XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში სომხური მოსახლეობისათვის დაარსდა საასულიერო სასწავლებელი, გამოსვლა დაიწყო სომხურმა გაზეთმა, საფუძველი ჩაეყარა სომხურ თეატრსა და გატარდა სხვა ღონისძიებანიც.

XIX ს. 60-ანი წლებიდან, საგლეხო რეფორმების შემდგომ პერიოდში, საქართველოში ახალი საზოგადოებრივი, ბურჟუაზიული ურთიერთობა იმარჯვებს. თბილისი იყო პირველი, რომელმაც საქართველოს სხვა ქალაქებსა და კუთხეებთან შედარებით, ღრმად განიცადა ამ ახალი ურთიერთობის შემოჭრა-გაბატონება. ამ დროიდან თბილისში განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა მრეწველობა და ვაჭრობა. საქართველოს ერთ-ერთ უძველეს, ფეოდალური ურთიერთობის გარიჟრაჟისას წარმოშობილ, ქალაქის ისტორიაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა — ბურჟუაზიული თბილისის განვითარების პერიოდი.

ბურჟუაზიული ქალაქის შემდგომ განვითარებას, მის კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირებას საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანამ — თბილისის დაკავშირებამ ჯერ ფოთთან, ხოლო შემდეგ ბათუმსა და ბაქოსთან.

ქალაქის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას ცელილებები განსაკუთრებით მკაფიოდ დაეტყო XIX ს. 80-ანი წლებიდან. XIX ს. დასასრულისათვის თბილისში უკვე ითვლებოდა 1 500 მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაბრიკა და ქარხანა, 200-ზე მეტი სავაჭრო დაწესებულება და 14 სააქციო საზოგადოება[1]. რეფორმის შემდგომ ხანაში სწრაფად გაიზარდა თბილისის მოსახლეობაც. XIX ს. მიწურულისათვის იგი უკვე 160.000 სულამდე აღწევდა.

ამავე დროს ბურჟუაზიული თბილისი სათავეში ედგა ქართული ბურჟუაზიული კულტურის შექმნასა და შემდგომ განვითარებას. თბილისი იყო ქართული კულტურის ის ცენტრი, სადაც კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ვითარდებოდა ქართული სკოლა, პრესა, წიგნი, თეატრი; მრავლდებოდა სამეცნიერო და სამეურნეო დაწესებულება-საზოგადოებები. ყველაფერი ეს, ცარიზმის ბატონობის პირობებში, ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლით იყო მიღწეული და მოპოვებული.

თბილისის ქართული, დემოკრატიული პრესის, ქართული მწერლობისა და საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, გ. წერეთელს, ს. მესხს, ნ. ნიკოლაძეს, ი. მაჩაბელს, კ. ლორთქიფანიძეს, ა. ფურცელაძეს და სხვებს.

---

[1] იხ. Кавказский календарь на 1851 г., ნაწ. III, გვ. 88.
[2] Л. Толстой, Письма, 1910, გვ. 13.

[1] იხ. ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ნაწ. I გვ. 33—64.

ბურჟუაზიულ პერიოდში თბილისი კვლავ იყო ქართული კულტურისა და მეცნიერების მედროშე, მისი შემდგომი განვითარების ორგანიზატორი. თბილისი, ცარიზმის უმთავრესი ადმინისტრაციული პოლიტიკური ცენტრი კავკასიაში, XIX ს. მეორე ნახევარში იყო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართველი ხალხის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი და ორგანიზატორიც.

თბილისმა უდიდესი როლი შეასრულა აგრეთვე ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან მეგობრობის განმტკიცების საქმეშიც. თბილისში ჩამოდიოდნენ და ცხოვრობდნენ რუსი ხალხის გამოჩენილი შვილები: ა. გრიბოედოვი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ა. ოსტროვსკი, პ. ჩაიკოვსკი, მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი და სხვები. ბევრი მათგანის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან. რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლების ურთიერთობა ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებთან ხელს უწყობდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

თბილისი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მათი კულტურის განვითარების საქმეშიც. შემთხვევითი არ არის აგრეთვე, რომ სომეხი თუ აზერბაიჯანელი ხალხის ზოგი დიდი წარმომადგენლის შემოქმედებითი გაფურჩქვნა, თუ საერთოდ მოღვაწეობა, მჭიდროდ უკავშირდება თბილისს. აქ გაატარა თავისი მოღვაწეობის საუკეთესო წლები დიდმა სომეხმა მწერალმა ხაჩატურ აბოვიანმა. XIX ს. თბილისში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ სომეხი მოღვაწეები ს. ნაზარიანი, გ. სუნდუკიანცი და სხვები. თბილისში რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ა. ბაკიხანოვი, მწერალი-განმანათლებელი მირზა ფატალი ახუნდოვი, პოეტი მირზა შაფი ვაზეხი; თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ყაბარდოელი ისტორიკოსი შ. ნოგმოვი და სხვები.

დიდია თბილისის როლი საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარების საქმეშიც.

ბურჟუაზიული ურთიერთობათა განვითარება თბილისში თანდათან ამრავლებდა სამრეწველო მუშათა რიცხვს. მას თან სდევდა მუშათა სტიქიური გამოსვლები; ამ მხრივაც თბილისი პირველი იყო. 1872 წელს მირზოევის ფაბრიკაში მოეწყო მუშათა პირველი დიდი გაფიცვა.

1898 — 1900 წლებში კი თბილისის მუშათა მოძრაობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა — დაიწყო მუშათა დარაზმული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. XIX ს. მიწურულის თბილისი მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად იქცა. პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „მესამე დასი“ თბილისში 1893 წელს წარმოიშვა, ხოლო 1901 წ. ნოემბერს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე არჩეული იქნა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაფართოებისა და ხელმძღვანელობის საქმეში. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია 1901 — 1902 წლებში სცემდა ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთ — „ბრძოლას“.

* * *

თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ თბილისის მუშათა კლასი, საერთოდ საქართველოს მშრომელებთან ერთად, გამარჯვებამდე მიიყვანა— 1921 წლის 25 თებერვალს „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა“.

1 500 წლის მანძილზე თბილისმა განვითარების გრძელი გზა გაიარა, თბილისმა განვლო, როგორც ფეოდალური ურთიერთობის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი, ასევე ბურჟუაზიული წყობაც.

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე თბილისს არაერთხელ ჰქონია აღმავლობის, ეკონომიური თუ სოციალური გარდატეხის პერიოდი. მაგრამ სულ სხვა იყო ის, რაც ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან დაიწყო.

ამ დროს დაამთავრა თბილისმა ბურჟუაზიული განვითარების პერიოდი და დაიწყო სრულიად ახალი ერა, როგორც საერთოდ საქართველოს, ასევე, თბილისის ისტორიაში — ეს იყო სოციალისტური თბილისის დაბადების ერა.

ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ამიერიდან თბილისი იქცა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქად, მის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურის ცენტრად; ამას გარდა, 1922 წლიდან 1936 წლამდე თბილისი იყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი. ამ პერიოდშიც თბილისი ისევ სათავეში ედგა ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური განვითარების, კულტურის აღორძინებისა და დიდ სოციალურ გარდაქმნათა საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რევოლუციამდელი ძირითადად სავაჭრო-ადმინისტრაციული ქალაქი თბილისი უმოკლეს დროში გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად; იგი ამჟამად საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის უდიდესი სატრანსპორტო კვანძია; ასევე, უმოკლეს ვადაში იქცა თბილისი ქართული სოციალისტური კულტურის უდიდეს ცენტრად. თუ რევოლუციამდელ თბილისში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ამჟამად ქალაქში თერთმეტზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია.

თბილისში რევოლუციის წლებში წარმოიშვა და სწორედ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იქცა ქართული მეცნიერების, სწავლა-აღზრდისა და კულტურის უდიდეს კერად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მის ბაზაზე წარმოიქმნა საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება.

თბილისში ქართული საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში დიდ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 80-მდე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვ.

ქართული სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას სათავეში უდგას თბილისი თავისი ოპერისა და დრამატიული თეატრებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით, კინოსტუდიით და კულტურისა და ხელოვნების სხვა კერებით.

თუკი XVIII ს. დამდეგიდან თბილისში ერთადერთი სტამბა იყო, ამჟამად სოციალისტური თბილისი მსხვილი პოლიგრაფიული ცენტრიცაა. მრავალრიცხოვანი გამომცემლობები ბეჭდავენ მილიონობით წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს, როგორც ქართულ და რუსულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

უმოკლეს დროში მომხდარმა გრანდიოზულმა ცვლილებებმა ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებასა და კულტურაში არსებითად შესცვალეს ფეოდალური და ბურჟუაზიული ხანის თბილისის გარეგანი სახე. თბილისი ამჟამად ჩვენი დიდი კავშირის ულამაზეს ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის.

ამრიგად, ჩვენი დედაქალაქის წარსულის მოკლე მიმოხილვაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი თავის წარმოშობის დღიდან ყოველთვის, აღმავლობა-გაძლიერებისა თუ დაკნინება-განსაცდელის ჟამს, იყო ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრების ცენტრი, ქართული მიწა-წყლის შეკრება-თავმოყრის ინიციატორი, ქართველი ხალხის დამრაზმველი ეროვნული დამოუკიდებლობისა თუ სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის წინაშე ასე დიდი დამსახურების გამო, სიყვარულითა და პატივისცემით ზეიმობს ქართველი ხალხი თავისი ხანდაზმული, მაგრამ მარად მზარდი დედაქალაქის, თბილისის 1 500 წლისთავს.



აკაკი შანიძე

საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის

საქართველოს ოთხ სატახტო ქალაქთაგან(მცხეთა, თბილისი, არტანუჯი, ქუთაისი) ყველაზე მნიშვნელოვანია თავისი აწმყოთი და წარსულითაც თბილისი, რომელიც უთუოდ მომავალშიც შეინარჩუნებს თავის უპირატესობას საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით.

თბილისი დღეს ვეებერთელა მანძილზეა გადაჭიმული მტკვრის მიმდინარეობის მიმართულებით (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ), მაგრამ თავდაპირველად მისი ფარგლები ის ადგილები იყო, რომლებიც დღეს სიონსა და გოგირდის აბანოებს აკრავს მტკვრის ორსავე მხარეს, უმთავრესად მაინც მარჯვენა მხარეს. აქ მტკვარი ისე ვიწროდ არის შეზღუდული აქეთ-იქედან მიმდგარი კლდეებით, რომ ძველადაც ადვილი უნდა ყოფილიყო ხიდის გადება გალმა-გამოღმა მხარეების დასაკავშირებლად.

როდის დაერქვა ამ ადგილს პირველად თბილისი, ეს ამჟამად ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ცხადი კია, რომ იგი უთუოდ ძალიან ძველია და იმ ხანებამდე ადის, რომელთა შესახებ უტყუარი წერილობითი საბუთები არ მოგვეპოვება.

თბილისი დღევანდელი სახელია ქალაქისა, ძველად მისი სახელი იყო ტფილისი. ადრინდელ ქართულ წერილობით ძეგლებში სწორედ ასეთი ფორმითაა იგი დამოწმებული, მაგ., ევსტათი მცხეთელისა და აბო ტფილელის წამების წიგნებში (პირველი VI საუკუნის ძეგლად ითვლება, მეორე — VIII საუკუნისად). „ქართლის მოქცევის“ წიგნში, რომლის უძველესი ტექსტი ცნობილ შატბერდის კრებულშია დაცული (გადაწერილია X საუკუნეში), ტფილისი უპირისპირდება ძველ სატახტო ქალაქს—მცხეთას. ბაკურის შემდეგო, ნათქვამია იქ, „მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა“ [1]. მაშასადამე, მცხეთის მოსახლეობა თხელდებოდა (ე. ი. კლებულობდა), ტფილისი კი—ეშენებოდა (ე. ი. შენდებოდა, მოსახლეობა ემატებოდაო); ამავე დროს არმაზის ციხე (მცხეთაში) მცირდებოდა (ე. ი. კლებულობდა), სამაგიეროდ თბილისის ციხე, რომელსაც IX—X საუკუნეებში უკვე

[1] ე. თაყაიშვილი, Описание рукописей..., II, 724.

ქალას უწოდებენ[1], განდიდნებოდაო (ე. ი. იზრდებოდაო).

ტფილისის სახელის წარმოშობის შესახებ ბევრი დაწერილა, ზოგი მრუდი, ზოგი მართალი. ერთ დროს გავრცელებული იყო აზრი, თითქო ჩვენი ქალაქის სახელი წარმომდგარი იყოს თობელ ისაგან (ანუ თობალ-ისაგან, თუბალ-ისაგან), რომელიც, თანაამად ბიბლიაში შენახული ზღაპრული გენეალოგიისა, ნოეს უმცროსი ვაჟის იაფეტის შვილი იყო (დაბად. 10,2)[2]. ეს აზრი გატარებულია, მაგ., ქართველი კათოლიკეების მიერ შედგენილსა და მონთობანს (საფრანგეთში) 1877 წელს დაბეჭდილს „საყოველიერო ისტორიაში", სადაც მე-7 თავი ასე იწყება: „ქართველები იაფეთის მეხუთე შვილის თობალისაგან მომდინარეობენ. სადაც თობალი დადგა, ეწოდა თობალისი, აწ თბილისი"[3].

ასეთ ახსნას ერთ დროს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგიც იზიარებდა[4], მაგრამ ბევრს იგი საეჭოდ მიაჩნია[5]. ეჭვი უთუოდ საფუძვლიანია.

ნამდვილად ტფილისის სახელწოდება იმ თბილი წყაროებისაგან არის, რომლებიც ბლომად მოიპოვება ქალაქში და რომლებზედაც ძველადაც განთქმული აბანოები იყო მოწყობილი.

[1] ქალა არაბული სიტყვაა, ნიშნავს ციხეს, ქალა ძველ არაბულ გამოთქმას გადმოგვცემს. შემდეგში (სპარსულ-თურქულის გავლენით) ეგევე სიტყვა ყალა-დ იქცა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით დ. ბერიტიშვილსა და შ. მესხიას, რომლებიც ამბობენ, რომ ქალა თბილისის ციხე-სიმაგრის უძველეს გეოგრაფიულ სახელად ჩანს და იგი არ უნდა მომდინარეობდეს არაბული ქალა სიტყვისაგანო (თბილისის ისტორია, 1952, გვ. 22).

[2] ეს აზრი პირველად პოტოცკიმ გამოთქვაო, ამბობს ს. ყაყაბაძე, (К истории названия гор. Тифлиса: საისტორიო მოამბე, II, 1928, 60), მაგრამ დამოწმებული წიგნის აღნიშნულ ადგილას (J. Potocki, Voyage dans les steps d' Astrakhan et de Caucase, Paris, 1829, t. II, 251), ასეთი რამ მე ვერ ვიპოვე.

[3] მოკლე საყოველიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა. მონთობანს 1877, გვ. 432 (ამ წიგნზე მიმითითა დოც. ტ. რუხაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ).

[4] Л. М. Меликсет-Беков, Тифлис, его основание и краткий исторический очерк (წიგნში: Тифлис и его окрестности. Путеводитель. Составлен Туристическим отделом географического общества Грузии под редакцией И. А. Асланишвили, Т., 1925, გვ. 67).

[5] მაგ., დ. ბერიტიშვილი და შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 28.

თბილისი ანუ ტფილისი რომ თბილი წყაროების გამო არის დარქმეული, ეს აზრი ადვილი მისახვედრია და უთუოდ ძალიან ძველია, მაგრამ წერილობითი დადასტურება ამისი შედარებით გვიანი ხანისა მოიპოვება.

135 წლის წინათ ჟ. კლაპროთი (J. Klaproth) აღნიშნავდა, რომ ამ ქალაქს სახელი თბილი წყლებისაგან დაერქვაო[1]. ამავე აზრს იმეორებს პლატონ იოსელიანი: Тепловые воды, давшие имя этому месту от грузинского тбили тфили („теплый"), подобно славянскому Теплицу в Богемии, еще в глубокой древности могли привлечь сюда население значительное[2]. იგივე აზრია გატარებული დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძნიშვილის წიგნში: настоящее название Тбилиси происходит от грузинского слова тбили „теплый", слова, принадлежащего индоевропейскому корню (лат. tepidus, слав. теплый). Так назван Тифлис от теплых минеральных источников, которыми он изобилует[3]. შემდეგ ამავე აზრს იზიარებდნენ ნ. გორიაევი[4], მ. ჯანაშვილი[5], კ. ჰანი[6], ს. კაკაბაძე[7] და სხვები.

ცოტაა საქართველოში გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ისეთივე ცხადი ეტიმოლოგია ჰქონდეთ, როგორიცაა თბილისი, რომელსაც ძველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტფილისი ერქვა. ეს სიტყვა ასე დაიშლება შემადგენელ ნაწილებად: ტფ-ილ-ის-ი. ამათგან ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც სხვა ბრუნვაში დაიკარგება: ტფილის-ი, ტფილის-მან, ტფილის-ს. ის სუფიქსი, რომელიც ტფილის-ში

[1] J. Klaproth, Voyage au mont Caucase et en Géorgie. II, (Paris, 1823), p 1—2

[2] П. Иосселиани, Описание древностей г. Тбилиси, Т., 1866, გვ. 10—11.

[3] Тифлис в историческом и этнографическом отношениях. Сочинение Дмитрия Бакрадзе и Николая Березенова, СПб., 1870, გვ. 12—13.

[4] Н. Горяев, Сравнительный этимологический словарь русского языка, Т., 1896, გვ. 364.

[5] მ. ჯანაშვილი, საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი, 1899, გვ. 5—6.

[6] К. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, том 40).

[7] С. Какабадзе, К истории названия гор. Тифлиса (საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 60).

'შედის, სხვა გეოგრაფიული პუნქტების სახელებშიც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა ადგილას: მანგლ-ის-ი, ბოლნ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი, წაკ-ის-ი, ტირძნ-ის-ი, მარელ-ის-ი, ქუთათ-ის-ი[1] (ამჟამად ქუთა-ის-ი), თუხარ-ის-ი და მრავალი სხვა. ეს ის წარმოშობით ნათ. ბრუნვის ფორმანტია. იგი არ არის საჭირო ნაწარმოებ სიტყვებში: ტფილ-ურ-ი, ტფილ-ელ-ი (აბო ტფილელი, იოსებ ტფილელი). გვრჩება ტფ-ილ-ი, რომელიც ძველად იმასვე აღნიშნავდა, რასაც დღეს თ ბ ი ლ-ი. ამ ტფილ-ში ილ ძველი სუფიქსია, რომელიც ნაწარმოებ სიტყვებში არ ჩანს: სი-ტფ-ო („სითბო"), გან-ვ-ტეფ („გავთბი"). მოყვანილი ზმნური ფორმა იმით არის საყურადღებო, რომ მან ხმოვანი გამოაჩინა, რომელიც სხვა შემთხვევებში ამოღებულია ფუძის შეკუმშვის გამო: გან-ვ-ტეფ. გან-ს-ტეფ („გავთბი", „გასთბი")—ესენი წყვეტილის I და II პირის ფორმებია, რომლებიც ფუძის ხმოვანს გვიჩვენებენ, აგრეთვე გან-ტეფ („გათბი")—II ბრძანებითი. სხვა შემთხვევებში ფუძის ხმოვანი ყველგან ამოღებულია: გან-ტფ-ა, გან-ტფ-ეს, ტფ-ილ-ი, გან-ვა-ტფ-ობ. თუ აღვადგენთ ფუძის ხმოვანს, რომელიც თეორიულად იგულისხმება, გვექნება *ტეფ-ილ-ი.

ეს *ტეფილ-ი სხვა ქართულ ენებშიც მოიპოვება ამა თუ იმ სახით: ჭანურში ქართ. ტეფ-ს ტუბ ან ტიბ შეესატყვისება: „თბილი" აქ არის ტუბუ ან ტიბუ. აქედან: ბტუბურ („ვთბები"), დობოტუბინამ (არქაბულად) ან ვოტიბაფ (ხოფურად: „ვათბობ") ბოტიბუნამ (ვიწურად: „ვაცხობ"), ფურუნჯი გჟარი ოტუბინამს (ვიწურად „მეფურნე პურს აცხობს"), ფურუნჯიქ გჟარი დო: ტიბინუ („მეფურნემ პური გამოაცხო") და სხვა[2]. იგივე ტუბ-ტიბ ძირი მეორდება კოლხურის მეორე კილოში, მეგრულში, სადაც ემატება კიდევ მესამე სახე ტგბ: ტიბუ (აღმ.), ტუბუ და ტგბგ (დასავ.) „თბილს" ნიშნავს. აქედან უ-ტგბ-აშ-ი („უთბოსი", „უფრო თბილი"), ტგბინაფა, ტიბინი („თბობა"), ვოტგბუანქ („ვათბობ"). გგვოტგბე („გავათბე"), ეტგბგქ („ვთბები"), მიტიბუ („მითბება", „მწყალობს") და მისთ.[3].

[1] ამ ძველი ფორმისაგანაა ნაწარმოები: ქუთათ-ელი, ქუთათ-ური.

[2] Н. Марр, Грамматика чанского языка, СПб., 1910.

[3] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914.

ეს კოლხური ტუბუ შემოხახულია წყალ-ტუბოში, რომელიც განთქმული საკურორტო ადგილის სახელია, ოღონდ მისი ბოლოკიდური უ გადმოკეთებულია ქართულის კვალობაზე ო-დ (როგორც ეს მოხდა იესუ-ში: იესუ→იესო), თანაც პირველი ნაწილიც მთლად გაქართულებულია: წყარ ტუბუ →წყალ-ტუბო. ინიანი ძირიც (ტიბ-უ) შემონახული უნდა გვქონდეს გვიშ-ტიბ-ში, რომელიც სოფლის სახელია (იქვე ახლოსაა წყალტუბოსთან).

სვანურს თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ იქ სათანადო ძირია ტებიდი, რომელიც შეკუმშულად ტებდი-ს გვაძლევს (ტებდი—„თბილი"). აქედან: ხო-ტბიდ-ა („უფრო თბილი"), ათ-ტებიდ („გაათბე") ტებიდ-ს ნაცვლად ლენტეხურ კილოში ტებედი იხმარება, რომლის მეორე ე ასიმილაციის გზით მიღებული ჩანს (ტებიდი→ტებედი).

როგორც ვხედავთ, „თბილის" აღმნიშვნელი სიტყვები ხმოვნის თვალსაზრისით ჰშორდებიან ერთმანეთს: ქართულ *ტეფ-ილ-ს სვანური ტებდი უპერს მხარს, მაგრამ ჭანურ-მეგრული ტიბუ და ტუბუ განსხვავდება მათგან. ამათგან ამოსავალია ტიბუ, ტუბუ კი ასიმილაციით მიღებული ჩანს; ტგბგ-ს პირველი გ შეიძლება მივიღოთ ძირის ხმოვნის დასუსტების გზით როგორც ტიბუ-საგან, ისე ტუბუ-საგან.

რაც შეეხება ძირის თანხმოვნებს, აქ განსხვავებას მეორე თანხმოვანი გვიჩვენებს: ქართულში გვაქვს ფ, კოლხურ-სვანურში ბ: *ტეფ-ილ-ი→ტფილი, ტიბუ (ტუბუ), ტებ-დი. მართალია, ქართულშიც გვაქვს ბ (თბილ-ი), მაგრამ ეს არის ახალი ფორმა და გამოსარკვევია, რა გზით არის იგი მიღებული: მომდინარეობს იგი ძველი ქართულის რომელიმე კილოდან, თუ მერმეა განვითარებული. ყოველ შემთხვევაში თ მეორეული ჩანს (თბილი, აქედან ასიმილაციით: თფილი).

ამგვარად, ტფილ-ი, რომელიც საფუძვლად უძევს ჩვენი დედაქალაქის სახელს, ძირეული სიტყვაა, რომელსაც შესატყვისები მოეპოვება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში.

ამავე ძირის სიტყვები გვხვდება ზოგ ინდოევროპულ ენაში: ლათინურში, სლაურში, ინდოირანულში. ამას წინათაც აღნიშნავდნენ მკვლევრები. მაგ., ა. ცაგარელი სვანური ტბიდ ძირის გამო (ლიტბიდე—„თბობა") შენიშნავდა: Общеинд-евр. корень tap встречается и в иберийских

наречиях в этом же значении"[1]. ამასვე იმერრებენ ბაქრაძე-ბერძნიშვილი[2], ნ. გორიაევი, მ. ჯანაშვილი და უკანასკნელ ხანებში ა. ჩიქობავაც[3].

ეს ინდოევროპული სიტყვებია: ლათ. tepeo („თბილი ვარ"), tepido ან tepefacio („ვათბობ"), tepesco („ვთბები"), tepidus („თბილი"), tepor („სითბო"), ძვ. ინდ. tapas-(„სიცხე"), ავესტ. tafnuš („ცხელება", „ციება"), ძველი სლაური топити („თბობა"), теплъ („თბილი"), რუს. теплый და სხვა, რაც აღნიშნულია სხვადასხვა ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში[4]. ქართული *ტეფილ-ი სლაურთან არის ახლოს, სვანური ტებიდი კი— ლათინურთან. ეს შემთხვევითი როდია: ინდოევროპული ენების შემხვედრი სიტყვები სხვაც მოიპოვება ქართული ენის საკმაოდ ძველ ფენაში.

ამგვარად უეჭველია, რომ საქართველოს დედაქალაქის სახელის ძველი ფორმაა ტ ფ ი ლ ი ს ი, რომლისაგანაც წარმოდგა მისი სახელი მეზობელთა ენებზე და აქედან გავრცელდა მთელ დედამიწაზე. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ სომხური *Տֆղիս* (ძველი გამოთქმით ტგფლის, შერმინდელი გამოთქმით—XII საუკუნიდან მაინც—ტგფლის, რომელიც ზოგჯერ ასიმილაციის გზით ტფხის ს იძლევა), ბერძნული (ბიზანტური ხანის) Τίφλις (Τίφλις), არაბული طفليس ან (უფრო ხშირად) تفليس, სპარულ-თურქული تفليس. რუსული Тифлис არაბულ-სპარსულ-თურქულ تفليس ფორმას იმეორებს, მასვე მისდევს ევროპის ენებში დამკვიდრებული Tiflis.

* * *

P. S. რუსული ფორმა Тифлис დამკვიდრებული იყო 1936 წლის 17 აგვისტომდე, როდესაც სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ, თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ბიუროს წარდგენისა, დამტკიცებულ იქნა ახალი ფორმები საქართველოს რამდენიმე ქალაქის სახელისა (მათ შორის თბილისისაც) და სომხეთის დედაქალაქის სახელისა. ეს ახალი ფორმები უფრო ახლო დგას ქართულ და სომხურ გამოთქმასთან, ვიდრე წინანდელები. თუ წინათ რუსულად იწერებოდა Тифлис, Ахалцих, Кутаис, Самтреди, Чиатуры, Мцхет და სხვა, ამიერიდან უნდა შემოეღოთ: Тбилиси, Ахалцихе, Кутаиси, Самтредиа, Чиатура, Мцхета და სხვა, აგრეთვე Эривань ფორმის ნაცვლად უნდა შემოღებულიყო Ереван. ეს დადგენილება გამოქვეყნდა Известия-ს 1936 წლის 22 აგვისტოს ნომერში (№ 195) და გადმობეჭდილ იქნა ქართულად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში, № 46, 1936 წ., სექტემბრის 20-ს.

რუსული ფორმა Тбилиси, რომელიც გადმოგვცემს ქართული სიტყვის ახალი ფორმის სახელობით ბრუნვას (თბილისი—Тбилиси) თანდათანობით განმტკიცდა და საყოველთაოდ იქცა რუსულ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებსა და ყოველგვარ ოფიციალურ დოკუმენტში.

რაც შეეხება ქართულ სახელწოდებას, ძველებური ფორმის ხმარებას (ტფილიხ-ისას) კიდევ განაგრძობდნენ ერთხანს, მაგრამ იყო კამათი: ზოგი მოითხოვდა დარჩენილიყო ტფილისი, ზოგი კი თბილისს უპირდა მხარს. კერძოდ მეც მომიხდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე სპეციალურად შევხებოდი ამ საკითხს; მოვითხოვდი, რომ, რაკი ამჟამად ითქმის და იწერება თბილი (და არა ტფილი), ამიტომ ქალაქის სახელიც თბილისი უნდა იყოს და არა ტფილისი-მეთქი.

ახალმა ფორმამ (თანით: თბილისი) საბოლოოდ 1937 წლიდან მოიკიდა ფეხი.

---

[1] А. А. Цагарели, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, 2-ое издание под редакцией А. Шанидзе, Т., 1957, გვ. 18.

[2] ნახე ციტატი ზემოთ (გვ. 20).

[3] ა. ჩიქობავა, ბანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 237.

[4] მაგ. Walde-Hofmann-ისაში: Lateinisches etymologisches Wörterbuch. II, Heidelberg, 1954, p. 667.

ნოდარ ლომოური

უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ

როგორც ცნობილია, თბილისის ქალაქად გადაქცევა და სამეფო რეზიდენციის, სატახტო ქალაქის აქ გადმოტანა ახ. წ. VI საუკუნის დამდეგს ემთხვევა და დაკავშირებულია მეფე ვახტანგ გორგასალისა და მისი მემკვიდრის დაჩის სახელთან. „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა"—მოგვითხრობს ჯუანშერი[1]. ხოლო ვახტანგის ძემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ"[2].

IV ს. დამდეგიდან თბილისი თანდათანობით ძლიერდება ეკონომიურად და პოლიტიკურად, აქ მრავლდება მოსახლეობა; ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართლში მიმდინარე სოციალურ ძვრებთან—ქვეყნის ფეოდალიზაციასთან. VI ს. დამდეგიდან თბილისი გამარჯვებული ფეოდალური კლასის ხელისუფალთა (ერისმთავართა) რეზიდენცია გახდა. ეს მოვლენა დიდად მნიშვნელოვანი იყო თბილისის არა მარტო პოლიტიკური გაძლიერებისათვის, არამედ მისი შემდგომი ეკონომიური დაწინაურებისათვისაც. მას უკვე ძველი, მონათმფლობელური ქალაქი—მცხეთა, კონკურენციას ვერ გაუწევდა. მართლაც, მცხეთამ პოლიტიკურ პირველობასთან ერთად ეკონომიური უპირატესობაც თანდათან დაჰკარგა[1].

რამ შეუწყო ხელი თბილისის დაწინაურებაღზევებას, რამ გამოიწვია მცხეთასთან კონკურენციაში მისი გამარჯვება? ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ქალაქის მდებარეობა უნდა ყოფილიყო. როგორც აღნიშნავს აკად. ს. ჯანაშია, „აქ იყო და არის საუკეთესო ადგილი ხიდის ასაგებად, სახელდობრ იქ, სადაც დღეს მეტეხის ხიდებია და სადაც მტკვრის კლდოვანი ნაპირები არაჩვეულებრივად ახლოს ადგებიან ერთმანეთს..."[2].

ამავე დროს თბილისის დასავლეთით მდებარე მთები და მტკვრის კლდოვანი ნაპირები ადვილად ჰკეტავდნენ მდინარის გაყოლებით მიმავალ გზას.

---

[1] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 200.

[2] იქვე, გვ. 205.

[1] შ. მესხია, თბილისი 1500 წლისაა, 1957, გვ. 9.

[2] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, „შრომები", ტ. I, გვ. 11.

ქალაქის მდებარეობამ ადრე მიიზიდა მოსახლეობა და უკვე ენეოლითის ხანიდან აქ უძველესი სამოსახლოები გვხვდება[1]. არ შეწყვეტილა თბილისის ტერიტორიაზე ცხოვრება მერმინდელ ხანებშიაც, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის იგი უკვე მჭიდროდ ჩანს დასახლებული, რამაც ნიადაგი მოამზადა იმისთვის, რომ ეს მარჯვე მდებარეობის პუნქტი ქალაქად გადაქცეულიყო[2].

თბილისი პირველად ახ. წ. IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება შედარებით გვიანდელ ქართულ წყაროებში. XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ მეფე ვარაზ-ბაკურის (‖ ვარაზ-ბაქარის) დროს სპარსელებმა სწორედ თბილისი აქციეს თავისი მოხელის — პიტიახშის რეზიდენციად და ააშენეს აქ ციხე, რომელიც უნდა ყოფილიყო „ციხედ მცხეთისად"[3]. ამავე ამბავს მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (VII—VIII სს. ე. თაყაიშვილი, X—XI სს. ივ. ჯავახიშვილი): „მაშინ მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ. სპარსთა მეფის პიტიახში, ტფილისად ქალაქად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა"[4].

ამრიგად, IV საუკუნისათვის თბილისი უკვე იმდენად მნიშვნელოვანი პუნქტი გამხდარა, რომ სპარსელთა მოხელეს ის აურჩევია თავის რეზიდენციად, საგანგებოდ გაუმაგრებია და აქედან უწევდა მეთვალყურეობას მცხეთაში მყოფ ქართლის მეფეს. ამ დროისთვის თბილისი უკვე „ციხე-ქალაქადაც" ქცეულა.

როგორც აღვნიშნეთ, IV საუკუნისათვის თბილისის დაწინაურების შესახებ ჩვენ შედარებით გვიანდელი (VII—VIII თუ X—XI სს.) წყაროები მოგვეპოვება. უცხოურ წყაროებში თბილისი პირველად VI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელ მწერალთან თეოფანე ბიზანტიელთან მოიხსენიება, 571 წელს სპარსელების წინააღმდეგ იბერთა აჯანყებასთან დაკავშირებით: „იბერთა დედაქალაქი მაშინ ტიფილისი იყო" (ἡν δὲ τῶν Ἰβήρων τότε ἡ Τ!φιλις μητρόπολις)[5]. ეს ცნობა ითვლება თბილისის მოხსენიების პირველ შემთხვევად უცხოურ წყაროებში[1].

ჩვენ ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ უფრო ადრეულ წყაროს, კერძოდ, IV ს. საგზაო რუკას, რომელზედაც, როგორც ირკვევა, აღნიშნულია თბილისი და რომელიც, ამდენად, უძველეს ცნობას წარმოადგენს თბილისის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ე. წ. Tabula Peutingeriana, რომელიც შედგენილი ყოფილა ახ. წ. IV ს. მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ[2]. კასტორიუსის რუკა გარეგნულად სრულიად განსხვავდება იმ დროისთვის ცნობილი მსოფლიო რუკებისაგან (მაგ., ერატოსთენეს, პტოლემაიოსის და რომაული რუკებისაგან), რომლებზედაც დედამიწა გამოხატული იყო როგორც ელიფსი, რომლის სიგანე სიგრძის ნახევარს წარმოადგენდა. კასტორიუსის რუკა გრძელ, ვიწრო ზოლად არის გაჭიმული და მისი სიგანე 21-ჯერ თავსდება სიგრძეში; ამის გამო მსოფლიოს გამოსახვა იმდენად არის დამახინჯებული, რომ მკვლევარი ზოგჯერ გადაუჭრელ სიძნელეებს აწყდება მისი ინტერპრეტაციის დროს. კასტორიუსი, როგორც ჩანს, არც ისახავდა მიზნად მსოფლიოს სწორი გეოგრაფიული ასახვის მოცემას; მისი რუკის დანიშნულება იყო მიეცა მოგზაურთათვის, პირველ რიგში, საფიქრებელია, ვაჭრებისათვის, გზების მიმართულება და მანძილები; ამავე დროს, რადგან ავტორი ყველგან აღნიშნავს პუნქტებს შორის მანძილებს, მას მასშტაბის დაცვაც არ ჩაუთვლია საჭიროდ[3]. Tabula Peutingeriana-ზე მოცემულია სწორედ სა-

[1] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 7—75.

[2] შ. მესხია, ციტ. ნაშრ., გვ. 8.

[3] ქართლის ცხოვრება, გვ. 136.

[4] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ჟ. Такайшвили, Описание..., II, 720.

[5] გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. III, თბილისი, 1936, გვ. 258.

[1] ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927, გვ. 283—284.

[2] K. Miller, Die Weltkarte des Castorius, Ravensburg, 1888, S. 50; ეს რუკა 1501 წ. ერთ-ერთ წიგნთსაცავში აღმოაჩინა იეზუიტმა კონრად კელტემ, მას შემდგომში რუკა გადაუცია სიძველეთა ცნობილი მკვლევარის კონრად პევტინგერისათვის, რომელთანაც ეს რუკა დიდხანს ინახებოდა; მასვე გაუკეთებია რუკის ასლი და გადაუგზავნია მისი პირველი გამომცემლისათვის — ორტელიუსისთვის; ამის გამო რუკას სამეცნიერო ლიტერატურაში „პევტინგერის ტაბულის" ანუ „Tabula Peutingeriana"-ს სახელი დაუმკვიდრდა.

[3] Н. В. Пигулевская, Византия на путях в Индию, М.—Л., 1951, გვ. 102—104; Дж. О. Томпсон, История древней географии, пер. с английского, М., 1959, გვ. 518.



რუკა 1. Tabula Peutingoriana. XI სეგმენტი



რუკა 2. სომხეთისა და ქართლის დამაკავშირებელი გზები
Tabula Peutingeriana'-ს მიხედვით

ვაჭრო გზები, მათზე მდებარე პუნქტები, უმთავრესი მდინარეები; პირობითად აღნიშნულია ზღვები და მთები, დასახელებულია იმ ხალხთა და პროვინციათა სახელები, რომლებზედაც გზები გადიოდა. როგორც აღვნიშნეთ, პუნქტებს შორის მოცემულია მანძილები; რომაული ციფრებით აღნიშნულია რომაული მილების რაოდენობა (1 რომაული მილი = 1,4815 კმ); მხოლოდ სპარსეთის ტერიტორიაზე, ზოგ შემთხვევაში, მანძილი ფარასანგებით ითვლება (ერთი ფარასანგი = 4 რომ. მილს=5,926 კმ)[1].

აღსანიშნავია, რომ ქალაქები და პუნქტები რუკაზე სხვადასხვა ნიშნით გამოისახება მათი მნიშვნელობის შესაბამისად: მსოფლიოს სამი უმთავრესი ქალაქი — რომი, კონსტანტინოპოლი და ანტიოქია გამოხატულია რთული ვინიეტით[2]; რამდენიმე კოშკით ნაჩვენებია იმპერიის ექვსი ძირითადი სიმაგრე: აკვილეა, რავენა, თესალონიკი, ნიკომედია, ნიკეა და ანკირა; ორი დიდი კოშკით, რომელთა შორის კარიბჭეა, აღნიშნულია სახელმწიფოთა დედაქალაქები (მაგ., სპარსეთის დედაქალაქი ქტეზიფონი); ორი მცირე ზომის კოშკით ავტორი უჩვენებს ჩვეულებრივ ქალაქს, ხოლო უბრალო სადგურები სრულიად მოკლებულია გამოხატულებას, ისინი მხოლოდ გზის ტეხილებით აღინიშნება[3].

როგორც მკვლევართა მიერ არის გამორკვეული, რუკის ავტორი თავის ნამუშევარს უმთავრესად IV საუკუნეზე უფრო ადრეული წყაროების საფუძველზე აგებდა. ასე მაგალითად, პროვინციათა განსაზღვრისას რუკაზე ჩანს ავგუსტისა და ტრაიანეს დროინდელი მდგომარეობა (I—II სს. ახ. წ.)[4]. ავტორს ხელთ ჰქონია აგრეთვე ე. წ. აგრიპას რუკა, რომელიც ახ. წ. დასაწყისისთვის ყოფილა შედგენილი, და პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო"[5]. ამრიგად, კასტორიუსის რუკაზე აღბეჭდილი სურათი ზოგიერთ შემთხვევაში IV ს. ადრინდელ პერიოდს ეხება და ხანდახან I საუკუნესაც კი სწვდება. ეს დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს ამ რუკის შესწავლას. მეორე მხრივ, ავტორის მიერ სხვადასხვა დროისა და რიგის წყაროთა გამოყენებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ბევრ ადგილას რუკა ძალზე არეულია და მისი ჩონაცემების გარკვევა ძნელდება; უმეტეს წილად მცდარია აგრეთვე პუნქტებს შორის აღნიშნული მანძილები; ამიტომ რუკაზე ასახული გზების დადგენა ძირითადად იმ პუნქტთა ლოკალიზაციის მეშვეობით ხერხდება, რომლებიც ამ გზებზეა აღნიშნული და რომელთაც სხვა წყაროებიც ასახელებენ.

კასტორიუსის რუკის შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს უცნობი რავენელი ავტორის მიერ 650 წლის ახლო ხანებში შედგენილი „კოსმოგრაფია". რავენელი ანონიმი თითქმის მთლიანად იმეორებს Tabula Peutingeriana-ზე დასახელებულ პუნქტებს სავაჭრო გზების მიხედვით, თანაც ზოგან ასწორებს და ავსებს მას დამატებითი ცნობებით[1]. რამდენადაც Tabula Peutingeriana კასტორიუსის რუკის გვიანდელ, XII საუკუნის პირს წარმოადგენს, ხოლო რავენელ ავტორს უდავოდ ერთ-ერთი უძველესი ნუსხა ექნებოდა ხელთ, მის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულია ამიერკავკასიაზე და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ზოგიერთი სავაჭრო გზაც. ერთი გზა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიჰყვება და ნაპირის გასწვრივ შემოდის დასავლეთ საქართველოში; ამ გზით დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქები უკავშირდება რომის იმპერიის აზიურ პროვინციებს[2]. მეორე გზა ერთმანეთთან აკავშირებს ქ. დიოსკურიას (აწინდ. სოხუმი) და სომხეთის დედაქალაქს—არტაშატს, ხოლო მესამე გზა იმავე არტაშატიდან იწყება, რუკის მიხედვით აღმოსავლეთისაკენ მიდის, გაივლის მთელ რიგ პუნქტებს და კვლავ არტაშატში ბრუნდება[3]. ჩვენთვის ამჯერად სწორედ ეს მესამე გზა არის საინტერესო.

---

[1] Itineraria Romana, Römische Reisewege an der Hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von Konrad Miller, Stuttgart, 1916, s. XLVI (ქვევით ყველგან—It. R.).

[2] Н. В. Пигулевская, цит. соч., გვ. 102—103.

[3] იხ. K. Miller-ის Itineraria Romana-ში მოთავსებული რუკის რეპროდუქციები.

[4] It. R., XXXIV.

[5] Kubitschek, „Karten", RE, X Bd., S 2131.

[1] Ravenatis Anonymi Cosmographia et Guidonis geographica, ed. M. Pinder et G. Parthey, Berolini, 1860 (ქვევით ყველგან AR).

[2] Jt. R., 647—653.

[3] იქვე, გვ. 653—654; შდრ. Я. А. Манандян, О торговле и городах Армении..., Ереван, 1954, გვ. 153—159; С. Т. Еремян, Торговые пути Армении в эпоху Сасанидов, ВДИ, 1939, № 1, გვ. 90—97.

არტაშატიდან გამოსული ეს გზა აღმოსავლეთისაკენ მიემართება. უახლოესი სადგური სომხეთის დედაქალაქიდან 20 მილის დაშორებით არის ნაჩვენები და მას გელუინა (Geluina) ეწოდება; მისგან 24 მილის მანძილზე მდებარეობს ქალაქი სანორა (Sanora); აქ გზა ორად იყოფა ერთი შტო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიდის მდ. არაქსის (Arsen) გაყოლებით, გაივლის სადგურებს ბუსტიკას (Bustica), სატარას (Satara) და ქ. ლაზოს (Lazo); ამის შემდეგ გზა თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ, მერე კი დასავლეთისაკენ უხვევს და ბოლოს აღწევს უსახელო სადგურს, რომელიც რუკაზე აღნიშნულია ორი დიდი ზომის კოშკით, შუაში კარიბჭით, ე. ი. დედაქალაქის აღმნიშვნელი „ვინეტით". ლაზოსა და უსახელო ქალაქს შორის აღნიშნულია ექვსი სადგურის ადგილი (გზის ტეხილი), თუმცა სადგურთა სახელები არ წერია.

მეორე შტო სანორადან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიდის, გაივლის სადგურებს ლალა (Lalla), უგუბრე (Ugubre), ქალაქ ტელედას (Teleda), სადგურ ფილადოს (Philado) და იმავე უსახელო ქალაქთან უერთდება პირველ შტოს. ამრიგად იქმნება ერთგვარი შეკრული რკალი, რომელიც მთლიანად კასპიის ზღვის სამხრეთით არის ნაჩვენები. მდ. მტკვარი (Fl. Cyrus) ამ გზის ჩრდილოეთით მიმდინარეობს, ხოლო მდ. არაქსი კი სამხრეთიდან უვლის. ეს უკანასკნელი კასპიის ზღვას კი არ უერთდება, არამედ შორს, აღმოსავლეთისაკენ მიდის, გადასჭრის მთელ აზიას და ოკეანეში ჩადის. საკმარისია დავხედოთ რუკას და აშკარა გახდება რამდენად დამახინჯებულადაა საერთოდ აზია ასახული: ტავრის ქედი მთელ აზიას შუაზე გადაჰკვეთს, მდ. განგი მდ. ტიგროსს უერთდება, სამხრეთით სულ არ არის არაბეთის ნახევარკუნძული, ქალაქი არტაშატი აღნიშნულია Media Maior-ში და არა Armenia Maior-ში, ტავრის ქედის სამხრეთით ნაჩვენებია ქვეყანა Iberia და უფრო სამხრეთით კი Albania. ერთი სიტყვით, ამა თუ იმ პუნქტის ან გზის მონაკვეთის გეოგრაფიული გარკვევა ძალზე ძნელია.

კონრად მილერმა სცადა არტაშატიდან მიმავალი წრიული გზის დადგენა, მაგრამ თვითონვე აღნიშნა, რომ მისი ლოკალიზაცია ძალზე საეჭვოა. მილერი მიჰყვება რუკის ჩვენებას და მთელ ამ გზას კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით ეძებს[1].

სრულიად ახალი თვალსაზრისი ამ საკითხზე იოსებ მარკვარტმა წამოაყენა. მან შეადარა Tabula Peutingeriana'ს მონაცემები რავენელი ანონიმის ცნობებს და ამ გზით დაადგინა, რომ Tabula Peutingeriana'ს უსახელო დედაქალაქი შეეფარდება რავენელი ანონიმის Armastica'ს ე. ი. იბერიის, ანუ ქართლის დედაქალაქს არმაზციხეს[2]. ამდენად აშკარაა, რომ რავენელ ანონიმს ხელთ ჰქონდა კასტორიუსის რუკის ის პირი, რომელზედაც უსახელო დედაქალაქის სახელი აღნიშნული ყოფილა, ისევე როგორც ის სადგურებიც, რომლებიც Tabula Peutingeriana'ზე გამორჩენილია.

ი. მარკვარტმა თვით ამ გზის მიმართულების დადგენა და მასზე მდებარე პუნქტების განმარტებაც სცადა. უკანასკნელად ეს საკითხი დაწვრილებით განიხილა ს. ტ. ერემიანმა და სომხური, ქართული და სხვა წყაროების, აგრეთვე ადგილობრივი ტოპონიმიკის საფუძველზე დააზუსტა და გაასწორა მარკვარტის შეხედულებები.

ქ. სანორა, სადაც კასტორიუსის რუკის თანახმად, არტაშატიდან გამოსული გზა ორად იყოფა, უნდა ყოფილიყო აწინდელი ინჯევანი, რომელთანაც მდ. აღსტაფა გამოდის ვიწრობებიდან და მის გაყოლებით მიმავალი გზაც ორ შტოდ შეიძლებოდა გაყოფილიყო. ამავე დროს სწორედ ინჯევანის მახლობლად გადიოდა საზღვარი სომხეთსა და ალბანეთს შორის და სანორა საფიქრებელია „სინორას" დამახინჯებული ფორმა არის, რაც „საზღვრისპირას" ნიშნავს (ბერძნ. σύνορος— მოსაზღვრე)[3]. ინჯევანიდან ერთი შტო, ს. ტ. ერემიანის აზრით, აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა და შეეფერებოდა Tabula Peutingeriana'ს იმ გზას, რომელიც გუსტიკას, ლაზოსა და ხუთ უსახელო სადგურზე გაივლიდა. ამ გზის მიმართულებას ერემიანი შემდეგნაირად ადგენს: ინჯევანიდან გზა

[1] It. R., 655—656.

[2] Dr. Jos. Markwart, Skizzen zur historischen Jopographie und Geschichte von Kaukasus, Das Itinerär von Artaxata nach Armastica auf der Römischen Weltkarte, „Handes Amsonya", № 11—12, 1928, S. 1—66.

[3] С. Т. Еремян, Торговые пути Армении в эпоху Сасанидов, გვ. 84.

გაიელიდა ქ. ყაზახზე. შემდეგ თოუზზე, შამქორზე. ყიროვობადზე (განჯა), მტკვარს გადასჭრიდა მინგეჩაურის ფონთან, გაიელიდა ნუხაზე, ზაქათალაზე და სადღაც ახლომახლო გადავიდოდა ალაზანზე, რის მერეც საგარეჯოზე და უჯარმაზე გავლით მიაღწევდა მცხეთა-არმაზს (არმასტიკას)[1].

მართალია, ზოგიერთი პუნქტის დადგენა ამ გზაზე შესაძლოა დავას იწვევდეს და დაზუსტებას საჭიროებდეს, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ის არის საინტერესო, რომ არტაშატიდან მომავალი გზა ალბანეთზე გავლით აღმოსავლეთიდან შემოდიოდა იბერიაში და აღწევდა მცხეთას.

რაც შეეხება მეორე შტოს, იგი, როგორც ეს მეტად დამაჯერებლად აქვს გარკვეული ს. ტ. ერემიანს, ინჯევანიდან მიჰყვებოდა მდ. აღსტაფას, შემდეგ უხვევდა ოდნავ დასავლეთით და დაახლოებით სოფ. ყამარლოზე გაიელიდა, რომელიც მდ. ინჯას ნაპირას მდებარეობდა; ამ უკანასკნელის ძველი სახელი გუბი (ქართ. გობი) ს. ტ. ერემიანს Tabula Peutingeriana'ს უგუბრესთან აქვს დაკავშირებული (U-gub-re)[2]. შემდეგი დიდი სადგური ტელედა, პროფ. ერემიანს გაიგივებული აქვს ძველ ბოსტან-ქალაქთან, ანუ რუსთავთან[3]. ამ ვარაუდს ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ტელედა რუკაზე ქალაქის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით არის მოცემული (ორი კოშკი), ხოლო ქ. რუსთავის გარდა ამ რაიონში სხვა ძველი ქალაქი არ არსებობდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რუსთავის ჩრდილო-დასავლეთით სულ რამდენიმე კმ-ის მანძილზე მდებარეობს სოფ. თელეთი (თელეთები). ხომ არ არის ეს სახელწოდება კასტორიუსის „ტელედასთან" კავშირში?

ტელედას შემდეგ Tabula Peutingeriana'ზე აღნიშნულია სადგური ფილადო (Philado) და მერე უკვე არმასტიკა. რას უნდა უდრიდეს ფილადო? აშკარაა, რომ მტკვრის აყოლებით რუსთავიდან მცხეთა-არმაზში მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა თბილისზე გავლის გარეშე. ამიტომ ჩვენ სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია ს. ტ. ერემიანის ვარაუდი, რომ ფილადო თბილისის სახელის თავნაკლული ფორმაა და სწორი სახელწოდება უნდა ყოფილიყო Tphilado ან Tphilida[1]. რომ პირველი ასო ამ სახელში მართლაც „ტარი" უნდა ყოფილიყო, ამას რავენელი ანონიმიც ამტკიცებს, სადაც ფილადოს შესატყვისად მოხსენებულია Tilida[2].

ამრიგად, თვით გზის მიმართულებაც და სადგურ ფილადოს (AR—Tilida) სახელიც აშკარას ხდიან, რომ Tabula Peutingeriana'ზე აღნიშნულია თბილისი. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს თბილისის პირველ მოხსენიებასთან წყაროებში. კასტორიუსის რუკაზე თბილისის აღნიშვნა თავისთავად სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც, როგორც ვთქვით, IV საუკუნისათვის თბილისი საკმაოდ დაწინაურებული პუნქტი იყო. მისი ჩვენება Tabula Peutingeriana'ზე, რომელიც საგზაო რუკას წარმოადგენდა, იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ხაზს უსვამს თბილისის გარკვეულ მნიშვნელობას სწორედ სავაჭრო გზაზე.

აღნიშნულს უნდა ისიც დაემატოს, რომ არტაშატიდან გამოსული ამ წრიული გზის ის შტოც, რომელიც აღმოსავლეთიდან ალბანეთით შემოდიოდა იბერიაში, აგრეთვე მხოლოდ თბილისის გავლით მიაღწევდა მცხეთას, ე. ი. ფაქტიურად თბილისი იყო ის პუნქტი, სადაც ორივე აღნიშნული შტო ერთმანეთს ხვდებოდა. ამრიგად, თბილისი ერთგვარ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მცხეთის რაიონში მიმავალი გზებისათვის.

არმაზციხე-მცხეთის და არტაშატის შემაერთებელ გზებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთისა და ქართლის სავაჭრო ურთიერთობისათვის. ქ. არტაშატი განსაკუთრებულ ეკონომიურ აყვავებას სწორედ IV საუკუნეში აღწევს[3]. აღსანიშნავია, რომ არტაშატი წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრს, სადაც ოფიციალურად იყო ნებადართული იმპერიისა და სპარსელების ვაჭრობა[4].

„В торговле сухопутной товары Дальнего Востока, главным образом Китая, обычно привозилась в Арташат и Нисибин, откуда они доставлялись в византийские пределы"[5].

---

[1] С. Т. Еремян, цит. соч., გვ. 88—89.
[2] იქვე, გვ. 87—88.
[3] იქვე, გვ. 88.

[1] С. Т. Еремян, цит. соч., გვ. 87.
[2] AR, 61.
[3] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении..., გვ. 76.
[4] Codex Justinianus, IV, 63, 4.
[5] Н. В. Пигулевская, цит. соч., გვ. 192.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობაში არტაშატი ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა; შემდგომში ეს მნიშვნელობა არტაშატის გვერდით მდებარე ქ. დვინზე გადავიდა. ცხადია, საქართველოს კავშირი სომხეთის დედაქალაქთან არ შეიძლებოდა მხოლოდ შიდაკავკასიური, ე. ი. საქართველო-სომხეთის სავაჭრო ურთიერთობით შემოფარგლულიყო. უდავოა, რომ საქართველოში არტაშატის გზით შემოჰქონდათ საქონელი სხვა ქვეყნებიდან, როგორც აღმოსავლეთის (ჩინეთი, ინდოეთი), ისე დასავლეთის (ბიზანტია) მხრიდან და, პირიქით, არტაშატით გადიოდა აგრეთვე ქართული საქონელიც. უფრო გვიანდელი ხანისთვის, კერძოდ VI საუკუნისთვის, ჩვენ პროკოპი კესარიელის პირდაპირი მოწმობა გვაქვს: „დვინი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ჭარბად აქვს ყველაფერი... იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელთა ქვეშევრდომ ხალხების ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებმიცემობას აწარმოებენ“ [1]. იბერიის ხსენება უშუალოდ ინდოეთის შენდეგ და ის ფაქტი, რომ ინდოელებსა და იბერიელებს გარდა პროკოპის დვინში მოვაჭრე სხვა ხალხი დასახელებულიც კი არ ყავს, უდავოდ უნდა მიუთითებდეს იბერიული ვაჭრობის მაღალ ხვედრით წონაზე არტაშატ-დვინის ბაზარზე.

ამრიგად, არტაშატის მეშვეობით ქართლი ებმებოდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ცხადია, ასეთი გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის გზაჯვარედინზე მდებარეობა, რაც Tabula Peutingeriana'ს მონაცემებით მტკიცდება, დიდი მნიშვნელობის ფაქტორი უნდა ყოფილიყო თბილისის დაწინაურებისა და აღზევებისათვის. ის ფაქტი, რომ მცხეთა-არმაზის რაიონიდან, ე. ი. იბერიის (ქართლის) დედაქალაქიდან ვერც სამხრეთით და ვერც აღმოსავლეთით მიმავალი გზა თბილისს ვერ ასცდებოდა, თბილისის ეკონომიური განვითარებისათვის მეტად რეალურ პირობას წარმოადგენდა.

[1] გეორგიკა, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 99.



ძველი თბილისი. აბანოების რაიონი. 1828 წ.



ლეონ მელიქსეთ-ბეგი

ძალისი—თგილისი—ფაიტაკარანი

„უხსოვარია თბილისის
პირველი ქოხის დამდგმელი,
სად იყო კერა პირველი,
ვინ აგვიწეროს სათქმელი.
თბილისის ძველი წარსული
ვინ იცის მიდის სადამდე,
იგი ათასწლებს დაითვლის
თვით ვახტანგ გორგასალამდე".

(ირაკლი აბაშიძე).

ძველი სატრანზიტო გზა, რომელიც პირველ საუკუნეებში ჩვენს ერამდე და შემდეგ შავი ზღვის აუზს კასპიის ზღვის აუზთან აკავშირებდა და რომლის აღწერა მოცემულია სტრაბონის „გეოგრაფია"-ში (XI, 2—4)[1], როგორც ცნობილია, გადიოდა კოლხიდის ანუ დასავლეთ საქართველოს ნაკვეთში მდ. რიონ-ყვირილა-ძირულათი, ხოლო იბერიის (ქართლის) ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ნაკვეთში, ლიხის (სურამის) ქედის გადალახვით, მდ. მტკვრის ხეობით. მტკვრის ხეობაში დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარე სადგომთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანნი, უთუოდ, უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომლებიც მოქცეულნი იყვნენ მტკვართან მდ. ლიახვისა და მდ. არაგვის შესართავებთან, რომლის უტყუარი ნაშთები შეიმჩნევა ანტიკური ხანის ფენებში ძველი გორის-ციხისა და მცხეთა-არმაზის ნაგებობებში, აგრეთვე მათ შორის მდებარე ისეთ პუნქტებში, როგორიც იყვნენ უფლისციხე, კასპი, ციხედიდი, სარკინე და სხვ.

ახლა თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოვყვებით, ასეთ სადგურებად ამ სატრანზიტო გზაზე ჰერეთ-გარდაბანის ნაკვეთში უნდა ვიგულის-

[1] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 121—135.

ხმოთ მტკვრის-ციხე ანუ ხუნანი მტკვართან მდ. ქციის (ხრამის) შესართავთან და ბოსტანქალაქი (ვოსტან-ქალაქი) ანუ რუსთავი.

მცხეთა-არმაზსა და ბოსტანქალაქს ანუ რუსთავს შორის მოქცეული იყო სამეურნეო და სტრატეგიული თვალსაზრისით ყველაზე შესანიშნავი ადგილი—მერმინდელი თბილისის ტერიტორია, სადაც, ერთი მხრით, მდინარე მტკვარი ფართოდ იშლება ისე, როგორც არსად სხვაგან, და საკმაოდ დიდ ქვაბს წარმოადგენს, და, მეორე მხრით, იგივე მტკვარი ვიწრო ყელით მიიმართება აღმოსავლეთისაკენ, სადაც ადვილი იყო ხიდის გადება მდინარის ორივე ნაპირთა გასაერთიანებლად ისე, როგორც არსად სხვაგან.

ეს ტერიტორია შეუძლებელია რომ ძველი დროიდანვე დასახლებული არ ყოფილიყო ადამიანის მიერ და აქ დაბა-სოფელი არ ყოფილიყო გაშენებული. მრავალ მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, ყურადსაღებია თუნდაც ის გარემოება, რომ მდ. მტკვრის მთელს სიგრძეზე არსად მოიპოვება ხელსაყრელი პირობები ნავებით მიმოსვლისათვის და ტივებით ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვისათვის ისე, როგორც ამას ჰქმნიდა მხოლოდ-და-მხოლოდ უძველესი თბილისის ტერიტორია, სახელდობრ ყ. მადათოვის კუნძულისა თუ ნახევარკუნძულისა და ორთაჭალის არემარეში.

* * *

უძველესი თბილისის ტერიტორიაზე არაერთის, არამედ რამდენიმე დაბა-სოფლის არსებობა დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებისა და საერთოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ექსპონატების აღმოჩენის საფუძველზე[1].

თუ რა სახელწოდებით იყო ცნობილი ეს დაბა-სოფელი ან დაბა-სოფლები მე-5 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით, ამის უტყუარი საბუთი არ მოგვეპოვება. ოღონდ ვარაუდით შეიძლება დავუშვათ—ეგების აქ პტოლემეოსის „გეოგრაფია-"ში (V, 10)[1] ნახსენები „ზალისსა" ანუ, რაც იგივეა, „ძალისსა"=„ძალისი" ყოფილიყო გაშენებული.

ნ. ი. ლომოურის აზრით[2], პტოლემეოსის „ზალისსა" თითქოს უნდა იყოს მუხრანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელი „ძალისი", მაგრამ ასეთი შეხედულება მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ პტოლემეოსის „ზალისსა" ნაგულისხმევია იბერიის (ქართლის) სატახტო ქალაქ მესლეტა-მესტლეტასა (მცხეთისა) და არმაკტიკას (არმაზის) აღმოსავლეთით, ალბანიის საზღვარს ახლოს[3], მაშინ როდესაც მუხრანის ძალისი მცხეთის დასავლეთით მდებარეობს. გარდა ამისა, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მუხრანის ძალისი საკმაოდ დაშორებულია ძველ სატრანზიტო გზას, რომელიც მტკვრის ხეობით მიიმართებოდა ალბანიისაკენ.

აქ, რასაკვირველია, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ერთისა და იმავე სახელწოდებით გეოგრაფიული პუნქტები ცნობილია ერთსა და იმავე ქვეყანაშიც. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე შეინიშნება: მცხეთა ქართლში და ლეჩხუმში, ტბეთი სამხრეთ-ოსეთში და ტაოკლარჯეთში, წყნეთი (მწყნეთი) თბილისის ახლოს და ქვემო ქართლში (ბორჩალოში), ზარზმა მესხეთში და გურიაში, კაბენი კოჯორს ახლოს და ქსნის ხეობაში, რუსთავი ჰერეთში და მესხეთში, ახალდაბა წყნეთს ახლოს და ბორჯომის ხეობაში, ახალქალაქი და ახალციხე მესხეთ-ჯავახეთში და ქართლში, აწყური კახეთში და მესხეთში, არმაზი მცხეთის პირისპირ და ლეხურის ხეობაში, და მრავალი სხვა. გარდა ამისა ცნობილი არიან ახტალა კახეთში და სომხითში, ალავერდი კახეთში და იმავე სომხითში, აბარანი სომხეთში და ს. მარტყოფს ახლოს და სხვ.

---

[1] დ. ჭორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები". I და II, თბილისი, 1955 და 1958; შდრ. მისივე ბვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი თბილისიდან. „საქართველოს მუზეუმის მოამბე", XVII—B, 1953, გვ. 127—165; მისივე, ბვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), იქვე, ტ. XVIII—B, 1953, გვ. 5—89.

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიული პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 262.

[2] Н. Ю. Ломоури, Клавдий Птолемей и его известия о Грузии. Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1952, გვ. 16 („Название ... Дзалиси поныне сохранилось без изменения в виде наименования селения Дзалиси, расположенного в Мухранской долине").

[3] ა. ვ. მიშულინის თქმით, „этот ближе не известный пункт локализуется на границе Иберии и Албании" („Вестник древней истории", 1948, № 2, გვ. 252, შენ. 8).

რომ სამეურნეო-საქმიანობა უძველესი თბილისის ტერიტორიაზე კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო სწორედ ყ. მადათოვის კუნძულის თუ ნახევარკუნძულის რაიონში და მის მახლობლად მდ. მტკვრის ნაპირას, ჩანს იქიდანაც, რომ სწორედ აქ იყო თავმოყრილი ძველი დროიდან წისქვილები, რომელთა აღწერა მოცემულია არაბ გეოგრაფთა თხზულებებში.

აქვე, ტყით დაფარულ კუნძულსა თუ ნახევარკუნძულთან, ძველი დროიდანვე თავს იყრიდნენ ნაოსნები და მეტივენი, პირველ ყოვლისა, ხე-ტყის გადმოსაზიდავად დასავლეთის მხრიდან და ამ ხე-ტყის მოსახმარებლად სხვადასხვა საჭიროებისათვის, აგრეთვე მარცვლეულობის მისაწვდომად წისქვილებისათვის, დაბოლოს ხორბლეულის წისქვილებიდან გადმოსაზიდავად მდინარის ნაპირზე მომხმარებელთათვის მისაწვდომად.

ამიტომაც სავსებით გასაგებია ზოგიერთ მკვლევართა ცდები, რათა ძველი თბილისის ესა-თუ-ის სახელწოდება, რომლითაც იგი ცნობილი იყო მეზობელ ხალხთა ენაზე (ამის შესახებ იხ. ქვევით), განმარტონ როგორც ხე-ტყით მდიდარი ქალაქი[1], ხოლო ჩვენი აზრით—ხე-ტყის სადგური (სომხურად *Փայտակայան* ფაჲტაკაჲან, შემდეგში *Փայտակարան* ფაჲტაკარან).

ესევე ადგილი, კუნძული თუ ნახევარკუნძული, ძველი დროიდან გამოყენებული იყო სასეირნო საუკეთესო ადგილად.

ასეთ პირობებში სავსებით გასაგებია, თუ რატომ ხალხური ეტიმოლოგიით, „ზალისსა“ = „ძალისი“ გადაიქცა, ერთი მხრივ, „ძელისა“-დ (შდრ. დ ე ლ ი ს ი[2], გუდ ე ლ ი ს ი, ლ ი ს ი—თბილისის მახლობლად მდებარე ადგილებში) და, მეორე მხრივ, „ზარისა-“დ.

[1] Краткий исторический очерк города Тифлиса, Тифлис, 1880, გვ. 1—2; შდრ. С. К а к а б а д з е, К истории названия города Тифлиса, «ისტორია კრებული», II. თბილისი, 1928, გვ. 65—66.

[2] С. Е р е м я н, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, „Вестник древней истории“, 1939, № 1, გვ. 87 (ს. ერემიანის აზრით, სადგური *Zelota „следует искать в районе Веры и Делиси, в пределах нынешнего Тбилиси, а ее укрепление — на берегу реки Куры, у места слияния с нею речки Веры, там где Вахушти помещает Лурджи-монастери“. მაგრამ ს. ერემიანის საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მდ. ვერა მტკვარს ერთვის ლურჯი-მონასტრის ოტანი ზევით).

ინტერეს მოკლებული არაა ის ფაქტიც, რომ უძველესი თბილისის არქიტექტურული ძეგლები სწორედ რომ ყ. მადათოვის კუნძულის თუ ნახევარკუნძულის მახლობლად იყვნენ აგებულნი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ვგულისხმობთ, ჯერ ერთი, ყ. ვანქის ტაძრის (მე-14 ს. პირველ ნახევარში აგებულის) აღმოსავლეთით ოდესღაც მდებარე ძველის-ძველ ტეტრაკონქს[1], და, მეორე, ეკლესიას სახელწოდებით „ზარისა“-ს[2], შემდეგში ანჩის-ხატად გარდაქმეულს, რომელიც სიონზე ადრე იყო აგებული, მე-6 საუკუნეში[3].

რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ, რომ „ზარისა“ გაარბენებული ფორმაც უნდა იყოს სიტყვიდან „ზალისსა“, ისევე, როგორც, მაგალითად, „ყველის ციხე“ (= ბერძნ. ტიუროკასტრონ) <ყველის ციხე, „ვარდციხე“ (=ბერძნ. როდოპოლის) < ვარციხე, „ცხენის წყალი“ (=ბერძნ. ჰიპპოს) < ცენის წყალი, „შეინდისი“ <შინდისი და სხვ.

* * *

თბილისის ტერიტორია და მისი არემარე ძველი დროიდან განთქმული იყო როგორც საუცხოო სანადირო ადგილი.

ლეონტი მროველის გადმოცემით, ფარნავაზ მეფე (მე-3 თუ 1 ს. ჩვენს ერამდე) განვიდა და ნადირობდა მარტო და „დეენა უყო ირემთა ველსა დიღომისსა, და ივლტოდეს ირემნი ღრიღალთა შინა ტფილისისათა“, სადაც „კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვთა ძუელად და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას“, და სხვ.[4].

[1] Դ ի ա ա Ա ղ ա ն ա ն ա. ք. Վրաստանի հայերը. «Տարազ», 1919 թ. № 1—12, გვ.45; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, „თსუ მოამბე“, ტ. IV, 1924, გვ. 84; M. B r o s s e t, Voyage, rapp V, 17

[2] მღვდ. პ. კ ა რ ბ ე ლ ო ვ ი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში, ტფილისი, 1902, გვ. 4; იგივე რუსულად: свящ. П. К а р б е л о в, Древний Анчисхатский собор в г. Тифлисе, Тифлис, 1899. გვ. 5.

[3] Д. М. М ш в е н и е р а д з е, Некоторые вопросы строительного искусства в древней Грузии, I, Тбилиси, 1949, გვ. 54—56; е г о ж е, Лёссы Грузии, Генезис, современное и древнее строительство, Тбилиси, 1950, გვ. 136—138.

[4] ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 21—22; ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბილისი, 1942, გვ. 15.

ცნობილი ლეგენდის თანახმად, ქალაქი თბილისი დაარსებულია ვახტანგ გორგასალის ნადირობის პროცესში გოგირდის თბილი წყლების აღმოჩენის შედეგად, რის გამოც ქალაქს „თბილისი“ ეწოდაო (ამ ლეგენდის საუკეთესო დამუშავება ლექსად მოცემულია პოეტ ირაკლი აბაშიძის მიერ [1]).

უდაოა, რომ ქალაქის სახელწოდება წარმოდგა თბილი წყლების აღმოჩენის ამბავთან დაკავშირებით, რომლის ანალოგიები სხვაგანაც გვაქვს, სახელდობრ: წყალტუბო, Tiblis (ძველ ნუმიდიაში), Toepliz (ბოჰემიაში), Горячеводск, Серноводск, Железноводск (ჩრდ. კავკასიაში), *Ջերմուկ* (სომხეთში) და სხვ.; თუმცა გამორიცხული არაა ისიც, რომ თბილისის სახელწოდებას, ამავე დროს, კავშირი ჰქონდეს ქართველ ხალხის შემადგენლობაში შემავალ „თუბალ“-„თობელ“ ტომების სახელთან, რომლებიც იბერთა წინაპრებად ითვლებიან [2].

ქალაქ თბილისის გოგირდის წყლის აბაზანებთან დაარსება იმასაც ნიშნავს, რომ უძველესი თბილისის ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სამეურნეო ბაზა ე. წ. „დაბახანისა“ და მეტყაველობის სახით, რომლის წარმოებასა და განვითარებას, უთუოდ, ხელს უწყობდა ახლადგაყვანილი ხიდი აწინდელი მეტეხის (ავლაბრის) ხიდის ადგილზე, რამდენადაც ეს ხიდი, მცხეთის ე. წ. „მოგვთა“ (პომპეუსის) ხიდის შემდეგ, ერთადერთი იყო მდ. მტკვრით საქონლის გადაყვანა-გადმოსაყვანად კახეთიდან თრიალეთ-წალკის საძოვრებზე [3]; დაბახანაშივე წარმოებდა საქონლის ტყავის გაწმენდა-დამუშავება, შეღებვა და ამგვარი პროცესი, რომლითაც არ შეიძლება რომ დაინტერესებული არ ყოფილიყვნენ, სხვათა შორის, ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში მოხსენებულნი მცხეთელი „მეჯადაგენი და მეჯამლენი“ [4].

[1] ირაკლი აბაშიძე, რას გადაურჩა თბილისი, თბილისი, 1950, გვ. 10—11.

[2] Л. Меликсет-Бек, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, «Тифлис и его окрестности, „Путеводитель», Тифлис, 1925, გვ. 4—7.

[3] Н. П. Бадриашвили, Тифлис, I, Тифлис, 1934, გვ. 11—12.

[4] მ. სანინინი, საქართველოს სამოთხე, თბილისი, 1982, გვ. 313; ს. კაკაბაძე, „საისტორიო კრებული“, III, თბილისი, 1928, გვ. 80; ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. I, თბილისი, 1945, გვ. 45.

ლეონტი მროველი თბილისის აგებას, როგორც ციხე-სიმაგრისას, უკავშირებს სასანიანთა სპარსეთის ექსპანსიას ქართლში.

იგი წერს: „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეერბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა... და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოვრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად. მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვდობა,... მისცა რანი და მოვაკანი და განუკუეთა ხარკი, ხოლო ერისთავმან მისცა ციხე ტფილისისა და წარვიდა“ [1].

ამავე ამბის შესახებ „ქართლის მოქცევა“ მოკლედ და მკაფიოდ მოგვითხრობს: „მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად-ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შქდგა, და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“ [2].

მაგრამ ლეონტი მროველის ცნობა, რომ სპარსთა ერისთავმა „აღაშენა... ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“ გაუგებარია, ამიტომაც გადამახინჯებულ მომდევნო საუკუნეთა ქართველ ისტორიკოსთა მიერ, კერძოდ ვახუშტითაც, რომლის „გეოგრაფია“-ში იგივე ამბავი გადმოცემულია შემდეგნაირად: „კუ მეფის ვარზა-ბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის-ციხე მცხეთისათჳს ერისთავმან სპარსთამან“ [3].

ამისდა მიხედვით ლეონტი მროველის სიტყვებიც საერთოდ ისე ესმით, თითქოს ის გადმოგვცემდეს, რომ სპარსთა ერისთავს აეშენებინოს „ტფილისის კართა შურის-ციხე მცხეთისად“, მაშინ, როდესაც დედაზრი ზემომოყვანილი ცი-

[1] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 136—ქ. ც., ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 86 (ხაზგასმა ციტატაში ყველგან ჩვენია. ლ. მ.-ბ.).

[2] Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис, 1906—1912, გვ. 720.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 52.



შოთა რუსთაველის ძეგლი

ტატისა ისაა, რომ სპარსთა ერისთავმა „ააშენა ტფილისი, კართა შორის (ე. ი. კავკასიანთა, ანუ დარიალის და კასპიის კართა შორის), ციხედ მცხეთისად“ [1].

მოკლედ რომ ვთქვათ, ლეონტი მროველის თბზულების დედანში სიტყვათა კომპლექსი, რომელიც ქარაგმის ქეშ იქნებოდა მოქცეული ანდა ასომთავრულით დაწერილი, უნდა ყოფილიყო Ш'რის, ანდა ШԱՀԻՆ, რომელიც შემდეგში შეცდომით ამოკითხულ იქნა როგორც „შურის“ (ШՈՒՀԻՆ) [2].

ამრიგად, თბილისის ძველი ციხე-სიმაგრის „შურის-ციხედ“ წოდება უმართებულოა და კატეგორიულად უნდა უკუგდებულ იქნას.

ქალაქ თბილისის დაარსება ჯუანშერ ჯუანშერიანით ვახტანგ გორგასალს მიეწერება, მაგრამ ეს ცნობა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ცოტა არ იყოს ეწინააღმდეგება უძველეს ქართული მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობას, რომლისდა მიხედვითაც... თბილისი ვახტანგამდე უკვე ქალაქად ყოფილა“ [3]. მაგრამ „იქნებ ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი,—განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი,—იმ მხრივ იყოს მართალი, რომ მეფე ვახტანგს განზრახვა ჰქონოდეს ქ. თბილისი „სამეფო ქალაქად“ ანუ სატახტო ქალაქად ექცია და ეს მისი სურვილი მის მემკვიდრეს განეხორციელებინოს“ [4].

მიუხედავად ასეთი დასკვნისა, ე. ი. რომ ახალი ქალაქი თბილი გოგირდის წყლების რაიონში დაარსებული უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასალამდე, ე. ი. ვარაზ-ბაქარის მეფობაში მე-4 საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, იბადება საკითხი: როგორი იყო ამ ქალაქის ციხე-სიმაგრის ნამდვილი სახელწოდება და საერთოდ როგორი იყო მის ტერიტორიაში შემავალი ნაწილების ტოპონიმიკა?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან „ქართლის მოქცევა“, ლეონტი მროველი, ჯუანშერ ჯუანშერიანი, სუმბატ დავითის-ძე, განსაკუთრებით კი იოანე საბანის-ძე თავის „აბო ტფილელის მარტვილობა“-ში.

მას შემდეგ, რაც „დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“,— წერს „ქართლის მოქცევის“ ავტორი,— „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა“ (შენდებოდა)-ო [1]. ასევე „კალა“, „ციხე კალისასა“, „ველი კალაისასა“, „კალა და ციხე იგი ტფილისისა“ მოხსენებულია ჯუანშერისა და სუმბატის მიერ ერეკლე კეისრისა და ჯიბღუ-ხაკანის მე-7 ს. დასაწყისში თბილისზე თავდასხმის აღწერაში [2].

აქედან ნათლად ჩანს, რომ თბილისის ციხე-სიმაგრეს ეწოდებოდა „კალა“ ანუ, რაც იგივეა, „ყალა“ (აქედანაა შემდგომში წარმოებული „ნარიყალა“), რომელსაც ს. კაკაბაძე უკავშირებს პტოლემეისებურ „ზალისსა“-ს [3].

აბო თბილელის „მარტვილობა“-ში აღნიშნულია, რომ აბოს „მოჰკუეთეს თავი... კართა ზედა... წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმეოცთა დაფუძნებულ იყო“, რის შემდეგ „გამოიღეს... გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“, და „დაწუნეს ჴორცნი იგი მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდᲘ, კლდᲘ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰელის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“ [4].

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ორმეოცთა სახელობის ეკლესიის, ისე საგოდებელისა და სადილეგოს ადგილმდებარეობა ნაგულისხმევია გოგირდის წყლების არემარეში, მეტეხის (ავლაბრის) ხიდის გაღმა-გამოღმა [5].

---

[1] Л. Меликсет-Бек, დასახ. შრომა, გვ. 8—10; შდრ. С. Какабадзе, დასახ. შრომა, გვ. 61.

[2] Л. Меликсет-Бек, დასახ. შრომა, გვ. 10.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 279.

[4] იქვე.

[1] Е. Такайшвили, დასახ. შრომა, 724; შდრ. ქ. ც., I, 223, 373.

[2] ქ. ც., I, 181, 223, 224, 225, 373, 374, 375; იგივე, ანასეული ნუსხა, 122, 145, 146.

[3] С. Какабадзе, დასახ. შრომა, 65.

[4] მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. 346 = პ. კარბელოვი, წმიდა მოწამე აბო ტფილელი, თბილისი, 1899, გვ. 31 = კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1935, გვ. 74—75 = ს. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 67—68.

[5] Л. Меликсет-Бек, Тифлис, его основание, გვ. 17—18; его же—О международной ярмарке в Тифлисе в 1197 г. по поводу Кривой пасхи (Вокруг старого Тифлиса), „Известия Кавк. Ист.-Археол. Института“, III, Тифлис, 1925, გვ. 55—58; ქ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 29—30.

ქართულს მწერლობაში თბილისი პირველად მოხსენებულია ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში (VI ს.), ხოლო შემდეგ აბო თბილელის მარტვილობაში (VIII ს.), კოსტანტი კაპის მარტვილობაში (IX ს.), „ქართლის მოქცევა"-ში (IXს.), გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (X ს.) და ასე შემდეგ.

ბერძნულ-ბიზანტიურ მწერლობაში თბილისს პირველად იხსენიებს Τίφλις-ის სახით თეოფანე (VI ს.)[1].

არაბ ისტორიკოს-გეოგრაფთაგან აღსანიშნავი არიან ალ-ისთახრი და იბნ-ხაუკალი, ორივენი X ს., რომლებიც იხსენიებენ გოგირდის აბანოებს, ხოლო უკანასკნელი აგრეთვე მცურავ წისქვილებს მდინარეზე, სადაც ჰფქვავდნენ ხორბალსა და პურის მარცვლეულთ[2].

შედარებით უფრო ხშირად თბილისი *Տփղիս*-ად მოხსენებულია სომხურ მწერლობაში მე-6 საუკუნიდან მოყოლებული, სახელდობრ შემდეგ თხზულებებში: კრებული „ეპოსტოლეთა წიგნი" (VI ს.), ანანია შირაკელი (VII ს.), სებეოსი (VII ს.), მოსე კალანკატუელი (VII ს.), მოსე დასხურანელი (X ს.), უხტანეს ურჰაელი ანუ ედესელი (X ს.), თომა არწრუნი (X ს.), იოანე დრასხანაკერტელი (X ს.), სტეფანე ტარონელი-ასოღიკი (X—XI სს.), ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნი (XI ს.) და სხვ.[3].

* * *

სომხური საისტორიო მწერლობის მონაცემებით, კერძოდ ანანია შირაკელის (VII ს.) „გეოგრაფიის" ჩვენებით, რომელიც ერთხანს მოსე ხორენელს მიეწერებოდა[1], ქალაქ თბილისს ეკვროდა პარუარის თემი, ხოლო „პარუარის სანახები, — ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, — ქ. თბილისის აღმოსავლეთით მდებარე თემი უნდა ყოფილიყო"; ამავე დროს „ტფილისი თავის სანახებითურთ და პარუარის სანახებიც იბერიის უცილობელი სამფლობელო ყოფილა"-ო[2]. ს. კაკაბაძის აზრით[3], „პარუარ"-თან შეიძლება კავშირი ჰქონდეს „სა-ბარ-ათ-იანო"-ს.

საერთოდ კი მე-9 საუკუნიდან მოყოლებული თბილისი სომხურს საისტორიო მწერლობაში იხსენიება „ფაჲტაკარან"-ის სახელწოდებით.

ასე, მაგალითად, მარტიროლოგიურს თხზულებაში სათაურით „წამებაჲ წმიდათა მღვდელ-მოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკსსი, ორთანსსი, ოსიკისი, გრიგორისი, დანიელისი", რომელიც თარგმნილია უშუალოდ სომხურიდან ტაო-კლარჯეთის ქართული სამეცნიერო-სალიტერატურო სკოლის უცნობი წარმომადგენლის მიერ IX—X სს., სომხური დედნის „ფაჲტაკარან" განმარტებულია: „რომელ არს ტფილისი"[4].

თომა არწრუნი (X ს.) თავის „არწრუნიანთა სახლის ისტორია"-ში (თავი III, 9), ლაპარაკობს რა ბულა-თურქის 853 წ. ლაშქრობაზე ამიერკავკასიაში, აღნიშნავს, რომ ბულამ „უბრძანა [თავის ჯარს] მიაღწიოს ქალაქს, რომელსაც ტფლიქ უხმობდნენ, ხოლო წინათ ფაჲტაკარანს უწოდებდნენ"-ო (*իվերայ քաղաքին Տփղիք կոչեցեալ, յորում յառաջագոյն Փայտակարան անուանէին*); შემდეგ მითითებული აქვს იმაზე, რომ „კედარისაგან იყო აშენებული ქალაქი მათი (ე. ი. ქართველთა), ზღუდენი, სიმაგრე, პალატნი მათი და

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", IV, თბილისი, 1928, გვ. 283—284.

[2] Н. Карауловъ, Свѣдѣнія арабскихъ писателей о Кавказѣ, Арменіи и Азербайджанѣ, „Сборникъ матеріаловъ... Кавказа", вып. XXIX, Тифлисъ, 1901, გვ. 11—15; იგივე, вып. XXXVIII, 1908, გვ. 88—89; Ш. Полиевктовъ и Г. Натадзе, Старый Тифлисъ въ извѣстіяхъ современниковъ, Тифлисъ, 1928, გვ. 1. შდრ. ისთახრი, ჰოდუდ-ალ-ალემი, ჰამდალლაჰ-ყაზვინი, თარგმანი... ვ. ფუთურიძისა, თბილისი, 1937, გვ. 4.

[3] ლ. ზელიკეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, I, თბილისი, 1949, გვ. 217 (221) და შემდეგ; შდრ. Л. Меликсет-Бекъ, Тифлисъ, его основаніе, გვ. 18.

[1] A. Soukry, Géographie de Moïse de Corène d'après Ptolémée, Venise, 1881, გვ. 28 (სომხური), 38 (ფრანგული); *Ա. Աբրահամյան, Անանիա Շիրակացու մատենագրությունը, Երևան, 1944, გვ. 348.*

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1950, გვ. 29.

[3] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე", 1924, № 1, გვ. 40—42.

[4] А. Хаханов, Матеріалы по грузинской агіологіи по рукопісям X вѣка, Москва, 1910, გვ. 58; ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, I, თბილისი, 1935, გვ. 29; ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში, თბილისი, 1944, გვ. 65.

ქალაქის მოსახლეთა ყველა სახლი და ყველა მორთულობა და მოწყობილობა მათი“ [1].

ასევე ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი (XI ს.) თავის „ისტორია“-ში (თავი 78), ლაპარაკობს რა X ს. დამდეგის ამბებზე, აღნიშნავს, რომ სუმბატ აშოტის-ძემ, ე. ი. სუმბატ აღმსარებელმა, ბაგრატუნიმ (890—914), „დაიპყრო ფაჲტაკარანი, რომელ არს ტფილისი“ (*զՓայտակարան, որ է Տփղիս*)[2].

პოეტი-კოსმოლოგი იოანე ერზინკაელი (XIII ს.) თვისი შესანიშნავი თხზულების „ზეციერ სხეულთა მიმოქცევისათვის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ეს თხზულება ქადაგების სახით წარმოუთქვამს „წელსა 733 [=1284]“, როდესაც „მას მოუხდა მისვლად ღვთის მფარველობის ქვეშე მყოფ სამეფოს ქართლის ქვეყნად სახელგანთქმულსა და დიდს დედაქალაქ თბილისს, რომელსაც ისტორიკოსთა წიგნებში ფაჲტაკარანი ეწოდება“-ო (*ի մայրաքաղաքն ի Տփխիս, Փայտակարան կոչեցեալ ի գիրս պատմողաց*)[3].

სახელგანთქმული სომეხი მეცნიერისა და მწერლის გრიგოლ ტათეველის სიკვდილისა და საქართველოს მოოხრების გამო 1411 წ. მატთეოს (მათე) ვარდაპეტს წარმოუთქვამს სიტყვა, რომლის სათაურშიც მოხსენებულია ფაჲტაკარანი თბილისის გაგებით: „მატთეოს ვარდაპეტის ჰომილია გოდებით თქმული სამგლოვიაროდ ნეტარი მოძღვრის გრიგორის დაკრძალვაზე; აქვე მოხსენებულია გოდება სატირალი მოოხრებისა, რომელიც მოხდა საქართველოს ქალაქ ფაჲტაკარანში“ (*որ ի Վրացստուն, ի Փայտակարան քաղաքի*)“ [4].

ჰოვანეს (იოანე) წარელი (XVI ს. მიწურულში) თავის „ალვანიის ისტორია“-ში, მოგვითხრობს რა ლალა-ფაშას სარდლობით თურქების 1575 წ. ლაშქრობებზე, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ის დაიძრა ქართლზე და მიაღწია ქალაქ ფაჲტაკარანს, რომელიც არს თბილისი (*ի Փայտակարան քաղաք, որ է Տփղիս*), და ააგო იქ ციხე და გააშაგრა იგი“ [1].

ასევე უსახელო ქამთააღმწერელი (XVII ს. დასაწყისი), ლაპარაკობს რა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობაზე ქართლზე, აღნიშნავს, რომ „სპარსთა მეფე... შევიდა ქართლში და აიღო ქალაქი ფაჲტაკარანი, რომელ არს თბილისი“ (*էառ զՓայտակարան քաղաք, որ է Տփղիս*)[2].

აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ. 11 სექტემბერს ქ. თბილისის მოოხრების აღმწერელი სომეხი ისტორიკოსებიც თბილისს თითქმის ერთხმად ფაჲტაკარანს უწოდებენ.

ასე, მაგალითად, სერობ (სერაბინ) მწერლის თხზულება ამ თემაზე, დაწერილი 1795 წ. მიწურულს, შემდეგ სათაურს ატარებს: „მოკლე ისტორია მოოხრებისა დედაქალაქ ფაჲტაკარანისა (*Փայտակարան մայրաքաղաքին*) აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ. 11 სექტემბერს“ [3].

უსათაურო „გოდება“-ს, შეთხზულს უსახელო პოეტის მიერ 1796 წ. 26 მარტს, დართული აქვს მინაწერი ასეთი შინაარსისა: „დაიწერა ვინმე გამოუსადეგარი და ყარიბი ახალგაზრდის მიერ 1796 წ. 26 მარტს აოხრებულ ფაჲტაკარანში (*յամայի Փայտակարան*)“ [4].

ასევე მეორე უსახელო ავტორი 1795 წ. 11 სექტემბრის მოოხრების ისტორიას, რომელიც ერცლად დაუწერია 1796 წ. იანვარში, ხოლო შემდეგ შეუმოკლებიათ „დასავლეთში—კონსტანტინეპოლში“ 1796 წ. ივნისში, ამთავრებს შენიშვნით, რომ თხზულება „დაიწერა ტფილისს—ფაჲტაკარანს“ (*ի Տփղիս Փայտակարանի*)[5].

---

[1] *Թովմայի վարդապետի Արծրունւոյ Պատմութիւն տանն Արծրունեաց, ի լոյս ետած Գ. Պ[ատկանեան], ՍՊԲ. 1887, էջ 173 — նույնը, Թիֆլիս, 1917, §ց. 283 — 284.*

[2] *Պատմութիւն Շապհոյ Բագրատունւոյ, ի լոյս ածին Գ. Տէր-Մկրտչեան և Մեսրոպ Եպիսկոպոս, էջմիածին, 1921, էջ 65.*

[3] *Վիպասանութիւն զերկնային մարմնոց շարժմանէ ելն, Նոր Նախիջևան, 1792, էջ Թ։* Ш. Орбели, Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе, „Христианский Восток“, т. IV, 1922, §ց. 197; Л. Меликсет-Бек, О междоусобице в Тифлисе в 1197 г. по поводу Кривой пасхи, §ց. 59.

[4] *Լ. Խաչիկյան. ԺԷ դարի հայերեն ձեռագրերի հիշատակարաններ. մասն առաջին (1401 — 1450 թթ.), Երևան, 1954, §ց. 607.*

---

[1] *Պատմութիւն Աղուանից աշխարհին արարեալ Մարեգնի Եպիսկոպոսին (Պատմութիւն Առաքել վարդապետի Դաւրիժեցւոյ, ք տպ. Վաղարշապատ, 1896, §ց. 607).*

[2] *Վ. Ա. Հակոբյան. Մանր ժամանակագրություններ XIII—XVIII դդ., հատոր I, Երևան, 1951, §ց. 187.*

[3] *Գիւտ ա. ք. Աղանեան. Դիւան հայոց պատմութեան. X. Մանր մատենագիրք ժե—ժթ դար, Թիֆլիս, 1912, §ց. 353—354.*

[4] *Նույնը, 375—376.*

[5] *Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Անանուն հայ պատմչի նորագյուտ երկը Թբիլիսի 1795 թ. ավերման մասին. «Տեղեկագիր ՍՍՌՄ Գիտությունների Ակադեմիայի Ֆիլիալի», 1941 թ. №_3-4, §ց. 52.*

თბილისს—ფაჲტაკარანს იხსენიებს აგრეთვე ხ. აბოვიანი 1830-ან წლებში (თხზულებათა სრული კრებული, VIII, 96).

იბადება საკითხი: რა ედო საფუძვლად ტრადიციას, რომლის თანახმადაც სომხურს მწერლობაში ქალაქ თბილისს ფაჲტაკარანი ეწოდა?

ამ საკითხზე არსებულს სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ერთადერთი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთსულოვანი განმარტება, რომ „ფაჲტაკარან", ვითარცა შემცველი სომხური სიტყვის *փայտ* ფაჲტ ხე-ტყის მნიშვნელობით, ხე-ტყით გაშენებულ ქალაქს ნიშნავსო.

ს. კაკაბაძით „Тифлис когда-то назывался просто деревянным городом", რამდენადაც „*փայտակար*—куча дерева, сухого леса"[1].

ნ. მარით, „в армянском названии области Тифлиса, самого Тифлиса փայտ+а-каган наличие слова փայտ 'дерево' не случайность, а свидетельство о тотеме 'дерево'"[2].

მართალია, თბილისი ძველად ტყით ყოფილა გარშემორტყმული, რომლის ნაშთებზე მიგვითითებდნენ როგორც ძველი მაცხოვრები[3], ისე ბოტანიკოს დენდროლოგებიც[4], მაგრამ ვფიქრობთ, რომ „ფაჲტაკარან"-ად დარქმევის მიზეზი შეიძლება სხვა გარემოსა და პირობებში ვეძიოთ.

* * *

სომხური საისტორიო გეოგრაფიით, ფაჲტაკარანი ერთ-ერთი იმ 15 ოლქთაგანია, რომელთაგან შედგებოდა ე. წ. „დიდი სომხეთი". როგორც სხვა ოლქები, ეს ოლქიც კანტონებად ანუ მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი, რომელთა შორის იხსენიება „ჰრაქოტპეროტ", „სპანდარანპეროტ" და „ორმიზდპეროტ"[5] (შდრ. წმ. ნინოს ცხოვრების „პეროტავრა სიონელი). ამ ფაჲტაკარანს სომეხი ისტორიკოსი აგათანგელოსი (V ს.) იხსენიებს შემდეგ კონტექსტში: წმ. გრიგოლ განმანათლებელმა გაავრცელა ქრისტეს მოძღვრება „სატალღლთა ქალაქიდან მოყოლებული ხალტების ქვეყნამდე, კლარჯეთამდე, მასქთა უკიდურეს საზღვრამდე, ალანთა კარამდე, კასპიის საზღვრამდე, სომეხთა სამეფოს ქალაქ ფაჲტაკარანამდე" (*ի Փայտակարան քաղաք արքայութեան հայոց*)[1].

სომხეთის ქალაქად არის ნაგულისხმევი ფაჲტაკარანი აგრეთვე ლაზარე ფარპელის (V ს.) „სომხეთის ისტორია"-ში (თავი 33), ეღიშეს (V ს.) „ვარდანელთა ისტორია"-ში (III, IV), მოსე ხორენელის (VI ს.) „სომხეთის ისტორია"-ში (III, 3, 6), სებეოსის (VII ს.) „ისტორია"-ში (თავი 5, 6, 36), მოსე კალანკატუელის „აღვანთა ისტორია"-ში (I, 12), ზენობ გლაკისა და იოანე მამიკონიანის (V—VIII სს.) „ტარონის ისტორია"-ში, ღევონდის (VIII ს.) „ისტორია"-ში (თავი 18), იოანე დრასხანაკერტელის (X ს.) „ისტორია"-ში, სტეფანე ტარონელის ასოღიკად წოდებულის (X—XI სს.) „მსოფლიო ისტორია"-ში (II, 2, 3), მათე ურჰაელის ანუ ადესელის (XII ს.) „ეამთააღმწერლობა"-ში, ვარდან აღმოსავლელის (XIII ს.) „ისტორია"-ში და მრავალ სხვაგან.

ამ ქალაქის ადგილმდებარეობა ნიშანდობლივ გამორკვეული არაა, მაგრამ უდავოა ის, რომ მისი ლოკალიზაცია მხოლოდ-და-მხოლოდ ე. წ. მილის ანუ ყარაბაღის ველის საზღვრებში უნდა მოხდეს.

ახლა ამ საკითხზე მოვუსმინოთ ა. ა. იესენს[2]:

„Из поселений городского типа, расположенных в Мильской степи, армянские письменные источники упоминают г. Пайтакаран в связи с событиями начала IV в. н. э. и более поздними...

„Вместе с тем, в связи с проблемой Пайтакарана, исключительный интерес представляет комплекс памятников у с. Тазакенд (бывший VII совхоз), расположенного в 7—8 клм. к юго-востоку от Оренкала. Здесь имеется небольшое прямоугольное городище, на котором найдены 3 каменные базы от деревянных колонн, принадлежащие какому-то крупному зданию, может

[1] С. Какабадзе, დასახ. შრომა, 64.

[2] Н. Марр, Избранные труды, III, М.—Л., 1934, გვ. 355.

[3] Современники о Хачатуре Абовяне, Ереван, 1941, გვ. 132—133.

[4] Д. Сосновский, Процессы исчезновения лесов в окрестностях Тифлиса, «Известия Кавк. Отдела Рус. Геогр. О-ва», т. XXIII, № 1, 1915, გვ. 37—51.

[5] A. Soukry, დასახ. შრომა, 33 (სომხ.), 44 (ფრანგ.) = Ա. Աբրահամյան, დასახ. შრომა, 349—350.

[1] *Ագաթանգեղայ Պատմութիւն հայոց, աշխատութեամբ Գ. Տէր-Մկրտչեան և Ս. Մալխասեան, Տփղիս, 1909*, გვ. *439*.

[2] А. А. Иессен, Новые данные для истории Азербайджана по работам Оренкалинской экспедиции 1953—1955 гг., „Труды Музея истории Азербайджана", т. II, Баку, 1957, გვ. 27—28; იქვე, გვ. 177.

быть культового характера, и относящиеся ко времени около V в. н. э. В 1955 г. здесь же найден небольшой клад римских серебряных монет I в. н. э. Встречены здесь и керамические находки раннего средневековья. К городищу примыкает обширная площадь, на которой обнаружены следы позднейших кувшинных погребений, а возможно и культурного слоя населения. Недалеко от городища расположен второй прямоугольный искусственный холм, не давший подъемного материала.

„Комплекс этот требует углубленного изучения, весьма затрудненного современной застройкой. Судя по результатам наших обследовательских работ, в пределах Мильской степи нет другого крупного памятника первой половины I тысячелетия н. э., который мог бы претендовать на роль городского центра. Не исключено поэтому, что г. Пайтакаран должен быть локализован здесь...“.

ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია გამოვუდგეთ სახელწოდება „ფაიტაკარან“-ის ეტიმოლოგია-განმარტებას. ერთი კი უდავოა, რომ მასში წარმოდგენილია ან: 1) სომხური სიტყვა *փայտ* ხე-ტყე-სგან (კნინობითში *փայտ-ակ*) ნაწარმოები სახელწოდება სუფიქსით *ակ*, რომელიც საცავს, რისმე შემცველს ნიშნავს, ანდა 2) კომპოზიტი, შემდგარი ორი ძირისაგან, რომელთაგან პირველი „ფაიტაკ“ გაურკვეველია, ხოლო მეორე „არან“ ალბანიის სამხრეთის (მტკვრის სამხრეთით მდებარე) ნაწილს უნდა აღნიშნავდეს, იმის ანალოგიით, როგორიც არიან, მაგალითად, ანანია შირაკელის „გეოგრაფიის“ „არანროტ“[1] და „ქართლის მოქცევა-“ში ნახსენები „არან ქართლისა“.

ქალაქი ფაიტაკარანი და მისი ოლქი, ისევე როგორც არანი, ე. წ. მილის ანუ ყარაბაღის ველით და მუღანითურთ, საუკუნეთა მანძილზე პლაცდარმს წარმოადგენდა უცხო დამპყრობთა შემოსევებისათვის ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით სასანიანთა სპარსეთისა და არაბეთის ხალიფატის ბატონობის ხანაში (III—IX სს.). მისი მოსახლეობა არაერთხელ აწიოკებულა და დაუტოვებია მამაპაპეული კერა და თავშესაფარი მოუპოვებია მეზობელ ქვეყნებში და მათ ქალაქებში, კერძოდ ქართლის დედაქალაქ თბილისში. მოკლებული არაა ვარაუდს, რომ ერთ-ერთ ასეთ აკლება-მოოხრების პროცესში ფაიტაკარანის მოსახლეობა აყრილიყო ადგილიდან და თბილისში მოეპოვებინა თავშესაფარი, თვისი მიტოვებული სამშობლოს სახელწოდების გადმოტანით თბილისის იმ უბანზე, სადაც მას დაეთმობოდა ბინადრობის უფლება. ამგვარად, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან გადმოვიდოდა თბილისში სახელწოდება „ფაიტაკარან“, რომელიც შემდეგში სომეხ მოსახლეობაში თბილისის აღმნიშვნელ ახალ სახელწოდებად გადაიქცა; ამის ანალოგია ჩვენ ახლაც გვაქვს სომეთის დედაქალაქ ერევანში, რომლის გარეუბნებს, სადაც რეპატრიანტები დასახლდნენ და გაშენდნენ, ეწოდებათ მახლობელ აღმოსავლეთში მათი წინანდელი ბინადრობის ადგილთა სახელწოდებები, სახელდობრ: ამასია, არაბკირ, ზეიათუნ, მალათია, კილიკია, ბაუთანია და სხვ. ცნობილია აგრეთვე, რომ მე-18 საუკუნეში სახელწოდება „ნახიჩევან“ გადატანილ იქნა როსტოვის გვერდით დაარსებულ ახალ ქალაქზე, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში „არმავირ“-ი—ჩრდილო კავკასიაში. ასევე „სევასტოპოლი“—დიოსკურია—ცხუმი (სოხუმი)—ახლანდელ სევასტოპოლზე, „როსტოვი“ ჩრდილოეთიდან—ახლანდელ როსტოვზე, „ოდესა“ შავი ზღვის ერთ-ერთი ნახევარკუნძულიდან—ახლანდელ ოდესაზე, და მრავალი სხვა.

რომ სახელწოდება „ფაიტაკარან“ სომეხ იმიგრანტების მიერ არის გადმოტანილი თბილისზე, „ფაიტაკაჲან“-ის დამთხვევით, ამის ერთგვარი პარალელი შეიძლება მონახულ იქნას აგრეთვე იმ ფაქტში, რომ თბილისის ბთაწმინდას, ანუ „მამადავითის“ მთას, სხვანაირად ეწოდება „იშიტუტრუქი“ ანუ „იშიტურტუქი“. აღნიშნული სახელწოდება (რასაკვირველია, სომხური წარმოშობისა) აღბეჭდილია მე-18 საუკუნის ქართულს საისტორიო მწერლობაში, სახელდობრ: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“-ში[1], ვახუშტის „ქართლის ისტორიასა“[2] და „გეოგრაფია“-ში[3] და სხვა[4].

[1] A. Soukry, იქვე; Ա. Աբրահամյան, იქვე.

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 172.

[2] ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, დ. ჩუბინოვის რედ., სპბ., 1854, გვ. 57.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 54.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვახუშტისეული „იშიტუტრუქისა“-თვის, „საისტორიო მოამბე“, 1924, № 2, გვ. 229—232.

* * *

დასკვნა ყველა ზემოხსენებულის შედეგად მარტივია:

საქართველოს დედაქალაქი (პირველ ხანებში მხოლოდ ქართლის დედაქალაქი) თბილისი ორი ათასწლეულის მთელს სიგრძეზე ცნობილი იყო სამი სახელწოდებით—1. ზალისსა, ძალისსა, ძალისი, ძელისი (შდრ. ლისი, დელისი, გუდელისი და სხვ.); 2. ტფილისი, თბილისი, თიფლის, Тифлис, და 3. ფაიტაკაიან—ფაიტაკარან,—რომელთაგან მეორემ სავსებით განდევნა ანუ დაფარა პირველი[1], ხოლო მესამემ ვერ გაუძლო მეორეს.

[1] ისევე, როგორც, მაგალითად, მოსკოვმა (Москва)—Крутицы, რომლის ნაშთი დღეს შემონახულია მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის მიტროპოლიტის ტიტულატურაში — „კრუტიცისა და კოლომნისა" (Крутицкий и Коломенский).

კერძოდ აღსანიშნავია, რომ თბილისის ციხესიმაგრეს თავიდანვე ეწოდებოდა „ქალა" ანუ, რაც იგივეა, „ყალა", საიდანაც წარმოიშვა მერმინდელი „ნარიყალა", მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში „შურის ციხე"-დ არ ყოფილა, რაც ფანტაზიის შედეგია.

„საგოდებელი" ძველი თბილისის სასაფლაოს სახელწოდებაა, ე. წ. სირაჩხანის ადგილზე, ესე იგი ე. წ. დარეჯანის კოშკის მახლობლად, ხოლო „სადილეგო"—საპყრობილეა მერმინდელი „მეტეხი"-ს ადგილზე.

დაბოლოს „იშიტუტრუქი" ანუ, რაც იგივეა, „იშიტურტუქი" ერთ-ერთი ძველ სახელწოდებათაგანია მთაწმინდისა ანუ „მამადავითის" მთისა.

ცხენის რკინიგზის („კონკის") სადგური მუშტაიდის (ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის) პარკთან

ბიორგი ფუთურიძე

ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ

საქართველოს წარსულის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლურ წყაროებს და კერძოდ, ოსმალო ისტორიკოსებისა და მოგზაურების ცნობებს. საკმაოდ მდიდარ თურქულ ისტორიოგრაფიაში მოიპოვება არაერთი ავტორი, რომელიც საინტერესო და საქართველოს ისტორიისათვის უეჭველად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის (მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, ა ლ ი ჩ ე ლ ე ბ ი, ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, მ უ ს ტ ა ფ ა ს ე ლ ი ა ნ ი ქ ი, ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი და სხვ.).

ამ ავტორთა შორის, რომლებიც ოსმალეთის ისტორიის თხრობისას საქართველოს ამბებსაც გადმოგვცემენ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVII საუკუნის განთქმულ მოგზაურს ევლია ჩელების, რომლის ათტომიანი „სეჯაჰათ-ნამე"[1] — „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი" იძლევა უამრავ ცნობებს — ისტორიულს, ეთნოგრაფიულს, ეკონომიურს, ლინგვისტურს, გეოგრაფიულს — ევროპის, აზიისა და აფრიკის იმ მრავალი ქვეყნის შესახებ, რომლებიც მოიარა, თავისი თვალით ნახა, მრავალი ცნობა შეკრიბა, ჩაიწერა და თავის თხზულებაში წარმოადგინა.

ევლია ჩელების ბიოგრაფიისათვის მცირე ცნობები მოიპოვება მისსავე თხზულებაში. ეს ცნობები თავმოყრილია, აგრეთვე, ფრანც ბაბინგერის შრომაში — „ო ს მ ა ლ თ ა ი ს ტ ო რ ი კ ო ს ე ბ ი დ ა მ ა თ ი შ რ ო მ ე ბ ი"[1]. ევლია ჩელებისა და მისი თხზულების დახასიათებისა და შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. ი. კრაჩკოვსკის ფუნდამენტალურ შრომას — „ა რ ა ბ უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა"[2].

მეჰმედ ზილი ბენ დერვიშ მეჰმედი, ჩვეულებრივად ევლია ჩელებად წოდებული, დაიბადა 1611 წელს სტამბულში. მისი მამა, დერვიშ მეჰმედი, მრავალჯერ ახლდა სალაშქროდ სულეიმან I კანუნის, დედა დიდვეზირის მელექ აჰმედ-ფაშას და იყო.

ახალგაზრდა ევლია ჩელები 1636 წელს შევიდა აია სოფიას სკოლაში. დიდად განათლებული იყო;

[1] اولیا چلبی سیاحتنامه‌سی، استانبول، ۱۳۱۴

[1] „Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke", Leipzig, 1927.

[2] Академик И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. IV, М.—Л., 1957.



ფუნიკულიორის ხედი რეკონსტრუქციამდე

სულთან მურად IV ყურადღებით ეჭცეოდა და სასახლეში ნდობით აღჭურვილ პირად მიაჩნდა. ევლია ჩელები ხან თავის ბიძას მელექ აჰმედ-ფაშას დაყვებოდა დიდ ლაშქრობებში, ხან თავისი ინიციატივით მოგზაურობდა. უფრო ხშირად კი სპეციალური დავალებებით იგზავნებოდა სხვადასხვა ქვეყნებში. ამ დავალებათა შორის, ეჭვი არ არის, მთავარი ადგილი დაზვერვას ეჭირა. მრავალი ცნობის ხასიათი იმაზე მეტყველებს, რომ მის ცნობებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. (შეიძლება თუ არა მდინარეზე გადასვლა, რა სიმტკიცის ციხეა, როგორი ბრძოლისუნარიანია ჯარი ან მოსახლეობა, განხეთქილება ხომ არ არის ტომებს შორის, როგორ არის შეიარაღებული ჯარი ან მოსახლეობა და, რაც მთავარია, როგორი დამოკიდებულება და განწყობილება აქვთ ოსმალების მიმართ. ცნობების ეს ხასიათი საქართველოს მიმართაც არის გატარებული). ევლია ჩელებიმ ცხოვრების დიდი ნაწილი მოგზაურობაში გაატარა. მოგზაურობდა გემით და აღწერდა სანაპირო მხარეებს; მოგზაურობდა ცხენით, დაყვებოდა ჯარს, სავაჭრო ქარავნებს და ასე მოიარა ანატოლია, ირანი, ქურთისტანი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასია, სამხრეთ რუსეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული, უნგრეთი, ვლახეთი, პოლონეთი, ავსტრია, გერმანია და სხვა ქვეყნები.

ევლია ჩელების გარდაცვალების თარიღი ცნობილი არაა. „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ი ს წ ი გ ნ შ ი“ უკანასკნელი თარიღი 1678 წელია აღნიშნული. ევლია ჩელები დაუსაფლავებიათ პერაში, მაგრამ საფლავი დაკარგულია.

ევლია ჩელები დაკვირვების დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. თავისი მოგზაურობის დროს იგი დღიურებს წერდა და დაკვირვებებისა და ნაამბობის საფუძველზე მცირე შემთხვევაში ლიტერატურული წყაროების გამოყენებით[1] შეადგინა დიდტანიანი თხზულება, რომელიც მიუხედავად მრავალი შეთხზული ამბისა (ეს ეხება სხვისი გადმოცემის შედეგად მიღებულ შეცდომას, ზოგ შემთხვევაში ისტორიული ექსკურსებისას მცდარ წარმოდგენას), ითვლება ფუნდამენტალურ კულტურულ-ისტორიულ შრომად და მისი ავტორი — უდიდეს და ოსმალთა შორის ყველაზე საინტერესო გეოგრაფ-მოგზაურად[1].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი თავალით ნახული და აქ კი უმეტეს შემთხვევაში სანდოა მისი ცნობები. იგი მრავალ ცნობას იძლევა მის მიერ ნახული ქვეყნების ხალხთა ცხოვრების სხვადასხვა დარგებზე, აგვიწერს ომებს, ქალაქებს, სახალხო მეურნეობას, ჩაწერილი აქვს მრავალი ფოლკლორული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მასალა.

ევლია ჩელების „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი ს“ ხელნაწერი ინახება სტამბულის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. პირები არის ბრიტანეთის მუზეუმსა და ვენაში. მისი ათივე ტომი სტამბულში დაიბეჭდა (I, II და III ტომები — 1896-97 წწ.; IV და V ტომები — 1897-98 წწ.; VI ტომი—1900 წ.; VII და VIII ტომები — 1928 წ.; IX და X ტომები 1930 წ.), გამოსულია „სეიაჰათ-ნამეს“ ლათინიზებული გამოცემა, მაგრამ რადგანაც იგი გათვალისწინებულია ფართო მკითხველისათვის, სრული არ არის, ტენდენციურად შერჩეული და შეკვეცილია.

ევლია ჩელების თხზულება მთლიანად არცერთ ენაზე არ არის თარგმნილი. მიუხედავად ამისა, მისი ცნობებით მრავალი მკვლევარი სარგებლობს. მაგალითად, 1910 წ. აკად. ვ. ბ ა რ თ ო ლ დ მ ა შეისწავლა ევლია ჩელების ცნობები მონღოლური წარმოშობის ტომის ყაითაკებისა და მათი ენის შესახებ[2]. აკად. ვ. გ ო რ დ ლ ე ვ ს კ ი მ გამოაქვეყნა შრომა საამქრო ცხოვრების შესახებ[3] და ძირითადად ევლია ჩელების თხზულების I ტომში არსებული მასალა გამოიყენა. პროფ. ს. ს. ჯ ი ქ ი ა მ გამოაქვეყნა მასალები და გამოკვლევა მეგრულისა და ქართულის შესახებ სტატიაში: „Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках“.[4] მანვე შეისწავლა ცნობები ლაზურისა და ლაზების შესახებ[5]. ვ. ს. გ ა რ ბ უ ზ ო ვ ა მ ევლია ჩელების მიერ აღწერილ სტამბულის ხელოსნური

[1] И. Ю. Крачковский, დასახ. შრომა, გვ. 623.

[1] И. Ю. Крачковский, დასახ. შრომა, გვ. 628.

[2] В. Бартольд, К вопросу о происхождении кайтаков, „Этнографическое обозрение“, кн. 84—85, Москва, 1910, № 1, 2.

[3] Вл. Гордлевский, Из жизни цехов в Турции, „Записки коллегии востоковедов“, II.

[4] „Советское языкознание“, II, Ленинград, 1936.

[5] „ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954.

ორგანიზაციების მასალაზე დაყრდნობით სტამბულის იუველირების შესახებ დაწერა შრომა, სადაც, აგრეთვე, ზოგადად შეაფასა ევლია ჩელების თხზულების მნიშვნელობა[1].

საქართველოში მოგზაურობა ევლია ჩელების თხზულების II ტომშია აღწერილი. გარდა იმისა, რომ სპეციალური თავები აქვს მიძღვნილი საქართველოს, ცნობები მოიპოვება იმ თავებშიც, სადაც სხვა ქვეყნებზეა თხრობა. საქართველოს შესახები ცნობები განეკუთვნება 1644—1646—1648 წლებს.

ავტორი იძლევა აუარებელ ცნობას საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების, ქართული ტომების, ქალაქების, ციხეების, მდინარეების, ჰავის შესახებ. აქ არის ცნობები სოფლის მეურნეობის შესახებ: — რას თესენ; შეიძლება, თუ არა ნათესების მორწყვა; როგორაა მოვლილი ბაღ-ვენახი. ევლია ჩელები თითქმის ყოველთვის ხაზს უსვამს დასახლებულია თუ არა მხარე. როდესაც ასახელებს სოფლებს, აღნიშნავს დასახლებულია იგი, თუ მიტოვებული. მეურნეობა ჰყვავის, თუ გაპარტახებულია. როგორც წესი, იძლევა ცნობებს ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, რელიგიის შესახებ; მოკლედ აღწერილი აქვს ქალაქების ბაზრები, სახელოსნოები; მოცემული აქვს დუქნებისა და ზოგ შემთხვევაში, სახლების რაოდენობა. ევლია ჩელები სპეციალურად აღნიშნავს ოსმალების მიერ დანიშნული მოხელეების და ფეოდალების ქართულ წარმოშობას; ჭკვიან, ენერგიულ და მამაც ადამიანებად ახასიათებს მათ. ზოგ შემთხვევაში, საქართველოს განაპირა მხარეებში არსებული ციხე-ქალაქების შესახებ აღნიშნავს, რომ წინათ ქართველებისა იყო და ეხლა ოსმალეთის ტერიტორიაზეაო[2].

საინტერესოა ცნობები აფხაზეთში მოსახლე ტომების შესახებ. ავტორი ჩამოთვლის ტომების სახელებს, მათი სოფლების მდებარეობას, ნავთსადგურებს, ამ ტომებს შორის ურთიერთობას, ტომების მეომართა რიცხვს. იგი მხედველობიდან არ უშვებს და ყოველთვის აღნიშნავს ამ ტომების საქმიანობას. ზოგი ტომის მეურნეობის მთავარი დარგია მესაქონლეობა, ზოგისა — ნადირობა კვერნაზე და გარეულ ღორზე; ზოგი ტომი მიწათმოქმედებას ეწევა. ავტორი ჩამოთვლის იმ საგნებს, რითაც ვაჭრობენ ტომებთან ოსმალეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მოსული სავაჭრო ხომალდები. ხომალდებით მოაქვთ ქსოვილი, იარაღი, საოჯახო რკინეული, ჭურჭელი, მარილი, საპონი და სხვა. ამ საქონელს ისინი სცვლიან გოგო-ბიჭებზე, კარაქზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, მუშამბაზე, კვერნის ტყავზე[1]. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ აფხაზეთში მან ვერ ნახა ოქროსა და ვერცხლის ფული და დასძენს, რომ აღებ-მიცემობა გაცვლა-გამოცვლის წესით წარმოებსო[2]. თითქმის ყველა ტომს ევლია ჩელები ახასიათებს, როგორც მამაც, ურჩ ადამიანებს.

ევლია ჩელების ცნობებიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ტყვის სყიდვა ძალზე გავრცელებული იყო. გარდა იმისა, რომ ეს ზოგიერთი ტომის მთავარ საქმიანობად მიაჩნია, ფაქტებიც მოყავს; მაგალითად, აზოვისაკენ სალაშქროდ წასული რაზმი, რომელსაც ევლია ახლდა, ხელიდან არ უშვებს შემთხვევას და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ჰაბუკებსა და ქალიშვილებს ყიდულობს და მათ შორის — ჩვენი ავტორიც[3]. ერთხელ ევლია ჩელების სამცხეში ქართველი ბიჭი აჩუქეს[4].

საყურადღებოა ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც. ევლია ჩელები აგვიწერს ლაზურს ნავებს, მათი აშენების წესს. ნახსენები აქვს „თეთრი და წმინდა თბილისური პური", „ქართული წინდა", „საქართველოს ბამბა", „თბილისური ანგორის მატყლი" და სხვ. აგვიწერს აფხაზთა ერთ-ერთი ბეგის გარეგნობას, მის ჩაცმულობას და იარაღს, ამ ბეგის მხლებელ აზნაურებს, როგორც თვით უწოდებს მათ[5], ტომების წევრთა შეიარაღებას. ხშირად აგვიწერს გამასპინძლების წესს და სუფრაზე მოტანილ საჭმელებს[6]. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ მთელი აფხაზეთის ზღვის სანაპირო მხარეში მოჰყავთ ღომი. მოცემული აქვს ცნობები

---

[1] В. С. Гарбузова, Эвлия Челеби о Стамбульских ювелирах XVII в., Труды „отдела Востока", III, Ленинград, 1940.

[2] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", ტ. II, გვ. 327.

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", გვ. 105.

[2] იქვე, გვ. 105.

[3] იქვე, გვ. 104, 105.

[4] იქვე, გვ. 325.

[5] იქვე, გვ. 103, 104.

[6] იქვე, გვ. 105.

აფხაზური თაფლის შესახებ. აღნიშნული აქვს მიცვალებულთა დაკრძალვის წესები აფხაზურ ტომებში.

ქართული, მეგრული, ლაზური და აფხაზური ენების შესახები მასალა საყურადღებოა და იგი ჯეროვნად არის შესწავლილი ქართველი ენათმეცნიერების მიერ.

თავის თხზულებაში ევლია ჩელების ისტორიული ექსკურსებიც აქვს გაკეთებული. იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც იგი ეყრდნობა ლეგენდებს და მათ გადმოგვცემს, როგორც ნამდვილ ამბავს. ლეგენდარული, შეთხზული ცნობები ეხება საქართველოს მეფეთა წარმომავლობას, ქართული ტომების ისტორიას, ქალაქების აშენების ისტორიას.

რაც შეეხება თბილისს, აქ მის ცნობებს უმეტეს შემთხვევაში შეიძლება თამამად დავეყრდნოთ. ევლია ჩელების შესახებ ცნობილია, რომ იმ ადგილების აღწერა, რომლებიც მან ნახა, ყოველთვის სანდოა. ევლია ჩელებიმ თბილისი საფუძვლიანად დაათვალიერა და კარგა ხანს დაჰყო აქ.

ევლია ჩელებიმ აღმოსავლეთ საქართველოში იმოგზაურა 1646-48 წწ. ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართლსა და კახეთს როსტომი მართავდა. როსტომის სამფლობელოში შედარებით წესიერება იყო დამყარებული, ვაჭრობა-ხელოსნობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა. ქალაქები და მათ შორის თბილისიც გაიზარდა და გაშენდა; ამის შესახებ ევლია ჩელებიც წერს. მისი სიტყვით ქალაქი „ძალიან აყვავებული და გაშენებულია"[1]. ევლია ჩელების ძირითადად ქალაქების ციხე-სიმაგრეები აინტერესებდა და ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში გალავნის შიდა დასახლებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი ცნობით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილისის გალავანში ექვსასი სახლი იდგა[2], მარცხენა ნაპირზე, მეტეხის ციხის გალავანს შიგნით — სამასი[3]. ქალაქს ფუნდუკი და კეთილმოწყობილი აბანო ჰქონდა „სასარგებლო ცხელი წყაროთი"[4]. „ქებული თბილისური ბამბა, ანგორის მატყლი, წმინდა თბილისური პური და ატამი" მან თბილისის ბაზარზე ნახა[5].

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", ტ. II, გვ. 317.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 318.
[4] იქვე.
[5] იქვე.

თბილისის ქართულ მოსახლეობაზე ევლია ჩელები არაფერს ამბობს; მას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა ის გარემოება, რომ ციხის გალავანში „მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალთა დროიდან შოყოლებული სუნიტებია"[1]. საქმე ისაა, რომ, თუმცა, ციხე ყიზილბაშებს ეჭირათ, რომლებიც შიიტები იყვნენ, ქალაქში ცხოვრობდნენ სუნიტებიც — წარმოშობით შირვანელები. რადგანაც სუნიტობა ოსმალეთის ოფიციალური რელიგია იყო, ევლია ჩელების ჰგონია, რომ სუნიტი მოსახლეობა ოსმალთა ბატონობის დროიდან შემორჩა.

ევლია ჩელების ცნობებიდანაც ჩანს, რომ თბილისი კარგად იყო გამაგრებული. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდგარ დიდ ციხეს შემოვლებული ჰქონდა კედელი ექვსი ათასი ნაბიჯის სიგრძისა და სიმაღლით სამოცი წყრთა. კედლებს სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური ჰქონდა. ხანგრძლივი ალყისათვისაც კარგად იყო მომზადებული ციხე. მტკვრის პირას მდგარი კოშკი იცავდა ხვრელს, რომელიც ქალაქში მტკვრის წყლის საზიდად იყო გაყვანილი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იდგა ოთხკუთხა, პატარა, მაგრამ ძლიერი კედლებიანი ციხე, რომელსაც სამი ათასი მეციხოვნე იცავდა[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებს ხშირად მიმართავს. აღმოსავლურ და კერძოდ, ოსმალურ წყაროებში ქალაქების აშენება, მტკიცე და სამართლიანი მმართველობა და სხვ. ხშირად ალექსანდრე მაკედონელსა და სასანიანთა ირანის შაჰებს მიეწერება. ამ ტრადიციას არც ევლია ჩელები ღალატობს და თბილისის ამშენებლად ალექსანდრე მაკედონელის „ხაზინადარი ბითლისს" ასახელებს[3] და მეტეხის ციხისა — სასანიანთა შაჰს იეზდიგერდს[4].

საინტერესოა ევლია ჩელების ცნობა ოსმალთა მიერ 1578 წელს თბილისის დაპყრობის შესახებ. ზოგიერთ ქართულ საისტორიო წყაროში დავითის მიერ ქართლის დატოვება მოკლედ არის აღწერილი და იგი წინდახედულ, ინიციატივიან რენეგატად არის გამოყვანილი. ეგნატაშვილი ბერის მიხედვით, „რა სცნა დავით, უღონო იქნა, რამეთუ ყიზილბაშთ იგი გაუშვეს და მეფეს სვიმონს მოეკიდნენ,

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", ტ. II, გვ. 318.
[2] იქვე, გვ. 317.
[3] იქვე, გვ. 315.
[4] იქვე, გვ. 318.

და ქართველნიც არა ჰყუარობდენ და თვით მეფისა სვიმონისა ერჩივნათ. და ვეღარც დადგებოდა ქართლსა და ვეღარც ენდობოდა ყიზილბაშთა. და მიეგზავნა კაცი ლალა ფაშას და მისცა რაოდენი ციხენი იყუნენ ქართლსა შინა და შეაყენნა მცველნი მათნი და თვითან წარვიდა სტამბოლს ხონთქართანა"[1]. ფარსადან გორგიჯანიძესთან: „მეფე დავით ხონთქარსთან წავიდა და ხონთქარმან მრავალი წყალობა უყო და დიდი პატივი დასდვა. დიდის ლაშქრით ლალა ფაშა გამოუძახა"[2]. ვახუშტის უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ეს ფაქტი და საზგასმული აქვს, რომ დავითი ვერას გახდა ლალა ფაშასთან და რახან ყიზილბაშებმაც მიატოვეს, ხონთქარს მიუვიდა. „...გამოვიდა ლალა-ფაშა სულტან-მურადისა სპითა ძლიერითა, ამან გამოელოო სამცხე, მოვიდა ტფილისს, ვერ წინ-აღუდგა დაუთ-ხან, მოსწვა ტფილისი თვით და წარვიდა სიმაგრეთა". როდესაც ყიზილბაშებმა სიმონს დაუჭირეს მხარი, „ამის მხილველმა დაუთ-ხან, იხილა რა დატეება თავისი ყიზილბაშთაგან, ეზრახა ლალა-ფაშას და მისცნა ყოველნი ციხენი ქართლისანი და თვით წარვიდა წინაშე ხონთქრისა სტამბოლს (შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მოკვდა დაუთ-ხან მუნ)"[3]. ვახუშტის ამ ცნობას ამაგრებს ევლია ჩელების ცნობაც და, რაც მთავარია, მის ცნობაში რამდენიმე საინტერესო დეტალია. როდესაც ამბავი მოუვიდა, რომ ლალა ფაშა თბილისზე წამოვიდა, დავითმა ორმოცი ათასი მეომარი მოაგროვა თბილისის დასაცავად. მას შემდეგაც კი, რაც ლალა ფაშამ წერილი გამოუგზავნა, სადაც წინადადებას აძლევდა ციხის მცველებს ან ისლამი მიეღოთ ე. ი. ნებით გადასულიყვნენ ოსმალეთის სულთნის ხელქვეშ, დაეთმოთ სარწმუნოება და ქვეყანაში ოსმალობა დაემკვიდრებინათ, ან ციხე ჩაებარებინათ და მოსახლეობას ხარაჯის გადახდა ეკისრა (რაც საერთოდ გათვალისწინებული იყო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანი მოსახლეობისათვის), მით უმეტეს, რომ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ლალა ფაშა იმუქრებოდა, რომ ციხის მცველებს გაჟლეტდა და მათ ოჯახებს ტყვედ წაიყვანდა[1], ციხის მცველებმა გადაწყვიტეს არ დაეთმოთ ქალაქი და ციხეში ჩაიკეტნენ. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდნენ „წინდახედული პირები", რომლებმაც გაცლა ამჯობინეს. ციხის მცველებმა ციხე დაცალეს; მოსახლეობა გაიხიზნა. ოსმალთა ჯარი დაედევნა და ზაგემის ციხესთან დაეწია დავითს. როგორც ჩანს, დავითმა თავისი რაზმით აქაც გაასწრო, რადგანაც ევლია ჩელების ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ოსმალები ძირითადად ტყეში გახიზნულ მოსახლეობას მიესივნენ და დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. „ყველაზე უბრალო ჯარისკაცმაც კი იშოვა იმდენი ოქრო, რაც ერთ ფარს გაავსებდა", კმაყოფილებით აღნიშნავს ჩელები[2]. კახეთში მოთარეშე რაზმებს სარდლობდა ოსმან ფაშა, რომელმაც ოცდაექვსი დიდი და პატარა ციხე აიღო[3].

ოსმალების ქართლში დამკვიდრების ცდების შესახებ ვახუშტის აქვს ცნობა, რომ „...ოსმალთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს თბილისი საფაშოდ..."[4] ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი თავის „ისტორიაში" წერს, რომ ქართლი „როგორც რიგი და წესია დაიკავეს" და სარდალმა პროვინცია უბოძა კასტამონიის სანჯაყ-ბეგ სოლაკ ფერჰად-ფაშას-ძეს მეჰმედ ფაშას[5].

ევლია ჩელების თხზულებაში უფრო ვრცლად არის ეს ფაქტი აღწერილი და საინტერესო ცნობა აქვს მოცემული: — ლალა ფაშას ბრძანებით თბილისის მხარე აუწერიათ[6]. ეს იმას ნიშნავს, რომ დამპყრობლები ოსმალობის დამყარებას აპირებდნენ ქართლში და ოსმალეთის ვილაიეთად უნდოდათ გადაექციათ იგი. ევლია ჩელები ხაზს უსვამს, რომ ლალა ფაშამ „[თბილისის] ვილაიეთის... მართვა-გამგეობა მირმირანობის წესზე ჩააბარა კასტამონუს ვილაიეთის განმგებელ სოლაკ ფერჰად-ფაშას ძე მეჰმედ-ფაშას"[7]. ოსმალები ქალაქის და-

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1940, გვ. 91.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე", 1925, გვ. 220.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 28—29.

[1] ევლია ჩელები..., გვ. 315.

[2] იქვე, გვ. 316.

[3] იქვე.

[4] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, გვ. 29.

[5] تاريخ جوجو ტ. II, გვ. 43, იხ. აგრეთვე, ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, „ენიმკის" მოამბე, თბილისი, 1940, გვ. 377.

[6] იქვე, გვ. 316.

[7] იქვე.

თმობას არ აპირებდნენ და ლალა ფაშამ ციხე გაამაგრა, შეავსო საომარი საჭურველი, ციხეში ჩააყენა იანიჩართა ოცი ასეული, დადგა ზარბაზნები და მეზარბაზნეთა ხუთი ასეული მიუჩინა, საომარი მასალის მოსამარაგებლად ხუთი ასეული გამოჰყო. დანგრეული ციხეებიდან გამოიყვანა ჯარები და თბილისში ჩააყენა. ევლია ჩელების სიტყვით აქ იდგნენ სივასის ვილაიეთის (რომელსაც დიდი ჯარის გამოყვანა შეეძლო), თირეს, თექეს და მენთეშეს სანჯაყების ჯარები[1]. მაგრამ ქართველი ხალხი შეუნელებლად ებრძოდა მტერს სიმონ მეფის მეთაურობით, არ თმობდა „ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს“ და დამპყრობლებს საშუალებას არ აძლევდა „ო ს მ ა ლ ო ბ ა“ დაემყარებინათ. „თ ბ ი ლ ი ს ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი“, „მ ი რ-მ ი რ ა ნ ო ბ ი ს წ ე ს ი“ ფორმალობად დარჩა. მრავალჯერ დაესხნენ ქართველები თავს თბილისში გამაგრებულ ოსმალებს, ამარცხებდნენ თბილისიდან სათარეშოდ გამოსულ ჯარებს, ართმევდნენ მოტაცებულ საქონელსა და სურსათს; ამ ბრძოლებში დაამარცხა სიმონ მეფემ მეჰმედ-ფაშა, ჰასან-ფაშა და სხვ.[2] ეს ბრძოლები ეპიზოდური ხასიათისა არ იყო. სიმონ მეფე კონტროლს უწევდა თბილისის მისადგომებს და ციხეში მდგარი ოსმალები აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. ამის შესახებ ევლია ჩელების მოჰყავს ცნობა, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილი არაა. ქართველებს ყიზილბაშების ჯარებთან ერთად შვიდი თვის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული თბილისის ციხისათვის. ოსმალებს ისე გაუჭირდათ, რომ ცხენები და ძაღლები რომ შემოელიათ, დახოცილთა გვამების ჭამა დაიწყეს[3]. ალყის თარიღი ევლია ჩელების მოცემული არ აქვს, მაგრამ შეიძლება დავიხმაროთ სხვა წყარო; — ანალოგიური ცნობა აქვს იბრაჰიმ ფეჩევისაც, რომელიც ალყის შესახებ მოგვითხრობს თავისი თხზულების იმ ნაწილში, სადაც საუბარია 1579 წლის ამბებზე[4].

მართალია, ევლია ჩელების არც ისე მდიდარი ცნობები აქვს თბილისის შესახებ, მაგრამ ჩვენი დედაქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის ეს მცირე ცნობებიც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

ამბავი თბილისის შესახებ

ირანელი ისტორიკოსის — „შერეფ-ნამეს“ ავტორის სიტყვით, ეს ქალაქი აუშენებია ალექსანდრე ორრქიანის[1] ხაზინადარ ბითლისს. ვანის ვილაიეთში რომ არის ბითლისი, ისიც მას აუშენებია. შემდეგში ეს ციხე მოჯანყეების მიერ მრავალჯერ ყოფილა ალყაშემორტყმული, ხელმწიფიდან ხელმწიფეზე გადადიოდა და ბოლოს საქართველოს ერთ-ერთი მმართველის დაუთ-ხანის მფლობელობაში გადავიდა. [ქალაქი] ამ უკანასკნელის ხელში რომ იყო, ოსმალთა შიშით ირანის შაჰს შეაფარა თავი, გვირგვინი დაიდგა და თავის სამფლობელოში ხანი გახდა. დიდხანს ანუშირვანივით სამართლიანად მბრძანებლობდა. რომ ააყვავა და გააშენა [ქალაქი], ბოლოს სულთან მურად მესამის[2] დროს ლალა ფერჰად ფაშა[3] ურიცხვი ლაშქრით წამოვიდა საქართველოზე, ჩილდირის ციხე და მასზე დაქვემდებარებული სამოცდაათი ციხე დაიპყრო. როდესაც დაუთხანმა გაიგო, რომ დიდებული სარდალი თბილისზეც გამოემართა, ორმოცი ათასი მეომარი თბილისის დასაცავად დააყენა და საომრად მოემზადა. მეორეს მხრივ [ოსმალთა] ჯარი სასწრაფოდ დაიძრა, შირვანის ველზე გაჩერდა და კარავი დასცა.

სარდალმა პირველად წერილი გაგზავნა თბილისში და [ისლამის] სარწმუნოებისაკენ მოუწოდა: „ან ისლამი მიიღეთ, ან ციხე ფადიშაჰს[4] ჩაბარეთ

[1] ევლია ჩელები.., გვ. 316.
[2] ეგნატაშვილი ბერი..., გვ. 93, 94, 95.
[3] ევლია ჩელები..., გვ. 316.
[4] იბრაჰიმ ფეჩევი..., II, გვ. 57.

[1] ალექსანდრე მაკედონელი.
[2] 1574—1595.
[3] ევლია ჩელების შეცდომაა. ქვემოთ ჩანს, რომ ამბავი ეხება ლალა მუსტაფა-ფაშას, რომელმაც 1578 წელს გამოილაშქრა საქართველოზე და თბილისი აიღო. ფერჰად ფაშა კი ჯერ რუმელიის ბეგლარბეგი იყო და მხოლოდ 1583 წელს სარდლობდა ჯარებს აღმოსავლეთში. მეჰმედ სურეიას წიგნში, სადაც ოსმალო მოღვაწეების ბიოგრაფიებია მოცემული (محمد ثريا سجل عثمانى) მხოლოდ ორი სარდალი იხსენიება ლ ა ლ ა დ — ლალა მუსტაფა და ლალა მეჰმედი. ფერჰად ფაშას ოსმალო ისტორიკოსები ლალას არ უწოდებენ და არც შეიძლება ლალა ყოფილიყო, რადგანაც იგი ლალა მუსტაფა ფაშას შვილი იყო.
[4] ოსმალთა სულთანი იგულისხმება.

და ციხის გარეთ ხარაჯის გადამხდელი ქვეშევრდომები გახდით. წინაადმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილია, რომ ჰეშმარიტი საწმუნოებისათვის ყველა თქვენგანი აუცილებლად ხმლით აიკუწება, თქვენი ცოლ-შვილი და ჯალაბი ტყვედ იქნება წაყვანილი". წერილი რომ მივიდა და მისი შინაარსი ცნობილი გახდა, ყველანი შეიკრიბნენ და ბჭობა მოაწყეს. „ოსმალომ რაც უნდა, ის ქნას"-ო გადაწყვიტეს, ელჩი გაისტუმრეს და ციხეში ჩაიკეტნენ. მაგრამ, წინდახედულმა პირებმა, რომელთაც იცოდნენ, რომ ისლამის ჯარების შემოტევას ვერ გაუძლებდნენ, ისევ მოითათბირეს; [ამის შედეგად] ყველამ ქვეყანა დატოვა და ციხე დაცალეს. დიდებულმა სარდალმა ეს მდგომარეობა რომ შეიტყო, ისლამის ლაშქრით დაედევნა, თბილისის ახლოს მდინარე მტკვარი გადალახა, ერთი დღე და ერთი ღამე ჭენებით იარა და ზაგემის ციხის ძირას თბილისის ხანს წამოეწია. მათ კი ცოლ-შვილითა და ჯალაბით ჯაგნარსა და ტყე-ღრეში შეეფარებინათ თავი. მუსლიმი გმირები თავს დაესხნენ, ქართველებსა და ყიზილბაშებს თავები დააყრევინეს. ძალიან დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. ყველაზე უბრალო მეომარმაც კი იშოვა იმდენი ოქრო, რაც ერთ ფარს გაავსებდა. ამის შემდეგ, გამარჯვებამოსილმა სარდალმა იანიჩართა აღა იანიჩართა შვიდი ასეულით თბილისის ციხის დასაკავებლად გაგზავნა და თვითონ ისლამის ლაშქრით ზაგემის ციხის დასაპყრობად დაიძრა. ციხე დანებდა და ისე დაიკავა; შიგ ჯარი ჩასხა. შემდეგ ჩრდილოეთისაკენ გაემართა და გრემის ციხეს ალყა შემოარტყა. ციხემ ოსმალთა იერიშის ძალას ვერ გაუძლო. [ციხის მცველებმა] შეწყნარება ითხოვეს და ციხე დიდებულ სარდალს ჩააბარეს; შიგ მყოფნი კი ამოწყვეტილ იქნენ. მე, მწერს ზაგემის ციხე არ მინახავს, მაგრამ როდესაც კახეთის[1] ციხის ველით გავდიოდი, გრემის ციხე დავინახე, ოღონდ შიგ არ შევსულვარ. ოსმან-ფაშამ[2] ამ ქვეყანაში სანადიროდ

[1] کاخت قلعه‌سی — სპარსული და ოსმალო ისტორიკოსები ხშირად ახსენებენ კახეთის ციხეს, ქალაქ კახეთს, მაგრამ გაურკვეველია რომელი პუნქტი იგულისხმება, შესაძლებელია თელავის ციხე იგულისხმებოდეს, რადგანაც, როგორც ზემოთ ჩანს, ევლია ჩელებიმ გრემის ციხე დაინახა როდესაც „კახეთის ციხის ველზე" გაიარა.

[2] ოსმან-ფაშა (1526—1585) ლალა მუსტაფა ფაშას ახლდა 1578 წლის ლაშქრობაში და ჩალდირის ბრძოლაში თავი გამოიჩინა (ფეჩევის „ისტორია", ტ. II, გვ. 40).

გამოსული ლომებივით აიღო ოცდაექვსი დიდი და პატარა ციხე. შიგ ჯარი და მეციხოვნეები ჩააყენა. შემდეგ გადმოვიდა და თბილისში შესვლის დღეს დიდი სიხარული და ზეიმი შეიქნა. შემდეგ ღირსეულმა სარდალმა (ლალა მუსტაფა-ფაშამ) ციხე ძალზე გაამაგრა და მისი ეჯალეთი[1] აღწერა. მისი მართვა-გამგეობა მირ-მირანობის[2] წესზე კასტამონუს ვილაიეთის განმგებელს სოლაკ ფერჰადფაშას ძე მეჰმედ-ფაშას[3] ჩააბარა, სხვადასხვა საომარი საჭურველი და მოწყობილობა შეავსო. იანიჩართა ოცი ასეული, ჯებეჯიების[4] ხუთი ასეული, თოფჩუების[5] ხუთი ასეული [და] ას სამოცდაათ სხვა დანგრეულ ციხეებიდან გამოყვანილი ჯარები [თბილისის ციხეში] ჩააყენა. თირეს, მენთეშეს, თექეს, ჰამიდის სანჯაყებისა[6] და სივასის ვილაიეთის ჯარები მთლიანად მეციხოვნეებად დანიშნა. საქართველოს სხვა მხარეებიც მოაწესრიგა და სტამბოლისაკენ გაემართა.

მეორე მხრივ, სპარსელებთან ერთად საქართველოს ურჯულოებს თბილისის ციხე შვიდი თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული ჰქონდათ. ყველა მუსლიმი გმირი (ე. ი. თბილისში ჩაყენებული ოსმალო მეომრები — გ. ფ.) შიმშილისა და სიძვირისაგან უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ისინი იძულებული გახდნენ ეჭამათ ჯერ ცხენები, ბოლოს ძაღლები და თანდათანობით ბრძოლაში დაცემულ მუსლიმ მებრძოლთა გვამებიც. ისეთი [სიძვირე იყო], რომ ერთი სუბაშის[7] ძაღლი შვიდი

[1] ایالت — ქვეყანა, პროვინცია, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული.

[2] میر میران — პარალელურად იხმარებოდა بکلر بکی ბეგლარ-ბეგი, والی ვალი—ვილაიეთის განმგებელი, ადმინისტრაციული და სამხედრო მოხელე.

[3] მეჰმედ-ფაშა 1582 წლიდან დიარბეკირის ბეგლარბეგი იყო და 1584 წელს მოკლეს ომში.

[4] جبه‌جی — საომარი მასალის, საჭურვლის მომვლელები და მცველები; ესენი ამარაგებდნენ რეგულარულ ჯარს ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღით, ტყვია-წამლით.

[5] طوپجی — მეზარბაზნე.

[6] سنجاق — სამხედრო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ვილაიეთში შედიოდა.

[7] صوباشی — ოსმალეთში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობას აღნიშნავდა:—ტომობრივი გაერთიანების უფროსი, ჯარის მეთაური, საპოლიციო სამსახურის ამსრულებელი, გადასახადების ამკრეფი. ევლია ჩელების დროს სუბაშის ძირითადი მოვალეობა საპოლიციო სამსახუ-

ათას ახჩად იყიდეს და შეეპამეს. ასეთ ყოფაში მტრის ყოველის მხრიდან თავდასხმას მამაცად უწევდნენ წინააღმდეგობას. ღვთის განგებით, არზრუმის ვალი მუსტაფა-ფაშა ზღვისოდენი ლაშქრით გამოეშურა და რომ მოაწია, სპარსთა სარდალი იმამ-ყული, რომელსაც ციხეზე ალყა ჰქონდა შემორტყმული, გაიქცა და აუარებელი ნადავლი და სურსათი ბრძოლის ველზე დატოვა. ციხეში გარსშემორტყმული გმირები განუზომელი ნეტარებით აღივსნენ. მუსტაფა-ფაშა რომ ციხის ძირას მივიდა, [ამით] ისლამის ჯარი გამოცოცხლდა. მეორედ დიდვეზირის შვილმა, ჰუსნი-ფაშამ სამი ათასი აქლემის საპალნე ხორბალი და სხვა მარცვლეული სურსათი მოიტანა და ამბრებში შეინახეს. პატარა ციხეში[1] ეხლაც არის საწყობები. სულთან მურად მესამის დროიდან სულთან მუსტაფას[2] ტახტზე ასვლამდე ეს ციხე ოსმალთა ხელში იყო. შემდეგ ქართველი ქაფირები და სპარსელები შეერთდნენ, მოულოდნელად მიიტანეს იერიში, შიდა ციხიდან მუსლიმი გმირები შეწყალებით გამოიყვანეს და ციხე [ირანის] შაჰს ჩააბარეს. იმ დროიდან სპარსელთა ხელშია. ძალიან აყვავებული და გაშენებულია.

(II, გვ. 315 — 317).

თბილისის ციხის აღწერა

მდინარე მტკვრის ნაპირზე, ციცაბო კლდეზე ერთმანეთის პირდაპირ ორი ციხეა, რომელთაც ბითლისს — თბილისს უწოდებენ. მათ შორის მდინარე მტკვარი მიედინება. რადგანაც ერთი კლდიდან მეორე კლდეზე დიდი ხიდია [გადებული], ერთი ციხიდან მეორემდე ადვილად გადაისვლება. დიდი ციხე მდინარე მტკვრის სამხრეთითაა და პატარა ციხე — ჩრდილოეთით. დიდ ციხეს ველისაკენ მიმართულ მხარეზე აქვს კარი, რომელიც გაყვანილია პატარა ციხისკენ. ამ კარის წინ მტკვარი კედელს ეხეთქება და ისე მიედინება. შვიდი დღის სავალზე ბაქოს ციხესა და ქალაქ გილანს შორის ხაზართა ზღვას ერთვის. სათავეს ჩილდირის ვილაიეთის მთებში იღებს, ყარა-არტაანზე გამოივლის, ახალციხისა და აწყურის ციხეებს ჩაუვლის, თბილისზე გაივლის და ხაზართა ზღვას ერთვის. ძალიან დიდი მდინარეა და ირანელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ მას ათას სამოცამდე შენაკადი აქვს.

ამ მდინარის პირას, ციცაბო კლდეზე ბითლისის მიერ აშენებული დიდი ციხის გარშემო ექვსი ათასი ნაბიჯი დაითვლება, მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყრთაა. სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. ერთი ხიდიანი კარი აქვს. [გალავნის წინ] თხრილი არ აქვს. მდინარე მტკვარს ერთი წყლისთვის განკუთვნილი ხვრელიანი კოშკი გადაჰყურებს. ალყის დროს იქიდან იკლავენ წყურვილს. გალავნის შიგნით ექვსასი მიწით დახურული სახლია. ხანის[1] სასახლე ამ ციხეშია. საკრებულო მიზგითი, ფუნდუკი, აბანო და ბაზარი აქვს.

პატარა ციხე შემდეგ არის აშენებული ეზდიგერდ შაჰის მიერ. ციცაბო გორაკზე დგას. ოთხკუთხა, პატარა ციხეა. ხიდის თავში პატარა კარია. შიდა ციხეში სამასი სახლი და საკრებულო მიზგითია, მაგრამ ბაზარი და სხვა რამ ნაგებობა არაა. ეს ციხე დიდი ციხის ჩრდილოეთით მდებარეობს; თუმცა პატარა ციხე დიდ გალავანზე მტკიცეა. [ციხის] კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე ჰყავს. ყოველ ბნელ ღამეს მცველები „ხოდა ხუბ"-ს[2] გაიძახიან.

მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალთა დროიდან მოყოლებული სუნიტებია და ჰანეფისა და შაფის[3] მოძღვრების მიმდევრები არიან. ულემა[4] ბევრია.

აქ მოჰყავთ ხორბალი; წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი, მისი (თბილისის) ბამბა და ანგორის მატყლი ქებულია. მდინარე მტკვარს მოსავლისათვის სარგებლობა არ მოაქვს; ყველაფერი წვიმის წყალობით მოდის.

რი იყო: ჯარში თუ დასახლებულ პუნქტებში ბოროტმოქმედთა და მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლა, მათი შეპყრობა და დასჯა სუბაშის მოვალეობას შეადგენდა.

[1] მეტეხის ციხეს გულისხმობს ეკლია ჩელები.

[2] ავტორი გულისხმობს მუსტაფა I, რომელიც ორჯერ იყო სულთანი. პირველად — 1617 — 1618 წწ., მეორედ— 1622—1623 წწ.

[1] ე. ი. როსტომ მეფე (1632—1658).

[2] خدا სპარს. „ღმერთი" خوب — სპარს. „კარგი, კეთილი", ე. ი. „კეთილ არს ღმერთი", მაგრამ, აღსანიშნავია, რომ სპარსულში ასეთი გამოთქმა არ არსებობს. იმ დროს თბილისის ციხეში ყიზილბაშები იდგნენ და ოსმალო ეკლია ჩელების ამ სიტყვებში ირონია მოჩანს.

[3] ე. ი. ჰანეფიტები და შაფიტები. აბუ ჰანიფა და იმამი აბუ აბდ-ულ-ლაჰ მოჰამედ ბენ იდრის შაფი მუსლიმანური რელიგიის სექტების დამაარსებლები იყვნენ.

[4] ღვთისმეტყველები.

თუმცა მდინარე მტკვარი თავისი შენაკადებიანად ასორმოცდაათამდე დასახლებულ პუნქტს ჩაუვლის, არც ერთი მათგანისათვის სარგებლობას არ იძლევა. ამიტომ არის, რომ მას „გურ"-ს უწოდებენ[1]. მონღოლურად უსარგებლოს მნიშვნელობით მას „ყურს" უწოდებენ. თუმცა მისი წყალი ძალზე გემრიელია, მაგრამ, რადგანაც დაბალ დონეზე მიმდინარეობს, მაღალ ადგილებს ვერ რწყავს.

მისი (თბილისის) აბანოები ქებული არ არის[2], რადგანაც ქალაქში თბილი წყლებია.

[1] كور—1. „ქურ"—ბრმა, ბნელი; 2. „ვურ"—ქედმაღალი, ამპარტავანი, უკადრისი.

[2] ევლია ჩელების მზედველობაში აქვს ჩვეულებრივი აბანოები.

თ ბ ი ლ ი ს ი ს ც ხ ე ლ ი წ ყ ლ ე ბ ი — დიდი ციხის აღმოსავლეთით ბუნებრივი ცხელი წყალია. წყალი ისეთი ცხელია, რომ შიგ ცხვრის თავ-ფეხი შეიძლება მოიხარშოს. კეთილმოწყობილი სასარგებლო ცხელი წყაროა.

წ მ ი ნ დ ა ნ თ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი — იმამი ჰუსამ ეფენდი, ფერჰად ფაშას ქეთხუდა[1] რიდვან აღა, ჯემ ალი ეფენდი სიბრძნის ოკეანე ყოფილან.

თბილისი კახეთის ციხიდან ხუთი დღის სავალზეა, არსის ციხემდე ოთხი დღის სავალია და განჯის ციხემდე ოთხი დღის სავალია.

(II, გვ. 317 — 318).

[1] მამასახლისი, მოურავი.

ყოფ. გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტი. XIX საუკუნე

ვასილ კოპალიანი

თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წლებში

X — XI საუკუნეთა მიჯნაზე ფეოდალური საქართველო ძირითადად გაერთიანდა, მაგრამ თბილისის საამირო ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოს გარეთ რჩებოდა. ამასთანავე, ბაგრატ III მეფობის (975 — 1014) დროს შემოერთებული ზოგი მხარე ისევ განდგომის მიდრეკილებას იჩენდა და ქვეყნის საბოლოო გაერთიანება ჯერ კიდევ დიდ ბრძოლასა და მსხვერპლს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიური ცხოვრებისა და, შესაბამისად, სოციალური ძალების განვითარება, რომელიც მაშინდელ საქართველოში ხდებოდა, ცენტრალიზაციის სასარგებლოდ მოქმედებდა; პროგრესული ძალები იზრდებოდნენ და ქვეყნის საბოლოო გაერთიანებაც გარდაუვალი ხდებოდა.

XI საუკუნის მთელ მანძილზე მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა საქართველოს პროგრესულსა და რეაქციულ ძალებს შორის: პირველი ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისათვის იბრძოდა, ხოლო მეორე ამის წინააღმდეგ გამოდიოდა და ფეოდალურ პარტიკულარიზმს უწყობდა ხელს. უკანასკნელი უმცირესობას წარმოადგენდა, მაგრამ ხშირად საქართველოს საგარეო მტერს (ბიზანტია) იშველიებდა და მისი წყალობით ზოგჯერ გამარჯვებას აღწევდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას სამეფო ხელისუფლება მეთაურობდა, ხოლო მის მოკავშირედ მაშინ ყველა პროგრესული ძალა გამოდიოდა. მაშინდელი საქართველოს სოციალურ ძალთა განწყობილებას შეგვიძლია მივუყენოთ მარქსისა და ენგელსის განმარტება: „Все революционные элементы, которые образовались под поверхностью феодализма, тяготели к королевской власти, точно так же как королевская власть тяготела к ним. Союз королевской власти и буржуазии ведет свое начало с X века".[1]

ქვეყნის გაერთიანების მომხრე სოციალურ ძალებს შორის, ერთ-ერთ საკმაოდ ძლიერსა და დაინტერესებულ ძალას საქართველოში ვაჭარ-ხელოსნები, ე. წ. „მოქალაქეები" წარმოადგენდნენ. ქ. თბილისის „მოქალაქეთა" თავკაცები, ხშირად, საქართველოს მეფეს თბილისში ეპატიჟებოდნენ და მას ქალაქს სთავაზობდნენ. როგორც ცნობილია, თბილისელებმა ბაგრატ მეოთხეს რამდენჯერმე გადასცეს თბილისი, მაგრამ მეფემ, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეინარჩუნა ის. ხოლო დაახლოებით 70 წლის შემდეგ, როდესაც თბილი-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XVI, ч. I, стр. 458.

სის განთავისუფლებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა, დავით აღმაშენებელი და მისი ლაშქარი თბილისელთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ახლა თბილისელთა ორიენტაცია წინანდელს არ გავდა.

თუმცა თბილისელთა ამ წინააღმდეგობის მიზეზის დადგენა არაერთი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს, მაგრამ ამ საკითხის შესწავლა და ახსნა ცალკე მსჯელობის საგნად ჯერ არავის გაუხდია.

დოც. მ. ლორთქიფანიძეს ამ საკითხზე აკად. ნ. ბერძენიშვილის შემდეგი განცხადება მოაქვს[1]: „ბაგრატ IV დროს, როდესაც „თბილისელი ბერები" მეფეს სთავაზობენ ქალაქს, ქალაქის მოსაქმე საზოგადოებას ამირას ქვეშევრდომობას გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ურჩევნია. დავით აღმაშენებლის დროს თბილისი დამოუკიდებელი ქალაქია, მას მოქალაქეთა გარკვეული წრე მართავს, და მოქალაქეთა ამ „თავებს" მეფის ქვეშევრდომობაში შესვლას თვითმმართველობა ურჩევნია. აგრეთვე, დავით აღმაშენებლის მიერ გაერთიანებული საქართველოსათვის რიგი ქალაქების შემოერთების შემდეგ (მაგ. რუსთავი) ნათელი გახდა, რომ მეფე ზღუდავს ქალაქის თვითმმართველობას. ესეც იწვევს თბილისის ბრძოლას დავითის წინააღმდეგ".

აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ განმარტებასთან დაკავშირებით დოც. მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ „დავითის დროის თბილისის მაგალითი მაინც კერძო შემთხვევაა და საერთოდ ქალაქებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის პრინციპს ვერ ცვლის. ძირითადად საკითხი დგას არჩევანზე მეფესა და ფეოდალებს შორის, არჩევანზე გაერთიანებასა და ფეოდალურ დაქსაქსულობას შორის, და ასეთ შემთხვევაში, გასაგებია, ქალაქები ცენტრალური ხელისუფლების მომხრეებად გამოდიან. თბილისი კი, ამ შემთხვევაში, გამონაკლისია, რადგან აქ არჩევანია თვითმმართველობასა და მეფის ქვეშევრდომობას შორის"[2].

[1] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1955, ტ. I, გვ. 440.

[2] იქვე.

ავტორი აქ XI საუკუნის საქართველოს ქალაქებზე მსჯელობს საერთოდ და, როგორც ვხედავთ, ის თბილისის განსხვავებულ მდგომარეობას აღიარებს. კერძოდ იმას, რომ მხოლოდ თბილისელთა შორის არის არჩევანი „თვითმმართველობასა და მეფის ქვეშევრდომობას შორის", მაგრამ ასეთი რამ მაშინდელი საქართველოს სხვა ქალაქებისათვის დამახასიათებელი არ არის.

ეს არადამახასიათებელი სხვა ქალაქებისათვის კი ის უნდა იყოს, რომ მათ დამოუკიდებელი თვითმმართველობა არა აქვთ და, ამდენად, მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაც არ სჭირდებათ. მართლაც, დღემდე ცნობილი წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოქალაქეთა თვითმმართველობა მხოლოდ თბილისში ჩანს. საქართველოს სხვა ქალაქებისათვის კი ის დამახასიათებელი არ უნდა იყოს; თუმცა იმდროისათვის ცნობილია საკმაოდ ერმრავალი ქალაქები, იქ დიდ-ვაჭრებიც ბევრი იყვნენ და უკანასკნელთა უპირატეს მდგომარეობას მაშინდელი კანონმდებლობაც აღიარებდა[1].

ამასთანავე, მ. ლორთქიფანიძის აზრით, „ანგარიშგასაწევია აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება" იმის შესახებ, რომ თბილისის „მოქალაქეთა" მეთაურებს „მეფის ქვეშევრდომობაში შესვლას თვითმმართველობა ურჩევნია".

იმ მოსაზრების საფუძველს, რომ თბილისის მოქალაქეთა „თავკაცები" თვითონ მართავდნენ ქალაქს და თვითმმართველობის მოსპობის შიშით ეურჩებოდნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას, არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ერთი მეტად საინტერესო ცნობა იძლევა.

ალ-ფარიკი XII საუკუნის მოღვაწე იყო. ის წარმოშობით ქ. მაიაფარიკინიდან ყოფილა. 1153 წ. საქართველოში მოსულა დემეტრე პირველის კარზე და დემეტრესთან ერთად საქართველოს სამეფოს სხვადასხვა მხარეები შემოუვლია. ამავე წელს ალ-ფარიკს დიდგორის ველიც დაუთვალიერებია[2], სადაც 1121 წელს, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, ქართველებმა დიდი ომი გადაიხადეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

[1] ბ ა გ რ ა ტ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ს სამართალი, წიგნში: ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 335.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 39.

ალ-ფარიკს საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის შესახებ ძვირფასი ცნობები შემოუნახავს. ამ რამდენიმე წლის წინათ ალ-ფარიკის ნაშრომიდან ერთი საინტერესო ადგილი ქესრევი თავრიზელს შეუტანია თავისი ვრცელი ნაშრომის „დაკიწყებული ხელმწიფენის" მესამე წიგნში[1]. ამ ცნობაში, რომელსაც დოც. ვლ. ფუთურიძე იხილავს და ქართულად თარგმნის, თბილისის შესახებ შემდეგს ეკითხულობთ:

იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ შეტევა განავითარა, დიდგორის ომიც მოიგო და დღის წესრიგში თბილისის განთავისუფლების საკითხი დადგა, შეშინებულმა „თბილისის ხალხმა ნეჯმ ად-დინ ილღაზისთან (კაცი) გაგზავნა და სთხოვა ჩაებარებია თბილისი, რომელიც ორმოც წელს, დაახლოებით, თვით ხალხის ხელში იყო. მათი (თბილისელების) ხელმწიფეები იყო ჯგუფი ხალხისა, სახელად „ჯაფარის გვარი" (ან „ჯაფარის სახლი"), რომელსაც ორას წელს ეპყრო ბატონობა და შემდეგ მოისპო და გამგებლობა თვით ხალხს ჩაუვარდა ხელში. ყოველ თვე თვითეული (ამ ხალხიდან) იღებდა ხელში (გამგებლობას) და ასე გაატარეს ორმოცი წელიწადი"[2].

აღნიშნული ცნობიდან, ბუნებრივია, მკვლევარი იმ დასკვნას გააკეთებს, რომ 40 წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის მქონე თბილისი, აქაურ „მოქალაქეთა" „თავკაცების" მეთაურობით, მეფის ხელისუფლების თბილისზე გავრცელების წინააღმდეგ იბრძოდა, თვითმმართველობის გაუქმების ეშინოდა და თავს იცავდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილი, როგორც გავეცანით, თბილისელთა ორიენტაციის შეცვლის მიზეზს იმაში ხედავს, რომ როდესაც თბილისში ამირა ბატონობდა, აქაურ „მოსაქმე საზოგადოებას" მაშინ საქართველოს მეფის ქვეშევრდომობა ერჩია. დავით აღმაშენებლის დროს კი თბილისი დამოუკიდებელი ქალაქი იყო და „მოქალაქეთა" თავკაცებს მეფის ქვეშევრდომობაში შესვლა აღარ სურდათ, დამოუკიდებლობა ერჩიათ.

[1] ვლ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, № XIII, 1942, გვ. 139.

[2] იქვე, გვ. 139—140.

ამრიგად, ამ მეტად ანგარიშგასაწევი მოსაზრების თანახმად, თბილისის მოსაქმე საზოგადოება და მათი „თავკაცები" ქმნიდნენ იმ ძალას, რომელმაც ძლიერი ბრძოლა გაუმართა თბილისის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ XII საუკუნის 20-ანი წლების თბილისში ქალაქი-კომუნის მსგავს წყობილებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ცნობილია, რომ საქალაქო კომუნები პირველად XI — XII საუკუნეებში ყალიბდებიან დასავლეთ ევროპის გარკვეულ ქვეყნებში. ისინი მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიქმნენ და ამ ბრძოლაში მხარდაჭერას სამეფო ხელისუფლებისაგან ღებულობდნენ. უკანასკნელს საკუთარი ინტერესები უკარნახებდა დახმარებოდა ქალაქს მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საქალაქო კომუნების თვითმმართველობაში სამეფო ხელისუფლების ჩარევა და ამ კომუნების თვითმმართველობათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლა მხოლოდ XIII საუკუნიდან იწყება დასავლეთ ევროპაში.

ჩვენ სრულებითაც არ მიგვაჩნია გამორიცხულად, რომ ის, რაც ევროპაში XIII საუკუნიდან დაიწყო, საქალაქო კომუნების წინააღმდეგ მეფის ხელისუფლების ბრძოლის სახით, საქართველოში ერთი საუკუნით ადრე მომხდარიყო. მაშინდელი საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და სოციალური ცხოვრების სურათი ამ მოსაზრების წამოყენებას სრულიად შესაძლებელს ხდის. მაგრამ პროფ. შ. მესხიას საფუძვლიანი მტკიცებით, გარკვეული მიზეზების გამო „В Грузии X—XIII и последующих веков не образовались „города—республики" типа средневековых комун."[1] ამრიგად, „მოქალაქეთა" ის თვითმმართველობა, რომელიც XII საუკუნის 20-ან წლებამდე თბილისში არსებობდა, „ქალაქი-კომუნა" არ იყო. ამიტომ მას „ქალაქი-კომუნისათვის" დამახასიათებელი საკუთარი თავდაცვის ორგანიზაციაც არ უნდა ჰქონოდა.

თუმცა, ალ-ფარიკის მეტად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ 40 წლის განმავლობაში თვით

[1] Ш. А. Месхия, Из истории грузинского феодального города X—XIII вв., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956, გვ. 146.

ხალხი მართავდა თბილისს და ყოველთვე თითოეული ამ ხალხთაგანი იღებდა ხელში გამგებლობას, ყველაფრის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. კერძოდ, ამ ცნობიდან არ ჩანს მაშინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა დროებით თბილისის „მოქალაქეთა" დამოუკიდებლობა თუ ქალაქისა და საქალაქო წყობილების განვითარების გარკვეული საფეხურის ბუნებრივი შედეგი იყო იგი. მაგრამ თუ ალ-ფარიკის ცნობას XI — XII საუკუნეების თბილისის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ამსახველ სხვა წყაროებთან მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ ის მეტად საგულისხმო და ანგარიშგასაწევ ცნობად წარმოგვიდგება.

მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ „ქონებით აღზევებულნი", „უაზნოთა" წარმომადგენლები დიდ - როლს ასრულებდნენ XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. თბილისის „ერთი მკვდრთაგანი დიდ-ვაჭარი სახელით ზანქარ ზორაბაბელ"[1], ისტორიკოსის სიტყვით, არა „ღირსი საქმისა"[2] იყო, მაგრამ მან თამარის საქმროს ჩამოყვანა იკისრა შორეული ქვეყნიდან და შეასრულა კიდეც. ის, მაშინდელი გაგებით, შისი „უგუარობის" გამო იყო არა „ღირსი საქმისა", მაგრამ ცხოვრების სინამდვილე, ქვეყნის პოლიტიკურ საკითხებში მის ჩარევას საჭიროდ ხდიდა.

იგივე ითქმის ცნობილ აბულასანზე, რომელიც, ჩანს, „მამულობითი" „გუარიანთა" ჯგუფს არ ეკუთვნოდა. ის იყო „მკვდრთაგან ტფილისისათა, თავადი და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა-ჴელდასხმული, ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ"[3]. აბულასანი, თბილისის ეს მკვიდრთაგანი, სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული და ქონებით აღზევებული ყოფილა. ალბათ, თავისი ამ მდგომარეობის შედეგად იცის მან, თუ რა ხდება შორეულ ქვეყნებში, კერძოდ, მაშინდელ რუსეთში. თამარის საქმროს ძებნის დროს, აბულასანის წინადადება საკითხს გადაწყვეტს და „ექსორია ქმნილ" რუს უფლისწულს თამარს ქმრად მოჰგვრიან[4], უკანასკნელის სურვილის წინააღმდეგ.

[1] ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, 1941, გვ. 81.

[2] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 16.

[3] ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, გვ. 81.

[4] იქვე.

დიდ-ვაჭრებისა და „ქონებით აღზევებული" პირების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, ისე როგორც ამ რანგის ადამიანების წარმოშობა, ქვეყნის სამეურნეო და სოციალური ცხოვრების განვითარების ხანგრძლივი პროცესის, პირველ ყოვლისა კი საქალაქო ცხოვრების დაწინაურების შედეგი იყო.

ახალი, პროგრესული, სოციალური ძალების იდეოლოგიური ბრძოლის გამოვლინება არის საძიებელი იმ დიდ მოვლენაში, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის სახითაა ცნობილი. ეს მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერჯერობით შეუსწავლელი მოვლენა „მოქალაქეთა" მიერ ადრე დაწყებული პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების ნიშნებს ატარებს. ამ დასის ბელადიც ქალაქის „მოსაქმე" და „ქონებით აღზევებულ" პირებთან, ე. ი. მსხვილ ვაჭრებთან და ფინანსისტებთან ახლო მდგომი ჩანს[1]. საქართველოს ისტორიის მკვლევართა სამართლიანი მოსაზრებით, ყუთლუ-არსლანმა სიმდიდრის წყალობით მიაღწია მწიგნობართუხუცესის თანამდებობას.

თბილისის „მოქალაქეთა" თვითმმართველობის არსებობა დადასტურებული ფაქტია და მოსაზრებას ამ თვითმმართველობის დაცვისათვის ბრძოლის შესახებ სათანადო საფუძველი გააჩნია. მაგრამ ასახსნელი რჩება საკითხი იმის შესახებ, რატომ მაინცდამაინც თურქთა მბრძანებელს სთავაზობენ თბილისელები ქალაქს? განა ის არ ჩაერეოდა „მოქალაქეთა" თვითმმართველობის საქმეში?

ალ-ფარიკის ზემოთ მოტანილი ცნობის თანახმად, თბილისელები ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზს მარტო დახმარებას კი არ სთხოვენ, არამედ ქალაქსაც სთავაზობენ. ვინ იყო ის ხალხი, ვინც თურქთა მბრძანებელს თბილისი შესთავაზა? ალ-ფარიკის ცნობიდან ისე გამოდის, რომ ეს იგივე ხალხია, რომელთა ხელში მორიგეობით გადადიოდა თბილისის მმართველობა.

ჩვენ არა გვგონია, რომ ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი, ან მის მიერ თბილისის მმართველად დანიშნული პირი, თვითმმართველობის შენარჩუნება-გაუქმების თვალსაზრისით, იმაზე უფრო კარგს უქადდა თბილისელებს, რასაც საქართველოს მეფე მიუტანდა მათ. ეს გარემოება რა თქმა უნდა თბილისელებ-

[1] Ш. Месхия, დასახელებული შრომა, გვ. 151.

საც კარგად უნდა სცოდნოდათ. მაგრამ მაინც მას, თურქთა მებრძანებელს, სთავაზობდნენ ქალაქს.

გამოდის, რომ თბილისელები ამ მოქმედებით საკუთარ პრინციპს ღალატობდნენ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეს ხალხი თურქთა სულტანს ქალაქს სთავაზობდა და ამით ძირითადი მიზნების წინააღმდეგ მოქმედებდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქთა სულტნისადმი თბილისელთა მიერ ქალაქის გადაცემის გადაწყვეტილება თბილისის „მოქალაქეთა" საბოლოო მიზანი კი არ იყო, არამედ პოლიტიკური ვითარებით გაპირობებული დროებითი ღონისძიება. ხოლო ამ მოქმედების, ისე როგორც საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის, ორგანიზატორები თბილისში მყოფი მაჰმადიანები იყვნენ.

თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში თავისებური იყო. ამიტომ მისი ვითარება XII საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის ბევრი სხვა ქალაქის მდგომარეობისაგან განსხვავდებოდა. ამ მხრივ საყურადღებო იქნებოდა ქ. ანისთან თბილისის შედარება.

საქართველოსა და სომხეთის ქალაქები განვითარების ერთნაირი გზითა და დონით ხასიათდებოდნენ. XI საუკუნეში, ისე როგორც საქართველოს (თბილისის გამოკლებით, რომელიც ჯერ კიდევ უცხო დამპყრობის, ამირას ხელში იყო), სომხეთის ქალაქებიც მეფისა ან დიდი აზნაურების კუთვნილებას შეადგენდნენ და ყოველ ქალაქს მეფისა ან დიდი აზნაურის მიერ დანიშნული პირი მართავდა[1]. „მოქალაქეთა" პოლიტიკური ორიენტაცია, განსაკუთრებით თბილისისა და ანისის ვაჭარ-ხელოსნებისა XI საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე ერთნაირი იყო. ისინი მეფეს უჭერდნენ მხარს. გავიხსენოთ 1045 წელი, როდესაც ანისისა და თბილისის მოქალაქეთა „თავკაცებმა" დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გადასცეს ეს ქალაქები საქართველოს მეფეს ბაგრატს[2].

მაგრამ თბილისელთა და ანისელთა პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეული მომენტიდან სხვადასხვანაირი გახდა და პოლიტიკური ორიენტაციის წინანდელ გზაზე, XII საუკუნის 20-ან წლებში, მხოლოდ ანისი დარჩა. ცნობილია, რომ 1124 წლის „აგვისტოსსა ოცსა" თრიალეთში მყოფ დავით აღმაშენებელთან „მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაკვლინეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა"[1] დავითს.

საქართველოს მეფემ ანისელებს თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულა: „მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჴედარი წინაშე უდგა. წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უპირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი"[2].

ქართველების მიერ ანისისა და მისი რაიონების ასე სწრაფად და „უპირველად" აღება საერთოდ სომეხთა და, პირველ რიგში, ანელთა აქტიური მხარდაჭერის შედეგი იყო. მაშ როგორღა უნდა ავხსნათ ჩვენ თბილისის „მოქალაქეთა" მოქმედება? თუ ერთ დროს ანისისა და თბილისის „მოქალაქეთა" პოლიტიკური ორიენტაცია ერთი და იგივე იყო, რა მოხდა შემდეგ ისეთი, რამაც მათი სხვადასხვა ორიენტაცია გამოიწვია? ეს გარემოება ამ ორი ქალაქის არა სოციალური შემადგენლობის სხვაობით უნდა აიხსნას, არამედ გარკვეული პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული მოვლენა უნდა იყოს.

არაბთა ბატონობის დამთავრების შემდეგ ქალაქი ანისი სომხეთის ერთ-ერთი ძლიერი სამეფოს რეზიდენციას წარმოადგენდა (961 — 1045 წწ.). ამ დროის განმავლობაში მაჰმადიანთა ბატონობისაგან თავისუფალი იყო და XI საუკუნის ორმოციან წლებამდე უცხოელთა გავლენას ნაკლებად განიცდიდა. ამიერიდან, როგორც ცნობილია, ბიზანტიამ მოუღო ბოლო ანისის სამეფოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ბიზანტიელთა ბატონობას, რომელიც ოცდაოთხ წლის განმავლობაში გაგრძელდა ანისში, ამ ქალაქში უცხო ტომის მომრავლება დიდად არ გამოუწვევია. არაბთა ბატონობის შემდეგ უცხო დამპყრობთა იქ მომრავლება და სომეხი მოსახლე-

[1] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, 1930, გვ. 164. შდრ. Ш. А. Месхия, დასახელებული შრომა, გვ. 143, 152.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 299.

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 344.

[2] იქვე. გვ. 344—345.

ობისათვის დიდი საფრთხე თურქ-სელჯუკთა გაბატონების შემდეგ იწყება სომხეთში.

რაც შეეხება თბილისს, XII საუკუნის 20-ან წლებში, მისი პოლიტიკური მდგომარეობა ანისის პოლიტიკური მდგომარეობისაგან განსხვავდებოდა. მართალია, არაბთა ბატონობის ხანაში და მომდევნო წლებშიაც სომხეთის ქალაქებმა არანაკლები რბევა განიცადეს ვიდრე თბილისმა, მაგრამ XI საუკუნის 60-ან წლებამდე ქ. ანისის ეკონომიური ცხოვრების მამოძრავებელ ძალად მაინც სომხური მოსახლეობა რჩებოდა. თბილისში კი VIII საუკუნის I ნახევრიდან დაწყებული ვიდრე XI საუკუნის 80-ან წლებამდე, განუწყვეტლივ უცხო დამპყრობი, მაჰმადიანი მმართველი იჯდა, რასაც არ შეიძლებოდა მაჰმადიანური მოსახლეობის აქ მომრავლებისათვის ხელი არ შეეწყო. თურქ-სელჯუკთა მოსვლამ და გაბატონებამ კიდევ უფრო გაზარდა მაჰმადიანების რიცხვი თბილისში.

XII საუკუნის 20-ან წლებში, როდესაც დამპყრობ თურქ-მაჰმადიანებსა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს შორის ბრძოლა გაჩაღდა, თვითმმართველობის შენარჩუნებით დაინტერესებულ თბილისის მოსახლეობას დამოუკიდებლად მოქმედება, თუნდაც თვითმმართველობის დასაცავად, აღარ შეეძლო, ის ან ერთს, ან მეორე მხარეს უნდა მიმხრობოდა და, ვინაიდან თბილისის გავლენიან ვაჭართა შორის მაჰმადიანები სჭარბობდნენ, ორიენტაცია არა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაკენ, არამედ თურქთა სულტნისაკენ აიღეს. ისინი ახლა თბილისში მოკალათებულ სელჯუკებს შეუერთდნენ.

ანისის სომხური მოსახლეობა კი, რომელიც თვითონ არ იყო თავისი ქალაქის ბატონ-პატრონი, არამედ სულტნის მიერ ხელისუფლებაგანმტკიცებული მაჰმადიანი მმართველის უღლის ქვეშ იმყოფებოდა, დიდ შევიწროებას განიცდიდა. მაგრამ თავისი უშუალო შემავიწროებლის წინააღმდეგ ბრძოლაში ის თურქთა სულტნის სახით მფარველს ვერ მონახავდა და, გასაგებია, მის ბუნებრივ მოკავშირედ ქართველი ხალხი და საქართველოს სამეფო ხელისუფლება რჩებოდა.

გარდა ამისა, სომხეთის მიწა-წყლის მფლობელი ფეოდალური არისტოკრატია, რომლის წინააღმდეგ ანისის ვაჭრები და ხელოსნები იბრძოდნენ, ძირითადად თურქულ-მაჰმადიანური ელემენტებისაგან შედგებოდა. ამიტომ იყო, რომ მაშინდელ სომხეთში „Выступления купцов и ремесленников города против феодальной эксплуатации, за городские вольности приобретали характер освободительной борьбы против владычества иноземных завоевателей—турок—сельджуков".[1] ამ ბრძოლაში მოიშველია სომეხმა მოსახლეობამ ქართველი ხალხი და თავი გაინთავისუფლა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ქ. თბილისის „მოქალაქეებზე", როდესაც ისინი საქართველოს მეფის ხელისუფლებას წინააღმდეგობას უწევდნენ, ადრე განთავისუფლებული ქალაქების (ვთქვათ რუსთავის) მაგალითი მოქმედებდა. არ გაგვაჩნია საბუთი იმის შესახებ, რომ ქალაქებს — რუსთავს, სამშვილდეს ან გიშს, რომლებიც თბილისზე უფრო ადრე გაანთავისუფლა დავითმა, თვითმმართველობა გააჩნდათ. „В памятниках XI в. „старцы города" встречаются только в Тбилиси и Ани".[2] მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილისისა და ანისის მოქალაქეებისათვის მაშინ საერთოდ უცნობი იყო სამეფო ხელისუფლების მიერ ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტი. „მოქალაქეთა" მაშინდელი გარკვეული ფენის წარმომადგენლებისათვის ამ საკითხზე ბიზანტიის იმპერატორების მოქმედება მაინც უნდა ყოფილიყო ცნობილი. იქ ხომ ადრე დაიწყეს იმპერატორებმა ბრძოლა მუნიციპალური მმართველობის (და არა კომუნის, რომელიც უფრო გვიანდელი მოვლენაა) წინააღმდეგ. ამ მმართველობას ლეონ VI (886 — 912) ჩასცა უკანასკნელი მახვილი და გააუქმა ის[3].

ბიზანტიაში ქალაქების მიმართ იმპერატორების ასეთი დამოკიდებულების შესაძლებლობას იქაური პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალური ძალების განწყობილება ქმნიდა. მაგრამ საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ სამეფო ხელისუფლებისა და მოქალაქეთა კავშირი ორთავე მხარისათვის საჭირო იყო. მათ შორის კონფლიქტის ჩამოგდება,

---

[1] С. Еремян, Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма, Вопросы истории, 1951, № 7, გვ. 69.

[2] Ш. Месхия, დასახელებული ნაშრომი, გვ. 159.

[3] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 238; შდრ., М. В. Левченко, История Византии, 1940, გვ. 188—189.

XII საუკუნის დასაწყისშიაც კი, არც ერთი მხარისათვის ხელსაყრელი არ იყო. გამონაკლისს აქ. ისიც მხოლოდ XI საუკუნის 80-ანი წლებიდან, ქ. თბილისი წარმოადგენდა. ეს ქალაქი ამ დროიდან დამოუკიდებელი იყო, საკუთარი თვითმმართველობა გააჩნდა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდა. მაგრამ XII საუკუნის 20-ანი წლებიდან ქ. თბილისის თვითმმართველობას ვეღარ ვხედავთ. ჩანს, თბილისელთა მოლოდინი გამართლდა, „მოქალაქეთა" თვითმმართველობა მართლაც გააუქმა დავით აღმაშენებელმა და „во главе города поставил своего чиновника".[1]

* * *

თბილისის საამირო პოლიტიკურად ადრე ჩამოსცილდა სახალიფოს ცენტრს. ის, რომელიც ჯერ კიდევ IX საუკუნის ორმოციანი წლებიდან სახალიფოსაგან განდგომის ტენდენციებს იჩენდა, მალე სრულიად დამოუკიდებელი გახდა. ამიერიდან ქართველმა ფეოდალებმა „კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება დაიწყეს საამიროსთან"[2].

თბილისელი მაჰმადიანები, რომლებიც არც ისე მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყვნენ, X — XI საუკუნეებში თავს თბილისის მკვიდრად გრძნობდნენ და სამხრეთიდან რაიმე მხარდაჭერას აღარ საჭიროებდნენ; ასეთ მხარდაჭერას ისინი უკვე გადაჩვეულიც იყვნენ.

საქართველოს სამეფო-სამთავროთა რკალში მოქცეული თბილისის საამირო, სინამდვილეში, ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუერთიანებელი მაშინდელი საქართველოს ერთ-ერთ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა. თბილისის ამირა, და არა „მოქალაქეთა" ფართო მასა, საქართველოს მოსაზღვრე საამიროებისა და, საერთოდ, მაჰმადიანური სამყაროსაკენ მაშინ იხედებოდა, როდესაც საქართველოს სამეფო ხელისუფლება თბილისის გასათავისუფლებლად ბრძოლას დაიწყებდა.

თბილისის ამირას ინტერესები, ისე როგორც საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის მაღალი წრის ზოგიერთი წარმომადგენლის ინტერესები, სრულიად არ თანაემთხვეოდა თბილისის „მოქალაქეთა" ფართო მასების ინტერესებს. სულ ერთია მაჰმადიანი იყო ის თუ ქართველი ქრისტიანი, გარკვეულ დრომდე, ყველა მეფის ხელისუფლების ქვეშევრდომობას ამჯობინებდა და ერთი მიზნისათვის ზრუნავდა.

სრულიად მართალი უნდა იყოს აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ „მოქალაქეთა შორის მაჰმადიანნი სჭარბობდნენ", მაგრამ „მაინც რაც უნდა იყოს XI საუკუნეში თბილისის მკვიდრნი ქართველ მეფისაკენ იწევდნენო"[1].

საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ თბილისის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ამ ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები და მათი თავკაცები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფეოდალური არისტოკრატიის მდგომარეობამდე მისულ ზოგიერთ დიდ-ვაჭარს, ყოველთვის მეფის მხარეზე იყვნენ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც თითქოს მთელი თბილისი იბრძოდა იმისათვის, რომ თავი დაეცვა საქართველოს მეფის ხელისუფლების შეტევისაგან, ეს 1038 — 1039 წლების ამბებია. მაშინ ბაგრატ IV კახთა დახმარებით ორი წლის განმავლობაში იბრძოდა თბილისის ასაღებად. მაგრამ თუ ამის შესახებ არსებულ ცნობას ჩაეუკვირდებით, ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიაც პირველ რიგში „მოქალაქეთა" მასამ აიღო ხელი ბრძოლაზე და გადაწყვიტა საქართველოს მეფისათვის ჩაებარებია ქალაქი. „მატიანე ქართლისაჲს" ავტორის ცნობით სწორედ „მოქალაქეთა" („ტფილელთა") ფართო მასებმა „განიზრახეს მოცემა ტფილისისა"[2].

მაგრამ მოქალაქეთა ამ სურვილსა და განზრახვას სრულებითაც არ თანაემთხვეოდა ამირასა და მისი ამალის ინტერესები. ამიტომ იყო რომ ამირა „შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემზადა ტიები და ნავები ღამით წარსველად განძას"[3].

მომდევნო წლებში თბილისის „მოქალაქეები" და მათი „თავკაცები" დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ თბილისი საქართველოს მეფეს ჩაებარებია. 1045 წელს, როდესაც „მის ჟამისა პირველ მომკუ-

[1] Ш. Месхия, დასახელებული შრომა, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 133.

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 29.
[2] ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 297.
[3] იქვე.

დარ. იყო ტფილელი ამირა ჯაფარ"[1], სასწრაფოდ ვაჯლენ „ტფილელნი ბერნი"[2] აფხაზეთში მყოფ ბაგრატ IV, მოიწვიეს ის თბილისში და ამირას სასახლე ჩააბარეს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბევრი რამ არის საფიქრებელი: ან ამირას ტახტის ვიღაც ახალ პრეტენდენტს გაურბიან „ტფილელნი" და მათი „თავკაცები", ან ფეოდალური არისტოკრატიის იმ რეაქციული ელემენტების გამარჯვება არ სურთ, რომლებმაც შემდეგ ბრძოლა გაუმართეს ბაგრატს თბილისში: „ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი"[3] მეფეს. მაგრამ ერთი რამ მაინც გასაგებია: თბილისის „მოქალაქეები" და მათი თვითმმართველობის წევრები დამოუკიდებლობისათვის კი არ იბრძოდნენ მაშინ, არამედ მეფის ხელისუფლებისაკენ მიიწევდნენ, მის ქვეშევრდომობას ამჯობინებდნენ და ამირასა და ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობის ქვეშ ყოფნას გაურბოდნენ. XI საუკუნის მთელ მანძილზე ამ ტენდენციას იჩენდნენ თბილისის „მოქალაქეები". ამავე საუკუნის 80-ანი წლებიდან კი თბილისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და ამიერიდან მის დაცვა-შენარჩუნებასლა ცდილობდა. მაგრამ XII საუკუნის 20-ან წლებში, თავიანთი მიზნების წინააღმდეგ, აღნიშნული „მოქალაქეები" თურქთა სულთანს ეპატიჟებოდნენ თბილისში.

როგორც ვთქვით, მაშინდელ თბილისში მაჰმადიანური მოსახლეობის რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ამაზე ის გარემოებაც მიგვითითებს, რომ თბილისის მაჰმადიან მოსახლეობას თავისი მოსამართლე ჰყოლია. კიდევ მეტი, თუ არაბ ისტორიკოსს იბნ ალ-ასირს დავუჯერებთ, მთელი ქალაქის მოსამართლე თითქოს ყადი იყო. რა თქმა უნდა, ყადი თბილისის ქართველ, სომეხ და ებრაელ მოსახლეობის მოსამართლედ არ გამოდგებოდა და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ის „მხოლოდ მაჰმადიან მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა"[4]. მაგრამ იბნ ალ-ასირის ცნობა მაინც თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობის სიმრავლეზე მიგვითითებს.

[1] ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 297.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 299—300.
[4] საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 26.

თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობა, როგორც ნათქვამი იყო, აქტიურად ჩაება აღებ-მიცემობაში და ქალაქ თბილისს სწორედ ამ ვაჭრობის გზით უნდა ჰქონოდა დიდი შემოსავალი. გავიხსენოთ, რომ ბაგრატ IV მის მიერ თბილისის ამირად მოწვეულ სითილ არაბს „ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანის"[1] გადახდა დააკისრა ყოველწლიურად.

აღნიშნული თანხა საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ გარდა ამ ხარკისა, ამირას სხვაც ბევრი გასავალი ჰქონდა და ყოველივე ეს, ძირითადად, ქალაქ თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობიდან მიღებულ შემოსავალს უნდა დაეკმაყოფილებინა. აქ თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობა უსათუოდ დიდ როლს ასრულებდა. ის ვაჭრობა-ხელოსნობაში აქტიურად მონაწილეობდა და, ისე როგორც თბილისის სხვა მკვიდრ მოსახლეობას, თურქ-მაჰმადიანებსაც, საქართველოს მეფის ხელისუფლებისაკენ ორიენტაციას ეკონომიური ინტერესები უკარნახებდა. მაგრამ მომდევნო წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ქართველებისა და თურქ-მაჰმადიანების ურთიერთობა მკვეთრად შეცვალა.

ჩვენ აქ სრულებითაც არ გვაქვს განზრახული მაშინდელი თბილისის სოციალური სახე წარმოვაჩინოთ, ან სოციალური ხასიათის ბრძოლებზე და მის გამაპირობებელ მიზეზებზე ვისაუბროთ. ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ გვინდა გავარკვიოთ მხოლოდ ერთი საკითხი: როდესაც ურთიერთშორის მებრძოლთა ერთ-ერთ მხარეზე თბილისელთა გამოსვლა აუცილებელი გახდა, რატომ აირჩიეს თბილისელებმა ორიენტაცია თურქთა სულთნისადმი?

* * *

XI საუკუნის 40-ან წლებში წინა აზიას ოღუზთა მოდგმის თურქთა ერთი შტო შემოესია. ამ თურქებს სელჯუკთა საგვარეულო მეთაურობდა და ამიტომ მათ, როგორც ცნობილია, თურქ-სელჯუკებს უწოდებენ. ისინი მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ და ბევრ ქვეყანას გამანადგურებლად მოეევლინენ.

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი გვარწმუნებს, რომ ისე როგორც მონღოლებს, თურქ-სელჯუკებ-

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 312.

საც უნდა მოეხსნას ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ისინი მხოლოდ ანადგურებდნენ ქრისტიანი ხალხების კულტურას[1]. ხოლო ზოგიერთიც გვიმტკიცებს, რომ სელჯუკთა ბატონობის დროს არა მარტო ფეოდალური ურთიერთობა გაღრმავდა და განვითარდა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ ხელოვნებამაც მაღალ საფეხურს მიაღწია.

როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოების განვითარება არასდროს არ ყოფილა გაყინული ერთ წერტილზე და, ამდენად, თურქ-სელჯუკთა ბატონობის ხანაშიც მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაჯისცემა არ შეწყვეტილა; სელჯუკიანთა გაბატონებამ გარკვეული ქვეყნების ურთიერთკავშირსაც რამდენადმე ხელი შეუწყო. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ის აზრი, თითქოს ისინი საერთოდ სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის განმავითარებლად მოევლინენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებს.

თურქ-სელჯუკები მრავალი, მათთან შედარებით განვითარებული ქვეყნის შემდგომი წინსვლის ბორკილად იქცნენ. მათმა არაერთგზის სუსხიანმა ლაშქრობამ მიწასთან გაასწორა და გაანადგურა კულტურისა და აღებ-მიცემობის ბევრი ცენტრი. განა შეიძლება ისეთი ძალა პროგრესის მომტანად ჩავთვალოთ, რომელიც ერთს აშენებს, მაგრამ სამაგიეროდ ათასს ანადგურებს? თურქ-სელჯუკებს მათ მიერ დაპყრობილი არც ერთი ქვეყნისათვის, და, რა თქმა უნდა, მათ შორის ამიერკავკასიის ქვეყნებისათვისაც არ მოუტანიათ რაიმე სიკეთე.

სხვა ქვეყნების მიმართ რომ არაფერი ვთქვათ, თურქ-სელჯუკებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს მეზობელ სომხეთს, რასაც საქართველოსთვისაც დიდი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა. სელჯუკიანთა პირველმა სამმა ბარბაროსულმა ლაშქრობამ (1048, 1049 და 1054 წწ.) სომხეთში მიწასთან გაასწორა ბევრი ცნობილი ქალაქი. ამ ლაშქრობებს თან სდევდა აგრეთვე შშვიდობიანი მოსახლეობის უდიდესი ფიზიკური მსხვერპლი, გაღატაკება და გაუბედურება. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არისტარქეს ლასტივერტელი წერს, რომ ზედიზედ სამი ლაშქრობის შედეგად სელჯუკებმა გააჩანაგეს სომხეთი, მთლიანად მოსპეს ცოცხალი საქონელი და უკაცრიელი გახადეს ქვეყანა[1].

სომხეთის ისტორიის მკვლევართა დასკვნით, „Во время сельджукских нашествий Армения подверглась страшным опустошениям, население ее уничтожалось или же переселялось в другие страны, а его имущество расхищалось пришельцами... Остановилась жизнь, были разрушены многие богатые города с многолюдным населением (Ани, Арци, Маназкерт и др.). Приостановилась торговля, разрушались промышленность и сельское хозяйство, экономическая жизнь страны переживала упадок“.[2]

ვაჭრები და ხელოსნები, რომლებმაც თურქ-სელჯუკთა თავდასხმების დროს გაქცევით ვერ უშველეს თავს, ფიზიკურად იქნენ განადგურებული[3]. თურქ-სელჯუკთა გაბატონების შედეგად ძლიერ დაზარალდნენ აგრეთვე სომეხი ფეოდალები. დაიპყრეს რა სომხეთი, „Сельджукские султаны всю её землю поделили между своими военачальниками, которые получили эти владения в качестве военных ленов“.[4]

დამპყრობლებმა სომხეთში ისე ძლიერ მოიდგეს ფეხი, რომ „Класс феодалов был в значительной мере представлен иноземными завоевателями тюркского и курдского происхождения, которые рассматривали местное трудовое население как парпев“.[5]

სომხეთში, ისე როგორც აზერბაიჯანში, იმდენად გაბატონდნენ სელჯუკები, რომ თურქმანთა ამ ძალამ სომხურ ეროვნებას გადაგვარების საფრთხე შეუქმნა. მაგრამ მარტო ამიერკავკასიასა და მეზობელ ქვეყნებს როდი მიაყენეს დამპყრობლებმა ზიანი. თურქ მომთაბარეთა არისტოკრატიამ პირველყოვლისა ირანელ ფეოდალებს ჩასცა ძლიერი მახვილი, გაბატონდა მათზე და დიდად დააზარალა როგორც მიწათმფლობელთა საზოგადოება, ისე

[1] Вл. Гордлевский, Государство сельджукидов Малой Азии, АН СССР, М.—Л., 1941, გვ. 21.

[1] История армянского народа, I, 1944, გვ. 167.

[2] იქვე, გვ. 169.

[3] С. Еремян, Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма, Вопросы истории, 1951, № 7, გვ. 62.

[4] იქვე.

[5] იქვე.

განსაკუთრებით მწარმოებელი საზოგადოება. დოც. ვ. გაბაშვილის სამართლიანი განმარტებით, „ამავე მიზნით მოდიოდნენ ისინი სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში"[1].

მომთაბარე თურქ-სელჯუკები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ დაპყრობილ ხალხთა კულტურულ მეურნეობას. ამ გარემოებას სელჯუკთა მმართველი წრეებიც, სახელმწიფოს ცალკეული მოღვაწეებიც, კარგად გრძნობდნენ და ცდილობდნენ ირანის ცენტრალური რაიონებისათვის თავიდან აეცილებინათ მომთაბარე თურქთა მოქმედების შედეგი.

თურქ-სელჯუკთა ვრცელი სახელმწიფო, ამ სახელმწიფოს სათავეში მყოფ სელჯუკთა საგვარეულოს ბატონობის შენარჩუნება, ძლიერსა და მრავალრიცხოვან ლაშქარს მოითხოვდა. ერთგული მრჩევლები სულთნებს ნიადაგ უჩიჩინებდნენ, ჩვენი მტერია ყველა, ვინც ლაშქრის რიცხობრივ შემცირებას გვირჩევს და, პირიქით, მრავალ ქვეყანაზე ბატონობის გავრცელება-შენარჩუნება ლაშქართა სიმრავლეზე არის დამოკიდებულიო[2].

სამხედრო ძალა, რომლის ძლიერებაზე სელჯუკთა ბატონობა იყო დამყარებული, ძირითადად მომთაბარე თურქ-სელჯუკებისაგან შედგებოდა. ამდენად, ამ ძალას მმართველი დინასტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ეს უკანასკნელნი იმასაც გრძნობდნენ, რომ მაშინდელი ირანის „წარმოება-მეურნეობას, სამიწათმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, მომთაბარე თურქ-სელჯუკების პრიმიტიული მეურნეობა (მეჯოგეობა)"[3] განადგურებას უქადდა. ამიტომ, ისინი იძულებული იყვნენ ამ მომთაბარე თურქების ირანიდან განსახლებაზე ეფიქრათ.

ცნობილია, რომ სელჯუკიანი სულთნების ვაზირთა შორის ყველაზე ჭკვიანი, განათლებული და შორსმჭვრეტელი ალპ-არსლანის (1067—1072) და შემდეგ მალიქ-შაჰის (1072 — 1092) ვაზირი ნიზამ ალ-მულქი იყო. ის თავის „სიასეტ-ნამეში" აშკარად გამოთქვამდა სელჯუკთა, ამ მმართველი დინასტიის, მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თურქმანთა ძირითადი მასა ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე ჰყოლოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედებით გამოწვეულ დავიდარაბას ირანში თავიდან ვერ ავიცდენთო[1].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თურქ-სელჯუკთა მმართველი წრეები საქართველოსა და მისი საზღვრებისაკენ მოერეკებოდნენ თურქმანთა ბრბოებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს ძალა გამანადგურებლად მოევლინა ამიერკავკასიას. თუმცა, ამ დამპყრობლებმა სომხეთში რამდენადმე უფრო ადრე შემოდგეს ფეხი, ვიდრე საქართველოში, დამკვიდრებაც შეძლეს იქ და მათი ბატონობის შედეგიც უფრო მძიმე აღმოჩნდა სომხეთისათვის, მაგრამ მძარცველებმა საქართველოსაც დიდი უბედურება მოუტანეს.

საქართველოზე პირველი თავდასხმა, როგორც ცნობილია, 1065 წელს მოაწყეს თურქებმა. დიდად დააზარალეს მესხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონები და ჯავახეთის ახალქალაქს დაესხნენ თავს. „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი, — მოგვითხრობს „მატიანე ქართლისაჲ" ავტორი, — ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე"[2].

გაუმაგრებელი ქალაქის დამცველმა ქართველებმა ზღუდის გარეთ ამჯობინეს ბრძოლის გადმოტანა; „აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი და შეებნეს ძლიერად"[3] თავდამსხმელებს. ქართველებმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არ დაუთმეს მტერს, მაგრამ რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე თურქმანებმა მაინც გაიმარჯვეს. „ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა"[4].

ამიერიდან იწყება ბოლომოუღებელი და გამანადგურებელი ლაშქრობანი თურქ-სელჯუკებისა საქართველოში. ბიზანტიის იმპერია, რომელმაც XI საუკუნის 40-ან წლებში სომხეთის უდიდეს ნაწილს თავისუფლება წაართვა და საქართველო-

[1] მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 129.

[2] იხ. Сиасет-наме. Книга о правлении вазира XI столетия Низам ал-Мулька, перевод профессора В. Н. Заходера. М.—Л., 1949 გვ. 166—167.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

[1] А. Якубовский, Селджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, отдел общественных наук, 1937, № 4, გვ. 945; შდრ. ვ. გაბაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 125.

[2] ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 306.

[3] იქვე.

[4] იქვე.

საც ბევრი უბედურება შეამთხვია, უძლური აღმოჩნდა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მან, რომელსაც ქრისტიანული სამყაროს დამცველად მოჰქონდა თავი, თურქთა შემოტევას ვერ გაუძლო. XI საუკუნის 70-ანი წლების პირველ ნახევარში აღმოსავლეთი დატოვა და ვერაგი მტრის პირისპირ ამიერკავკასიის ქვეყნები მარტონი აღმოჩნდნენ.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ვინაიდან ბიზანტიელთა გაქცევის შემდეგ თურქმანები „მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჴირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად. ტყუევნად და მოოვრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა"[1].

ნიზან ალ-მულქის „სიასეტ-ნამეში" დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ თურქ-სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლება თურქმანთა ბრბოების ირანიდან განსახლებაზე ზრუნავდა და ამ ბრბოებს საქართველოსაკენ ერეკებოდა, ქართულ წყაროებშიაც პოულობს დადასტურებას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში და მის საზღვრებთან თურქთა მოზღვავება იმდენად დიდი იყო, რომ მათი მნახველი იტყოდა: „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო". და არავისაგან მოსაგონებელი იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თჳთ სულტანისაგან"[2].

დავით აღმაშენებლის თანამედროვე და, ალბათ, თურქთა მიერ საქართველოზე თავდატეხილი ბევრი უბედურების თვითმნახველიც, დავითის ისტორიკოსი სიტყვებსაც ვერ პოულობს იმ საშინელებათა წარმოსათქმელად, რაც თურქმანებმა მაშინ საქართველოს მოუტანეს. ერთ-ერთი თავდასხმის დროს, როდესაც „ქორონიკონი იყო სამასი" (780+300=1080) თურქთა ბრბოები „მოეფინნეს პირსა ყოველსა ქუეყანისასა, ვითარცა მკალი"[3].

მძარცველები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეს მოედვნენ. „მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა (ე. ი. საქართველოს ცალკეულ მხარეთა — ვ. კ.) მკვდრი ყოველი"[4].

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 318—319.

[2] იქვე, გვ. 332.

[3] იქვე, გვ. 319.

[4] იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ მემატიანე ქართველთა მიერ გაწეული დიდი წინააღმდეგობის შესახებ ახლა ბევრს არაფერს მოგვითხრობს, თურქმანებმა მაინც გაუკითხავად გაანადგურეს ქვეყანა. „მასვე ერთსა დღესა დაწუეს" მაშინდელი საქართველოს დედაქალაქი „ქუთათისი" და ცნობილი სავაჭრო ცენტრი „არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი"[1].

თურქთა ბრბოებმა, — განაგრძობს ისტორიკოსი, — „მოჰკლეს ქუეყანა და მოსწყჳდეს, თუ სადა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა... ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადმე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა"[2].

ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს არასდროს არ უნახავს ისეთი უბედურება, როგორიც ახლა თურქ-სელჯუკებმა მოუტანეს მას. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოვრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა. და იყო ჴირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჳრებათასა". [3]

ეკონომიურ განადგურებასთან ერთად ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა და ფიზიკურადაც ნადგურდებოდა. გარდა ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანებისა, რომლებზედაც თურქთა ბრბოები ნადირობდნენ და ტყვეთა სახით მიჰყავდათ, „მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჴაბუკნი დაკუეთებულ (დასაჭურისებული — ვ. კ.), ხოლო ჩჩვლნი მიმოტაცებულ"[4] — წერს მემატიანე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ძნელი არ არის იმის ახსნა, თუ რატომ შეიცვალა XI საუკუნის 40-ან წლებთან შედარებით XII საუკუნის 20-ანი წლებისათვის თბილისის მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება.

[1] იქვე.

[2] იქვე, გვ. 320.

[3] იქვე.

[4] იქვე.

როგორც ნათქვამი იყო, XI საუკუნის 60-ან წლებამდე თბილისელ მაჰმადიანთა და ქართველთა შორის ურთიერთობა გამწვავებული არ ჩანს. სამხრეთის მაჰმადიანურ სამყაროსაგან პოლიტიკურად დიდი ხნით ადრე ჩამოცილებული თბილისელი მაჰმადიანები ეკონომიურად და პოლიტიკურადაც ადგილობრივ ცხოვრებასთან იყვნენ შეზრდილ-დაკავშირებული. თბილისში მცხოვრები ხელოსანი და ვაჭარი, სულ ერთია, ქართველი იყო ის თუ არა, ერთი მიზნისათვის იბრძოდა: ვაჭრობა-ხელოსნობის თავისუფალი წარმოება სურდა და მიზნის მისაღწევად მეფეს თბილისში ეპატიჟებოდა. მაგრამ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მაჰმადიანებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა იცვლებოდა, რაც თბილისელ მაჰმადიანთა ორიენტაციაზეც სათანადო გავლენას ახდენდა.

ურთიერთობის გამწვავება თბილისში მცხოვრებ მაჰმადიანებსა და მკვიდრ ქართველებს შორის XI საუკუნის 60-ანი წლებიდან, ე. ი. თურქ-სელჯუკთა გამანადგურებელ ლაშქრობათა და უხეში ბატონობის დაწყების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამიერიდან ქართველები ყველა მაჰმადიანში მტერს ხედავდნენ, სულ ერთია, ადრე მოსული იყო ის საქართველოში თუ ახლად, ვაჭარი იყო თუ მეციხოვნე, ან მომთაბარე. ამ გარემოებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაც გვიდასტურებს. ის წერს, რომ როდესაც დავითმა თურქების წინააღმდეგ შეტევა დაიწყო „ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვ ა ჭ ა რ ნ ი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე"[1] და მას შველა და დახმარება სთხოვეს.

აღნიშნულ ვაჭრებში მემატიანე იმ მაჰმადიან ვაჭრებს გულისხმობს, რომლებიც ადრე უნდა ყოფილიყვნენ დამკვიდრებულნი განძა-თბილის-დმანისში. ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ისინი თურქმან-მაჰმადიანებს უკავშირდებიან და, ამრიგად, ქართველებიც არა მარტო თურქ-სელჯუკებს, არამედ საქართველოში მყოფ ყველა მაჰმადიანს უცხადებენ ომს. ეს ომი მეტად მკაცრი იყო და, გასაგებია, შეშინებული თბილისელი მაჰმადიანები, თბილისზე ქართველების მოსალოდნელი შეტევის შემთხვევაში, თავდასაცავად ემზადებოდნენ, თურქთა ბატონს დახმარებას სთხოვდნენ და, ამავე დროს, ქალაქსაც მას სთავაზობდნენ.

XI საუკუნის 80-ან წლებში, როდესაც თურქმანთა გამანადგურებელი თარეშის შედეგად საქართველოს დიდად გაუჭირდა, როგორც ცნობილია, გიორგი II სულთან მალიქ-შაჰის სასარგებლოდ ხარკი იკისრა. საქართველოს მეფე ფიქრობდა, რომ სულთანი თურქმანების გამანადგურებელ თარეშს საქართველოში ბოლოს მოუღებდა, მაგრამ ამ ღონისძიებას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია საქართველოსათვის. პირიქით, საქართველოს მეფემ სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკი იკისრა, ხოლო თურქთა გამანადგურებელი თარეში წინანდებურად გრძელდებოდა.

მემატიანის გადმოცემით „არავე დამშჳდნა ქუეყანა, არცა-რა იქმნა ლბინება... რამეთუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად, რომელ დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი"[1].

თურქთა მიერ საქართველოზე თავდატეხილ უბედურებას ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც ადასტურებს. ის აღნიშნავს, რომ „ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო, ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არსადა იყო"[2].

საკითხის მართებულად გადაჭრისათვის საჭიროა უფრო კარგად გარკვევა, თუ ვინ წარმოადგენდა მაშინდელი თბილისის მცხოვრებთა უმრავლესობას. როგორც აღვნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილი იმ მოსაზრებისა იყო, რომ მაშინდელი თბილისის „მოქალაქეთა შორის მაჰმადიანნი სჳარბობდნენ"[3].

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მკვლევარი აღნიშნავდა, რომ „ეს იმ სპარსულ და არაბულ სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელ სიტყვებიდანაც მტკიცდება, რომელნიც ქართულ ენას შეუთვისებია"[4].

თუმცა, ქართულ ენაში შემონახულ სპარსულ და არაბულ სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების აღ-

[1] „ქართლის ცხოვრება", დასახელებული გამოცემა, გვ. 340.

[1] „ქართლის ცხოვრება", დასახელებული გამოცემა, გვ. 340.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 365.

[3] საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 29.

[4] იქვე.

მნიშვნელ ტერმინებზე დაყრდნობით ძნელია მაშინდელ თბილისში მაჰმადიანთა რიცხობრივი უპირატესობა დავადგინოთ, მაგრამ წერილობითი წყაროები და სხვა მკვლევარნიც მხარს უჭერენ ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას და ყოველივე ეს ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია.

ჯერ კიდევ არაბთა ბატონობის ხანაში გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. ამ ორი მხარის ურთიერთდამაკავშირებელ მთავარ სავაჭრო გზებზე, რომლებიც დარუბანდისა და დარიალის უღელტეხილებს გადასერავდნენ, მრავალი სავაჭრო პუნქტი იყო. მათ შორის ერთ-ერთ უდიდეს პუნქტს თბილისი წარმოადგენდა და „ვაჭრობა აღებ-მიცემობას თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობა ეწეოდა ძირითადად"[1].

წყაროები გადმოგვცემენ, რომ თბილისის ეს მაჰმადიანი მოსახლეობა, ალბათ მათი რიცხობრივი და პოლიტიკური უპირატესობის შედეგად, დიდად მძლავრობდა ქართველი მოსახლეობის მიმართ, რის გამო XII საუკუნის დასაწყისში თბილისელ მაჰმადიანებსა და ქართველებს შორის ძალზე გამწვავებული და მტრული ურთიერთობა ყოფილა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ როდესაც თბილისი ჯერ კიდევ მაჰმადიანთა ხელში იყო და „არა სრულად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღაღაი და თჳნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან. შემომავალ-გამომავალი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრეოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი-ესე ფრიად ეძჳნებოდა სულსა დავითისასა"[2].

როდესაც სელჯუკთა სახელმწიფოს დამშლელმა მოვლენებმა თავი იჩინა და ამ სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობაც გართულდა, თურქთა მიერ განაწამებმა ქართველებმა რევანში დაიწყეს. ახლა საქართველოსა და მის საზღვრებზე მყოფი შევიწროებული მაჰმადიანები ურთიერთდახმარებაში ეძებენ შველას. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობის თანახმად, ქართველების მიერ შევიწროებულმა თურქებმა და „ქართველთა მოსაზღვრე მაჰმადიანებმა პირი შეკრეს, რომ მაჰმადიანთ ერთი-ერთმანეთის დახმარებით"[1] ქართველების წინააღმდეგ იბრძოლონო.

თბილისი მაჰმადიანთა ყველაზე უფრო ძლიერ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა საქართველოში. ქართველი მემატიანე, როდესაც თურქთა ხელში მყოფ ციხე-სიმაგრეებსა და ქალაქებს ჩამოთვლის, პირველ ყოვლისა თბილისს ასახელებს და წერს, რომ „ვიდრე ამა ჟამამდე ქალაქი ტფილისი, რუსთაი და სომხითი და ყოველი სამშეილდე და აგარანი თურქთა ჰქონდესო"[2].

თბილისი რომ თურქთა ხელში იყო, ეს ცნობილი ფაქტია და მას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ ზემოთ მოტანილი ცნობით ჩვენ გვინდა იმ მდგომარეობას გავუსვათ ხაზი, რომ თუ შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე ქალაქები საქართველოში (რუსთავი, სამშვილდე და სხვ.) თურქებს გამაგრებული ჰქონიათ, ბუნებრივია, თბილისი ყველაზე უფრო შეუვალი იქნებოდა და ქართველებისათვის ყველაზე მეტი წინააღმდეგობა თბილისელ „თურქთა და მათთა ციხოვანთა"[3] უნდა გაეწიათ.

ამრიგად, როდესაც 1121 — 1122 წლებში თბილისელთა წინააღმდეგობის შესახებ არის საუბარი, ამ წინააღმდეგობის გამწვევ ძალებს შორის თბილისის თურქი მეციხოვნეებიც არის საგულვებელი.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ქართველები თბილისში თურქთა ძლიერ ძალას ხედავდნენ და ამ ძალისაგან საფრთხესაც მოელოდნენ. დიდგორის ომის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, იმ ომისა, რომელშიაც მათე ურჰაელის ცნობის თანახმად თურქთა მხარეზე 400 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას[4], „ქართველებმა მაჰმადიანთა და-

[1] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, დასახელებული „შრომები", გვ. 439.

[2] ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა, გვ. 349.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 202.

[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, დასახელებული გამოცემა, გვ. 331.

[3] იქვე.

[4] Chronique de Matthieu d'Édesse (926—1136) avec la continuation de Grégoire le Prêtre, jusqu'en 1162, თარგმანი სომხურიდან ფრანგულად Ed'Dulaurier-ის მიერ, Paris, 1858, გვ. 304.

მარცხებული და ოტებული ლაშქრის უკან დეევნას თავი დაანებეს და ქალაქ თბილისს გარშემოერტყნენ"[1].

დამარცხებული და გაქცეული მტრის დევნაზე და მის საბოლოო განადგურებაზე თბილისელთა შიშით ხელის აღება იმის შედეგი უნდა იყოს, რომ თბილისში მოწინააღმდეგეთა დიდი ძალა ეგულებოდა ქართველებს. იქნებ ისინი ქართველებს რაღაც საფრთხეს უმზადებდნენ და ამიტომ ქართველებმა დასწრება ამჯობინეს.

ახლად ომგადახდილმა ქართველებმა თბილისს ალყა შემოარტყეს. ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით „მეორესა წელსა აიღო მეფემან (დავითმა — ვ. კ.) ქალაქი თბილისი... ოთხას წელ ქონებული სპარსთა[2], და დაუმკჳდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ"[3].

მემატიანე არაფერს მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ბრძოლა თბილისის ასაღებად. მისი სიტყვით დიდგორის ომის შემდეგ „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა"[4]. უკანასკნელი სიტყვებიდან: „პირველსავე ომსა", ისე გამოდის, რომ ქართველებმა თითქო ერთი შეტევით აიღეს თბილისი და ხანგრძლივი ბრძოლა არ უწარმოებიათ. მაგრამ თუ იგივე ქართველი ისტორიკოსისა და არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობებს ერთად განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ თბილისის ალყა და ამ ქალაქის აღებისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელებულა.

დავითის ისტორიკოსის ცნობის თანახმად დიდგორის ომი აგვისტოს თვის მეორე ნახევარში მომხდარა, როდესაც „ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი"[5] (780 + 341 = 1121). იბნ ალ-ასირის ცნობის თანახმად კი ამ ომში გამარჯვებულ ქართველებს დამარცხებული მტრის დევნა დიდხანს არ გაუგრძელებიათ, სასწრაფოდ დაბრუნებულან და თბილისისათვის ალყა შემოურტყამთ. ხოლო დავითის ისტორიკოსის ცნობით, როდესაც ქართველებმა თბილისი აიღეს „ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაორი"[1] (780 + 322 = 1122).

ამრიგად, ქართველი და არაბი ისტორიკოსების ეს ცნობები გარკვეით გადმოგვცემენ, რომ თბილისისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელებულა. ის 1121 წლის აგვისტოს ახლო ხანს დაწყებულა და 1122 წელს ქართველთა მიერ თბილისის განთავისუფლებით დამთავრებულა. ეს გარემოება, თბილისის განთავისუფლებისათვის ქართველების მიერ ჩატარებული ხანგრძლივი ბრძოლა, იმას მოწმობს, რომ დავით აღმაშენებელი და მისი ლაშქარი თბილისელთა დიდ წინააღმდეგობას წაწყდომიან.

ამ დიდი წინააღმდეგობის შედეგი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ, არაბი ისტორიკოსის შემს-ედ-დინ-იუსუფ, ანუ სიბტ-იბნ-ალ-ჯაუზის გადმოცემით, როცა დავითმა თბილისი აიღო, გაჯავრებულ გულზე ქალაქი არ დაინდო[2]. დავით აღმაშენებელმა თბილისის აღების პირველ დღეებში „ქალაქი თავის ლაშქარს მიანება საძარცვავად და თვითონ მაჰმადიან მფლობელებს, რაკი მათ ქალაქი უბრძოლველად არ მისცეს, სასტიკად გაუსწორდა"[3].

მათე ურჰაელის ცნობის თანახმად, როგორც კი აიღო დავით აღმაშენებელმა ქალაქი თბილისი, ის საშინელი სიმკაცრით მოეპყრო მოწინააღმდეგეებს. ხუთასი კაცი მოკლა წამებით და სისხლის მორევი დააყენაო[4].

ქართველთა ასეთი სიმკაცრე თბილისელ თურქ-მაჰმადიანთა მიმართ, ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე, სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ როდესაც ქართველთა გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო და მტერი საფრთხეს აღარ ქმნიდა, საქართველოში მყოფ თურქებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება უნდა შეცვლილიყო და ეს ასეც მოხდა.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, 1948, გვ. 204.

[2] საყურადღებოა, რომ ამ მოვლენის მოთხრობის დროს ქართველი ისტორიკოსის მსგავსად სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელიც სპარსთა ხელში ქონებულად თვლის თბილისს. ის წერს, რომ „David enleva Deph'khis (თბილისი) aux Perses" (Chronique de Matthieu d'Edesse, დასახელებული გამოცემა, გვ. 305).

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, დასახელებული გამოცემა, გვ. 342.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 340.

[1] იქვე, გვ. 342.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 19.

[3] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 46.

[4] Chronique de Matthieu d'Édesse დასახელებული გამოცემა, გვ. 305.

დავით აღმაშენებელმა თბილისელ მაჰმადიანთა მიმართ მკაცრი დამოკიდებულების კურსი მალე შესცვალა და მთელ თავის სიცოცხლეში თბილისსა და მაშინდელი საქართველოს სხვა ქალაქებში მოსაქმე მაჰმადიანთა მიმართ მზრუნველობას იჩენდა. მაჰმადიანებისადმი ასეთ დამოკიდებულებას საქართველოს მეფეს არა თურქთა შეწყალება-სიბრალული, არამედ საკუთარი ინტერესები უკარნახებდა. როდესაც ქართველებმა თბილისი გაანთავისუფლეს, აღებ-მიცემობასა და ხელოსნობას იქ უმთავრესად მაჰმადიანი მოსახლეობა აწარმოებდა. დავით აღმაშენებელი კი, რომელიც ვაჭრობა-ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისადმი დიდ მზრუნველობას იჩენდა, ამ დარგის მოსაქმე ხალხსაც ხელს უწყობდა და ამდენად, მაჰმადიან მოსახლეობასაც მფარველობდა.

ზემოთ აღნიშნული გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ XII საუკუნის საქართველოს მთავრობა ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობისადმი თანაბარ დამოკიდებულებას იჩენდა. ისე როგორც ხშირად მაჰმადიანი მმართველები მათ სამფლობელოში მყოფი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, საქართველოს მთავრობაც საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მყოფი მაჰმადიანების მიმართ, ჩანს, განსხვავებული დამოკიდების კურსსაც ატარებდა. მაჰმადიან მოსახლეობას ქრისტიანებისაგან ანსხვავებდა.

თუ სომეხ ისტორიკოსს მხითარ გოშს დავუჯერებთ, რომელიც XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა, საქართველოს სამეფოში მყოფ, ძალად დამორჩილებული მაჰმადიანებისათვის განსაკუთრებული „უსჯულოთა" სულადი გადასახადი ყოფილა დაწესებული[1].

[1] С. Еремян, დასახელებული შრომა, გვ. 64.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ:

1. თურქ-სელჯუკთა აუტანელმა ბატონობამ ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის ურთიერთობის უაღრესი გამწვავება გამოიწვია. განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველების წარმატებებმა, საკუთარი თვითმმართველობის მქონე და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით დაინტერესებულ თბილისელთა წინაშე ალტერნატიის საკითხი დასვა. თბილისის მაჰმადიანმა მოსახლეობამ გამოსავალი მაჰმადიანთა ძალებთან გაერთიანებაში დაინახა და, როგორც დროებითი ზომა, თურქთა სულტნისათვის თბილისის გადაცემა სცადა.

2. ბრძოლა, რომელსაც 1121 — 1122 წლებში თბილისელები აწარმოებდნენ, ორბუნება იყო. ის გარდა სოციალური შინაარსისა, სხვა ხასიათის პოლიტიკური ბრძოლის შინაარსსაც ატარებდა. ამ ბრძოლის სოციალური მხარე პროგრესული იყო, ხოლო მისი მეორე მხარე საქართველოსათვის პროგრესულობას ვერ დაიჩემებდა და ის რეაქციული იყო.

3. ძლიერი წინააღმდეგობა, რომელიც თბილისის განთავისუფლების დროს ქართველებს შეხვდათ, თბილისის „მოქალაქეებსა" და მათ თვითმმართველობას მარტო არ შეეძლოთ. უკანასკნელებთან ერთად თბილისში მყოფი თურქ-სელჯუკთა მეციხოვნე თუ სხვა სახის შეიარაღებული ძალებიც იბრძოდნენ. ეს გარემოება და თბილისელთა მიერ ამ ბრძოლაში თურქთა სულთნის გამოყენების ცდა იყო მათი ბრძოლის რეაქციული მხარე.



ფუნიკულიორის ზედა სადგური



აკაკი სურგულაძე

განახლებული თბილისი

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველი ხალხისა და მისი დედაქალაქის თბილისის ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება. გარედან დამღუპველ შემოსევათა და შინაგან ფეოდალურ უთანხმოებათა შედეგად დაუძლურებული საქართველო 1801 წელს რუსეთს შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსეთის მეფე და მემამულეები მართავდნენ და რუსეთის იმპერიაში მოსახლე ხალხები მწვავე სოციალურ და კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდნენ, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ქართველი ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა არა მარტო აიცდინა თავიდან ბატონობა ირან-ოსმალეთისა, რომლებიც მარქსისა და ენგელსის დახასიათებით „...ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ“ და საშიშარ ასიმილატორებს წარმოადგენდნენ, არამედ დაიმკვიდრა მშვიდობა და მყუდროება, მოიშუშა ჭრილობები, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის გზები გაიკაფა და ეკონომიურ მოღონიერებასთან ერთად წინ წასწია თავისი კულტურა.

საქართველოს შეერთებით, როგორც ცნობილია, რუსეთმა შექმნა ხელსაყრელი პლაცდარმი, რომელიც მას დიდად უწყობდა ხელს აღეკვეთა ის აგრესიული ღონისძიებანი, რომლებსაც რუსეთისა და ამიერკავკასიის წინააღმდეგ ახორციელებდნენ ირანი, ოსმალეთი და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული მმართველი წრეები.

ირანთან და თურქეთთან ომებში რუსეთის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა საგრძნობლად დაასუსტეს ეს სახელმწიფოები, ჩაშალეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა გეგმები ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოცილების და მიტაცებისა და, ამრიგად, თავიდან ააცილეს საქართველოს ის დიდი საფრთხე, რომელიც მას საუკუნეთა მანძილზე ემუქრებოდა და ფიზიკურ გაქრობას უქადდა. გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის გზაზე. თბილისი კავკასიაში გაშლილი სამხედრო ოპერაციების ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო მთავარმართებლის რეზიდენცია, არმიის შტაბი. თბილისში ხდებოდა ირან-თურქეთის მონობისაგან ამიერკავკასიის საბოლოოდ განმათავისუფლებელ ძალთა კონსოლიდაცია.

რუსეთთან შეერთებას მოჰყვა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. რუსეთთან შეერთებამდე აგრესიული გარემოცვის რკალში მოქცეული საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობიდან განზე იდგა და ირან-ოსმალეთისა და ლეკთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ქართველი თავადაზნაურების თავაშვებული პარტიკულარული მისწრაფებების ვითარებაში მხოლოდ ნგრევას განიცდიდა. განუწყვეტელი ომებისა, შიმშილობისა და ეპიდემიების შედეგად მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად შემცირებული იყო. მარტო 1783 — 1801 წლებში საქართველოში მოსახლეობის რიცხვი 61 ათასი ოჯახიდან 35 ათას ოჯახამდე შემცირდა, 1803 წლისათვის თბილისის მოსახლეობა 1900 კომლს არ აღემატებოდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ კი დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლებისაგან. დადუმდა ყღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამაპაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დარჩა“. მშვიდობიანმა პირობებმა შექმნეს ხელსაყრელი ვითარება სამეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის. საქართველო XIX საუკ. დამდეგიდან რუსეთის მოწინავე, კაპიტალისტური ურთიერთობის გზით მიმავალი ეკონომიური ცხოვრების ფერხულში ჩაება. „რუსეთის კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი — კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“[1].

მშვიდობიანი ცხოვრებისა და აზიური კარჩაკეტილობიდან თავის დაღწევის ვითარებაში თბილისის სამეურნეო-ეკონომიური წინსვლის ფართო გზები დაისახა. ცალკეულ კუთხეთა შორის ფეოდალური პარტიკულარიზმის მოსპობა და ნატურალური კარჩაკეტილობის რღვევა, ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაჩაღება, ინტენსიურ მეურნეობათა წამოწყება სოფლად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდა ამრავლებდა ქალაქის მოსახლეობას, 1851 წელს თბილისში უკვე 56 ათასი კაცი ცხოვრობდა. მომრავლდნენ სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებანი, მანუფაქტურული საწარმოები. 1808 — 1809 წლებში თბილისს უკვე 900-ზე მეტი სავაჭრო დუქანი ჰქონდა ქალაქში ამუშავდა საპნის სახარში, ტყავის, შაქრის ქარხნები, ბამბის, თამბაქოს და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები და სხვ.

XIX საუკუნის 50 წლების მიწურულისათვის თბილისში უკვე მოქმედებდა 100-ზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა, რომლებშიც 1 200-მდე კაცი მუშაობდა. 1821 წლიდან უცხოურ საქონელზე ბაჟის შემცირებამ და ევროპული საქონლის თავისუფალი ტრანზიტის კანონმა და რუსეთის სავაჭრო კომპანიების დაარსებამ თბილისში, დიდად შეუწყვეს ხელი ვაჭრობის განვითარებას. თბილელი ვაჭრები სისტემატური სტუმრები გახდნენ ნიჟნინოვგოროდის იარმარკისა, მარსელის, ტრიესტის, ლაიპციგის ბაზრებისა. საფრანგეთის კონსული გამბა XIX საუკუნის 20-ან წლებში თბილისის შესახებ წერდა: „Иногда в Тифлис в один и тот же день приезжают негоцианты из Парижа, курьеры из Петербурга, купцы из Константинополя, англичане из Калькутты и Мадрасса, армяне из Смирны и езиды и узбеги из Бухары, так как этот город может почесться главным узловым пунктом между Европой и Азией“.

1848 წელს მოსკოველი და ივანოველი მეფაბრიკეების მიერ თბილისში დაარსებულ იქნა „ამიერკავკასიის საცალო ვაჭრობის საზოგადოება“. 1854 წელს თბილისის მსხვილი ვაჭრები იცნეს „რუსეთის იმპერიის შთამომაელობით საპატიო მოქალაქეებად“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაისახა თბილისის კულტურული წინსვლის ფართო გზები. ეკონომიურად დაწინაურებულ დედაქალაქში ეროვნული კულტურის ყლორტებმა კვლავ იწყეს აღმოცენება და გაფურჩქვნა. შეიქმნა სასწავლო ქსელი. 1804 წელს თბილისში გაიხსნა პირველი ორკლასიანი სათავადაზნაურო სასწავლებელი. 1845 წლისათვის კი ქალაქში არსებობდა ვაჟთა გიმნაზია, 2 სასულიერო სემინარია, „ამიერ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

კავკასიის ქალთა ინსტიტუტი", 8 დაწყებითი სკოლა და 4 კერძო პანსიონი. 1819 წელს თბილისში გამოიცა „ქართული გაზეთი" 50-ანი წლების მიწურულისათვის კი გამოდიოდა გაზეთები „კავკაზი", ხოლო შემდეგ „დროება", „ობზორი", ჟურნალი „ცისკარი" და სხვ. მომრავლდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი—შეიქმნა რუსული და ქართული თეატრი, გაიხსნა იტალიური ოპერა, დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების. სახელმწიფო მუზეუმის, მეტეოროლოგიური ობსერვატორიისა და სხვათა სახით თბილისში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კერაც.

ასეთ პირობებში დედაქალაქში მიმდინარეობდა სწრაფი კონსოლიდაცია ეროვნული ინტელიგენციისა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული კულტურის უბრწყინვალესმა წარმომადგენლებმა — ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა და სხვებმა, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, ახალი მარგალიტები შესძინეს ისტორიულად მდიდარ ქართულ ლიტერატურას. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონები XIX საუკ. 30 — 40 წლებში წარმოადგენდნენ შემოქმედებითი დუღილის კერებს, სადაც ხდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გაფურჩქვნა.

ცნობილია, რომ მრავალი რუსი მოხელე კავკასიას გადასახლების ადგილად თვლიდა. ბევრიც აქ გამდიდრების მიზნით მოემგზავრებოდა. ეს ყოყოჩი და ეროვნული ტრადიციების შეურაცხმყოფელი ჩინოსნები ქართველი ხალხისაგან განზე იდგნენ და მას ქედმაღლურად, მტრულად ექცეოდნენ. მაგრამ თბილისი გულუხვი და საყვარელი მასპინძელი იყო რუსეთის იმ საუკეთესო შვილებისა, რომელთაც ცარიზმი თავისუფალი აზრებისათვის სდევნიდა. თბილისში გაატარა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე გრიბოედოვმა, რომლის საფლავს მთაწმინდის პანთეონში ახლაც ამშვენებს მისი მეუღლის ნინო ჭავჭავაძის თბილი წარწერა: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя". ცარიზმის ველური კოლონიური რეჟიმისადმი ზიზღით გამსჭვალული გრიბოედოვი ნამდვილი მეგობარი იყო კავკასიელი ხალხებისა. მისი ტალანტი ყოველთვის ბრწყინავდა ა. ჭავჭავაძის სალონში. თბილისში დაწერა გრიბოედოვმა თავისი უკვდავი პოემის პირველი აქტები და ქართულ თემებზე შექმნილი რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი და პოემა. თბილისისათვის არაჩვეულებრივ ზეიმად იქცა გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სტუმრობა 1829 წელს. ორი კვირა დაჰყო ა. პუშკინმა თბილისში, ახლო გაეცნო თბილისის მოწინავე საზოგადოებას და გულწრფელად შეიყვარა იგი. 1837 წელს თბილისს ეწვია მგზნებარე პოეტი მ. ი. ლერმონტოვი, რომელიც, როგორც ცნობილია, პუშკინის მოკვლის გამო დაწერილი ლექსისათვის, ნიკოლოზ I-მა კავკასიაში გადაასახლა. პოეტი ცხოვრობდა სოლოლაკში მის ნათესავ ახვერდოვებთან და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან. თბილისში დასწერა თავისი ცნობილი „ბავშვობა" გენიალურმა ლევ ტოლსტოიმ. ლიტერატურულ სალონებში შინაურულად ითვლებოდნენ ცარიზმის მიერ კავკასიაში გადასახლებული დეკაბრისტები: რაევსკი, ოდოევსკი, სუხორუკოვი, ბესტუჟევ-მარლინსკი, ბურცევი და სხვები. მათი მშფოთვარე, თავისუფლების მოყვარე სულისკვეთება ესისხლხორცებოდა პატრიოტ ქართველ მოღვაწეთა ეროვნულ განმათავისუფლებელ იდეალებს. კავკასია ხომ ბევრი რუსი მწერლისათვის, როგორც ბელინსკი აღნიშნავდა, წარმოადგენდა შთაგონების უშრეტ წყაროს. რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის ამ დიდი წარმომადგენლების სტუმრობა თბილისში ხელს უწყობდა არა მარტო ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და განვითარებას, არამედ ამტკიცებდა რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციულ მეგობრობას, ჰქმნიდა და აფართოებდა რუსეთის ცარიზმის სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლების საერთო ფრონტს.

თბილისი, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცენტრი, თავისკენ იზიდავდა საქართველოს მოძმე ხალხთა საუკეთესო შვილებს. თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზერბაიჯანელი ხალხის დიდი განმანათლებელი რევოლუციონერ-დემოკრატი მირზა-ფატალი ახუნდოვი, პოეტი მირზა-შაფი ვაზეხი, ისტორიკოსი ბაკიხანოვი, ახალი

სომხური ლიტერატურის ფუძემდებელი განმანათლებელი და რევოლუციონერ-დემოკრატი ხაჩატურ აბოვიანი, ბურჟუაზიული განმანათლებელი სტეფანოს ნაზარიანი, პოეტები და მწერლები გაბრიელ სუნდუკიანცი, შირვან ზადე, ოვანეს თუმანიანი და მრავალი სხვ., რომელთაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მოღვაწეებთან. მათ ერთნაირად აღანთებდათ კავკასიის ხალხების სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლა.

თბილისში ამ დროს მრავალი უცხოელი მოდიოდა, რომელთაც უმთავრესად ქალაქის აღმოსავლური ეკზოტურობა იზიდავდა. ქალაქი მართლაც აზიური თავისებურობისა და ევროპული ცივილიზაციის ნარევს წარმოადგენდა. „ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს. ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. პოლიცია, რომელიც შესდგებოდა ჯარში ნამყოფი ინვალიდებისაგან, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად, თვით ერევნის მოედნის შუაგულში კი გამართული იყო ბაზრობა“ (ი. გრიშაშვილი). ადრე დილიდან თბილისის ბაზრებისაკენ მოემართებოდნენ აქლემებისა და ჯორ-სახედრების ქარავნები. ხელოსნური რიგებით გარშემორტყმულ ბაზრებში ერთდროულად გაისმოდა ეროების ცემა, საბერველთა ქშინვა, ქართულ, სომხურ, რუსულ, ირანულ, ევროპულ ენებზე გამართული ხმამაღალი ვაჭრობა, აშუღების გამწვიანი სიმღერა, დოლის ბუბუნი. ღია ცის ქვეშ გამართულ მაყლებზე მწვადი შიშინებდა. ქარვისფერი ყურძნის, მწიფე ნესვების და ატმების სურნელება, ღვინის რუმბებთან თავმოყრილი შეზარხოშებული ჩოხოსნების ლეკურ-ქართული, — ყველაფერი ეს ათრობდა და აბრუებდა ადამიანს. საღამოს ბაზრის ქოთქოთი მიწყნარდებოდა. ახლა სახლის ბანზე გამოეფინებოდნენ ქალიშვილები და რიტმული ქართული ცეკვები გაჩაღდებოდა. ქალაქის ბაღებში კი ქეიფობდნენ ყარაჩოხელები, რომლებიც შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად ჩაუვლიდნენ ქუჩებს და თავიანთი გულის მურაზებზე სახელდახელოდ შეთხზულ ლექსებს მღეროდნენ. თბილისის ამ მომხიბვლელ საღამოებზე წერდა მ. ი. ლერმონტოვი:

„Уж за горй дремучею
Погас вечерний луч.
Едва струей громучею
Сверкает жарский ключ.
Сады благоуханием
Наполнились живым,
Тифлис об'ят молчанием.
В ущелье мгла и дым.
. . . . . .
Внизу огни дозорного
Лишь на мосту горят
И колокольни черные
Как сторожки стоят.
И поступью несмелою
Из бань со всех сторон
Выходят цепью белою
Чаты грузинских жен“,—

დიდად მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა კვირა დღეობით ავლაბარსა და შუა ბაზართან გამართული მუშტი-კრივი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უბნებად დაყოფილი მამაკაცები. ეს იყო ნამდვილი ფიზიკური ვარჯიშობა. გარდა ამისა, ყოველწლიურად, ზაფხულში ეწყობოდა სახალხო გრანდიოზული გასართობი — ყეენობა (კარნავალი).

მაგრამ ქალაქის ახალ, ადმინისტრაციულ ნაწილში სხვაგვარი ცხოვრება მკვიდრდებოდა. აქ უკვე კოპწიაობდნენ ბრჭყვიალა ეპოლეტებიანი ოფიცრები, სერთუკიანი მოხელეები, ევროპულ მოდაზე გამოწყობილი მანდილოსნები, დაქროდნენ ეკვნებიანი ეტლები. რუსულ—ფრანგულ—ქართული ერთმანეთში ირეოდა. საღამოობით, გაჩირაღდნებულ დარბაზებში ეღერდა ვალსი და მაზურკა. თბილისში ნელნელა იკიდებდა ფეხს ახლებური, ცივილიზაციის ყოფა. 1851 წელს ლევ ტოლსტოი ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა, რომ „Тифлис очень цивилизованный город, очень подражающий Петербургу, и это ему хорошо удается. Общество избранное и довольно многолюдное. Есть русский театр и итальянская опера...[1]

XIX საუკ. 60—70 წლების ბურჟუაზიულმა რეფორმებმა რუსეთში ხელი შეუწყვეს კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. იგივე ობიექტური პროცესები, რომლებმაც რუსეთში გამოიწვიეს ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობა, საქართველოშიც მომწიფდნენ. კაპიტალისტური ურთიერთობის გზით საქართველოს ეკონომიური განვითარება და გლეხთა ანტიბატონყმური აჯანყებები

[1] Л. Толстой, Письма, 1910, зд. 13.

ქართველ თავადაზნაურებსა და მის მფარველ ოვითმპყრობელობას აიძულებდნენ საქართველოშიც გაეტარებინაო გლეხთა „გათავისუფლების“ კანონი.

რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოშიც სწრაფი ტემპებით წავიდა წინ. რუსეთის კაპიტალიზმმა გაიკაფა რა გზა განაპირა ოლქებში, ეს მხარეები ნედლეულის წყაროებად და გასაღების ბაზრად გადააქცია. ამიერკავკასიის სწრაფი ეკონომიური ათვისების მიზნით ცარიზმმა, რომელსაც კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობა უკვე თავის სურვილებისამებრ ათამაშებდა, დაიწყო რკინიგზების გაყვანა ამიერკავკასიაში. 1872 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის. 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარი მაგისტრალის — ბაქო — თბილისი — ბათუმის მშენებლობა. ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრები ერთმანეთს და რუსეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ.

რეფორმის შემდეგ ამიერკავკასიის სოფლებში მიმდინარე სწრაფმა სოციალურმა დიფერენციაციამ გლეხობის დიდი ნაწილი სავსებით უმიწაწყლოდ დასტოვა. მიწისა და ბატონისაგან თავისუფალმა გლეხობამ ლუკმა პურის საშოვრად ქალაქებს მიაშურა. მოსახლეობა თბილისში სწრაფად გაიზარდა. 1864 — 1865 წლებში თბილისში 71 ათასი სული ცხოვრობდა, 1901 წლისათვის ეს ციფრი 191,7 ათასამდე გაიზარდა.

ყოველწლიურად შესამჩნევი ხდებოდა თბილისის სამრეწველო განვითარება. 1870 წელს ამუშავდა ბამბის საქსოვი ფაბრიკა, რომლის მუშათა რაოდენობა 1872 წლისათვის 500-ს აღემატებოდა. მსხვილ საწარმოთა რიგს შეემატა ადელხანოვის ტყავის ქარხანა, რომელიც მაშინდელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო აგებული. ადელხანოვის ტყავის ქარხანას მალე ფეხსაცმლის ფაბრიკაც დაემატა და მის საწარმოებში მუშათა რაოდენობა 500-მდე ავიდა. ჩითახოვის ბამბის ფაბრიკაში იდგა 300 საფეიქრო დაზგა, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავდათ 11 ათასი თითისტარი. თბილისში 80 — 90 წლებში ამუშავდნენ აგრეთვე თამბაქოს ფაბრიკები, ახალი მექანიკური სახელოსნოები, ფანერის, ხე-ტყის, აგურის, ზეთის სახდელი, საპნის სახარში, მინის, სპირტის, ლუდის, არყის და ღვინის ქარხნები. 1900 წლისათვის ქალაქში აღრიცხული იყო 60-ზე მეტი საკმაოდ მსხვილი წარმოება.

თბილისის სამრეწველო ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების გახსნას, რაც გამოიწვია თბილისის გადაქცევამ ამიერკავკასიის რკინიგზების საკვანძო პუნქტად. რკინიგზის სახელოსნოებმა მუშათა დიდი რაოდენობა მიიზიდა. 1902 წლისათვის აქ უკვე 3000-ზე მეტი კაცი მუშაობდა. თბილისის ეს უმსხვილესი საწარმო მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერად იქცა.

თბილისის სამრეწველო ზრდა მიუხედავად ასეთი წინსვლისა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთის სამრეწველო ცენტრების ზრდის ტემპებს. ამასთანავე თბილისის ინდუსტრიული განვითარება უპირატესად ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა. მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა ლითონდამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური, ქიმიური და სხვ. თბილისში ჩანასახ მდგომარეობაშიც კი არ არსებულა. თბილისის საწარმოები უპირატესად მსუბუქ მრეწველობას განეკუთვნებოდნენ და ამიერკავკასიის მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგნებით ნაწილობრივი დაკმაყოფილებისათვის იყო ნავარაუდევი. ცარიზმი, თანმიმდევრულად ახორციელებდა რა კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას და იცავდა რა მეტროპოლიის ბურჟუაზიის ინტერესებს, განაპირა ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარებას წინ ეღობებოდა.

სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ სავსე იყო წვრილხელოსნური დაწესებულებებით. სტატისტიკური მონაცემებით 1900 წელს თბილისის ერთპიროვნულ კერძო მრეწველურ და სავაჭრო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 15.750 კაცი. ქალაქში აღრიცხული იყო 5000-მდე ხელოსანი (ოსტატი, ქარგალი, შეგირდი). მართალია, საფაბრიკო ნაწარმი ხელოსნურ პროდუქციას თანდათან სდევნიდა, მაგრამ XX საუკ. დასაწყისისათვის თბილისელი მჭედლების, ხარაზების, მეჩექმეების, ყასბების, ბულების, კალატოზების, ზეინკლების, მკერავების, ხაბაზების, მკუპრავების, მესანთლეების და სხვ. ხელობას ჯერ კიდევ ფართო მოთხოვნილება ჰქონდა. საერთოდ რევოლუციამდელი თბილისისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა კაპიტალის-

ტური აღმავლობისა და კრიზისების მძლავრი რყევანი, მსხვილი აქციონერების, ბირჟის მაკლერების აჟიოტაჟი. იგი შედარებით მყუდრო ცხოვრებას ეწეოდა. ეს იყო ჩინოვნიკების, სახლთმფლობელების, წვრილი ხელოსნების, პოლიციელების ქალაქი. თბილისის თავისებურების ამ შტრიხზე მიუთითებდა ი. ბ. სტალინი, როცა წერდა: „მრეწველობის განვითარების მხრივ თბილისი ბაქოს პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. თუ ბაქო საინტერესოა როგორც ნავთის მრეწველობის ცენტრი, თბილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და „კულტურული" ცენტრი. თბილისში სულ 20 ათასამდე მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები... რუსეთის მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უძრაობის დალს ასვამს..." (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 200).

* * *

ბურჟუაზიულ ეპოქაში კიდევ უფრო გაიზარდა და თვალსაჩინო გახდა თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეროვნული კულტურის აღმავლობაში. თბილისი წარმოადგენდა ცენტრს იმ მძლავრ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელმაც საქართველოში XIX საუკუნის 60 — 70-ან წლებში ფართოდ გაშალა ფრთები. ამ დროს თბილისში მოღვაწეობდნენ ქართველი ხალხის სახიერადულო შვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილი მესვეურები. თბილისის ხშირი სტუმარი იყო და აქ დაასრულა თავისი სიცოცხლე გენიალურმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. თბილისში მუშაობდა ქართული თეატრი, რომლის გარშემო შემოკრებილი იყვნენ სცენის სახელმოხვეჭილი ოსტატები: ლადო მესხიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, ვ. გუნია, ტ. აბაშიძე, არადელი-იშხნელი, მ. საფაროვა, ა. ყალაბეგიშვილი და სხვები. თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში გაიზარდნენ ქართული ეროვნული მუსიკის კორიფეები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ი. კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი. რევოლუციამდელ თბილისში ბრწყინვალე ტილოები შექმნეს თბილისელმა მხატვრებმა: ა. მრევლიშვილმა, გ. გაბაშვილმა, მ. თოიძემ, ნ. ფიროსმანიშვილმა, ლ. გუდიაშვილმა და სხვებმა.

თბილისს ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრად რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი წარმომადგენლები. თბილისში დაიწყო დიდი რუსი მწერლის მ. გორკის შემოქმედება. თბილისში იზრდებოდა რუსული ოპერის გამოჩენილი მოღვაწე შალიაპინი, თბილისში გატარებულ დღეებს ყოველთვის სიამოვნებით იგონებდნენ: პ. ჩაიკოვსკი, ა. ოსტროვსკი, ა. ჩეხოვი, ი. რეპინი, ა. რუბინშტეინი, მ. ბალაკირევი, ვ. ვასნეცოვი, სუმბათაშვილ-იუჟინი, ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვა. თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი უკრაინელი მწერალი რევოლუციონერ-დემოკრატი ლესია უკრაინკა. ბურჟუაზიულ ეპოქაში კიდევ უფრო განმტკიცდა ამიერკავკასიის შემოქმედებითი ძალების საბრძოლო თანამეგობრობა. ამ მეგობრობის ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. აქ მოღვაწეობდნენ გაბრიელ სუნდუკიანცი, ოვანეს თუმანიანი, აკოფ აკოფიანი, ავეტიკ ისააკიანი, შირვან ზადე და სხვები.

თბილისი წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხსნური მოძრაობის ცენტრს, ხოლო XIX საუკუნის 80 — 90-ანი წლებიდან, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა პროლეტარიატი, თბილისი კერა გახდა ამიერკავკასიის მარქსისტული ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

* * *

თბილისის პროლეტარიატის სუსტი, სტიქიური გაფიცვები XIX საუკ. 70-ან წლებში რომ დაიწყო, 90-ანი წლების მიწურულისათვის მძლავრ ორგანიზებულ პოლიტიკურ გაფიცვებად იქცა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან გასცილდა რა ფაბრიკა-ქარხნების კედლებს, ფართო პოლიტიკურ დემონსტრაციებად გადაიზარდა.

თბილისის პროლეტარიატის ეს მაღალი საბრძოლო აქტიობა პირდაპირი შედეგი იყო იმ დამრაზმელი მუშაობისა, რომელსაც ეწეოდა ბოლშევიკური პარტია, ლენინის პარტია, რომლის ერთ-

ერთი ძლიერი ეჯრედი აქ. თბილისში სწორედ XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებული და დაუცხრომელი რევოლუციური მუშაობის ორგანიზატორი გახდა.

XX საუკუნის დამდეგს — 1900 წლის პირველ იანვარს რუსეთის ბურჟუაზია განსაკუთრებული ზეიმით შეხვდა. გაჩირაღდნებული ქალაქები საზეიმოდ იყო მორთული. მდიდარ ოჯახებში გამართულ მეჯლისებზე ისმებოდა სადღეგრძელო ახალი, კაპიტალისტური ეპოქისა. რუსეთის ბურჟუაზიას XX საუკუნე თავისი დიდების საუკუნედ ესახებოდა. ბურჟუაზიული გაზეთები წინასწარმეტყველებდნენ რუსეთის ბურჟუაზიის ბრწყინვალე მომავალზე, მაგრამ სდუმდნენ იმის შესახებ, რომ 1900 წლის პირველი იანვარი რუსეთში დაიწყო ერთის მხრივ მძლავრი ეკონომიური კრიზისით, მეორეს მხრივ პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის სწრაფი აღმავლობით. ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო რუსეთის ყველა სამრეწველო ქალაქისათვის. მათ არც თბილისი ჩამორჩა. 1900 წლის პირველი იანვარი აქაც „კონკის“ მუშათა მძლავრი გაფიცვით აღინიშნა, ხოლო ამავე წლის 22 აპრილს (ძველი სტილით) მლაშე ტბის რაიონში გამართულ მაისობაზე, რომელსაც უკვე 500-მდე რკინიგზელი და სხვა საწარმოს მუშა ესწრებოდა, გაისმა მძლავრი მომწოდებელი ხმა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს სოციალიზმს!“ 1900 წლის მთელ ზაფხულში თბილისის წარმოებებში ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა მუშათა გაფიცვა. მათ შორის ყველაზე გრანდიოზული იყო რკინიგზელ მუშათა გაფიცვა აგვისტოში. ამ გაფიცვამ ახალი საფეხურით აამაღლა მუშათა მოძრაობა საქართველოში, გადაიტანა რა იგი თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის სფეროში. 1901 წლის იანვარ-თებერვალში თბილისში 15 გაფიცვა მოხდა. ამავე დროს, ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მუშათა შორის მოამზადა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ყოფ. სალდათის ბაზართან საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით. დემონსტრაციაში 3 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა. ეს გრანდიოზული პოლიტიკური გამოსვლა, როგორც ლენინური „ისკრა“ აღნიშნავდა, იყო „ისტორიულად ღირსშესანიშნავი მთელი კავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“.

საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს წარმოადგენდა რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა თბილისში 1903 წლის მარტში. კავკასიის კავშირის არსებობა დადასტურება იყო იმისა, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მშენებლობის ინტერნაციონალური პრინციპი, რომელიც ამიერკავკასიაში თავიდანვე იქნა არჩეული, იყო ერთადერთი სწორი პრინციპი და სავსებით უპასუხებდა პროლეტარიატის საბრძოლო დარაზმულობის ლენინურ გეგმას.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში შეიდნენ: ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ბ. კნუნიანცი, მ. ბოჭორიძე და სხვები. მალე კომიტეტმა გააჩაღა დაუცხრომელი მუშაობა ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის რიგებში. აპრილში კომიტეტმა მოახერხა ქართულ და სომხურ ენებზე თბილისში გამოეცა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც აგრძელებდა რა გაზეთ „ბრძოლის“ სახელოვან ტრადიციებს, ლენინური იდეების პროპაგანდას ეწეოდა.

1903 წელი თბილისის პროლეტარიატის ცხოვრებაში საგაფიცვო მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობით აღინიშნა. ყველაზე გრანდიოზული იყო მუშათა გაფიცვა ელისში, რომელმაც მალე ფეხზე მთელი საქართველოს პროლეტარიატი დააყენა.

რუსეთის პირველ რევოლუციაში თბილისის პროლეტარიატი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ბოლშევიკური ორგანიზაციები თბილისელ მუშებს ადრევე ამზადებდნენ თვითმპყრობელობაზე იერიშებისათვის. 1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო რკინიგზელთა მუშების გაფიცვა, ეს იყო მკაცრი პროტესტი ცარიზმის მიერ პეტერბურგში მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის გამო. რკინიგზელებს მხარი დაუჭირეს სხვა საწარმოებმაც და ქალაქში საყოველთაო გაფიცვა მოხდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის დროს ცარიზმის ბნელ საქმიანობას — გაეჩაღებინა ძმათამკვლელი ომი ამიერკავკასიის ხალხთა შორის — მტკიცედ აღუდგა წინ თბილისის პროლეტარიატი. ინტერნაციონალური სოლიდარობის თვალსაჩინო გამოხატულებად გადაიქცა ის მიტინგები, რომელნიც თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში ჩატარდა. 13 თებერვალს თბილისში ყოფილ ვანქის საყდრის გალავანში თავი მოიყარა მრავალათასმა ქართველმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა და რუსმა და ერთმანეთს მეგობრობა შეფიცა. უფრო ხალხმრავალი შეკრება მოხდა მეორე დღეს, იმავე ადგილზე. მოწინავე მუშების მეთაურობით ინტერნაციონალური დემონსტრაცია სასახლის ქუჩაზე გაემართა და იქ წითელი დროშა ააფრიალა.

თბილისში გაფიცვის ახალ-ახალი ტალღები ზვირთდებოდა აპრილში, მაისში, ივნისში. ივნისის 23 — 25 რიცხვებში თბილისის სხვადასხვა უბნებში მუშა-რაზმელებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. გაბოროტებულმა თვითმპყრობელობამ თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს სისხლიანი ამბები დაატრიალა. ქალაქის თვითმმართველობის (ამჟამად თბილისის საბჭოს) შენობაში და მოედანზე მან კაზაკები მიუსია მშრომელთა მშვიდობიან მიტინგს და დახვრიტა.

1905 წლის ოქტომბერში მოსკოვსა და პეტერბურგში დაიწყო მუშათა მძლავრი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები, რაც დეკემბერში შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. სარუსეთო პოლიტიკურ გაფიცვაში და დეკემბრის საბარიკადო ბრძოლებში თბილისის პროლეტარიატმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. 14 ოქტომბერს საყვირის სასიგნალო ხმაზე მუშებმა მიატოვეს მუშაობა და დემონსტრაციული სვლით გაემართნენ დიდუბისაკენ, სადაც გრანდიოზული მიტინგი მოაწყვეს. გაფიცული აღმოჩნდა ქალაქის ყველა წარმოება. შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. გაზეთები აღარ გამოდიოდა. ქალაქში თითქოს სიცოცხლე ჩაქრა.

9 დეკემბერს რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება მხარი დაეჭირათ მოსკოვისა და პეტერბურგის მუშათა პოლიტიკური გაფიცვისათვის. 13 დეკემბრიდან გაფიცვამ ისევ საყოველთაო ხასიათი მიიღო. დაიწყო წითელარმიელების თავმოყრა ნაძალადევში, დიდუბეში, აჯანყების შტაბიც აქ დაბანაკდა. მომწიფდა თბილისის პოლიციაზე გადამწყვეტი შეტევა.

მთავრობამ ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა და შეიარაღებული მუშების წინააღმდეგ რეგულარული ჯარი გამოიყვანა. 17 დეკემბერს ნაძალადევზე დაიწყო შეტევა. მუშათა უბანს 500-მდე რაზმელი იცავდა. უთანასწორო ბრძოლაში მუშები დამარცხდნენ. მრავალი გმირულად დაეცა. რაზმელები შემდეგ პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ. აჯანყების ძირითად პუნქტად შემდეგ დიდუბე ითვლებოდა. 23 დეკემბერს მეფის არმიამ აქაც განახორციელა შეტევა და ბრძოლით აიღო ეს უბანი. არანაკლებ ცხარე შეტაკებებს ჰქონდა ადგილი სალდათის ბაზართან, სადგურის რაიონში, თხინვალის ქუჩაზე და ქალაქის სხვა რაიონებში.

ასე გმირულად იბრძოდნენ თბილისელი პროლეტარები და ამით მხარში ედგნენ მოსკოვის მუშებს, რომელთაც დეკემბერში აღმართეს ბარიკადები და გმირულად უტევდნენ თვითმპყრობელობას. მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. მიუხედავად ამისა მუშათა რევოლუციური გამოსვლები ერთბაშად არ ჩამქრალა. თბილისის პროლეტარიატი ბრძოლით, ორგანიზებულად იხევდა უკან.

რეაქციის სუსხი თბილისსაც სუნთქვას უძნელებდა. ქალაქის ციხეები გადატვირთული იყო პოლიტიკური პატიმრებით. შეუსვენებლივ მუშაობდნენ სამხედრო-საველე სასამართლოები. ყოველდღე საპატიმროებიდან გაჰყავდათ ათეულობით ადამიანები და ციმბირში გზავნიდნენ. დანაღვლიანებული გამოიყურებოდა ქალაქის ის განაპირა უბნები, სადაც 1905 — 1906 წლებში საბრძოლო ყიჟინა გაისმოდა. ახლა აქ პოლიციის გაძლიერებული პატრულები დადიოდნენ დღისით და ღამით, ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაო პირობები გაუარესდა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ წვრილბურჟუაზიული პარტიები გაიხრწნენ და გადაგვარდნენ. მენშევიკებმა უღალატეს მუშათა მოძრაობას და პარტიის ლიკვიდაციის ლოზუნგი წამოაყენეს. ერთადერთი პარტია, რომელიც რეაქციის წლებში არ შემდრკალა, ბოლშევიკური პარტია იყო. 1909 წლის ნოემბერში თბილისში (ნავთლუღში) ბოლშევიკებმა არალეგალურად ჩაატარეს საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელზედაც მიღე-



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ბული გადაწყვეტილებანი ლენინური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და პარტიას შომწიფებულ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის რაზმავდა.

თბილისის პროლეტარიატი მხურვალედ გამოეხმაურა რუსეთის იმპერიაში დაწყებულ რევოლუციურ აღმავლობას. მიუხედავად იმისა, რომ 1910 წელს თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჟანდარმების თავდასხმა და დიდი დანაკლისი განიცადა, იგი კვლავ დაუღალავად ეწეოდა მუშაობას პროლეტარიატის რიგებში და წარმართავდა რევოლუციურ აღმავლობას. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენა-განმტკიცებას სათავეში ედგნენ: ს. ორჯონიკიძე, მ. კვარაცხელია, პ. არველაძე, ვ. ძნელაძე, ს. სპანდარიანი, ს. კასიანი, ა. აკოფიანი, ვ. სტასოვა და სხვები. იმპერიალისტური ომის წლებში თბილისის ბოლშევიკები დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა შორის. ისინი განუმარტავდნენ მუშებს, ჯარისკაცებს ობორონცული პარტიების ღალატს პროლეტარიატის ინტერესებისადმი, მოუწოდებდნენ მასებს შემჭიდროებულიყვნენ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ომისა და რეოლუციის საკითხებში ლენინური ტაქტიკის განუხრელი დაცვა და პროპაგანდა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობის ძირითად ღერძს წარმოადგენდა.

თვითმპყრობელობის დამხობამ 1917 წლის თებერვალში თბილისის მშრომელთა საყოველთაო ზეიმი გამოიწვია. რუსეთიდან ამ სასიხარულო ცნობის მიღების დღესვე ქალაქში გაიმართა მშრომელთა მიტინგები, დემონსტრაციები. მუშები ერთმანეთს ულოცავდნენ ცარიზმის საზიზღარი რეჟიმის დამხობას. თბილისში თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ ამ ორგანოებში უმრავლესობა შემთანხმებლურმა პარტიებმა (მენშევიკებმა და ესერებმა) მოიპოვეს, რომელთაც ბურჟუაზიასთან სოლიდარობის ლოზუნგი წამოაყენეს. 18 მარტს თბილისში ჩამოვიდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ შექმნილი „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ და იგი მენშევიკებთან შეხმატკბილებულად შეუდგა ამიერკავკასიის მართვა-გამგეობას.

თებერვლის ბურჟუაზიულმა დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ გადაწყვიტა მშრომელი მასების სასიცოცხლო საკითხები. მუშათა და გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. სისხლისმღვრელი ომი ისევ გრძელდებოდა. საჭირო იყო რევოლუციის გაღრმავება, მისი ბოლომდე მიყვანა, სოციალისტურად გადაზრდა. რუსეთის მუშათა კლასს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გენიალური გეგმა დაუსახა დიდმა ლენინმა. ამ გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში მთელი რუსეთის მუშათა კლასთან ერთად გმირულად იბრძოდა თბილისის პროლეტარიატი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა (მენშევიკებმა, დაშნაკებმა, მუსავატელებმა) კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესების დაცვის მიზნით ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტეს. იგი ჯერ თურქეთ-გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკის ინტერვენტთა პლაცდარმად გადააქციეს სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციური პარტიების ამ ბოროტ საქმიანობის წინააღმდეგ თბილისის პროლეტარიატი ამიერკავკასიის მშრომელებთან ერთად შეუპოვრად იბრძოდა. თბილისის პროლეტარიატი აღშფოთებით შეხვდა შამქორში ჯარისკაცთა ვერაგულ დახვრეტას, წინ აღუდგა კონტრრევოლუციური სეიმის მოწვევას. მუშათა მკაცრი პროტესტის გამოხატულება იყო ხალხმრავალი მიტინგი ყოფილ ალექსანდრეს (ახლა 26 კომისრის სახელობის) ბაღში. ეს მიტინგი მენშევიკმა გვარდიელებმა დახვრიტეს.

მას შემდეგ, როცა შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე კონტრრევოლუციური სეიმი დაიშალა, ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს თავიანთი მთავრობა და საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მაგრამ სწორედ ამ დროიდან დაიწყეს თბილისსა და მთელ საქართველოში პარპაში უცხოელმა დამპყრობლებმა, რომელსაც ფეხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ამოუკვეთა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელების ბრძოლაში თბილისს წამყვანი ადგილი ეკავა. აქ მუშაობდა რსდმპ (ბ) კავკასიის საქალაქო კომიტეტი, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში კავკასიის ბოლშე-

ვიკური ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე იქნა არჩეული. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფ. ნახარაძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ა. მიქოიანი, ა. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, ნაზარეტიანი, ს. ქავთარაძე და სხვები. თბილისში 1917 წ. გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები „კავკასსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“. ხოლო 1920 წლიდან გაზეთები „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“. თბილისის პროლეტარიატი პოლიტიკურ გაფიცვებში, საპირველმაისო დემონსტრაციებში გამოხატავდა თავის გულისწყრომას მენშევიკური ხელისუფლებისადმი, რომელიც საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ იმპერიალისტთა ხიშტებს იშველიებდა. დიდი პოლიტიკური აქტიობით ხასიათდებოდა თბილისის პროლეტარიატის გაფიცვა 1919 წელს. ამ წელს მზადდებოდა საყოველთაო აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყების მესიგნალე თბილისი უნდა ყოფილიყო. აჯანყება დამარცხდა იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელი შტაბი 1919 წლის 22 ოქტომბერს დააპატიმრეს.

საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმატებით წარიმართა მას შემდეგ, რაც დენიკინის თეთრგვარდიელი არმიის დამარცხებით წითელმა არმიამ აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებს ძმური დახმარება გაუწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. საქართველოს კომუნისტებმა მოამზადეს ახალი აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ, აჯანყება ქვემო ქართლში დაიწყო. თბილისში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. საქართველოს მშრომელთა სამწლიანი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში აფრიალდა წითელი დროშა. მენშევიკურმა მთავრობამ თავს გაქცევით უშველა.

ამ დღეიდან დაიწყო თბილისის მშრომელებისა და მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ეპოქა. თბილისი სოციალისტური საქართველოს დედაქალაქი განახლება-აყვავების გზაზე შედგა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება თბილისის სწრაფი ზრდა, გამშვენიერება, სოციალისტური საქართველოს კეთილმოწყობილ დედაქალაქად გადაქცევა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღესვე საქართველოსა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის, თბილისის საბჭოსა და ყველა მშრომელის წინაშე დაისახა თბილისის მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის ნგრევისა და ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაციის, სოციალისტურ ყაიდაზე ქალაქის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს იყო მეტად რთული, დიდი სიძნელეებით აღსავსე სამუშაო, რადგან 1921 — 22 წლებში ჩვენი ქალაქი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქა-იქ თუ ბუუტავდა ხანგრძლივი ნგრევის შედეგად ჩამქრალი მრეწველობის კერები. აღრიცხვაზე მყოფი 304 საწარმოდან მხოლოდ 222 მუშაობდა, ისიც მცირე დატვირთვით. თბილისის პროლეტარიატის რიცხვი დიდად იყო შემცირებული, მძვინვარებდა სპეკულაცია, შიმშილობა. საქალაქო მეურნეობა მთლიანად მოშლილი იყო. მოსახლეობა ზრდის ნაცვლად მცირდებოდა, რადგან შიმშილობა და ყოფაცხოვრების მინიმალური პირობების უქონლობა მშრომელებს აიძულებდა თბილისიდან გაქცეულიყო და სოფლებისთვის თავი შეეფარებინა.

ამ სიძნელეების ლიკვიდაციას სათავეში ჩაუდგა თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც შესძლო მშობლიური დედაქალაქის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება თბილისის ყველა პატიოსანი მშრომელი.

1921 წლის მიწურულში თბილისში ჩატარდა საბჭოების პირველი არჩევნები. შედეგები ბრწყინვალე აღმოჩნდა. მშრომელებმა თავიანთი ხელისუფლების ორგანოში აირჩიეს კომუნისტები, — ხალხის თავდადებული ადამიანები. ს. ორჯონიკიძე არჩევნების შედეგებს აცნობებდა რა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს, აღნიშნავდა, რომ თბილისის მშრომელები უსაზღვროდ ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა, მასების პოლიტიკურმა აქტიობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა აქ საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობსო.

თბილისის საბჭო — ეს იყო თბილისის მშრომელთა პირველი არჩევითი ორგანო, რომელიც სარგებლობდა მშრომელთა ნდობითა და მხარდაჭერით; იგი ენერგიულად ჩაუდგა სათავეში ქალაქის ნგრევის ლიკვიდაციის, მისი კეთილმოწყობა-გამშვენიერების გრანდიოზულ საქმეს.

ამიერკავკასიის კომუნისტებმა ნაციონალ-ექლექტიკოსტების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში წარმატებით განახორციელეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ლენინური იდეა. თბილისის მშრომელები ამ ბრძოლაში მხარში ედგნენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას. ფედერაცია მათ მიაჩნდათ საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. 1922 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის მოწყობა დასრულდა. ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის 10 დეკემბერს არჩეულ იქნა ფედერაციული სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები, რომელთა რეზიდენციად შეიქმნა თბილისი. ამ ვითარებაში თბილისის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. სამხარეო დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის ახალი გზები და საშუალებები დაისახა.

დედაქალაქის აღდგენისა და სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის დიდ საქმეში თბილისის მშრომელებს დახმარებასა და მზრუნველობას არ აკლებდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, პირადად ვ. ი. ლენინი.

1921 წლის 7 ივლისს ვ. ი. ლენინი სასურსათო კომისრის რწმუნებულისადმი გამოგზავნილ დეპეშაში აღნიშნავდა: „Учитывая тяжелое продовольственное положение Грузии вам предлагается отправить в течение июля в Тифлис, в адрес Наркомтруда Грузии 100 тыс. пуд. хлеба. Получение и исполнение подтвердить“.

ამიერკავკასიაში სახალხო მეურნეობის ნგრევის ლიკვიდაციისა და სოციალისტური გარდაქმნის, საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცების, ინტერნაციონალური სოლიდარობის გაღრმავებისა და ამიერკავკასიის ქალაქების კეთილმოწყობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წერილს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი (1921 წ. 14 აპრილი). წერილში ვ. ი. ლენინი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ავალებდა ანგარიში გაეწიათ იმ თავისებურებებისათვის, რომელიც წვრილბურჟუაზიულ, აგრარულ ამიერკავკასიაში თან ახლდა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. ამასთანავე ლენინი კონკრეტულად მიუთითებდა იმ გზებზე და რესურსებზე, რომელთა უნარიანი გამოყენება ამიერკავკასიის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას გამოიყენდა საეკონომიკო ჩამორჩენილობიდან და სოციალისტურ რელსებზე დააყენებდა. ვ. ი. ლენინს ამიერკავკასიის ბუნებრივი პირობები მიაჩნდა ელექტროფიკაციის განვითარების ხელსაყრელ პირობად და კომუნისტებს მიუთითებდა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის დანერგვა-განვითარებას ამიერკავკასიაში. ვ. ი. ლენინის მითითებით 1922 წელს თბილისის მახლობლად, ზემო ავჭალაში საფუძველი ჩაეყარა მტკვარზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. საბჭოთა მთავრობამ ამ საქმისათვის გაიღო 700 ათასი მანეთი ოქროთი. 1927 წელს ზაჰესის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირში სიმძლავრით მეორე ადგილზე იდგა, ექსპლოატაციაში შევიდა. ეს იყო თბილისის მშრომელთა პირველი ინდუსტრიული გამარჯვება, მთელი ქართველი ხალხის ზეიმი; ზაჰესმა არა მარტო გააჩირაღდნა თბილისის ჩაბნელებული ქუჩები, არამედ მძლავრი ბიძგი მისცა აქ მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით თბილისის ინდუსტრიული განვითარება სწრაფად წარიმართა. 1924 წელს თბილისის სამრეწველო წარმოებებმა 38%-ით გადააჭარბეს პროდუქციის გამოშვების 1921 წლის დონეს. ათი წლის განმავლობაში (1921 — 1931 წწ.) აღდგენილ იქნა და ახალი ტექნიკით გადახალისდა 30-ზე მეტი რევოლუციამდელი საწარმო. მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: კამეოლის კომბინატი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, მექანიკური ქარხანა, ლითონკონსტრუქციების ქარხანა, მაკარონის ფაბრიკა, პურის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, ლუდის ქარხანა, მარგარინის ქარხანა და სხვ. პირველ ხუთწლედში თბილისის მრეწველობის პროდუქცია დაახლოებით სამჯერ გაიზარდა.

თბილისის მრეწველობის განვითარების ტემპები კიდევ უფრო სწრაფი იყო მეორე და მესამე ხუთწლედებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მძიმე მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობასა და არსებულის ტექნიკურ რეკონ-

სტრუქციას. 26 კომისრის და კალინინის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა მიიღეს სრულიად ახალი ტექნიკური შეიარაღება, მათ ახალი საამქროები შეემატა. აშენდა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა კიროვის სახელობის ჩარხთმშენებელი, ფოლად-თუჯსასხმელი, ავტოსარემონტო ქარხნები, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ფეხსაცმლისა და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკები, პურის მექანიზებული ქარხნები, ლუდის, შამპანური ღვინოებისა და თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები, საშენ მასალათა საწარმოები და მრავალი სხვ.

თბილისის მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გარეთაც სახელი გაითქვა. მისი მომხმარებელი გახდნენ საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის, საზღვარგარეთის ქვეყნები. თბილისის მრეწველობის საერთო პროდუქციაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ლითონდამუშავების დარგების ხვედრითი წონა. 1932 წ. 8,6%-დან 1944 წელს იგი 33,6 პროცენტამდე გაიზარდა.

თბილისის ახალმა მძლავრმა მრეწველობამ დიდი სამამულო ომის წლებში ღირსეულად გაართვა თავი მის წინაშე დაკისრებულ ამოცანებს. გამსხვილდა კვებისა და საფეიქრო მრეწველობის რიგი საწარმოები, მოკლე დროში ათვისებულ იქნა ომისათვის საჭირო ნაირსახეობის საჭურვლის წარმოება. ომის პერიოდში (1944 წ.) თბილისში მოქმედებდა 364 მსხვილი და 663 წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთა პროდუქცია 1926—27 წწ. ფასებში 567,4 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ომისშემდგომ წლებში თბილისის მრეწველობამ ახალი, მძლავრი აღმავლობა განიცადა. აშენდა ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა, პლასტმასის, კონიაკის, რძის ნაწარმის და პურის ქარხნები, შოკოლადის ფაბრიკა, მაცივარკომბინატი, გაფართოვდა მანქანათმშენებლობის, საფეიქრო, კვების მრეწველობის საწარმონი. ახლა თბილისში 1228 მსხვილი და წვრილი საწარმოა. 1957 წელს თბილისის წარმოების დონე 50-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის წარმოების დონეს. ამ წელს თბილისის მრეწველობამ გეგმა 110,9 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს მისცა 8,2-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს და ერთიორად მეტი, ვიდრე 1950 წელს.

თბილისის მრეწველობის წინაშე ახალი, ფართო პერსპექტივებია დასახული. გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი საწარმოების მშენებლობა, არსებულის გაფართოება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქიმიური და ელექტროტექნიკური დარგების საწარმოთა მშენებლობას.

თბილისის ინდუსტრიული განვითარების მძლავრ ფაქტორს ყოველთვის წარმოადგენდა რკინიგზის ტრანსპორტი, რამაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განუწყვეტელი წინსვლა განიცადა და თბილისს სსრ კავშირის მსხვილი სარკინიგზო ცენტრის ადგილი დაუმკვიდრა. ხუთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგად გაყვანილ იქნა რკინიგზის ახალი ხაზები, გადიდდა და გაფართოვდა ტვირთბრუნვა, ქალაქის სატრანსპორტო კვანძმა განიცადა საფუძვლიანი ტექნიკური გადახალისება — გატარდა მისი ელექტროფიკაცია და ავტობლოკირება. გაფართოვდა და ახალი ტექნიკის მიხედვით მოეწყო დეპო და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა. ღირსეულ ტრადიციების მქონე ეს ქარხანა მთელს რესპუბლიკაში ამჟამად ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საწარმოა, თბილისის კვანძს ყოველწლიურად 40 ათასზე მეტი მგზავრი გადაჰყავს.

ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მისი სოციალური სახე, მისი ელფერი. რევოლუციამდელი თბილისი, უმთავრესად პოლიციელებისა და ვაჭრების ქალაქი, გარდაიქმნა დიდ ინდუსტრიულ ცენტრად, რომელსაც ახლა 70 ათასიანი მუშათა კლასი ჰყავს. ამასთანავე მუშათა კლასმა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ზრდაც განიცადა, იგი დაეუფლა ახალ, სოციალისტურ ტექნიკას. თბილისელი მუშები გაბედულად ეხმაურებიან საბჭოთა ინდუსტრიული ცენტრების მუშათა პატრიოტულ წამოწყებებს, ხშირად თვით იჩენენ მისაბაძ თაოსნობას ახალი ტექნიკის ათვისების, მოწინავე ტექნოლოგიისა და შრომის ახალი მეთოდების დანერგვის საქმეში.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე თბილისის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საქალაქო

საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით ენერგიულად მოჰკიდეს ხელი თბილისის საქალაქო მეურნეობის ჩამორჩენის უსწრაფესი ლიკვიდაციისა და სოციალისტური ეპოქისათვის შესადარ კეთილმოწყობილ ქალაქად გადაქცევის საქმეს.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის წლების სამეურნეო სიძნელეთა ვითარებაში ნახევრადდანგრეული ქალაქი, სადაც მოშლილი იყო კომუნალური მეურნეობის ყველა უბანი, გაბატონებული იყო სპეკულაცია და შიმშილობა — ასეთი იყო მემკვიდრეობა, რომელიც აქ საბჭოთა ხელისუფლებას დახვდა. მაგრამ სოციალისტური წყობილების ვითარებაში მოხერხდა არა მარტო აღდგენა ომამდელი მდგომარეობისა, არამედ თბილისის სრული გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის მძლავრ ინდუსტრიულ, კეთილმოწყობილ, ლამაზ სოციალისტურ ქალაქად. საბჭოთა ეპოქაში თბილისის ზრდის ტემპები გრანდიოზული იყო, ყოველწლიურად იგი ფართოვდებოდა იმაზე უფრო მეტად, ვიდრე წინა დროის მთელ საუკუნეებში.

თბილისს ვერც კი იცნობს ის, ვისაც იგი არ უნახავს 1918 — 21 წლების შემდეგ. ძველი ქალაქი მხოლოდ მის მოხუც მკვიდრთა მახსოვრობასა და კომუნალური მუზეუმის ექსპონატებში დარჩა. სულ სხვაა ახალი თბილისი — გრანდიოზული და მომხიბვლელი სილამაზისა. მას ყოველწლიურად ათასობით უცხოელი ათვალიერებს. თბილისი ახლა ყველა მნახველს აოცებს არა აღმოსავლური ეგზოტიკის მრავალფეროვნებით, არამედ სოციალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი სიდიადითა და გრანდიოზულობით.

ძველი თბილისი ახლა ქალაქის ერთ პატარა უბანსღა წარმოადგენს. ქალაქი გაიზარდა და გაფართოვდა; გაშენდა ცენტრი, თუ რევოლუციამდელი თბილისის განაშენიანებული ტერიტორია 700 ჰექტარს არ აღემატებოდა, 1932 წელს მან 3.710 ჰექტარს, ხოლო 1955 წელს 6.320 ჰექტარს მიაღწია. აღმოცენდა ახალი ცენტრი და ისეთი კეთილმოწყობილი რაიონები, როგორიცაა ვაკე და საბურთალო, ნაძალადევი და ნავთლუღი.

არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. თუ 1921 წელს თბილისში მცხოვრებთა რიცხვი 233 ათას სულს არ აღემატებოდა 1939 წელს მან 519,2 ათასს მიაღწია. 1956 წლ. 1 აპრილის აღწერით თბილისის მოსახლეობა უკვე 635 ათას სულს შეადგენდა. (აქვე მიეთითებთ, რომ თბილისი ტრადიციულად ინტერნაციონალური სოლიდარობის ქალაქს წარმოადგენს). მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ასეთია: ქართველები — 44 პროც., სომხები — 26,4 პროც., რუსები — 18 პროც., ყველა სხვა ეროვნებანი 11,6 პროც.). თბილისში მოსახლე ყველა ერის შვილებს აქვთ ეროვნული განვითარების ფართო შესაძლებლობა. თავიანთ ენაზე ისინი ასწავლიან შვილებს, სცემენ გაზეთებსა და ჟურნალებს, ისმენენ რადიო-გადაცემებს. ბეჭდავენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას და სხვ. თბილისში მოსახლე სხვადასხვა ეროვნების შვილთა თანამეგობრობა, სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა. თბილისის ყველა მშრომელი, განურჩევლად ეროვნებისა, თავდადებით, ენთუზიაზმით, მონაწილეობდა და მონაწილეობს მშობლიური ქალაქის მშენებლობაში, მის შემოქმედებითს, მჩქეფარე ცხოვრებაში.

როგორია ის ძირფესვიანი ცვლილებები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქმა განიცადა?

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წელს თბილისში მოქმედებდა 20 მცირეძალიანი ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 4.080 ცხენისძალას არ აღემატებოდა. ქალაქის მოსახლეობის 30 პროც. თუ ჰქონდა ელექტროგანათება. ქუჩები სიბნელით იყო მოცული. ზაჰესის ამუშავებამ 1927 წელს ერთის დაკვრით გიგანტურად წასწია წინ თბილისის ელექტროფიკაციის საქმე. 1935 წელს ელექტროენერგიის მოხმარება ქალაქის ერთ მცხოვრებზე წელიწადში საშუალოდ უკვე 199,2 კილოვატსაათს უდრიდა. მაგრამ ქალაქის მეურნეობის სწრაფი ზრდის პირობებში ელექტროენერგიის ნაკლებობამ ისევ იჩინა თავი. მდგომარეობა გაუმჯობესდა იმით, რომ შეიქმნა საქართველოს ელექტროსადგურების ერთიანი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი გახდა თბილისისათვის საქართველოს სხვა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება. ამასთან, 1939 წელს ამუშავდა თბილისის ელექტროცენტრალის პირველი რიგი, 1941 წ. — მეორე რიგი. ამჟამად თბილისში ელექტროენერგიის მოხმარება 400-ჯერ და უფრო მეტად აღემატება რევოლუციამდელ პე-

რიოდს. 30-ჯერ გაიზარდა ქალაქის მაღალი ძაბვის ქსელის სიგრძე. თბილისის ელექტროენერგიით მომარაგების საქმე წინ წასწია აგრეთვე ორთაჭალ-ჰესის აგებამ, საქენერგოს სისტემაში ახალი ჰიდროელსადგურების ჩართვამ და მოძმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მინგეჩაურჰესის ამუშავებამ, რომელიც ახლა ენერგიას თბილისსაც აწვდის.

რევოლუციამდე თბილისს განსაკუთრებით აწუხებდა წყლის ნაკლებობა, მოსახლეობა სასმელად ხმარობდა მტკვრის მღვრიე წყალს. ავჭალის მცირეძალოვანი ერთადერთი წყალსადენი მცირე პროცენტს აკმაყოფილებდა. უბნებში თითო-ოროლა ონკანი იდგა. „მეთულუხჩენი“ მტკვრის წყალს ჰყიდდნენ ქუჩებში. ქალაქის საბჭომ პირველ რიგში, გადაახალისა და გააუმჯობესა არსებული წყალსაჩავები. 1929 წელს დაიწყო ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა და 1933 წლის აგვისტოში თბილისში მიღებულ იქნა ნატახტარის ანკარა წყაროების წყალი. ქალაქისათვის ეს ნამდვილი ზეიმი იყო. მაგრამ გიგანტურად მზარდი თბილისი მალე ნატახტარმაც ვერ დააკმაყოფილა. 1941 წელს დამთავრდა ნატახტარის მეორე რიგის მშენებლობა, რამაც წყლის მიწოდება ქალაქისათვის სეკუნდში 180 ლიტრით გაადიდა. 1952 წელს რიგში ჩადგა ბულაჩაურის წყალსადენი. თბილისმა და მისმა პირმშომ რუსთავმა დამატებით ბულაჩაურის წყაროს წყალი მიიღო. თბილისის წყლით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ისევ მიმდინარეობს მუშაობა. მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში შევა საგურამოს წყალსადენის პირველი რიგი და სამგორის წყალსადენის მეორე რიგი. ახლა წყლის მიღების სულადობრივი ნორმა დღეღამეში 300 ლიტრაზე მეტს შეადგენს, მაშინ როცა 1921 წელს იგი 40 ლიტრს არ აღემატებოდა.

1883 წელს თბილისში რკინიგზის სადგურიდან ვორონცოვის მოედნამდე გაყვანილ იქნა ცხენის რკინიგზა (კონკა). იგი შემდეგ პუშკინის ქუჩამდე გაგრძელდა. ვიწროლიანდაგიანი ელექტროტრამვაი თბილისში პირველად 1904 წელს ამუშავდა. 1921 წელს ხაზზე მუშაობდა სულ 33 ვაგონი, რომელმაც 22 ათასი მგზავრი გადაიყვანა. ტრანსპორტის მეურნეობა მოშლილი იყო. ტრამვაი ცენტრს ემსახურებოდა. გარეუბნებში გასასვლელი ქუჩები ვიწრო და მოუკირწყლავი იყო. წვიმიან დღეებში იქ გავლა შეუძლებელი ხდებოდა.

ქალაქის საბჭომ პირველ რიგში გადაახალისა ტრამვაის მეურნეობა. შეიცვალა გაცვეთილი რელსები და შპალები, მოძრაობა ფართოლიანდაგზე იქნა გადაყვანილი, გაიზარდა ქსელი, გადიდდა ვაგონების რიცხვი. 1927 წ. თბილისის ხაზზე უკვე მუშაობდა 134 ვაგონი, ხოლო 1940 წელს 259 ვაგონი, რომელსაც წლიურად 194.320,8 ათასი მგზავრი გადაჰყავდა.

მალე თბილისში ტრამვაის გვერდში ამოუდგა ტრანსპორტის ახალი და მოხერხებული სახე — ტროლეიბუსი. ტროლეიბუსების საჰაერო ხაზებმა მოკლე ხანში გადასერეს ქალაქის პროსპექტები და ქუჩები. ამჟამად თბილისის მოსახლეობას ყოველდღიურად მომსახურებას უწევს ტრამვაის 289 ვაგონი, 108 ტროლეიბუსი, 240 ავტობუსი და 490 მსუბუქი ავტომანქანა. თბილისიდან სარეისო ავტობუსები სისტემატურად დადიან ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქებში (ბაქო, ერევანი), აღმოსავლეთ საქართველოს რაიონულ ცენტრებში, თბილისის საგარეუბნო კურორტებზე, საქართველოს სამხედრო გზაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ტრამვაი-ტროლეიბუსების და ავტო-მანქანების ქსელი და რიცხვი უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

თბილისი იმთავითვე საბინაო ფონდის სიმცირით ხასიათდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნათელ, ფართო და კეთილმოწყობილ ბინებში მხოლოდ შეძლებული პირები ცხოვრობდნენ. თბილისის პროლეტარიატი უმთავრესად მოსახლეობდა გარეუბნებში, სადაც ვიწრო, ფარღალალა ქოხმახები იყო აგებული.

თბილისის მშრომელთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საბჭოთა ხელისუფლებამ ერთის დაკვრით გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. სახლთმფლობელებს ჩამოართვა ბინები და მათში მუშები და მოსამსახურეები ჩაასახლა, დააწესა ბინათსარგებლობის და კომუნალური მომსახურეობის ნორმალური და მტკიცე საფასური.

მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. თბილისის მრავალი ძველი შენობა მწყობრიდან გამოდიოდა. მოსახლეობის რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1927 წელს ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 5,6 კვ. მეტრი მოდიოდა. ეს ფონდიც არათანაბრად იყო განაწილებული.

1924 წლიდან ქალაქში დაიწყო სწრაფი საბინაო მშენებლობა. 1924 — 27 წლებში ქალაქში აგებულ

იქნა 115 საცხოვრებელი სახლი 9.971 კვ. მეტრის ფართობით. 1940 წელს თბილისის საცხოვრებელმა ფართობმა 4609 ათას კვ. მეტრს მიაღწია. საბინაო მშენებლობის ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა ომისშემდგომ წლებში. მოკლე ხანში წამოიზიმა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მარქსისა და მარჯანიშვილის მოედანზე, პლეხანოვის პროსპექტზე. ვაკესა და საბურთალოში შეიქმნა ახალი საცხოვრებელი კვარტალები. 1956 წლის დასაწყისისათვის საცხოვრებელი ფართობი ქალაქში 5 400 ათას კვ. მეტრს შეადგენდა. მარტო 1956 და 1957 წლებში სახელმწიფო ხაზით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3,5 ათასი კვ. მეტრით მეტი საცხოვრებელი, ვიდრე მთელ მეხუთე ხუთწლედში. 1958 წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 100 ათასი კვ. მეტრი ფართობი. მომავალში თბილისელები ყოველწლიურად 200 ათას კვ. მეტრ ფართობს მიიღებენ. ახალი სახლები კეთილმოწყობილია. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს დიდად გააუმჯობესებს ქალაქის გაზიფიკაცია, რომელიც მომავალი წლიდან დაიწყება.

შორეულ წარსულში თბილისის ტერიტორია და მისი გარეუბანი ტყით იყო დაფარული. შემდეგ ტყე გაიჩეხა, ნიადაგი მწირი გახდა და თბილისი მოტიტვლებული გორებით გარემოცული აღმოჩნდა. მწვანე ნარგავების სიმცირე ქალაქში ზაფხულის ცხელ დღეებს აუტანელს ხდიდა. რევოლუციამდე საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ფართობი ქალაქში მხოლოდ 24 ჰექტარს შეადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისს გამწვანებას მიეცა სერიოზული ყურადღება. გაშენდა ახალი პარკები და-სკვერები, ქუჩების ორთავე მხარეს ჩამწკრივდა ფოთლოვანი ხეების რიგი. ამჟამად თბილისში მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა 365 ჰექტარს შეადგენს. თბილისის მშრომელები ზაფხულის ცხელ საღამოებს ატარებენ სტალინის, ორჯონიკიძის, კიროვის სახელობის, ვაკის და სხვ. კეთილმოწყობილ პარკებში. მტკვრის სანაპიროს ხეივნებში, დეკორატიულ სკვერებში და მწვანით გარემოსილ სხვა ადგილებში, სადაც მათ აღარ აწუხებთ ზაფხულის პაპანაქება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისის საავაჭრო ქსელი. აშენდა მრავალი საკოლმეურნეო ბაზარი, გაიხსნა მსხვილი სპეციალიზებული საავაჭრო მაღაზიები. 1957 წელს თბილისში საავაჭრო მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი 2137 ერთეულს შეადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისის კეთილმოწყობაზე აუარებელი თანხები დაიხარჯა. იმის ნათელ ილუსტრაციას, თუ როგორ იზრდებოდა თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის გაღებული თანხები, იძლევა თბილისის ბიუჯეტის ზრდა. თუ 1924 წელს ქალაქის ბიუჯეტი შეადგენდა 2181 მანეთს, 1933 წელს მან 60.422 ათას მანეთს მიაღწია. 1937 წლისათვის ბიუჯეტი 151.175 ათას მანეთს, ხოლო 1939 წელს 166 მილიონ მანეთს შეადგენდა. თბილისის მშრომელთა დაუღალავმა მარჯვენამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით თბილისი კეთილმოწყობილ, საცხოვრებლად მოხერხებულ და მიმზიდველ ქალაქად გადაქცია.

1930 წლამდე მტკვრის ორთავე სანაპირო უსწორმასწორო ჭუჭყიან, დაჭაობებულ, წვრილი სახელოსნოებითა და ფიცრული სახლებით დახერგილ ზოლს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყო მადათოვის კუნძულის ტერიტორია, სადაც აშმორებული წყალი და ნაგვის გორები ჰაერს წამლავდნენ. 1933 წლიდან თბილისში ინტენსიურად გაშალა მტკვრის სანაპირო ქუჩების მშენებლობა. 1935 წელს თბილისის მშრომელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — გრანიტოვანი სანაპირო ვ. ი. ლენინის სახელობის ხიდიდან კ. მარქსის სახელობის ხიდამდე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. შემდგომ წლებში სანაპიროს მშენებლობა გრძელდებოდა და ახლა დასასრულს უახლოვდება. ახლა მტკვარი თბილისის მთელ სიგრძეზე გრანიტოვან არტახებშია მოქცეული. მის ორთავე მხარეს გასდევს ფართო მაგისტრალები, რომლებიც ხეივნებით, პარკებით, სკვერებითა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით არის დამშვენებული.

სანაპიროს აგებასთან დაკავშირებით გადაიჭრა მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა — ელბაქიძის სახ. დაღმართის გადატვირთვის და საბურთალოსა და ვაკის რაიონების რკინიგზის სადგურთან დაკავშირების პრობლემა. მდ. ვერასა და მტკვარს შორის აღმართული გორაკის გაჭრამ და იქ ფართო,

მოასფალტებული ქუჩის გაყვანამ, მტკვარზე ერთ-ერთი ულამაზესი ხიდის აგებამ, ამ უბანს საკმაოდ შეეცვალა სახე. იქ, სადაც რევოლუციამდე ქალაქის დასასრული იყო, გაკეთდა გმირთა სახელობის ერთ-ერთი ულამაზესი მოედანი, რომლის ერთ მხარეზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორე მხარეს, მაღლობზე, სახელმწიფო ცირკის ულამაზესი შენობაა წამოჭიმული. წლების მანძილზე მიმდინარეობდა ვარაზის ხევის ამოესება და 1957 წლის მაისში გმირთა მოედანი ფართო, კეთილმოწყობილ ხეივნიანი აღმართით დაუკავშირდა ვაკეს. ამ გრანდიოზულმა სამუშაომ ვაკისა და საბურთალოს რაიონები ჭეშმარიტად დაამშვენა, ამავე დროს, რეგულაცია შეიტანა ქალაქის ტვირთთა ნაკადის მარშრუტების განაწილებაში.

1935 წელს დამთავრდა კალიევის სახ. აღმართის გასწორება, გაფართოება და კეთილმოწყობა, გაიხსნა კომკავშირის ხეივანი — თბილისის მშრომელთა ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი.

თბილისს დასავლეთიდან დაჰყურებს მაღლობი—თრიალეთის ქედის ტოტები. 1900 წელს ბელგიელთა ერთ-ერთმა ანონიმურმა საზოგადოებამ აქ ააგო ტრამვაის საბაგირო ხაზი — ფუნიკულიორი, მაგრამ რევოლუციამდე კეთილმოუწყობლობის გამო ფუნიკულიორს თბილისისათვის რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ფუნიკულიორის ზედა პლატო ჯაგებით იყო დაფარული. მეორე ხუთწლედის მანძილზე აქ გრანდიოზული სამუშაო განხორციელდა. აიგო ტრამვაის ქვედა სადგური, გადახალისდა ხაზი, ხოლო ფუნიკულიორის ზემოსადგური დამშვენდა მარმარილოსა და გრანიტისაგან ნაგები სამსართულიანი შენობით. გაშენდა ფართო პარკი, აიგო კინო-თეატრისა და ესტრადის შენობები, მოეწყო მრავალი გასართობი. ფუნიკულიორამდე მიყვანილ იქნა ფართო მოასფალტებული გზა. ფუნიკულიორი, რომელსაც ახლა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ეწოდება, თბილისის მშრომელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი დასასვენებელი და გასართობი ადგილია, იგი დიდძალ ხალხს იზიდავს და ყველას ხიბლავს სილამაზითა და გრანდიოზულობით.

ძირფესვიანად გარდაიქმნა ავლაბრის და ორთაჭალის რაიონები. ვიწრო დაკლაკნილი ქუჩები და ასანთის კოლოფებივით მოწყობილი ერთსართულიანი სახლები წარსულს ჩაბარდა. ეს რაიონები ფართო, მოასფალტებული ქუჩებით დაისერა და მრავალსართულიანი სახლებით დამშვენდა. თბილისის ულამაზეს რაიონებად იქცა აგრეთვე ვაკე, საბურთალო, ნავთლუღი და ნაძალადევი, რომლებიც წინათ ან სავსებით დაუსახლებელ ან ჭუჭყიან, უყურადღებოდ მიტოვებულ და უგზოობის გამო მიუდგომელ გარეუბნებს წარმოადგენდნენ.

თბილისი დამშვენდა ახალი მოედნებით, ფართო პროსპექტებით. ქალაქის მარჯვენა ნაწილი მარცხენას მჭიდროდ დაუკავშირდა ახალი ხიდებით, თვალსაჩინო ადგილებზე აიგო ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ შვილთა მონუმენტები და ძეგლები. თბილისს აქვს ორი სტადიონი, საცურაო აუზი და მრავალი სპორტული მოედანი, აშენდა ახალი სასტუმროები, გარდაიქმნა და გაფართოვდა ვაგზლის რაიონი და რკინიგზის სადგურის შენობა.

თბილისის შემდგომი კეთილმოწყობისათვის მიმდინარე წელს გრანდიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. ქალაქის 1 500 წლისთავისათვის დამთავრდება ერთ-ერთი ულამაზესი 1 800 მეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის მაგისტრალის მშენებლობა, იგი ვაკეს საბურთალოს საცხოვრებელ მასივთან დააკავშირებს. აიგება დიდი საცურაო აუზი, სრულად დამთავრდება მტკვრის სანაპიროს მშენებლობა, გაიხსნება ახალი სასტუმრო „საქართველო". მოხდება ელბაქიძის დაღმართისა და რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქცია.

თბილისი უახლოეს ათეულ წლებში კიდევ უფრო დამშვენდება, მისი ზრდა-განვითარების ტემპი მთელი ჩვენი ქვეყნის წინსვლის ტემპს ეთანაბრება.

* * *

რევოლუციამდელ თბილისში ოთხი საავადმყოფო, 6 ამბულატორია და ორი სამშობიარო სახლი არსებობდა. მთელ ქალაქს მომსახურეობას უწევდა სულ 53 ექიმი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წინსვლასთან ერთად მიმდინარეობდა ჯანმრთელობის დაცვის ქსელის გაშლა-გაფართოება. იხსნებოდა ახალი, კეთილმოწყობილი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაგები, სამკურნალო,



საცხოვრებელი სახლი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი. ამჟამად თბილისის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 45 სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება 6582 საწოლით. საავადმყოფოს გარეშე ამბულატორიული დახმარებისათვის მუშაობს 34 პოლიკლინიკა, 30 საბავშვო კონსულტაცია, 9 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, 20 დისპანსერი. ქალაქის ჯანმრთელობას 4731 ექიმი ემსახურება. თუ რევოლუციამდე თბილისში ერთი ექიმი 1 400 სულ მაცხოვრებელზე მოდიოდა, ახლა საშუალოდ ერთი ექიმი 130 სულ მოსახლეზე მოდის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისში შეიქმნა 18 სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. საავადმყოფოები და ამბულატორიები უმაღლესი სამედიცინო ტექნიკითაა აღჭურვილი. თბილისში მოღვაწეობენ სხვადასხვა დაავადებათა სახელგანთქმული მკურნალი სპეციალისტები. განსაკუთრებული მზრუნველობითაა გარემოცული ბავშვთა ჯანმრთელობა. თუ წინათ ქალაქში სრულიად არ არსებობდა საბავშვო ბაგები, ახლა 53 საბავშვო ბაგაა 2929 საწოლით; გახსნილია 8 საბავშვო სანატორიუმი, სპეციალური საბავშვო საავადმყოფოები. საგანგებო ყურადღება ექცევა ეპიდემიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას. მუშაობს მრავალი სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულება. ქალაქის 22 აბანო ერთდროულად 1 464 კაცს ატარებს.

.თბილისი მდიდარია საგარეუბნო კურორტებით. წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი, მცხეთა, გლდანი, ოქროყანა, მარტყოფი, ბეთანია და სხვ. თბილისის მშრომელთა საუკეთესო დასვენების ადგილებს წარმოადგენენ.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობა სახალხო განათლების საქმისადმი თბილისს 1921 წელსვე დაეტყო. მენშევიკური მთავრობის პირობებში განათლებისათვის შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, 1921 — 22 სასწავლო წლისათვის უკვე მოსახერხებელი გახდა მოსწავლეთა კონტინგენტის მნიშვნელოვანი გადიდება. სოციალისტური ხუთწლედების მანძილზე თბილისის სკოლების რიცხვი და მოსწავლეთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. ამავე დროს სწრაფად მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია. ამჟამად თბილისში 173 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა 105.500-ზე მეტი მოსწავლით. ასე რომ ყოველ ათას სულ მოსახლეზე 160-ზე მეტი მოსწავლე მოდის. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს 7100 მასწავლებელი ემსახურება. გარდა ამისა, თბილისში არსებობს მუშა-ახალგაზრდობის 23 და სოფლის ახალგაზრდობის 6 სკოლა. თბილისის ტექნიკუმები ყოველწლიურად 2 000-მდე სპეციალისტს ამზადებენ.

უმაღლესი განათლების ისტორია თბილისში ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან იწყება. 1918 წელს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც კერძო შემოწირულებაზე იყო დაყრდნობილი, 1921 წლისათვის მხოლოდ 3 ფაკულტეტს ითვლიდა.

საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი განათლების საქმე საქართველოში წინ წასწია გიგანტური ნაბიჯებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზა, შემადგენლობა, კადრები 1928 — 30 წლისათვის იმდენად გაიზარდა, რომ შესაძლებელი შეიქმნა მისგან ცალკეული ფაკულტეტების გამოყოფა დამოუკიდებელი ინსტიტუტების სახით. ასე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელსაც ახლა 8 ფაკულტეტი გააჩნია და 37 სპეციალობის ინჟინრებს ამზადებს. 1930 წელს დამოუკიდებლად დაარსდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომლის 12 ფაკულტეტზე ყოველწლიურად საშუალოდ 2700-ზე მეტი სპეციალისტი მზადდება. რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაა სამედიცინო ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის ყოველწლიურად ასობით მაღალკვალიფიციურ ექიმს ამზადებს. რაც შეეხება თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, იგი ამჟამადაც რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრ კულტურულ კერას და კადრების უმნიშვნელოვანეს სამჭედლოს წარმოადგენს. აქ 5 ათასამდე სტუდენტი ეუფლება მეცნიერების სხვადასხვა დარგს. ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება 450-მდე პროფესორ-მასწავლებელი. ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაა განთქმული უნივერსიტეტში აღმოცენებული ქართული სკოლები მათემატიკისა, ფიზიოლოგიისა, გეოლოგიისა, ფილოსოფიისა, ფსიქოლოგიისა, გეოგრაფიისა, საქართველოს ისტორიისა, ძველი ქართული ენისა, ლიტერატურისა და სხვ. სამეცნიერო დისციპლინებისა.

თბილისში ახლა 12 უმაღლესი სასწავლებელია 73 ფაკულტეტით და 32.400 სტუდენტით. 7 დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში 10 ათასი სტუდენტი ირიცხება.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან იწყება საქართველოსა და მის დედაქალაქში მეცნიერების ნამდვილი ზრდა-განვითარება, რომლის კერას თბილისის უნივერსიტეტი და მის ბაზაზე შექმნილი ინსტიტუტები წარმოადგენენ. ქართული მეცნიერების განვითარებაში ახალი ეტაპის მაუწყებელი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება თბილისში. 1935 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, ხოლო 1941 წ. მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში მაშინ 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება შევიდა. ამ 10 — 15 წლის მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სწრაფად გაიზარდა. თუ დაარსებისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აკადემიის 16 ნამდვილ წევრს ითვლიდა, ახლა მას ჰყავს 1 საპატიო წევრი, 47 აკადემიკოსი და 32 წევრ-კორესპონდენტი. აკადემიის შემადგენლობაში შედის 31 ინსტიტუტი, რომლებშიც 500-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა დაუცხრომელი მუშაობის შედეგად მეცნიერულმა აზრმა დიდად წაიწია წინ. ქართველმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ცნობილი და დიდ მიღწევად აღიარებული გამოკვლევანი მათემატიკის, ფიზიკის, გეოლოგიის, ქიმიის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ტექნიკის, გეოგრაფიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებში. მეცნიერებათა აკადემიას შეემატა ელექტროტექნიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტები, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტები, გამოთვლითი ცენტრი. განზრახულია სამთო საქმის, ექსპერიმენტულ და კლინიკური ნერვოლოგიის, პალეოგრაფიისა და სხვ. ინსტიტუტების შექმნა.

თბილისის მოსახლეობის კულტურული დონის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული, პოლიტიკური, მეცნიერული, სბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის საქმე. თბილისში ამჟამად გამოდის 15 რესპუბლიკური გაზეთი და 15 ჟურნალი. თბილისის ქართულ, რუსულ, სომხურ სკოლებს აქვთ სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე. ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა რუსეთის, სსრ კავშირის მოძმე ერების, მსოფლიო კლასიკოს და თანამედროვე მწერალთა საუკეთესო ქმნილებებს. ქალაქში ამჟამად მოქმედობს 54 საკლუბო დაწესებულება, მრავალი რაიონული ბიბლიოთეკა, კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 2 მილიონს აღემატება, 12 მუზეუმი, 8 მუდმივი კინოთეატრი, ოთხი დრამატული თეატრი, ოპერა, რადიოს და ტელეხედვის ცენტრები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წინათ არნახული განვითარება და აყვავება განიცადა ქართულმა ლიტერატურამ, რომლის ცენტრს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს თბილისი.

სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ ქართველ მწერლებს შეუქმნა შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღების შესანიშნავი პირობები. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და მზრუნველობის ვითარებაში ქართულმა საბჭოთა მწერლობამ შესძლო მხატვრულად აესახა საბჭოთა ადამიანების გმირული რევოლუციური ტრადიციები, ახალი ეპოქის დაბადება, ხალხის შემოქმედებითი შრომა დიდი მომავლისათვის ბრძოლაში. სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებამ ახალ საფეხურზე აიყვანა ის რეალისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები, რომელიც XIX საუკუნეში ქართულ ლიტერატურას ახასიათებდა. სოციალიზმის გამარჯვება, ძველი და დრომოჭმული ჩვევების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა, ხალხთა მეგობრობა და მგზნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის მამაცური ბრძოლისა და თავდადების ჩვევები, ახალი ეპოქის ადამიანები, მათი დიადი საბრძოლო და შრომითი პათოსი ქართული პოეზიისა და პროზის წამყვან თემებს წარმოადგენენ. ქართველი მწერლებისათვის ყოველთვის კეთილშობილურ თემას წარმოადგენდა მშობლიური თბილისი, მისი გმირული წარსული და აწმყო, მისი ადამიანების ფიქრები და ოცნებანი. მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელმოხვეჭილ მწერლებს და პოეტებს — გ. ტაბიძეს, მ. ჯავახიშვილს, ტ. ტაბიძეს, პ. იაშვილს, გ. ლეონიძეს, კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილს, ლ. ქიაჩელს, შ. დადიანს, ი. აბაშიძეს, ს. ჩიქოვანს, გ. აბაშიძეს,

ქ. ყალაძეს, რ. მარგიანს, ი. ნონეშვილს და სხვ. შესანიშნავად აქვთ ნაჩვენები საქართველოს დედაქალაქის ისტორიული წარსული, მისი გარეგანი მომხიბვლელობა და დიდი აზრებით, შემოქმედებითი დუღილით აღსავსე თანამედროვე ცხოვრება.

ქართული ლიტერატურის ზრდისა და აყვავების ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ქალაქ მოსკოვში მიმდინარე წლის გაზაფხულზე. მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირის მკითხველებმა ქართული ლიტერატურის მიღწევები ნათლად დაინახეს იმ 150-ზე მეტი წიგნით, რომელიც დეკადის წინა დღეებში გამოიცა მოსკოვში. დეკადის დღეებში მიმდინარე შემოქმედებით დისკუსიებზე მოსკოველი თანამოკალმენი გულწრფელად აღიარებდნენ იმ მაღალ ოსტატობას, იდეურ დახვეწილობას, სიღრმესა და სილამაზეს, რომლითაც ხასიათდება ქართველი მწერლების ნამუშევარი, ამავე დროს მიუთითებდნენ იმ ცალკეულ ხარვეზებზე, რომელთა დაძლევა მთელ საბჭოთა მწერლობასთან ერთად ქართველი მწერლების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

თბილისი თეატრების ქალაქია. სახელოვანი ტრადიციები გააჩნია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, რომელსაც ასზე მეტი წლის ისტორია აქვს. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის უკანასკნელმა დადგმებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. ბალეტი „ოტელო", ერთხმად არის აღიარებული არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საბჭოთა საბალეტო ხელოვნების სიამაყედ და გვირგვინად; ხოლო ბალეტის დამდგმელი და ოტელოს როლის შემსრულებელი ვახტანგ ჭაბუკიანი — საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ფენომენად. დეკადაზე მოსკოვის მაყურებელი მოხიბლა არა მარტო „ოტელომ", არამედ თეატრის ისეთმა დადგმებმა, როგორიცაა „გორდა", „დაისი" და სხვ.

მეტად მრავალფეროვანი და მიმზიდველია თბილისის დრამატიული თეატრების რეპერტუარი. რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, რომელთაც ასი წლის წინათ შექმნილი ქართული თეატრის დიდი ტრადიციები გააჩნიათ, წარმატებით უჩვენებენ თავიანთ სცენაზე ქართულ, რუსულ და მსოფლიო კლასიკოსთა დრამატიულ ნაწარმოებებს, თანამედროვე ყოფის ამსახველ სპექტაკლებს. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლებმა „ოიდიპოს მეფემ" და „ესპანელმა მღვდელმა", მარჯანიშვილის სახ. თეატრის „რიჩარდ მესამემ", „ესკადრის დაღუპვამ", „მარინემ", გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრის „კიკვიძემ", „ხვიტბერმა გოჩამ" და სხვებმა დეკადაზე მოხიბლეს მოსკოვის მაყურებელი.

რევოლუციამდელ თბილისში კინოხელოვნება არსებითად არ არსებობდა. 1912 წელს კინოოპერატორმა ამაშუკელმა გადაიღო პოეტ აკაკი წერეთლის მოგზაურობა. 1916 წელს რეჟისორმა ა. წუწუნავამ დადგა მხატვრული ფილმი „ქრისტინე". ეს იყო და ეს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი გახდა ზედიზედ მრავალი მაღალმხატვრული ფილმის გამოშვება. თბილისის კინოსტუდიაში შექმნილი პირველი ხმოვანი ფილმი იყო მ. ჭიაურელის „უკანასკნელი მასკარადი", რომელსაც მოჰყვა მაღალი გემოვნებით გაკეთებული კინოფილმების მთელი სერია. უკანასკნელ წლებში თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ისეთი მაღალმხატვრული სურათები, როგორიცაა „მაგდანას ლურჯა", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „ბაში-აჩუკი", „ჩვენი ეზო", „საბუდარელი ჭაბუკი", „ოთარაანთ ქვრივი", „აბეზარა", „სხვისი შვილები" და მრ. სხვ.

თბილისი მაღალი მუსიკალური კულტურის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის ქალაქია. გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორებმა ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, მ. ბალანჩივაძემ და მათმა მომდევნო ნიჭიერმა თაობამ — ა. მაჭავარიანმა, ა. კერესელიძემ, ი. გოკიელმა, დ. თორაძემ, ო. თაქთაქიშვილმა, რ. ლაღიძემ და სხვებმა შექმნეს ისეთი ბრწყინვალე ქართული ოპერები და ბალეტები, სიმფონიური და ლირიკული ნაწარმოებნი, რომელთაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს. ტრადიციულად იქცა თბილისში ყოველწლიურად ხალხური შემოქმედების ოლიმპიადების მოწყობა. რესპუბლიკის მხატვრულ კოლექტივებს თბილისში ოლიმპიადაზე ჩამოაქვთ ძველი ხალხური სიმღერების და ცეკვების, სოციალიზმის ეპოქაში შექმნილი სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო ნიმუშები. თბილისში პერიოდულად ეწყობა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები.

ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სამხატვრო აკადემიაში, სურათების გალე-

რეიასა და ქართველი მხატვრების სალონში. საქართველოს სახვითი ხელოვნება, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნამდვილი გაფურჩქვნა განიცადა, თავის ტილოებზე ასახავს ქართველი ხალხის დიდ ისტორიულ ტრადიციებს, სოციალიზმის მშენებლობის პათოსს, ინდუსტრიულ-აგრარული საქართველოს თვალწარმტაც პეიზაჟებს. ახალი ყოფის ადამიანთა დიად განცდებსა და ჩანაფიქრს, სოციალისტური სამშობლოს ძალასა და უძლეველობას. საყოველთაოდ სახელმოხვეჭილ ქართველი ოსტატების ლ. გუდიაშვილის, უ. ჯაფარიძის, მ. თოიძის, ი. თოიძის, ა. ვეფხვაძის, ი. ციმაკურიძის, ქობულაძის, ვირსალაძის, ქ. მაღალაშვილის, თ. აბაკელიას, მოქანდაკეების ნ. ნიკოლაძის, თოფურიძის, ს. კაკაბაძის, შ. მიქატაძის და სხვ. ნამუშევრები ამკობს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მრავალ სურათების გალერეიას, მუზეუმებს, სცენას, დარბაზებს, ბაღებსა და სკვერებს, ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებით ცენტრს თბილისი წარმოადგენს. თბილისელმა არქიტექტორებმა მ. შავიშვილმა, ა. ქურდიანმა, ნ. ქურდიანმა, გ. ლეჟავამ, ა. ნიკოლაიშვილმა, კ. ჩხეიძემ, ა. მიმინოშვილმა, მ. მელიამ და სხვებმა შექმნეს სოციალისტური ეპოქის შესატყვისი გრანდიოზული ნაგებობანი — ფაბრიკა-ქარხნები, ადმინისტრაციული შენობები, თეატრები და კლუბები, ხიდები და სტადიონები, რომლებიც ახლა ამშვენებს თბილისს და ინდუსტრიული საქართველოს სხვა სამრეწველო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს.

* * *

ასეთია ერთი თვალისგადავლებით სოციალისტური თბილისი, მისი ყოველდღიური ნათელი ცხოვრება, მისი წარსული ტრადიციები...

თბილისი მთელი საქართველოს გულია, მისი სისხლი და ხორცია. საქართველოს მრავალსაუკუნოვან და ქარტეხილებგამოვლილ ისტორიულ ცხოვრებაში თბილისს ყოველთვის ეკავა წამყვანი ადგილი. თუ თბილისს ულხინდა, ულხინდა ქართველ ერსაც, თუ მას უჭირდა, ყველა ჭეშმარიტი ქართველი უპირველეს მოვალეობად თვლიდა იარაღით დაეცვა იგი მომხდური მტრისაგან.

სოციალისტური თბილისი ჩვენი ეპოქის მშვენებაა, იგი შრომის, ხალხთა ძმობის ქალაქია. მისი ნიჭიერი, პატრიოტი და გარჯაში დაუღალავი მშრომელები თავდადებით იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობისათვის.

* * *



გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე (XIX ს.)

შალვა ამირანაშვილი

არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი

არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნ ვერცხლის თასს, რომელიც ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ არამეულ კულტურულ სამყაროსთან და ირანთან საქართველოს კულტურული კავშირის გარკვევისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. იგი იპოვნეს არმაზის ნეკროპოლის № 2 სამარხში, რომლის მდიდარი ინვენტარი დათარიღებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის პირველი ნახევრით[1].

თასი ეკუთვნის ძველი დროის იმ საგანთა რიცხვს, რომლებიც გამოიყენებოდა არა როგორც პრაქტიკული დანიშნულების ნივთი, არამედ როგორც საპატიო საჩუქარი. თასის შესახებ გამოქვეყნებულ შრომაში დაწერილებითაა აღწერილი ეს ძეგლი, მაგრამ არ არის მოცემული მისი ისტორიულ-მხატვრული ანალიზი, არაფერია ნათქვამი ამ თასის, როგორც სახვითი ხელოვნების ქმნილების შესახებ.

[1] მცხეთა. არქეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები. ტ. I, ა. ბ. აფაქიძე, გ. თ. გედევანიშვილი, ა. ნ. კალანდაძე, გ. ა. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1949 წწ. გათხრების მიხედვით, 1955, გვ. 45, 46, ტაბ. XLVII, 1, 2.

ბიბლიოთეკა

თასს გარედან შერჩენილი აქვს წარწერა ჩვეულებრივ ფარსულ (სასანურ-ფალაურ) ენაზე, რომლის პირველი წაკითხვა მოცემულია გ. ვ. წერეთლის მიერ წერილში მცხეთის ეპიგრაფიულ ნაპოვნთა შესახებ[1].

თასი წარმოადგენს მრგვალ, არაღრმა ჭურჭელს. მისი დიამეტრია 230 მმ, სიმაღლე — 35 მმ, სიღრმე — 25 მმ. მას აქვს 5 მმ სიმაღლის მირჩილული მრგვალი ფეხი. თასი გაკეთებულია ვერცხლის ორმაგი ფურცლისაგან; თასის შიგნითა პირზე შემოვლებულია მოოქრული ლილვაკი, რომელიც წარმოადგენს შიგნით ჩაზნექილ და შემდეგ მირჩილულ-ამოქოლვილ ლითონის ფურცლის ბოლოს. თასი 850 გრამს იწონის.

თასის შიდა პირზე ცენტრში შენახულია მამაკაცის ფიგურის მკერდზევითა გამოსახულება პროფილში, რომელიც კონტურულ სურათს წარმოადგენს და ოსტატურად არის ჩახატული წრეში. მამაკაცს თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, მარჯვენა ხელში მას უჭირავს ყვავილი, რომელიც სახესთან ახლოს აქვს მიტანილი; კულულებად დაყოფილი ხშირი თმა უკან გადაჰყრია, თავს ადგას

[1] Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета, ВДИ, 1948, № 2, вв. 49—57.

ძველებური გვირგვინი, ისე, როგორც სახელოვან წინაპარსა და სამეფო გვარის ფუძემდებელს ანტიოქ I ნიმრუდ-დაღის რელიეფებზე[1]. მთელი გვირგვინი ვარსკვლავების და ნახევარმთვარის გამოსახულებით არის მოფენილი. გვირგვინს უკან ლენტია გაშლილი. ძველი ტრადიციის თანახმად ბიუსტი გამოსახულია პირდაპირ, ხოლო თავი — პროფილში; კისერს ამშვენებს ყელსაბამი. ტანსაცმლის აბრეშუმის ქსოვილის ფაქტურა განსაკუთრებული ხელოვნებით არის შესრულებული. ამ თასზე მოთავსებულ პორტრეტულ გამოსახულებას უეჭველად ახასიათებს რეალიზმის ელემენტები. გამოზნექილი წარბის რკალი, დიდი და სწორი ცხვირი, დიდი, მკაფიოდ გამოსახული თვალი, დიდი ბაგე, სქემატურად გამოსახული მაღლა მდებარე დიდი ყური, ხშირი, ხუჭუჭი წვერი, სქელი სწორი კისერი მთელ გამოსახულებას პორტრეტულ ელფერს აძლევს, რომელშიც გამოსჭვივის დაძაბულობა და ნებისყოფა, ხოლო თავისებური გვირგვინი ამ სურათში გამოხატულ პირს ძლევამოსილებასა და ოფიციალურობას ანიჭებს.

მთელი გამოსახულების სტილი უეჭველად მიგვითითებს, რომ ოსტატი ცდილა ინდივიდუალური ნიშნების მქონე ეს პორტრეტი ქვეყნის გამგებლის გარკვეული პორტრეტისათვის დაემსგავსებინა.

ბიუსტი ისეა მოთავსებული, თითქოს იგი მცენარე აკანთოს ორი ფართოდ გაშლილი სტილიზებული ფოთლისაგან გამოდიოდეს, რაც მოგვაგონებს თაღ-ი-ბუსტანის მცენარეულ დეკორს ქვაზე[2]. ნარსეს ძეგლის რეკონსტრუქციაში ე. ჰერცფელდს მოჰყავს სასანური ბიუსტების ნიმუშები, რომლებიც ორი სტილიზებული ფოთლიდან გამოდის[3]. მოტივი ადამიანის ფიგურის გამოსახულებისა ყვავილთან ერთად გვხვდება აგრეთვე აქემენიდური ეპოქის ხელოვნების ძეგლებზე, პერსეპოლის რელიეფებზე, სადაც სამეფო კარის თანამდებობის პირები, ხანდახან თვით მეფეც ლოტოსის მსგავსი ბუტონით არიან გამოსახულნი[1]. ეს მოტივი გვხვდება მნიშვნელოვნად უფრო გვიანაც გამოყენებითი ხელოვნების საგნებზე[2] და მონეტებზე[3]. ცნობილია, რომ ძველი ირანის ღმერთებს თავისი განსაზღვრული ყვავილი მიეკუთვნებოდათ, რასაც სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა[4]. მაგალითად, აჰურამაზდის ყვავილად წითელი ყასმინი ითვლებოდა, ბაჰმანისა — თეთრი შროშანა და სხვ. ამრიგად, იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით არმაზის თასის გამოსახულებას ანალოგები მოეპოვება სასანურ ხელოვნებაში.

როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულება წარმოადგენს ხაზოვან სურათს, რომელიც შესრულებულია ჭედვის წესით და არა ამოკვეთით; ლილვაკის პირები მოოქრულია, არა მოსევადებული. გამოსახულება საერთოდ მაღალ მხატვრულ-ტექნიკურ დონეზეა შესრულებული. სურათის მკაფიობა, სახისა და წვერის გამოსახულების სინატიფე, აკანთოს დეკორატიულად გაშლილი ფოთლების მოხდენილი სურათი, ოსტატის განსაცვიფრებელი უნარი, რომ პორტრეტი წრეში მოაქციოს და არ გადალახოს იგი, ლაპარაკობს მაღალი ოსტატობის შესახებ, რაც დამახასიათებელი იყო სწორედ არდაშირის და შაპურ I-ის პერიოდის სასანური ხელოვნებისათვის.

როცა ამ გამოსახულებას ვადარებთ სასანურ მონეტებზე მოთავსებულ გამოსახულებებს, რომლებიც თავისთავად ძვირფას მასალას წარმოადგენს ხელოვნების შესახებ მსჯელობისათვის[5], უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, შემდეგი: ე. ჰერცფელდმა პირველმა შეამჩნია[6], რომ თავის მდებარეობა პართული და სასანური პერიოდების

[1] Fr. Sarre, Die Kunst des alten Persien, B. 1923, Taf. 57.

[2] E. Herzfeld, Am Tor von Asién, Berlin, 1920, Taf. XXXIX, XL.

[3] E. Herzfeld, Paikuli, Monuments and Jnscriptions of the Early History of the Sasanian Empire, I—II, Berlin, 1924, p. 9.

[1] O. M. Dalton, The Threascure of the Oxus with other Examples of ear ly oriental Metal-work, London, 1926, p. XXVII, fig. 10.

[2] O. M. Dalton, Op. cit., pl. XIII, fig. 38; pl. XV, fig. 71, 74, 89, 93.

[3] E Herzfeld, Archaeologicale History of Iran. London, 1935, p. 72, fig. 9.

[4] O. M. Dalton, Op. cit., p. XXVII.

[5] К. В. Тревер, Художественное значение сасанидских монет, Гос. Эрмитаж, Труды отд. Востока, т. 1, Ленинград, 1939, зз. 255—285. E. Herzfeld, Paikuli, p. 48, 141, T. Sarre, Die Kunst des alten Persien, Berlin, 1923, S. 55.

[6] E. Herzfeld, Kushano-Sasanian coins, Memoirs of the Archaeological Survey of India, № 38, Calcutta, 1930, p. 4, op. cit.

მონეტებზე მოთავსებულ გამოსახულებებში განსაზღვრავს მმართველის პოლიტიკურ წონას. მარცხნივ მიბრუნებული თავით გამოსახულია ისეთი ვასალური მეფე, რომელსაც უფლება არ აქვს საკუთარი მონეტის მოჭრისა, მარჯვნივ მიბრუნებული თავი კი აღნიშნავს გამგებლის სრულ დამოუკიდებლობას.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გვირგვინის ფორმას ძეგლის დათარიღებისა და თასზე გამოსახული უცნობი პირის ვინაობის გარკვევისათვის. შევეცადოთ განვსაზღვროთ არა მარტო ეპოქა არმაზის თასისა, არამედ ამ უკანასკნელზე გამოხატული პირის ვინაობაც და ამ მიზნით გამოვიყენოთ ირანულ ხელოვნებათმცოდნეობაში ხმარებული ჩვეულებრივი მეთოდი ძეგლთა დათარიღებისა მათზე გამოსახულ მეფეთა გვირგვინის ფორმის მიხედვით.

სასანელ მეფეთა გვირგვინები კარგად არის ცნობილი კლდეში ნაკვეთი რელიეფებით, ძველი ირანული ტორევტიკის ძეგლებით და ქვებზე ამოჭრილი გამოსახულებებით, მაგრამ ძირითად მასალას ამ მხრივ სასანური მონეტები წარმოადგენს. მონეტებზე ამოჭრილია მეფის სახელი, დაწყებული პეროზიდან (459 — 484), თარიღი და ინდივიდუალური ფორმის გვირგვინი, რომელიც სხვა მეფეთა მონეტებზე სიზუსტით არ მეორდება. ამ მასალის შედარებითმა შესწავლამ საშუალება მისცა ი. ე. სმირნოვს[1] სხვებზე ადრე დაეთარიღებინა სასანური ლანგრები მის მიერ გამოცემულ მონუმენტურ პუბლიკაციაში „აღმოსავლური ვერცხლი“, ხოლო ზარესა და ჰერცფელდს — განესაზღვრათ და დაეთარიღებინათ მთელი რიგი რელიეფები ირანის კლდეებზე: არდაშირ I-ისა, შაპურ I-ისა ვალერიანთან ერთად ნაყშ-ი-რუსთემში, ვარაჰრან I-ისა შაპურში, ვარაჰრან II-ისა ცოლთან და შვილთან, ვარაჰრან IV-ისა ნაყშ-ი-რუსთემში[2]. მონეტების შესწავლამ საშუალება მისცა ი. ა. ორბელს[3] გამოერკვია, რომ კუნგურის რაიონში ნაპოვნ ერმიტაჟის ლანგარზე გამოსახულია ხოსროვ I და მისი შვილი ჰორმიზდ IV, ხოლო ტურიშევეულ[1] ლანგარზე — შაპურ II. მონეტებმა საშუალება მისცა გ. ნ. ჩუბინაშვილს[2] გამოერკვია, რომ სარგვეშის შესანიშნავ თასზე გამოხატული არიან: ვარაჰრან II, მისი ცოლი და შვილი, რომელთა გამოსახულებები კარგადაა ცნობილი მონეტებით. ამ მეთოდის გამოყენებით კ. ვ. ტრევერმა[3] შეძლო განესაზღვრა, რომ ერმიტაჟის ჭრილ ამეთვისტოზე გამოსახულია ვარაჰრან I და სხვ.

თუმცა უხვი ნუმიზმატიკური მასალა სრული სიზუსტით გამოხატავს უკლებლივ ყველა შაჰინშაჰის გვირგვინთა ინდივიდუალურ ნიშნებს, მაინც მთელ რიგ გვირგვინთა კუთვნილების განსაზღვრაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული ლიტერატურაში; ეს განსაკუთრებით ეხება გვიან ეპოქებს. ამ მხრივ მზედველობაში უნდა გვქონდეს, როგორც ეს სწორად შენიშნა კ. ვ. ტრევერმა[4], რომ „პორტრეტული მსგავსების შესახებ მონეტებზე შეიძლება დარწმუნებით ვილაპარაკოთ მხოლოდ III — IV საუკუნეების ფარგლებში; დანარჩენ მონეტებზე გამოსახულებები იმდენად სქემატურად და პირობითად არის ნაკვეთები, რომ პორტრეტული მსგავსების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია“.

სასანელ მეფეთა გვირგვინი, როგორც ცნობილია, მკვეთრად განსხვავდება ძველი აქემენიდური ტიარისაგან, რაც ასე კარგად არის ცნობილი პერსეპოლის რელიეფებით. სასანიდები თუმცა თავს თვლიდნენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დამხობილი უძველესი სახელმწიფოებრიობის აღმდგენლებად, მაგრამ მათი გვირგვინი თავისი ფორმით არ იყო დაკავშირებული დარიოსისა და ქსერქსის ტიარასთან, არც არშაკიანთა გვირგვინებთან, რამდენადაც ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. სასანური გვირგვინის წარმოშობის საკითხის გადასაჭრელად

[1] В. И. Смирнов, Восточное серебро, СПБ, 1909, ტ. 6.

[2] Fr. Sarre und E. Herzfeld, Iranische Felsreliefs, Aufnahmen und Untersuchungen von Denkmälern aus alt. und mittelpersischer Zeit, Berlin, 1910, Taf. V, VII, XIII, VI, VIII, IX.

[3] К. В. Тревер, Op. cit., გვ. 264.

[1] Н. А. Орбели и К. В. Тревер, Сасанидский металл, М.—Л., 1935, табл. 6.

[2] G. Tschubinaschwili, Der Fund von Sargwesci, Известия Кавказского историко-археологического института, т. II, Тбилиси, 1925.

[3] Сообщения ГАИМК, 1931, № 2, გვ. 19.

[4] К. В. Тревер, Художественное значение сасанидских монет, Труды отдела культуры и искусства Востока. I, Ленинград, 1939, გვ. 265, 266.

აუცილებელია შესწავლილ იქნეს ფარსის პროვინციის დედაქალაქ ისტაქრის გამგებელთა თავსამკაული; ფარსი ის ოლქია, საიდანაც, როგორც ცნობილია, გამოვიდა არდაშირის დინასტია.

ჩვეულებრივ, თითოეული მეფობისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული ტიპის გვირგვინის გამოსახულება მონეტაზე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს არდაშირ I მონეტები, რომლებიც ძირითადად ხუთი ტიპის ავერსებად იყოფა: მარტო არდაშირი პართულ კულახში, იგივე სფეროსებრი თავსამკაულით, იგივე კბილანებიანი გვირგვინით, არდაშირი და ფაფაკი, არდაშირი და შაპური. არდაშირ I-ის, მისი მამის ფაფაკის და უფროსი ძმის შაპურის (რომლის მემკვიდრედ დატოვებაც სურდა ფაფაკს თავისი სიკვდილის შემდეგ) მონეტების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასანური გვირგვინი წარმოადგენს ძველი ფარსის დინასტიის თავსაბურავის შემდგომ განვითარებას. გვირგვინის ერთ მხარეზე გამოსახულია თვით არდაშირი პართულ თიარში, ხოლო მეორე მხარეზე — მისი მამა ფაფაკი, ხირის მეფე. ამ უკანასკნელს თავს ადგას ოდნავ წაგრძელებული სფეროსებრი გვირგვინი, როგორითაც შემკულია თვით არდაშირ I-ის თავი უფრო გვიანდელ მის მონეტებზე. არდაშირ I-ის უფრო ადრინდელ მონეტებზე, სადაც ის თავის მამა ფაფაკთან[1] ერთადაა გამოსახული, მამის პროფილი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მარცხნივაა მიმართული, როგორც უკანასკნელი არშაკიდის — არტავანის ვასალისა, არდაშირი კი, რომელიც აუჯანყდა თავის სუზერენს, ამ მონეტაზე გამოსახულია en face[2]. ორივეს თავს ადგას ფარსის გამგებელთა გვირგვინი, რომელიც თავისი ფორმით არშაკიდების გვირგვინს მოგვაგონებს: მათ გვირგვინზე გამოხატულია ნახევარმთვარე და ვარსკვლავი. მხოლოდ არტავან V-ზე გამარჯვების შემდეგ გამოაცხადა თავი არდაშირმა ირანის შაჰინშაჰად და იწყო ისეთი მონეტების მოჭრა, რომლებზეც მეფის პროფილი მარჯვნივაა მიმართული. გვირგვინზე ჩნდება არწივის გამოსახულება[3], ჩნდება კბილანებიანი გვირგვინიც, მაგრამ უპირატესობა მაინც მზის გამოსახულებიან გვირგვინს ეძლევა[4].

[1] К. В. Тревер, Op. cit., табл. II, рис. 1.

[2] К. В. Тревер, Op. cit., табл. II, 1.

[3] К. В. Тревер, Op. cit., табл. II, рис. 3.

[4] И. А. Орбели и К. В. Тревер, Сасанидский металл, Москва-Ленинград, 1935, табл. I, 2 ряд, рис. 8.

არდაშირ ფაფაკანმა პირველმა დაიდგა თავს მზის გამოსახულებით შემკული გვირგვინი. ამ უკანასკნელი სახის გვირგვინი გადაიქცა მისაბაძ ნიმუშად სასანიდთა დინასტიის დანარჩენი წარმომადგენლებისათვის[1].

ირანის ახალი დინასტიის დამაარსებლის არდაშირ I-ის გვირგვინის ფორმის აღნიშნული ცვლილებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მიერ ხელისუფლების დაპყრობასთან, რაც დაწვრილებით აღწერეს ე. ჰერცფელდმა[2] და ა. ქრისტენსენმა[3].

გადავდივართ რა არმაზის თასის პერსონაჟის გვირგვინის აღწერაზე, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ზედა ნაწილი წინ არის წაზნექილი. ამ ფორმის გვირგვინი გვხვდება ნიმრუდ დაღის[4] იმ რელიეფებზე, რომლებზეც გამოხატულია ღმერთი მითრა და ანტიოქ I-ის ირანელი წინაპარი ვარსკვლავებით მოჭედილი ანალოგიური გვირგვინით. ირანის სასანელ მეფეთა მონეტებზე ამ ფორმის გვირგვინები არ არის გამოსახული. გამონაკლისს წარმოადგენს ვარაჰრან II-ის (276 — 293) მონეტები, რომლებზეც დედოფალს თავს უმშვენებს ტახის თავის გამოსახულებიანი გვირგვინი, ხოლო მეფის ძეს — თალფაქისებრი გვირგვინი, რომლის წვერიც წინ არის დახრილი და არწივის თავის გამოსახულებით არის შემკული[5].

მოთხრობაში ამიდის ალყის შესახებ, რომელიც ამიან მარცელინმა აღწერა, შაპურ II (309—379) „წინ მიუძღოდა თავის ლაშქარს; მას თავს უმშვენებდა ცხვრის თავის ფორმის ოქროს დიადემა, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო შემკული (წ. XIX, თ. 1, 3).

[1] დაწვრილებითი ცნობები სასანელ მეფეთა გვირგვინების შესახებ მოცემულია შრომებში: E. Herzfeld, Am Tor von Asien, B., 1920, S. 60. А. Я. Борисов, К истолкованию изображений на Вилнай манских оссуариях, Труды отдела Востока, т. I, Л., 1940, зд. 33—38, К. В. Тревер, Художественное значение сасанидских монет, Труды отдела Востока, т. I, Л., 1939, зд. 260.

[2] E. Herzfeld, Paikuli, p. 40—41.

[3] A. Christensen, L' Iran sous les Sasanides, deuxième edition, Copenhague, 1944, p. 65—90.

[4] Fr. Sarre, Die Kunst des alten Persien, Berlin, 1922, Fof. 56, 57.

[5] И. А. Орбели и К. В. Тревер, Op. cit., таб. I, ряд 4, № 4, таб. 2, ряд 1, № 2 და სხვ.

არმაზისხევის ვერცხლის თასი. ფალაური წარწერა.

მხატვრულად აღწერა ქართველი მეფის ვახტანგ გორგასალის გვირგვინი მისმა ისტორიკოსმა ჯუანშერმა: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუსიოცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი, მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „დურ აზ გორგასალ“ ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“, და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“. მემატიანის თქმით აქედან წარმოდგა ვახტანგის სახელწოდება გორგასარი (გორგასალი)[1].

ამ მოთხრობიდან ჩანს, რომ ვახტანგ მეფის გვირგვინზე წინიდან გამოსახული იყო სწორედ მგელი — ქართველი ხალხის ტომობრივი ტოტემი, რაც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით მეტად ძველი წარმოშობისაა[2]. მას უპირატესობა აქვს ლომის გამოსახულებასთან შედარებით, თუმცა ეს უკანასკნელი ასე პოპულარულია თითქმის ყველა ხალხში. საკითხი ცხოველთა გამოსახულების წარმოშობისა სასანელ მეფეთა გვირგვინებზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. შეიძლება აღინიშნოს, რომ არდაშირ I-ის გვირგვინზე პირველად გვხვდება არწივის გამოსახულება ჰერალდიკურ სტილში[3], შემდეგ კი არწივის თავი ამშვენებს გვირგვინებს ვარაჰრან II-ის (276 — 293) მემკვიდრის[4], ჰორმიზდის (302—309)[5] და შაპურის (241 — 272)[6] მონეტებზე.

ამ შედარებითი მასალიდან ჩანს, რომ არმაზის თასზე გამოსახული პერსონაჟის გვირგვინის ფორმას პირდაპირი ანალოგია აქვს ერმიტაჟის ჭრილ სარდიონზე მოთავსებულ ფაფაკ მოგუპატის (ქურუმთა მეთაურის) გამოსახულებასთან ქალაქ ხუსრავ-შატ-ჰორმიზდიდან, რაც ჰერცფელდის მიერ არის გამოქვეყნებული[7].

ამრიგად, თვით გვირგვინის ფორმა, თუ მის წარმოშობას მივიღებთ მხედველობაში, გარკვევით მიგვითითებს, რომ იგი ეკუთვნის ზოროასტრის მოგვთა შორის მაღალი სასულიერო რანგის მქონე პირს.

მაგრამ ამ სასულიერო რანგის ადამიანები ატარებდნენ სხვა თავსაბურავს არშაკიანთა გვირგვინის სახით წინ დახრილი წვეტის გარეშე, როგორც ეს ჩანს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სარდიონის გემაზე, სადაც გამოხატულია ქალაქ არდაშირ-ქურაქის მოგუპატი, ე. ი. ფარუზაბადის ვედშაპურა და სხვ.[1]

არმაზის თასის პერსონაჟის გვირგვინზე გამოხატულია ეარსკვლავი და ნახევარმთვარე; ასეთი ნახევარმთვარე ხშირად არის გამოსახული არშაკიანთა და სასანიანთა მონეტებზე, მაგრამ იგი, როგორც სიმბოლიური ნიშანი გვირგვინზე, გვხვდება ადრესასანურ მონეტებზე არდაშირ I-ის გამოსახულებით en face[2] და მისი მამის ფაფაკის გვირგვინზე, რაც იმავე მონეტის უკანა მხარეზეა მოთავსებული.

ცხადია, ეს სიმბოლიური ნიშანი უნდა ჩაითვალოს სასანიანთა საგვარეულო ნიშნად. სასანურ ირანში მიღებული იყო თავსაბურავზე განსაზღვრული ნიშნის ტარება, რაც ცალკეულ სამხედრო ქვეგანაყოფს აღნიშნავდა უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირებისათვის[3].

ამრიგად, არმაზის თასზე ჩვენ გვაქვს ისეთი პირის გამოსახულება, რომელსაც სასანიანთა სახელმწიფოში უმაღლესი პოსტი ეჭირა და უეჭველად დიდებულთა წრეს, როგორც ჩანს, მართველ დინასტიურ გვარეულობას ეკუთვნოდა.

ამ საკითხის დასაზუსტებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თასის სასანურ-ფალაურ

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 180.

[2] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, მ., 1950.

[3] И. А. Орбели и К. В. Тревер, Сасанидский металл, М-Л., 1935, таб. 1, ряд 1. № 2.

[4] იგივე, ტაბ. 1, მწკრივი 4, № 3.

[5] იგივე, ტაბ. 2, მწკრივი 2, № 2.

[6] E. Herzfeld, Paikuli, v. I, p. 97, fig. 14.

[7] E. Herzfeld, Paikuli, t. I, p. 79, t. II, pl. 140, № 4. ჰერცფელდი ათარიღებს ამ გემას ჩ. წ. 273—4 წლით. F. Lajard-ის მიერ გამოცემულ (Introduction à l'étude du culte public et des mystères de Mithra en Orient et en Occident, Paris, 1847) ორ გემაზე არის ანალოგიური გვირგვინი. სამწუხაროდ, მათი წარწერები სწორად წაკითხული არ არის.

[1] E. Herzfeld, Paikuli, v. I, p. 79, № 6, v. II, ტაბ. 140, № 6. ასეთია გემებზე გამოსახული ქურუმების, მობედებისა და მოგუპატების გვირგვინები (იხ. Herzfeld E., Op. cit., p. 80, № 8, 9. 10. p. SI № 13, № 15, და სხვ.).

[2] К. В. Тревер. Художественное значение сасанидских монет, Труды отдела Востока, Л., 1939, табл. II, рис. 1 и 2.

[3] E. Herzfeld, Archaelogische Mitteilungen aus Iran, IX.

წარწერას, რომელიც ამის გარეთა პირზეა მოთავსებული ერთ სტრიქონად.

წარწერა ადგილ-ადგილ მეტად დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი შუა ნაწილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულდასმითი გასინჯვით იგი თითქმის მთლიანად იკითხება. წარწერა პირველად წაიკითხა გ. ვ. წერეთელმა, რომელმაც შემდეგი ამოიკითხა: „...პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა შვილი ღვთაებრივი (ფაფაკისა?) პიტიახში ქვეყნისა, (g) rgu|vrgn". წარწერის ბოლოს ნაჩვენებია თასის წონა—53 ზუზნა (დრახმა).



Papake btxše bage Aptxšatr barh bage Papake l btxše (ma)t Grzn,
Arsmes d(a d 53 z(u)zn

წარწერის გულდასმითი გამოკვლევა საშუალებას იძლევა მისი მნიშვნელოვნად შევსებისა და შინაარსის დაზუსტებისათვის.

თარგმანი: „ფაფაკ პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა ღვთაებრივ ფაფაკის ძისა გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამესს უძღვნის".

ამ წარწერის თანახმად ფაფაკის შვილის არდაშირ I-ის (226 — 241) პიტიახშმა ფაფაკმა თასი უბოძა საქართველოს (ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს) პიტიახშს. თასზე გამოსახულია არა ირანის მფლობელი არდაშირ I, არამედ თვით ფაფაკი, რომელიც უთუოდ დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნოდა, შესაძლოა ნათესაურ კავშირშიც იმყოფებოდა ირანის ახალი დინასტიის დამაარსებელთან. აღმოსავლეთ საქართველოს სახელწოდება „გურზანი" წარმოადგენს პირველ ყველაზე უფრო ადრინდელ ცნობას, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. აქამდე ცნობილი იყო, რომ ზაქარია რიტორი, რომელიც ჩ. წ. დაახლოებით 518 წლის მახლობელ პერიოდში წერდა, თავის „ქრონიკაში", პტოლომეს მიხედვით სომხეთის აღწერის შემდეგ ახსენებს საქართველოს და უწოდებს მას „გურზანს", როგორც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომ ქვეყანას[1].

ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ ვინ იყო არდაშირ I-ის პიტიახში ფაფაკი და რა დამოკიდებულება ჰქონდა მას საქართველოსთან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პიტიახშთა — მოსაზღვრე ოლქების გამგებელთა — ინსტიტუტი ცნობილი იყო საქართველოში, სომხეთსა და ირანში ჯერ კიდევ არშაკიანთა ეპოქაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ გარკვეულია, რომ სახელმწიფოს ამ უმაღლეს თანამდებობაზე ინიშნებოდნენ უმაღლესი არისტოკრატიის წარმომად-

---

[1] წარწერის პირველი ორი ასო დაზიანებულია, მაგრამ გარკვევით იკითხება.

[2] ამ შემთხვევაში იკითხება როგორც l, რაც იხმარება მაცევითი ბრუნვის მაჩვენებელი პრეფიქსის სახით, როგორც საერთოდ სემიტურ ენებში. E. Herzfeld, Paikuli, vol. 1, Glossary, p. 211—212. W. Gesenius, Hebräisches und Chaldäisches Handwörterbuch, L, 1834, col. 936.

[3] საკუთარი სახელი შეიძლება წავიკითხოთ როგორც Arsamas და როგორც Asames; პირველ შემთხვევაში გვექნება ბგერების ისეთივე გამეორება, როგორც სახელ Artxsatr-ის პირველი ორი ასოა; მეორე შემთხვევაში გვექნებოდა ორი ასოს ლიგატურა. საკუთარ სახელის პირველი ფორმა გავრცელებული იყო ირანში ჯერ კიდევ აქემენიდების ეპოქიდან F. Justi Jranisches Namenbuch, Marburg, 1895, S 29).

[4] ე. ჰერცფელდის სწორი განმარტებით ნიშნავს შეკოლებულ d(a)d. იხ. Paikuli, Glossary, p. 162.

[5] თასი იწონის 650 გრამს; წარწერის მიხედვით მისი წონა 53 ზუზნას უდრის. ამით საკვანძოთ გადაჭრილია დავა— რას უდრიდა ზომის ერთეული zazu (ასურული zuzu).

[1] Л. М. Меликсет-Беков, Введение в историю государственных образований Юго-Кавказа, Тб., 1924, გვ. 70. В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, т. I, СПБ, 1907, გვ. 195—196. В. Рафт, Краткий очерк истории сирийской литературы, СПБ, 1902, გვ. 74.



არმაზისხევის ფერცხლის თასი.

გენლები, რომლებიც ხანდახან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ სამეფო სახლთან[1].

ქართული წერილობითი წყაროები. აგრეთვე იმ მხატვრულ ნაკეთობათა წარწერები, რომლებიც ქართული კულტურის უძველესი ცენტრების არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა, იდასტურებს, რომ ძველი საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა რანგის (დიდი და მცირე) პიტიახშები, რომლებიც ემორჩილებოდნენ ქართველთა მეფეს. ის პიტიახშები, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებოდნენ ქართლის მეფეს, თავისი რანგით გათანაბრებული იყვნენ „ერისთავებთან" ანუ „ერისმთავრებთან". გარდა ადგილობრივი პიტიახშების ამ ინსტიტუტისა, იმ პერიოდში, როცა გაძლიერდა ირანის პოლიტიკური ზეგავლენა ქართლზე და ეს უკანასკნელი ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა, სასანიდებმა თავისი პიტიახში დანიშნეს ქართლში, რომელსაც „ქართლის პიტიახშს"[2] უწოდებდნენ.

ფაფაკი Paikuii ს წარწერებში ატარებს bixše ტიტულს (ბითახში — პიტიახში). ერმიტაჟის გემაზე, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გამოსახულია ქალაქ ხოსრაუ-შატ-ჰორმიზდის მოგუპატი. არმაზის თასის და ერმიტაჟის გემის გამოსახულებათა შედარებითი ანალიზი გვეუბნება, რომ ცალკეული მსგავსი ნიშნების, — მაგალითად, ცხვირის, თვალის ფორმის მსგავსების, — მიუხედავად, ჩვენ სხვადასხვა პირის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე.

ე. ჰერცფელდის ვარაუდით, ფაფაკ პიტიახში შეიძლება ყოფილიყო სასანელი პრინცი, საქართველოს ტახტზე დასმული ქართლის ვასალური მეფის და ირანის პიტიახშის (მირზპანის) სახით. მისი ვარაუდით ფაფაკი Paikuli-ს წარწერაში და Mihran—Mirian ქართული და სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, ერთი და იგივე პირია. მიჰრანი ე. ჰერცფელდის სწორი შენიშვნის თანახმად არ არის საკუთარი სახელი, არამედ ძველი არშაკიდული შტოს გვარია. ეს გვარი პატივში იმყოფებოდა ირანში სასანიანთა ეპოქაშიც. ფაფაკ-მიჰრანს — საქართველოს პიტიახშს, შაპურ I-ის (241 — 272) შვილს ცოლად ჰყავდა ძველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ქართლის მეფის ასფაგურის ქალი.

მ. ბროსეს ქრონოლოგიაზე დაყრდნობით, რომელმაც გაიმეორა ვახუშტის ქრონოლოგია, ე. ჰერცფელდი აღნიშნავს, რომ იგი (ასფაგური) დიდხანს მეფობდა ქართლში (265 — 342). ქართლის ცხოვრება გვამცნობს, რომ ასფაგურის სიკვდილს შემდეგ შეწყდა უძველესი გვარის მამაკაცთა ხაზი. გარდაცვლილი მეფის მემკვიდრე იყო ქალი აბეშურა. მაშინ ქართლის ერისთავებმა და სპასპეტმა (ჯარის სარდალმა) მაეჟანმა თხოვნით მიმართეს ირანის შაჰინ-შაჰს არდაშირი ქასრს, რათა ქართველთა მეფის ქალი თავის ვაჟზე დაექორწინებინა და დაესვა ეს უკანასკნელი საქართველოს ტახტზე იმ პირობით, თუ ის ქართველთა სარწმუნოებას აღიარებდა. არდაშირი დათანხმდა ამ პირობაზე, თან ჩამოიყვანა თავისი შვიდი წლის ვაჟი, რომელიც ნაშობი იყო მხეველისაგან. ვაჟს სპარსულად ერქვა მიჰრანი, ხოლო ქართველები უწოდებდნენ მირიანს. მემატიანის სიტყვით, მირიანმა მოხუცებაში ქრისტიანობა მიიღო. არდაშირმა თავისი მცირეწლოვანი შვილი უდედოდ დატოვა, რადგან ცოლი ძალიან უყვარდა, ხოლო ვაჟთან განაწესა აღმზრდელი და გამგებელი მირვანოზი.

ქართული მატიანე არდაშირ ქასრს არდაშირ I-ად (226 — 241) თვლის. თუ დავუშვებთ, რომ ამ უკანასკნელმა თავისი სიკვდილის წინ ირანიდან ჩამოიყვანა შვილი მიჰრანი (მირიანი), რომლის დროსაც (IV საუკუნის ორმოციან წლებში) საქართველომ ოფიციალურად აღიარა ქრისტიანობა, მაშინ გამოდის, რომ მირიანს თითქოს მთელი საუკუნე უცხოვრია. აქედან გამომდინარე, ფ. იუსტი და ე. ჰერცფელდი მიჰრანს სთვლიან შაპურ I-ის

[1] E. Herzfeld, Paikuli, v. I, p. 155—156. ამ საკითხის ლიტერატურის სრული შეჯამება კრიტიკული შენიშვნებით და ქართულ-სომხური წყაროების გამოყენებით მოცემულია ბ. ვ. წერეთლის მონოგრაფიაში არმაზის ბილინგვის შესახებ. აკად. ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უწყებები, XIII, 1943, ქართულ და ინგლისურ ენებზე; ცალკე მონოგრაფია რუსულ ენაზე.

[2] პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია იბერთა პიტიახშ აშეშის და გუგარკის (V ს.) ბეჭედი ბერძნული წარწერით. (E. Herzfeld, Paikuli, v. I, p. 78, № 3).

(241 — 272) შვილად, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ. თავისთავად იხსნება ე. ჰერცფელდის ჰიპოთეზი იმის შესახებ, რომ მიჰრანი და ფაფაკ პიტიახში ერთი და იგივე პირია. მით უმეტეს, რომ ფაფაკი იყო პიტიახში „ღვთაებრივი ფაფაკის შვილის ღვთაებრივი არდაშირისა", როგორც ეს არმაზის თასის წარწერიდან ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, ჰერცფელდი და იუსტი სრულიად სწორად სთვლიან, რომ მიჰრანი არის ირანის ერთ-ერთი ძველი დიდგვაროვანი შტოს გვარი და არა საკუთარი სახელი; შაპურ I-ის უკანონო შვილი ატარებდა თავისი დედის გვარს. ისმის კითხვა, რა იყო ნამდვილი სახელი ქართველთა მეფის მიჰრან-მირიანისა, რომლის დროსაც საქართველოში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა.

ცნობილია, რომ ქართულ ლიტერატურაში არსებობს ორი დიამეტრულად მოპირდაპირე შეხედულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. არსებობს ტრადიციული შეხედულება, ქართულ და სომხურ წერილობით წყაროთა თანახმად, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო მირიანი. არა მარტო ქართული და სომხური წერილობითი წყაროები, არამედ საეკლესიო ისტორიული ტრადიციაც მტკიცედ იცავს ამ შეხედულებას. თავის შესანიშნავ გამოკვლევაში საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, რომელიც ეკუთვნის ამ საკითხის ავტორიტეტულ მცოდნეს კ. კეკელიძეს, დამტკიცებულია ამ ტრადიციული შეხედულების სისწორე[1].

ქართული და სომხური წყაროების, აგრეთვე ამ საკითხის შესახებ გამოთქმული ყველა ძირითადი შეხედულების კრიტიკული ანალიზი, რაც გულდასმით მოახდინა ი. ა. ჯავახიშვილმა[2], გვიჩვენებს, რომ ქართველთა გაქრისტიანების საკითხზე ყველაზე უფრო სარწმუნო ცნობებს შეიცავს პეტრე ქართველის ცხორება, რაც მისი მოწაფისა და თანამოღვაწის ზაქარია ქართველის მიერ არის დაწერილი სირიულ ენაზე[1]. პეტრე ივერი იყო დედის მხრივ შვილიშვილი მეფე ბაკურ დიდისა, რომლის დროსაც მიიღო ქრისტიანობა საქართველომ.

ი. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კესარიელის ცნობას იმ საკითხის გასარკვევად, თუ როდის, რომელი მეფის დროს მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა[2].

როგორც ა. გლასმა გამოარკვია, ცნობა ივერიელთა გაქრისტიანების შესახებ გელასი კესარიელის ბერძნული ტექსტიდან ლათინურად თარგმნა ცნობილმა საეკლესიო ისტორიკოსმა რუფინმა (+ 410 წ.)[3]. გელასი კესარიელის ბერძნული ტექსტი შენახულია გელასი კიზიკიელის ქრონიკაში და დათარიღებულია 395 წლით. გელასი კესარიელის ბერძნული ტექსტის დასკვნითი ნაწილიდან ჩანს, რომ ივერიელთა მოქცევის შესახებ მას ცნობა მიაწოდა ბაკურმა, რომელიც იყო სამეფო გვარიდან[4], ეპირა მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობა რომაელებთან და დაიღუპა ბრძოლაში 394 წელს.

როგორც პეტრე ქართველის ცხოვრებაში არის ნათქვამი, ქართლის მეფე, რომლის დროსაც ქართველები გაქრისტიანდნენ, იყო „დიდი ბაკური". გელასი კესარიელის ცნობების შედარება პეტრე ქართველის ცხოვრების მონაცემებთან, რაც ი. ჯავახიშვილმა მოახდინა, გვიჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა პირთან, რომლებიც ერთსა და იმავე სახელს ატარებენ. ამასთან, ბაკური, რომელმაც უამბო გელასი კე-

[1] კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმომხილველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, I, თბილისი, 1926, გვ. 1—53.

[2] საქართველოს გაქრისტიანების საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დეტალური კრიტიკული განხილვა მოცემულია ი. ა. ჯავახიშვილის მიერ წიგნში „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, თბილისი, 1928, გ. 162—215.

[1] ამ ცხორების ქართული ტექსტი, რაც ნ. ი. მარის მიერ არის გამოქვეყნებული (Православный Палестинский сборник, т. XVI, в. 2, 1896), წარმოადგენს თარგმანს სირიულიდან, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული, მაგრამ სხვა ორიგინალიდან. ქართულ ტექსტში არის მითითება იმის შესახებ, რომ მაიუმის ეპისკოპოსის პეტრე ივერის ცხოვრების აღწერილობა შედგენილია მისი მოწაფისა და თანამოღვაწის ზაქარია ქართველის მიერ (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, Op. cit., გვ. 198—200).

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, მიმომხილველი, I, თბილისი, 1926, გვ. 54—68.

[3] ვ. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი, Scytica et Caucasica, t. II, v. I, გვ. 362—385.

[4] რუფინუსი ბაკურს უწოდებს „მეფეს". იხ. ვ. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი, Op. cit., 365, ხოლო გელასი კესარიელი სთვლის მას ივერთა სამეფო გვარის წევრად, მაგრამ მეფედ არ იხსენიებს.



არმაზისხევის ვერცხლის თასი. ფაფაკ პიტიახშის გამოსახულება

სარიელს ივერთა გაქრისტიანების შესახებ, ლაპარაკობს სხვა პირზე და არა თავის თავზე. ამავე დროს ორივე პირი ერთმანეთისაგან საკმაოდ მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთით არის დაშორებული.

პეტრე ქართველის ცხორებაში ნათქვამია, რომ როცა ბაკური (იგულისხმება პირველი) გამოცხადდა ირანის შაჰთან, როგორც თავის სუზერენთან, მან თაყვანი არ სცა მზეს, ვინაიდან აშკარად აღიარებდა ქრისტიანობას და ამ თავისი საქციელით აღშფოთება გამოიწვია სასახლეში. შაშინ შაჰი მიუბრუნდა თავისიანებს და საიდუმლოდ უთხრა: „ნუთუ ეს ბაკურია, რა უნდა ვუყოთ მას". თუმცა მოთხრობა აქ წყდება, მაგრამ ავტორის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი დაისაჯა.

უნდა ჩავთვალოთ, რომ ბაკური, რომლის დროსაც ქართლმა ქრისტიანობა მიიღო, დაკავშირებული იყო ირანთან ნათესაური კავშირით, ეკუთვნოდა ძველი ირანის მიჰრანთა სახელოვან გვარს; პეტრე ქართველის ცხორების პერსონაჟი ბაკური და ქართული მატიანეს მიჰრან-მირიანი ერთი და იგივე პირია. ამრიგად, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე — ბაკური თუ მირიანი, დამაჯერებლად არის გადაჭრილი.

• • •

თუ სად გაკეთდა თასი სასანიანთა დინასტიის დამაარსებელ არდაშირ I-ის (226 — 241) პიტიახშის ფაფაკის გამოსახულებით, ძნელი სათქმელია დოკუმენტალურ-შედარებითი მასალის უქონლობის გამო. ნივთის მხატვრული ღირსებები, შესრულების მაღალი ოსტატობა, დეკორაციული ამოზნექილი ბირთვები თასის ზედაპირის დეკორში, რასაც მხოლოდ რომის ტორევტიკაში აქვს ანალოგიები და ჯერჯერობით უცნობია აღმოსავლური წარმოშობის ნაწარმისათვის, მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხის გადასაჭრელად. თასი შეიძლება გაკეთდა ადგილობრივი ვერცხლის ოსტატების მიერ, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი არისტოკრატიის უშუალო შეკვეთით მუშაობდნენ. ის შეიძლება გაკეთებულიყო არდაშირ I გამგებლობის პერიოდში ფაფაკ პიტიახშის შეკვეთით თვით ირანში, სადაც ახალი დინასტიის დამაარსებლის მეფობის პირველ წლებში უცხოელი ოსტატები, უმეტესად ბერძნები, მუშაობდნენ სამეფო კარის სხვადასხვა შეკვეთაზე, ხოლო შემდეგში გაძევებულ იქნენ სასანიანთა სამეფოს საზღვრებიდან. ირანული ხელოვნების მხატვრული დონის ერთგვარ დაქვეითებას, რასაც არდაშირ I-ისა და მისი შვილის შაპურის შემდეგ ჰქონდა ადგილი, მრავალი მკვლევარი სწორედ ამ გარემოებით ხსნის.

მაღალი ოსტატობა, შესრულებაში ინდივიდუალური ნიშნების მქონე პორტრეტული გამოსახულება მკაფიოდ მიგვითითებს სახვითი ხელოვნების აყვავებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ახალ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა წარმოქმნის პერიოდში არა მარტო ირანში, არამედ მასთან კულტურულ ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებშიც.

• • •



ზაქარია შველიძე

რევოლუციური გრძოლა თბილისში XIX საუკუნის 60—80-ან წლებში

თბილისი თავისი ხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურის ცენტრი.

ქართველი ხალხისათვის თბილისის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მე-19 საუკუნეში, როდესაც სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალი ძალით აზვირთდა.

მართალია, რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა, ქართველობა ფიზიკურ განადგურებას გადარჩა, მაგრამ მშრომელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, იმ სოციალურ ჩაგვრას, რომელსაც მშრომელები მანამდეც არანაკლებ განიცდიდნენ, ახლა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელიც დაემატა.

ორმაგი ჩაგვრის უღელში მოქცეული ქართველი მშრომელები XIX საუკუნის განმავლობაში აქტიურად იბრძოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ. საქართველოში საზოგადოებრივ-რეოლუციურმა ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო რეფორმის შემდგომ პერიოდში, როდესაც ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მთელი რიგი ცვლილებები მოხდა. ამ პერიოდში, თბილისი ქართული ეროვნული და სოციალური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა; როდესაც გაღატაკებულმა ქართველმა გლეხებმა ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქებს მიაშურეს, მათ, პირველ რიგში, თბილისის კაპიტალისტურ წამოწყებებში მოიყარეს თავი. ამის შედეგად თბილისში თანდათან იქმნება ახალი კლასი—პროლეტარიატი, რომელსაც ისტორიამ საქართველოში მჩაგვრელთა წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის ჰეგემონის როლი მიაკუთვნა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ რეფორმის შემდგომ პერიოდში, სწორედ თბილისში იყრიან თავს და აქ აჩაღებენ საზოგადოებრივ რეოლუციურ ბრძოლას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ქართველი ინტელიგენციის ის ბრწყინვალე წარმომადგენლები, რომლებიც თავის დროზე რუსულ დემოკრატიულ აზრს ეზიარნენ. ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა და სხვ., რომლებიც ახლოს იცნობდნენ ნ. ჩერნიშევსკის და უშუალოდ თანამშრომლობდნენ ჟურნალ „სოვრემენიკში", დიდი რუსი რეოლუციონერი დემოკრატების იდეები საქართველოშიც შემოიტანეს. ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით იგი ახალი შინაარსით შეავსეს და თავიანთი ბრძოლის დროშად გაიხადეს.

I. საზოგადოებრივი მოძრაობა და მასობრივი ბრძოლა თბილისში 60-ან წლებში

1

თბილისში ჯერ კიდევ 50-ან წლებში გაჩაღდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა ქვეყნად არსებული სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ. ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და პუბლიცისტები თავიანთ მოთხრობებში, ლექსებსა და წერილებში პროტესტს გამოთქვამდნენ ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და მის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამ მხრივ თვალსაჩინო მოვლენა იყო ჟურნალ „ცისკარის" 1859 წლის დეკემბრისა და 1860 წლის იანვრის ნომრებში დანიელ ჭონქაძის მოთხრობის — „სურამის ციხის" დაბეჭდვა. ავტორმა ნათლად დაგვიხატა ბატონყმური რეჟიმის მხეცური ბუნება და მისი დაუყოვნებლივ მოსპობა მოითხოვა.

„სურამის ციხის" გამოსვლას თბილისის დემოკრატიული ინტელიგენცია მოწონებით შეხვდა. ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და პუბლიცისტმა ანტონ ფურცელაძემ „სურამის ციხისადმი" მიძღვნილი რეცენზია გამოაქვეყნა, რომელშიც განავითარა დანიელ ჭონქაძის მოთხრობა ბატონყმობის დაუყოვნებლივ მოსპობის შესახებ.

ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების იდეებით იყო გაჟღენთილი ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელიც ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით 1863 წელს გამოდიოდა. თბილისში. ერთ თავის სტატიაში ჟურნალი პირდაპირ წერდა, რომ ბატონყმური ურთიერთობის „ფორმამ განვლო თავისი საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს, ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრო"[1].

არსებული უსამართლო წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა „საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგაც არ შეწყვეტილა. 1864 წელს თბილისში გამოვიდა ჟურნალი „ლიტერატურული ფურცელი", რომელშიც დაიბეჭდა ა. ფურცელაძის რეცენზია ი. ჭავჭავაძის მოთხრობაზე „კაცია ადამიანი". მასში გაბედულად იყო დაყენებული ბატონყმური რეჟიმის მოსპობის მოთხოვნა. იმავე წელს ჟურნალ „ცისკარის" მეოთხე ნომერში დაიბეჭდა ა. სავანელის წერილი, რომელშიც ავტორი პირდაპირ ამბობდა, რომ „აუცილებელი საჭიროება დროებისა არის განთავისუფლება გლეხკაცისა ბატონყმობისაგანო"[1].

ქართული პროგრესული აზრის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „მამებსა" და „შვილებს" შორის თბილისში გაჩაღებულ ბრძოლასაც, რომელმაც მთელ საქართველოში ჰპოვა გამოძახილი. ეს ბრძოლა გარეგნულად ლიტერატურული „ომის" სახეს ატარებდა და ქართული ენის სიწმინდის დაცვის გარშემო ტრიალებდა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იყო ღრმა კლასობრივი შინაარსის პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამხობის მომხრე ახალი თაობის „შვილებსა" და ბატონყმობის დამცველი კონსერვატორული არისტოკრატიის წარმომადგენელ „მამებს" შორის. რუსეთის მოწინავე აზრის გავლენის ქვეშ აღზრდილი „შვილების" გალაშქრებამ კონსერვატორი „მამების" წინააღმდეგ ქართველი ხალხის ისტორიაში ისეთივე პროგრესული როლი შეასრულა, როგორც რუსეთში დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბრძოლამ ცარიზმისა და მისი პოზიციების დამცველი რეაქციული იდეოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

თბილისის დემოკრატიული ინტელიგენციის მიერ საქართველოში ბატონყმობის მოსპობისათვის დაწყებულმა ბრძოლამ, რომელმაც მალე ქვეყნის მთელი მოწინავე საზოგადოება მოიცვა, სხვა მიზეზებთან ერთად მნიშვნელოვნად დააჩქარა ჩვენში საგლეხო რეფორმის გატარება.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული ძალების ბრძოლა ქვეყნად გაბატონებული სოციალ-ეკონომიური სიდუხჭირისა და ეროვნული უსამართლობის მოსპობისათვის ახალი ძალით გაჩაღდა, რაც იმ პერიოდში შექმნილი კონკრეტული ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული.

როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, რუსეთში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი — რაზნოჩინული თაობა. „ბატონყმობის გადავარდნამ, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი

[1] „საქართველოს მოამბე", 1863, № 5, გვ. 46—47.

[1] „ცისკარი", 1864, № 4, გვ. 169.

ვახტანგ გორგასალი

მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული სიტყვისაც. რაზნოჩინეცის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა"[1].

ცარიზმისა და არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ რუს რაზნოჩინელთა მიერ გაჩაღებულ ბრძოლებში თავიდანვე ჩაება პეტერბურგსა და მოსკოვში სასწავლებლად მყოფი ქართველი ახალგაზრდობა. პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტობის 1861 და 1868—69 წლების გრანდიოზულ მღელვარებებში, იშუტინისა და ნეჩაევის საიდუმლო რევოლუციური წრეების საქმიანობაში, აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის გიმნაზიაში აღზრდილი ქართველი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები — ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე, გ. წერეთელი, ვ. ჩერქეზიშვილი, გ. ჩერქეზიშვილი, ი. ისარლიშვილი, ი. თარხნიშვილი, ი. შანაევი, თ. რიჰმანი, ბ. ჯაფარიძე, ჯ. იშხანოვი და სხვ.

60-ან წლებში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ქართველების მონაწილეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენში რაზნოჩინული იდეების გავრცელება. ქართველ რაზნოჩინელთა მოძრაობის ცენტრი თბილისი იყო. სწორედ აქ, თბილისში მოიყარეს თავი რუსეთიდან ჩამოსულმა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ძალებმა, რომლებმაც აქტიური თანამშრომლობა იწყეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

თუ ქართველი განმანათლებლების — „თერგდალეულების" პროგრამის სოციალური მოთხოვნა ძირითადად დაკმაყოფილდა საგლეხო რეფორმის გატარებით, ახლა მის ძირითად პუნქტად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხებიღა დარჩა, ქართველი რევოლუციონერი რაზნოჩინელების—ხალხოსნების საპროგრამო შეხედულების მთავარ მოთხოვნად გლეხობის ინტერესთა დაცვა იქცა. ეროვნული საკითხი კი მათ დაუქვემდებარეს გლეხთა სოციალური განთავისუფლების მოთხოვნას. ამიტომ ქართველ ხალხოსნებს ჩვენს ლიტერატურაში სამართლიანად უწოდეს „ტეტიათა მოტრფიალნი".

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

მართალია, ქართველ ხალხოსანთა პირველი საიდუმლო ორგანიზაცია ქალაქ გორში ჩამოყალიბდა, მაგრამ ხალხოსნური იდეების პროპაგანდის ცენტრს თავიდანვე თბილისი წარმოადგენდა. თბილისის პერიოდული პრესის ფურცლებზე 60-ანი წლების მეორე ნახევარშივე იწყება ხალხოსნებისათვის დამახასიათებელი უტოპიური აზრებით გაჟღენთილი წერილების ბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ თბილისის რაზნოჩინული ახალგაზრდობა ამ პერიოდში არ კმაყოფილდება მხოლოდ პრესაში გამოსვლით, არამედ საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის მომავალი ლიდერის — ეგნატე იოსელიანის ხელმძღვანელობით 1866 წელს საიდუმლო ბიბლიოთეკასაც კი აარსებს. ამ ბიბლიოთეკას თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა მოემარაგებია აკრძალული ლიტერატურით.

სავსებით შესაძლებელია ისიც, რომ რუსეთის მოწინავე იდეებზე აღზრდილი ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები დაკავშირებული ყოფილიყვნენ არსებული წყობილებით უკმაყოფილო თბილისის მშრომელ მასებთანაც. მით უმეტეს, რომ თბილისისათვის ტრადიციულად იყო დამახასიათებელი განათლებულ ადამიანებსა და მუშა-ხელოსნებს შორის ახლო ურთიერთობის არსებობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია 60-ან წლებში თბილისში მომხდარ მასობრივ მოძრაობას აქაურ რაზნოჩინელთა ჩარევის გარეშე ჩაევლო. მართალია, ამის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენ ხელთ არის მასალა, რომელიც არაპირდაპირ მიუთითებს თბილისის რევოლუციური ინტელიგენციის კავშირზე „მოქალაქეთა"[1] 1865 წლის აჯანყებასთან.

60-ან წლებში თბილისში გაჩაღებული საზოგადოებრივ-რევოლუციური ბრძოლის შესწავლისას შეუძლებელია არ შევეხოთ 1865 წლის ივნისში თბილისში მომხდარ აჯანყებას. თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ამ გამოსვლას „ამქართა ჯანყად" თვლის და არა მშრომელთა მასობრივ მოძრაობად. ზოგიერთის მოსაზრებით, რაც მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების გავლენითაა ნაკარნახევი, 1865 წლის 26 — 28 ივნისს თბილისის „მოქალაქეთა" აჯანყების მიზეზი, თითქოს, ის იყო, რომ ხელისუფლებამ თბილისის ვა-

[1] „ქალაქის მეხუთრეებთა" ქვეშ ძირითადად ქალაქის ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა იგულისხმება.

ჭართა ამქარს 25%-ით გადიდებული საქალაქო გადასახადი შეაწერა. რა თქმა უნდა, გადასახადის გადიდებამ დააჩქარა „მოქალაქეთა“ გამოსვლა, მაგრამ აჯანყების მიზეზი ეს კი არ იყო, არამედ ის სოციალ-ეკონომიური წინააღმდეგობანი, რომლებიც საგლეხო რეფორმის გატარების შემდგომ პერიოდში უაღრესად გამწვავდა, როგორც საერთოდ საქართველოში, ასევე თბილისშიც. საქმე იმაშია, რომ რეფორმით გაძარცული გლეხები ლუკმაპურის საშოვნელად მასობრივად აწყდებიან თბილისს, სადაც ქალაქის ბურჟუაზიული ელემენტების უღელში ცვივიან. ყოველმხრივ შევიწროვებულ მშრომელებში, რომლებსაც ხელისუფლება „შავ მასას“ უწოდებდა, იზრდება უკმაყოფილება ცარიზმისა და არსებული სოციალური უსამართლობის მიმართ. თბილისის ვაჭართა ამქრებზე გაწერილი გადიდებული საქალაქო გადასახადის სიმძიმეც, პირველ რიგში, ამ „შავ მასას“ დააწვა, რადგანაც გადასახადის გადიდების გამო ვაჭრებმა სასმელები და კვების პროდუქტები გააძვირეს, რაც „შავი მასის“ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთანავე, თვით თბილისის ამქარიც ღელავდა, რადგანაც ხელისუფლებამ მის შუასაუკუნოებრივ კარჩაკეტილობაზე იერიში მიიტანა. ვაჭართა ამქარი რუსული კაპიტალის შემოსვლას ხელს უშლიდა, ამიტომ მთავრობამ მისი გაუქმება გადაწყვიტა.

თბილისის ამქარმა, როგორც ეს შუასაუკუნეების ქალაქთა მოძრაობებისათვის იყო დამახასიათებელი, სცადა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა არსებული სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ მშრომელთა გამოსვლა. ივნისის ამბების დროს თბილისელი ჩარჩ-ვაჭრებიც ალბათ იმიტომ გამოვიდნენ ქუჩებში, რომ „შავი მასის“ მოქმედებისათვის ხელისუფლების მიერ ამქრების მიმართ გატარებულ ღონისძიებათა საწინააღმდეგო მიმართულება მიეცათ, ხოლო მათი მონაწილეობა აჯანყებულთა მიერ მდიდარ მოქალაქეთა დარბევაში, ამ უკანასკნელთა ხელისუფლების მხარეს გადასვლით უნდა აიხსნას; მდიდარი მოქალაქენი მთავრობის ღონისძიებებს მხარს უჭერდნენ, რადგანაც ამქართა შუასაუკუნოებრივი ინსტიტუტის გაუქმების საწინააღმდეგო მათაც არაფერი ჰქონდათ.

სწორედ იმის გამო, რომ თბილისის „მოქალაქეთა“ ივნისის აჯანყება, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად, მშრომელთა ფართო ფენების გამოსვლა იყო, კავკასიის ხელისუფლებამ იგი საშიშ პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნია და მისი სწრაფად ლიკვიდაციისათვის ენერგიული ზომები მიიღო. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ყველაზე მკაცრად მშრომელთა წარმომადგენლები დასაჯეს. აჯანყების თაობაზე პასუხისგებაში მიცემული 80 კაციდან 37 კაცი, რომლებიც შეძლებულ ვაჭართა წრეს ეკუთვნოდნენ, გამოძიების პერიოდშივე გაანთავისუფლეს, ხოლო 43 ბრალდებული, რომელთა შორისაც 29 სახაზინო და 2 „დროებით ვალდებული“ გლეხი იყო, მკაცრად დასაჯეს[1].

თბილისის „მოქალაქეთა“ აღნიშნული გამოსვლა რომ „ამქართა ჯანყი“ კი არა, არამედ არსებული წყობილებისათვის პოლიტიკურად საშიში, მშრომელთა კლასობრივი ბრძოლა იყო, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კავკასიის ხელისუფლებას ამ აჯანყების მომზადება და წარმართვა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი კავკასიელი ახალგაზრდების საქმედ მიაჩნდა. ეს მოსაზრება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სინამდვილიდან შორს არ უნდა იყოს.

ჩვენს ხელთაა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მისი მოადგილის გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, რომლებშიც 1865 წლის აჯანყებასთან რევოლუციურად განწყობილი კავკასიელი ახალგაზრდების ურთიერთობაზეა ლაპარაკი[2]. მეფისნაცვალი ერთ წერილში, რომელშიც მითითებულია რუსეთში არსებულ რევოლუციურ მოძრაობაში ქართველების მონაწილეობის შესახებ, გრიგოლ ორბელიანს წერდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ გადასახადის მომატების წინააღმდეგ გამოსვლა აჯანყების მხოლოდ საბაბი იყო, ნამდვილად კი მას სულ სხვა მიზანი ექნებოდა; საფიქრებელია, რომ აჯანყებაში შავი მასა მხოლოდ იარაღს წარმოადგენდა საეჭვო პირებისა ხელშიო“. ასეთ საეჭვო პირებად მას მიაჩნდა ის რუსი და ქართველი რაზნოჩინელები, რომლებიც 60-ან წლებში რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მეტროპოლიასა და განაპირა მხარეებში. როგორც ჩანს, დიდი მთავარი კარგად ყოფილა ინფორმირებული ამ პერიოდში არსებული რევო-

[1] იხ. საარქივო დოკუმენტები. საქართველოს მოამბე, 1947, ტ. 3, გვ. 106—130.

[2] იხ. ხუხდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივის ფონდი 5, საქმე 786, ოთხ ფურცლად.

ლუციური მოძრაობის შესახებ; მას ხელთ ჰქონია ცნობები პოტანინ-იადრიცევის საიდუმლო ორგანიზაცია „ციმბირის დამოუკიდებლობის“ შესახებ, რომლის საქმიანობაში ქართველი ახალგაზრდა მიხეილ ფავლენიშვილიც მონაწილეობდა. დიდი მთავარი იცნობს აგრეთვე კავკასიელთა მონაწილეობით რუსეთში არსებულ სხვა ფარულ საზოგადოებებსაც. იგი, არცთუ უსაბუთოდ ფიქრობდა, რომ კავკასიელები სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გაერთიანებული იქნებოდნენ საიდუმლო წრეებში და რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიდი მთავრის წერილის შემდეგი ადგილი: „მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ისე, როგორც ყველა სახელმწიფოში და სამწუხაროდ თვით რუსეთშიც, ამერკავკასიის მხარეში არსებობს პარტია, მართალია, შეიძლება მცირერიცხოვანი, მაგრამ რომელსაც არ ძინავს. ეს პარტია სარგებლობს მისთვის ყველა ხელსაყრელი შემთხვევით, რათა გაატაროს თავისი მავნე სოციალური იდეები (კურსივი ავტორისაა — ზ. შ.) და ამით ავნოს მთავრობის კეთილ მიზნებს. რუსეთში ამ პარტიის წარმოშობის წყაროს უნივერსიტეტები, სამედიცინო-ქირურგიული აკადემია და ნაწილობრივ სამხედრო აკადემიაც წარმოადგენს.

1861 წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა არეულობას პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, მაშინ კავკასიელი სტუდენტებიდან ბევრი დააპატიმრეს და სამშობლოში გადმოასახლეს. სავსებით სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ახალგაზრდობა ახლაც აგრძელებს დანაშაულებრივ კავშირ-ურთიერთობას თავიანთ ყოფილ ამხანაგებთან. თბილისის ამბებამდე და ამ ამბების დროსაც, ისინი ავრცელებდნენ ცრუ ხმებს და ცდილობდნენ მთავრობის წინააღმდეგ ხალხის აჯანყებას. ეს ხმები შორს გავრცელდა, რაც ჩვენთვის სარწმუნოდაა ცნობილი... ყველა ესენი წარმოადგენენ უეჭველ ფაქტებს იმის დასადასტურებლად, რომ კავკასიაშიც არსებობს მთავრობის საწინააღმდეგო ტენდენცია, ამიტომ ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ, თვალყური ვადევნოთ ყველა საეჭვო პირს“.

დიდი მთავრის მიერ მოხსენებულ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ყველა მოძრაობაში ქართველები მართლაც მონაწილეობდნენ და ბევრი მათგანი რუსეთში დაწყებულ რევოლუციურ საქმიანობას სამშობლოში გადმოსახლების ან დაბრუნების შემდეგაც აგრძელებდა; დიდი მთავრის სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი აქაც ავრცელებდნენ „სოციალურ იდეებს“.

დიდი მთავრის აღნიშნული წერილების შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ თბილისის დემოკრატიულ ახალგაზრდებსა და 1865 წლის აჯანყებას შორის კავშირურთიერთობა იქნებოდა. მომავალი კვლევა-ძიების შედეგად შეიძლება მეტი ნათელი მოეფინოს ამ მოსაზრებას; ჯერჯერობით კი მოტანილი მასალების საფუძველზე თბილისის „მოქალაქეთა“ აჯანყების შეფასებაში აღნიშნული სიახლის შეტანაც წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

ამრიგად, 60-ან წლებში თბილისში ადგილი ჰქონდა რუსეთის პროგრესულ იდეებზე აღზრდილი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლას არსებული სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ. იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე ისინი ახერხებდნენ რუსი რევოლუციონერი რაზნოჩინელების შეხედულებათა პროპაგანდას. ამავე პერიოდში თბილისში მოხდა დაბალი ფენების აჯანყება, რომელთანაც მათი კავშირურთიერთობის კვალიც შეიმჩნევა.

II. საიდუმლო რევოლუციური წრეები თბილისში 70-ან წლებში

1. თბილისის გიმნაზიისა და სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა წრეები

70-ანი წლების დამდეგიდან თბილისის რაზნოჩინული ახალგაზრდობა პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაზე გადასელას იწყებს. ისინი პირველ რიგში მიზნად ისახავდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის მომავალ რევოლუციონერებად აღზრდას. თბილისის გიმნაზიასა და სასულიერო სასწავლებლებში უფროსი თაობის დემოკრატიული ინტელიგენციის ხელის შეწყობით, 60 — 70-ან წლების მიჯნაზე ფარული წრეები იქმნება, რომლის წევრები ხელისუფლების მიერ აკრძალულ ლიტერატურას

ჰკითხულობენ. მოსწავლეებს შორის ყველაზე პოპულარობით სარგებლობდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ჩერნიშევსკის, გერცენის, ბელინსკის, დობროლიუბოვის თხზულებები, აგრეთვე სხვა დემოკრატიული მწერლებისა და რაზნოჩინელი რევოლუციონერების შრომები.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობაში მოწინავე იდეების დანერგვას ხელს უწყობდნენ, ერთი მხრივ, პროგრესული შეხედულების რუსი და ქართველი მასწავლებლები, რომლებიც თბილისის საშუალო სასწავლებლებში მუშაობდნენ, ხოლო მეორე მხრივ არდადეგების პერიოდში სამშობლოში ჩამოსული ქართველი სტუდენტები, აგრეთვე ის პირებიც, რომლებსაც სხვადასხვა გზით ადრევე ჰქონდათ შეთვისებული რუსეთის პროგრესული იდეები.

ამასთანავე, მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას დიდად შეუწყო ხელი ქართული პროგრესული გაზეთის „დროების" მიერ მასალების გამოქვეყნებამ პარიზის კომუნისა და ნეჩაეველთა პროცესის შესახებ, ეგნატე იოსელიანის ინიციატივით თბილისში დაარსებულმა ბიბლიოთეკამ და დემოკრატიული ინტელიგენციის იმ შეკრებებმა, რომლებიც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ქართველ ხალხოსანთა იდეოლოგის — ანტონ ფურცელაძის ბინაზე იმართებოდა. ამ უკანასკნელის შესახებ ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „ანტონის სახლი 1869 წლიდან წარმოადგენდა სტანკევიჩის სალონს, სადაც იკრიბებოდნენ „მნათობის" თანამშრომლები, განსაკუთრებით სემინარიის მოსწავლენი... ანტონს დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდებზე"[1].

თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა წრეს ჯერ კიდევ 70-ანი წლების მიწურულში ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად მასში შედიოდნენ — გ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი, ვ. თუმანიშვილი, ა. ტერ-მერკუზოვი, ზ. ხმალაძე, ბუზოვი, მგელაძე და სხვები. 1868 — 69 წლებში ეს წრე უშვებდა ხელნაწერ ჟურნალ „კოკორს", რომლის 12 ნომერი აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ცენტრალურ მუზეუმშია დაცული. ამ ჟურნალის გაცნობიდან ჩანს, რომ გიმნაზიელები ამ პერიოდში ძირითადად ეროვნულ-განმათავისუფლებლურ პოზიციებზე იდგნენ, თუმცა სოციალური უსამართლობის მოსპობასაც ემხრობოდნენ. ჟურნ. „კოკორში" დაწერილი სტატიების ავტორები დასცინოდნენ რუსეთის ბიუროკრატ მოხელეებს, ქართველი თავადაზნაურობის გაუნათლებლობას და ა. შ.[1]

1870 — 1872 წლებში გიმნაზიელთა აღნიშნული წრის მიერ გამოშვებულ იქნა ახალი ხელნაწერი ჟურნალები — „შრომა" და „გადასაჭრელი საკითხები". მათი შესწავლიდან ჩანს, რომ წრის წევრთა მსოფლმხედველობაში სოციალურ პრობლემებს უკვე პირველი ადგილი დაუკავებია. წერილების ავტორები ლაპარაკობდნენ ქალთა ემანსიპაციის, მშრომელთა სიღარიბის, სამღვდელოების პარაზიტობის, ნეჩაეველთა პროცესის და სხვა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე. საერთოდ კი ნათლად ჩანს რუს რევოლუციონერთა მიმართ სტატიათა ავტორების სიმპათია.

თბილისის გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდებს შორის 1870-ანი წლების დამდეგიდან ჩვენ ვხვდებით მეორე ჯგუფს, რომელთა საიდუმლო წრე თავისი შინაარსით თითქმის რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის ხალხოსნური წრეების ანალოგიურია. გიმნაზიელთა ამ წრის ხელმძღვანელი იყო მოსწავლე ივანე ჯაბადარი. მისივე გადმოცემით წრის წევრები აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, კითხულობდნენ ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევის, გერცენის თხზულებებს; მსჯელობდნენ ისეთ პოლიტიკურ საკითხებზე, როგორიც იყო პარიზის კომუნა, ნეჩაეველთა პროცესი და ა. შ. წრეს ჰქონდა საკუთარი საიდუმლო ბიბლიოთეკა, აღსანიშნავია, რომ გიმნაზიელებს სხვა აკრძალულ წიგნებთან ერთად კარლ მარქსის „კაპიტალიც" კი მიუღიათ რუსეთიდან[2].

1872 წლის დამდეგიდან გიმნაზიელთა აღნიშნული წრე ფართოვდება. მასში შევიდნენ სხვა სასწავლებელთა მოსწავლენი და ოფიცრებიც კი. მაგრამ იმავე წლის ზაფხულზე ეს წრე იშლება, რადგანაც სასწავლებლის დამთავრების გამო მისი წევრების უმრავლესობა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიდის სწავლის გასაგრძელებლად.

გიმნაზიელთა აღნიშნულმა წრემ ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში სა-

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 206.

[1] იხ. Q ფონდი, კატალოგი № 446.

[2] იხ. ამ საკითხზე ჟურნალი „ბილოე", 1907, № 8.

ხელოვანი ფურცელი ჩაწერა. ამ წრეში აღიზარდნენ რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ: ივ. ჯაბადარი, ალ. ციციშვილი, მიხ. ჩიკოიძე და სხვები.

70-ანი წლების პირველ ნახევარში თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის საიდუმლო წრეებიდან თავისი შინაარსითა და სოციალური შემადგენლობით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სემინარიელთა წრე.

თბილისის სასულიერო სემინარიაში, ჯერ კიდევ სამოციან წლებში, მრავლად მოიყარა თავი რაზნოჩინულმა ახალგაზრდობამ. სემინარიაში ჩარიცხულნი მაშინვე ექცეოდნენ იქ გაბატონებული იეზუიტური რეჟიმის ქვეშ. მონარქისტი მასწავლებლები, რეაქციონერი რექტორი და ინსპექცია შეუნელებლივ უთვალთვალებდნენ აღსაზრდელებს, არ აძლევდნენ მათ გარეშე წიგნების წაკითხვის, საიდუმლო კრებების გამართვის საშუალებებს და სხვა[1]. სემინარიის იეზუიტი ხელმძღვანელების მთავარი მეთოდი იყო თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, აბუჩად აგდება; ისინი ხშირად ჩუმად ჩხრეკდნენ მოსწავლეთა პირად ნივთებს. ასეთი მოპყრობის შედეგად აღსაზრდელებში კიდევ უფრო ძლიერდებოდა არსებული წყობილებისადმი სიძულვილი. ისინი რევოლუციურ გზაზე დგებოდნენ. ი. ბ. სტალინმა გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში ამ საკითხზე აღნიშნა: „სემინარიაში გამეფებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მე მზად ვიყავი გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების მომხრე"[2].

მართლაც, 70-ანი წლების დამდეგიდან სემინარიელებს შორის რევოლუციური მოძრაობა ფართოვდება, რაც, პირველ ხანებში, თვითგანვითარების წრეების ჩამოყალიბებაში გამოიხატა. მოსწავლეების ფარულ საქმიანობას თანაუგრძნობდნენ პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები—ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ტურიშვილი და სხვ.

[1] ა. ქიქვიძე, თბილისის სასულიერო სემინარია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, თსუ შრომები, 1948, ტ. 34, გვ. 402.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 119.

სემინარიელთა წრე უშვებდა ხელნაწერ ჟურნალ „შრომას". ამის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს: „ამ ხელნაწერი ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ: გ. უთურგაული, რომელიც რედაქტორობდა ჟურნალს, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, მ. სანებლიძე, ვგონებ ი. მეუნარგიაც, მე, ამ სტრიქონების დამწერიც, შ. შიუკაშვილი და სხვ. ჟურნალი გამოდიოდა 1871 წლის მარტამდე"[1].

სემინარიის წრემ საკუთარი საიდუმლო ბიბლიოთეკაც დაარსა, სადაც ხელისუფლების მიერ აკრძალული მრავალი წიგნი ინახებოდა. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, აქ იყო „თითქმის მთლად „სოვრემენიკის"... ნომრები, ბელინსკის, დობროლიუბოვისა და პისარევის კრიტიკული თხზულებანი, ნეკრასოვის ლექსები, გერცენის „კოლოკოლის" ზოგიერთი ნომრები და სხვა ამგვარები"[2].

მოსწავლეებში თანდათან იზრდებოდა აკრძალული წიგნების შესწავლის სურვილი. საკუთარი ბიბლიოთეკის ლიტერატურა მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ; ამიტომ ასეთი წიგნებით სარგებლობა იწყეს თბილისში ივანოვის სახელზე არსებული ბიბლიოთეკიდან. ამ საკითხზე ცნობილი ხალხოსანი შიო დავითაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ბიბლიოთეკა ივანოვის სახელზე იყო დაარსებული, აქ მრავალი მეცნიერული, პოლიტიკური და ლიტერატურული წიგნები იყო მოგროვილი. ეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო შეიქმნა სწავლაცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობის თავყრილობის ადგილი. გარდა ამისა, აქვე შეხვდებოდი ცნობილ ლიტერატორებსა და საზოგადო მოღვაწეებს. აქ არ იყო ეროვნული გარჩევა. ქართველი, რუსი, სომეხი და ზოგი სხვა ეროვნების ხალხსაც შეხვდებოდით აქ, ამ სამკითხველოსა და ბიბლიოთეკაში. ტფილისის სასწავლებლების მოწაფეები ძალზე დაეწაფნენ წიგნების კითხვას, უმთავრესად სემინარიელები. ისინი პირველობდნენ ამ საქმეში"[3].

1873 წლის დასასრულს სემინარიელთა წრე ჟანდარმერიამ გაანადგურა, ამასთან ერთად ივანოვის ბიბლიოთეკამაც შეწყვიტა არსებობა.

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 47—48.

[2] იქვე, გვ. 46.

[3] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 13.

სემინარიის წრის განადგურების საბაბი გახდა შემდეგი ფაქტი; 1873 წლის 6 დეკემბერს დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძეს, ალექსანდროვის ბაღში სეირნობის დროს აჯ მიესალმენ სემინარიის მოსწავლენი; ერთმა მათგანმა შეხვედრისას ეშმაკურად ჩაიცინა კიდეც. ესენი იყვნენ: დავით კეზელი, სტეფანე ჭრელაშვილი და ალექსანდრე მაჭარაშვილი, რომლებიც დიდმა მთავარმა იქვე დაატიმრებინა. დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს მათი საცხოვრებელი ოთახები, სადაც რევოლუციური შინაარსის წერილები იპოვეს. მათი ავტორები დიდ სიმპათიას გამოთქვამდნენ ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი რევოლუციონერების მიმართ, დასცინოდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს, ოცნებობდნენ რუსეთში არსებული რეჟიმის დამხობაზე, აბუჩად იგდებდნენ სემინარიის იეზუიტ ხელმძღვანელებს, ლაპარაკობდნენ ახალგაზრდების წრიდან რევოლუციონერთა აღზრდაზე, მათ მომავალ მიზნებზე და ა. შ.[1].

გამოძიებამ დაადასტურა, რომ სემინარიელთა წრეში შედიოდნენ: დ. კეზელი, ს. ჭრელაშვილი, ალ. მაჭარაშვილი, ივ. მახვილაძე, დ. სარმენტოვი, ს. ცამციშვილი, დ. ქართველიშვილი, პ. კვიცარიძე, მ. კობიძე, გ. ასათიანი, გ. უთურგაული, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ი. ბაქრაძე. ამასთანავე, როგორც ს. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში წერს, ამ წრესთან დაკავშირებულნი იყვნენ: ვ. იოსებაძე, ნ. ხუციშვილი, რ. გულბანი, ნ. ყიფიანი, ი. მანსვეტაშვილი, გ. ნასყიდაშვილი, გ. ელიავა და სხვ.

მასალებიდან ჩანს, რომ დ. კეზელს პეტერბურგიდან მიუღია შიო შიუკაშვილის მიერ გადმოგზავნილი პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი", რომლის ავტორი პ. გ. ზაიჩნევსკი იყო, და ამხანაგებში გაუვრცელებია. გარდა შიო შიუკაშვილისა, რომელიც პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, სემინარიელებს კავშირი ჰქონდათ მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტთან ამბროსი ხელაშვილთან, რომელიც რუს რევოლუციონერებს თანაუგრძნობდა.

სემინარიის წრის თაობაზე ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ივანოვის ბიბლიოთეკა, რომელიც მათი სიტყვით ახალგაზრდობაში „არაკანონიერი და აღმაშფოთებელი შინაარსის თხზულებათა გავრცელების წყაროს წარმოადგენდა". გაჩხრეკილ იქნა ბიბლიოთეკის შენობაშივე მოთავსებული ნ. ნიკოლაძის ოთახიც. ჟანდარმებმა იპოვეს მხოლოდ რამდენიმე ცალი ჩერნიშევსკის რომანისა „რა ვაკეთოთ?" და „სოვრემენიკის" 1863 წლის ნომრები. ეჭვს გარეშეა, რომ იქ სხვა რევოლუციური წიგნებიც იქნებოდა, მაგრამ ბიბლიოთეკის გამგეობა მათ გადამალვას მოასწრებდა.

1864 წლის იანვარში დამთავრდა გამოძიება სემინარიელთა ირგვლივ. საგამომძიებლო კომისიამ მხოლოდ 6 მოსწავლის მიმართ შეძლო ხელშესახებ მასალათა შეგროვება. ესენი იყვნენ: დ. კეზელი, ს. ჭრელაშვილი, ი. მახვილაძე, დ. სარმენტოვი, ს. ცამციშვილი და სასულიერო აკადემიის სტუდენტი შიო შიუკაშვილი. იუსტიციის მინისტრის 1874 წლის 6 მარტის ბრძანებით მათ პატიმრობა მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით[1].

თბილისის სასულიერო სემინარიის წრის დანარჩენი წევრების მიმართ ჟანდარმერიამ, მართალია, საკმაო რაოდენობით ბრალდასადები მასალების შეგროვება ვერ შესძლო და ისინი პატიმრობას გადაურჩნენ, მაგრამ, როგორც სემინარიის წრის ერთ-ერთი წევრი იაკობ მანსვეტაშვილი გადმოგვცემს, ბევრი მათგანი სასწავლებლიდან გარიცხეს; მოხსნეს აგრეთვე სემინარიის მასწავლებლები — „იაკობ გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საქვეყნო მოღვაწენი"[2].

სემინარიელთა მიმართ მკაცრი ზომების მიღებას მთავრობა შემდეგშიც არათუ ანელებდა, არამედ კიდევ უფრო აძლიერებდა. მაგრამ, ამასთან ერთად, სემინარიაში მოსწავლე რაზნოჩინელი ახალგაზრდობის ოპოზიციური განწყობილებაც ძლიერდებოდა. აღსანიშნავია, რომ 1870-ანი წლების ქართველი ხალხოსნები ძირითადად სემინარიის კედლებიდან გამოვიდნენ. გიმნაზიისა და სემინარიის წრეების დაშლის შემდეგ, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური განწყობილების ზრდის მაჩვენებელია, თუნდაც ის ფაქტი, რომ „მარტო თბილისის სემინარიიდან როგორც

[1] საქ. ცსსა, ფონდი 7ᶜ, საქმე 10.

[1] ЛЦГИА, фонд 1405, 1874, отд. 72, дело 7103, лл. 5—8.

[2] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 5.

არაკეთილსაიმედონი, 1874 წლიდან 1878 წლამდე სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში 83 საუკეთესო მოსწავლე გარიცხეს"[1].

2. თბილისის რევოლუციურ-ხალხოსნური წრე

გიმნაზიისა და სემინარიის საიდუმლო წრეებში მომზადდა ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ საქართველოში ხალხოსნურ პროპაგანდას მოჰკიდა ხელი. რუსეთში „ხალხში სიარული" 1873—74 წლებში დაიწყო, საქართველოში კი მხოლოდ 1875—76 წლებში მიიღო მან ფართო ხასიათი. ამ პერიოდში საქართველოს ყველა კუთხეში იქმნება ხალხოსნური წრეები, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ადგილი თბილისის წრეს ეკავა.

თბილისის ხალხოსნური წრის ჩამოყალიბება საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხოსნური მოძრაობის ლიდერის — ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1874 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამწყათმოქმედო ინსტიტუტი და სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში თავის გარშემო შემოიკრიბა რაზნოჩინელი ახალგაზრდობა და მუშაობას შეუდგა. ამის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი გადმოგვცემს: „სამშობლოში დაბრუნებისთანავე (ეგნატე იოსელიანმა — ზ. შ.) ...გარს შემოიხვია მოსწავლე ახალგაზრდობა სასწავლებლიდან გამორიცხულნი, უპატრონოდ და უსწავლელად დარჩენილნი, რომელთა განვითარებას ეგნატე ბეჯითად შეუდგა. შესდგა ახალგაზრდათა რევოლუციური რაზმი"[2].

თბილისის წრის წევრები აწყობდნენ საიდუმლო კრებებს და კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს, რომლებსაც ეგნატე იოსელიანის ბიბლიოთეკაში შოულობდნენ. ამ წრეში მამაკაცებს გარდა ქალებიც შედიოდნენ. შიო დავითაშვილის გადმოცემით: „ეგნატე იოსელიანთან იმ დროს ქალებიც დაიარებოდნენ: მახსოვს ანნა დომბროვსკაია (შემდეგ ექიმი ხუდადოვის მეუღლე), პოლონელი ქალიშვილი ვიხტნერსკაია, ელიკო ბროძელი-ანტონოვსკაია და სხვ. ეგნატემ გამაცნო შვეიცარიაში ნამყოფი მარია ალექსანდროვნა ნადეჟდინა, რომელსაც საგაზეთო კიოსკი ჰქონდა გოლოვინის პროსპექტზე"[1].

1875 წლიდან თბილისის წრე გაფართოვდა: ოფიციალური ცნობებით მის წევრებად ითვლებოდნენ: ეგნატე იოსელიანი, შიო დავითაშვილი, იოსებ ბაქრაძე, ლევან ჩერქეზიშვილი, ოლღა ყიფიანი, აქვსენტი კალანდაძე, ვიქტორ მელენჩუკი, იოსებ და ლადო გულისაშვილები, გიორგი უთურგაული, ვლადიმერ ნაცვლიშვილი, ნიკო კეცხოველი, მარია და ვარვარა ნადეჟდინები, თეოდორე გოლიევი და სხვა; სულ 30 კაცზე მეტი.

თბილისის წრესთან დაკავშირებული იყვნენ ის თბილისელი ახალგაზრდებიც, რომლებიც პეტერბურგში სწავლობდნენ და იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: კონსტანტინე ბაქრაძე, ოლღა, არშაკ და ვარვარა საფაროვები, სტეფანე ჭრელაშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი, სტუდენტი ზედგენიძე და სხვები.

თბილისის წრესთან და პირადად ეგნატე იოსელიანთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა რუს რევოლუციონერ სერგეი შვეცოვს, რომელიც საქართველოში პროპაგანდისტული მუშაობისათვის იყო ჩამოსული. იგი ბინადაც ეგნატე იოსელიანთან ცხოვრობდა.

თბილისში მყოფი სერგეი შვეცოვი ეგნატე იოსელიანთან, არსენა კალანდაძესთან და სხვა ქართველ ხალხოსნებთან ერთად ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას. ამ უკანასკნელთან შეთანხმებით კი იგი თბილისელ მუშებსაც უკავშირდებოდა. ამ მიზნით ქალაქის ერთ-ერთ სტამბაში შავ მუშად მოეწყო. თბილისში ყოფნის პერიოდში შვეცოვს მიმოწერა ჰქონდა რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან.

კონსპირაციულობის მიუხედავად, შვეცოვი დიდხანს არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ჟანდარმერიამ მის მიმართ საიდუმლო თვალთვალი დააწესა, ხოლო 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც ქართველი ხალხოსნების მასობრივად დაპატიმრება დაიწყო, შვეცოვიც დააპატიმრეს ეგნატე იოსელიანის ბინაზე და პასუხისგებაში მისცეს „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში კანონის საწინააღმდეგო პროპაგანდის საქმეზე". რადგანაც შვეცოვის რევოლუციური წარსულის გამო პეტერბურგში ძიება უკვე მიმდინარეობდა, ამიტომ მესამე განყოფილე-

[1] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 5.
[2] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 73.

[1] შიო დავითაშვილი, მოგონება, გვ. 20.

ბის უფროსის განკარგულებით იგი პეტერბურგში გადააგზავნეს და იქაურ ხალხოსნებთან ერთად დასაჯეს.

თბილისის წრის პროპაგანდისტები მხოლოდ ქალაქში მუშაობით არ იფარგლებოდნენ, ისინი სოფლებშიც მიდიოდნენ. ამ მიზნით შიო დავითაშვილი გორის მაზრაში წავიდა. ამის შესახებ იგი გადმოგვცემს: „ხალხში გასვლა გადაწყვეტილი მქონდა, მხოლოდ დროს ვუცდიდი, სანამ საზაფხულოდ სასწავლებლებს დახურავდნენ. ეს დროც დადგა და მეც გავემგზავრე გორს.

აუარებელი აკრძალული წიგნები წავიღე თან და ვესტუმრე სოფრომ მგალობლიშვილს... აქედან ქართლის სოფლებისაკენ დავიკავე გეზი და მოვიარე ის სოფლები, სადაც ნაცნობ-ნათესავები მეგულებოდა. სამყოფი ბინა კი ს. ტყვიავში მქონდა"[1].

თბილისის წრის მეორე აქტიური წევრი ოლღა ყიფიანი კი 1876 წლის ივნისის ბოლოს გურიაში წავიდა. იგი სოფელ გორაში (დღევანდელი ჩოხატაურის რაიონი) ჩავიდა და ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუახლოვდა.

თბილისელი ხალხოსნები, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ხელოსნებსა და მუშებს შორისაც ეწეოდნენ რევოლუციური აზრების პროპაგანდას. ამის შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართველი ხალხოსნების მოგონებებში, ასევე საარქივო მასალებშიც. თბილისელ მუშებთან დაახლოების მიზნით შიო დავითაშვილი შავ მუშად იწყებს მუშაობას ჯერ მირზოევის საქსოვ ფაბრიკაში, ხოლო შემდეგ სამხედრო უწყების სამკერვალოში. ამასთანავე, ხალხოსნებმა შიო დავითაშვილის სახელზე გახსნეს წიგნების ამკინძავი სახელოსნო. აქ მომუშავე ოსტატებსა და შეგირდებს შორის შიო დავითაშვილი და მისი ამხანაგები რევოლუციურ აზრებს ავრცელებდნენ[2]. თბილისელ მუშებში რევოლუციურ პროპაგანდას არსენ კალანდაძესთან ერთად სერგეი შვეცოვიც ეწეოდა.

თბილისის ხალხოსნური წრე დაკავშირებული იყო საქართველოს სხვა მაზრებში არსებულ საიდუმლო წრეებთან. თვით ეგნატე იოსელიანი, როგორც კავკასიელ ხალხოსანთა ლიდერი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ ხალხოსნებს შორის. მასთან შეუთანხმებლად რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი არსად არ გადაწყდებოდა.

1876 წლის ოქტომბერში, საქართველოში მომხდარი დიდი დაპატიმრების შემდეგ, თბილისის ხალხოსნური წრის საქმიანობა ძლიერ შესუსტდა. ეგნატე იოსელიანის ციმბირში გადასახლებისა და სხვების სხვადასხვა ზომით დასჯის შემდეგ დაპატიმრებას გადარჩენილმა თბილისელმა ხალხოსნებმა თითქმის აიღეს ხელი რევოლუციურ მოღვაწეობაზე. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით მათ „ფრონტი შეიცვალეს", ე. ი. გალიბერალების გზას დაადგნენ.

ეგნატე იოსელიანის დაპატიმრების შემდეგ თბილისის წრეს სათავეში შიო დავითაშვილი ჩაუდგა, რომელიც დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა, მაგრამ ჟანდარმერიის მხრივ მკაცრი მეთვალყურეობის გამო მალე ისიც იძულებული გახდა თბილისი მიეტოვებინა და გორში გადასულიყო. ამრიგად, თბილისის რევოლუციურმა ხალხოსნურმა წრემ არსებობა შეწყვიტა.

III. ნაროდოვოლცური წრეები თბილისში 80-ან წლებში

1. თბილისის ნაროდოვოლცური ჯგუფი 70—80-ან წლების მიჯნაზე

70-ანი წლების მიწურულისათვის, რუსეთის მსგავსად საქართველოს ხალხოსნურ მოძრაობაშიც შეიმჩნევა ორი მიმართულების გაჩენა. ხალხოსნების პირველ ნაკადში შევიდნენ ისინი, რომლებმაც „ფრონტი შეიცვალეს" და რევოლუციური პროპაგანდის მაგივრად კულტურულ საქმიანობაზე გადავიდნენ. ისინი თავიანთი მუშაობის ძირითად ობიექტად მოსწავლე ახალგაზრდობას ირჩევდნენ, ხოლო გლეხობაში მათი მოღვაწეობა საღამოებისა და წარმოდგენების გამართვით შემოიფარგლებოდა და, როგორც ეს ზემლევოლცელებისათვისაც იყო დამახასიათებელი, ლეგალური ფორმებითაც ცდილობდნენ გლეხთა დაცვას მემამულეებისა და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატის მხრივ ძალმომრეობისაგან. ამ ნაკადის ხალხოსნები აღარ იყვნენ გამსჭვალულნი იმ რევოლუციური სულისკვეთებით, რომელიც 70-ანი წლების ხალხოსნებისათვის იყო დამახასიათებელი.

[1] შიო დავითაშვილი, მოგონება, გვ. 29.
[2] იქვე, გვ. 22, 26—27, 67—68.



კროპოტკინის ქუჩაზე მდებარე № 9 სახლი, სადაც 1901 წლის 24 ნოემბერს
შედგა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის პირველი კონფერენცია

ქართველი ხალხოსნების ამ მიმდინარეობას სხვებთან ერთად ეკუთვნოდნენ ჟურნალ „იმედისა“ და გაზ. „შრომის“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. პირველი თბილისში გამოდიოდა 1881 — 1883 წლებში მ. გურგენიძის რედაქტორობით, ხოლო მეორე, ქ. ქუთაისში — დ. დადიანის რედაქტორობით. გაზეთ „შრომაში“ მონაწილეობდნენ: ბოსლეველი, უმწიფარიძე, დ. კეზელი და სხვები. ჟურნალ „იმედში“ — ნ. ხიზანიშვილი, ა. ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი და სხვები. საერთოდ, „შრომისა“ და „იმედის“ გარშემო შემოკრებილ იყვნენ ხალხოსნურად განწყობილი ის ქართველი მოღვაწენი, რომლებიც „ივერიისა“ და „დროების“ მიმართულებას არ ეთანხმებოდნენ.

70-ანი წლების მიწურულიდან საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის მეორე ნაკადს წარმოადგენდა ნაროდოვოლცური მიმართულება, რომელიც რუსი ნაროდოვოლცელების გმირული ბრძოლის უშუალო გამოძახილი იყო. ჩვენ ამჯერად მხოლოდ თბილისში მომუშავე ნაროდოვოლცელებზე შევჩერდებით.

საარქივო მასალები მიუთითებენ, რომ 70-ანი წლების მიწურულში თბილისში შემდგარა საიდუმლო წრე „ხელისუფლების საწინააღმდეგო იდეების გავრცელების მიზნით“. მასში შედიოდნენ ცოლ-ქმარი შაევრდაშვილები, „სტატსკი სოვეტნიკი“ ცეზარ მატვეის ძე ბუტკევიჩი, მაიორი ფერდინანდ იულონის ძე ბარკოვსკი, ლიუდვიგა ვასილის ასული მიცენკო[1].

წრეს ჰქონია საკუთარი ბიბლიოთეკა გოლოვინის გამზირზე, თავად მუხრანსკის სახლში. ბიბლიოთეკას განაგებდნენ ნადეჟდა ანდრიას ასული კონსტანტინოვა და მარიამ ანდრიას ასული იაკიმოვა. ბიბლიოთეკაში სხვა არალეგარულ ლიტერატურასთან ერთად დაცული ყოფილა ისეთი გამოცემები, როგორიცაა ჟურნ. „ეპერიოდი“ და გაზ. „ნაროდნაია ვოლია“. მასალებში ნათქვამია აგრეთვე, რომ თბილისის წრეს საიდუმლო სტამბა დუშეთის მაზრაში აქვს გამართული[2].

ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს იმ გარემოებასთან, რომ პოლიციის ყურამდე მისულა ცნობა გორელი ხალხოსნების მიერ სტამბის გამართვის შესახებ; რადგანაც აგენტურა საქმის კურსში არ იყო, ამიტომ მათ ცნობებში მაზრების სახელწოდება არეულია.

პოლიციის ცნობების მიხედვით ჟანდარმერიამ დაგვიანებით მოახდინა ჩხრეკა, ამიტომ შენიშნულ პირებს ბრალდასადები საბუთი ვერ უპოვეს და მათზე საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესებით დაკმაყოფილდნენ.

ჩვენი მოსაზრებით, ამჯერად თბილისელი რევოლუციონერები დაპატიმრებას გადაარჩინა შემდეგმა გარემოებამ: ზემოთ მოტანილი ცნობები თბილისის პოლიცმეისტერის სამმართველომ შეაგროვა და წარუდგინა სასამართლო პალატის პროკურორს და არა ჟანდარმერიას, რასაც ჟანდარმების უკმაყოფილება გამოუწვევია. ამის გამო, პროკურორის მითითების შემდეგ ისინი დაუყოვნებლივ კი არ შეუდგნენ რევოლუციონერთა ძებნას, არამედ შეგნებულად დაყოვნდნენ. უფრო მეტიც, ჟანდარმები უმტკიცებდნენ პროკურორს, რომ თბილისში არავითარი საიდუმლო ორგანიზაცია არაა, ხოლო ეს ცნობები განგებაა შეთხზული პოლიცმეისტერის მიერ, რათა ჩვენ დაგვაციროს, თვითონ კი სამსახურში დაწინაურება მიიღოსო[1]. საფიქრებელია, რომ თვითმპყრობელობის ქოფაკებს შორის ეს დავა არც რევოლუციონერებს გამორჩებოდათ მხედველობიდან; მით უმეტეს, რომ მათ შორის მაღალი სამხედრო და სამოქალაქო ჩინის ადამიანები მოიხსენიებიან. ყოველივე ამის შედეგად, ისინი მთავრობისთვის მიუღებელი ლიტერატურისა და სხვა საეჭვო მასალების გადამალვას მოასწრებდნენ, ამიტომ ჟანდარმერიამ ჩხრეკის შედეგად საეჭვო ვერაფერი ნახა. ამრიგად თბილისელი რევოლუციონერები ამჯერად დაპატიმრებას გადაურჩნენ.

2. მე-16 „მინგრელსკი პოლკთან“ არსებული ნაროდოვოლცური წრე თბილისში

80-ანი წლების დამდეგიდან საქართველოში ორი ნაროდოვოლცური წრე იქმნება. ერთი იყო თბილისის წრე, რომელშიც შედიოდნენ მე-16 „მინგრელსკი პოლკის“ ოფიცრები: ნემოლოვსკი, შეპელოვი, ანტონოვი, ვაჩნაძე, ციციშვილი და

[1] МЦГИА, фонд III, отд. 3, экспед. 1880 г., дело 81, лл. 14—15.

[2] იქვე, ფურცელი 42—43, 44.

[1] იქვე, ფურცელი 46.

სხვები; აგრეთვე სამოქალაქო პირები: მარიამ შერვაშიძე, ვიქტორ მელენჩუკი, ალექსანდრე ნანეიშვილი, გ. ტერ-გრიგორიანცი, სტეფანე ჭრელაშვილი, ალექსანდრე ელიოზიშვილი და სხვ. მეორე იყო გორის წრე ანუ „საიდუმლო კომიტეტი".

საგამომძიებლო კომისიის მასალებში თბილისის წრე ნაროდოვოლცური სამხედრო წრის სახელით მოიხსენიება, მაგრამ, იმავე მასალებიდან ჩანს, რომ მასში ბევრი სამოქალაქო პირიც მონაწილეობდა. ამიტომ უმჯობესი იქნება ჩვენს ლიტერატურაში მას თბილისის ნაროდოვოლცური წრე ეწოდოს.

თბილისის წრის ჩამოყალიბება უშუალოდ დაკავშირებულია 1881 წლის ზაფხულზე პეტერბურგიდან „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ანა პრიბილევა-კორბას ჩამოსვლასთან. კორბა თბილისში ჩამოსვლისთანავე დაკავშირებია 70-ანი წლების საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის აქტიურ მონაწილეს სტეფანე ჭრელაშვილს, რომლის საშუალებითაც გაცნობია პორუჩიკ ალექსანდრე ანტონოვს და მისთვის გაზ. „ნაროდნაია ვოლიას" ფურცლები მიუცია. ანტონოვს კი იგი წასაკითხად დაურიგებია თავისი ამხანაგი ოფიცრებისათვის.

კორბას მიერ თბილისში ჩამოსვლისთანავე სტეფანე ჭრელაშვილის მონახულება გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის ნაცნობობა ადრეც იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც სარწმუნოა, რომ კორბა ჭრელაშვილის რევოლუციური წარსულის შესახებ კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის უცნობ პირს იგი არ ენდობოდა.

კორბას წინადადებით „მინგრელსკი პოლკის" ოფიცრებისაგან შემდგარა საიდუმლო წრე, რომელშიც სამოქალაქო პირებიც შესულან. ამ წრეს თავისი მოქმედება უნდა შეეფარდებია ნაროდნაია ვოლიას „აღმასრულებელი კომიტეტის" საერთო სამოქმედო პროგრამასთან, შეეკრიბა ფული ორგანიზაციის საჭიროებისათვის და ა. შ.

თბილისის ნაროდოვოლცურ წრეში შემავალი სამოქალაქო პირებიდან თვალსაჩინო ფიგურა იყო ქართველი ქალი მარიამ შერვაშიძე. მისი ბინა რევოლუციონერების ერთ-ერთი შესაკრები ადგილი იყო. რუსეთიდან ჩამოსული თითქმის ყველა რევოლუციონერი პირველად მას მოინახულებდა ხოლმე და სხვებს მისი საშუალებით უკავშირდებოდა. საგამომძიებლო კომისიის მასალებში ნათქვამია, რომ მარიამ შერვაშიძე „ასრულებდა შუამავლის როლს თბილისში ჩამოსულ რევოლუციონერ აგიტატორებსა და „მინგრელსკი პოლკის" ოფიცრებს შორის"[1].

1881 წლის ბოლოს ანა პრიბილევა-კორბა დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც მალე დააპატიმრეს და 20 წლით კატორღაში გაგზავნეს. მის შემცვლელად კი „აღმასრულებელი კომიტეტის" სახელით საქართველოში ჩამოდის სერგეი პეტრეს ძე დეგაევი, რომელიც შემდეგში პროვოკატორი გახდა. დეგაევი თბილისში ცხოვრობდა „სერგეი პეტრეს ძე პეტროვის" გვარით და კორბას მიერ დაწყებულ მუშაობას აგრძელებდა. თბილისში ყოფნის პერიოდში იგი პერიოდულად მოგზაურობდა ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

1882 წლის სექტემბერში დეგაევი საქართველოდან დაბრუნდა რუსეთში. მალე თბილისის ნაროდოვოლცური წრეც ჩავარდა. 1883 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე თბილისელი რევოლუციონერების უმრავლესობა ჟანდარმერიამ დააპატიმრა. პასუხისგებაში 28 კაცი იქნა მიცემული (მათ შორის იყვნენ გორელი ხალხოსნებიც), რომლებიც ადმინისტრაციული წესით დასაჯეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის 1884 წლის 31 იანვრის განკარგულებით მარიამ შერვაშიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, მიხეილ ყიფიანი, ვიქტორ მელენჩუკი, ალექსანდრე ელიოზიშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი და სერგეი შეპელოვი გადაასახლეს სამ-სამი წლით დასავლეთ ციმბირში, პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვებით; პავლე იაკიმოვს, ნიკოლოზ ალიხანოვს, არჩილ ციციშვილს, იოსებ ლიპომანს, ალექსანდრე მაკუხინს, ვლადიმერ დერჟანოვსკის, ლევან ვაჩნაძეს და იაკობ მიტკინს ჩაეთვალათ სასჯელში წინასწარი პატიმრობა და პოლიციის მკაცრ ზედამხედველობას დაუქვემდებარეს, პირველი ოთხი — სამ-სამი წლით თვითეული, მაკუხინი და დერჟანოვსკი კი ორ-ორი წლით, ხოლო ვაჩნაძე და მიტკინი თითო წლით. დანარჩენებიც სხვადასხვა ზომით იქნენ დასჯილნი[2].

---

[1] ЛЦГИА, фонд 1405, 1883 г., опись 63, дело 11312, л. 20.

[2] იქვე, лл. 40—41.

3. თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა ნაროდოვოლცური წრეები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის სასულიერო სემინარია რევოლუციონერთა სამეფოლოს წარმოადგენდა. არსებული წყობილებისადმი მტრული განწყობილება სემინარიის მოსწავლეთა შორის ყოველთვის ძლიერი იყო. ხოლო როდესაც 70-ანი წლების მიწურულსა და 80-ანი წლების დამდეგს, რუსმა ნაროდოვოლცებმა გააფთრებული ტერორისტული ბრძოლა გააჩაღეს ცარიზმის წინააღმდეგ, მას თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ახალგაზრდობაც გამოეხმაურა. 80-ანი წლების დამდეგიდან სემინარიელთა შორის იქმნება საიდუმლო წრეები, რომლებშიც შედიოდნენ: გ. ჩიტაძე, ბ. მოსეშვილი, ი. რამიშვილი, ზ. ჩიქვილაძე, ილარიონ და ნიკოლოზ ხახუტაშვილები, ი. შამათავა, ი. ლაღიაშვილი, გ. მატაფიევი, ი. ლომკაციშვილი, ს. ჯიბლაძე, ი. გულისაშვილი, ი. ბარნაბიშვილი, ნ. სიდამონიძე, კ. კუხიანიძე, ზ. უზნაძე და სხვ.

სემინარიელთა წრეებიდან ყველაზე რადიკალური იყო გოლა ჩიტაძის ჯგუფი, რომლის წევრებიც უშუალოდ „ნაროდნაია ვოლიას" თვალსაზრისზე იდგნენ. გოლა ჩიტაძე ცარიზმის წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის გზით ბრძოლის მხურვალე მომხრე იყო. მას ღრმად სწამდა ცალკეული მკვლელობების საშუალებით მეფის ხელისუფლების დამხობის შესაძლებლობა. გოლა ჩიტაძემ ქართველი ნაროდოვოლცების ბრძოლის ძირითად საშუალებად ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა აღიარა და თავიდანვე მტკიცედ დაადგა ინდივიდუალური ტერორის გზით ცარიზმთან ბრძოლის ხაზს.

გოლა ჩიტაძემ და მიხა ჩოდრიშვილმა მოახერხეს არალეგალური სტამბის გამართვა ქალაქის ცენტრში გოლოვინის პროსპექტზე, მაგრამ შემდეგ გოლა ჩიტაძემ იგი გადაიტანა უფრო საიმედო ადგილას, თავის ბინაზე.

გოლა ჩიტაძის სტამბაში იბეჭდებოდა რევოლუციური ხასიათის ბროშურები და პროკლამაციები. მაგალითად, ამ სტამბაში ქართულ ენაზე დაუბეჭდიათ ხელისუფლების მიერ აკრძალული ბროშურა „ოთხი ძმის ზღაპარი", ორასი ეგზემპლარის რაოდენობით.

გოლა ჩიტაძის ჯგუფმა ლუდხანაც გახსნა გოლოვინის გამზირზე. იგი რევოლუციონერების შესაკრები ადგილი იყო, ხოლო ლუდხანა, ჟანდარმერიის თვალის ასახვევად ერქვა. მიხა ჩოდრიშვილის გადმოცემით მოსწავლე ახალგაზრდათა წრის წევრები აქ არალეგალურად იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობდნენ.

გოლა ჩიტაძე სემინარიიდან გარიცხვის შემდეგაც ხელმძღვანელობდა საიდუმლო წრეების საქმიანობას. მასალებიდან ჩანს, რომ იგი, სემინარიის წრის გადაწყვეტილებით, რექტორ ჩუდეცკის მოკვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილა.

როგორც ირკვევა, სემინარიელთა საიდუმლო წრეს, რომელშიც იმ დროს შედიოდნენ: ი. ლაღიაშვილი, ზ. ჩიქვილაძე, ი. ხახუტაშვილი, ნ. ხახუტაშვილი, ი. ბარნაბიშვილი, ი. შამათავა, ზ. მატაფიევი, ი. ლომკაციშვილი, ნ. სიდამონიძე, ზ. უზნაძე, ბ. მოსეშვილი, თ. ბერიძე, კ. კუხიანიძე და სხვები, კუკიის სასაფლაოზე ჩატარებული ერთ-ერთი შეკრების დროს საძულველი რექტორის ჩუდეცკის მოკვლა გადაუწყვეტია. ამ ტერორისტული აქტის სისრულეში მოყვანა იოსებ ლაღიაშვილს უკისრია, რაც მან განახორციელა კიდეც 1886 წლის 24 მაისს. ჩუდეცკის მოკვლის სამზადისში, ი. ლაღიაშვილი მჭიდრო კონტაქტში ყოფილა გოლა ჩიტაძესთან და საჭირო იარაღიც მისი დახმარებით შეუძენია[1].

იოსებ ლაღიაშვილის საქმე სამხედრო სასამართლომ განიხილა და მას სასიკვდილო განაჩენი მოელოდა, მაგრამ არასრულწლოვანობის გამო 20 წლის კატორღა მიუსაჯეს.

რექტორ ჩუდეცკის მოკვლის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში უკიდურესად სულის შემხუთველი რეაქცია გაბატონდა. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის განკარგულებით გაჩხრიკეს სემინარიელთა წრის წევრების — ივანე ბარნაბიშვილის, ზოტიკე ჩიქვილაძის, ზაქარია უზნაძის, კონსტანტინე კუხიანიძის, იოსებ ჭირაქაძისა და სხვების საცხოვრებელი ოთახები. მართალია, მათ საეჭვო ვერაფერი უპოვეს, მაგრამ ისინი მაინც დააპატიმრეს.

[1] ამ საკითხს ჩვენ ფართოდ ვიხილავთ მონოგრაფიაში „რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში".

უნდა ვიფიქროთ, რომ სემინარიის აღნიშნული მოსწავლეები წინასწარვე შეთანხმებული იქნებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორი ჩვენება მიეცათ ჟანდარმებისათვის. ამიტომ გამოძიებამ მათ მიმართ სათანადო ბრალდასადები მასალების შეგროვება ვერ შეძლო. :სინი საპატიმროდან გაათავისუფლეს, მაგრამ სემინარიიდან მაინც გარიცხეს და თავიანთ სოფლებში გადაასახლეს, სადაც პოლიციის მკაცრ მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს.

• • •

იოსებ ლაღიაშვილის მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტისა და სემინარიელთა საიდუმლო წრეების დაშლის შემდეგ ჩვენში სასტიკი რეაქცია გაბატონდა. ამასთან, ქართველი ხალხისნების ნაროდოვოლცური ნაკადის არსებობაც წყდება. ეს, რა თქმა უნდა, იმითაც იყო განპირობებული, რომ ამავე პერიოდში თვით რუსეთშიც სრული კრახი განიცადა ნაროდოვოლცელთა საქმიანობამ. 1887 წ. ალექსანდრე ულიანოვის ინიციატივით, იმპერატორ ალექსანდრე მესამის მოკვლის ცდის შემდეგ, რუს ნაროდოვოლცებს აღარც კი უფიქრიათ ტერორისტული აქტის ჩადენაზე.

XIX საუკუნის 80-ან წლებში, რუსეთში სერიოზულად ძლიერდება მუშათა მოძრაობა, იქმნება მარქსისტული წრეები; ხოლო 90-ან წლებში დიდი ლენინის ხელმძღვანელობით რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი თაობა — რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო წინა თაობათა მოწინავე რევოლუციური ტრადიციები, ხოლო მათი მცდარი თეორიული დოქტრინები საბოლოოდ გაანადგურა. ასევე მოხდა საქართველოშიც. ქართველმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა ი. ბ. სტალინისა და მისი თანამებრძოლების — კეცხოველის, წულუკიძის, ცხაკაიას, მახარაძის და სხვათა მეთაურობით მაღლა აღმართეს რევოლუციური მარქსიზმის დიადი დროშა. ამით ჩვენშიც მთავრდება რაზნოჩინული მოძრაობის პერიოდი და იწყება რევოლუციური მარქსიზმის ეპოქა.



თბილისის ძველი ნაწილის საერთო ხედი



ჩიტო გუგუშვილი

რევოლუციური მოძრაობა თბილისში (1900—1921 წწ.)

თბილისის 1 500 წლის ბრწყინვალე ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შედარებით მოკლე, მაგრამ მოვლენათა სიმრავლითა და მნიშვნელობით მდიდარ პერიოდს XIX საუკუნის 90-ანი წლებიდან 1921 წლამდე, როცა თბილისის პროლეტარიატმა თავისი რევოლუციური ბრძოლის მაგალითებით, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღაფრთოვანა, პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლისათვის გამოაღვიძა მილიონობით დაბეჩავებული საქართველოს მშრომელი მასები, ჩააბა ისინი მჩაგვრელთა წინააღმდეგ დაწყებულ საერთო მოძრაობაში და მოგვცა რევოლუციური ბრძოლის გმირული ნიმუშები.

მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აშკარა რევოლუციური ბრძოლის ახალ ეპოქაში, თბილისის პროლეტარიატი სწრაფად გაიზარდა და მომწიფდა მძლავრ რევოლუციურ ძალად, რომელიც ხელმძღვანელობდა და ტონს აძლევდა საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას.

რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გავლენითა და ხელმძღვანელობით, თბილისის პროლეტარიატმა რევოლუციური აღზრდის დიდი სკოლა გაიარა და იწყო ბრძოლა თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თბილისის მუშათა პირველი გაფიცვები სტიქიურად იფეთქებდა ხოლმე ჯარიმების, სამუშაო დღის გადიდების, ხელფასების შემცირებისა და სხვათა გამო, რომელიც მალე გადაიზარდა შეგნებულ და ორგანიზებულ ბრძოლად ცარიზმის წინააღმდეგ.

1899 წლის 19 აპრილს თბილისის მუშებმა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იდღესასწაულეს პირველი მაისი. ეს იყო მუშათა შეგნებული და ორგანიზებული ბრძოლის ნიმუში; ამ დღესასწაულმა უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა იქონია როგორც თბილისის, ისე საქართველოს მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე. იგი მასობრივი აგიტაციის დასაბამი გახდა.

1900 წლის იანვარს მომზადდა და ჩატარდა თბილისის ცხენის რკინიგზის („კონკის") მუშათა დიდი გაფიცვა. გაფიცვა მოამზადა ლ. კეცხოველმა; მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ადმინისტრაციისადმი წარსადგენი მუშათა მოთხოვნები. გაფიცვა მუშების მნიშვნელოვანი გამარჯვებით დამთავრდა.

1900 წლის 23 აპრილს თბილისის მუშებმა მეორედ იდღესასწაულეს მაისობა თბილისიდან

8 კმ. დაშორებით, მლაშე ტბის რაიონში. გაზეთი „ბრძოლა“ ადარებდა 1899 წლისა და 1900 წლის მაისობას და მიუთითებდა მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ზრდაზე, იმაზე, რომ იგი სულ უფრო და უფრო შეგნებული და ინტერნაციონალური ხდებოდა, ხოლო მუშათა კლასი იზრდებოდა როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად.

თბილისის მუშების რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რკინიგზისა და დეპოს სახელოსნოების მუშათა გრანდიოზულ გაფიცვას, რომელიც 1900 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო. გაფიცვას სათავეში ედგა რსდმპ თბილისის კომიტეტი. გაფიცვის მომზადებასა და მიმდინარეობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მ. ი. კალინინმა; იგი მეფის თვითმპყრობელობამ კავკასიაში გადმოასახლა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. კალინინი თბილისში ჩამოვიდა 1900 წლის გაზაფხულზე და მუშაობა დაიწყო რკინიგზის სახელოსნოებში.

მუშები მოითხოვდნენ ღამით მუშაობის აკრძალვას და საღამოს სამუშაოებისათვის ცვლების დაწესებას, სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის გადიდებას, ჯარიმების გაუქმებას, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და სხვ.

შეშფოთებული ადმინისტრაცია სასწრაფოდ დაუკავშირდა პოლიციასა და ჟანდარმერიას. 31 ივლისს ღამით პოლიციამ დააპატიმრა სახელოსნოს 63 მუშა, რასაც სახელოსნოების მუშათა ერთსულოვანი გაფიცვა მოყვა. მუშებმა თავიანთ მოთხოვნებს დაუმატეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება.

ადმინისტრაციამ გაფიცვას პირველი დღეებიდანვე პოლიტიკური ხასიათი მისცა და პასუხისმგებლობა მოიხსნა მისი შედეგებისათვის, ხოლო რკინიგზის უფროსმა განგაში ასტეხა, გაფიცვა დაახასიათა როგორც ამბოხება და მოითხოვა ქვეითი და ცხენოსანი სამხედრო ნაწილების მზადყოფნა. მაგრამ გაფიცულთა წინააღმდეგ მიღებულმა რეპრესიულმა ზომებმა გაფიცვა უფრო შეუპოვარი და ხანგრძლივი გახადა. 2 აგვისტოს სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ იარალოვის თუჯის ჩამომსხმელი ქარხნებისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების მუშები. შეშინებულმა ადმინისტრაციამ „შეკეთების“ საბაბით დაკეტა სახელოსნოები.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაუცხრომელ აგიტაციას ეწეოდა გაფიცულ მუშებში. იგი თითქმის ყოველდღე უშვებდა ფურცლებს, განმარტავდა გაფიცვის მნიშვნელობასა და მტკიცე სოლიდარობის დაცვის საჭიროებას. ერთ-ერთ ფურცელში ვკითხულობთ: „ძვირფასო მეგობრებო! მთელი ქალაქი განცვიფრებულია თქვენი საქციელით და გაოცებულია თქვენის მხნეობით. გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თქვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას.

თქვენი შეუდრეკელი ძალა შიშის ზარსა ჰგვრის თქვენს მტრებს და უბადებს გულში თქვენდამი უნებლიე პატივისცემას...

არ დაივიწყოთ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ. თქვენ უკან მოგყვებათ ფარული, უძლეველი ძალა მილიონ მუშათა, რომელნიც მზად არიან დასახმარებლად გამოგიწოდონ თავისი ღონიერი მკლავები.

მეგობრებო, ჩაჰკიდეთ ხელი ხელს ერთმანეთს და განაგრძეთ ბრძოლა საერთო ინტერესებისათვის!“ [1]

გაფიცვის სიძლიერისა და სოციალ-დემოკრატების სწორი ხელმძღვანელობის შედეგად, გაფიცვას ფართოდ გამოეხმაურნენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, რამაც მას ძალა შემატა. ცალკეულ საწარმოთა მუშები იხილავდნენ გაფიცვასთან შეერთების საკითხს და გაფიცვას აცხადებდნენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა 1 500-ზე მეტი კაცი, 6 აგვისტოს კი თბილისში საალყო წესები გამოაცხადა. ამის საპასუხოდ 9 აგვისტოს თბილისის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს და მთავრობის მიმართ პროტესტი გამოთქვა უსამართლო დაპატიმრებათა გამო. მოწოდება ამხნევებდა მუშებს და მტკიცედ ურჩევდა არ შეეწყვიტათ გაფიცვა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე. „ერთსულოვნად ვიდგეთ ჩვენს მოთხოვნებზე და ვუჩვენოთ ჩვენს სისხლისმსმელებსა და მთავრობის დამჭაშებს, რომ მათ საქმე აქვთ არა უბადრუკ მონებთან და უსიტყვო პირუტყვებთან, არამედ ადამიანებთან, რომელთაც უნარი შესწევთ მოითხოვონ, უნარი შესწევთ იბრძოლონ და თუ საჭირო იქნება, ეწამონ კიდეც წმინდა საქმისათვის!“[2]

გაფიცვა 15 აგვისტომდე გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღო 4000-ზე მეტმა მუშამ. თვით

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 31, საქმე 171, გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 50.

ჟანდარმთა სამმართველო იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და მას მთლიანად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად გაფიცვის დამარცხებით დამთავრებისა, მას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გაფიცვით მუშათა კლასმა ცარიზმს პირველად აჩვენა თავისი ძალა და ორგანიზებულობა. ეს გაფიცვა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი ხანის დასაწყისის მომასწავებელი იყო, რადგან ამ დროიდან მუშათა მოძრაობა ჩვენში მტკიცედ დაადგა პოლიტიკური ბრძოლის გზას.

მარქსიზმი მუშათა მოძრაობას დაუკავშირდა. ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში უდიდესი გარდატეხა მოხდა. აგვისტოს გაფიცვას ლენინურმა „ისკრამ" და ლენინურ-ისკრულმა „ბრძოლამ" მაღალი შეფასება მისცეს. აგვისტოს გაფიცვა თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა, რადგან იგი იყო გამარჯვების მოახლოების მომასწავებელი. „დამარცხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღეისათვისო", — წერდა გაზეთი „ბრძოლა".

1900 წლის აგვისტოს გაფიცვების შემდეგ, 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია მეორე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, როგორც თბილისის, ისე საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. დემონსტრანტებმა წითელი დროშა ააფრიალეს ქალაქის ცენტრში, სალდათის ბაზართან. უიარაღო დემონსტრაციას მალე შეუტიეს პოლიციისა და კაზაკების რაზმებმა. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, დაიჭრა 14, დააპატიმრეს 50-ზე მეტი მუშა.

ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური. სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა დაპატიმრება. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ მუშებმა ქალაქის ცენტრში, შეიარაღებული პოლიციელებისა და ჟანდარმების წინაშე თბილისის ქუჩებში უშიშრად და გაბედულად ააფრიალეს წითელი დროშა შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებასო!", დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, რომლის დამალვა უკვე თვით მთავრობასაც აღარ შეეძლო. ეს იყო მუშათა კლასის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც წინ უძღოდა დიდი საგაზეთაციო და ორგანიზაციული მუშაობა.

22 აპრილმა ბევრი რამ ასწავლა თბილისის მუშებს. ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საჭიროა მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლის გაჩაღება, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად. მაგრამ 22 აპრილმა ბევრი რამ ასწავლა მთავრობასაც. ეს უკანასკნელი დარწმუნდა, რომ მუშათა მოძრაობა ისევე ფართო ხასიათს იღებს კავკასიაში, როგორც რუსეთში, და რომ მის წინააღმდეგ აქაც ისეთივე განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო.

მთავრობას არ დაუყოვნებია და გააძლიერა რეპრესიები. იგი აპატიმრებდა და სჯიდა ყველას განურჩეველად. როგორც ლენინური „ისკრა" აღნიშნავდა, მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებთანაც სოციალ-დემოკრატთა ჯგუფს ამა თუ იმ მიზეზით კავშირი ვერ დაემყარებინა, თვითონ ჟანდარმთა სამმართველო არევოლუციურებდა დაპატიმრებებით.

თბილისში მუშათა გაფიცვები არ შეწყვეტილა მთელი წლის განმავლობაში, იგი ახალი ძალით გაჩაღდა 1902 წელს, ხოლო 1903 წლის ზაფხულს მთელს ამიერკავკასიაში ჩატარდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები, რომელსაც დასაწყისი ბაქოს პროლეტარიატმა მისცა.

ბაქოს გაფიცვას მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის მუშები. კავკასიის კავშირის კომიტეტმა სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა, რომელშიც თბილისის მუშებს მოუწოდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვებისაკენ. 12 ივლისს გაიფიცნენ სტამბის მუშები, ხოლო 14 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების საამქროთა მუშები. ეს იყო იმ დროში თბილისის მუშების ყველაზე დიდი გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობდა 15.000 კაცი.

16 ივლისს თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც შემუშავებული იყო საერთო მოთხოვნები თბილისის ყველა მუშისათვის. ეს მოთხოვნები შემუშავდა სხვადასხვა საწარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლებთან ერთად. თავიანთ მოთხოვნებს თბილისელმა მუშებმა მიუმატეს ბაქოელი მუშების ყველა მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება.

ბაქოსა და თბილისის მუშებისადმი თანაგრძნობის ნიშნად გაიფიცნენ საქართველოს მთელი რიგი ქალაქების — ბათუმის, ჭიათურის, ხაშურის და სხვ. მუშებიც. ეს კარგად ორგანიზებული გაფიცვა ვრცელდებოდა არაჩვეულებრივი სისწრაფით. ლენინური „ისკრა“ მიესალმებოდა რა ამ გაფიცვას, წერდა: „მუშათა მოძრაობა კავკასიაში ჯერ კიდევ ძალიან ახალი რამაა, მაგრამ მას უკვე აქვს პროლეტარიატის მთელი რიგი ბრწყინვალე გამოსვლების ისტორია. მოკლე ხანში კავკასიის მუშებმა გაუსწრეს ბევრი ადგილის ამხანაგებს, რომელნიც მათზე ადრე იყვნენ ჩაბმულნი მოძრაობაში“[1].

ივლისის საყოველთაო გაფიცვებიდან მუშებმა ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანეს. უპირველეს ყოვლისა, მათ შეიგნეს, რომ მათი ეკონომიური უმწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ უუფლებობასთან.

ივლისის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები დამარცხებით დამთავრდა. მუშების მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩა. თვითმპყრობელობამ სასტიკად იძია შური გაფიცულებზე — რამდენიმე ასეული მუშა ციხეებში გამოამწყვდია და შორეულ ციმბირში გადაასახლა. მიუხედავად ამისა, ამ გაფიცვებმა უდიდესი გამარევოლუციურებელი როლი შეასრულა. მუშათა კლასმა შეიგნო, რომ მას მოეპოვება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის უდიდესი იარაღი — კლასობრივი, შეგნებული, სოლიდარული ბრძოლა. ამ გაფიცვებმა კავკასიის მუშათა კლასი დააყენა რსდმპ დროშის ქვეშ. კავკასიის კავშირის კომიტეტი ივლისის გაფიცვების მნიშვნელობის შესახებ თავის პროკლამაციაში წერდა:

„ჩვენი კავშირი რკინის რგოლივით გარს შემოევლო მთელ რუსეთს. კასპიის ზღვის კიდეებზე ივლისის დღეებში ატეხილმა კორიანტელმა აახმაურა ადესა, კიევი, ეკატერინოსლავი... აამოძრავა პეტერბურგი და მოსკოვი“[2].

1901 — 1904 წლების გაფიცვებისა და დემონსტრაციის საერთო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის უშუალო მომზადებას. როგორც დიდი ლენინი აღნიშნავდა, რუსეთის მუშებმა 1901 — 1904 წლების მთელი რიგი წარუმატებელი, და ზოგჯერ განსაკუთრებით წარუმატებელი პოლიტიკური გაფიცვებით, ისწავლეს 1905 წლის ოქტომბრის წარმატებითი გაფიცვა.

* * *

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინს მარქსისტული პარტიის შექმნისათვის აუცილებლად მიაჩნდა არალეგალური მებრძოლი პოლიტიკური გაზეთის დაარსება. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ მხოლოდ ასეთი პოლიტიკური გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა შექმნილიყო ახალი ტიპის მარქსისტული პარტია, რომელსაც შეეძლო მუშათა კლასი წაეყვანა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ.

საქართველოს რევოლუციურ-მარქსისტული ჯგუფი, რომელიც მთელ თავის ძალებს ლენინის იდეების გატარებას ახმარდა, მებრძოლ არალეგალურ გაზეთს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ჯგუფმა გადაჭრით წამოაყენა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა და პროლეტარიატის ნამდვილი პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის არალეგალური პრესის აუცილებლობის საკითხი.

ოპორტუნისტული ჯგუფი ჟორდანიას მეთაურობით უარყოფდა არალეგალური პრესის აუცილებელ საჭიროებას, ყოველნაირად ცდილობდა ჩაეშალა არალეგალური ორგანოს შექმნის საქმე.

მიუხედავად თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯგუფსა და ჟორდანიას ოპორტუნისტულ ჯგუფს შორის არალეგალური მარქსისტული გაზეთის გამოცემის თაობაზე არსებული უთანხმოებისა, თბილისის პარტიული ხელმძღვანელი ჯგუფის დავალებით ლ. კეცხოველი გაემგზავრა ბაქოში. 1901 წლის ზაფხულში ლ. კეცხოველმა ბაქოელ ლენინელებთან ერთად ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობის შემდეგ მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელმაც სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოუშვა პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული, ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“.

გაზეთმა „ბრძოლამ“ პირველი დღეებიდანვე მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად ლენინური „ისკრის“ იდეები გაიხადა. ლ. კეცხოველმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ლენინთან და მისი დავალე-

[1] გახ. „ისკრა“, № 44, 1903.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 33, საქმე 38.

ბით შეუდგა „ისკრის“ გადმობეჭდვას და მისი გავრცელების საქმის ორგანიზაციას.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობის ძირითადი მიზანი იგივე იყო, რაც მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობისა. აქედან გამომდინარე, ი. ბ. სტალინი გაზეთ „ბრძოლის“ მოწინავე სტატიაში — „რედაქციისაგან“ — წერდა: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“[1].

გაზეთი „ბრძოლა“ თავის სტატიებში, ლეგალური მარქსისტების ორგანო „კვალისაგან“ განსხვავებით, მიუთითებდა მუშათა კლასის ისტორიულ როლზე. იგი თავისი ყველა ნომრის მრავალრიცხოვან სტატიებსა და კორესპონდენციებში დაწვრილებით აღწერდა როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის, ისე საერთოდ რუსეთის მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან მოვლენებს, ქადაგებდა ლენინის იმ ცნობილ დებულებას, რომ ცარიზმზე საბოლოო გამარჯვებისათვის პროლეტარიატის საიმედო მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალტანჯული გლეხობა.

1901 წლის 11 ნოემბერს მოწვეულ იქნა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი არალეგალური კონფერენცია, რომელმაც აირჩია რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი.

თბილისის კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა „ისკრასთან“ და დაიწყო „ისკრის“ პრინციპების დანერგვა საქართველოში. მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა, რათა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებული საგაფიცვო მოძრაობა გადაეყვანა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე.

მაგრამ მუშათა მოძრაობის შემდგომმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

1903 წლის მარტს თბილისში მოწვეულ იქნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელსაც 15 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ მოიწონა და სახელმძღვანელოდ მიიღო „ისკრის“ და „ზარიას“ პროგრამის პროექტი, დაამტკიცა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წესდების პროექტი, აირჩია დელეგატები რსდმპ მეორე ყრილობისათვის. ყრილობამ ისკრული გაზეთები—ქართული „ბრძოლა“ და სომხური „პროლეტარი“ შეაერთა „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით და აღიარა ის თავის ორგანოდ.

დაგმო რა ოპორტუნისტების გალაშქრება ერთიანი პარტიის შექმნის წინააღმდეგ, ყრილობა მტკიცედ დადგა ლენინურ პოზიციებზე.

ყრილობამ აირჩია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით და ორგანიზაციების აგების ინტერნაციონალური პრინციპი კვლავ აღიარა ერთადერთ სწორ პრინციპად.

* * *

XX საუკუნის დამდეგს მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა, რომელმაც მთელი უზარმაზარი ქვეყანა შეარყია, ხელი შეუწყო რევოლუციური მოძრაობის გაფართოებას რუსეთის განაპირა მხარეებში და მოაახლოვა სახალხო რევოლუცია.

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მშვიდობიანი, უიარაღო მუშების უხვად დაღვრილმა სისხლმა აღაშფოთა მთელი რუსეთის მშრომელი მასები.

თბილისში გაფიცვები დაიწყო 18 იანვარს. ამ დღეს გაიფიცნენ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, მექანიკური ქარხნებისა და ყველა კერძო სტამბის მუშები. მეორე დღეს გაფიცულებს შეუერთდა ადელხანოვის ტყავისა და თამბაქოს ფაბრიკა „მირის“ ყველა მუშა. ამრიგად, გაფიცვა მოედო თბილისის ყველა ფაბრიკასა და ქარხანას, იგი საყოველთაო გახდა.

19 იანვარს დიდუბეში, ბათუმის მოედანზე, 9 იანვრის ამბების საპროტესტოდ, შეიკრიბა თბილისის მუშათა მრავალათასიანი მიტინგი, რომლის დაშლა მხოლოდ კაზაკებითა და პოლიციით გახდა შესაძლებელი. შეშინებულმა თბილისის გუბერნატორმა საღამოს ბრძანება გამოსცა, რომლითაც ქალაქის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით მუშებს, ეკრძალებოდათ შეკრება[1].

[1] ი. სტალინი, ტ. I, გვ. 6.

[1] იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 2, საქმე 62.

მიუხედავად ამისა, 23 იანვარს გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე მუშებმა გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს, აღმართეს დროშები რევოლუციური წარწერებით. მშვიდობიან დემონსტრაციას თავს დაესხნენ პოლიცია და შეიარაღებული კაზაკები. მოკლული და დაჭრილი იქნა 20-ზე მეტი კაცი, მათ შორის გიმნაზიის 3 მოსწავლე, დაპატიმრებულ იქნა 40-ზე მეტი კაცი.

გაფიცვებში ახალ-ახალი ძალები ებმებოდნენ. 25 იანვარს გაიფიცნენ აფთიაქის თანამშრომლები და მოსწავლეები, ხოლო 26 და 27 იანვარს თბილისში ხორცი არ გაყიდულა სასაკლაოს მუშების გაფიცვის გამო.

მოძრაობას შეუერთდნენ გლეხები და მოსწავლეები, ხოლო მუშებისა და გლეხების რევოლუციურმა ბრძოლამ დიდი გავლენა მოახდინა ჯარის ნაწილებზე.

მზარდი რევოლუციური მოძრაობისაგან ფართო მასების ჩამოშორების მიზნით მეფის ხელისუფლებამ 6 — 9 თებერვალს ბაქოში მოაწყო სომეხ-თათართა ხელოვნური ხოცვა-ჟლეტა.

ბაქოში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის საპროტესტოდ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით 13 და 14 თებერვალს თბილისში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები. ფართოდ გავრცელდა ი. სტალინის მიერ ძმათა სისხლისღვრის წინააღმდეგ დაწერილი პროკლამაციები: „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!“, და „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!“.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ მიღებული ზომების შედეგად თბილისში ძმათა სისხლისღვრა აცილებულ იქნა.

ადგილობრივ ხელისუფალთ არ გაუმართლდათ იმედები, რადგან ბაქოს სისხლიანი ამბების შემდეგ რევოლუციური მოძრაობა არათუ შენელდა, არამედ კიდევ უფრო მეტად, ახალი ძალით გაიშალა. თუ რამდენად რთული იყო მდგომარეობა, ჩანს ვორონცოვ-დაშკოვის დეპეშიდან, რომელიც მან 25 მარტს პეტერბურგს გაგზავნა:

„თბილისში მღელვარებანი არ წყდება. ამჟამად გაფიცვა დაიწყო ყველა ნოქარმა. მუშების გაფიცვების გამო თბილის-ერევნის ხაზს ჯარის ნაწილები იცავენ. არის საფუძველი ველოდოთ საერთო გაფიცვას რკინიგზაზე და თბილისში 18 აპრილისათვის (პირველი მაისი ახალი სტილით) მდგომარეობა საგანგაშო ხასიათს ღებულობს“[1].

შეუპოვარი და ერთსულოვანი იყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მომხდარი გაფიცვა, რომელიც 4 აპრილს დაიწყო. გაიფიცა ყველა მემანქანე, მემანქანის თანაშემწე, მეცხრე და სხვ. შეწყდა მოძრაობა გზაზე, რის გამოც 5 და 6 აპრილს თბილისიდან არ გასულა არცერთი მატარებელი.

მუშათა კლასის გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობის საპასუხოდ მეფის მთავრობის აგენტები შეეცადნენ თბილისის მუშებში უთანხმოება ჩამოეგდოთ. ამ მიზნით ქალაქში ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით შექმნეს შავრაზმელ-პოლიციური ორგანიზაცია, რომელსაც „პატრიოტული ორგანიზაცია“ უწოდეს. მისი წევრები უთვალთვალებდნენ რევოლუციონერებს, იჭერდნენ შეგნებულ მუშებს, სცემდნენ და აპატიმრებდნენ.

რეაქციული ძალების ამ აღვირახსნილმა მოქმედებამ მშრომელების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. შეგნებულმა პროლეტარიატმა ცარიზმის ამ აღვირახსნილ ძალმომრეობას საერთო გაფიცვებით უპასუხა. გაფიცვა დაიწყო 20 ივნისს და გაგრძელდა 28 ივნისამდე. გაფიცულებმა მთავარ მოთხოვნად წამოაყენეს რეაქციული ძალებისათვის იარაღის აყრა და მოქალაქეთა დასაცავად სახალხო მილიციის ჩამოყალიბება. გაფიცვის ორგანიზებულმა და სოლიდარულმა ხასიათმა ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახადა ნიკოლოზ მეორისათვის ეთხოვა თბილისსა და მის გუბერნიაში სამხედრო წესების გამოცხადების ნებართვა.

ივნისის გაფიცვა მიმდინარეობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით. მიტინგებზე, კრებებზე, რომლებიც მასობრივად ტარდებოდა მთელ ქალაქში მოითხოვდნენ სიტყვის, კრების, ბეჭდვის თავისუფლებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, სამხედრო წესების მოხსნას და ა. შ.

მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მარტო რეპრესიული ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი, რამაც აიძულა მეფის ხელისუფლება

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფონდი № 2, საქმე 81, გვ. 71.

გამოემუშავებინა მისთვის უჩვეულო ახალი ტაქტიკა — ხალხს შეპირდა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას.

ლიბერალური ბურჟუაზია, ოპორტუნისტები დაებღაუჭნენ დამფრთხალი მეფის ამ „საჩუქარს", ხოლო რუსეთის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ კარგად გაიგო ამ რეფორმის არსი და არ დააყოვნა გადმოესროლა ლოზუნგი სათათბიროს წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკები თანმიმდევრულად ახორციელებდნენ სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ლენინურ ტაქტიკას. ისინი სათავეში ეჭცეოდნენ ხალხის დაწყებულ რევოლუციას, განუმარტავდნენ მასებს, რომ სათათბიროს ნამდვილ მიზანს რევოლუციის შეფერხება და თვითმპყრობელობის გამაგრება შეადგენდა, აწყობდნენ გაფიცვებს, მიტინგებს, კრებებს, რითაც ფუშავდნენ მთავრობის მიერ მოწვეულ საარჩევნო კრებებს და აქტიურად ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ამხელდნენ და ებრძოდნენ ქართველ მენშევიკებს ლიბერალებთან ერთად იმის გამო, რომ ისინი ხალხში კონსტიტუციურ ილუზიებს ნერგავდნენ და მასების ყურადღებას აშორებდნენ რევოლუციური ბრძოლისაგან.

მენშევიკების ასეთ გამცემლურ პოლიტიკას მოყვა უიარაღო მუშების დახვრეტა თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს.

ამ დღეს მენშევიკების ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოწვეული იყო კრება. ასეთი კრებები 22 აგვისტოდან ამ დარბაზში თითქმის ყოველდღე იმართებოდა. 29 აგვისტოს შეიკრიბა 2500-ზე მეტი კაცი. კრებაზე ირჩეოდა კავკასიაში ერობების შემოღების საკითხი. ხალხმა არ მოისურვა ამ საკითხის მოსმენა და მოითხოვა რევოლუციის მიმდინარე ამბებსა და ბაქოს ხოცვა-ჟლეტის მიზეზებზე ელაპარაკნათ. შეშინებულმა ქალაქის თავმა ხალხს მიმართა დაშლილიყო, მაგრამ ხალხი არ დაიშალა. მალე შენობას შემოერტყა 500 შეიარაღებული კაზაკი. შენობის კარები გარედან იყო დაკეტილი, ხალხი ფანჯრებიდან ხტებოდა, მაგრამ მათ ქუჩაში ესროდნენ. შენობაში და შენობის ირგვლივ უდანაშაულო ადამიანთა სისხლის გუბე დააყენეს. მოკლულ იქნა 60 და დაჭრეს 200-ზე მეტი კაცი.

29 აგვისტოს ამბების გამო გამოვიდა „პროლეტარიატის ბრძოლის" მე-11 ნომრის სპეციალური დამატება, რომელიც აღწერდა ამ გაუგებარ სისხლისღვრას და მიუთითებდა, რომ იგი წინასწარ მომზადებული ანგარიშის გასწორება იყო მუშათა კლასთან. „უნდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, — წერდა გაზეთი, — რომ ორგანიზაციის მოუმზადებლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; არავითარი მომზადების ნიშან-წყალი არ ეტყობოდა დაწყებულ საქმეს. სამაგიეროდ მთავრობა სამაგალითოდ იყო მომზადებული: როგორც ჩანს, დიდ წინააღმდეგობას ელოდა, მაგრამ პატარაც არავის გაუწევია, რის გამოც ასე დაუსჯელად შერჩა თავისი მხეცობა"[1].

31 აგვისტოს მენშევიკებმაც გამოუშვეს ფურცელი — „29 აგვისტოს თაკდასხმა", რომელშიც სისხლისღვრის ძირითად დამნაშავედ დასახელებული იყო ქალაქისთავი ვერმიშევი. ფურცელი მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს ვერმიშევი!"

როგორც ვხედავთ, იმ დროს, როდესაც თბილისში პროლეტარიატი სისხლს ღვრიდა და ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის, მენშევიკებს არ აღმოაჩნდათ სხვა ლოზუნგი მასებისათვის, გარდა ვერმიშევის ჩამოგდებისა.

მაგრამ სულ სხვა იყო უმრავლესობის — მასების განწყობილება. 29 აგვისტოს სისხლისღვრის წინაალმდეგ პროტესტის ნიშნად პირველ სექტემბერს თბილისის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვამ შესანიშნავად ჩაიარა. ამ დღეს მთელი ქალაქის მაჯისცემა შეჩერებული იყო. საქართველოს ყველა მშრომელი აღსდგა საპროტესტოდ და ზიზღი და ბოიკოტი გამოუცხადა მთავრობას, უდანაშაულო სისხლისღვრის გამო.

29 აგვისტოს შემდეგ ბოლშევიკები უკვე მკვეთრად აყენებდნენ შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის საკითხს. შეიარაღებული აჯანყება და შურისძიება — აი რას მოითხოვდა უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი. საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციის ლენინური სტრატეგიითა და პროგრამით შეიარაღებულნი, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ქართველი მენშევიკების, ესერების და სხვ. ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რაც გადამწყვეტი პირობა გახდა რევოლუციაში ბოლშევიკების უდიდესი წარმატებისა.

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", № 11, დამატება, 1905.

რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში. 10 ოქტომბერს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მიმდინარეობდა კრება, სადაც განიხილავდნენ სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეობის საკითხს. 13 ოქტომბერს კი ნაძალადევში სარაიონთაშორისო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვისადმი შეერთების შესახებ.

14 ოქტომბერს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში დაწყებული გაფიცვა მეორე დღესვე მოედო ყველა ფაბრიკა-ქარხანას, სამრეწველო და საკაპრო ორგანიზაციას. გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშები, ქალაქში შეწყდა ყოველგვარი სიცოცხლე, თბილისს ჯერ არ ახსოვდა ასეთი ძლიერი და ერთსულოვანი გაფიცვა. შეჩერდა სამგზავრო და საბარგო მატარებლების მიმოსვლა, არ მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფი. გზაზე მოძრაობდნენ ე. წ. „დელეგატთა მატარებლები", რომლებიც გაფიცულების ინტერესებს ემსახურებოდნენ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი გაფიცვის დღეებში უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. იგი მასობრივად უშვებდა პროკლამაციებს, გზავნიდა საუკეთესო მუშაკებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოფლებში; აგროვებდა სახსრებს იარაღის შესაძენად და ფართოდ ეწეოდა შეიარაღებული აჯანყების იდეის პოპულარიზაციას.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ გამოამეღავნა პროლეტარიატის ძალა და ძლიერება, თავზარი დასცა ნიკოლოზ მეორეს და აიძულა გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი.

ცნობა მანიფესტის გამოსვლის შესახებ თბილისში მიღებულ იქნა 18 ოქტომბერს. იმავე დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა მანიფესტის ტექსტი. მანიფესტის გამოქვეყნების დღეს თბილისში გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა. 19 — 20 და 21 ოქტომბერს გრძელდებოდა დემონსტრაციები, რომლებშიც ათეული ათასობით კაცი მონაწილეობდა.

ვ. ი. ლენინი, იძლეოდა რა 17 ოქტომბრის მანიფესტის შეფასებას, აღნიშნავდა, რომ მოხდა ცარიზმისა და რევოლუციის ძალების ერთგვარი გაწონასწორება, როცა პროლეტარიატსა და გლეხობას ჯერ კიდევ არ შესწევდათ ძალა დაემხოთ ცარიზმი, ხოლო ცარიზმს არ შეეძლო ძველებურად მართვა და იძულებული იყო მიემართა ცრუ დაპირებებისათვის. „არა, ცარიზმს ჯერ სრულიადაც არ დაუყრია იარაღი. თვითმპყრობელობა ჯერ სრულიადაც არ დამხობილა. რევოლუციურ პროლეტარიატს ჯერ კიდევ მთელი რიგი ბრძოლები მოელის, და პირველი გამარჯვება დაეხმარება მას დარაზმოს ძალები და ახალი მოკავშირეები მიიზიდოს ბრძოლაში"[1], — წერდა ლენინი.

მანიფესტის ეს ლენინისეული შეფასება სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენდა საქართველოს ბოლშევიკებისათვის მათ შემდგომ მუშაობაში. ისინი მშრომელებს აცნობდნენ მანიფესტის ნამდვილ მიზანს, ამხელდნენ მენშევიკებს, რომლებიც რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ და მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტას. ამრიგად, ბოლშევიკები არ აძლევდნენ საშუალებას მეფის მთავრობას მუშათა კლასი გადაეცდინა რევოლუციური გზიდან.

საპასუხოდ ვორონცოვ-დაშკოვის მთავრობამ გააძლიერა შავრაზმული ორგანიზაციების მოქმედება.

22 ოქტომბერს შავრაზმელებმა თბილისში ხატებითა და მეფის სურათებით მანიფესტაცია მოაწყვეს. ისინი სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ ქუჩაში გამვლელთ. ამ დღეს თბილისში განმეორდა 29 აგვისტოს ამბები. უხვად დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი — მოკლეს 38 და დაჭრეს 66 კაცი.

აშკარა იყო, რომ 22 ოქტომბრის სისხლისღვრა თვით მთავრობის მიერ იყო მოწყობილი. ეს იყო მისი შურისძიება რევოლუციის წინააღმდეგ, რასაც მუშათა კლასმა მძლავრი პროტესტით უპასუხა. 22 ოქტომბერს უდანაშაულოდ დაღუპულ ადამიანთა ხსოვნა მშრომელებმა გაფიცვით აღნიშნეს. საღამოს 5 საათზე დაიკეტა ყველა მაღაზია, შეწყდა ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა. მეორე დღეს ქალაქის სხვადასხვა ადგილას სამგლოვიარო დროშები იყო გამოფენილი.

მუშათა კლასის შეიარაღება, შექმნილი მებრძოლი რაზმების გაძლიერება, ჯარის გადმოყვანა მუშათა კლასის მხარეზე, მთელი რუსეთის სახალხო შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციული

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 529.

მომზადება — ასეთი იყო ამოცანები, რომლებიც პროლეტარიატს და მის პარტიას ცხოვრებამ დაუსახა.

1905 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში თბილისში მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენცია, რომლის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხს. კონფერენციამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი შეიარაღებული აჯანყების, როგორც მშრომელთა განთავისუფლების ერთადერთი საშუალების მნიშვნელობას, მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ხაზი გაუსვა „ქუჩაში შეჯახების", როგორც ხალხის განთავისუფლების ერთადერთი საშუალების მოახლოებას და მოუწოდა მუშათა კლასს დარაზმულიყო პარტიის გარშემო. „ამხანაგო მუშებო!, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — ახლოვდება „ქუჩაში შეჯახების" მომენტი! კრიზისის გაღრმავება ქალაქად, შიმშილობის გაძლიერება სოფლად, „ღალატი" ფლოტში, „ღალატი" არმიაში, — ყოველივე ეს გარდუვალს ხდის სწორედ ასეთ შეჯახებას. ემზადეთ ამხანაგებო! კონტრრევოლუციის ძალები ირაზმებიან ხალხის თავისუფლების ჯალათთა გარშემო, — მაშ დაირაზმეთ სოციალ-დემოკრატიის, თქვენი მოწინავე ამხანაგების გარშემო!.. ხალხის განთავისუფლება მომავალშიაც მხოლოდ თვით ხალხისავე საქმეს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს"[1].

7 დეკემბერს მოსკოვის მუშების საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ მხურვალე გამოხმაურება პოვა თბილისში. 9 დეკემბერს თბილისის ბოლშევიკურმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება საერთო პოლიტიკური გაფიცვისადმი მხარდაჭერის შესახებ.

12 დეკემბერს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში საყვირის ხმაზე მუშებმა დატოვეს სამუშაო. გაფიცვა გავრცელდა მთელ ხაზზე. 13 დეკემბერს რკინიგზის ტელეგრაფმა არ მიიღო გზის უფროსისა და მისი მოადგილის დეპეშები, რადგან ის მხოლოდ გაფიცვის ბიუროს ემორჩილებოდა. მალე გაფიცვა თბილისში საყოველთაო გახდა. გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები, ფაბრიკები, ქარხნები, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, სტამბები და ა. შ. თბილისის სადგურის უფროსი გადაყენებულ იქნა. სადგურის დაცვა მიენდო შეიარაღებულ მილიციას, რომელიც რსდმპ თბილისის ორგანიზაციამ შექმნა.

მთელი ძალაუფლება გადავიდა გაფიცვის ცენტრალური საგაფიცვო ბიუროს ხელში, რომელიც შეიქმნა რსდმპ ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებულ კრებაზე. მასში შევიდნენ: ს. შაუმიანი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ი. კორა და სხვები.

მაგრამ ენერგიულად მოქმედებდა ადგილობრივი ხელისუფლებაც. 12 დეკემბერს პოლიციელები შეიჭრნენ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის" სტამბაში, დააკავეს გაზეთის მთელი ტირაჟი და გაზეთი დახურეს არსებული წყობილების წინააღმდეგ სახალხო შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის. მეორე დღეს გაზეთი გამოვიდა „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკის" სახელწოდებით. ორი ნომრის (16 — 17) გამოსვლის შემდეგ იმავე მიზეზით ეს გაზეთიც დახურულ იქნა. 14 დეკემბერს გამოვიდა მეფისნაცვლის ბრძანება, რის საფუძველზე 15 დეკემბრიდან თბილისში, თბილისის გუბერნიასა და ამიერკავკასიის რკინიგზაზე სამხედრო წესები ცხადდებოდა. მაგრამ ბრძანებას სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ გაფიცულებმა დაუპირისპირეს თავიანთი მოთხოვნები: რეაქციის განიარაღება, სახალხო მილიციის შემოღება, სამხედრო წესების მოხსნა, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, ხალხის შეიარაღება და ა. შ.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება არ აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ 16 დეკემბერს სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა და მოსახლეობას წესიერებისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, ძალას მივმართავთო. და მართლაც, მთავრობამ შეასრულა თავისი „დაპირება". 18 დეკემბერს კაზაკთა მრავალრიცხოვანმა ჯარმა ალყა შემოარტყა ნაძალადევს, სადაც კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით შექმნილი შეიარაღებული აჯანყების შტაბი იმყოფებოდა. მიუხედავად ენერგიული წინააღმდეგობისა, ეს მცირერიცხოვანი მუშათა რაზმი უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი გახდა.

[1] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", № 8, 1905.

კაზაკებმა უმოწყალოდ დაარბიეს და ააწიოკეს მშვიდობიანი მოსახლეობაც. ეს ამბავი მალე მთელ ქალაქს მოედო და მშრომელებში უდიდესი მღელვარება გამოიწვია. თბილისის მშრომელებმა ამ უსამართლო დარბევას გაძლიერებული გაფიცვებით უპასუხეს.

ნაძალადევის განადგურების შემდეგ მთავრობამ მთავარი ყურადღება მიაპყრო დიდუბეს, სადაც ნაძალადევის განადგურების შემდეგ მებრძოლი რაზმების შტაბი იქნა გადატანილი. 23 დეკემბერს ტყვიამფრქვეველებითა და არტილერიით შეიარაღებული კაზაკთა რაზმები თავს დაესხნენ დიდუბეს. მუშების მედგარმა წინააღმდეგობამ კაზაკებს უკან დაახევინა, მაგრამ მალე მათ იერიში მიიტანეს სახლებზე, სადაც მებრძოლი რაზმები იმყოფებოდნენ. შეტევა მუშების დამარცხებით დამთავრდა. კაზაკებმა აქაც „ისახელეს" თავი. მათ დიდუბეც ადამიანთა სასაკლაოდ გადააქციეს; დაარბიეს მოსახლეობა, დაწვეს რამდენიმე სახლი და დააპატიმრეს დიდძალი ხალხი. თბილისის პროლეტარიატის შეიარაღებულ გამოსვლას მეფის ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა — დაარბია მუშათა უბნები და შეუდგა მეთაურების დაპატიმრებას.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები, რასაც მუშათა კლასის უკიდურესი მღელვარებანი მოყვა. ვ. ი. ლენინი ამ დღეებში წინასწარმეტყველურად წერდა, რომ მთავრობის რეპრესიები, დახვრეტა, რეაქცია და სხვ., მოძრაობას კი არ ჩააქრობდა, არამედ გააღვივებდა. აქედან გამომდინარე, ლენინი მოითხოვდა არა აჯანყების საკითხის მოხსნას, არამედ პარტიული ტაქტიკის გარდაქმნას შეცვლილი პირობების გათვალისწინებით. იგი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ ბოლოს და ბოლოს მოხერხდებოდა აჯანყების სამი დაქსაქსული ნაკადის — მუშათა, გლეხთა და სამხედრო აჯანყებათა — ერთ ძლევამოსილ აჯანყებად შეერთება.

ითვალისწინებდნენ რა ვ. ი. ლენინის ამ სახელმძღვანელო მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკებს მთელი რუსეთის მუშათა კლასთან კავშირში, დეკემბრის აჯანყების შემდეგ ერთი წუთითაც არ მოუხსნიათ შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

ლენინთან ერთად ი. სტალინი ხაზს უსვამდა რევოლუციის უკანდახევის დროებით ხასიათს და მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დროებითი უკანდახევა მის დამარცხებას როდი ნიშნავდა, რომ იგი გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. „რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისათვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა"[1], — წერდა ი. ბ. სტალინი.

1906 წლის დასაწყისიდანვე თბილისს გაფიცვების ახალი ტალღა მოედო. საქმე ის იყო, რომ რევოლუციის უკანდახევით გათამამებული ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ერიდებოდა, რითაც კიდევ უფრო შეუპოვარს ხდიდა მოძრაობას. 23 იანვარს გამოქვეყნდა რკინიგზის სამხედრო უფროსის ბრძანება სამუშაოდან იმ მუშების დათხოვნის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში. ბრძანებას დართული ჰქონდა 123 კაცის სია. ანალოგიური ბრძანება გამოქვეყნდა 30 იანვარს 124 მუშა-მოსამსახურისა და 8 თებერვალს 140 მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, რასაც მუშათა მასობრივი გაფიცვები მოყვა.

1906 წლის მარტში თბილისში ადგილი ჰქონდა „მინგრელსკი პოლკის" ამბოხებას, რომლის ჩაქრობა დიდი ძალის დაძაბვით მოხერხდა. ამბოხების გამო დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს 27 ჯარისკაცი.

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და თბილისის მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოეცხადებინათ საერთო პოლიტიკური გაფიცვა, როგორც პროტესტი 27 ჯარისკაცის სამხედრო სამართალში მიცემისა და საერთოდ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. 14 ივნისს რსდმპ თბილისის კომიტეტმა მშრომელებს მიმართა მოწოდებით — გამოსულიყვნენ სიკვდილმისჯილი ჯარისკაცების დასაცავად. თბილისის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და „მინგრელსკი პოლკის" გასამართლების დღეს — 22 ივნისს თბილისში საყოველთაო გაფიცვები გამოცხადდა. მუშების ასეთი ერთსულოვანი პროტესტის შედეგად, რაც ვ. ი. ლენინის

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 195.

სიტყვებით იყო ცდა „შეეჩერებინათ რევოლუციის უკანდახევა და მოემზადებინათ ახალი შეტევა“, 8 ჯარისკაცი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს, ხოლო დანარჩენებს სასჯელი შეუმსუბუქეს.

იმ ფაქტმა, რომ რეაქციით წათამამებულმა ბურჟუაზიამ მოინდომა წაერთმია მუშებისათვის დიდი ხნის ბრძოლით მოპოვებული მცირე უფლებები, ერთხელ კიდევ დაარწმუნა მუშები, რომ აღვირახსნილი ხელისუფლების წინააღმდეგ საჭიროა მჭიდრო კავშირების შექმნა და საერთო იერიშის მიტანა.

1906 წლის ოქტომბერს თბილისში შედგა მუშათა კავშირების წარმომადგენელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ცალკე კავშირების შეერთებისა და ადგილობრივი ცენტრის დაარსების შესახებ. საორგანიზაციო კომისიის ენერგიული მუშაობის შედეგად იმავე წლის დეკემბერს თბილისში მოწვეულ იქნა პროფესიული მუშა დეპუტატების დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია ცენტრალური საბჭო, რომელსაც დაევალა არსებული კავშირების ერთმანეთთან დაახლოება, ახალი კავშირების შექმნა და მათთვის დახმარების გაწევა.

თბილისში მუშათა გაფიცვები არ შეწყვეტილა არც 1907 წლის განმავლობაში. მარტში ამიერკავკასიის რკინიგზაზე სამუშაოდან დაითხოვეს 63 საგუშაგოს მუშა. ამის გამო სადგურის მუშებმა კრება მოიწვიეს და მოსთხოვეს ადმინისტრაციას დათხოვნილი მუშების სამუშაოზე დაბრუნება. მუშების მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. მაშინ მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, რაც ერთ კვირაზე მეტხანს გაგრძელდა და მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ოქტომბერში გაძლიერდა მღელვარება მოსწავლეებს შორის იმის გამო, რომ მათ ნება არ მისცეს გადაეხადათ სამოქალაქო პანაშვიდი 1905 წლის 22 ოქტომბერს უდანაშაულოდ დაღუპული ამხანაგების ხსოვნის პატივსაცემად.

მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება რევოლუციის უკანდახევით გათამამებული, მთელი რუსეთის მაგალითისამებრ, შეუდგა მუშათა ორგანიზაციების განადგურებას. კატორღა, სიკვდილით დასჯა და გადასახლება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. განსაკუთრებული სიმძიმით დაატყდა თავს რეპრესიები რევოლუციურ პროლეტარიატს და მის მოწინავე რაზმს — თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

* * *

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მარცხით დამთავრდა. დადგა სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლები. ახასიათებდა რა ამ შავბნელ პერიოდს, ი. სტალინი წერდა: „დამსჯელი ექსპედიციები, ავაზაკური თავდასხმები მუშათა ორგანიზაციებზე, გლეხების მასობრივად გამათრახება და, როგორც ყოველივე ამის საფარი, — შავრაზმულ-კადეტური სათათბირო. საზოგადოებრივი აზრის შებოჭილობა, საერთო დაღლილობა და აპათია, გაჭირვება და სასოწარკვეთილება მუშებს შორის, გლეხთა დაბეჩავებულობა და დაშინებულობა პოლიციურ-მემამულურ-კაპიტალისტური ხროვის საერთო თარეშის პირობები — ასეთია სტოლიპინური „დამშვიდების“ დამახასიათებელი ნიშნები... სავსებით ზეიმობდა მათრახი და სიბნელე. „სინანულგაგლეჯილ აოხრებისა“ — ასე ხასიათდებოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება“[1].

რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოს ბოლშევიკები არ შეუშინდნენ გაზრდილ სიძნელეებს. სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში ბოლშევიკური პარტია განამტკიცებდა თავის რიგებს, უნარიანად იყენებდა ბრძოლის ლეგალურ და არალეგალურ შესაძლებლობებს მასებთან კავშირის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის. ისინი შეუპოვრად ამხელდნენ მენშევიკებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ რევოლუციას და საქმე მიყავდათ არალეგალური პროლეტარული პარტიის ლიკვიდაციისაკენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცარიზმმა თავისი რეპრესიები განსაკუთრებით ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართა. მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისში, რომელიც რევოლუციური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა. აქ რეაქციის მთელი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა სამხედრო წესები და რეპრესიები, რაც უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასისა და მისი მოწინავე რაზმის — ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული.

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 141—142.

რეპრესიებსა და მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებებს ემატებოდა მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური მდგომარეობაც. მუშებს წაართვეს ის მცირეოდენი დათმობებიც, რაც მათ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლებით მოიპოვეს. საწარმოებში გაზარდეს სამუშაო დღე 12 — 15 საათამდე, კვლავ შემოიღეს ორცელიანი და უქმე დღეებში მუშაობა, აღდგენილ იქნა ჯარიმების სისტემა და მუშების მასობრივი დათხოვნა სამუშაოდან.

მაგრამ მძიმე რეპრესიებმა ვერ ჩაკლა მშრომელებში მისწრაფება რევოლუციური ბრძოლისაკენ. 1907 — 1910 წლებში თბილისში ადგილი ჰქონდა მრავალ გაფიცვას, რაც იმისი მაჩვენებელი იყო, რომ მუშათა კლასი არ იღებდა ხელს ბრძოლის გაგრძელებაზე და სწამდა მომავალი გამარჯვებისა.

საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდასა და მათ ბოლშევიკურად გათვითცნობიერებას დიდად შეუწყო ხელი გაზეთმა „ბრძოლამ", რომელიც 1908 წლის ივნისში გამოვიდა.

გაზეთი დაეხმარა მუშათა კლასს გარკვეულიყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არსებულ მდგომარეობაში და შეგნებულად შემჭიდროებულიყო ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

ბოლშევიკებმა მოახერხეს არალეგალური სტამბის მოწყობაც. აქ 1910 წლის დასაწყისში დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის პროლეტარის" პირველი ნომერი. გაზეთი თავის მოწინავე წერილში „მკითხველებისადმი" მშრომელებს ახალი რევოლუციისაკენ მოუწოდებდა, ხოლო ამისათვის ერთიანი ძლიერი პარტიის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

რევოლუციური ტალღის შენელებისა და დაწყებული რეაქციის პერიოდში, როდესაც კონტრრევოლუციამ იდეოლოგიურ ფრონტზედაც გააძლიერა შეტევა, ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" დაიცვა და განაეითარა მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის წიგნით, გააჩაღეს ბრძოლა მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების — ფედერალისტებისა და ანარქისტების წინააღმდეგ, რომლებიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ მაშინ, როდესაც „კონტრრევოლუციის გამარჯვებამ გული გაუტეხა სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციას და პარტიას ჩამოაშორა იგი...", როდესაც „ინტელიგენტები გაექცნენ პარტიას"[1].

მარქსისტული პარტიის თეორიული სიწმინდის დასაცავად შესანიშნავი შრომით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" გამოვიდა ი. სტალინი, რომელმაც აიხილა ქართველი ანარქისტების, ფედერალისტების, ლიკვიდატორებისა და ყოველგვარი ნაციონალისტების გამცემლობა.

რეაქციის პერიოდში მენშევიკებმა გააძლიერეს ფრაქციული მუშაობაც, დაუკავშირდნენ რა რეაქციის საერთო ლაშქრობას რევოლუციის წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკებმა და განსაკუთრებით ი. სტალინმა, თავის „წერილებში კავკასიიდან" დაუნდობლად ამხილა და გააკრიტიკა მენშევიკების პროგრამული და ტაქტიკური ლიკვიდატორობა.

საქართველოს ბოლშევიკების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მათ რეაქციის მძიმე, სასტიკი რეპრესიების პირობებში მოახერხეს ორგანიზებული უკანდახევა, შეინარჩუნეს არალეგალური ორგანიზაცია, უნარიანად გამოიყენეს ლეგალური შესაძლებლობანი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რეაქციასთან გაერთიანებულ მენშევიკ-ლიკვიდატორებსა და პროლეტარული პარტიის მტრებს.

* * *

კონტრრევოლუციის სამი წლის ყოვლად უსაზღვრო თარეშმა ვერ ჩაკლა ხალხის მასებში რევოლუციური სულისკვეთება, ხოლო ის ფაქტი, რომ მუშათა კლასს მანამდე არასოდეს არ განეცადა ასეთი აშკარა კლასთა ბრძოლა ყველაზე საგულისხმო გაკვეთილი გამოდგა მისთვის. 1910 წლის ზაფხულიდან კვლავ დაიწყო რევოლუციური აღმავლობა, გაიზარდა გაფიცვებისა და დემონსტრანტების რიცხვი.

ვ. ი. ლენინი 1910 წლის დეკემბერში წერდა: „შავრაზმული რეაქციის ს რ უ ლ ი ბატონობის ხანა გათავდა. იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან ი ხ ე ვ დ ა —

[1] ბახ. „ბრძოლა", № 1, 1908.



პიონერთა სასახლე

თუმცა დროის დიდი შუალედებით — 1905—1909 წლებში, ძალღონეს იკრებს და შ ე ტ ე ვ ა ზ ე გადასვლას იწყებს"[1].

ძალადობისა და უუფლებობის მძვინვარების სამი წლის შემდეგ, მუშათა კლასი კვლავ წელში გაიმართა და დაიწყო ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლების მოპოვებისათვის. გაზეთი „ტიფლისკი პროლეტარი" 1910 წელს მთელ ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, უხსნიდა მუშათა კლასს, რომ ქვეყანა მეფის ხელისუფლების დამხობის ძველი ამოცანების წინაშე იდგა და მოუწოდებდა ღირსეულად შეხვედროდა მომავალ სახელოვან ბრძოლებს პროლეტარიატის უფლებებისათვის.

რუსეთის პროლეტარიატის მაისის გრანდიოზულმა გაფიცვამ და მასთან დაკავშირებულმა ქუჩის დემონსტრაციებმა ცხადი გახადეს, რომ რუსეთი რევოლუციური აღმავლობის ხანაში შევიდა. ეს აღმავლობა მომზადებული იყო რუსეთის ცხოვრების მთელი პირობებით, ხოლო 1912 წლის აპრილ-მაისში ლენის გაფიცული მუშების დახვრეტამ საბოლოოდ განსაზღვრა მისი დადგომა. ლენაზე მომხდარი ტრაგედია გახდა იმის საბაბი, რომ მასების რევოლუციური განწყობილება გადაიქცა რევოლუციურ აღმავლობად.

მეტად ფართო ხასიათი ჰქონდა 1914 წლის საპირველმაისო დემონსტრაციებსა და ერთდღიან გაფიცვას, რაც მაისობასთან დაკავშირებით მოეწყო მთელ საქართველოში. თბილისის ბოლშევიკებმა ამ დღეებში უდიდესი მუშაობა ჩაატარეს — გამოუშვეს პროკლამაციები, მოაწყვეს მასობრივი მიტინგები ნაძალადევში, ბოტანიკურ ბაღში და სხვ. ბოლშევიკების მოწოდების საპასუხოდ თბილისში ერთდღიანი გაფიცვა გამოაცხადეს ტრამვაის, სტამბის, მინერალური წყლების, პურის საცხობების და სხვა საწარმოს მუშებმა. საპირველმაისო გაფიცვებში მარტო თბილისში 22-ზე მეტი სხვადასხვა საწარმო მონაწილეობდა.

1914 წლის 9 ივლისს კვლავ იფეთქა ტრამვაის მუშათა დიდმა გაფიცვამ. გაფიცულებმა შეადგინეს 26 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნები და წარუდგინეს ადმინისტრაციას. მუშები მოითხოვდნენ ხელფასების მომატებას, შეზღუდვების მოსპობას ტრამვაის უფასო ბილეთებით სარგებლობის დროს, ზრდილობიან მოპყრობას ადმინისტრაციის მხრივ, ერთი თვის შვებულებას წელიწადში ხელფასის შენარჩუნებით და ა. შ. 20 ივლისს დირექცია იძულებული გახდა მუშების მოთხოვნების ნაწილი დაეკმაყოფილებინა, მაგრამ მუშები იცავდნენ მათი მოთხოვნების მთლიანად დაკმაყოფილებას და შეუპოვრად განაგრძობდნენ გაფიცვას. გაფიცვა გაგრძელდა 24 ივლისამდე და დამთავრდა მუშების მნიშვნელოვანი გამარჯვებით.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ აუცილებელი გახადა პარტიის რიგების აღდგენა და შემეიდროება.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას სათავეში ჩაუდგნენ თბილისელი ბოლშევიკები და მალე არჩეულ იქნა რსდმპ თბილისის ჯგუფის ხელმძღვანელი წრე, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. სპანდარიანი, მ. კვარაცხელია, ე. სტასოვა, ვ. ძნელაძე, ო. გაბუნია, ა. აკოპიანი და სხვები. ხელმძღვანელი წრე სათავეში ჩაუდგა რსდმ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მუშაობას და ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღდგენის საქმეს მთელ საქართველოში.

პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, მიმდინარე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს ბოლშევიკებისათვის მათს შემდგომ მუშაობაში. ისინი აქტიურად გამოეხმაურნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებს და გააჩაღეს ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. თბილისის ბოლშევიკები წმენდნენ თავიანთ რიგებს მენშევიკებისაგან, იმაღლებდნენ ავტორიტეტს, იზრდებოდნენ რიცხობრივად და ქმნიდნენ არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

საქართველოს ბოლშევიკებს ყველა მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში და მათ გარშემო მშრომელი მასების დარაზმვაში დიდი დახმარება გაუწია ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ". ისინი ხელმძღვანელობდნენ „პრავდის" მითითებებით, ფართოდ ავრცელებდნენ გაზეთს მშრომელებში, მის ფურცლებზე ბეჭდავდნენ კორესპონდენციებსა და ცნობებს თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუშათა ბრძოლების შესახებ.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 445.

ასევე წარმატებით იყენებდნენ ბოლშევიკები მეორე ლეგალურ ორგანოს — IV სახელმწიფო საათბიროს. ისინი საათბიროს არჩევნებში გამოვიდნენ დამოუკიდებელი ლოზუნგებით და იგი ფართოდ გამოიყენეს რევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდის ტრიბუნად. ბოლშევიკური აგიტაციის წარმატებას ის მოყვა, რომ თბილისსა და საქართველოს ბევრ სხვა ქალაქში საარჩევნო კამპანია ბოლშევიკური ლოზუნგებით მიმდინარეობდა.

ბოლშევიკებმა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ასევე წარმატებით გამოიყენეს სხვა ლეგალური ორგანიზაციებიც — სახალხო უნივერსიტეტები, სახალხო სახლები, მუშათა თეატრები და ა. შ. უდიდესი ყურადღება მიექცა პროფესიული ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას. აღდგენილ იქნა პროფესიული კავშირების ბევრი ორგანიზაცია, რომელიც განადგურებულ იქნა რეაქციის პერიოდში. ამრიგად, არალეგალური და ლეგალური მუშაობის მოხერხებულად შერწყმამ ბოლშევიკებს, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, შესაძლებლობა მისცა აღედგინათ და განმტკიცებინათ პარტიული ორგანიზაციები, მტკიცედ დაეცვათ პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები და უზრუნველეყოთ მათი ორგანიზაციების გავლენის ზრდა მუშათა ფართო მასებში.

* * *

მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები, მღელვარებანი და შეტაკებანი პოლიციასთან მოწმობდა რევოლუციური მოძრაობის ზრდას, რომელიც რევოლუციურ სიტუაციაში გადადიოდა. მაგრამ რევოლუციური განვითარება შეაჩერა დაწყებულმა იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც მეფის ხელისუფლებამ მზარდი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ გამოიყენა.

მუშათა კლასის სასტიკ ექსპლოატაციას, მრეწველობის განვითარების შეფერხებას რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ყაჩაღურ ძარცვას, სოფლის მეურნეობაში ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის ბატონობას და საერთოდ რუსეთისა და ადგილობრივი კაპიტალის სწრაფვას მაქსიმალური მოგების მიღებისადმი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი დაქვეითება. ომმა მოშალა საქართველოს ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა, ხოლო სოფელი მუშახელისა და მუშაპირუტყვის გარეშე დატოვა.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და ომის წინააღმდეგ პირველად საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდმა — თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა აღიმაღლეს ხმა. 1914 წლის ოქტომბერს რკინიგზის სახელოსნოებში მასობრივად გავრცელდა პროკლამაციები, რევოლუციური ფურცლები, რომლებიც მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდებდნენ. რკინიგზის სახელოსნოების მუშების მღელვარებამ გამოხმაურება პოვა მთელ თბილისში, რის გამოც შეშინებულმა რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა მეფისნაცვალს მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური რაზმების შექმნის ნებართვა თხოვა[1]. დეკემბერში მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო იმის გამო, რომ რკინიგზის ადმინისტრაცია შეეცადა მუშებისათვის ხელფასიდან დაეკავებინა განსაზღვრული თანხა კავკასიის ფრონტის საჭიროებისათვის[2].

1915 წლის იანვარ-თებერვალში რევოლუციური მოძრაობა აღმავლობით წარიმართა. მოეწყო მასობრივი გაფიცვები 9 იანვრის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

მუშათა საგაფიცვო ბრძოლებისა და ომის შედეგად საყოველთაო ნგრევის გავლენით გაიზარდა რევოლუციური მოძრაობა საქართველოს სოფლებში. მოძრაობაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაება მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთა შორის ფართოდ ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები.

რევოლუციური მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა ფრონტის ჯარისკაცთა მასაში. მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრის სასტიკი გაფრთხილებისა, აღეკვეთათ ყოველგვარი აგიტაცია და მღელვარებანი ჯარში, ბოლშევიკების ენერგიული მოქმედების შედეგად ჯარის ნაწილებში ვრცელდებოდა რევოლუციური პროკლამაციები და ჯარისკაცთა შეგნებული ნაწილი ბოლშევიკების მხარეზე გადმოდიოდა.

---

[1] საქართველოს სსრ ცსია, ფონდი № 13, საქმე 192.
[2] საქართველოს სსრ ცსია, ფონდი № 2, საქმე 3321.

ჯარისკაცებს არ სურდათ უფროსების ბრძანებანი ყოფილიყვნენ. სურსათის ნაკლებობისა და სიძვირის გამო დაწყებული მასობრივი მღელვარების დროს ჯარისკაცები ხალხს თანაუგრძნობდნენ, ხშირად კი თვითონაც მონაწილეობდნენ სახალხო მღელვარებაში, ეხმარებოდნენ მათ და ანთავისუფლებდნენ პატიმრებს. თბილისის პოლიცმეისტერი თბილისის გუბერნატორისადმი მოხსენება-ბარათში იუწყებოდა, რომ „სამხედრო ნაწილების იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ, ამას ვასკვნი პატრულების მოქმედებიდან, რომლებიც უხმოდ, ზოგჯერ ღიმილით ადევნებენ თვალყურს მომხდარ ამბებსო"[1].

თბილისის ბოლშევიკები ომის წლებში შეუბრალებლად ამხელდნენ გაბატონებული კლასებისა და მენშევიკების პოლიტიკას; ისინი ომის დასაწყისიდანვე სოციალ-შოვინისტებს მიემხრნენ. ბოლშევიკები თანმიმდევრულად იცავდნენ პროლეტარულ-ინტერნაციონალურ პოზიციებს და ამ პოზიციებიდან ებრძოდნენ ყველა იმათ, ვინც ცდილობდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით მოეწამლა მშრომელთა შეგნება და ჩამოეშორებინა იგი რევოლუციური მოძრაობისაგან.

* * *

1917 წლის იანვარ-თებერვალში სურსათის, ნედლეულისა და სათბობი მასალის დარგში დიდმა კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. უკვე ყველასათვის აშკარა გახდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობის აუცილებლობა. ბურჟუაზია შეეცადა ამ კრიზისის გადაჭრას სასახლის ფარგლებში გადატრიალების მოწყობით, მაგრამ იგი ხალხმა ქუჩაში გადაჭრა რევოლუციის გზით.

1917 წლის თებერვალში მეფის თვითმპყრობელობა წალეკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუმალა მშრომელებს ცნობა რევოლუციის შესახებ, რათა არ დარღვეულიყო „წესრიგი და სიმშვიდე" და მოქმედ არმიებს შეენარჩუნებინათ ერთგულება და ფიცი სამხედრო ვალდებულებებისადმი.

[1] საქართველოს სსრ ცსია, ფონდი № 2, საქმე 4375.

მაგრამ ხელოვნურად შექმნილი ეს „სიწყნარე", რომელიც ძალით მოახვიეს თავს თბილისს, არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო.

3 მარტს თბილისში რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოეწყო მიტინგი, რომელსაც სამი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგმა აღტაცება გამოთქვა საძულველი ხელისუფლების დამხობის გამო და ერთხმად მიიღო მისალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი. მისალმება სრულ თანაგრძნობას უცხადებდა საბჭოებს ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. „განაგრძეთ თქვენ მიერ დაწყებული მუშაობა მთელი ქვეყნისა და ჩვენი კლასის საერთო კეთილდღეობისათვის. ჩვენ თქვენთან ვართო"[1] — ნათქვამი იყო მისალმებაში.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის აღსანიშნავ მიტინგებსა და მანიფესტაციებში მუშათა კლასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გლეხები, მოსწავლე ახალგაზრდობა და ჯარისკაცები.

10 მარტს თბილისში მოეწყო ყველა სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა დემონსტრაცია წითელი დროშებით. იმავე დღეს თავისუფლების მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი.

რევოლუციას მხურვალედ გამოეხმაურნენ კავკასიის ფრონტის ჯარები. თბილისში 8 მარტს გაიმართა 218-ე პოლკის ჯარისკაცების მანიფესტაცია, მოეწყო მიტინგი, რომელსაც ჯარისკაცებს გარდა შეუერთდნენ სხვა მოქალაქენიც.

თანდათანობით შეიცვალა მდგომარეობა თბილისში. გაიწვიეს მეფისნაცვალი, ხოლო ხალხი სულ უფრო და უფრო არ ემორჩილებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მეტეხის ციხიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, რამაც ცარიზმის მკაცრი რეპრესიებით დასუსტებულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა ძალა მოეკრიბა და მოღონიერებულიყო.

პეტერბურგის საბჭოების მაგალითით საქართველოს ბოლშევიკებმა მცირერიცხოვნებისა და ორგანიზაციული სისუსტის მიუხედავად, ხელთ აიღეს საბჭოების შექმნის ინიციატივა. ბოლშევიკების წინადადება მუშათა დეპუტატების საბჭოების არჩევის შესახებ მუშებმა დიდი აღტაცებით მიი-

[1] გახ. „ტიფლისკი ლისტოკ", № 52, 1917.

ღეს. მაგრამ მენშევიკებმა, რომლებიც ამ დროს თბილისში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მოახერხეს ბოლშევიკებისათვის ხელიდან გამოეცალათ საბჭოების შექმნის ინიციატივა.

4 მარტს არჩეული თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო მენშევიკებისა და ესერების უმრავლესობისაგან შესდგებოდა. ასევე 6 მარტს თბილისის გარნიზონის დელეგატთა კრებაზე არჩეულ ჯარისკაცთა საბჭოში უმრავლესობა მენშევიკებს ერგოთ.

საბჭოებში გაბატონებულმა მენშევიკებმა, მიუხედავად ბოლშევიკების დაჟინებითი მოთხოვნისა, უარი განაცხადეს საბჭოებისათვის აღმასრულებელი ფუნქცია მიეცათ. საბჭოებს რჩებოდათ ახალი ხელისუფლების ორგანიზაციის „თვალყურის დევნისა“ და „ზეგავლენის“ მოხდენის და არა მმართველი და კანონმდებელი ორგანოს როლი.

1917 წლის 9 მარტს დროებითმა მთავრობამ შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“), რომელსაც დაევალა დაემყარებინა ახალი, მყარი წესრიგი და „მოეწყო“ ამიერკავკასიის მხარე. მენშევიკებმა პირველ ხანებში მთავრობის ასეთი კონტრრევოლუციური შემადგენლობის გამო უწყინარი პროტესტი გამოთქვეს: ზემოდან დანიშნული კომიტეტი „ადგილობრივი დემოკრატიისათვის მიუღებელიაო“, მაგრამ მალე მიყუჩდნენ. კიდევ მეტი, მათ პატივისცემით გაისტუმრეს მეფისნაცვალი, ხოლო 18 მარტს თბილისის სადგურზე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობას საპატიო ყარაულებით შეხვდნენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რეაქციას არ მოჰყოლია მენშევიკების ორგანიზაციების შესუსტება, ამის გამო მათ შერჩათ ძლიერი ორგანიზაცია და საკუთარი გაზეთები, ხოლო თებერვლის რევოლუციამ მათ გაუმრავლა თანამგრძნობთა რიცხვი. ეს მოხდა იმიტომ, რომ „უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე“[1].

ასეთ პირობებში ბოლშევიკების წინაშე ბუნებრივი აუცილებლობით ისმებოდა საკითხი — გაეძლიერებინათ თავიანთი ორგანიზაციები და ეწარმოებინათ ბრძოლა რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. აუცილებელი ხდებოდა თებერვლის რევოლუციით შექმნილი შედარებით თავისუფალი მუშაობის შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება. და მართლაც, ბოლშევიკები ენერგიულად შეუდგნენ პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას, პარტიული უჯრედების აღდგენასა და მათი ქსელის გაფართოებას.

მაგრამ ესოდენ დიდი სიძნელეების გადალახვა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის წარმატებით გაჩაღება, მასებში იდეური პროპაგანდის გაშლა და ბრძოლა რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, შეუძლებელი იყო საკუთარი გაზეთის გამოცემის გარეშე.

1917 წლის 11 მარტს თბილისში გამოსვლა იწყო ყოველდღიურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ“, რომელიც დაეხმარა ბოლშევიკებს ემხილებინათ დროებითი მთავრობა, როგორც ბურჟუაზიისა და მემამულეების მთავრობა და აქტიური ბრძოლა გაეჩაღებინათ წვრილბურჟუაზიული პარტიების ბურჟუაზიული შეხედულებების წინააღმდეგ.

1917 წლის 26 მარტს არჩეულ იქნა თბილისის გაერთიანებული კომიტეტი. მ. ორახელაშვილი ამ გაერთიანების შესახებ წერს: „რადგან ცენტრთან კავშირი ჯერ კიდევ არ იყო გაბმული და ამიტომ იქედან დირექტივები და სწორი ინფორმაცია არ მოგვდიოდა, მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შესვლის საკითხი ყველგან დადებითად წყდებოდა“. იგი იქვე დასძენს, რომ ამ დროს მეტად ძლიერი იყო ასეთი გაერთიანებისაკენ სწრაფვა, თუმცა „ფაქტიურად ეს „გაერთიანება“ მხოლოდ მოკლე, გარდამავალი საფეხური იყო ბოლშევიკების არა მარტო იდეურ-პოლიტიკურად, არამედ ორგანიზაციულად გამოყოფის წინო“[1].

ამ გაერთიანებით, ცხადია, შეცდომა იქნა დაშვებული, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაერთიანება ხანმოკლე აღმოჩნდა. ამას გარდა, თვითონ ბოლშევიკებმა გაერთიანებულ ორგანიზაციაში შესვლისას, შეინარჩუნეს საკუთარი ხელმძღვანელი ორგანოების დაარსების, საკუთარი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 53.

[1] მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, გვ. 39.

ბეჭდვითი ორგანოს გამოცემისა და კრებების ცალკე მოწყობის უფლება.

ვ. ი. ლენინის აპრილის სახელგანთქმულმა თეზისებმა და პარტიის VII (აპრილის) კონფერენციამ საქართველოს ბოლშევიკებს მისცა სწორი ორიენტაცია რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში და გადამწყვეტი როლი ითამაშა მენშევიკებთან კავშირის საბოლოო გაწყვეტის საქმეში.

28 აპრილს თბილისის ბოლშევიკების საერთო კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობის ბოლშევიკი დელეგატებიც, მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ბოლშევიკების აპრილის კონფერენციას. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი საიმედო სახელმძღვანელო იქნება რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლაში თავისი იდეალების განხორციელებისათვის“[1]—ნათქვამი იყო მისალმებაში.

1917 წლის 14 მაისს ბოლშევიკების საერთო საქალაქო პარტიულმა კრებამ, მოისმინა ფ. მახარაძისა და მ. ცხაკაიას მოხსენებები სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შესახებ. მომხსენებლებმა კრებას დაწვრილებით გააცნეს კონფერენციის გადაწყვეტილებანი და დააყენეს საკითხი მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობის შესახებ. ივნისში კი თბილისში მიმდინარეობდა ბოლშევიკების რაიონული კრებები, მოხდა რაიონული ბოლშევიკური ორგანიზაციების გაფორმება, ხოლო 5 ივლისს ბოლშევიკების საერთო საქალაქო კონფერენციაზე არჩეულ იქნა რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტი.

მალე ამის შემდეგ მოხდა კავშირის სრული გაწყვეტა მენშევიკებთან და დამოუკიდებელ ორგანიზაციებად გამოყოფა საქართველოს სხვა ადგილებშიც.

თბილისის ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მათ წინაშე პრაქტიკულად დაისვა საკითხი ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემის შესახებ. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მენშევიკური გაზეთები ფაქტებსა და მოვლენებს ფრაქციების შესახებ ცალმხრივად აშუქებდნენ.

1917 წლის 4 ივნისს გამოვიდა რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ყოველკვირეული ორგანო — გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი. გაზეთმა თავი კეცხოველის მიერ დაარსებული „ბრძოლის“ პოლიტიკურ მემკვიდრედ გამოაცხადა, რაზედაც მენშევიკურმა გაზეთებმა — „ალიონი“, „ერთობა“ და სხვ. — პროტესტი გამოთქვეს. საპასუხოდ „ბრძოლამ“ განაცხადა, რომ მემკვიდრეობა არაევის დაეშლებოდა, მხოლოდ საჭირო იყო ძველი „ბრძოლის“ იდეებთან ახალი რწმენისა და პროგრამის“ შეთანხმებაო.

გაზეთმა „ბრძოლამ“ მის პირველ ნომრებშივე მშრომელების ყურადღება მიაპყრო რუსეთის საერთო პოლიტიკურ ვითარებას და მიუთითებდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ვითარება უშუალოდ იყო დამოკიდებული რუსეთის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

საკუთარი ორგანოს შექმნამ და მენშევიკებთან გათიშვამ გაზარდა ბოლშევიკების გავლენა მასებში. ისინი უდიდეს მუშაობას აწარმოებდნენ ჯარის ნაწილებში, იპყრობდნენ გლეხთა მასებს, გააძლიერეს მუშაობა პროფკავშირებში, რის შედეგადაც ცენტრალურ საბჭოში გაიზარდა ბოლშევიკების რაოდენობა.

ბოლშევიკების მუშაობა ახალგაზრდობას შორის დაგვირგვინდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების ორგანიზაციის „სპარტაკის“ — ახლანდელი ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსებით.

ივნისის კრიზისის გამომწვევი რევოლუციური ძალები სულ უფრო და უფრო იზრდებოდნენ და განაგრძობდნენ მოქმედებას. არ იყო გადაჭრილი რევოლუციის არც ერთი ამოცანა. ამ ღრმა პოლიტიკური კრიზისის აშკარა გამოხატულება გახდა 3—4 ივლისის გრანდიოზული დემონსტრაცია პეტროგრადში, რომელიც დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ მენშევიკებისა და ესერების დახმარებით სისხლში ჩაახშო.

ამიერიდან დასრულდა კლასობრივი და პარტიული ბრძოლის განვითარების პერიოდი, დაიწყო ბრძოლის ახალი პერიოდი სოციალისტური რევოლუციისათვის.

პარტიის VI ყრილობამ შეცვლილი ვითარების შესაბამისად დააყენა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის საკითხი.

1917 წლის 2 ოქტომბერს თბილისში რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტისა და ბაქოს ბოლშევიკური

[1] გაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 39, 1917.

ორგანიზაციების წარმომადგენლების გადაწყვეტილებით გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა, რომელიც მიზნად ისახავდა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოეყალიბებინა კავკასიის ბოლშევიკების ტაქტიკა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ყრილობაზე გამომეღავნდა, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენა ძლიერდებოდა, იგი ერთ-ერთი დელეგატის სიტყვებით „საათობით იზრდებოდა".

ყრილობამ აირჩია რსდმპ(ბ) სამხარეო კომიტეტი, რომელიც კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა.

მის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი, ს. ქავთარაძე, გ. ყორღანოვი, ნაზარეტიანი და სხვ.

კავკასიის ბოლშევიკების სამხარეო ყრილობამ სამხარეო კომიტეტის შექმნით ძლიერი პირობები მოამზადა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისა და, მაშასადამე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას საქართველოს მშრომელები უდიდესი თანაგრძნობითა და სიხარულით შეხვდნენ. ცნობაში, გაზეთ „ბრძოლის" ფურცლებზე, პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების შესახებ, ვკითხულობთ: „პეტროგრადის აჯანყების დროშა ააფრიალა მოსკოვმა, მათ მიყვება და უნდა მიყვეს მთელი პროლეტარული რუსეთი ბოლშევიზმის მეთაურობით. რევოლუციის ცეცხლი ანთებული პროლეტარულ ცენტრებში მოედება და უნდა მოედოს მთელ რუსეთს... წითელ პეტერბურგსა და მოსკოვს შეუძლიათ თქვან — ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია"[1].

28—29—30 ოქტომბერს თბილისში მასობრივად ეწყობოდა კრებები. თბილისის მშრომელები თავიანთ რეზოლუციებში მხურვალე სალამს უთვლიდნენ პეტროგრადის გმირ პროლეტარიატს და თანაგრძნობას უცხადებდნენ მას.

რევოლუციის გამარჯვებამ მხურვალე გამოხმაურება პოვა ჯარის ნაწილებში. 29 ოქტომბერს „კავკაზსკი რაბოჩიმ" გამოაქვეყნა რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის, სამხედრო ორგანიზაციების ბიუროსა და თბილისის კომიტეტის მიმართვა — „კავკასიის არმიის ყველა ამხანაგ ჯარისკაცებისადმი" — პეტროგრადის პროლეტარიატისათვის მხარდაჭერისა და შეიარაღებული მზადყოფნის შესახებ.

[1] გაზ. „ბრძოლა", № 23, 1917.

მაგრამ ბოლშევიკების რიგების შემჭიდროებისა და მასებში მათი გავლენის ზრდასთან ერთად ხდებოდა მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციური ძალების — პირველ რიგში, მენშევიკების შემჭიდროებაც რევოლუციის წინააღმდეგ. 14 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი—ე. გეგეჭკორის მეთაურობით, გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორების გზაზე.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა თავისი დამოკიდებულება ამიერკავკასიის კომისარიატისადმი მაშინ განსაზღვრა, როცა თათბირი დატოვა, ხოლო 17 ნოემბერს „ბრძოლაში" ამხილა ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ შექმნილი კონტრრევოლუციური მთავრობის ნამდვილი სახე.

„არავითარი ნდობა მენშევიკ-დაშნაკცაკან-ესერ-კადეტების მიერ ხალხის ზურგს უკან შექმნილ მთავრობას, — წერდა გაზეთი, — მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო, ყველა მშრომელნო, მხარი დაუჭირეთ მუშებისა და გლეხების მთავრობას; შეუერთდით რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, სრული ნდობა გამოუცხადეთ მის მთავრობას, გვერდში ამოუდექით და ენერგიულად დაეხმარეთ მის გმირულ ბრძოლას"[1].

მენშევიკებმა კვლავ შეუტიეს ბოლშევიკებს, რომელთა გავლენა მასებში ყოველდღიურად იზრდებოდა. მათ 29 ნოემბერს შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეს არსენალზე, რომელსაც ბოლშევიკური ნაწილები იცავდა_და სადაც დიდძალი იარაღი და ყუმბარები ინახებოდა.

კონტრრევოლუციის ამ შეტევამ თბილისის მშრომელების მძლავრი პროტესტები გამოიწვია. 1 დეკემბერს მთავარი სახელოსნოების მუშათა კრებამ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, ზარალის ანაზღაურება და დარბევაში მონაწილე გვარდიელების განიარაღება მოითხოვა.

თბილისის ბოლშევიკების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ პირველი წარუმატებლობის

[1] გაზ. „ბრძოლა", № 37, 1917.

გამო არ დაუყრიათ იარაღი. ბოლშევიკების დიდ გამარჯვებას მოასწავებდა კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობა, რომელიც თბილისში 10 დეკემბერს გაიხსნა. ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუციები დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხებზე, დაგმო ამიერკავკასიის კომისარიატი და არმიის ძველი საბჭო.

ვ. ი. ლენინი შეუნელებელ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიაში შექმნილ მდგომარეობას. თავის მხრივ კი საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად აწვდიდნენ ცნობებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ვ. ი. ლენინს და იღებდნენ მათგან სახელმძღვანელო მითითებებსა და მატერიალურ დახმარებას.

* * *

1917 წლის 16 დეკემბერს რსფსრ სახკომსაბჭომ თავის სხდომაზე მოისმინა ი. სტალინის მოხსენება კავკასიის შესახებ. 18 დეკემბერს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ გაითვალისწინა კავკასიაში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის განსაკუთრებული პირობები და გამოსცა დეკრეტი კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად სტ. შაუმიანის დანიშვნის შესახებ. შაუმიანი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 22 იანვრიდან. 31 იანვარს მისი რედაქტორობით გამოვიდა „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნიხ კომისაროვ", რომელმაც დაბეჭდა შაუმიანის მიმართვა „კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხობისადმი". მიმართვა მოუწოდებდა მათ შეექმნათ ინტერნაციონალური მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც რუსეთის საბჭოთა ცენტრებთან და სახკომსაბჭოსთან მჭიდრო ურთიერთობით, ბოლოს მოუღებდა კონტრრევოლუციას კავკასიაში და კავკასიის მოსახლეობას წაიყვანდა სოციალიზმისაკენ.

ამ დროიდან იწყება ამიერკავკასიაში ბოლშევიკების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის ახალი პერიოდი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

მაგრამ ბოლშევიკების მიერ საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის გადადგმულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა და მათი აგიტაციის წარმატებამ მშრომელთა მასებში, რომელთა უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მენშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ, გააძლიერა მენშევიკების კონტრშეტევა. მენშევიკების გამცემლობა იქამდეც მივიდა, რომ 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში მოიწვიეს ამიერკავკასიის სეიმი, შექმნეს ახალი მთავრობა — ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რითაც იურიდიულად გააფორმეს რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტა და მოამზადეს პირობები რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ამიერკავკასიის სეიმის გახსნას წინ უძღოდა მენშევიკების მიერ იანვარში შამქორთან ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების განიარაღება და დახვრეტა, ხოლო თებერვალში განკარგულება სტ. შაუმიანის დაპატიმრებისა და ბოლშევიკური გაზეთების დახურვის შესახებ. თვითონ სეიმის გახსნის დღეს მენშევიკების მიერ თბილისში მოწყობილ ტრაღედიას ხალხმა „სისხლით შეღებილი შაბათი" უწოდა. ამ დღეს ალექსანდრეს ბაღში შეიკრიბა მუშებისა და ჯარისკაცების მშვიდობიანი მიტინგი, რათა პროტესტი გამოეთქვა როგორც ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის, ისე რევოლუციური ორგანიზაციებისა და ბოლშევიკური გაზეთების აკრძალვის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით მიტინგი დახვრეტილ იქნა.

ასე ფიქრობდნენ მენშევიკები მყუდროების დამყარებას თბილისში, ასე ჩაიგდეს მათ ხელში ძალაუფლება. ი. სტალინი, ახასიათებდა რა მენშევიკების გამცემლობას, წერდა: „უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ მოჰგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის „სეიმურ-ნაციონალურ" დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული"[1].

მენშევიკებს არ გაუმართლდათ იმედები, რადგან მეტისმეტად თვალსაჩინოდ და თანაც უხეშად გამოაშკარავეს თავი როგორც კონტრრევოლუციონერებმა და დააჩქარეს მათგან მშრომელი მასის ჩამოშორება. ამან ხელი შეუწყო მუშათა კლასში

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 70—71.

ბოლშევიკების გავლენის კიდევ უფრო ზრდასა და მთელ საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის გაფართოებას. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა არ ცნო ბრესტის ზავი და გერმანელი და თურქი იმპერიალისტების წაქეზებით 22 აპრილს ამიერკავკასია „დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად" გამოაცხადა.

ი. სტალინი, ითვალისწინებდა რა ასეთი მოქმედების შედეგს, წერდა: „თბილისის მენშევიკებისა და მათი მთავრობის დამოუკიდებლობა რუსეთის რევოლუციისაგან გარდუვალად გადაიქცევა მათ მონურ დამოკიდებულებად თურქ-გერმანელ „ცივილიზებულ" მტაცებელთაგან. ეს იქნება ხელისუფლების სათავეში მოქცეული თბილისელი მენშევიკების კავშირი თურქ-გერმანელ იმპერიალისტებთან რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ"[1].

სეიმის გადაწყვეტილების საპროტესტოდ თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა, ხოლო პირველ მაისს თბილისის მშრომელთა დიდმა მიტინგმა ძმური სალამი გაუგზავნა რუსეთის გმირ პროლეტარიატს და თავის რეზოლუციაში აღშფოთებული პროტესტი გამოთქვა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტის გამო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა" იმპერიალისტ ინტერვენტებზე დამოკიდებული აღმოჩნდა. გარდა ამისა, მის შიგნით გაიშალა ბრძოლა ამიერკავკასიის ნაციონალისტურ პარტიებს შორის, რის გამოც 26 მაისს სეიმმა იგი დაშალა და იმავე დღეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო „დამოუკიდებელ" რესპუბლიკად გამოაცხადა.

მალე საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით, კავშირი შეკრა გერმანელ იმპერიალისტებთან და ივნისის პირველ რიცხვებში თბილისში გერმანელთა ჯარის ნაწილები ჩამოვიდა. ვ. ი. ლენინმა საქართველოს ეს „დამოუკიდებლობა" შეაფასა, როგორც ყოვლად აშკარა მოტყუება და მიუთითა, რომ სინამდვილეში ეს იყო „საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[1].

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4. გვ. 103.

მენშევიკების გაძლიერებული რეპრესიების შედეგად, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, თბილისში კი დარჩა სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურო მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით.

მენშევიკური მთავრობის ბურჟუაზიულ პოლიტიკას უნდა მოყოლოდა და მოყვა კიდეც მრეწველობის დაცემა, ხოლო ამ უკანასკნელის ბუნებრივი შედეგი გახდა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესება და საგაფიცვო მოძრაობის ზრდა. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა კონფლიქტები მუშებსა და მეწარმეებს შორის იმის გამო, რომ სამუშაო დღე ხშირად 10 — 12 საათს აღწევდა, განუწყვეტლივ ხდებოდა ხელფასების შემცირება. 1920 წელს ის 15-ჯერ ნაკლები იყო 1913 წელთან შედარებით[2].

1919 წელი თბილისში მუშათა მიტინგებით, გაფიცვებითა და დემონსტრაციებით დაიწყო, რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიურ რღვევას, იგი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ კანონი გამოსცა, რომლითაც მუშებს ეკრძალებოდათ გაფიცვების მოწყობა, 1919 წლის 24 მარტს თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს, რომელიც ამ პერიოდის გაფიცვათა შორის ყველაზე დიდი იყო. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის საწარმოების და ტრამვაის მუშები, ქალაქის გამგეობისა და მისი სხვა დაწესებულებების მოსამსახურეები.

მენშევიკების სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, გაფიცვა ფართოვდებოდა და სოლიდარობის გამოძახილს იწვევდა მთელ ამიერკავკასიაში. თბილისის ბოლშევიკებმა მოწოდებით მიმართეს საწარმოთა მუშებს, რათა დახმარებოდნენ გაფიცულებს როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. თბილისის მუშათა კლასი მხურვალედ გამოეხმაურა ამ მოწოდებას და მალე მელითონეთა, მეტყავეთა, მბეჭდავთა, ფარმაცევტთა და სხვა კავშირებმა მიიღეს დადგენილება გაფიცულებისადმი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

[2] იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, გვ. 98.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსი



რუსთაველის პროსპექტი

მხარდაჭერისა და ფულადი დახმარების შესახებ. გაფიცვამ განსაკუთრებით დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ბაქოს პროლეტარიატის მხრივ; მას გამოეხმაურა და თანაგრძნობა გამოუცხადა თითქმის ყველა პროფესიის მუშამ. ასე მიიღო ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებულმა გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი და გადაიქცა მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაკოტრების მძლავრ დემონსტრაციად.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელსაც სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურო ხელმძღვანელობდა, გამოაცოცხლა მუშაობა. თბილისში ჩამოვიდა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, არჩეულ იქნა თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა და ფართო ბრძოლა გაიშალა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

1919 წლის მაისის დამდეგს თბილისში ჩამოსულმა ს. ორჯონიკიძემ, ადგილობრივ ორგანიზაციებს გააცნო ცენტრალური ორგანოების მითითებანი საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

ამის შესაბამისად შემოდგომაზე სამხარეო კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავთან დაკავშირებით შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ბოლშევიკებმა ჩაატარეს უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა — შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, დიდი მუშაობა იქნა გაწეული სამხედრო ნაწილებთან, გაიგზავნა რწმუნებულები ყველა მაზრაში, მიღებულ იქნა ზომები ხალხის შესაიარაღებლად და ა. შ. მაგრამ იმის გამო, რომ დაპატიმრებულ იქნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, ამან საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო და იგი მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, აჯანყება მაინც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. აჯანყების არაადამიანური სისასტიკით ჩახშობამ ნიღაბი ჩამოხადა მენშევიკებს, ხოლო მშრომელები ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მენშევიკების რეჟიმისა და უცხოელი ინტერვენტებისაგან განთავისუფლება მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირითა და მათი დახმარებით შეიძლებოდა.

მიუხედავად დამარცხებისა, ბოლშევიკებს არ მოუხსნიათ ახალი აჯანყებისათვის მზადების საკითხი. მათ 1920 წელს მოამზადეს და ჩაატარეს საპირველმაისო დემონსტრაცია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება აჯანყების წარმატებისათვის. იგი ჩატარდა ბოლშევიკური ლოზუნგებით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“, „ძირს მენშევიკები!“ და ა. შ.

მენშევიკებმა გაცოფებით შეუტიეს დემონსტრანტებს, იარაღით ჩაახშვეს იგი და დააპატიმრეს 100-ზე მეტი ბოლშევიკი, მაგრამ ვერ შესძლეს შეეჩერებინათ მზადება აჯანყებისათვის.

საბჭოთა რუსეთის სიძლიერემ, მის მიერ კონტრრევოლუციის ძალების განადგურებამ და სამოქალაქო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებამ, მეორე მხრით კი საქართველოში ღრმა სოციალ-ეკონომიურმა კრიზისმა, მენშევიკები იძულებული გახადა ეცნო საბჭოთა რუსეთი და დაეწყო მასთან მოლაპარაკება სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

1920 წლის 7 მაისს დაიდო ეს ხელშეკრულება, რომლითაც მენშევიკებმა იკისრეს ვალდებულება განედევნათ საქართველოს ტერიტორიიდან ყველა უცხო ჯარი და სამხედრო რაზმები, გაეთავისუფლებინათ ბოლშევიკი პატიმრები და მიეცათ ლეგალური არსებობის უფლება ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის.

20 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ს. მ. კიროვი, რომელიც დაინიშნა საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში. კიროვმა უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს ბოლშევიკებს პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკები შეეცადნენ განემტკიცებინათ პარტიული ორგანიზაციები. მაისში არჩეულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მოიწვია პარტიული თათბირები და შეუდგა ახალი პირობების შესაბამისად ტაქტიკის საკითხების შემუშავებას. ისინი აქტიურად იბრძოდნენ, რათა უნარიანად შეეხამებინათ ლეგალური და არალეგალური მუშაობა. 1920 წლის 20 ივნისს გამოუშვეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო — გაზეთი „კომუნისტი“ ქართულ ენაზე, ხოლო პირველი ივლისიდან რუსულ ენაზე. გაზეთებმა ხელი შეუწყვეს

მშრომელი მასების გათვითცნობიერებას, უფრო ნათლად გაარკვიეს ისინი მოვლენებში და დაეხმარნენ ბოლშევიკებს პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებაში.

მენშევიკებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პირობა — ამარაგებდნენ ვრანგელის არმიას იარაღით და ნედლეულით, დაიწყეს ბოლშევიკური ორგანიზაციების განადგურება და ბოლშევიკების დაპატიმრება, დახურეს მათი გაზეთები და ა. შ. მენშევიკების ამ მხეცურ რეპრესიებს მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ მძლავრი პროტესტით უპასუხეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტმა ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მუშის სახელით განაცხადა, რომ „მტრების ვერავითარი ძალადობა, რეპრესიები და თვითნებობა ვერ დაანგრევს კომუნისტების მტკიცე ორგანიზაციებსო"[1].

1920 წლის ბოლოსათვის ქვეყნის ეკონომიურმა რღვევამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, დაიხურა ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა, მოიშალა საგაჭრო ბალანსი, წარმოუდგენლად გაძვირდა პირველი მოხმარების საგნების ფასი, კატასტროფიულად დაეცა ქაღალდის ფულის ღირებულება.

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას რევოლუციური მოძრაობის გაფართოება მოყვა. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა გაფიცვები და მასში მონაწილეთა რიცხვი. მენშევიკების საქართველოში ბატონობის სამმა წელმა ქვეყანა აუცილებელ კატასტროფამდე მიიყვანა.

ქართველმა ბოლშევიკებმა კარგად გამოიყენეს შექმნილი მდგომარეობა და პრაქტიკულად შეუდგნენ აჯანყების ორგანიზაციას. 15 დეკემბერს კავკასიის ბიურომ, რომელსაც გ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ, შეიმუშავა აჯანყების გეგმა და დანიშნა მისი ვადა.

ამ გეგმით 11 თებერვალს ლორის რაიონში დაიწყო აჯანყება, რომელიც სწრაფად გავრცელდა მეზობელ მაზრებსა და რაიონებში. 16 თებერვალს შულავერში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობისათვის — ა. გეგეჭკორის, ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ბ. კვირკველიას, შ. ელიავას და სხვ. შემადგენლობით.

რევოლუციურმა კომიტეტმა 18 თებერვალს საქართველოს მშრომელებს მიმართა მოწოდებით: „დაამხეთ ყველგან მენშევიკების ხელისუფლება! ხელთ აიღეთ ადგილებზე მთელი ძალაუფლება! შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები! ხელი მოკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო! წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის!"[1]

მენშევიკებმა უკანასკნელი ძალები დაძაბეს აჯანყების წინააღმდეგ. მათ საგანგებო ზომები მიიღეს, რათა შეენარჩუნებინათ ძალაუფლება, მაგრამ მათი არსებობის დღეები დათვლილი იყო. 25 თებერვალს აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები თბილისში შევიდნენ.

ამის შემდეგ, სულ მოკლე დროში, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მთელ საქართველოში, რითაც დასრულდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის ამიერკავკასიაში.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 2, 1920.

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 54, საქმე 64.



ლევან მენაბდე

თბილისი—ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა

საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი საუკუნეთა მანძილზე დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ხშირად წარმართავდა მის ისტორიულ მსვლელობას; არსებითად ის იყო ცენტრი ქართველთა პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებისა. თბილისივე იყო ცენტრი ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობისა.

თბილისში აყვავდა და განვითარდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა, აქ მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალს ქართულმა სულიერმა კულტურამ. აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში გაიფურჩქნა პოეტური გენია მრავალი ქართველი კალმისოსტატისა. თბილისელი მწერლები ახლო კავშირსა და ცხოველ ურთიერთობაში იყვნენ საქართველოს სხვა პუნქტებში მოღვაწე მწიგნობრებთან, მწერლებთან და მეცნიერებთან, კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთზემოქმედების სფეროში და ენერგიულად იღვწოდნენ ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებისათვის. ამდენად თბილისი ძველი ქართული მწერლობის მძლავრ ცენტრს წარმოადგენდა და მასთან იყო დაკავშირებული განვითარება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ადრეულ ხანაში, მეტწილად, მეფე-დიდებულთა სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში იყო თავშეფარებული.

საგულისხმოა, რომ ძველი ქართული მწერლობის ადრინდელი ძეგლების დიდი უმრავლესობა თბილისს გარეთაა შეთხზული. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის უპირველესი თხზულება, იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, ქვემო ქართლში, ცურტავშია დაწერილი 476—483 წლებში; მომდევნო ნაწარმოები: „მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“ — მცხეთაში; შემდეგი ხანის თხზულებანი დაწერილია დასავლეთ საქართველოსა თუ საბერძნეთში („ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ“),

ტბეთში („წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით"), ზარზმაში („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი"), ხანძთასა („შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ") და სხვ.

ადრინდელი ხანის ქართული ლიტერატურიდან ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის **იოანე საბანისძის** ფრიად საყურადღებო აგიოგრაფიული თხზულება, რომლის სრული სათაური ასე იკითხება: „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე, ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა"[1]. ესაა ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართული ნაწარმოები, რომელიც თბილისშია დაწერილი. არსებითად ის გვაცნობს ჩვენ ძველი თბილისის ლიტერატურულ ინტერესებს, მისი მიხედვით შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა ძველი თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

იოანე საბანისძე[2] ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია ქართული მხატვრული პროზის შესანიშნავი ნიმუში. მართალია, მისი იდეოლოგია და მსოფლგაგება ჩვენთვის ყოველთვის მისაღები არაა, მაგრამ, საყურადღებოა, რომ მასაც აინტერესებდა ის აქტუალური პრობლემები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ი. საბანისძე ძირითადად აგიოგრაფიის სარბიელზე მოღვაწეობდა, მაგრამ, მიუხედავად მისი იდეური მიზანდასახულებისა და ეანრობრივი სპეციფიკით გამოწვეული შეზღუდულობისა, შედარებით, კარგად და სრულად ასახავდა სინამდვილეს. ის ვერ მოთავსდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მიერ შემუშავებულ ჩარჩოებში, თავი აარიდა დამკვიდრებულ ტრაფარეტსა და შაბლონს, გასცილდა ქრისტიანული რელიგიის სარწმუნოებრივი დოგმების ახსნა-განმარტებას; მან დასძლია ფორმალური და შინაარსობლივი ჩარჩოები და დაგვიტოვა მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელშიც გაანავითარა პატრიოტული იდეები, ცხოვრება ასახა ღრმად, გმირის სახე დაგვიხატა ცოცხლად და დამაჯერებლად, პერსონაჟები წარმოგვიდგინა ადამიანური განცდებითა და მისწრაფებებით.

ი. საბანისძე კარგად გვაცნობს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთ მონაკვეთს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, საეკლესიო ორგანიზაციას. აღნიშნული ხანის შესწავლისას ი. საბანისძის თხზულებას პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება[1].

ებოს მარტვილობა ორიგინალურად მოფიქრებული და გეგმაშეწონილად გააზრებული ნაწარ-

---

[1] დაცულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 19, 70, 95, 130, 170, 176, 1109; II № 2077; Sin. № 11 — აკად. ი. ჯავახიშვილის აღწერილობით; Ath. № 57—აკად. ნ. მარის აღწერილობით და სხვ.). გამოცემები: 1. მ. **საბინინი**, საქართველოს სამოთხე, სპბ., 1882, გვ. 333—350; 2. წმიდა მოწამე აბო ტფილელი, პ. **კარბელაშვილის** გამოცემა, თბილისი, 1899, 3. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I. იოანე საბანისძე, II. ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. **კეკელიძის** რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 7—96; 4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. **ყუბანეიშვილის** მიერ, თბილისი, 1947, გვ. 55—71; 5. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I (V—X საუკუნეების ძეგლები), გამოსცა და ტაბულები დაურთო ი. **იმნაიშვილმა**, თბილისი, 1949, გვ. 177—204; მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული, თბილისი, 1953, გვ. 176—202.

[2] სინას მთის ერთ ქართულ ხელნაწერში ის იოანე საბანეანადაა მოხსენიებული (ი. **ჯავახიშვილი**, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 29).

[1] ი. **ჯავახიშვილი**, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), მეორე—მესამე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1945, გვ. 67—76; ს. **ჯანაშია**, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 393—398. თარგმნილია ის რუსულსა (M. **Сабинин**, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. I, СПБ., 1871, გვ. 166—178, Памятники древнегрузинской литературы, грузинский текст перевел, исследованием и примечаниями снабдил академик АН ГССР проф. К. С. **Кекелидзе**, Т., 1956, გვ. 29—60) და გერმანულ (K. **Schultze**, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Folge XII, 4, Leipzig, 1905) ენებზე.

მოებია. ამ დიდი მხატვრული ტილოს ავტორი, მართალია, გაქრისტიანებული არაბის თავგადასავალს გვაცნობს, მაგრამ ეს მისთვის არც მთავარია და არც არსებითი, ის მეტწილად ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობითაა დაინტერესებული. ი. საბანისძე უშუალო გულწრფელობითა და მარჯვე ოსტატობით მახვილგონიერულად წარმოგვიდგენს ქართლის პოლიტიკურ ვითარებასა თუ სარწმუნოებრივ მდგომარეობას. მგზნებარე პატრიოტს გულს უკლავს დამონებულ თანამოძმეთა ხილვა, უფლებააყრილ თანამემამულეთა ჩაგვრა და მშობელი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივი კატასტროფის მოახლოება. ღრმა გულისტკივილითა და მწარე განცდით აღწერს ის თანამედროვეთა მდგომარეობას: „ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნენს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“, ხოლო სხვანი „მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჯრ-ძჯრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ [1].

ქართველთა მძიმე და აუტანელი მდგომარეობით აღელვებული და გულდასერილი მამულიშვილი ენერგიულად შეუდგა ქართველთა შორის შენელებული და მიყუჩებული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და განმტკიცებას. ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის მან საჭიროდ მიიჩნია ქართველთა დარაზმვა ქრისტიანული დროშის ქვეშ, ქართველთა გაერთიანება ეროვნული ეკლესიის საშუალებით. არსებითად ი. საბანისძე არის პირველი ქართველი მწერალი, რომელიც მკვეთრი ეროვნული ლოზუნგებით გამოვიდა ძველ ქართულ ლიტერატურაში და მთელი არსებით შეუდგა ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებას [2].

ი. საბანისძე საკმაოდ დახელოვნებული მხატვარი და ცხოვრებაში ღრმადჩახედული მოაზროვნეა. ის მომხიბლავ ძალას ანიჭებს ოსტატურად დახატულ სურათებს; მისი სტილი დარბაისლურია, ენა—გამართული და ჩამოყალიბებული, სიტყვიერი მარაგი—საკმაოდ მდიდარი. ყოველივე აღნიშნული ი. საბანისძეს საპატიო ადგილს ანიჭებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში [1]. ამის გათვალისწინების შემდეგ ჩვენთვის აღარაა გაუგებარი თუ რატომ შეჩერდა სამოელ კათოლიკოსის (780—790) არჩევანი ი. საბანისძეზე, რად დაავალა ქართველმა მღვდელმთავარმა აბოს თავგადასავლის აღწერა მას და არა სხვა ვინმეს. მართალია, ი. საბანისძე აბოს თანამედროვე და თვითმხილველი იყო, ის ახლო იცნობდა აბოს და მეგობრობდა კიდეც მასთან, მაგრამ ეს არ კმარა-და იმისთვის, რომ სამოელის არჩევანი მასზე შეჩერებულიყო. როგორც ჩანს, მას უკვე ჰქონდა სათანადო სახელი მოხვეჭილი, მისი „წადიერებაჲ ღმრთისმსახურებისათჳს და ღმრთივმიმადლებული მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათჳს“ ცნობილი ყოფილა სამოელისათვის [2]. ეს გარემოება საფიქრებელს ხდის, რომ ი. საბანისძეს, ალბათ, სხვა თხზულებანიც ექნებოდა დაწერილი [3]. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ ი. საბანისძე სხვა თხზულებებსაც თბილისში დაწერდა, რადგან ის აქაურ მკვიდრად, აქაური მოვლენების კურსში მყოფ პირად გვეელინება.

საინტერესოა ქართული ეკლესიის საქეთმპყრობლის მოქმედებაც. როგორც მისი წერილიდან ჩანს, მას აღძვრია სურვილი: „რაჲთა დაიწეროს სანატრელისა (აბოსი — ლ. მ.) მარტჳლობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტჱს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა, კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაკსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“ [4].

[1] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 58.

[2] იქვე, გვ. 39—45; შდრ. ს. ყუბანეიშვილი, სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში (V — XII სს.), თბილისი, 1942, გვ. 9—14.

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 113—116; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), თბილისი, 1954, გვ. 65—90. საყურადღებოა აგრეთვე აკად. ვ. ვასილევსკის, J. Marquart-ის, P. Peeters-ისა და სხვ. შრომები.

[2] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 55.

[3] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 67, შენ. 1.

[4] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 55.

აღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეკლესიის წიგნსაცავში არა ერთი აგიოგრაფიული თხზულება ინახებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართველ მღვდელმთავარს აღძვრია სურვილი ქართული ეკლესიის მოწამის თავგადასავლის აღწერისა და სათანადო ლიტერატურული დოკუმენტის შესაქმნელად თბილისელი მოღვაწის, იოანე საბანისძისათვის მიუმართავს. თავისთავად ეს ფაქტი უკვე მოწმობს თბილისში ლიტერატურული ტრადიციების არსებობას და აქაურ მოღვაწეთა დაინტერესებას სასულიერო-საეკლესიო მწერლობით, კერძოდ—აგიოგრაფიით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აბოს საგალობელი („ქებაჲ წმიდისა აბოჲსი“), რომელიც ჭილ-ეტრატის „იადგარში“ (H № 2123) გვხვდება, შეიძლება ეკუთვნოდეს ი. საბანისძეს. თუ ეს სწორია, მაშინ აღნიშნული თხზულებაც თბილისში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ [1].

ი. საბანისძის შემდეგდროინდელი თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ჩვენ კარგა ხანს აღარაფერი ვიცით. საფიქრებელია, არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ აქაური ლიტერატურული ძალები დაასუსტა, მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეაფერხა, დასცა და დააკვეითა. თბილისი როგორც მძლავრი ცენტრი ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისა აღდგა და მთელი სიდიადით გამოჩნდა მე-12 საუკუნეში.

დიდად ზრუნავდა ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის გამოჩენილი ქართველი მეფე **დავით აღმაშენებელი** (1089 — 1125), რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გამოავლინა თავისი ცხოველი ინტერესი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობისადმი.

ძნელ ხანაში მოუხდა დავითს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყება. სამეფო დაუძლურებული იყო და თურქთა თავაშვებულობას საზღვარი არ უჩანდა: „მოოვრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“ [1]. მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი საქმიანობით, ბუნებრივი ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობითა და თავდადებული მოღვაწეობით დავითმა თავისი სამეფო გაჭირვებისაგან გამოიყვანა და წინ ნათელი პერსპექტივა გადაუშალა. „მოეშენა ქუეყანა ქართლისა“, „დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“. სახელოვანი, ძლევამოსილი ბრძოლების შედეგად „ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა“ [2]. მემატიანის ცნობით, დავითმა თავისი სამეფო გააძლიერა და გაამდიდრა, „განავსო და აღაშენა ყოველი ოჯერ-ქმნილი“ [3]. მართლაც, საქართველომ არნახულ წარმატებას მიაღწია; ის გაფართოვდა ტერიტორიულად, გაძლიერდა პოლიტიკურად, მოღონიერდა ეკონომიურად. შეიქმნა და განმტკიცდა ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული მძლავრი ფეოდალური მონარქია, რომლის ცენტრს მაჰმადიან მპყრობელთაგან განთავისუფლებული თბილისი წარმოადგენდა. ქართველთა ძველი დედაქალაქი მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად იქცა. თბილისში ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა ქართველ მეფეთა (დავით აღმაშენებლის, დიმიტრი პირველის, განსაკუთრებით—თამარის) მეცენატობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველი მეფეები არა მარტო ხელს უწყობდნენ მეცნიერებისა და ლიტერატურის უჩვეულო წინსვლასა და განვითარებას, არამედ, შეძლებისდაგვარად, თვითონაც შეჰქონდათ წვლილი ამ დიდ საქმეში. აქ პირველ რიგში დავით აღმაშენებელი უნდა მოვიხსენიოთ.

დავითი, მემატიანის ცნობით, თავის თავს „უსწავლელსა“ და „სწავლულებისა და მეცნიერებისაგან დაშორებულს“ უწოდებდა [4], მაგრამ ეს მხოლოდ მისი თავმდაბლობის გამოხატულება იყო და სინამდვილეს, რასაკვირველია, არ ასახავდა.

[1] ჯ. კეკელიძე, ახალი საგალობლები აბო თბილელისა, „მწყემსი“, 1905, № 13 — 14, გვ. 3—6; К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Т., 1903. გვ. 357 — 358, შენ. I; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები (VIII—X საუკუნეები), თბილისი, 1913, გვ. ზ—ი; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 325—326.

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 324.

[2] იქვე, გვ. 342.

[3] იქვე, გვ 346.

[4] იქვე, გვ. 357.

დავითი იყო უაღრესად განსწავლული და ფრიად განათლებული პიროვნება, გულუხვი მეცენატი და ნაყოფიერი შემოქმედი. მან ადრევე ღრმად შეისწავლა ღვთისმეტყველება, სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, ისტორია, ვარსკვლავთმრიცხველობა და მეცნიერების სხვა დარგები. ძირითად წყაროს ცოდნის შესაძენად დავითისათვის მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურა წარმოადგენდა [1], მაგრამ ის საკმაოდ გაწაფული მაჰმადიანურ ლიტერატურაშიც, კერძოდ, კარგად, საფუძვლიანად შეუსწავლია ყურანიც (მუჰამედ ალ-ჰამავის ცნობა) [2].

დავითი უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრისას თუ სამხედრო ოპერაციების ჩატარების დროსაც არ ივიწყებდა წიგნებს და თან დაჰქონდა ისინი ლაშქრობაში, მგზავრობასა თუ ნადირობაში. ასეთ პირობებშიც კი ახერხებდა ის დრო გამოენახა კითხვისათვის. „დღე და ღამე მიმოსვლათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტჯრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდაჴდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“ [3]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნადირობის ჟამს ის წიგნების კითხვით იყო გართული, „წიგნნი აქუნდიან ჴელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ეისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის“ [4]. საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისას წიგნის კითხვამ დაღუპვის პირას მიიყვანა სახელოვანი მამულიშვილი და მხოლოდ საოცარმა ვაჟკაცობამ იხსნა ის მარცხისგან [5].

დღენიადაგ კითხვამ და მეცადინეობამ საესებით განსაზღვრა დავით აღმაშენებლის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, როგორც შემოქმედისა და მეცენატისა, და მას დიდი მეცნიერისა და მოაზროვნის სახელი მოუპოვა. საინტერესოა მემატიანის მიერ შემონახული სიტყვები არაქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც აღუფრთოვანებია და გაუოცებია დავითის განსწავლულობას ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი პაექრობის დროს: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“ [1].

დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. მის პოლიტიკურ ღონისძიებათა სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის საკითხს. მისი ენერგიული ღონისძიებების შედეგად რუის-ურბნისის კრებამ (1103 წ.) მოსპო წოდებრივი უპირატესობა ქართულ ეკლესიაში და განსაკუთრებული მნიშვნელობა პირად ღირსებას მიანიჭა.

დავითი სხვა დროსაც არ აკლებდა ყურადღებას ქართულ ეკლესიას და შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს მის საქმიანობას ძალზე გულუხვად ეხმარებოდა საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. მემატიანის ცნობით, მან „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კჳპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თჳთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. მთასა სინასა აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით...“ [2]

საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტერთაგან საგანგებოდ უნდა დავასახელოთ შიომღვიმე, რომელიც დავითის ზედამხედველობის ქვეშ

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 347; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 122. დავითისათვის უნდა იყოს გადაწერილი საკითხავთა კრებული S № 384 (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბილისი, 1892, გვ. 19, 221, 236; შდრ. ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 363).

[2] M. Brosset, Additions et E'claircissements á L'Histoire de la géorgie, St.-P., 1851, p. 237.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 348.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 349—350.

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 357.

[2] იქვე, გვ. 352—353; შდრ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1953, გვ. 253.

იყო და მისი მხარდაჭერითა და დახმარებით სარგებლობდა[1].

დავითი არ კმაყოფილდებოდა არსებულით. მან „მოიგონა აღშენება“ ახალი მონასტრისა და 1106 წელს გელათის ტაძრის მშენებლობას შეუდგა. მალე ის თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იქცა. დავითმა იქ შეკრიბა „კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანასა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჴორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და გამოიძინა, მოიყუანნა და დაამკჳდრნა მას შინა“. საგულისხმოა, რომ დავითი ახალგაზრდებს საბერძნეთში აგზავნიდა სასწავლებლად და განათლების მისაღებად (ვარდან დიდი)[2], ხოლო იქიდან და მახლობელი აღმოსავლეთიდან იწვევდა ქართველ მეცნიერებს და სამშობლოში მოღვაწეობისაკენ მოუწოდებდა. ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ დავითის დროს, 1114 წელს, საქართველოში დაბრუნებულან არსენ იყალთოელი, იოვანე ტარიჭისძე და სხვა ქართველი სწავლულები[3].

დავითი თავგამოდებით ზრუნავდა ქართველ მეცნიერებსა და მწერლებზე, მხარში უდგა, ეხმარებოდა მათ. ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის „დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილი“ მოღვაწეობდა[1]. დავითთან ახლო იყო არსენ იყალთოელიც.

დავითის ენერგიული ზომებითა და ქართველ მეცნიერთა მრავალმხრივი საქმიანობის შედეგად გელათის აკადემია იქცა „მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“[2]. ე. ი. ის მიჩნეულ იქნა როგორც საეროფილოსოფიური, ისე სასულიერო-საეკლესიო განათლების თვალსაჩინო ცენტრად[3].

დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თბილისში დასახლებულ მოღვაწეებს: მწერლებს, მეცნიერებს, მწიგნობრებს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის ცნობით, დავითმა თბილისში პოეტებისათვის თავშესაფარი ააგო, მათ ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა[4].

დავით აღმაშენებელი არა მარტო ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მწერლობას, არა მარტო სხვებს მოუწოდებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ, არამედ თვით თხზავდა ჰიმნებს და, შეძლებისდაგვარად, წვლილი შეჰქონდა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. მისი სახელით მოღწეული თხზულება „გალობანი სინანულისანი“ ყურადღებას იქცევს სიტყვაკაზმულობით, აზრის სიღრმით, გრძნობის უშუალობითა და განცდის გულწრფელობით[5]. ის კარგად გვიჩვენებს

---

[1] Грузинские церковные гуджвари (грамоты), составил Д. Пурцеладзе, Т., 1891, გვ. 94—96; Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Т., 1895; მისივე, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჟანის ქვაბთა, თბილისი, 1896, გვ. 14—19; შდრ. მისივე, ქრონიკები, I, გვ. 243; II, თბილისი, 1897, გვ. 94—96; ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისთვის დაწერილი, ტექსტი გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბილისი, 1912, დავით აღმაშენებელი შიომღვიმის ეკლესიის მშენებლად იხსენიება გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ გადაწერილ ტიბიკონშიც (H № 1349, 116 r).

[2] Вардан великий, Всеобщая история, М., 1861, გვ. 147.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334; შდრ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 225, 241. აღნიშნული ცნობა შემოუნახავს „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერს (S №№ 25, 30, 4770; A № 131; H № 2080).

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 222.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330—331.

[3] გელათის აკადემიაზე იხ. ე. თაყაიშვილი, ჴელმწიფის კარის გარიგება, თბილისი, 1920, გვ. XXXII; გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 108—112; ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1947.

[4] M. Brosset, Addit., p. 241; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 217; შდრ. მ. ჯანაშვილი, პოეტთა აკადემია საქართველოში, თბილისი, 1932, გვ. 14, 26. დავითის შეფობაში, საფიქრებელია, განვითარდა საერო-მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია.

[5] შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში (A №№ 85, 290, 518, 1290; K №№ 22, 94 და სხვ.). გამოცემები: „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1865, № 2, იელისი, გვ. 1—12; საქ. სამოთხე, გვ. 513—518; ქრონიკები, II, გვ. 104—107; ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I,

ავტორის საღვთისმეტყველო განათლებასა და ლიტერატურულ გემოვნებას, ნათლად გვაცნობს მისი ცხოვრების ინტიმურ მხარეს და რელიგიურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარდა დასახელებულისა, დავითს დაუწერია სხვა თხზულებანიც[1]. სამწუხაროდ, სათანადო მასალა ჯერ არაა მიკვლეული და გამომზეურებული, მაგრამ, თავისთავად, ძნელი დასაჯერებელი არაა, რომ დავითს სხვა თხზულებანიც დაეწერა. ასე წარმოგვიდგება ჩვენ დავითის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა[2].

დავითის ხანის ლიტერატურული წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია ა რ ს ე ნ ს ა ღ ი რ ი ს ძ ე, ძმა ცნობილი ქართველი მოღვაწეების ანტონ ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა და იოანე ანჩელისა[3]. ის დავითის ახლო მეგობარი და მესაიდუმლე ყოფილა. თავის ნაწერებში არსენი წარმოგვიდგება როგორც დავით აღმაშენებლის პოლიტიკის მომხრე და ერთგული ქომაგი, ამ პოლიტიკის დამცველი და გამტარებელი. თავის მრავალმხრივ საყურადღებო ისტორიულ თხზულებაში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“[4], რომელიც ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ზემოთ, ის გვეელინება როგორც მეფის პირადი ღირსებითა და სახელმწიფოებრივი საქმიანობით აღტაცებული მწერალი და თანამემამულეთა სასახელო გამარჯვებებით აღფრთოვანებული მგზნებარე პატრიოტი. ის, ჩანს, ყველგან და ყოველთვის თან ახლდა დავითს, იცნობდა მის ინტიმურ ცხოვრებას. არ სცილდებოდა მას ნადირობასა და ლაშქრობაშიც კი; იცოდა მისი აზრი, სულისკვეთება, გულისნადები და მისწრაფებანი. არსენი საკმაოდ სრულად გვაცნობს დავითის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-საეკლესიოსა და კულტურულ საქმიანობას. ის ღრმად განათლებული ისტორიკოსი და მეფის პიროვნებით აღტაცებული მეხოტბეა. მეფესთან მის ახლო ყოფნას ამოწმებს ის გარემოებაც. რომ დავითი მას, „სასოს და განმანათლებელს“ უწოდებდა. გარდა დასახელებული თხზულებისა დავითის მოძღვრისა— არსენ საღირისძის კალამს მიეწერება დავითის ანდერძი შიომღვიმისადმი ბოძებული[1], მისივე ანდერძი გარდაცვალების წინ[2], დავითის შესხმა[3], საყურადღებო იერიდიული ძეგლი—რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის-წერა[4] და ისტორიულ-აგიოგრაფიული თხზულება: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმაც ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ“[5]. ის ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც: დავით აღმაშენებლის ბრძანებით თარგმნა ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“, რომელიც ქართულ კილოზე იოანე კათოლიკოსმა გააწყო[6]; უთარგმნია მას სხვა თხზულებანიც[7]. არსენ საღირისძე ძველი ქართული

გვ. 374—376; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 600—606, 652. დავითის ზოგიერთი გამონათქვამი დაიბეჭდა ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „ივერიაში“ 1898 წელს (№№ 70, 103, 105, 111, 126).

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 119, 121, 122, 133—135.

[2] დავითის კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 251—253; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 210—222.

[3] პ. ც ხ ვ ი ლ ო ნ ლ ი, ტბეთის ტაძრის სახარება ტყავზე დაწერილი, „ივერია“, 1890, № 229; Е. Такайшвили, Тбетское четвороевангелие XII века, МАК, XII, 1909, გვ. 158.

[4] უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—368. ამ ნაწარმოებზე იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, თბილისი, 1913, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208—219; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 143—148.

[1] იხ. ზემოთ გვ. 136, შენ. 1; ანდერძში მოხსენიებული არსენი არის არსენ ბერი, საღირისძე და არა იყალთოელი, როგორც თ. ჟორდანიას ეგონა (ქრონიკები, I. გვ. 243). ზოგიერთ მკვლევარს ეს ანდერძი დავითის დაწერილად მიაჩნია (ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საბა ტუსიშვილის „ანდერძისებრნი ღუწანი“, „ქართული ხელოვნება“, III, თბილისი, 1950, გვ. 218).

[2] A № 1448, H № 1196, H № 2854; K № 189; საქ. სამოთხე, გვ. 512—513; ქრონიკები, II, გვ. 51—52.

[3] A №№ 76, 1102, 1114; K № 17, K № 25; Q № 205; საქ. სამოთხე, გვ. 528—529; ქრონიკები, II, გვ. 68—69; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 380.

[4] საქ. სამოთხე, გვ. 518—530; ქრონიკები, II, გვ. 56—72.

[5] ა რ ს ე ნ ი, ცხოვრება წმიდა ნინოსი, თბილისი, 1902; ამ ძეგლზე იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, უსევდო-არსენი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 475—482.

[6] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 37—38; Н. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 203—204.

[7] К. Кекелидзе, Литургические памятники, გვ. XXII.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საყურადღებო წარმომადგენელია[1].

დავით აღმაშენებლის ღირსეული თანამედროვე და თანამოღვაწე იყო გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი, მემატიანის დახასიათებით, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჭორცთასა, საესე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანაღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“[2]. ის დავითის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე, ხელისშემწყობი და მიმდევარი იყო. 1103 წელს გიორგი მწიგნობართ-უხუცესად იყო და ამ სახელოს მფლობელად იხსენიება რუის-ურბნის კრების დადგენილებაში („ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართ-უხუცესისა...“)[3]. 1103--1110 წლებში მან ჭყონდიდლობაც მიიღო[4]. ის იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც მწიგნობართ-უხუცესისა და ჭყონდიდლის თანამდებობანი გააერთიანა და შეათავსა. ადრე ეს ორი სახელო ცალ-ცალკე არსებობდა. მე-12 საუკუნეში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა, მწიგნობართ-უხუცესის ხელმაც განსაკუთრებული ცვლილება განიცადა. მწიგნობართ-უხუცესი მეფეს ერთგულობდა, მას ემხრობოდა, მის მოწინააღმდეგეებს ებრძოდა. დავითმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მწიგნობართ-უხუცესის განდიდებასა და გაძლიერებას. მას ჭყონდიდლობა უბოძა და უწარჩინებულეს მღვდელმთავრად განაჩინა. განსწავლულმა მეფემ უღირსი მღვდელმთავრები ჩამოიცილა, ეკლესიის მართვა-გამგეობა მის მესვეურთ ჩააბარა, მაგრამ მათზე უშუალო ზეგავლენის მიზნით ჭყონდიდლის ინსტიტუტი დაიკანონა, ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესად თავისი ერთგული გიორგი განაწესა და საერო და საეკლესიო ხელისუფლება გააერთიანა[1]. მის მიერ გიორგისათვის ესოდენ დიდი პატივის მიგება ცხადყოფს, თუ როგორ აფასებდა თავის ერთგულ ადამიანს ქართველთა სახელოვანი მეფე.

საფიქრებელია, ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი ახლო ურთიერთობაში იყო კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკებთან. მართალია, მისი სახელით ლიტერატურულ პროდუქციას ჩვენამდე არ მოუღწევია[2], მაგრამ მისი საპატიო თანამდებობა, რამდენადმე, გვაძლევს უფლებას ის განათლებულ პირად, მეცნიერად და მწიგნობრად მივიჩნიოთ. ჩვენთვის ცნობილი მასალებით აქ მხოლოდ ის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გიორგი სხვებს ავალებდა ხელნაწერთა გამრავლებასა და ახალი ნუსხების დამზადებას. ასე, მაგალითად, მისი დაკვეთით სვიმონ მწერალს გადაუნუსხავს მათეს სახარების თარგმანება (A № 1114).

დავით აღმაშენებელი არა მარტო თვით თხზავდა ორიგინალურ ნაწარმოებებს ან სხვებს უწევდა დახმარებასა და მფარველობას, არამედ საკუთარ ოჯახშიც ნერგავდა ლიტერატურულ ტრადიციებს. ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობითა და ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული ყოფილა დავითის ვაჟი დიმიტრი პირველიც (1125—1154). ის იოანე ბაგრატიონის დახასიათებით, „იყო მშვენიერი რიტორი, პიიტიკოსი და შემთხზველი უცხოდ

---

[1] არსენ საღირისძის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 289—294.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[3] საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, II, გვ. 71.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 197.

---

[1] ჭყონდიდელზე იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, თბილისი, 1928, გვ. 124—140; ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის ინსტიტუტის აღმოცენების, ისტორიისა და უფლება-მოვალეობის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავახირო ფეოდალურ საქართველოში, ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 391—412; X, 1941, გვ. 281—302 (იხ. აგრეთვე მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 325—329).

[2] ხ. ბეჭინაძე მას მიაწერდა ზოგიერთ თხზულებას („აღაპი“, „სიმონ კანანელისა და ანდრია მოციქულის ცხოვრება“), მაგრამ მისი განცხადება უსაფუძვლო და მცდარი იყო (ხ. ბეჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თბილისი, 1887, გვ. 29). საგულისხმოა, რომ სხვა შრომაში მკვლევარი ერთი ხემოდასახელებული ძეგლის ავტორად ბასილ მთავარეპისკოპოსს ასახელებდა (ხ. ბეჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე, თბილისი, 1885, გვ. 23). ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 56, შენ. 2; გვ. 313, შენ.

'შაირთა, რომელმანც მრავალნი სწავლანი გამოთქვა"[1]. ღრმად განსწავლული და მწიგნობრობას დაწაფებული დიმიტრი ახლო ურთიერთობაში ყოფილა მწერლებთან და მეცნიერებთან. არაბი ისტორიკოსის ალ-აზრაკ ალ-ფარიკის ცნობით, დიმიტრის დამოკიდებულება „მეცნიერებისა და კეთილსათნოების ხალხთან მოკრძალებული და გულუბვი ყოფილა"[2]. მეამბოხე და ურჩი შვილის მიერ ტახტმიხდილი დიმიტრი, ზოგიერთი ცნობით, ბერად შემდგარა და გარეჯის უდაბნოში აღკვეცილა დანიილისა (A № 186) თუ დამიანეს (პლ. იოსელიანი) სახელით. ანტონ პირველისა და პლ. იოსელიანის ცნობით, იქ დიმიტრის ფრესკაც კი იყო შემონახული[3]. გარეჯის მონასტერში დღესაცაა დაცული დიმიტრი II თავდადებულის პორტრეტული გამოსახულება[4]. ეს მიიჩნიეს დიმიტრი პირველის სურათად, თუ არსებობდა მეორე ფრესკაც, ამჟამად ძნელი გასარკვევია. სხვა მასალა დიმიტრის გარეჯაში მოღვაწეობის შესახებ არ გაგვაჩნია.

დიმიტრის სახელით მოღწეულია მცირე, მაგრამ საყურადღებო ლიტერატურული მემკვიდრეობა—იამბიკოები. მათ შორისაა უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული სიმღერის ტექსტიც („შენ ხარ ვენაჯი, ახლად აღყვავებული")[5]. საფიქრებელია, დიმიტრის კარზე განვითარებული იყო სახოტბო პოეზიაც[6].

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 180. დიმიტრი კარგად ფლობდა აღმოსავლურ ენებს (ТРА-ГФ, IV, СПБ., 1902, გვ. 25, შენ. 1).

[2] ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, XIV, 1943, გვ. 141. შდრ. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, სტალინის სახელობის თსუ სამეცნიერო სესიების მოხსენებათა კრებული, თბილისი, 1947, გვ. 40.

[3] ანტონ I, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1853, გვ. 273.

[4] Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Т., 1948, გვ. 73—74, ტაბ. 14.

[5] A № 342; H № 1283; K № 564; არქ. № 258; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მ, „ივერია", 1898, № 128; ჟურნ. „ჯუარი ვახისა", 1906, № 8, გვ. 10; ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, I, თბილისი—ქუთაისი, 1928, გვ. 25; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 381; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 295—296.

[6] დიმიტრის კარზე არსებული სახოტბო პოეზიის შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს

ქართული ფეოდალური მონარქია კიდევ უფრო განმტკიცდა და ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარის მეფობაში (1184—1213). ფართოდ გაიშალა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობაც.

თამარი დიდი გულუხვობით ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს. ეს გარემოება იმდენად შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მისი აღნიშვნა საჭიროდ დაუნაახავს თამარის სამივე ისტორიკოსს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თამარმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენნა, არამედ პალესტინეს და იერუსალემს ააშენნა პირველად მონასტერნი და კუალად კვპრეს და ღალიას, უყიდნა შესაველნი და შეამკო ყოველითა წესითა პატიოსნისა მონასტრისადთა, და კუალად კონსტანტინოპოლისი აღაშენა მათ თანა"[1].

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, მეფემ დახმარება აღმოუჩინა „კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა და პეტრიწონს, კერძოთა თრაკიისათა და კონსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისაერიას, კურუსეთს და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა..."[2] ანალოგიური ცნობები შემოუნახავს ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესაც[3].

როგორც ჩანს, ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში მოღვაწე ქართველ მეფეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ საკულტო, არამედ, აგრეთვე, სამეცნიერო-საგანმანათლებლოსა და მწიგნობრულ დაწესებულებებს, რომლებიც ღირსნი იყვნენ ქართველ ბაგრატიონთა ყურადღებისა და მფარველობისა. თა-

(პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბილისი, 1938, გვ. 71—72). კარის პოეტები ყოფილან გიორგი მესამის დროსაც (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის დადგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, გვ. 55—56).

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი გვ. 123—124.

[2] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა, ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 19.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.

მარის შეუნელებელი ინტერესი ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი ნაწილობრივ მაინც მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებით უნდა აიხსნას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თამარი ყოველთვის ენერგიულად ზრუნავდა ქართულ ეკლესიაზე. მის აწმყოსა და მომავალზე. მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი საქმიანობით გატაცებული მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო-სარწმუნოებრივი საკითხების დაზუსტებასა და გარკვევას, თვალს ადევნებდა ქართული ეკლესიის ცხოვრებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ახლო იყო ქართველ მღვდელმთავრებთან (ნიკოლოზ გულაბერისძე, ანტონ გლონისთავისძე და სხვ.). მისი გამუდმებული ზრუნვისა და რუდუნების შედეგად ქართული ეკლესია აღმავლობის გზას დაადგა და განმტკიცდა („სარწმუნოება განმტკიცნებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალფერთა მიერ სამკაულითა"), ქართულმა სასულიერო-საეკლესიო მწერლობამ ახალ წარმატებებს მიაღწია.

როდესაც თვალს ვადევნებთ თამარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ძალაუნებრივ იბადება აზრი თამარის ორიგინალური შემოქმედების შესახებ. საფიქრებელია, დიდებული ქართველი ქალი თვითონაც იღებდა მონაწილეობას ლიტერატურულ საქმიანობაში და, შეძლებისდაგვარად, ქმნიდა ორიგინალურ ნაწარმოებებს.

მკვლევარმა პ. ინგოროყვამ კარგა ხანია გამოთქვა მოსაზრება ამ საკითხზე. მან თამარს მიაკუთვნა 6 იამბიკო, მათგან ორი ადრეც კარგად იყო ცნობილი (ხახულის ხატის წარწერა და შამქორის გამარჯვების აღსანიშნავი ლექსი), ხოლო 4 (მარიამ მეგვიპტელის, გიორგისი, თევდორესი და თამარისი)—ხელნაწერებში იქნა მიკვლეული[1]. პატივცემული მეცნიერის ინტერესი თამარის პოეტური მემკვიდრეობისადმი სავსებით გასაგებია, მისი ცდა თამარის პოეტურ ქმნილებათა გამოვლენისა მისასალმებელია და მოწონებას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალა არ გვაძლევს საფუძველს, რომ აღნიშნული იამბიკოები თამარის კუთვნილებად მივიჩნიოთ. ამრიგად, თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა ახლაც ისეთივე ბურუსითაა მოსილი, როგორც წინა წლებში. ამ საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარის მეცენატობა, რაზეც ნათლად მიგვითითებს თუნდაც ის გარემოება, რომ მისი სასახლე გადაიქცა მწერლებისა და მეცნიერების ნამდვილ საერთო საცხოვრებლად, როგორც ამას მართებულად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე[1].

ძველ მემატიანეთა წიგნებში არა ერთი ცნობაა შემონახული ამ საკითხზე. თამარის კარის ისტორიკოსებს საგანგებოდ აქვთ აღნიშნული სამეფო კარზე გამართულ მეჯლისებსა და დღესასწაულებში მგოსანთა მონაწილეობა. მემატიანის ცნობით, ერთგზის „იქმნა სიხარული გამოუთქუმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა და მოყმეთასა, უკლებობასა მრავალგუართა სახეობათა მუტრიბთა და მოთამაშეთასა..."[2].

სხვა დღესასწაულის დროს „იყო ზმაჲ მგოსანთაჲ და მუშაითთა სახეობათა ჭურეტანი და რაზმთა სიმრავლე და სრულქმნაჲ ამასა შინა"[3]. ან კიდევ: „იყო სიკეთე, სიტურფე გამოუთქუმელი, სიხარული და ზმაჲ მგოსანთაჲ და მოშაითთაჲ"[4]. ეს უკანასკნელი გვაცნობს პოეტთა შეჯიბრს თბილისში, თამარის კარზე აღსართან II შირვან-შაჰის ყოფნისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღსართანი მოყვარული და მეცენატი იყო პოეზიისა; მის კარზე, აგრეთვე ამალაში, მრავლად იყვნენ მგოსნები. საფიქრებელია, საქართველოში ჩამოსულს თან ახლდნენ კარის პოეტები, რომლებიც ადგილობრივ ოსტატებთან ცდიდნენ თავისი მხატვრული სიტყვის ძალას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღსართანს საქართველოში ახლდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი[5]. აქვე უნდა მოვიგონოთ

[1] პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი", 1941, № 3, გვ. 115—153.

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 31.

[2] ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, გვ. 86.

[3] იქვე, გვ. 89.

[4] იქვე, გვ. 104.

[5] კ. კეკელიძე, საქართველო და ნიზამი განჯელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, გვ. 83 (საქართველოში გამომგზავრებაზე ოცნებობდა შირვანის შაჰის კარზე მოღვაწე მეორე დიდი პოეტი ხაკანიც).

მემატიანის შემდეგი სიტყვები: „სახლთა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყუნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განპეჭასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან. ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან: ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან, ესრეთ ყოველნი სოფელნი სავსე იყო მის მიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმიოდეს“ [1].

მართალია, აქ გარკვეულ გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მემატიანის ჩვენება მაინც საგულისხმოა, რადგან აქ შემორჩენილია ცნობა თამარის დიდებით აღფრთოვანებულ მეხოტბეთა შესახებ. ეს გარემოება სხვა წყაროებითაც დასტურდება.

თამარის ხანაში არნახულ წარმატებას მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ. დაიწერა თუ ითარგმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მაღალმხატვრული თხზულებანი: „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ. მართალია, ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი ხასიათის ცნობები დასახელებული ძეგლების თბილისში დაწერისა თუ ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ მათში ისე სრულადაა გამოვლენილი ქართული სამეფოს ცენტრის ინტერესები და მისწრაფებანი, აზრები და ზრახვები, სურვილები და იდეალები, რომ ძნელია მათი თბილისის კულტურულ-ლიტერატურული გარემოდან გამოთიშვა. ყველა ზემოდასახელებული ძეგლი, საფიქრებელია, თბილისშია ჩამოყალიბებული.

თამარის ხანის ლიტერატურული ძეგლებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართველი ხალხის უდიდესი სულიერი კულტურის დიდებულად გამომხატველი ნაწარმოები, ჩვენი მდიდარი და ღრმაშინაარსიანი სიტყვაკაზმული მწერლობის უჭკნობი გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“. ქართული მხატვრული სიტყვის ჯადოქარი შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი უცილობლად თამარ მეფის ახლობელი თანამოღვაწე იყო. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ პოემის ავტორი თავის უკვდავ ქმნილებას უძღვნის თამარს, რომელსაც გვისახელებს თავის შთამაგონებლად. თამარის დიდბუნებოვანებითა და დავით სოსლანის ძლევამოსილებით აღტაცებული მგოსანი სიყვარულით აღსავსე ქებათა-ქებას უძღვნის მათ. რუსთაველი ბრწყინვალედ გვიხატავს რთულსა და მრავალფეროვან საზოგადოებრივ ცხოვრებას, კარგად ახასიათებს პატრონყმობის ინსტიტუტს, შესანიშნავად უმღერის ადამიანის გამაკეთილშობილებელი გრძნობების თავისუფლებას, სიყვარულის ამამაღლებელ ძალას, თავგამოდებით ქადაგებს სამშობლოს სიყვარულის; ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიად იდეებს და თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებით წინ უსწრებს თავის ეპოქას. დიდი შემოქმედის დაუნჯებული გონებით შექმნილი პოემა დღესაც გვაჯადოებს თავისი ჩანაფიქრით, გვიხიბლავს ცხატვრული სამოსის ელვარებით. გვიტაცებს და გვაფრთოვანებს მაღალი იდეებით, რომელიც მას ზოგად საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს და მსოფლიო კულტურის საგანძურში ფრიად საპატიო ადგილს უმკვიდრებს.

თამარის ხანაში განსაკუთრებული ძალით განვითარდა საკარო-სახოტბო პოეზია. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარზე ადრეც მოღვაწეობდნენ პოეტები და ისტორიკოსები, რომლებიც მეფეთა ქება-დიდებით იყვნენ გატაცებულნი და თავიანთ ნაწერებში მათ ხოტბას იძლეოდნენ. სახოტბო პოეზია და კარის ისტორიოგრაფია კიდევ უფრო მაღალ საფეხურს აღწევს თამარის მეფობაში, როდესაც ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. მეფეთა სამსახურში მყოფი კალმოსანტატენი მეფის იდეალიზაციას ახდენდნენ. რასაკვირველია, აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის გარემოება, რომ ისინი უფლებრივად თუ მატერიალურად თავიანთ ქების ობიექტებზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ, მიუხედავად გარკვეული შეზღუდულობისა, ისინი მაინც ახერხებდნენ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას. ასეთი რიგის ნაწარმოებებიდან ჩვენამდე მოღწეულია „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“.

„აბდულმესიანი“ ვრცელი და შინაარსიანი საყურადღებო სახოტბო ძეგლია. ის არსებითად თა-

[1] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 34.

მარისა და დავითის ქებათა-ქებას წარმოადგენს. თხზულების ავტორი,—თამართან ძალზე დაახლოებული მწერალი იოანე შავთელი,—თამარის თაყვანისმცემელი, მისი პოლიტიკის დამცველი და მისი საქმიანობის აპოლოგეტია. ის თავის ქების ობიექტებს წარმოგვიდგენს ძალზე იდეალურად, მიაწერს მათ ყოველგვარ დადებით თვისებას, მიჩნევს მათ სიბრძნისა და გონიერების, სიწმინდისა და სიფაქიზის განსახიერებად; აქებს მათ განსწავლულობასა და მართლმსაჯულობას, მეუღლეობრივ სისპეტაკეს. აღტაცებულია ქართველთა გამარჯვებებითა და დაწინაურებით. მას გულს უხარებს თამარის დროის საქართველოს ძლიერება და სიმტკიცე. აღნიშნული გარემოება არანაკლებ აღაფრთოვანებს იმ ხანის მეორე მოღვაწეს, სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელს ჩახრუხაძეს, რომელმაც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგინა თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი „თამარიანში". მძაფრი პოლიტიკური განწყობილების ამსახველ ნაწარმოებში ავტორმა დიდების ჰმნნი უძღვნა თამარის სიბრძნესა და ზნეფაქიზობას, ჰუმანურობასა და სწორუპოვრობას. პოეტს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო, მის გულს ახარებს თანამემამულეთა მიერ სამხედრო ოპერაციების სახელოვნად დამთავრება და ბრწყინვალე გამარჯვებათა მოპოვება; მას აღაფრთოვანებს ქართველთა დიდებული აწმყო და იმედის თვალით შესცქერის მომავალს, რომელსაც აცისკროვნებს და სხივს ჰფენს ტახტის მემკვიდრე გიორგი ლაშა.

შავთელი და ჩახრუხაძე ქართულ სახოტბო პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. ისინი კარგად გვაცნობენ თამარის კარზე მოღვაწე მწერლების განწყობილებას და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქართულ სახოტბო პოეზიაზე, რომელიც განსაკუთრებული ძალისა სწორედ მათ ხანაში იყო.

საფიქრებელია, თამარის კარზე ჩამოყალიბდა საგმირო-საფალავნო მოთხრობათა კრებული „ამირანდარეჯანიანი", რომელსაც ტრადიცია მოსე ხონელს მიაწერს. ის ნათლად ასახავს სამხედრო-ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, იცავს პატრონყმობის საფუძვლებს, ადიდებს მეფეთა ღირსებას, ვაჟკაცთა გულოვნებასა და რაინდთა შემმართებლობას და წარმოგვიდგენს რაინდის იდეალს. „ამირანდარეჯანიანი" გვიჩვენებს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების იმ სურათს, რომელიც მისი დროის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. მას ეხმაურება სარგის თმოგველის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი", რომელიც ასახავს ე. წ. მაღალი საზოგადოების ცხოვრების ინტიმურ მხარეს და დაუცხრომელი სიყვარულის აპოლოგიას წარმოადგენს. სატრფიალო-სამეჯნურო თხზულების ქართველი მთარგმნელი საკმაოდ თავისუფლად ეკიდება დედანს, შეაქვს მასში რედაქციული ცვლილებანი, აძლიერებს პატრიოტულ მოტივს, აცხოველებს მშობლიური მამულის სიყვარულის დიად გრძნობას.

საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწეობდა მე-12 საუკუნის ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე ჭიმჭიმელი. ის ძალზე განსწავლული და მომზადებული პირი ყოფილა. მართალია, ის ძირითადად ეგზეგეტიკური მწერლობის დარგში მოღვაწეობდა, მაგრამ ფილოსოფიისადმიც დიდ ინტერესს იჩენდა და თანამემამულეებსაც აჩვენდა ფილოსოფიურ-რელიგიურ მსჯელობას. მისი სახელითაა მოღწეული თარგმანები მიტროფანე სმირნელის, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა და სხვათა შრომებისა.

მემატიანის ცნობით, ი. ჭიმჭიმელი საისტორიო მწერლობის ასპარეზზეც მოღვაწეობდა, კერძოდ, აღუწერია დიმიტრი პირველის მეფობა. მატიანეში საგანგებოდაა აღნიშნული: დიმიტრის „დიდებითა, სიმკვნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობაჲ"[1]. სამწუხაროდ, აღნიშნულ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. არაა შემონახული იოანე ჭიმჭიმელის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს თამარ მეფის დაკრძალვაზე. მისგან მხოლოდ ფრაგმენტია გადარჩენილი[2].

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 140; მსჯელობა თამარისა და დავით სოსლანის მეხოტბე პოეტის მილიტეველის შესახებ (პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, გვ. 56, 70—71) არადამაჯერებელია. ამ საკითხზე იხ. ი. ლოლაშვილი, იყალთოელისა და ჭიმჭიმელის იამბიკოებისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება", 27. VIII. 1950, № 35 (332).

ი. ჰიმჰიმელის სამეფო კარის ხელმძღვანელებთან ახლოს ყოფნა გვაძლევს უფლებას, ის მივიჩნიოთ თბილისელ მოღვაწედ [1].

თამარის დროის გამოჩენილი მოღვაწეა ანტონ გლონისთავისძე, მემატიანის განცხადებით, „ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სუიანი და ერთგული". ის ადრევე ჰყონდიდელი იყო, მაგრამ მიქაელ კათოლიკოსმა წაართვა ეს სახელო და თვით მიიტაცა. ანტონი ერთ ხანს გარეჯაში მოღვაწეობდა.

მიქელის გარდაცვალების შემდეგ თამარმა ანტონ გლონისთავისძე დაამტკიცა „ჰყონდიდლად, მწიგნობართა-უხუცესად და (ვაზირთა) ვაზირად". ანტონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ის ხშირად იხსენიება საისტორიო წყაროებსა და სიგელ-გუჯრებში [2]. როგორც ირკვევა, ის თვალს ადევნებდა კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკების საქმიანობას და თვითონაც ცდილობდა წვლილი შეეტანა ამ საქმეში. მისი ინიციატივითაა თარგმნილი სპარსულიდან (აკად. ნ. მარი) თუ არაბულიდან (აკად. ე. თაყაიშვილი, პროფ. ალ. ხახანაშვილი) „წიგნი სააქიმოჲ". ამ ძვირფასი და უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლის შემცველ ხელნაწერს დაუცავს საინტერესო მინაწერი: „ესე წიგნი სააქიმოჲ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონმან ჰყონდიდელმან, მისმან მწიგნობართ-უხუცესობამან, პროტოჲუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება მოზავმან და საღმრთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჭელის-მპყრობელმან უღონოთა ქურივთამან, ქართულად მათარგმანინა მე, მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა" [3]. საკამათო არ უნდა იყოს, რომ აქ საუბარია 1204 წლის ბრძოლაზე, როდესაც ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს რუმის სულტანის რუკნადინის მრავალრიცხოვან ლაშქარზე.

როგორც ციტირებული მინაწერი ცხადყოფს ანტონ გლონისთავისძის ინიციატივით შეეძინა ქართულ სამედიცინო ლიტერატურას „წიგნი სააქიმოჲ".

აქვე უნდა მოვიხსენიოთ თამარის კიდევ ერთი სახელოვანი თანამოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე. ის ჯერ კიდევ გიორგი მესამის დროს იყო კათოლიკოსად, „შემდეგ სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათოლიკოზობისაგან" და იერუსალიმს წავიდა; თამარის მეფობაში დაბრუნდა და მხარში ამოუდგა გვირგვინოსან ქალს [1]. საყვარელი მეფის დაცვისა და გამართლების მიზნით დაწერა მან „საკითხავნი სუეტისა ცხოველისანი, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ" [2]. აღნიშნული ტრაქტატი დაწერილია ნინოზე, მაგრამ მასში დასმულია და განხილულია ის მტკივნეული საკითხი, რომელიც თამარის თანამედროვეებს ძალზე აღელვებდა. ნ. გულაბერიძე თამარის სახელისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად, ტახტზე ქალის ასვლის გასამართლებლად, ხაზი გაუსვა ქალის (ნინოს) მოღვაწეობას, მის პატივსა და ღირსებას. ღრმადგანსწავლული და ესთეტიკური გრძნობით უხვად დაჯილდოვებული მწერალი თამარ მეფის ერთგული ქომაგი და თავდადებული დამცველია [3].

კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამარის პირველ ისტორიას, რომლის სრული სათაურია: „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინე ყოველთა, ენა-უტყუი მეტყველ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენაჲ ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყველებასა შინა შარავანდედთასა". სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოკლე სახელწოდები-

[1] კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, გვ. 296—298.

[2] ისტ. და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 72, 78, 105, 107; ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 18, 20, 24; ქრონიკები, I, გვ. 278—279; II, გვ. 79—82. დადებითად ახასიათებს ანტონს ვახუშტი ბაგრატიონიც (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1884, გვ. 203).

[3] Е. Такайшвили, Описание рукописей „ОРГСГИ", т. I, Т., 1902—1904, გვ. 641.

[1] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 15—16; ქრონიკები, I, გვ. 269—271.

[2] საქ. სამოთხე, გვ. 69—118: საკითხავი სუეტის ცხოველისაჲ კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა, ვ. კარბელაშვილის გამოცემა, თბილისი, 1908, ნაწყვეტები იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 231—233, 386—388.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 298—302; ი. ჯავახიშვილი, ნიკოლოზ კათალიკოსი, წიგნში: ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 97—109.

თაა ცნობილი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ [1].

ამ თხზულების ავტორი უცნობია. რამდენჯერმე იყო ცდა მისი ავტორის ვინაობის დადგენისა და დაწერის დროის დაზუსტებისა. ძეგლის ავტორად ასახელებდნენ ანტონ გლონისთავისძეს (თ. ჟორდანია), სარგის თმოგველს (პ. ინგოროყვა), მანდატურთ-უსუცეს ჭიაბერსა (ს. კაკაბაძე) და არსენ იშხნელს (კ. კეკელიძე), მაგრამ დღემდე არაფერი არ გაირკვა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, დანამდვილებით ის საერო პირი იყო, თუ სასულიერო. უკანასკნელ ხანს განმტკიცებული აზრით, „ისტორიანი და აზმანი“ 1222 წლით თარიღდება.

უცნობი მემატიანე თამარის თანამედროვე და თვითმხილველია, ის სამეფო კარზე კარგად მიღებული და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჯეროვნად გარკვეული პირი ჩანს. ის ძალზე ვრცლად და ზედმიწევნითი სისრულით აღწერს თამარის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივს საქმიანობას. ის აღტაცებულია თამარის დიდბუნებოვანებითა და ჰაეროვნებით, აღფრთოვანებულია მისი ჰუმანიზმითა და გონიერებით. ის ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრე და ერთგულია, გადაჭრით ილაშქრებს გამთიშველთა წინააღმდეგ, გმობს პარტიკულარიზმს. თავისი სამშობლოს ძლიერება და წინსვლა მას კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს.

ჩვენი ავტორი დაუცხრომელი პანეგირისტია, ის ძალზე მაღალი შეხედულებისაა ქების ობიექტებზე და ერთობ გაზვიადებულად წარმოგვიდგენს მათ, დიდების შარავანდედით მოსავს და აიდეალებს. ყურადღებას იპყრობს მისი უაღრესად დიდი განათლება და ნაკითხობა. თხზულებაში გამოყენებულია დასავლური თუ აღმოსავლური ლიტერატურის მრავალი თვალსაჩინო ძეგლი. საკმაოდაა გამოყენებული ქართული მწერლობაც. ავტორის ენა ხელოვნურია, ჭარბობს რიტორიკა და ენაწყლიანობა.

„ისტორიანი და აზმანი“ ღრმაშინაარსიანი ნაწარმოებია და ძვირფასი წყაროა ჩვენი ისტორიისათვის. ის რამდენადმე სცილდება ისტორიული მწერლობის სფეროს და წმინდა მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენს [1].

მე-13 საუკუნის თბილისელი მოღვაწე უნდა იყოს თამარის მეორე ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“ [2]. თხზულება აღმოაჩინა აკად. ი. ჯავახიშვილმა 1923 წელს. მანვე ძეგლის ავტორად მიიჩნია ბასილი ეზოსმოძღვარი და თხზულება 1210—1213 წლებით დაათარიღა [3]. ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებული იქნა ჩვენ სამეცნიერო წრეებში. არსებითად განსხვავებული პოზიცია უჭირავს აკად. კ. კეკელიძეს. მას აეჭვებს ბასილის ავტორობა და ძეგლის თარიღიც გვიან ხანაში (მე-13 საუკუნის ოცდაათიან წლებში) გადმოაქვს [4]. როგორც არ უნდა იყოს, ერთი ცხადია, ჩვენი ავტორი სამეფო კარზე მოღვაწეობდა და თამართანაც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ის კარგად იცნობდა თამარის ცხოვრებას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მაგრამ, შედარებით, მოკლედ აღწერს ისტორიულ ამბებს; ნაკლებ ყურად-

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 362—535; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941; История и восхваление венценосцев, Груз. текст перевел, предисловием и примечаниями снабдил проф. К. Кекелидзе, Т., 1954.

[1] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 220—241; კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, გვ. 121—158; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 148—158.

[2] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა, ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 317—357+V; ცალკე წიგნად გამოვიდა იმავე წელს (გვ. IV+41). რუსულად ადრევე თარგმნა პროფ. ვ. დონდუამ (Василий, историк ц. Тамары, сб. Памятники эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 33—76).

[3] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება (წინასწარი მოხსენება), თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 186—216.

[4] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 120—122; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 158—160; კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, გვ. 4. შენ. 1 (იხ. აგრეთვე რუსთაველის კრებული, გვ. 134, შენ. 1 და „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 33—36).

ღებას უთმობს სამხედრო-პოლიტიკურ საქმეებს, არ იჩენს ინტერესს საქართველოს ბრწყინვალე კარის სადღესასწაულო ცერემონიალისადმი და მეტწილად თამარის სასულიერო-საეკლესიო საქმეთა შესახებ გვაწვდის ჭარბ მასალას. მემატიანე დიდი თაყვანისმცემელია თამარისა, მეტისმეტ ღია და ნათელ ფერებში წარმოგვიდგენს მის პიროვნებას. მას საკმაოდ დაკვირვებული თვალი ჰქონია. ფრიად განსწავლული ჩანს სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში. მისი ნაწარმოები საეკლესიო სვინაქსარული საკითხავის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არც მხატვრულობასაა მოკლებული.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლაშა-გიორგის დროინდელი უცნობი მემატიანე, რომელიც მოკლედ აღწერს დიმიტრი პირველის, გიორგი მესამის, თამარისა და მისი ძის — გიორგი ლაშას მეფობას[1]. მართალია, მის ნაწარმოებში თხრობა ხშირადაა დარღვეული, მაგრამ მას არა ერთი ძვირფასი ქრონოლოგიური თუ შინაარსობლივი ცნობა შემოუნახავს (განსაკუთრებით საყურადღებოა დიმიტრი პირველის მეფობის შესახები ცნობები). მემატიანე სხარტად აღწერს ისტორიულ ამბებს, უხვად გვაწვდის ქრონოლოგიურ ცნობებს, ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს. მისი თხზულება 1222 — 1223 წწ. უნდა იყოს დაწერილი[2].

ქართული მწერლობის აღორძინების ხანაში ლიტერატურული ტრადიცია ადრევე გაღვივდა ქართლის სამეფო კარზე. ფეოდალური საზოგადოების ინტერესებისა და სულისკვეთების შესაბამისად იწყება საგმირო-სარაინდო თხზულებების ჩამოყალიბება, კერძოდ ფირდოუსის უკვდავი პოეტური ქმნილების „შაჰნამეს" თარგმნა და გალექსვა. ამ რთულსა და ხანგრძლივ პროცესში მონაწილეობა მიუღია რამდენიმე პირს, მათ შორის ხოსრო თურმანიძეს, რომელიც გვევლინება სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის საქმის გამგრძობად. მას დაუსრულებია „როსტომიანის" გალექსვა. საინტერესოა მისი განცხადება:

[1] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1927; ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1942, გვ. 237—245; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365—371.

[2] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 244—245.

მე, ხოსროე თურმანის ძეჰან, ამბავი ვპოვე ესია,
უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია;
პატრონმან ჩემმან მიბრძანა: „ქართულად წერე ესია"![1]

ის ერთის მხრივ გვაუწყებს მის ნიერ „როსტომიანის" ერთი ნაწილის გადმოთარგმნასა და გალექსვას, ხოლო მეორეს მხრივ გვისახელებს „პატრონს", რომლის დავალებითაც მან შეასრულა აღნიშნული სამუშაო („პატრონი ჩემი სვიმაონ სვიანმცა არის სულთაგან!"). ჩანს, ხოსროს დამკვეთი ყოფილა ქართლის მეფე სვიმონ I (1558—1600), რომელიც, როგორც ჩანს, მიუხედავად ჟამთა სიავისა და დღენიადაგ ბრძოლისა, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისადმი თვალის მიდევნებისათვის. მისი ინტერესი ლიტერატურისადმი ცნობილია სხვა წყაროებითაც. ერთი ცნობით, სპარსეთში ტყვედ ყოფნისას სვიმონმა მელექსეობით გამოიჩინა თავი და შაჰ-ისმაილის წყალობაც დაიმსახურა[2].

სვიმონის მეფობის ხანა საკმაოდ რთული და მშფოთვარე იყო.

მისი დროის ლიტერატურული ცხოვრების გასათვალისწინებლად არაა ინტერესმოკლებული არჩილის სიტყვები: „როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა, სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა"[3].

მიუხედავად ამისა, ლიტერატურულ ცხოვრებას ძვრა და წინსვლა დაეტყო[4].

ქართლის დედაქალაქში ლიტერატურული მუშაობა შემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაიშალა და შესამჩნევი გახდა. აქ კვლავ გაგრძელდა ძველი ლიტერატურული ტრადიცია. ამას ამოწმებს ის ფაქტიც, რომ 1623 — 1632 წლებში, როდესაც დროებით ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანდა და ტახტზე თეიმურაზ პირველი ავიდა, მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ მუშაობასაც, კერ-

[1] შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ტ. II, თბილისი, 1934, გვ. 366.

[2] იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 24.

[3] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1937, გვ. 3.

[4] ხოსრო თურმანიძეზე იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 233—236; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 75—78.

ძოდ, „ლეილმაჯნუნიანისა“ და „იოსებზილიხანიანის“ ახალი რედაქციების შექმნას (სპარსულიდან თარგმნა-გადმოკეთებას). არჩილის ცნობილ საისტორიო პოემაში: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზი აღნიშნავს მის მეფობას ქართლ-კახეთში და დასძენს:

ამ დროს ვთქვი „ლეილმაჯნუნი“,
„ზილიხანიოსებისა“,
ქება, შვენება, სიტურფე,
მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაკრა მინდორად, ხელობა,
ბულთა ლახვრულად სობისა.
და ტკბილად რამ აღვმოვმეტყველე
ლექსები სხივ-შუქებისა,
გამოვარჩინე ნათქვამი
მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშერა ენა მეტყველი
ტკბილად მათხედა მკობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად,
თქმული სპარსთ არაკობისა,
და არ დამორჩილდა მეძავსა
იოსებ იაკობისა [1].

როსტომი (1632 — 1658) საკმაოდ თავისებურად მართავდა ქართლს. ის სპარსულ-მაჰმადიანური წესებით იყო აღზრდილი და ჩვენზეც აღმოსავლური ცხოვრების დაკანონებას შეუდგა. შაჰ-სეფის (1629 — 1642) დაუკითხავად თითქმის არას აკეთებდა, ამიტომაც „აქვნდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველნი მცირეთაგან კიდე, ყოველნი ერთგულობდნენ“. მისი მოხერხებული პოლიტიკის შედეგად, სამეფოში, შედარებით, მშვიდობიანობა დამყარდა. თავისი საქმიანობით ქართლის მაჰმადიანმა მეფემ „მოირთო ქართველნი და ყიზილბაშნი მონებდენ, ვითარცა ყენსა“ [2].

დიდებულთა წრეში განსაკუთრებით იჩინა თავი აღმოსავლურმა ტენდენციამ. ამ პერიოდში სამეფო კარზე გაჩნდნენ მეჩანგენი და მგოსნები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სახოტბო პოეზიის ტრადიციების განვითარებას [3]. იმ დროის მოღვაწეებს ესმოდათ, რომ „ვამს დიდება პატრონისა, ვის აქვს ლექსთა თქმის შეძლება“ [1], და, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ როსტომისა და მისი მეუღლის დედოფალ მარიამის შემკობას. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ცნობით, არსებულა როსტომის ქება ლექსად [2]; შემონახულია ფრაგმენტები მარიამის ქებისა [3]; მარიამს აქებდა ცნობილი პოეტი ნ. ციციშვილიც [4]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნოდარმა თავისი „ბარამგურიანი“ დედოფალს უძღვნა [5]. საგულისხმოა, რომ როსტომი ზოგჯერ თვით მოუწოდებდა თავის კარის მწიგნობრებს ლიტერატურული საქმიანობისაკენ. სხვათა შორის, გრემის ნაქალაქარის ხილვისას ბან ფ. გორგიჯანიძეს „მუნასიბი ლექსის“ თქმა დაავალა [6].

სამეფო კარზე და დედაქალაქში ლიტერატურული ტრადიციების გაღვივებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს დედოფალი მარიამი, ასული მანუჩარ დადიანისა. ეს უკანასკნელი დიდად განათლებული და მწიგნობრობით ფრიად დაინტერესებული პირი ჩანს. მისი მოღვაწეობის დასახასიათებლად საკმარისია მოვიგონოთ „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხა (S № 30), რომელიც მარიამის ბრძანებითაა დამზადებული 1633 — 1646 წლებში [7]. მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის განუზომელია. მარიამსავე მიეწერება ერთი ძვირფასი ხელნაწერის (A № 95), — პარხლის მრავალთავის (X ს.), — ოსმალთაგან დახსნა და განახლებაც. სათანადო მინაწერში აღნიშნულია: „ჩვენ, ხელმწიფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი“ [8].

[1] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, II, გვ. 82.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

[3] იქვე, გვ. 46; ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ., I, ტექსტი, ი. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 182.

[1] ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, თბილისი, 1930, გვ. 1.

[2] ხ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, თბილისი, 1888, გვ. 40.

[3] ქრონიკები, II, გვ. 452.

[4] ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, გვ. 1.

[5] იქვე, გვ. XII.

[6] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბილისი, 1925, გვ. 53.

[7] კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, გვ. 114—116.

[8] Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церк. музея, кн. I, Т., 1903, გვ. 114.

საკარო-სახოტბო პოეზია კიდევ უფრო განვითარდა ვახტანგ მეხუთის (1658 — 1675) მეფობაში.

ვახტანგ V ენერგიულად მართავდა თავის სამეფოს, თავგამოდებით ებრძოდა მოწინააღმდეგეებს, ძალზე ცდილობდა ერთგულთა შემოკრებას. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით, მეფემ „მოიწყო ქართლი და კახეთი. იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსჩენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ“ (ვახუშტი). გაძლიერდა და განმტკიცდა სამეფო კარი, რომლის დიდებასა და ბრწყინვალებას აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურებიც კი. სამეფო კარზე მომრავლდნენ მგოსნები და მომღერლები[1], არაჩვეულებრივად განვითარდა სახოტბო პოეზია, რომლის ტიპიური წარმომადგენელია ფეშანგი ამირას ძე ხითარიშვილი. ამ უკანასკნელს 1664 — 1665 წწ. დაუწერია საკმაოდ მოზრდილი საისტორიო პოემა, რომელშიც მიზნად დაუსახავს ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა და მისი შვილის არჩილის განდიდება. პოეტი დეტალურად აღწერს ვახტანგის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, ზედმიწევნითი სისრულით გვიხატავს ფეოდალური საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, უხვ ცნობებს გვაწვდის ქართლის სამეფო კარის შესახებ და ნათლად გვამჟღავნებს თავის პატრიოტულ განწყობილებას. მიუხედავად იმისა, რომ „შაჰნავაზიანის“ ავტორი რიტორიკითაა გატაცებული და ყალბ პათოსს თავს ვერ აღწევს, მისი თხზულება საყურადღებო საისტორიო წყაროსა და მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს[2].

ვახტანგ მეხუთის კარზე, დროის შესაფერად, კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე, მემატიანის ცნობით, ვახტანგმა თავისი შვილები აღზარდა „საჭელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა სამღთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჟკაცოთა მჭედრობითა გამოცდილობითა ყოველითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არ აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“[1].

საკამათო არაა, რომ, უთუოდ, კარგი სწავლა-აღზრდის შედეგი იყო ვახტანგის ძეთა (არჩილი, გიორგი, ლევანი) ჩინებული განსწავლულობა, ბრწყინვალე განათლება და ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობა.

ქართლის სამეფო კარზე აღიზარდა და არსებითად მის დედაქალაქში დავაჟკაცდა არჩილი (1647 — 1713), რომელსაც ფიზიკურ სიძლიერესა და მოხდენილ ვაჟკაცობასთან ერთად დიდი ლიტერატურული ნიჭი და მაღალმხატვრული გემოვნება გააჩნდა. თბილისში შეისწავლა და გაიცნო მან ძველი ქართული კულტურა, აქ შეითვისა და შეიყვარა ძველი ქართული ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციები. მშობლიური ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აშკარად გამოსჩვივის არჩილის პოეტური მემკვიდრეობიდან, რომელსაც, თავის მხრივ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ქართული კულტურის ისტორიაში.

არჩილს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის იყო ახალი ლიტერატურული მოძრაობის სახელოვანი მეთაური, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ბრწყინვალედ დამმუშავებელი, მშობლიური ენის სიწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი. მართალია, ჩვენ სათანადოდ არ ვიცნობთ არჩილის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის თბილისის პერიოდს, მაგრამ ვფიქრობთ, მისი პოეტური გენია თბილისის კულტურულ გარემოში აყვავდა.

საფიქრებელია, არჩილის თბილისში ყოფნისას ჰქონდა ადგილი ლიტერატურულ პაექრობას მასა და სულხან-საბა ორბელიანს შორის[2]. ძველი ქართული ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი პოეტი ცნობილია თავისი მეცენატობით. მისი დავალებით ფეშანგი ხითარიშვილმა გა-

[1] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 32—33, 38, 45, 59.

[2] იხ. „შაჰნავაზიანის“ წინასიტყვაობა და კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 391—406.

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 207.

[2] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 273.

ლექსა „ფირმალიანი“ 1681 წლის ახლო ხანაში. არჩილი თვით შენიშნავს:

ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ ახლა თქვა „ფირმალიანი“,
მე ვათქმევინე, მარამე ვერა თქვა მარილიანი [1].

როგორც ჩანს, ფეშანგის არა სპარსულიდან უთარგმნია „ფირმალიანი“, როგორც ზ. ჭიჭინაძეს ეგონა [2], არამედ აუღია პროზაული თხრობა: „მორჭმადიდებით ცხორება და მოქალაქობა ხელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულ ისაყისა“ ანუ „ამბავი დიფნის ქალაქისა“ [3] და ლექსად გაუწყვია ის. სამწუხაროდ, ამ ლექსით რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია და მის „მარილიანობა ხე“ ჩვენ ვერას ვიტყვით.

საკმაო ინტერესს იჩენდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისადმი არჩილის ძმა, ქართლის მეფე გიორგი XI (1676 — 1688, 1703 — 1709). მემატიანენი მას საკმაოდ კარგი გარეგნობისა და ვაჟკაცური ბუნების ადამიანად წარმოგვიდგენენ:

„ძლიერი გოლიათებრ, სამჯედროთა საქმეთა სრული და ჭელგამომავალი. ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერნი მოყურად შეცვალის“ (ბერი ეგნატაშვილი); მის „ხუმრობასა და სიტყვის მარჯობას არა გაეწყობოდა რა“ (სეხნია ჩხეიძე) და სხვ.

გიორგი XI ლიტერატურით საკმაოდ დაინტერესებული იყო, ის თვით იღებდა მონაწილეობას ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. მას უნდა ეკუთვნოდეს ერთი საინტერესო თხზულება: „თხრობანი სულთა და ჯორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“ (S № 1508, S № 2363), რომელიც ლექსნარეულ პროზაულ თხრობას წარმოადგენს, საკმაოდ ვრცლად გვაცნობს ავტორის ნაფიქრ-ნააზრევს, მის რელიგიურ განწყობილებას [4].

გიორგი XI ცნობილი მეცენატი იყო. მის კარზე მრავლად იყვნენ მწიგნობრები, პოეტები, მეხოტბენი. ზოგიერთი მათგანი მეფის დავალებითა და მითითებით მუშაობდა. მაგ., გიორგის დავალებით საეკლესიო მოღვაწეს იაკობ დუმბაძეს გაულექსავს ბაგრატ მუხრან-ბატონის პოლემიკური თხზულება („უსჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა გაბაასება, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა შანაოზისათა“) [1].

გიორგი XI ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე, თხზულებათა პოპულარიზაციაზე. მისი დაკვეთით დამზადებული ერთი ძვირფასი ხელნაწერის (S № 2785) მინაწერში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მას „სუროდა მრავალთა საღ[ა]თოთა და სამეცნიეროთა წერილთა კითხვა და თარგმანება“ [2]. აღნიშნული კრებულის შესწავლა უცილობლად ადასტურებს გადამწერის გამონათქვამის ჭეშმარიტებას. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული ხელნაწერი (H № 54), რომელიც გიორგის დავალებითაა დამზადებული 1680 წელს. ის შესრულებულია მაღალმხატვრულად და კალიგრაფიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს [3]. მისი შემსრულებელი მდივანი ბეგთაბეგი აღნიშნავს: „მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკია წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ მსგავსად“ გიორგისა, რომელმაც „წარაგო მრავალი წარსაგებელი“ მისი დამზადების მიზნით.

გიორგი XI ახლო ურთიერთობაში იყო სულხან-საბა ორბელიანთან. უებრო იგავთმწერალი „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ის „გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და გასწავლებული“ [4]. როგორც ჩანს, გიორგიმ ადრევე შენიშნა სულხან-საბას ნიჭი, გამოარჩია ის და შეუნელებელი ინტერესით თვალს ადევნებდა მის საქმიანობას. მანვე დაავალა თავის აღზრდილს ლექსიკონის შედგენა (იხ. ქვემოთ).

გიორგი XI ყურადღება მწერლობისადმი გარკვეულ იერს აძლევდა თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას. განსწავლულ მეფეს მხარს უმშვენებდა

[1] არჩილი, თხზ. სრული კრებული, II, გვ. 4.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეზვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 14.

[3] S № 1145; „ზოამბე“, 1904, № 6, დამატება, გვ. 1—58.

[4] ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 175—179.

[1] გვხვდება მრავალ ხელნაწერში (S №№ 342, 395, 656, 951-გ. 1103, 1508, 1512, 1516, 2775; H №№ 38, 394, 2101; A № 860).

[2] E. Такайшвили, Описание рукописей „ОРГСГН“, т. II, Т., 1906—1912 гг., გვ. 653.

[3] შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 155.

[4] ქილილა და დამანა, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 4.

უმცროსი ძმა ლევანი „ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნითა“ (ბერი ეგნატაშვილი)[1]. გარკვეული ლიტერატურული ინტერესები ჰქონდა დედოფალ თამარსაც[2]. კარზე თავი მოიყარეს მეხოტბე პოეტებმა, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელია მდივანი ბ ე გ თ ა ბ ე გ თ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი. მას დაუწერია გიორგის საკმაოდ მოზრდილი პროზაული ქება, რომელიც ანდერძის სახით ახლავს მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ (H № 54, 262 r — 263 r). მასვე დაუწერია გიორგის ქება ლექსის სახით, ოდად, რომელშიც პათეტიკურად აღწერს მეფის გარეგნობას და ახასიათებს მის სულიერ სამყაროს[3]. ბეგთაბეგს განუგრძია მისი ძმის სულხანის მიერ წამოწყებული საქმე და 1681 წლისთვის დაუსრულებია გალექსვა „ამირანდარეჯანიანისა“[4].

გიორგი მეთერთმეტის კარზე მოღვაწეობდა და მასთან ახლო ურთიერთობაში იყო ისტორიკოსი ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, რომელმაც თავის ნაწარმოებში „ცხოვრება მეფეთა“[5], აღწერა 1653 — 1739 წლების ამბები და სათანადო ადგილი მიუჩინა გიორგისაც[6].

გიორგის კარზე მოღვაწე მწიგნობართაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (1658 — 1725). ის ახლო ნათესაურ კავშირში იყო სამეფო კართან და აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებასა თუ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში. მისი, როგორც მომავალი დიდი მწერლის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ თვისებათა წრთობასა და ხასიათის გაპოკვეთაზე ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, ქართლის სამეფო კარმა. არჩილი, გიორგი და ლევანი დიდად ეხმარებოდნენ მას, აქტიურად მონაწილეობდნენ მის გონებრივსა თუ ფიზიკურ აღზრდაში. ღრმად განსწავლული და ფრიად განათლებული სულხან-საბა მათ დახმარებასა და მფარველობას ერთგულებით უპასუხებდა. მან მთელი თავისი შემდგომი საქმიანობა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა ვახტანგ მეხუთის შთამომავლობის კეთილდღეობისა და ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლას დაუკავშირა.

განათლებულსა და წარჩინებულ სულხან-საბას ლევან ბატონიშვილის ვაჟის ვახტანგის აღზრდა დაევალა. მან სერიოზულად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და არა მარტო ასწავლიდა ვახტანგს, არამედ საერთოდ ხელმძღვანელობდა მის აღზრდა-განათლებას და, შეძლებისდაგვარად, მეცნიერების ყოველი დარგის შესწავლას თვალს ადევნებდა. ამ დროს მუშაობდა ის „სიბრძნე სიცრუეზე“ (1678 — 1688)[1]. როგორც ცნობილია, ამ კრებულის პრაქტიკულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალზე დიდია. მის ავტორს კონკრეტული პირის — ვახტანგის სასწავლო-აღზრდელობითი ამოცანები ამოქმედებდა. უბადლო იგავთმწერალი თავის პრაქტიკულ საქმიანობას წიგნში თეორიულად ასაბუთებდა და ამართლებდა[2].

ქართლის სამეფო კარზე ყოფნისას დაუწყია სულხან-საბას მუშაობა ლექსიკონზეც. საინტერესოა მისი ცნობა: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო. ვინადგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თჳსთა ნებაზედ გაერყუნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ჴელყოფა. ჴელი

[1] მწიგნობრობით დაინტერესებული პირი უნდა ყოფილიყო მისი ასული ხვარამზეც (K № 151).

[2] მისი კუთვნილი წიგნებიდან ცნობილია „შაჰნავაზიანი“ (ფ ე შ ა ნ გ ი, შაჰნავაზიანი, გვ. VIII — IX), სვინაქსარი (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“, პარიზი, 1929, გვ. 93—94; ქრონიკები, II, გვ. 497) და სხვ.

[3] E. Такайшвили, Описание рукописей, II, გვ. 574—578.

[4] ს. თ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1941.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 307—342.

[6] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 362—368.

[1] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953, გვ. 103.

[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის ურთიერთობისათვის, სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. 71, 1958.

მივყავ და, რაოდენ ძალ მედვა, აღვწერე"[1]. დიდი ლექსიკოლოგი სხვა შემთხვევაში გვაუწყებს, რომ „მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის... ბრძანებით აღიწერა" ლექსიკონი[2].

აღნიშნული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ სულხან-საბამ უკვე ჭაბუკობისას (1678—1688) დაიწყო ლექსიკონზე მუშაობა. საგულისხმოა მისი ჩვენება ქართული ენის სიწმინდეზე გიორგისა და მისი ძმების ზრუნვის შესახებ. როგორც ჩანს, მშობლიური ენის კატასტროფის მოახლოების შეგნებამ ჩააფიქრა ისინი და გარკვეული ნაბიჯიც გადაადგმევინა.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწეა გიორგი მეფის ერთგული მოკავშირე თბილისის მიტროპოლიტი ი ო ს ე ბ ს ა ა კ ა ძ ე, რომელიც 1661—1688 წლებში ჩანს ამ პოსტზე. ის აქტიურად იღვწოდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის არენაზე. მის კალამს ეკუთვნის ალექსის ცხოვრებისა[3] და მარინას წამების[4] გალექსილი რედაქციები, ანბანთქება (S №№ 1512, 1547, 3704; H №№ 489, 771, 1193); ცნობილია მისი პაექრობა ი ა კ ო ბ დ უ მ ბ ა ძ ე ს თ ა ნ[5]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი საისტორიო პოემა „დიდმოურავიანი", რომელიც 1684—1687 წლებით თარიღდება[6]. ავტორი, მიუხედავად მისი მღვდელმთავრობისა, არ ერიდება თანამოდასეთაგან კიცხვას და ხელს ჰკიდებს საერო თემის დამუშავებას და სახელოვანი მამულიშვილის გიორგი საკაძის რეაბილიტაციას. თავის საკმაოდ მხატვრულ თხზულებაში ის კარგად წარმოგვიდგენს ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობას მე-17 საუკუნის დამდეგისას. ი. საკაძეს რამდენიმე ათეული სტროფი დაუმატებია „ვეფხისტყაოსნისთვის"[1].

ი. საკაძეს ჰქონია მდიდარი წიგნსაცავი. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ხელნაწერი წიგნი მისი ბიბლიოთეკიდან (H №№ 43, 936, 1346, 2074; A №№ 140, 1339 და სხვ.). როგორც ჩანს, იოსები სხვებს ავალებდა ნუსხების დამზადებას (H № 43, H № 1112). სხვათა შორის, ის არჩილსაც ეხმარებოდა სასულიერო-საეკლესიო წიგნების შესწავლაში (H № 1346, 206 v). ცნობილია იოსების მიერ დაწერილი სიგლები[2].

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონის სახელთანაა დაკავშირებული.

ვახტანგი იყო დიდად განათლებული მწიგნობარი, უაღრესად გონიერი და გამჭრიახი მმართველი, მართლმსაჯული გამგებელი, ნიჭიერი პოეტი და დახელოვნებული მთარგმნელი, მახვილგონიერი კომენტატორი და საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი. მისი ჯანიშინობისა (1703 — 1711) თუ მეფობის (1716 — 1724) ხანა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მან „დაამდაბლნა თათარნი და აღამაღლნა ქართველნი", აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი და, ქართლის კათოლიკოსად თავისი ძმის დომენტის არჩევით, ეკლესია შემოიმტკიცა; კახეთში აჰყარა ქართველ გლეხთა დიდი ნაწილი და ქართლს ჩამოასახლა; ააგო და აღადგინა ხიდები და სასახლეები, სარწყავი არხები და ეკლესია-მონასტრები, დააარსა და აამუშავა პირველი სტამბა თბილისში (1709 წ.); გაშალა ფართო სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა; მოაწესრიგა სახელმწიფო სამართალი და დაადგინა კანონთა კრებული; „სწავლულ კაცთა" კომისიას გაამართვინა საქართველოს ისტორია და ა. შ. მისი ასეთი ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა სულხან-საბა ორბელიანის დი-

---

[1] ს ულ ხ ან - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 571.

[3] S №№ 1203, 1512, 2694; არქ. № 396; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 395—406.

[4] S №№ 1203, 1512, 2694.

[5] გვხვდება მრავალ ხელნაწერში (A №№ 1076, 1221, 1272, 1278, 1541, 1575-გ, 1735; S №№ 1308, 1512, 3704; H №№ 660, 771, 1132-ა, 1193, 2781; არქ. № 204), გამოცემულია რამდენჯერმე („ივერია", 1879, № 7—8, გვ. 95; „სახალხო გაზეთი", 1912, № 572 და სხვა).

[6] H №№ 123, 124, 612, 1757, 2555; S № 15; A №№ 1125, 1378. 1851 წ. დაბეჭდა პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა, 1897 წ. — ს. ბ ი ლ ა ძ ე მ და ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ მ ა. უკანასკნელი, მესამე, გამოცემა ეკუთვნის გ. ლ ე ო ნ ი ძ ე ს (თბილისი, 1939).

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1958, გვ. 13—15; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1949, გვ. 304—323.

[2] საქართველოს სიძველენი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტ. II, თბილისი, 1909, გვ. 97—102.

დი აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგია. ეს უკანასკნელია ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, ისაა ვახტანგის ეკონომიური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც უნდა დავსძინოთ, რომ ეპოქის მთელი ინტელექტუალური საქმიანობის მეთაური იყო ვახტანგი.

ვახტანგი თვით იყო შესანიშნავი პოეტი და ღრმადგანათლებული მეცნიერი. ის თავისი პირადი მაგალითით, დაუღალავი შრომითა და უშრეტი ენერგიით აღაფრთოვანებდა თანამოღვაწეებს და მათ კიდევ უფრო აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. მართალია, მისი ორიგინალური თხზულებების, ლირიკული ლექსების დიდი უმრავლესობა სამშობლოს გარეთ, უცხო მხარეში, დაიწერა, მაგრამ ის არსებითად თბილისის კულტურას ნაზიარები მგოსანი და აქაურ ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნეა. ვახტანგი უაღრესად მრავალფეროვანსა და ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა; თხზავდა შესანიშნავ ლირიკულ ლექსებს, თარგმნიდა სპარსულიდან დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებსა („ამირნასარიანი, თქმული სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებლის ვახტანგისაგან“) თუ იგავ-არაკთა სახელგანთქმულ კრებულს („ქილილა და დამანა“), ათარგმნინებდა ლიტერატურულ ძეგლებს სპარსულიდან („ბახთიარნამე“), ამრავლებინებდა ხელნაწერებს (A №№ 628, 629, 856, 910; H № 1032; არქ. № 242), ეხმარებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ა. შ. აღნიშნულის შედეგად ქართლის გული—თბილისი იქცა ფართოდ გაშლილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის დიდ ცენტრად.

ერთი მეცნიერის მართებული შენიშვნით, ვახტანგის სასახლე წარმოადგენდა ერთგვარ პატარა აკადემიას, სადაც თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრიობის მთელი ინტელექტუალური აქტივი. ვახტანგის ენერგიული ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერისად ეხმაურებოდა ეპოქის კულტურულ მაჯისცემას[1]. ვახტანგის კარზე თავი მოიყარეს მეცნიერებმა და მწერლებმა, მთარგმნელებმა და კალიგრაფებმა, მეხოტბეებმა და კარის მეშტატიანეებმა, მომღერლებმა და დამკვრელებმა[1]. ქართველი მეფის სასახლეში სხვა ქვეყნიდან მოსული მგოსნებიც კი მოღვაწეობდნენ (სომეხი იონათანი)[2].

არსებითად თბილისში მოღვაწეობდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, გიეი თუმანიშვილი, დომენტი ბაგრატიონი და სხვანი. თბილისის კულტურულ გარემოში აღიზარდა და მომწიფდა ქართველ მეცნიერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელშაც შემდეგში რუსეთში არსებულ ქართულ კოლონიებში გაშალა თავისი მრავალმხრივი საქმიანობა (ვახუშტი, ბაქარი, ერასტი თურქისტანიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, ფავლენიშვილი და სხვა მრავალი)[3].

ფრიად ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა ამ პერიოდში სულხან-საბა ორბელიანი. ის შეუნელებელი ინტერესითა და ენერგიის დაუზოგავად განაგრძობდა მუშაობას ლექსიკონზე, ავსებდა და აერცობდა, ხვეწდა და აზუსტებდა მას. ამის შედეგად მივიღეთ საკმაოდ დასრულებული ნაშრომი, რომელიც ხანგრძლივი და ინტენსიური საქმიანობის ფრიად სასახელო ნაყოფს წარმოადგენს და კარგად წარმოაჩენს ქართული სიტყვიერი საუნჯის ულევ არსენალს. ამავე პერიოდში იგავთმწერალი განაგრძობდა „სიბრძნე სიცრუეზე“ მუშაობას და ამ უკვდავ ნაწარმოებს საბოლოო რედაქციას უკეთებდა. რასაკვირველია, სულხან-საბას საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადრე წამოწყებული სამუშაოების გაგრძელებითა და დასრულებით. ის თხზავდა ახალ ძეგლებსაც: ევროპიდან დაბრუნების (1716 წ.) შემდეგ დაწერა „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც ქართული სამოგზაურო-მემუარული მწერლობის უებრო ძეგლს, ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს

[1] ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 441.

[1] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1886, გვ. 68.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, იონათანი, „მნათობი“, 1933, № 5, გვ. 181—187.

[3] ლიტერატურული მუშაობით დაინტერესებული ყოფილა და თავისი კალამი უცდია ვახტანგის ასულს ანეკა ბატონიშვილსაც (A № 1453, 238 v).

წარმოადგენს[1]. მომდევნო ხანაში მან მიიღო ვახტანგის საპატიო და საპასუხისმგებლო დავალება და ბრწყინვალედ შეასრულა იგი: იგავ-არაკთა ცნობილი კრებულის „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი გადაამუშავა რედაქციულად, შეასწორა და სათანადო ადგილები გალექსა, სპარსიზმები წაშალა და რელიგიური ეპიზოდები გადააკეთა, რის შედეგად მას კანონიკური რედაქციის მნიშვნელობა მისცა[2].

აქვე შევნიშნავთ, რომ სულხან-საბასა და ვახტანგს შორის ცხოველი ლიტერატურული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა შეინიშნება. სათანადო ხელნაწერების („ქილილა და დამანა“, „ქართული ლექსიკონი“, „ქართლის ცხოვრება“...) შესწავლა საკმაოდ სრულიად ააშკარავებს მათი კულტურულ-ლიტერატურული თანამოღვაწეობის საინტერესოსა და საყურადღებო მომენტებს, გვაცნობს მათ ინტერესთა სიახლოვესა და სულიერ ნათესაობას. დასახელებული ძეგლების შემცველ ზოგიერთ ხელნაწერს კარგად აღუბეჭდავს აღმზრდელ-აღზრდილის ერთობლივი მუშაობის კვალი. უკანასკნელად მიკელეული მასალებით ირკვევა, რომ მათ შორის ლიტერატურულ გაპაექრებასაც ჰქონდა ადგილი (S № 5234).

ვახტანგის კარის ნოღვაწეებად ჩანან ნდივნები ონანა ქობულაშვილი და გივი თუმანიშვილი.

ონანა მდივანი ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია[3]. მისი სახელით რამდენიმე საინტერესო ნაწარმოებია მოღწეული. ის ვახტანგთან დაახლოებული პირი, მისი თანამოღვაწე და თანამშრომელი ყოფილა და ზოგიერთ სამუშაოს მისი დავალებით ასრულებდა, კერძოდ, სამშობლოში ყოფნის დროს ვახტანგის დაკვეთით უმუშავნია „ქილილა და დამანას“ ქართულ რედაქციაზე. როგორც ონანას ანდერძი ცხადყოფს, ვახტანგს „ქილილა და დამანას“ საკუთარი თარგმანი მისთვის გამოუგზავნია „გასაჩალხად“ და ლექსებით შესავსებად.[1] ონანამ პროზით თარგმანს ხელი არ ახლო, არ შეცვალა. მან მხოლოდ სათანადო ადგილები გალექსა და, ამასთანავე, უცვლელად გაიმეორა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი მასალა. ამრიგად, მას ეკუთვნის ვახტანგის მიერ პროზად თარგმნილი სპარსული ლექსების ლექსად გაწყობა. ონანა საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო და დავალებაც კარგად შეასრულა, მაგრამ მისი ნამუშაკევი სულხან-საბას მიერ რედაქტირებულმა „ქილილა და დამანამ“ დაჩრდილა.

გივი თუმანიშვილს ზოგჯერ მიიჩნევენ მოსკოვის ქართული კოლონიის წევრად[2], რაც, რასაკვირველია, სწორი არაა. ის ძალზე ხშირად იხსენიება მე-17 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტებში[3]. როგორც ჩანს, გივი მდივან-მწიგნობრის თანამდებობას ასრულებდა რამდენიმე მეფის კარზე (გიორგი XI, ერეკლე I, ვახტანგ VI, იესე, ბაქარი) და მრავალ დოკუმენტს ადგენდა თუ წერდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა გ. თუმანიშვილი ლიტერატურულ ასპარეზზეც. მის კალამს მიეწერება ანბანთქება[4], შაირი მაღალაშვილის ცოლზე (S № 1512), არჩილ მეფის ქება[5], ვახტანგის ეპი-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940.

[2] ქილილა და დამანა, იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ალ. ბარამიძის და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949.

[3] გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 133—140; დ. ბრეგაძე, ქართველი პოეტები რუსეთში, ონანა მდივნის ვინაობისათვის, ა. წერეთელის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953 წწ., გვ. 269—283.

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 341.

[2] გ. ლეონიძე, ბაშნიკი, თბილისი, 1920, გვ. 41; ი. ბალახაშვილი, ქართველი მხედრები 1812 წ. სამამულო ომში, თბილისი, 1942, გვ. 8.

[3] საქ. სიძველენი, I, თბილისი, 1899, გვ. 79, 82, 136, 390, 440, 444, 490; II, თბილისი, 1909, გვ. 105, 107, 114, 153, 185, 189, 202, 225, 245, 246, 265, 301, 445, 448, 509; III, თბილისი, 1910, გვ. 406—408; ს. კაკაბაძე, ისტორიული სიტყვები, V, თბილისი, 1913, გვ. 5, 8, 15; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV — XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 73, 84, 85, 104, 108, 109, 126, 127, 146, 169, 173, 175.

[4] S № 390, S № 424; Е. Такайшвили, Опис. рукописей, II, გვ. 137.

[5] S № 424; Е. Такайшвили, Опис. рукописей, II, გვ. 136—137.

ტაფია[1]; გიეის მონაწილეობა მიუღია ლიტერატურულ პაექრობაში სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეექვსესთან[2], ვახუშტი ბაგრატიონთან ერთად აღუწერია მეწინავე სადროშო[3], 1701 წლისთვის შეუდგენია არჩილის თხზულებათა კრებული (S № 424), რომელ-საც შემდეგ ხანაშიც აერცობდა და ავსებდა[4]. მგონი მასვე გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის" ერთი ნუსხა (H № 3061) და ვახტანგის სამართალი (Q № 164).

ვახტანგის თანამოღვაწეა მისი ძმა დ ო მ ე ნ ტ ი, რომელიც ქართლის კათოლიკოსად ჩანს 1705—1741 წლებში[5]. 1725—1738 წლებში ის სამშობლოს მოაშორეს და კონსტანტინოპოლსა და ტენედოს ჰყავდათ გადასახლებული, მაგრამ ყველგან აქტიურად იღვწოდა და ლიტერატურული საქმიანობისადმი ინტერესს ტყვეობაშიც იჩენდა (A № 66)[6]. როგორც მემატიანეთა და სიგელ-გუჯართა ჩვენებიდან ჩანს, დომენტი კათოლიკოსს უწარმოებია ნაყოფიერი აღმშენებლობითი საქმიანობა (H № 2513). ის იერუსალიმსაც კი სწვევია და ჯვრის მონასტრისათვისაც დახმარება აღმოუჩენია 1699 წელს[7]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის გამდიდრებასა და ძველ ნუსხათა გამრავლებაზე. მისი ინიციატივითა და დაკვეთითაა გადაწერილი ოთხთავი (H № 1097), სადღესასწაულო (A № 425), პარაკლიტონი (A № 452), ასკეტიკონი (A № 63), ეფრემ სირინის (A № 62), იოანე ოქროპირის (A № 56), იოანე დამასკელის (H № 97) თხზულებანი და სხვ. მისი მითითებების თანახმად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა კ ვ ი პ რ ი ა ნ ე ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ი, რომელმაც დომენტის დავალებით თარგმნა ბერძნულიდან კურთხევანი და „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი". როგორც უკანასკნელ ხანს გაირკვა, დომენტის სახელთანაა დაკავშირებული ქართული აგიოგრაფიული კრებულის შექმნა-ჩამოყალიბებაც[1]. მის წრეში ტრიალებდა და მასთან ახლო ურთიერთობაში იყო პ ო ე ტ ი ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, რომელმაც შემდეგში მისი თაოვგადასავალი აღწერა „ქათალიკოზ-ბაქარიანში"[2].

ვახტანგის ხანის კულტურულ წამოწყებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში პირველი სტამბის დაარსება (1709 წ.) და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება. ვახტანგის ზრუნვითა და რუდუნებით, აგრეთვე სტამბის მუშაკების (მიხაილ უნგროვლახელი, ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე მღვდელმონაზონი) ენერგიული შრომის შედეგად პირველმა სტამბამ, მიუხედავად მცირე ხანს არსებობისა (1709—1722), ფრიად საყურადღებო ძეგლები გამოაქვეყნა (განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსანი") და უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში[3].

ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა თბილისში მას შემდეგ, რაც ქართლის ტახტზე ავიდა ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი თ ე ი მ ურ ა ზ II (1700—1762). თითქმის საუკუნის განმავლობაში ქართლის ტახ-

[1] ჯვხვდება მრავალ ხელნაწერში (S № 6, 536, 1203, 1508, 1512, 1516; A №№ 1164, 1163, 1221, 1541, 1735; H №№ 394, 1193; არქ. №№ 396, 495). დაბეჭდილია მეტწილად ვახტანგის სახელით („ცისკარი", 1852, № 3, გვ. 5; 1857, № 11. გვ. 6—7; „ივერია", 1879, № 7—8, გვ. 104; 1882, № 2, გვ. 146—147; 1894, № 74; „მწყემსი", 1886, № 31, გვ. 7; „სახალხო ფურცელი", 1916, № 677; „ლიტერატურა და ხელოვნება", 1947, № 14; სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 152 და სხვ.). დაბეჭდილია ვახტანგის თხზულებათა კრებულშიც (გვ. 64).

[2] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 141—152.

[3] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, I, აღწერა მეწინავე დროშისა ბარათაშვილოსა და სომხითისა შედგენილი მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გიეი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, გამოც. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა, თბილისი, 1907.

[4] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, არჩილის ერთი თხზულების თარიღისათვის, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 18. III. 58, № 8(220).

[5] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 69—70.

[6] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ოდ, „ივერია", 1900, № 190, 191, 195, 198.

[7] ამას ამოწმებს ჩვენება დერთუფისა (K № 181) და ჯვრის მონასტრების (ნ. მარის აღწერილობით № 1, № 17, № 19; რ. ბლეიკით—№№ 1, 8, 18, 51) ხელნაწერებისა. იხ. აგრეთვე ქრონიკები, I, გვ. 209, 289.

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ალ. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 417—420.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში, „ივერია", 1885, № 10, გვ. 110).

[3] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955.

ტი სპარსეთიდან მოსულ მაჰმადიან ხანებსა თუ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებს ეპყრათ. 1744 წელს ქართლის ტახტზე ქრისტიანი ბაგრატიონი, თავდადებული მამულიშვილი თეიმურაზ II ავიდა და ენერგიულად შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ამ პერიოდში კახეთის ტახტზე მისი ვაჟი ერეკლე II იჯდა და მამასთან თანამშრომლობით სამშობლოს კეთილდღეობისათვის ენერგიის დაუზოგავად იღვწოდა. აღმოსავლეთ საქართველო არსებითად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში.

ქართლში თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობაში (1762—1798) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდამ და მოძალებული მტრის მრავალგზისმა დამარცხებამ ქართლს, ნაწილობრივ, აღუდგინა ძველი სახელი. ქართლის გამგებლების ყურადღების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი არ დარჩენილა. განახლდა და გაცხოველდა ვახტანგ მეექვსის წასვლის შემდეგ შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა; განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების საკითხის მოგვარება. 1756 წ. თბილისში გაიხსნა სემინარია, რომელსაც თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები და მწერლები ხელმძღვანელობდნენ (ანტონ I, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოანე ოსეს ძე)[1]. აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებამ ფრიად დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში. თბილისის ეკლესია-მონასტრებში გამრავლდა რიცხვი პირველდაწყებითი სკოლებისა (სიონი, მეტეხი, კალოუბანი და სხვ.), სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გალობას, გრამატიკას, ძველ ისტორიასა და სხვა სამეცნიერო დისციპლინებს[2]. 1749 წელს განახლდა და ამუშავდა ქართული სტამბა („სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა"), გაჩაღდა საგამომცემლო საქმიანობა[3].

ამ ფაქტს უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და თეიმურაზი და ერეკლე მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ[1]. ერეკლეს კარზე საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრსაც[2].

კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეიმურაზ მეორეც. მართალია, მას საკმაოდ რთულ ხანაში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ ლიტერატურული ინტერესი არასოდეს არ შენელებია. თავის ნაწერებში ის მართებულად შენიშნავს: „ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდიო". მართლაც, მას დღენიადაგ ლაშქრობა და ბრძოლა უხდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის.

თეიმურაზი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თანამემამულეთა მწიგნობრულ მუშაობას, ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას. და ა. შ. ის არა მარტო სხვებს ავალებდა ძველი ხელნაწერების გამრავლებას (მაგ., მისი დავალებით ნიკოლოზ სიონელმა გადაწერა „დოგმატიკონი" 1746 წელს — H № 601), არამედ თვითონაც არ უკადრისობდა ნუსხების დამზადებას[3]. ჟამთა სიავის გამო თეიმურაზი ხშირად იყო თბილისს გარეთ. ერთგან ის სწორად აღნიშნავს:

> ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან
> ერთ ალაგს ვერ დავდგებოდი,
> იქით და აქათ მუდამად
> ვლაშქრობდი, ვიარებოდი[4].

მართლაც, ის ხშირად იყო სხვა მხარეში. ამის შედეგად თეიმურაზის ბევრი ნაწარმოები უცხოობაშია შეთხზული, ყანდაარს („სარკე თქმულთა"), პეტერბურგსა („გაბაასება რუსთველთან") და სხვაგან, მაგრამ გარკვეული ნაწილი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისა თბილისის სასახლეებში ყოფნის ჟამსაა დაწერილი („ქება სრისა", „განზრახვანი და ვედრებანი" და ა. შ.).

---

[1] ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950.

[2] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1936, გვ. 179, შდრ. მ. ჯანაშვილი, ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, V, თბილისი, 1940, გვ. 274.

[3] ქართული წიგნი, I, თბილისი, 1941, გვ. XI—XII, 51—74.

[1] სტამბაში მუშაობა ერეკლეს „საქვეყნიერო და სჯულის სამსახურად" მიიჩნდა (А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПБ., 1894, გვ. 5).

[2] ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949.

[3] თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 245; II, გვ. 107, შენ.

[4] თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939, გვ. 105.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ინტერესით ადევნებდა თვალს ერეკლე მეორეც. ის ენერგიულად ეხმარებოდა ქართველ მწიგნობრებს და არ აკლებდა მათ ზრუნვასა და ყურადღებას. მისი ბრძანებითა და ინიციატივით გაჩაღდა და გაიშალა მთარგმნელობითი მოღვაწეობა: ფილიპე ყაითმაზაშვილმა და დოსითეოს ნეკრესელმა თარგმნეს „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ (A № 1301, A № 1415; H № 1012), იოანე ხუცეს-მონაზონმა და ისაკ მცირემ—რუსული სამართლის წიგნები (H № 1426) და სხვ. ერეკლე ზრუნავდა ხელნაწერთა ბედზეც: მან ტყვეობიდანაც დაიხსნა ქართული ხელნაწერები (A № 401). ცნობილია მისი თაოსნობით დამზადებული ნუსხებიც (A № 406). ზოგიერთი ცნობით, ერეკლეს თავისებური მონაწილეობა ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაშიც მიუღია[1].

თეიმურაზისა და ერეკლეს ოჯახებში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ ერეკლეს შვილები და შვილიშვილები. სიბრძნისმოყვარე მამამ შვილებს შესაფერისი განათლება მიაღებინა და მწიგნობრობისადმი ინტერესიც გაუღვივა. მის მრავალრიცხოვან ოჯახში თითქმის არ დაიძებნება პირი, რომელსაც, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა არ მიეღოს კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

ლევან ირაკლის ძეს თავისი კალამი პოეზიაში უცდია, მისი ლექსი მრავალ ხელნაწერშია შემონახული (S №№ 1516, 1543, 3686, 3723; H № 610; A № 1164; Q № 318). გიორგი ბატონიშვილი, — შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798—1800),—ახლო ურთიერთობაში იყო ლიტერატურული ფრონტის მუშაკებთან. მისი ინიციატივით იოანე ოსესძესა და მის თანამოღვაწეებს სომხური ენიდან უწარმოებიათ მთარგმნელობითი მუშაობა (H № 2156; A № 1127; S № 3467; K № 200), მღვდელ-მონაზონ გამალიელს, ნიკოლოზ და ზაქარია (ამბროსი) მიქაძეებს გაუმრავლებიათ ძველი ნუსხები (A № 284; H №№ 3, 2141, 2239) და ა. შ. ერთი ცნობით, გიორგი თვით იღებდა მონაწილეობას მწერლობაში[2]. მის სამეფო კარზე მრავლად ყოფილან მგოსნები და მომღერლები[1].

ქართული ლიტერატურის ისტორიაში კიდევ უფრო მეტად არიან ცნობილნი მირიან, ფარნაოზ, ვახტანგ, დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ილია და სხვა ბატონიშვილები. ბევრი მათგანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მხატვრული ღირებულება და მეცნიერული მნიშვნელობა ერთობ დიდია. მართალია, მათი მრავალმხრივი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად რუსეთის ქართულ კოლონიებში გაიშალა, მაგრამ შეცდომა არაა მათი თბილისთან დაკავშირება. ჯერ ერთი, ისინი თბილისში აღიზარდნენ და გაიწაფნენ, აქ გაიცვნეს და შეიყვარეს მშობლიური ლიტერატურის ტრადიციები, მეორე—თბილისთანაა დაკავშირებული მათი შემოქმედებითი მუშაობის პირველი ნაბიჯები. ამდენად ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი შეუსრულებია თბილისის კულტურულ-ლიტერატურულ გარემოს, თბილისელ მწიგნობართა, მწერალთა და მეცნიერთა წრეს.

რასაკვირველია, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურა თუ საეკლესიო-სასულიერო მწერლობა მხოლოდ ბატონიშვილთა ოჯახებით არ შემოიფარგლებოდა და მათი ნაღვაწით არ განისაზღვრებოდა.

იმდროინდელ მოღვაწეთაგან აქ პირველად უნდა მოვიხსენიოთ ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, რითმის ვირტუოზი ბესარიონ გაბაშვილი (1751 — 1791), რომლის პოეტური ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისთან. არსებითად აქ. — საქართველოს ძველ დედაქალაქში, — დაუნჯდა მისი პოეტური გენია, აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში აყვავდა და რელიეფურად გამოვლინდა მისი დიდებული ნიჭი. მგრძნობიარე მგოსანი თბილისის სასახლეებსა და ბაღებში აფრქვევდა თავის პოეტურ მარგალიტებს, „რუსთველისებრ ხმატკბილობით“ ამღერებდა თავის ლექსებს. თბილისში ჩანს ბესიკი 1777 წლის დამდეგამდე (ჩათვლით)[2].

---

[1] S № 182, გვ. 75—77; S № 1516, 64 v; A № 1631, 2r-v; „ივერია“, 1891, № 94; „ივერია“, 1898, № 7; ზ. ჯანაშვილი, უკვდავთა ღაღადებანი, თბილისი, 1900, გვ. 164—166.

[2] П. Иселпани, Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, Т., 1871, გვ. 71—73.

[1] ა. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 262—265.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1938, გვ. 57—58.

ჩანს, აქ ყოფნის დროს დაუწერია მას სამეჯნურო-სატრფიალო ლექსების დიდი უმრავლესობა; აქვე შეუთხზავს გამანადგურებელი ირონიით აღსავსე სატირიკულ-პოლემიკური ლექსები მზეჭაბუკ ორბელიანზე და სხვ.[1]. აღნიშნული თხზულებებით ბესიკი წარმოგვიდგება როგორც მგზნებარე პატრიოტი და თავდავიწყებული მეჯნური, ნიჭით უხვად დაჯილდოვებული და ფრიად განსწავლული პოეტი, რომელიც მხატვრულ გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებითა და ლექსის მუსიკალობით საპატიო ადგილს იმკვიდრებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

ბესიკი თავისი გარეგნული მოხდენილობითა და უზადო პოეტური კულტურით ხიბლავდა და აჯადოებდა თანამედროვეებს, მას ადრევე მრავალად გაუჩნდნენ მიმბაძველები და თაყვანისმცემლები; მის „ციურსა მღერას“ შემდეგ ხანაშიც სიამით იგონებდნენ (ვ. ორბელიანი).

ბესიკის თანამედროვეა მისი ახლობელი მეგობარი, ერეკლე მეფის სიძე დ ა ვ ი თ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. სახელგანთქმული მეომარი და შესანიშნავი სარდალი ლიტერატურითაც საკმაოდ იკო დაინტერესებული. ეს გარემოება გამოხატულებას პოულობდა არა მხოლოდ დავითის მეგობრობაში მწერლებთან თუ მეცნიერებთან, არამედ წმინდა ლიტერატურული ხასიათის მუშაობაშიც. დავითს სპარსულიდან[2] უთარგმნია ცნობილი სადევგმირო მოთხრობა „ყარამანიანი“[3], დაუწერია ლექსიც („პირზე გაქვს ხალი“...)[4] და ა. შ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერეკლეს კარზე საკმაოდ დაწინაურებული მოხელე მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი,

[1] ბ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1932, გვ. 3—8, 21, 25—28, 37—47, 80—82 და შმდ.

[2] და არა თურქულიდან, როგორც შეცდომითაა აღნიშნული ზოგიერთ ხელნაწერში (H №№ 57, 1376; A № 1128; Q №№ 253, 396).

[3] დავითია დასახელებული მთარგმნელად „ყარამანიანის“ ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში (H №№ 57, 290, 331, 1041, 1376, 2118; S № 1641; A №№ 283, 860, 862, 1128, 1129; Q №№ 253, 396): ზოგიერთი ხელნაწერი „ყარამანიანის“ მთარგმნელად ავთანდილ ორბელიანს ასახელებს (S № 4; H №№ 4, 78), ზოგიერთი ამ საკითხზე არაფერს არ გვაუწყებს (H №№ 55, 82, 402, 411, 1017, 1040, 1199, 1211, 1278, 1655, 2193, 2531; Q №№ 162, 480, 481).

[4] S №№ 1516, 1540, 1543. 3686, 3723; A № 1164; ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, თბილისი, 1928, გვ. 267. ამ ლექსს ზოგჯერ შეცდომით ბესიკსაც მიაწერდნენ (დ. ჩუბინაშვილი, ს. ბიჭინაძე).

„ძველთა ფილოსოფიათა სედმიწევნილი, ღვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე“[1]. მას, როგორც განსწავლულ პირსა და ბრძენ ფილოსოფოსს, ერეკლეს კარზე საპატიო ადგილი მოუპოვებია, მაგრამ თავისი ბოროტი და ავი ბუნებით მოწინააღმდეგენი გაუმრავლებია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გარდა ბესიკისა, მასზე სატირული ლექსები დაუწერიათ საიათნოვას (S № 3723), დავით რექტორსა (S № 105) და სხვებს. არც მზეჭაბუკი რჩებოდა ვალში, მასაც დაუწერია მწვავე პოლემისტური ლექსები ბესიკის საპასუხოდ[2]. მასვე უწერია სხვა ლექსებიც. მაგალითად, „ძეობაში თქმული“[3], მიძღვნა თეიმურაზ მეორის ცოლის დის ანასტასიასადმი (S № 1512, S № 1516), კამათი ანახანუმ დედოფალთან[4] და სხვ. მასვე ეკუთვნის თხრობა: „თუ ვითარ ჯერ არს ლოცვა მამაო ჩუენოსი“ (H № 1228). როგორც ჩანს, მზეჭაბუკი მონაწილეობდა ხელნაწერთა გამრავლებაშიც და თვით ამზადებდა ახალ ნუსხებს (A № 1309).

საკმაოდ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი ისტორიული მოღვაწე ერეკლეს მსაჯული ს ო ლ ო მ ო ნ ლ ი ო ნ ი ძ ე, რომლის სახელით რამდენიმე საინტერესო თხზულებას მოუღწევია ჩვენამდე, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ღირსისა“[5], რომელიც მრავალგზისაა გამოცემული და საკმაოდაა ცნობილი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ფართო საზოგადოებრიობაში[6].

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში მომრავლდნენ მგოსნები და მეხოტბენი, კარის ისტორიკოსები და მომღერლები. კარის მგოსნები გარს ერტყნენ თეიმურაზ მეორეს[7], ხ ო ლ ო ერეკლეს,—იოანე ბატონიშვილის ცნობით,—საკუთრად

[1] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, გვ. 203.

[2] S №№ 1612-ბ, 2130. იხ. აგრეთვე ბ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, გვ. 152—156.

[3] H №№ 21, 2686; A № 1164; S №№ 1512, 1516, 1543, 1576-ბ, 3723; დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ქრისტომათია, II, სპბ., 1863, გვ. 87—88; ანთოლოგია, II, გვ. 247—248.

[4] S № 3686; ანთოლოგია, II, გვ. 248.

[5] უკანასკნელი (1957 წ.) გამოცემა ეკუთვნის დოც. ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ს.

[6] ტ. რ უ ხ ა ძ ე, სოლომონ მსაჯული, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 177—188.

[7] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 392.

ჰყოლია მგალობელ-მწიგნობრები[1]. განვითარება იწყო სახოტბო პოეზიამ. მეფეთა თუ ბატონიშვილთა ქებამ თავი იჩინა როგორც მემატიანეთა (პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე), ისე მწერალთა (ბესიკი, ამბროსი წილკნელი, დავით რექტორი და სხვ.) შემოქმედებაშიც. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ერთი გარემოება: არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით განვითარდა და გაიფურჩქნა აშუღური პოეზია, რომლის თვალსაჩინო და ტიპიური წარმომადგენელი იყო თბილისს აღზრდილი და ქართულ სამეფო კართან დაახლოებული მგოსანი და მომღერალი საიათნოვა. „მეფეთაგან მეჯლისს მიწოდებული, თავადებთან პატივცემით ქებული, ალისფერის კაბით განმშვენებული“ პოეტი თავის ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ლექსებში გამოხატავდა მოქალაქეთა და ხელოსანთა აზრებსა და მისწრაფებებს, მათ ზრახვებსა და ოცნებებს. ის მთელის მგზნებარებით აყღერებდა თავის ჩანგს და კიდევ უფრო ამტკიცებდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

თეიმურაზისა და ერეკლეს კარზე დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიცია ერთობ დიდი ძალისა იყო და მისი გავლენა გვიან ხანამდე შეინიშნება. მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ბევრი ქართველი მწერალი არსებითად ამ სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდა. გასაგებია, რომ მათ ლიტერატურულ ძეგლებში ასე ძლიერად იჩენს თავს ძველი მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენა[2]. ამ გავლენას ვერც პოეტმა ქალებმა დააღწიეს თავი[3].

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ გამოცოცხლდა და განვითარდა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობა, რომლის მეთაური იყო კათოლიკოსი ანტონ I (1720—1788). უაღრესად განათლებული ქართველი მღვდელმთავარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ენერგიულად ხელმძღვანელობდა საეკლესიო ცხოვრებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა თაობის სწავლის საქმეს, პირადად მონაწილეობდა თბილისის სემინარიის მუშაობაში და „თვით წერთიდა ტფილისს სკოლასა შინა მოწაფეთა თვისთა“[1]. ის იყო ინიციატორი ახალი, ორიგინალური, თხზულებების შექმნის, ორიგინალური საეკლესიო-სასულიერო მწერლობის განვითარებისა; ის იყო წამომწყები იმ მთარგმნელობითი მუშაობისა, რომელიც ასე განსაკუთრებული ძალით გაიშალა აღნიშნულ პერიოდში. ამასთანავე ანტონი იყო უაღრესად ნაყოფიერი მწერალი და მეცნიერი. გაოცებას იწვევს მისი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალმხრივობა. როგორც ჩანს, მისი კალამი, მისი გონება თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა შრომებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ანტონის მოღვაწეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ისე დიდია, რომ ზოგჯერ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო-სასულიერო მწერლობას ანტონ კათოლიკოსის ეპოქასაც კი უწოდებენ[2], მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ანტონ კათოლიკოსის სალიტერატურო მოღვაწეობა, რამდენადმე, ობიექტური გამოხატულება იყო ეკლესიურ-კლერიკალური რეაქციისა საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში[3].

აღნიშნულ პერიოდში ძალზე გაცხოველდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა. ეს შეეხო როგორც საერო-მხატვრულს[4], ისე სა-

[1] კალმასობა, II, გვ. 212.

[2] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954.

[3] ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1936.

[1] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, თბილისი, 1906, გვ. 12.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 345—358.

[3] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 468.

[4] 1798 წ. სომხურიდან ვარდანის „მელის წიგნი“ თარგმნა მდივან-მწიგნობარმა იოანე პენტელაშვილმა, რომელიც გიორგი მეფის კარზე მოღვაწეობდა (A № 549, 1786; S № 2966; H № 59; არქ. № 467). „მელის წიგნი“ 1899 წელს გამოაქვეყნა აკად. ე. თაყაიშვილმა: 1937 წ. ხელი არაკი დაბეჭდა პროფ. ა. ბარამიძემ (თსუ შრომები, VI, გვ. 161—168). 1949 წ. დაიბეჭდა თხზულების სრული ტექსტი (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 290—336). იოანე პენტელაშვილი ამრავლებდა სასულიერო შინაარსის ტექსტებსაც (A № 308). მასვე გადაუწერია საიათნოვას ლექსთა კრებულიც 1763 წელს (საგათნოვა, თხზ., გვ. 40—41; ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას ვინაობა, თბილისი, 1930, გვ. 86—87; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, II, ალ. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 101—102). ცნობილია მის მიერ გადაწერილი საბუთებიც (ს. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფი-

ეკლესიო-სასულიერო მწერლობას. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი მწერლობის ამ სფეროდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ჰარმანთა მღდელი“ ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც ერთ ხანს თბილისის სემინარიის რექტორადაც კი ყოფილა. ის პედაგოგიური მუშაობის გარდა ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც, თანამშრომლობდა ანტონ პირველთან, დოსითეოს ნეკრესელთან, ანტონ ცაგერელ-ჟყონდიდელთან და სხვ. ცნობილია მის მიერ სომხურიდან თარგმნილი თხზულებანი „წიგნი საზღვართა“ (H №№ 69, 1325), „ახსნა პორფირისა“ (S №№ 203, 266, 334, 794), „რიტორიკა მხითარ სევასტიელისა“ (H № 256, A № 1181), „დიდი ლოღიკა“ (S № 250) და სხვ. ფ. ყაითმაზაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში[1]. როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების საქმეში[2].

ამავე პერიოდის მოღვაწეა „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“[3] ზაქარია გაბაშვილი (1707—1783), რომელიც ერთ ხანს თბილისში ცხოვრობდა და ახლო იყო სამეფო კართან. ზაქარია თავის პრაქტიკულ-საეკლესიო მოღვაწეობას კარგად ათავსებდა ლიტერატურულ მუშაობასთან, წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს, აშრავლებდა ხელნაწერებს და ა. შ.[4] აქვე უნდა მოვიხსენიოთ

ლისში, თბილისი, 1902, გვ. 52; საქ. სიძველენი, I, გვ. 269; III, გვ. 427; დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, II, გვ. 102, 107).

[1] ფ. ყაითმაზაშვილზე იხ. ქ. ძეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 337—342; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნაკვეთი XVIII ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ფილიპე ყაითმაზაშვილი), „ლომისი“, 1922, № 16; მისივე, К биографии священника Филиппа Кайтмазова (XVIII в.). „Христианский Восток“, т. VI, вып. 3, П., 1922, გვ. 281—284.

[2] ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა იოანე ორბელიანიც (H № 260; A №№ 237, 346, 1162, 1312; Q № 17).

[3] კალმასობა, II, გვ. 195.

[4] ზაქარიას თხზულებანი შემონახულია მრავალ ხელნაწერში (S №№ 303, 1512, 1516, 1203, 3723; A №№ 1076, 1164; H №№ 213, 437, 926, 1196, 1283, 1364; არქ.

იმდროინდელი მწერალი, კალიგრაფი (H №№ 2235), მთარგმნელი (H № 1426) და ორიგინალური თხზულების „კატისა და თაგვთა ომის“ ავტორი ისაკ მცირე[1].

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში შეიქმნა კალიგრაფთა სკოლები. ძველ ხელნაწერთა გამრავლებისათვის ენერგიულად იღვწოდნენ მესხიშვილები, ჩაჩიკაშვილები და სხვა გვარეულობანი.

აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მესხიშვილთა ოჯახი, რომლის სამოღვაწეო ადგილს მეტწილად ანჩისხატის ტაძარი წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ერეკლე მეორეს სემინარია ანჩისხატის ტაძრის ეზოში, „საეპისკოპოსო სახლსა შინა“ მოუთავსებია. ეს გარემოება აღნიშნულ ტაძარს უკვე კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცევდა, ხოლო იქ მოღვაწე პირთ — სამეცნიერო ლიტერატურული დარგის მუშაკებად. ამას ერთვოდა ისიც, რომ ანჩისხატში თავშეფარებული და დასადგურებული იყო მესხიშვილთა ოჯახი, რომელმაც არა ერთი მწიგნობარი მისცა მშობლიურ კულტურას.

მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ანჩისხატის დეკანოზი ალექსი, „ძე ტფილურთა მოქალაქექმნულის ჯელოანის მხატვრის“ გრიგოლ მესხიშვილისა. ის ანტონის თანამოღვაწე და მასთან დაახლოებული პირი ყოფილა[2]. იოანე ბატონიშვილის შენიშვნით, მან „მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა“[3]. ჩვენ სიძველეთსაცავებში მრავლადაა შემონახული ალექსის მიერ გადაწერილი ნუსხები, მეტწილად, როგორც მოსალოდნელია, საეკლესიო-სასულიერო შინაარსისა (ხრონოგრაფი — H № 1671, ოთხთავი — H №№ 1114, 1666; Q № 264, სჯულის კანონი — A №№ 344, 478, წმიდათა ცხოვრება — H № 2077, ტიბიკონი — A №№ 399, 459 და სხვ.); მაგრამ მას ზოგჯერ საერო-მხატვ-

№ 396 და სხვა). ცნობილია მის მიერ გადაწერილი ნუსხებიც (H №№ 3, 46, 409).

[1] თხზულებას ერთ ხანს შეცდომით ზაქარია გაბაშვილს მიაწერდნენ, რადგან ზოგიერთი ნუსხა (H № 213. H № 1103) მის სახელსაც იხსენიებდა. ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებით მისი ავტორი უცილობლად ისაკ მცირეა (H №№ 771, 1214, 1311; S №№ 1512, 3723; A №№ 890, 1164).

[2] ანტონს მასთან ურთიერთობა ქ. ვლადიმირში ყოფნის დროსაც არ გაუწყვეტია (A № 1448, H № 2510).

[3] კალმასობა, II, გვ. 200.

რული ლიტერატურის ძეგლებიც გადაუნუსხავს (ვისრამიანი—H № 716)[1]. ალექსი არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ხელნაწერთა გამრავლებით, მას გარკვეული წვლილი შეუტანია საეკლესიო მწერლობაში, კერძოდ, რუსულის მიხედვით გაუმართავს ქართული თვენი 1758 წელს (A № 1093). მან „კეთილად აღზარდნა შვილნი თვისნი" (იოანე ბატონიშვილი), გააცნო და შეაყვარა ქართული მწერლობა. მისი შვილებიდან ქართული კულტურის ისტორიაში საკმაოდაა ცნობილი დავით რექტორი (1745 — 1824), რომელიც თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა. მეორე ვაჟი სოლომონი (1742 — 1808) ანჩისხატის ტაძარში დარჩა და იქ განაგრძო მამის საქმე. ცნობილია მის მიერ გადაწერილი თუ გაცხოველებული ნუსხები (A №№ 15, 275, 276, 356, 426, 618, 1106; H № 319; Q №№ 58, 268). დაუწერია მას საყურადღებო ლექსი („ეტრფის მთიებსა")[2], დავით ბატონიშვილის შესხმა (A № 355) და სხვა[3].

ხელნაწერებს ამრავლებდნენ ალექსი მესხიშვილის სხვა შვილებიც: ნიკოლოზი (H № 2256, S № 3183), გიორგი (A №№ 114, 155, 239; H №№ 158, 1354, 2110; Q №№ 70, 469) და ა. შ.

წინაპართა ტრადიციას არ ღალატობდა მომდევნო თაობაც. გაწაფული და დახელოვნებული კალიგრაფი იყო ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი სოლომონის ძე მესხიშვილი (H №№ 205, 212, 224, 225). ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა მისი ძმა იერონიმე (S № 201, 209, 214—219, 221 — 224). საყოველთაოდ ცნობილია მესამე ძმის ტარასი მესხიშვილის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა[4]. ხელნაწერებს ამრავლებდა მეოთხე ძმაც — ანდრია მესხიშვილი (A № 1126); შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ეფრემ ალექსი — მესხიშვილიც (H № 1132-ა)[1].

ძველი ხელნაწერების გამრავლებისა და ახალი ნუსხების დამზადების მხრივ ანჩისხატს არ ჩამორჩებოდა სიონი, სადაც სხვადასხვა დროს მრავალი კალიგრაფი მოღვაწეობდა. ჩვენთვის ცნობილია სიონელი გადამწერნი გედეონი (A № 33, K № 154), პავლე (A № 728), თომა (H № 15), გერმანე (A № 169), სოლომონი (H № 319), იოანე (A № 1552) და მრავალი სხვა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ისაკ მწიგნობარი — „საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, მოკამნეთა შორის ჩინებული და ხუცურისა წერასა შინაცა ქებული"[2]. მრავლადაა ცნობილი მის მიერ გადანუსხული ხელნაწერები (A №№ 265, 822, 1385...) და მისი ხელით დაწერილი საბუთებიც[3]. კიდევ უფრო მეტად ნაყოფიერი იყო კალიგრაფი ნიკოლოზ მიქაძე, სიონის დეკანოზი. იოანე ბატონიშვილი აღტაცებით შენიშნავს: „ჯერეთ არავინ ყოფილა ამისთანა მშვენიერის ხელის მწერალიო"[4]. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ გადაწერილი რამდენიმე ათეული ხელნაწერი[5].

აქვე უნდა მოვიხსენიოთ „იკონომოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა", რექტორი თბილისის სემინარიისა იოანე ოსეს ძე (გარდ. 1801 წ.). ისიც საკმაოდ დაოსტატებული კალიგრაფი იყო (A №№ 64, 122, 292; K № 90), ეწეოდა მთარგმნელობითსა და სარედაქციო მუშაობას ფილიპე ყაითმაზაშვილსა (H № 2156, A № 1127, S № 3467, K № 200) და იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილთან

---

[1] დაუწერია მას მრავალი საბუთიც (საქ. სიძველენი, I, გვ. 286—287; II, გვ. 544—546; III, გვ. 453—456; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 239, 261, 263—264, 299, 305—306; ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, V, გვ. 45, 74—75).

[2] ხელნაწერთა ჩვენება ამას უცილობლად ადასტურებს (H № 393; A № 1164; S №№ 1512, 1543, 3723) და არავითარი საბუთი არა გვაქვს მივაკუთვნოთ ის ბესიკს (ს. ყორგანაძე) ან ს. ლიონიძეს (დ. ჩუბინაშვილი).

[3] სოლომონი წერდა საბუთებსაც (საქ. სიძველენი, I, გვ. 309—311; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 146—147, 216; ს. კაკაბაძე. ისტ. საბუთები, V, გვ. 106—107).

[4] ტ. რუხაძე. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954, გვ. 52—53.

---

[1] ჯ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში, თბილისი, 1902.

[2] კალმასობა, II, გვ. 199; შდრ. ჯ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 4, 80, 85, 265.

[3] საქ. სიძველენი, I, გვ. 99, 101, 150—151; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 67—68, 265; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ. 76—77.

[4] კალმასობა, II, გვ. 198.

[5] A №№ 20, 347, 412, 848, 897, 1191, 1399, 1454, 1487, 1702; H №№ 334, 601, 656, 970, 1193, 1369, 2121, 2234, 2239; K №№ 80, 139; Q №№ 57, 78; არქ. №№ 64, 224, 284 და სხვ. წერდა ის საბუთებსაც (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 335—336; II, გვ. 119). ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, V, გვ. 73—74, 79, 95.

(A №№ 711, 813, 1296, 1565; H №№ 633, 658, 659, 766, 1296, 1365, 3127; Q №№ 228, 391) ერთად. წერდა ლექსებსაც (A №№ 266, 292, 618, 711; არქ. № 201, 325; H №№ 1365, 2117). კიდევ უფრო ნაყოფიერი შემოქმედი იყო მისი ძმა, ცნობილი პოეტი და მემუარისტი იესე ბარათაშვილი[1].

ხელნაწერების გამრავლებას ადგილი ჰქონდა სხვა ეკლესია-მონასტრებშიც: კალოუბანში (H № 3132), მეტეხში (A №№ 589, 597, 873), განსაკუთრებით ჯერის მონასტერში („სანახებსა ჯუარის მონასტრისასა"), სადაც მოღვაწეობდა ცნობილი კალიგრაფი იოანე დეკანოზი[2]. არსებითად კალოუბნისა და სიონის მწიგნობრების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით სწავლობდა ცნობილი ქართველი მემუარისტი იოანე ქართველიშვილი (1772—1816)[1].

ჩვენი მსჯელობა ქართველი კალიგრაფების შესახებ სრული არ იქნება, თუ აქვე არ მოვიხსენიეთ ცნობილი ქართველი მწიგნობარი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი და მისი ვაჟები. ნიკოლოზი მღვდელი იყო და მეტწილად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის თხზულებათა ნუსხებს ამრავლებდა (A №№ 465, 657, 1168, 1321, 1354, 1465; H №№ 90, 1198, 1264, 1675, 2270; Q № 290; K №№ 82, 96, 135; არქ. № 412 და სხვ.), მაგრამ საერო მხატვრული ძეგლების ძვირფასი კრებულების შედგენას თუ ცალკე ნუსხების დამზადებასაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა (A №№ 858, 860, 999; S №№ 342, 3698). საერო ნაწარმოებთა ნუსხებს ამზადებდნენ მისი ვაჟებიც, კორნილი და თომა ჩაჩიკაშვილებიც (H №№ 181, 929; S №№ 1145, 3163).[2]

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბილისი, 1950. იხ. აგრეთვე ქ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი", ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 121—137.

[2] მოღწეულია მის მიერ გადაწერილი მრავალი ნუსხა (H №№ 307, 1373; A №№ 406, 1162, 1474, 1743, 1745; S № 25; K № 76: არქ. № 301). უწერია მას საბუთებიც (საქ. სიძველენი, III, გვ. 160—161; დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, გვ. 404; III, გვ. 426; ს. ყაყაბაძე, ისტ. საბუთები, V, გვ. 61).

[1] იოანე ქართველიშვილის მემუარები, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1952.

[2] ლ. ქუთათელაძე, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 192.

* * *



მთავარმართებლის სასახლე (ახლანდელი პიონერთა სასახლე) XIX საუკუნის I ნახევარში (რეკონსტრუქციამდე)



კორნელი კეკელიძე

თბილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში

თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. გაშენებული, მემატიანეთა ცნობით, თითქოს მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, ის, ყოველ შემთხვევაში, მეექვსე საუკუნეში, როდესაც მას ბიზანტიელი ისტორიკოსიც იხსენიებს, ქართლის დედაქალაქადაა ქცეული. ამიერიდან ის ხდება ცენტრად ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა. როგორც ასეთი, ის თითქმის ყოველ ნაბიჯზე იხსენიება ჩვენი ძველი ისტორიკოსებისა და მემატიანეთა მიერ. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს არა საისტორიო ძეგლების ცნობები თბილისის შესახებ,— ასეთ ცნობებს ალბათ ისტორიკოსები მოუყრიან თავს,—არამედ წმინდა ლიტერატურული: პოვა თუ არა თბილისმა ადგილი ჩვენს ძველს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, ჰყავს თუ არა მას თავისი საკუთარი აღმწერელნი და მეხოტბენი?

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველს ლიტერატურაში ჩვენ თითქმის არ გვეგულვება არც ერთი სიტყვა-კაზმული ნაწარმოები, რომლის თემატიკას სპეციალურად და უშუალოდ ჩვენი დედაქალაქი შეადგენდეს, მას სხვათა შორის, გაკვრით ეხებიან სხვადასხვა დროის მწერლები და პოეტები, თუმცა ასეთი შემთხვევაც არაა მაინცა და მაინც ხშირი.

თბილისს ჩვენ ვხვდებით, პირველყოვლისა, აგიოგრაფიულ ბელეტრისტიკაში, როგორც ადგილს, სადაც იშლება ტრაგედია ესტატე მცხეთელის (VI ს.) და აბო თბილელის (VIII ს.) ცხოვრებისა. აბოს „მარტვილობაში“ ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტოპოგრაფიული ხასიათის მონაცემი თბილისის შესახებ, აქ წარმოდგენილია ძველი ნაწილი თბილისისა, მისი ერთ-ერთი გარეუბანი (დღევანდელი თვალსაზრისით), „რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“ — და რომელიც მდებარეობს „აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არც კბოდჵ, კლდჵ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განვლის აღმოსავლეთით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“[1]. აქ, ამ ადგილას, ავტორი გვიხატავს საშინელ სურათს აბოს გვამის დაწვისას, რომლის შედეგს, ფერფლს, ჩამოიტანენ ძირს და, დაახლოებით დღევანდელი ავლაბრის ხიდიდან, დაჰყრიან „ფიცხელთა მათ მფოფიანარეთა ღელვათა და სიღრმეთა“ შიგან მტკვრისათა.

[1] ა. კეკელიძე, ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, ნაკ. 1, გვ. 74—75.

საერო მხატვრული ლიტერატურა თბილისს ეხება მხოლოდ ე. წ. აღორძინების ხანიდან, განსაკუთრებით XVII — XVIII საუკუნეში. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, დასახელებული უნდა იქნას პოემა შაჰნავაზიანი ფეშანგი ფაშვიბერტყაძისა, რომელიც მოგვითხრობს მეფის ვახტანგ V შაჰ-ნავაზის საქმიანობის შესახებ. აქ, პირველ ყოვლისა, ნაჩვენებია, როგორ შეამკო ვახტანგმა თბილისი და როგორ უწყობდა იგი ხელს მის გამდიდრებას ვაჭრობის საშუალებით (ტექსტი მოგვყავს გ. ლეონიძის გამოცემით).

თბილისს მოვიდა ხელმწიფე,
შეიქმნა დიდი ყრიალი,
სიმხიარულე ვაჭართა,
ჰქონდა ერთობით ზრიალი,
გარდააყრიდენ ოქროსა,
ხმასა მიჰქონდა გრიალი,
უსუსურთ ფეხთ ქვეშ იგებდენ,
თეთრს შოულობდა ძრიალი (113)
თბილის ქალაქი შეამკო,
არ ითქმის კაცთა ენითა,
დუქან-ბაზარი გამართა
ბალახანითა ზენითა;
ყოფილა უცხოს თემთაგან,
აივსო მუდამ დენითა (179)
რა გიამბო, ძვირ საფასო
იშოების თუ რა ლალი,
ბევრი მოვა სავაჭრებლად,
მათ შექნია თურალალი (180)
სახლი ვაჭართა ვით გიქო,
როგორ მორთვით აქვს თალარი,
მორჭმა, სიმდიდრე ზღვისაებრ
უყრია იმათა ლარი,
თვალ-მარგალიტი უზომო,
თუ როგორ განათალარი;
მათ რომე სჭირდა ლართა ყრა,
ვერა ვთქვი ნაათალარი. (181)
ამრიგად მორთო ქვეყანა
სიმდიდრით მეტის-მეტითა;
იყო ზათქი და ზეიმი,
თვალნი ვერ გაძღის ჭურეტითა.
მინდვრად დადგიან კარვები,
უფროსი ოქროს სვეტითა;
უცხო თემთაგან მოსულთა
ქება თქვეს, ნატრა ნეტითა. (182).

შემდეგ ავტორი აგვიწერს მეფის მიერ აგებულ სასახლეს:

სახლი სალხინოდ ნაგები,
მტკვარს ადგა ტურფა თალარი.
ფრანგ ოსტატთაგან ნაგები,
მათგანვე განათალარი.
ჰკრეს მათნი ხელოვნებანი,
მომართეს ამო თალარი (185)
ხელმწიფე, ლხინთა ჩვეული,
უბოძის მოყმეთა ლარი.

თვალწარმტაცია, ავტორის აღწერილობით, სიმდიდრე და მორთულობა მისი:

ხელმწიფის ტახტი საკადრად
დგას ქალაქს შუაგულოსა,
სრა და ოთახთა სიკეთე
კაცმა ვით განიგულოსა,
ყოლგნით მოვიდის მნახველი,
კარი არ დაეგულოსა. (183).
სურა დგას იაგუნდისა,
სხვა ზურმუხტისა თასები,
შირაზულისა ღვინითა
არის უწყვეტლად სავსები.
სხვა თვალ-გვარისა ხონები,
კაცთაგან დაუფასები,
შევლენ, დალევენ ფიალას,
იგ დიდებულთა ხასები. (187).
გუარით არის მოცული,
თვალს აღარა აქვს ტევანი,
ხშირად მიუბამს, ჰკიდია
მარგალიტისა მტევანი;
ნახჩი აქვს იაგუნდისა
და ზურმუხტისა ხევანი,
კარს წინ მოუდგამს საჩრდილად
სრავ ზაბარჯისა სევანი. (188).
მორთო ყოველი სიმდიდრე,
მეფეთ სახლისა წესები,
ოქრო, ვერცხლი და ჩინური,
რაც იყო უკეთესები,
იაგუნდისა სურები,
არვის ჰქონია ესები,
ბროლისა გობა სასმელად
ეყარის დასაკვნესები. (193).

ფარდა, ოქსინოთ ნაკერი,
მოვლიან კედელ-ყურესა,
ქვეშ საფენელი სტავრისა,
სხვას ნაქსოვს არ უყურესა,
მარგალიტისა სუზანი
საფენსა გარდაბურესა,
ამას ჰგავს, სახლი სამყოფი
ოქროში გააცურესა. (194).
ვერ დავსთვალე ოქროს კოკა,
დააწვიან მგონი ასი,
მნახველთაგან მოსაწონი
იგი, უცხო დასაფასი,
ჩარა, ძნელად დასალევი,
გორად ყრია ოქროს თავი,
თვალი უსხდა გამჭირვალი,
მოსაწონი, არ თუ ნასი. (202).

ამ სასახლის მშვენებას წარმოადგენდა ბაღი, რომელიც მას გარშემო ერტყა:

იგ ბაღსა შუა სალხინოდ
მორთვით დგას აინხანები.
მისსა მნახველსა სარჩლა აქვს,
გულო, ნუ ხელობ, ხან ები!
ეშყი სურვილთა ბაგეა,
ხან ძალი მისწევს, ხან ები,
მათ მოსძულდების სამყოფი,
რა შევლენ, ნახვენ ხანები. (186).
წყალი დის, ავზი სავსეა,
მებაღე ვარდსა რწყვიდისა,
რა გაზაფხული მოვიდის,
სადენლად არ დასწყვიტისა,
ვარდის წყლით სავსე ყველაი,
მინებსა ვერ დასთვლიდისა,
რა დაჭკნის ვარდი, ბულბულმან
იმედი გარდასწყვიტისა. (189).
სრას ავლია ტურფა ბაღი,
სულ სურნელობს დღე და ღამე,
ვარდი ყვავის მისებურად,
დავადარო სხვა რაღა მე?
ბულბული სცავს, მისი ხელი,
თქვა: „წავიდე სადაღამე“,
ვპოვო ჩემად სასიცოცხლოდ,
ამად ვიქენ სადაღამე. (200).
სხვა ყვავილთა ფეროვნება
არ ითქმების კაცთა ენით:
ზამბახი და იასამან,
თვით ყაყაჩო ვით ვაქენით?
ნარგიზისა ფერი მოწმობს,
სხვა რა უქო სულთა დენით?
ვარდი მეფობს ყვავილზედან,
ილალვიან ცუდად რბენით. (201).

აი, ასეთი სასახლით შეუმკია ვახტანგ V თბილისი, ეს ის სასახლეა, რომლის შესახებ ევროპელი მოგზაური შარდენი (XVII ს.) ამბობდა, რომ მისი მსგავსი მას ევროპაშიაც არ უნახავს.

უფრო მეტია ცნობები თბილისის შესახებ მეთვრამეტე საუკუნის პოეზიაში. ამ შემთხვევაში პირველყოვლისა დამოწმებულ უნდა იქნეს მეფის ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ი ს პოეზია (ვსარგებლობთ ა. ბარამიძის გამოცემით).

ერთ-ერთ თავის ლირიკულ ნაწარმოებში ვახტანგი აგვიწერს „კეკლუცთა ხელმწიფის“ მშვენიერებას, მის თვალწარმტაც სილამაზეს და იმ გრძნობებს, რომელთაც იწვევს მოტრფიალეთა გულში მისი ჭვრეტა. ეს „კეკლუცი“ არის მისი სამშობლო ქართლი. მერე კონკრეტულად ახასიათებს ქართლის სხვადასხვა კუთხეს, მათ თვისებებს და მოიგონებს, როგორ ატარებდა ის დროს ამ კუთხეებში. დასახელებულია: დიდგორი, ლილოს ტბა, კოქორი, თრიალეთი, ქცია, შამბიანი, შავნაბადი, ტბის ყური, ღრმა ხევი, სომხითი, ხუნანი, ყარაია, ლოჭინი, ნაყორულევი, აღრინტალი, და ბოლოს ავტორი მისწვდება თბილისსა და მის აბანოებს, ის ამბობს:

რა გათავდეს ეს შექცევა,
კვლავ მოვიდენ ისევ ტფილისს,
აბანოსა განისვენონ,
ქებაც ითქმის მცირე ძილის;
სანუკვარი მრავალფერი,
სიმრავლეა უცხო ხილის.
იშვებდენ და იხარებდენ,
ვის რა ჰქონდეს თავის წილის[1].
რა სჯობს მაისში ტფილისსა,
ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
მწვანედ ღელავდეს გარემო,
ცვარი ცის მაზედ ესხასა,

[1] ფ. 15, სტრ. 45.

თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას,
მაზედა რითმე ესხასა?
მე ასე მითქვამს, უთუოდ
ის კაცი იყოს, ეს ხასა[1].

უთუოდ მართალი იყო ვახტანგის თანამედროვე პოეტი გივი თუმანიშვილი, რომელიც მის მიერ დაწერილ „ეპიტაფიაში" ათქმევინებს ვახტანგს:

ტფილისს სიონი ხელახლა
შევძერწე ქანდაკებულად,
ჩემთვისცა სახლი სარკისა,
შიგ ლხინი მოწონებულად[2].

ეს „სარკის სახლი", რომელიც თურმე თბილისის მშვენებას წარმოადგენდა, თვით ვახტანგს არ დაუხასიათებია, ის აუწერია მომდევნო პოეტს, თ ე ი მ ურ ა ზ მ ე ო რ ე ს, შემდეგნაირად:

სრა ერთი მეფის ვახტანგის,
უცხოულობით ნაგები,
საკვირველი და საქები,
მას უხდებოდა სარკები,
შუაზედ შანიშინი და
აუზით შადრევანები,
ფერად-ფერადის ჯამებით
შეხამებული ფანჯრები.
ავზს უხდებოდა შუაზედ
ბროლისა ხომლის კიდება,
როს მეფე-სპანი ლხინობდენ,
დღეს რომ შეჰქონდა ბინდება,
შეღამდის, ხომლზედ განწყობილს
კელაპტრებს მოეკიდება,
შიგ მსხდომნი კედლებს სპვრეტდიან,
ეგონისთ — გარს გვეკიდება.
ერთიცა სახლი უზეშთე
ერანშიც არ ნახულა-და!
იმ სრისა ქება, სიკეთე
ქვეყანას ხმა-განთქმულადა,
როგორც მას ჰფერობს ქებანი,
შესხმა არ ძალშიც სრულადა,
სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა,
მისებრივ არ დადგმულადა.

[1] გვ. 13, სტრ. 27, გვ. 44, სტრ. 11.
[2] გვ. 64, სტრ. 1.

სრას უხდებოდა ხელმწიფე
თაჯითურთ ჯიღებიანი,
თვით მეფე ვახტანგ შიგ მჯდომი
ძმებითურთ, შვილებიანი;
გვერდს ახლდენ დარბაისელნი,
მორთულნი, ბიღებიანი,
უკეთესს რაღას ნახევდა
თვალითა კაცი ჭკვიანი?
როს დაუკრავდენ მგოსანნი,
ტკბილად დაეწყოთ თქმანია,
მათ ხმაზე ამღერდებოდენ
ბულბულნი, იადონია,
ის ლხინი და სიხარული
უცხო რომ გასაგონია.
მეც ბევრი ვნახე იმ სრაში
ლხინი და უკუყრანია[1].

პოეტი თ ე ი მ ურ ა ზ მ ე ო რ ე, მართალია, საგანგებოდ თბილისს არ ახსენებს, მაგრამ აგვიწერს იმ ძვირფას „სრას" ან სასახლეებს, რომელნიც შეადგენდნენ ამ ქალაქის მშვენებასა და სიამაყეს. ესაა მისი საკუთარი და სამის წინადროის მეფის: როსტომის, ირაკლი I-ის და ვახტანგ VI-ის სასახლეები. ვახტანგის სასახლის აღწერილობა უკვე მოვიყვანეთ, აი, როგორ აგვიწერს ის სხვებს:

როსტომ მეფისგან ნაგები
საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა,
ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და
დევნი ეხატა რქიანი,
შეამკო დიდად, დაედვა
სახელად როსტომიანი:
ერთი სრა მამის ჩემისა,
მეფის ერეკლეს გებული,
ხელმწიფეთ საკადრისი და
ქვეყნისგან მოწონებული,
სარკით და ოქროს ვარაყით
შემთხვევით განათებული,
მეფეთ და დარბაისელთთვის
სალხინოდ დამზადებული[2].

[1] თ ე ი მ ურ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გამოც. ს. ჯაკობიასი, გვ. 105—106, სტრ. 13—17.
[2] იქვე, გვ. 105, სტრ. 11—12.

თავის საკუთარ სასახლეზე პოეტი-მეფე ამბობს:

ავაშენებდი სასახლეს,
საწოლსა აივანებით,
შემკულსა ზევით-ქვევითა
ლამაზად ბალახანებით,
შუაზედ აინახანა
დახატვით, მიჭვრიტანებით,
ეს შევასრულე სალხინოდ,
შიგ ვსვემდი დოსტაქანებით[1].

ეს „სახლი" ადარებს თავისთავს იმ სამის სასახლეს და ამბობს:

არ ვარ იმ სრებზე ნასებით,
ავშენდი დიდ დაფასებით...[2]
ვერა მჯობს ერთი სახლია,
მჭვრეტელთა გულსა სწადია,
ახლოს მაქვს ტურფა ბაღია,
მნახველთა დასაქადია;
მიბრძანდით, კარია ღია,
ნახოთ კოკობი ვარდია,
საღი აავსეთ თასია,
უკუ იყაროთ დარდია[3].

მეფე უპასუხებს თავის მქებარე სასახლეს:

აქ კაცი რის გზით მოიწყენს
სადამდის უდგეს სულები?
აქ რაცა კარგი სახლია,
არ არის შენისთანაო[4].

მეთვრამეტე საუკუნის პირველი მესამედის თბილისი და მისი სანახები იხსენიება ორს საისტორიო პოემაში: ერთია „კათოლიკოზ-ბაქარიანი" იესე ტლაშაძისა[5], მეორე დავით გურამიშვილის „ჭირი ქართლისა"[6]. ამ პოემებში აღწერილია კინკლაობა ვახტანგ მეექვსესა და კახთ ბატონს კონსტანტინეს შორის, რომლითაც სარგებლობდნენ სპარსელები, ოსმალები და ლეკები ქვეყნის საზიანოდ. დავით გურამიშვილი, იგონებს რა ირანის შახს თამაზს, ამბობს:

მით გასახმილდა წინწკალი,
გრიგლად გადიქცა სიონი,
მისგან შეირყა მეტეხი,
მისგან დაიქცა სიონი[1].

კონსტანტინეს მიერ მოციქულად გამოგზავნილი ბერები ხუმრობენ:

ერთმან იხუმრა: ვიბანებ
თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ — თევზით გავძღები,
ზურგიელ-გელაქუნითა,
მესამემ — მივიბრუქები
ღვინითა ატენურითა[2].

ვახტანგმა ისინი დააპატიმრა, ციხეში ჩასვა; კახთ ბატონი,

იგ რა ესმა, წამოვიდა,
დაიჭირა ავლაბარი;
ნარიყალა მიმბაშს ეპყრა,
შაის-ტახტი, ციხის კარი;
რა მივიდა, ფიცხლავ მოსცა,
განიკეთა მუნ საფარი[3].
ქართლ-კახეთსა გარდეხადა
მაშინ ღვთისა საფარველნი.
ოდეს გარსა შემოადგენ
თიფლისს კახნი და ჭარელნი[4].
სულ დაიჭირეს კრწანისი,
ციხე და გარ თაბორია...
კრწანისის ბოლოს შეიბნენ,
ომი შეიქნა ძრიალი[5].
მტრებმა გატეხეს სიონი,
აიკლეს ბევრ ფართარია,
სიონის ხატი წაიღეს,
არვინ იცის სად არია,
დატყვევდა დეკანოზიცა,

[1] იქვე, გვ. 105, სტრ. 9.
[2] იქვე, გვ. 106, სტრ. 21.
[3] იქვე, გვ. 106, სტრ. 23.
[4] იქვე, გვ. 107, სტრ. 31—32.
[5] გამოცემა ე. თაყაიშვილისა.
[6] გამოცემა 1955 წლისა.

[1] დავით გურამიშვილი, გვ. 53, სტრ. 188.
[2] იქვე, გვ. 67, სტრ. 292.
[3] იქვე, გვ. 68, სტრ. 302.
[4] იქვე, გვ. 69, სტრ. 304.
[5] ტლაშაძე, სტრ. 28, 29.

კაცი წმინდათ სადარია
ის ხომ ორ თუმნად დაიხსნეს,
ხატი კი დაიკარგაო;
არ იცით, თბილის ქალაქი
უმისოდ აღარ ვარგია?[1]

შინაგანი აშლილობით ისარგებლეს ოსმალებმა, ამიტომ

ოსმალო თიფლისს შევიდა,
კარები დახვდათ ღია რა[2].
იესეს მეფეს მოხსენდა,
გორს ადგას ქართველთ ჯარები,
მან შეიყარა ოსმალო,
იქმნა თიფლისით მარები[3].

ჩვენამდი შენახულია ერთი ასეთი „მ ე ს ტ ვ ი-
რ უ ლ ი ლ ე ქ ს ი“, თუ წმინდა ხალხური არა, ხალხურის ყაიდაზეა შექმნილი. მართალია, ეს ლექსი დიდი ხანია წერილობით არის ცნობილი, მაგრამ იმას ჩვენც შეგვიძლია შევეხოთ[4]. ის ასე იკითხება:

ნეტარ ქება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისაო?
ზამთარი არის ბროლისა,
ზაფხული ზურმუხტისაო;
გარს ახვევია ბაღები,
ჩარხი უბრუნავს წყლისაო,
შიგ წისქვილები უბრუნავს,
გარშემო უფლის წლისაო,
ქალაქში აბანოები,
ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდამ აშენებული,
აუზები არს ქვისაო,
მაღლიდამ გადაჭედილი
წითელი აგურისაო,
გვერდიდამ ფანჯარაები,
სანათურია მზისაო,
ვინც შევა, აგრევე გახდის,
როგორც თოვლია მზისაო,
ქალი და რძალი გამოდის,
ვითა ყვავილი ხისაო.
დუქნები ბევრი დამართეს,
სასხდომი ბაყლებისაო;
ქვეშ ქუჩები დაატანეს,
სარბენი არის გზისაო;
წინ ნათხარი ორმოები,
ნაგები სარდაფისაო,
ხოის ლაინი ბევრია
და, ფარჩა ბეზირგნისაო.
საყდარიც ბევრი ააგეს
ამ თეთრი ქვითკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის,
სალოცავია ღვთისაო;
ბერი და მღვდელი ამდენი,
როგორც რომ წვიმა წყლისაო,
ხაზინაები აწყვია,
მოჭრილი თამაზ-ხნისაო.

აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების გამო, უნდა ვიფიქროთ, ხალხს შეუთხზავს, არა ერთი ლექსი, რომელშიაც ეს სამახსოვრო ამბავი ასე თუ ისე ასახულია.

ამ ისტორიულმა უბედურებამ გამოხმაურება პოვა პოეტის ს ტ ე ფ ა ნ ე ფ ე რ შ ა ნ გ ი შ ვ ი-
ლ ი ს პოეზიაში. მისი ლექსი „თბილისის აოხრებაზე 1795 წ.“ იწყება ასე:

ქალაქი, რომელ გენახებათ ყოვლით ქებული,
ხალხით, მორთული, კეკლუც-ნაზი, გალაღებული,
აწ მოდით, ნახეთ, როგორ არის გაოხრებული,
მისნი შვენიერ ქალაქნი დატყვევებული[1].

მერე ლაპარაკია ხოჯახანის შემოსევისა და ქალაქის აოხრების შესახებ.

დასაბრულ, მეტად საინტერესო ცნობები თბილისის შესახებ შემოუნახავს თავის „ქალმასობაში“ ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს. ნაწილი ამ ცნობებისა გამოქვეყნებულია „ქალმასობის“ პირველ ტომში (1936 წლის გამოცემა), მოგვყავს იგი.

იოანე გზაზე შეხვდება ოდიშელ ბერს, რომელსაც ფუეურო-სერაფიმე ეწოდება. ის ეუბნება იოანეს: „შვილო იოანე, მე ამ ქალაქის არა ვიცი რა და, თუ ინებებთ, მე თან გიახლებით, ერთად

[1] ტ ლ ა შ ა ძ ე, სტრ. 46—47.
[2] დ ა ვ ი თ ბ ე ს ტ ა მ ი შ ვ ი ლ ი, §§. 70, სტრ. 312.
[3] იქვე, სტრ. 315.
[4] Д. Чубинов, Грузинская хрестоматия, ч. II, Петербург, 1846, §§. 240—241.

[1] ტ რ. რ ო ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, §§. 208.

ვიაროთ და გამაშინჯე რაღაც ჩირაღდანია". იოანეს იამა დიაღ და წარვიდნენ ერთად. მივიდნენ. პირველად დაიწყეს მეიდნიდამ სწავლა, შეევიდნენ ხარასხანის ბაზარში, იხილეს მუნ ოქროს მჭედლები, მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი ეგრეთვე ოქროის დაწყობილი და სხვა სამკაული. თქვა ბერმან: „ამ ცოლ-შვილ მკვდართ, ამდენი ოქრო და ვერცხლი ჰქონებიაო"! დია გაუკვირდა. მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი, სავსენი ქოშით და მაშიით. თქვა ამ ბერმან: „ბატონო, ამდენი ქოში რად უნდათ? ჰგავს, უქოშო ხალხს მოელიან საიდამე"! რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად. რა იხილა ბერმან, სთქვა: „ბატონო, ბარე ყოველს კაცს გვაქვს თითო ბაჩის იარაღი და ამდენი რად უნდათ? ჰგავს, უბელო ცხენიანს ხალხს მოელიან საიდმე"! მერე იხილეს ყაზაზები და თქვა ამ ბერმან: „ბატონო, ამდენი ძაფი და ზონარი რად უნდათ, რა უნდა შეკერონ ამდენი?" რა გაიარა, იხილა ყაჯარდუზები და განკვირდა ყაჯრებზედ, თქვა: „ნეტამც ერთს მაჩუქებდენო"! მერე მივიდა მექუდეებში, იხილა გალმა-გამოღმა მრავალი ქუდი შეკერილი, დაკიდებული, მიიხედ-მოიხედა ამ ბერმან და თქვა: ბატონო, ბარე ყოველს კაცს თითო ქუდი ხურავს, ამდენი ქუდი რაღად უნდა, მგონია, თავშიშველა კაცებს მოელიან საითმე!" მერე მივიდა ბაზაზებთან, იხილა მრავალი ფარჩები სხვადასხვა გვარი და თქვა: „ნეტამც ესენი ფილონებად მომცაო"?... რა გაიარეს, იხილა მრავალი მაუდი და სხვა ფარჩები და თქვა: ბარე აუკლიათ ქვეყანა, ამდენი სკალიტი და ჩითი ან ლეინი სად უშოვიათო? მივიდნენ, იხილეს მკერვალები, განუკვირდა ბერს: „ჰგავს, რომ შიშველთ კაცთ მოელიან საითმე და ამდენი ტანისამოსი მისთვის შეუკერავთო!" უკანასკნელ მივიდნენ ბაყლებთან, მეთევზეებთან. იხილა ბაყლები, ნახა რომე გარშემო სულ სხვადასხვა ხილი უწყვიათ: თევზი, ხიზილალა, წელა, ბრინჯი, ერბო და სხვა წვრილმანი. უყურა ამ ბერმან, ეგონა, ხილს მითავაზებენო და, რომ ხმა არავინ გასცა, თქვა: „ბატონო ეს, რა ცუდი მასპინძელნი ყოფილან, არცა არა თვითონ სჭამენ, არცა სხვას აჭმევენო; ნეტამც ეს თევზი, ხიზილალა და წელა მომცა ჩვენის მონასტრისათვის, რომ ჩვენი ბერები გავაძღო ამითო"... მერე იხილეს ყასბები და მრავალი ხორცი, დაკიდებული ჩანგლებზედ, და თქვა ამ ბერმან. „ბატონო, რა დაუშავებიათ ამათ, რომ რკინის ჩანგლებზე დაუკიდიათ ეს კაცის ხორცებიო?" ზურაბამ უთხრა: „არა, ბატონო, ეს გასასყიდელი ხორცია ცხვრისა და ძროხისა". ბერმან თქვა: „ღმერთმან მაშოროს, რომ მე ჩანგალზედ დაკიდებული ხორცი ვჭამო, ბარე ასე გამიგონია, რომ თათრის ქვეყანაში ჩანგალზე ჩამოჰკიდებენ კაცსაო!" გამოიარა, იხილა მეჩონგურეები და საკრავის მკეთებლები, დუქნები ნახა სავსე ჩონგურით და დაირით, თქვა: „ბარე ეს ქალაქი ზედმოსაკრავე ყოფილა, თორე ჩვენში ან ორს აქვს, ან სამს, რა არის ამდენი საკრავიო?" იქიდან მოვიდნენ ალაფფეფშია, სადაც პურს ჰყიდდენ და აცხობდენ. „ბარემ ამდენი პური რად უნდათ? ჰგავს, მშიერ ხალხს მოელიან საითმე"? მერე მოვიდა მეპურეებთან, იხილა ესოდენი ჭურჭელი, თქვა: „ბატონო, ამდენი ჯამი, თეფში რად უნდათ, ყოველ კაცს აქვს თავის სახლში ჭურჭელი, ჰგავს, რომ უჭურჭლო ხალხს მოელიან საითმე"! იხილა მერე ნალბანდები, განკვირდა და თქო: „ბარე ამდენი ლურსმანი და ნალი სად მოუჭრიათ? ჰგავს, რომ ბევრ ცხენს ელიან საითმე ფეხშიშველებს"! მივიდა მერე, იხილა სირაჯხანა დიდროანის რუმბებით და ტიკებით, ღვინოები და არაყი, იკითხა: „ამდენი კოლოტი რად უნდათო?" უთხრეს: „ესე სულ ღვინოებით არის სავსე". თქვა: „ბარე ყოველ კაცს აქვს მარანი; ჰგავს, რომ ვისაც ღვინო არ მოსდის, მისთვის მოუგროებიათ ესე ღვინოები"! მოვიდა მექვაბეებში, იხილა მრავალი ქვაბი და სპილენძის ჭურჭელი და თქვა: „ბარემ ყოველ კაცს აქვს თითო და ოროლი ქვაბი და, ჰგავს, უქვაბო ხალხს მოელიან საითმე"! დაბრუნდნენ მუნით, იხილეს ბარდანეებით ბამბები, თქვა: „ყოველს კაცს თითო ზუბუნი აქვს და ბამბა უძევ, აგრეთვე საბნები, რად უნდათ ამდენი ბამბა? ჰგავს, რომ უზუბუნოს და უსაბნო ხალხს მოელიან საითმე"! მივიდა მერე ჩილინდრებში, იხილა კლიტეები და გასაღებნი მრავალი და თქვა: „ბარე ამდენი კლიტე რად უნდათ, სად იშოვნიან ამდენ ზანდუკს, რომ დაჰკეტონ?" აგრეთვე სხვა საწვრიმალო გაუკვირდა. მერე მოვიდა ხარაზებთან, ნახა მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხსაცმელი და თქვა: „ბარე ყოველ კაცს აქვს წაღები, ჰგავს, რომ უწაღო კაცებს მოე-

ლიან საითმე". მერე მოვიდა, იხილა ქურქჩები, ბეწვეული და თქო: „ამ ცოლშვილ დახოცილთ რამდენი მელი, მგელი, დათვი, კვერნა, ტურა უნადირნიათ, ბარე ამათთანა მონადირე ოდიშშიაც არვინ მინახავს!" ... მივიდნენ. ნახეს ლილახანა, დიდროანის ქვევრებით სავსე, თქვა ამ ბერმან: „ბატონო, აი კარგი მარანი ღვინისა ეს არის"! ზურაბამ: „ისემც კარგი ხარო". ბერმან: „რა ვარ?" ზურაბამ: „ეს სულ ლილა არის"! განკვირდა ბერი და უთხრა: „ბარე ჩვენში წამლადაც ძლივ ვიშოვით, ეს როგორ იქნებაო?" მერე აჩვენეს, განუკვირდა და თქვა: „ბარე მთლად შეღებავს ამ ქალაქსო"! წავიდნენ მუნიდგან, მივიდნენ ისევ მოედანზედ, იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხმლის მკეთებელნი; განკვირდა ესე და თქვა: „ყოველს კაცს უკრავს თითო ჩახმახი თოფზე და ყოველს არტყია ლეკური და აქვთ თოფები, ჰგავს, რომ მოელიან საითმე უთოფოს და უხმლოს კაცებს"! მივიდენ მერე შუაბაზარში მეწვრიმალეებთან, იხილა ამ ბერმან საწვრიმალო, დია განკვირა იმ განწყობილობას და თქვა: „ამ ცოლშვილ მკვდართ სად მოუგროვებიათ ამდენი დანა, მაკრატელი, ნემსი, სარკე, ჭიქები, ამდენი სურნელი და სხვა ნამგლები და ესოდენი შაქარი?" იოანემ უთხრა: „ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე საგსებით უნდა იყოს, რომ, ერთი — ქალაქის დიდება არის, და მეორე — ქვეყანა გამდიდრდება ვაჭრობით. ვისაც არ ექნება სახლში და ფული ექნება, იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობს"![1]

როგორც ვხედავთ, ეს იუმორისტული, საკითხავად ადვილი მოთხრობა შეიცავს მდიდარსა და საინტერესო ცნობებს ხელოსნური წარმოების შესახებ თბილისში მე-18 საუკუნის მიწურულში. ისინი ჩვენ გვითვალისწინებენ: რა საამქროები იყო მაშინდელ თბილისში, რა პროდუქციას ამზადებდნენ ისინი და რა რაოდენობით, როგორი იყო იმდროინდელი მომხმარებელთა მოთხოვნილება და როგორ კმაყოფილდება ეს მოთხოვნილება. ჭეშმარიტად ყურადსაღებია ის სიტყვები, რომელთაც ეუბნება ამ მოთხრობის დასასრულს იოანე ოდიშელ ბერს. ასეთი მდიდარი ცნობების მოპოვება, ისიც სიტყვა-კაზმული მწერლობის ძეგლში, მეტად მნიშვნელოვანია. ირკვევა, რომ თბილისის მდგომარეობა მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტის დამდეგს, როდესაც ის რუსეთს უერთდებოდა, არც თუ ისე უილაჯო ყოფილა, როგორც ამას გვისურათებს ზოგიერთი ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი.

[1] ქალმასობა, ტ. 1, გვ. 193—196.

რამდენადაც ქართველ მეფეთა სასახლე თბილისში იყო, ამდენად ამ სასახლის ცხოვრების დეტალები უმნიშვნელო არაა თვით დედაქალაქის სურათის გათვალისწინების მიზნით. ამ მხრივ საინტერესოა ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს „ქალმასობაში" მოთავსებული „ქართლის ისტორიის" ერთი ცნობა, რომელსაც, რადგანაც ის ჯერ გამოქვეყნებული არაა, მთლიანად მოვიყვანთ[1].

„აქუნდა მეფესა ორი დიდი პალატი: ერთი სალხინოდ და მეორე საგლოველოდ. სალხინო პალატი იყო წითლისა ფარჩითა ან ხავედითა მოკრული სრულიად ჭერ-გვერდებითა, და შუაზედ ჭერში ეკრა შავი ჯვარი ფარჩისავე, და ესე იყო ნიშანი, რომელ ლხინში მყოფთა შეხედვითა მისითა მოეგონებიათ სიკვდილი და უჯერეოდ არ განცხრომილიყვნენ. გარნა მას სალხინო სახლში იყო სამი ქუევრი თითო საპალნიანი შთადგმული, და რომ ესოდენი დარბაზის ერნი დასხდებოდენ მას შინა, რომელ მათგან დალეულის ღვინის თასში დაშთობილი ღვინო რა დანაყურიანდის ქვევრებთა მათ შინა, სამივე ქვევრი აღივსებოდის, რომელ ესოდენ ღვინო დაილეოდის, და მერე იმას განიყოფდენ მოსამსახურენი მეფისანი. ხოლო საგლოველი პალატი იყო ესრეთვე შავით მოკრული, ხავერდით თუ სადა ფარჩითა, და ჭერის საშუალო ეკერა ჯვარი წითელი ფარჩისა, მომასწავებელ შემხედველთათვის, რომელ მწუხარებასა შეუდგების მხიარულება მოწყალებითა ღვთისაგთა, და მით ინუგეშებდნენ მგლოვარენი".

სულ ბოლოს მოვიყვანთ ერთს 10 სტრიქონიან ლექსს, რომელსაც ეწოდება „ქ. ტფილისი"[2]. მართალია, ეს ლექსი დაწერილია არა უადრეს მეცხრამეტე საუკუნის ნახევრისა ზ ა ა ლ ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, მაგრამ მას ჩვენს მიმოხილვაშიაც შეგვიძლია დავუთმოთ ადგილი, რადგანაც ავტორი მისი განწყობილებით, ენით და პოეტური აქსესუარით ე. წ. „გარდამავალი ხანის" ქართული პოეზიის ტრადიციების გამაგრძელებლად ჩანს.

[1] ხელნაწ. საქართ. მუზეუმისა, H 2134, ფ. 704[a] — 706[б], ძ. ქ ე ბ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, 1, 228—229.

[2] ხელნაწ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდისა № 1636, ს. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание рукописей, II, გვ. 440.



საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე

მტკვრის მარჯვენა სანაპირო

ტფილისო, დედა ქალაქო,
შემკულო ყოვლის ფერითა,
გარემო ბაღი, ბაღჩანი,
ამაღლებულის მთითაო,

უძველეს ყოვლის სოფლისა,
წელობით დიდის ხნისაო,
ვის ძალ-უძს ღირსად შეგამკოს,
გამომეტყველსა თქმისაო.

სხვანი სხვას ალაგს აქებენ,
უღირს არიან ქებისა,
შენს მსგავსსა რასა ჰპოებენ,
რადა აქვსთ ენა თნებისა,

შენსას არ ჰყოფენ ხსენებას
უსმენნი ჩემის ცნებისა,
ვის არ უყვარხარ, გიწყინოს,
იგიმცა დაიმსებისა.

რა შეგედრება სიკეთით,
ხარ ყოვლად განათლებული,
ვითა მზე, ქვეყნის მნათობი,
ეგრეთ შენ ლამპრად ნთებული,

ჩვენს ქვეყანას ვინ გესწორვის,
ხომ შენ ხარ განდიდებული,
რაც ქვეყნისთვის საჭირო არს,
ყოვლითა ხარ აღვსებული.

გარემო შენსა გივიან
ბაღნი, მინდორნი და ველნი,
ზაფხულით მუნ მიილტვიან
ქალნი, ჭაბუკნი მხცოველნი,

მუტრიბთა და ჩანგთა, ბარბირთ,
ხმიანობისა მპოველნი,
რას სიამოვნით სტკბებიან
მუნ მსმენნი კაცნი ყოველნი?

პირველ მეფეთა სამყოფი
და სადგური იყო ესა,
შემდგომ მათსა მთავრობამა
მმართველობა აქ აწესა,

მას სხვა ქალაქი არა სჯობს,
ცნობილია აწ ეს დღესა.
ნიჭებით და უნაკლულო
შეუქმნია მისსა სვესა.

მტკვარი მოუდის უმანკო,
სნეულთა სამკურნალები,
ზაფხულით მისსა გარემო
ხშირად ყრილობენ ქალები,

ჩაის სმით, სამხრის შექცევით
მათს მჭვრეტელთ ეგზვნის თვალები,
ზედ სმიან წითელ ღვინოსა,
სიტკბოთი არამთვრალები.

აბანოს მსგავსი რა არის,
არ მოიძების არსადა,
ბუნებით თბილი წყალი სჩქეფს,
სნეულთ მკურნალი არსა-და,

მუნ მიილტვიან ქალ-ყმანი
საბანოდ, სასუფთოსა და,
გამოვლენ, ელვა-ჭკრთებიან,
ამშვენებს ცმანი ტანსა და,

ეკლესიანი მშვენიერ
შემკულნი ყოვლის ღირსებით,
აღვსილნი სამღვდელოს კრებით,
ადიდებენ ღმერთსა ქებით,

სად შეკრბებიან მლოცველნი,
ღმერთსა ესენ განდიდებით,
შეიმოსვენ საღმრთოს მადლსა,
გამოვლენ ნიჭით აღვსებით.

რაოდენ იქოს ტფილისი,
ყოველნივე ეკადრება,
მას შიგან შენებულებას
რა ქვეყანა ედარება?

მპყრობელიც ჰყავს დიდი გვამი,
ვითა მასცა ეფერება,
მისი ხსენება მაღლად ხამს,
თუ ძალ-მედოს მოგვარება.

ზოგს უქია სხვა ქვეყანა,
გარნა ტფილისზე არს შორი,
არა ვყბედობ უსაფუძვლოდ,
და არც არის ცუდი ჭორი,

არა ვმლიქვნელობ ენითა,
არსად არის მისი სწორი,
ლალვით ქვა მკრიბეთ, თუ ვცრუი,
მრავლად მაყარეთ ქვა-ყორი.

აი ყველა ის ცნობა, რომელიც ჩვენ გვაქვს თბილისის შესახებ დღესდღეობით ცნობილს მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში. ზოგადად უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალური ეპოქის პოეზიას თბილისი თუ აინტერესებდა, იმდენად, რამდენადაც მის სახელთან დაკავშირებული იყო მოგონებანი წინაპართა „საქმეთა საგმიროთა“, რამდენადაც ის შემკული იყო ბრწყინვალე სასახლეებით და ლამაზი ბაღებით, რომელნიც შექცევისა და გართობის ადგილად ითვლებოდნენ. მისი სახე და ყოფა-ცხოვრება ამ პოეზიის ყურადღებას, ყოველ შემთხვევაში მეთვრამეტე საუკუნემდე, მაინცა და მაინც არ იპყრობდა, ალბათ, იმიტომ, რომ ძველად საქალაქო ცხოვრება იმდენად განვითარებული არ ყოფილა, რომ მას წამყვანი როლი ეთამაშნა და ამით მწერლობის ცენტრში მოქცეულიყო.

* * *



ცხენის რკინიგზა („კონკა“) ყოფ. მიხეილის (ამჟამად პლეხანოვის) პროსპექტზე



ტრიფონ რუხაძე

თბილისი ძველ ქართულ და რუსულ ნათარგმნ ლიტერატურაში

თბილისის ისტორია, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ქართველ ხალხთან, აუსახავთ როგორც ძველ ქართველ, ისე რუს და უცხოელ მწერლებს, რომელთა უმრავლესობა ქართველთა დედაქალაქის თვითმხილველი ყოფილა. ამ მასალების დიდი ნაწილი მკვლევართათვის ცნობილია [1]. მაგრამ მათ არ შეუმჩნევიათ, რომ უცხო მოგზაურ-პილიგრიმთა ზოგი მონათხრობი თბილისზე თავს იჩენს ძველსა და XVIII საუკუნის რუსულ მწერლობაში, საიდანაც ის თარგმანის სახით შემოვიდა XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ამავე საუკუნეში ქართულიდან რუსულად გადაუღიათ და სტამბურადაც დაუბეჭდიათ (1773 წ. პეტერბურგი) ერთ-ერთი რომანი, რომელშიაც თბილისი და მისი პირველი მეფე ვახტანგ გორგასალი არიან ასახული.

წინამდებარე სტატიაში მოგვყავს რამდენიმე ასეთი უცნობი ფაქტი. იგი ცოტა რამეს შემატებს თბილისის ისტორიის შესწავლის საქმეს. მთლიანობისათვის ვასახელებთ ცნობილ მასალებსაც. ეს მასალები თავის დროზე გამოაქვეყნეს პროფ. მ. პოლიევქტოვმა, პროფ. გრ. ნათაძემ, პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა და სხვებმა [1].

რუს და უცხოელ მწერალთა მიერ შექმნილი უძველესი ლიტერატურა თბილისზე საერთო რაოდენობით დიდია, მაგრამ ის შინაარსითა და კონკრეტული პოეტური გრძნობადობით ვერ შეედრება ქართველ მწერალთა მონათხრობს თბილისზე— ვახუშტის (საქართველოს გეოგრაფია) ვიგულისხმებთ აქ, იოანე ბატონიშვილს („კალმასობა"), თეიმურაზ II („ქება თბილისის სასახლეთა"), ვახტანგ VI განთქმულ მაჯამებს თბილისზე თუ სახალხო მოშაირეების დიდებულ ლექსებს.

---

[1] პროფ. დ. გვრიტიშვილი, პროფ. შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952; პროფ. ს. ყაყაბაძე, თბილისის სახელწოდებათა ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, ტ. II, 1928, გვ. 60—68.

[1] მათ ნაშრომში მითითებულია სათანადო ლიტერატურა: Проф. М. Полиевктов и проф. Г. Цатадзе, Старый Тифлис в известиях современников, 1929, გვ. XVI; проф. Л. Л. Меликсетбеков, Старый Тифлис..., 1918 (см. журн. „Arg", 1918, II—III); მისივე, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, 1925.

ძუნწი ცნობები მოგვეპოვება თბილისის შესახებ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში (აკად. კ. კეკელიძე, თბილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული გაზეთი, 1934 წ., № 23), მაგრამ მათი მიხედვითაც ცხადია, რა ძლიერ ყვარებიათ თბილისი ჩვენს წინაპრებს, დედაქალაქს უწოდებდა ქართველი თბილისს მაშინაც კი, როცა ისტორიული ავბედობის ხანაში, ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრი სხვა ქალაქებში (ქუთაისს, არტანუჯს, თელავს, გორს) გადაინაცვლებდა და თბილისი დროებით კარგავდა პოლიტიკური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას.

ევსტათი მცხეთელის „ცხოვრება მარტვილობის" აღწერი მე-VI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ავტორი და თეოფანე ბიზანტიელი (VI ს.) პირველნი ახსენებენ თბილისს, როგორც იბერთა სახელმწიფოს დედაქალაქს, თუმცა, ცნობილია (აკად. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1948 წ.), რომ თბილისის დასახლება ულფრო ადრე იხსენიება. ერთ-ერთ გვიანდელ ქართულ რომანში, რომელიც რუსულად ითარგმნა (XVIII ს.), ვახტანგ გორგასალი იწოდება თბილისის მეფედ. სომეხმა მწერალმა მოსე კალანკატუელმა (VII ს.) იცის, რომ თბილისს ხაზარები შეესიენ. ამის შემდეგ თითქმის ყველა ქართველი მწერალი მოგვითხრობს იმ უბედურებაზე, რომელიც თბილისს დაატყდა თავს არაბების ოთხასწლიანი ბატონობის პერიოდში.

ტფილისი (თბილისი), როგორც ძველი ქართველი მწერლები უწოდებდნენ, პირველად მოიხსენია ლიტერატურული ნაწარმოების სათაურში და შედარებით სრულად გაგვაცნო „აბო თბილელის მარტვილობის" დაწერმა (786—790 წწ.) იოანე საბანიძემ (აკად. კ. კეკელიძის გამოცემა). კონსტანტი-კახაის ცხოვრებისა და „წამების" მომთხრობი უცნობი ქართველი ავტორი (IX ს.), ისე როგორც ერთი იმ დროის ქრონიკა, გვაცნობს ბუღა თურქის მიერ 853 წ. გადამწვარ, მაგრამ ქედმოუხრელ თბილისს. მიუხედავად იმისა, რომ მოძალადე არაბთა ბატონობის ხანაში თბილისს მეტად მწარე ხვედრი ხვდა, სომეხი მწერალი უხტანესი და არაბი იბნ ხაუკალი (X ს.) თბილისს უწოდებენ დიდებულ ქალაქს. თბილისის წყლები უცეცხლოდ თბებაო აღნიშნავს არაბი ისტორიკოსი.

თბილისი მთელი ქართველი ხალხის მოწინავე იდეებისათვის ბრძოლისა და ისტორიული გამარჯვების ცოცხალი მატიანეა. მწერალმა ვასილ ბარნოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ IX—X საუკ. ქართულ ქრონიკაში, რომელსაც „მოქცევაი ქართლისაი" ეწოდება, თბილისი მოწინავე იდეების წარმომადგენელია და უკან იტოვებს წარმართული კერპების კერას, მცხეთას. მემატიანე ამბობს: „მაშინ მცხეთა ათხელდებოდა და თბილისი ეშენებოდა", „მცხეთას მოაკლდებოდა და კალა (თბილისი) აღეშენებოდა. ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი (მცხეთა) ათხელდებოდა. კალა აშენდებოდა"; „მცხეთა ათხელდებოდა და თბილისი აღეშენებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა" [1].

დავით აღმაშენებელს ესმოდა საქართველოსათვის თბილისის მნიშვნელობა, ამიტომ მრავალსაუკუნოვანი ტყვეობისაგან გაათავისუფლა თუ არა ის (1122 წ.) სამეფო ტახტიც ქუთაისიდან აქ გადმოიტანა. მაგრამ ის, რასაც მოგვითხრობდნენ თბილისზე კლასიკური ხანის მწერლები, უკვე არ აკმაყოფილებდათ ძველი ქართული მწერლობის აღორძინების ხანის (XVI—XVIII სს.) პოეტებს.

„რაი იხილეთ ერნო ტფილისისანო, გკითხავ, გვითხარყე უწყება ჭეშმარიტი. ოდეს საძაგნი (მტერნი) განიგვოდეს თქვენგან რაი იპყრა დავით"—კითხულობს ერთი იმდროინდელი მწერალი.

მაგრამ ვერც თუ აღორძინების ხანის ქართველმა პოეტებმა გაგვაცნეს დიდად საქართველოს გული. რომ არაფერი ვთქვათ პოეტ ფეშანგის (XVII ს.) „შაჰნავაზიანზე", ვახტანგ VI (1675—1737) და თეიმურაზ II (1700—1762) მხოლოდ ქება-დიდების ჰიმნებით გვაცნობენ თბილისს. თუმცა ვახტანგ VI მაჯამები თბილისზე პოეტურ შედევრს წარმოადგენენ:

> რა სჯობს მაისში თბილისსა
> ვარდი ვარსკვლავებრ ესასა... [2]

---

[1] ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, 1919, რვ. 1, გვ. 64; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 1906, გვ. 191—194, 338; ქართლის ცხოვრება, პროფ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955, გვ. 223, 373. (იხ. აგრეთვე ეკვ. თაყაიშვილის „ოპისანიე", ტ. II, გვ. 724).

[2] ვახტანგ VI ლექსები. პროფ. ა. ბარამიძის რედ. 1947, გვ. 13, 15, 16, 49, 64.

ამავე ხაზს მიჰყვება იმ დროის უცნობი თბილისელი მესტვირეც:

ნეტარ ჭება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისაო;
ზამთარი არის ბროლისა,
ზაფხული ზურმუხტისაო [1].

დ. გურამიშვილმა „ქართლის ჭირში“ („დავითიანი“) დაგვიხატა აოხრებული და ჭერდაქცეული თბილისი (1724 წ.), ასეთსავე `იერემიადას მიმართავს პოეტი სტეფან ფერშინგიშვილი 1795 წელს „თბილისის გაოხრებაზე“ თქმულ ლექსში:

ვის გახსოვთ ქალაქი
ყოვლით ქებული..
აწ მიდით, ნახეთ,
როგორ არის აოხრებული [2].

ამ პოეტებს მიაჩნდათ, რომ „თბილისის გამოსახსნელად“ გარეშე ძალა იყო საჭირო. ასეთ ძალად მათ ესახებოდათ რუსეთი. 1801 წლის შემდეგ თბილისს მართლაც არ დასხმია მტერი, იწყება მისი ისტორიის მშვიდობიანი პერიოდი, რაც პოეტურად გამოხატა ზაალ ზაალის ძე ბარათაშვილმა [3].

მაგრამ საყვედურად ეთქმით ძველ პოეტებს, რომ მათ მაინც ცოტა დაწერეს თბილისზე. ძველს უამრავ თარგმანებსა და სამოგზაურო-მემუარულ ძეგლებს ძვირფასი ცნობები შემოუნახავთ საზღვარგარეთისა და რუსეთის დიდ ქალაქებზე, ხოლო თბილისზე აქ კრინტიც არაა დაძრული. თვით სულხან-საბა ორბელიანსაც კი იმდენად აკვირვებს „უცნობი და უცხო“, რომ მის განთქმულ „მოგზაურობაში“ ყველაზე დიდ ადგილს იტალიის ქალაქ რომის აღწერილობას უთმობს. ქართველმა პოეტებმა ფავლენიშვილმა (პოემა „ვახტანგიანი“), ვახტანგ ორბელიანმა (XVIII ს., „პეტერგოფი“), თეიმურაზ მეორემ („პეტერბურგის სასახლის ცხოვრება“), პეტრე ლარაძემ (ლექსი მოსკოვზე), გაბრიელ რატიშვილმა („მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისათვის“) და მრავალრიცხოვანმა ქართველმა მოგზაურ-მწერლებმა თავიანთ ნაწერებში დიდი, ადგილი დაუთმეს დამასკო-იერუსალიმს, ათენ-კონსტანტინეპოლს, მოსკოვს, პეტერბურგს და სხვა ქალაქებს.

ეს ტრადიცია მხოლოდ აღორძინების ხანიდან არ მოდის. ჯერ კიდევ მცირე გიორგი მწერალი (XI ს.), გრიგოლ ნაძიანძელის (სირია) (IV ს.) სიტყვებით, აქებს ბერძნულ ქალაქს—ათენს.

„იტყვის გრიგოლ ათინისათვის ვითარმედ «რომელი იგი ოქროს ქალაქი შექნაო» (ათონის კრებული, 1901 წ., გვ. 288).

ქართველმა მწერლებმა თითქმის ამოწურეს შუა საუკუნეების ყველა თხზულება, რომელთა ავტორები მოგვითხრობენ მაშინდელი მეფე ქალაქის (როგორც რუსები ეძახდნენ, „ცარგრად“) და საერთოდ უცხო ქალაქთა ტრაგიკულ და საზეიმო ისტორიას [1].

ქართული მწერლობის ისტორიის წინაათონურ პერიოდში (IX—X სს.) თარგმნილი ყოფილა ანტიოქე სტრატიგის (VI—VII ს.) წიგნი „იერუსალიმის აოხრებაზე“ (აკად. ნ. მარის გამოც., 1909 წ.), რომელსაც ზოგნი იოსებ ფლავიუსს მიაწერენ; სამი სხვადასხვა რედაქციით სამ სხვადასხვა ავტორს—სტეფანე სანანიოის ძე ეყონდიდელს (X ს.), გიორგი ათონელ-მთაწმინდელს (1009—1065) და ერთსაც უცნობს გადმოუღიათ მამამთავარ სერგი კონსტანტინეპოლელის (610—638 წწ.) „მოთხრობა სკვითთა და ავართა მიერ კონსტანტინეპოლის მოცვისა“ (626 წ.). რუს მწერალს თეოფანე პროკოპოვიჩს (XVIII ს.) დაუწერია „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა უკანასკნელი წმიდის ქალაქისა იერუსალიმისა“. იგი ქართულად უთარგმნიათ სარიდან ჩოლოყაშვილსა და გრიგოლ წინამძღვარიშვილს (1775 წ.) [2]. პორფირი ბაგრატიონს უთარგმნია „კონსტანტინეპოლის აღება თურქთაგან“.

ამ თარგმანებში ქართველები პოულობდნენ ბევრ საგულისხმოს თავიანთი დედაქალაქის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. მაგრამ ასე მხოლოდ ქართველი მწერლები როდი იქცეოდნენ. უცხოელი და რუსი მწერლები, ეცნობოდნენ რა მოგზაურთა ჩანაწერებს თბილისზე ან საკუთარი თვა-

---

[1] პროფ. დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრესტომათია. წიგნი II, 1863, გვ. 130. საქართველოს მუზეუმის საისტ. ფონდის ხელნაწერი, № 823.

[2] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954.

[3] საქართველოს მუზეუმის საეკლ. სიძვ. ხელნაწერი, № 1167 (გვ. 22—24), წერა-კითხვის ფონდისა, № 1635ბ.

[1] აკად. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III, 1955, გვ. 87—95.

[2] ამ თარგმანს, რომელიც ჩვენ გვაქვს ხელნაწერებში, ისტორიკოსი პ. იოსელიანი პროფ. ბაგრატიონს მიაწერს (იხ. ანტონ ბ. წყობილსიტყვაობა, გამოც. 1853, გვ. XII).

ლით ნახულობდნენ მას, აქ ისინი ისეთ რამესაც ხვდებოდნენ, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა მათ სამშობლო ქალაქებში. სავაჭრო კაპიტალიზმისაკენ მიდრეკილ გვიანფეოდალური ხანის ევროპელ მწერლებს (XVII—XVIII სს.) აინტერესებთ თბილისიდან აღმოსავლეთისაკენ, ინდოეთისაკენ მიმავალი გზები და აქაური ნედლეული. პუშკინი პირველი რუსი მწერალი როდი იყო თბილისის აბანოები რომ მოეწონა და აქაური პრაქტიკის რუსეთში გავრცელების საკითხი აღძრა (1829 წ.). თბილისის თემა შეჭრილა რუსული მწერლობის ერთ-ერთ უძველეს ეანრში, რომელსაც „წმ. ქალაქ იერუსალიმში მოგზაურობა" ეწოდება (Хожение во св. Иерусалиме граде).

უცხო და საერთოდ ევროპული ცნობები თბილისზე თავს იჩენს რუსულ ლიტერატურაში, საიდანაც მათი ნაწილი ქართულადაც უთარგმნიათ აღორძინების ხანაში. ამგვარი ძეგლების უშუალო თარგმანს ევროპულიდან ადგილი აქვს XIX—XX საუკუნეებში.

თბილისის უძველესი აღწერილობა დაგვიტოვეს თეოფანე ბიზანტიელმა (VI ს.), სომეხმა მოსე ქალაკუტელმა (VII ს.) და არაბმა მწერლებმა (იბნ ხაუკალი და XIII საუკ. გეოგრაფი). 571 წლის ამბებთან დაკავშირებით თეოფანე წერს: „იბერთა დედაქალაქი მაშინ იყო თბილისი". იბნ ხაუკალს (X ს.) აოცებს, რომ თბილისის აბანოების „წყალი თბება უცეცხლოდ"[1]. თბილისს აგვიწერენ იტალიელი მარკო პოლო (1254—1324), იოს. ბარბარო (1543 წ.), ამბრ. კონტარინი (1475 წ.), პ. კარლიცი (1668 წ.), დიონიჯი კარლი პიაჩინელი (1681 წ.), და სხვ. აგრეთვე ფრანგი ავტორები: ეან შარდენი (1672—1673 წწ.), ჟ. პ. ტურნეფორი (1701 წ.), დე ლა პორტი (1768 წ.) და „სამგზავრო გეოგრაფიის" ავტორი, რომელსაც ქვემოთ მოვიხსენიებთ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ათეულებში თბილისი აღწერეს იოან-ანტონ გიულდენშტედტმა (1768—1775 წწ.) და ერთ-ერთმა უცნობმა ავტორმა (1797 წ.), კლაპროტმა (1807—1808 წწ.), ნეგრიმ (1817 წ.), გამბამ (1820—1824), მინაია მედიჩიმ (1824—1830) და სხვებმა[1]. ერთ-ერთი მათგანი (შვეიგერ ლერხენფელდი) საქართველოს სატახტო ქალაქს „ამიერკავკასიის პარიზს" უწოდებს. უკვე მარკო პოლო იხსენიებს თბილისს „უმშვენიერეს ქალაქად".

ისინი აგვიწერენ თბილისის როგორც ღირსშესანიშნაობებს, ისევე იმასაც, თუ რა გადახდა ამ „უმშვენიერეს ქალაქს" (მარკო პოლო); ფრანგულ რომანში, რომელიც ქართულ მწერლობაში გიორგი ავალიშვილმა შემოიტანა „წელსა ჩღჱ" (1798 წ.), ფრანგი მწერლის ფლორიანის (1755—1795) თუ „მუსიე ეანდრ ლოსგიზ დუპერონის" სახელით, ეხვდებით თბილისის 1795 წლის ტრაგედიით გამოწვეულ სიტყვებს:

„სტიროდეთ, სტიროდეთ, ოი ძენო და ასულნო
ოქროისა საუკუნოისა თბილისისანო"[2].

უკანასკნელი დროის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ სლავთა განმანათლებელნი კირილე-კონსტანტინე და მეთოდე (IX ს.), თითქოს მოწმე იყვნენ იმ ტრაგედიისა, რომელიც თბილისს გადახდომია თავს ბუღა თურქისა თუ ხაზართა შემოსევის გამო (853—861 წწ.).

კირილე-კონსტანტინეს „ცხოვრების" (XII—XIII სს.) მერვე თავში ნახსენებია ბუღა თურქი: „Bouga al—Kabiri' ـ Тюрка по происхождению". ნაწარმოების მიხედვით თბილისი უხსნია კირილე-კონსტანტინეს სასწაულებრივ გამოჩენას ქალაქში[3].

ჩვენ ვიცით, რომ კირილე-კონსტანტინეს „ცხოვრების" ავტორს დაუცავს ერთ-ერთი უძველესი ცნობა ქართული ალფავიტის წარმოშობის თაობაზე (აკად. კ. კეკელიძე, I, 1951 წ., გვ. 33), ახლა ამას ემატება მეორე ცნობა საქართველოსა და თბილისზე, რომელიც მარენ ტადენს გამოუწვლილავს.

უძველეს რუსულ ნათარგმნსა და ორიგინალურ სამწერლო ძეგლებში იხსენიება ქართველობის აღმნიშვნელი ტომობრივი სახელები: „კოლხი", „იბერობეზი" (ობეეანინ-ქართველი), „მესხი", „გურზი" („გრუზეხ"), „კარდულიი" და „საკარდუელო".

---

[1] აკად. ნ. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1948, გვ. 12; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 283—284.

[1] Проф. М. Полиевктови проф. Г. Патадзе, Старый Тифлис, 1929; проф. Л. Л. Меликсетбеков, Старый Тифлис описанием А. Петри и М. Медичи, 1918.

[2] საქართველოს მუზეუმის წერა-კითხვის ფონდის ხელნაწერი № 1731 (გვ. 15), საისტორიო ფონდის № 456, რუსული გამოცემა 1795.

[3] Марен Таден [Посетили ли в Грузии „словенские апостоли" Константин (Кирил) и Мефодий?]: Византийский временник, т. X, 1956, вз. 241.

მემატიანე (XV ს.) თბილისსაც იხსენიებს (Тефлиз)[1]. ამასთან რუსი საზოგადოების ვიწრო წრე თბილისს ეცნობოდა პილიგრიმთა ჩანაწერებში და XVI—XVII საუკუნის დიპლომატიურ მიწერ-მოწერებში, რაც მკითხველთა განსაზღვრულ ჯგუფამდე აღწევდა.

XVI—XVII საუკ. ქართულსა და რუსულ საელჩო მიწერ-მოწერებში, რომლებიც უმთავრესად რუსულადაა შემონახული, თბილისი („ტიფლის", „ტეფლიზ", „ტიუფლის") ხშირადაა ფიგურირებული. 1639 წლის დიპლომატიურ დოკუმენტში თბილისს ცალკე ადგილი ეთმობა. არაიშვიათადაა გადმოცემული მისი ისტორია და გეოგრაფია; ხშირად მეორდება, რომ თბილისი ააოხრა შაჰ-აბას პირველმა და მისმა მოადგილეებმა შესძლეს თბილისის მეფედ დაესვათ გასპარსელებული როსტომ ხანი (1634—1658).

მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგებო დიაკებს (მდივნებს) იმის აღნიშვნაც არ გამოპარვიათ, რომ საფეოდალოები (ერისთავები) ხელს უშლიდნენ სამეფო სამთავროების თბილისზე შემოერთებას. რუსთავი ან უკეთ რუსთავის ეკლესია „წერილებში" მოიხსენიება იმ მოტივის გამო, რომ ის ახლოსაა თბილისთან[2].

XVII საუკუნის რუსი დიპლომატი მწერლები, ისე როგორც მათი გზის გამგრძელებელნი XVIII საუკუნეში, დიდის ყურადღებით ეკიდებოდნენ უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა წიგნებს თბილისზე. ისინი მათ შეეძლოთ წაეკითხათ როგორც დედნებში (კონტარინი, 1483 წ. გამოც.; შარდენი, 1686 წ. გამოც.), ისე რუსულ თარგმანებში. ამ გზით ზოგი ეს ძეგლი ქართულადაც ითარგმნებოდა.

უძველესი ევროპული ნაწარმოები, რომელშიაც ფიგურირებულია თბილისი და რომელიც ქართულად ითარგმნა აღორძინების ხანაში, არის „სამგზავრო გეოგრაფია, ესე იგი სამგზავროდ სახმარი ქვეყნის აღწერა". „ეუაიაჟ ეეოგრაფიი" ფრანგულად დაიწერა დაახლოებით XVI—XVII სს-ში. აქედან ითარგმნა რუსულად, ხოლო 1782 წელს რუსულიდან თარგმნა თელავის სემინარიის რექტორმა გაიოზ თაყაის ძე ბარათაშვილმა[1].

ამ წიგნის პოპულარობას მოწმობს მისი მრავალი ნუსხა. ის გამოიყენა აგრეთვე იოანე ბატონიშვილმა თავისი კალმასობის გეოგრაფიულ ნაწილში. „დოროუნაია გეოგრაფიაში" საქართველოს მოკლე, მაგრამ ზუსტი გეოგრაფიული დახასიათებაა მოცემული. ავტორი გეოგრაფიული კოორდინატების ზუსტ გაანგარიშებას გვაძლევს. აღნიშნავს, თუ რომელ გრძედსა და განედს შორის მდებარეობს თბილისი (გრადუსებში: „სიგრძე (გრძედი) 63,50, სიგანე 43,0") და ასკვნის „ტფილისი თვით უკეთესი ქალაქია საქართველოს შინაო" (გვ. 84). აქვე მოცემულია დისტანციები თბილისიდან ასტრახანამდე, თერგამდე, ერევნამდე, კონსტანტინეპოლამდე და პარიზამდე.

თითქმის ყველა რუსი და უცხოელი მწერლის მონათხრობში „თბილისის" (ტფილისი—თფილისი) სახელი ამ ქალაქის „თბილი წყლების" სახელწოდებიდანაა გამოყვანილი (ხაუკალი, შარდენი, კლაპროტი, გიულდენშტედტი, 1797 წ. გეოგრაფიის ანონიმური ავტორი). ფრანგი კარდო (XVIII ს.), რომელსაც, ვგონებ, თბილისი არ უნახავს, წერს: „არიან ტფილნი წყალნი სასარგებლონი". კარლო დე გრადის საქართველოს ისტორია ფრანგულიდან რუსულად გადმოიღო ვინმე პრორეევთემ, ხოლო აქედან თარგმნა 1782 წელს „თავადმა თარხნიშვილმა"[2]. „თბილისში წყალი უცეცხლოდ დულსო", — ამბობს არაბი ისტორიკოსი ხაუკალი (X ს.), რომელიც მას ტიბერიის (პალესტინა-გალილეია) სამკურნალო წყლებს უდარებს.[3]

თბილისის თბილი წყლების სითბო უცხოელ და რუს მწერალ-მოგზაურებს ქართველი ქალების სილამაზე-კეთილქმნულებას აგონებს. ჩანს, უბრა-

---

[1] საამისო მასალა იხ. პროფ. იასე ცინცაძის მონოგრაფიაში: ძიებანი, 1956, გვ. 220—221, აგრეთვე: Полное собрание русс. летописей, т. XI, გვ. 161, 248.

[2] თბილისი იხსენიება აკად. ბარი ბროსესა და ს. ბელოკუროვის მიერ გამოცემულ რუსულ და ქართულ ელჩობის მასალებში. იხ. Проф. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1937, გვ. IX, X, 412—413; 33, 34, 259, 284, 289, 293, 332, 333, 412, 414; მისივე, თავადი მიშეკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, 1928, გვ. 158—161; შეადარე 113, 151, 155, 181.

[1] „სამგზავრო გეოგრაფია" მრავალ ქართულ ხელნაწერს დაუცავს. იხ. მაგ. საქართველოს მუზეუმის წერა-კითხვის ფონდის ხელნაწერი. № 141, გვ. 83—85.

[2] ხელნაწერები: საქართველოს მუზეუმის საეკლ. სიძვ. ხელნაწერი № 1045.

[3] Проф. М. Полиевктов и проф. Г. Натадзе, Старый Тифлис, 1929, გვ. 1.

ლოდ არ ამბობდა ინგლისელი ტომას მური (XVIII ს.) („ლალა რუკი").

„მშვენიერი ქართველი ქალწული ქალები...
თბილისის აბანოებიდან გამოდიან".

ტომას მური თბილისში არ ყოფილა, თუმცა ეს კია, რომ მისი ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც გიორგი ათონელის ნიკის ნაყოფად თვლიდნენ, ქართულად უთარგმნია უცნობ ავტორს (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. IX, 1940 წ.).

„ქალნი საქართველოსანი,—ამბობს ზემოთ აღნიშნული „სამგზავრო გეოგრაფიის" ავტორი,—არიან უზომოდ მშვენიერნი"; ფრანგი იოსებ დელა პორტი იცნობს დასახელებული „ვუაიაჟ ჟეოგრაფიის" ფრანგულ ვარიანტს და აღნიშნავს: „არაფერი არ არის ქვეყნად იმაზე მშვენიერი, ვიდრე ქართველი ქალებიო"[1]. მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, პუშკინი, რომელმაც თავისი კალმის მთელი სიძლიერით აღწერა თბილისი, მაინცადამაინც თბილისის აბანოების ფონზე გვიხატავს „მართლაც მშვენიერ ქართველ ახალგაზრდა ქალებს" („ერზრუმს მგზავრობა", 1829 წ.)[2].

იაზიკოვი ქართველი ქალების კანის სითეთრესა და სისუფთავეს თბილ წყლებს მიაწერს[3]. პუშკინი არ ყოფილა პირველი რუსი მწერალი, რომელმაც თბილისის ღირსშესანიშნაობანი და თბილ წყლები აგვიწერა. ჯერ კიდევ 1634 წელს თბილისში გამოიარა და საქართველოს აღწერილობა დაგვიტოვა რუსმა მწერალმა ვასილ იაკობის ძე გოგარამ. ის ყაზან-ასტრახანის გზით ჩამოვიდა თბილისში და 1634—1637 წლებში, როგორც სავაჭრო საქმეებზე გულაცრუებულმა პილიგრიმმა მოიარა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის თითქმის ყველა ქალაქი. იყო ეგვიპტის ალექსანდრიაში, იერუსალიმს, კონსტანტინეპოლს, სირიის სამარიასა, დამასკოში და სხვაგან. სამშობლოში დაბრუნდა ევროპის გზით და ბოლოს კიევის მღვიმის რელიკვიებში პოვა მოსვენება.

ვასილ გოგარას ძლიერ მოწონებია „ქართლის ქვეყანა" („Грузинская земля"), ჩაუწერია აქ „ამირანდარეჯანიანთან" და „ალექსანდრიანთან" დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდი და საგანგებო ყურადღება თბილისისათვის მიუქცევია. გოგარას დროს თბილისში ორმოცდაათამდე აბანო ყოფილა, რომლებზედაც პალატები ეშენა: „В граде Тифлиса есть кладези горячие, а над ними устроены палаты велма красны" („ქალაქ თბილისში არის თბილი წყაროები, რომლებზედაც აშენია ლამაზი პალატები").

მოგზაურობის იმ თავში, რომელსაც „თბილის ქალაქი" ეწოდება, გოგარა აგრეთვე აღწერს თბილისის ციხე სიმაგრეებს (სულ 4), სამონასტრო კულტურის ძეგლებს, დიდად მოსწონს ძველი თბილისის ერთადერთი ხიდი—მეტეხის ხიდი და ა. შ. უკანასკნელის შესახებ გოგარა წერს: „А через реку мост делан межнаружу велми чуден". ყოველივე ამასთან, რუსი მოგზაური მწუხარებით დასძენს, რომ თბილისი ამჟამად სპარსელების ბატონობას განიცდისო[1].

რუსი მწერალი არსენ სუხანოვი ორჯერ იყო თბილისში, 1633 და 1653 წლებში. მან მისი თვალით იხილა სპარსი მოძალადეებისა და სპარსოფილი ქართველი მეფეების მიერ აოხრებული თბილისი, რომელიც ელოდა განთავისუფლებას[2].

თბილისის მოქალაქენი წინააღმდეგობას უწევდნენ სპარსელ და თურქ დამმონებლებს. ამაზე მოგვითხრობს ფრანგი მოგზაური (1672—1673 წწ.) შარდენი. ის წერს: „ტფილისში სრულებით არ არის მეჩეთი...სპარსელები ბევრსა ცდილან, ბევრჯერ კიდეც დაუწყიათ მეჩეთის შენობა, მაგრამ ვერ დაუსრულებიათ. ქართველები მაშინვე ხელში იარაღს აიღებდნენ და არეულობას ახდენდნენ, შენობას ანგრევდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ამშენებლებს. საქართველოს მეფეებს გულში ძლიერ უხაროდათ ხალხის ამგვარი ამბოხება, თუმცა თავს კი ისე აჩვენებდნენ, ვითომ არ მოსწონდათ

[1] М. Джанашвили, К материалам по истории и древностям Грузии и России, 1912, გვ. 86; დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ (იხ. ს. ჯანაშიას გამოკვლევა მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, III, 1937) ქართულად გადმოიღო იოანე ქართველიშვილმა, საქართველოს მუზეუმის საისტორიო ფონდის ხელნაწერები № 400, 608, 609.

[2] რომ პუშკინი „ტბილის ქალაქს" ახსენებს თავის „მოგზაურობაში" (და არა „ტბილი ქალაქს") ამის თაობაზე იხ. პროფ. ნ. კ. გუძის ნაშრომი, ჟურნ. „ნოვი მირში", 1953, № 3, გვ. 235.

[3] პროფ. დ. გვრიტიშვილი, პროფ. შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 243.

[1] И. Сахаров, Сказания русского народа, т. II, книга VIII, 1849, გვ. 111; Палестинский сборник, т. XXX, 1891.

[2] И. Сахаров, Сказания русского народа, т. II, кн. VIII, 1849, გვ. 205, 218, 219, 222.

ხალხის ასეთი საქციელი". ტფილისელმა მოქალაქეებმა ქვები დაუშინეს ერთ-ერთ მოლას, რომელიც იძულებული გახდა მიეტოვებინა ლოცვა[1].

ჟან შარდენის სხვა ცნობები ტფილისის შესახებ, რომლებიც შემდეგ ჟ. პ. ტურნეფორს (1656—1708 წწ.) გაუმეორებია, ტფილისის ცხოვრების შემდეგ მხარეებს მოიცავს: ქალაქის ადგილმდებარეობა, მოედნები და ბაზარი, ციხე-სიმაგრეები (1576 წ. აგებული ციხე), სალხინო სახლები, ეკლესია-მონასტრები და სხვა. შარდენი საგანგებო ყურადღებას აქცევს ტფილისის მეტეხს. მეტეხი, რომელსაც ალ. გრიბოედოვი ტფილისის ბასტიონს უწოდებდა („ბარათი ქალაქ ტფილისის ახლად შენების უმჯობეს საშუალებათა შესახებ", 1827 წ.), შარდენის აზრით, „პირის ტეხასთან არის დაკავშირებული (გვ. 93). ნამდვილად კი „მეტეხი" ეტიმოლოგიურად სიტყვა „მეტოქიდან" მომდინარეობს ახლაც შენახულა ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში. ქართულსა, ბერძნულსა და რუსულ ხელოვნების ისტორიაში „მეტოქის" (მეტეხი) სახელით ცნობილია მრავალი ციხე-სიმაგრე. ამ სახელით ჩვენ ვიცნობთ ზოგ ეკლესია-მონასტერსაც.

შარდენის ეს შეცდომა არაა ერთადერთი. ასეთი „ცთომილებანი" სხვა უცხოელებსაც მოსვლიათ[2].

იტალიელი ბარბარო (1543 წ. იმოგზაურა საქართველოში), მტკვარს ტიგროსად (სირია-სპარსეთის მდინარე) მიიჩნევს[3]. დიონიჯო კარლი პიაჩინელი თბილისს ზეცდომით უწოდებს არტაქსერს, რომელიც დაარსებულია II საუკუნეში (ჩვ. ერამდე). დიონიჯო კარლი თბილისში იყო 1681 წელს. თავისი ცნობები თბილისზე მან მოათავსა „რელაციონში", რომელიც გამოიცა იტალიაში 1687 წელს. ამ ნაშრომს პირველად ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა მიქაელ თამარაშვილმა (1858—1911), ხოლო ქართულად გადმოთარგმნა და შესაფერი კომენტარები დაურთო მკვლევარმა ბეჟან გიორგაძემ[4].

[1] ჟ. შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, ვ. ბარნოვის თარგმანი, 1935, აკაკი გაწერელიას რედაქციით, გვ. 93—94.

[2] შარდენის ცნობებს თბილისზე იმეორებს ფრანგი სწავლული ისტორიკოსი ჟ. ი. კლაპროტი (1783—1835), რომელმაც აგრეთვე აღწერა თბილისი.

[3] ქართველები წარმოსადეკი და ლამაზები არიანო, წერს ბარბარო: Библиотека иностранных писателей о России, т. I, 1836, გვ. 63. იხ. აგრეთვე, გვ. 63—65, 156.

[4] ბეჟან გიორგაძე, დიონიჯო კარლის რელაციონის ტექსტისა და თარგმანისათვის: დ ი ო ნ ი ჯ ო კ ა რ ლ ი, თბილისის აღწერა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 155—182).

[1] გიულდენშტედტის ცნობები გამოცემულია კ. გერმანის მიერ რუსულ ენაზე, 1809, (იხ. აგრეთვე პროფ. მ. პოლიევქტოვის და პროფ. ნათაძის დასახ. შრომა, გვ. 39—43, 49—50.

[2] А. П у ш к и н, Собрание сочинений, т. 12, 1949, გვ. 53.

[3] Проф. Л. Л. М е л и к с е т б е г о в, Старый Тифлис, 1918 (ჟურნ. Arts).

[4] პ. იოსელიანის ნაშრომი გამოცემულია რუსულ ენაზე 1866 წ., ხოლო თ. ბატონიშვილისა დაიბეჭდა 1833 (იხ. აგრეთვე დ. ხუბინაშვილის ქრესტ. I)

[5] პროფ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, პროფ. შ. მ ე ს ხ ი ა, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 243. აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დელა პორტის ცნობები (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 3, 1937, გვ. 219), იხ. საქ. მუზეუმის ხელნაწ. საისტორიო ფონდისა, № 400, 608, 609.

ცნობილმა მწერალმა ალ. გრიბოედოვმა შეადგინა „ბარათი ქალაქ თბილისის ახლად შენების უმჯობეს საშუალებათა შესახებ“ (1827 წ.). იგი მოიცავს თბილისის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის გეგმას, ქალაქის კეთილმოწყობას, ახალი ქუჩების გაყვანასა და დაუსახლებელი ადგილების განაშენიანებას. გრიბოედოვი აღწერს „ნამდვილ ქალაქს ანუ კალას“. ისსენიებს მაშინდელი თბილისის გარეუბნებს - ჩუღურეთს, კუკიას (ესენი ქოხმახებით მოფენილი სოფლები ყოფილან), სოლოლაკს (აწინდელი კალინინის სახ. რაიონი) და აცხადებს: „ჩრდილოეთის ქარი განუწყვეტლივ დაქრის მთელ ამ ფართო სივრცეზეო“ [1].

ალ. გრიბოედოვის ნაშრომს თბილისზე მოყვა პუშკინის განთქმული ჩანაწერები საქართველოს დედაქალაქზე („ერზერუმს მოგზაურობა“, 1829 წ.). პუშკინმა პირველმა აღწერა თბილისის სალონები და რუს საზოგადოებას გააცნო იმ დროს გავრცელებული ლექსი „ახალ აღნაგო სულოდა“, რომელიც დიმიტრი თუმანიშვილს ეკუთვნის [2].

იმ თხზულებათა დიდი უმრავლესობა, რომელთა არასრული შინაარსი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, არაერთხელ გამოუყენებიათ, წყაროების დასახელებით, თუ დასახელების გარეშე, თბილისის ისტორიკოსებს.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ერთი ქართული თხზულების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ XVIII ს. ითარგმნა რუსულად და თბილისის V საუკუნის ამბებს მოიცავს. 1773 წელს სანკტ-პეტერბურგში (აწ ლენინგრადი) რუსულ ენაზე დაიბეჭდა რომანი „ბარამგულანდამიანი“. მის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია: „შეთხზულია თბილისელი მდივნის დილარგეთის მიერ“. „ბარამგულანდამიანი“ აღმოსავლურ ყაიდაზე დამუშავებული ქართული რომანია, რომელიც რუსულად გადაუთარგმნია და ახალი ეპიზოდებით შეუვსია სემიონ ეგორის ძე ეგნატაშვილს. „თბილისელი მდივანი დილარგეთი“, რა თქმა უნდა, სიმონ ეგნატაშვილის ლიტერატურული გამოგონებაა. დილარგეთის სახელს ამოფარებია თვით სიმონ ეგნატაშვილი. ნაწარმოებში ის პოლიტიკური იდეაა გატარებული, რომ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობას სათავეში უნდა ედგეს თბილისი. ს. ეგნატაშვილს ცხოვრება რუსეთში უხდებოდა და კარგად იცოდა, თუ რა დიდი როლი შეასრულა მოსკოვმა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის საქმეში. მოსკოვის მეფეებმა ქედი მოახრევინეს მთავრებს, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს დაქსაქსვისაკენ მიისწრაფოდნენ.

„ბარამგულანდამიანის“ რუსული სიუჟეტის ავტორს მიაჩნია, რომ ბარამისა და გულანდამის თავგადასავალს ადგილი ჰქონდა ვახტანგ გორგასალის (გარდ. 502 წ.) დროს. ვახტანგ გორგასალმა დაუმორჩილა „მის უძლეველ იარაღს მთელი აღმოსავლეთი“ („ბარამგულანდამიანის“ რუსული გამოც., გვ. 15—16), დათრგუნა ურჩი მთავარი გურიელი (გვ. 117) და ბევრი სხვანი. მთავრების დამორჩილება ხდებოდა „თბილისის მეფის ვახტანგ გორგასალის სასტიკი ბრძანებით“ (По строгому указу Тифлисского Царя Вахтанг Горгасала“ (გვ. 121, 123), ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვახტანგ გორგასალი არის თბილისის მეფე“ (გვ. 117, 121), „ბარამგულანდამიანის“ მთავარი პერსონაჟი ბარამი, რომელიც ყველა ვერსიით ურუმეთის (აქ საბერძნეთი) მეფის შვილია, პეკინში ჩასვლისას აცხადებს, რომ არის „ტფილისელი მოხეტიალე აზნაური“ (გვ. 38, 40). თბილისური მოტივები იცის ამ ძეგლის მხოლოდ რუსულმა გამოცემამ (1773 წ.). ის, როგორც ვთქვით, ძეგლში ჩაურთავს ს. ეგნატაშვილს.

იმ ქართველი მწერლების შესახებ, რომლებმაც არა ერთი და ორი სიყვარულით გამთბარი სტრიქონი მიუძღვნეს თავის სათაყვანებელ გმირ დედაქალაქს, გარდათქმით შეიძლება გავიმეოროთ გენიალური პუშკინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „მათ ჯყვარდათ თბილისი და ფიქრობდნენ, რომ მას, როგორც ქართველ ხალხს, ბრწყინვალე მომავალი აქვს“ [1].

---

[1] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შედგენილი ვ. შადურის მიერ, 1949, გვ. 65...

[2] იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 156. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 172, 178.

[1] ა. პ უ შ კ ი ნ ი, ერზერუმს მოგზაურობა, 1829. (იხ. მისი ქართული თარგმანი ვ. შადურის წიგნში: რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, 1949, გვ. 156.



ნიკოლოზ ჟღენიანი

თბილისის სამონეტო გაზარი XVIII საუკუნეში

XVIII საუკუნის ქართლ-კახეთი ფართო ვაჭრობას აწარმოებდა სხვადასხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან — ირანთან, ოსმალეთთან, რუსეთთან და კავკასიის ხალხებთან. ეს ურთიერთობა გულისხმობდა ფულის გადახდას ან მიღებას უცხოეთიდან.

საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა აბრეშუმი, ბამბა, ღვინო, ენდრო და სხვ., ხოლო საიმპორტოს — ფარჩა, ძვირფასი ქვები, შაქარი, ყავა, ჭურჭლეულობა, მარილი, თევზი, სხვადასხვა ლითონი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაიხსნა დარიალის ანუ „ოსეთის გზა", რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობის გაფართოებას რუსეთთან.

1783 წ. ტრაქტატის მეთერთმეტე მუხლში წერია: „ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქვს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭრო თჳსი რუსეთსა შინა, და ისარგებლონ მათვე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი სარგებლობენ"[1]. სამაგიეროდ, ასეთივე უფლებებით სარგებლობდნენ რუსი ვაჭრები საქართველოში. მათ სატრანზიტო ვაჭრობის უფლებაც ჰქონდათ.

საექსპორტო საქონლის დიდი ნაწილი თავს იყრიდა თბილისში და აქედან გადიოდა უცხოეთში. ასევე, საიმპორტო საქონლის დიდი ნაწილი თბილისიდან მიდიოდა ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში.

საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. ამას ადასტურებს თუნდაც ხსენებული ტრაქტატი.

ვაჭარი არ გაურბოდა შორეულ ქვეყნებსაც — ინდოეთს, ჩინეთს; საერთაშორისო ვაჭრობა წარმოებდა, როგორც წესი, ნაღდზე, მაგრამ იყო ნისიად ვაჭრობის შემთხვევებიც. მაგ., თბილისელი ვაჭრის ბეჟან გორგოჩანოვის მინდობილობით თბილისში მცხოვრებ კარაპეტ ხათაგოევს ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში უნდა მიეღო ის თანხები, რომელიც მას ეკუთვნოდა სავაჭრო ოპერაციების შედეგად[1].

[1] Под ред. А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии, т. II, выпуск I. Грузинские тексты с 1768 по 1801 год. СПб, 1898, გვ. 106.

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, Тифлис, 1882, გვ. 99.

ფულის გასვლას ქვეყნიდან მოითხოვდა უცხოეთში აღებული სესხის დაფარვა. მართალია, ქართველმა მეფეებმა ვერასოდეს ვერ მოახერხეს სესხის მიღება უცხოეთში და, ამრიგად, სახელმწიფო საგარეო სესხებს არ ჰქონია ადგილი, მაგრამ იყო შემთხვევა უცხოეთში კერძო პირების მიერ ფულის სესხებისა. მაგ., კათოლიკოსმა დომენტი III სტამბოლიდან წამოსვლისას სესხი მიიღო ერთერთი ვაჭრისაგან, ძვირფასი ნივთების გირაოს ქვეშ[1]. ამ სესხის დაფარვა მოითხოვდა ფულის გადაგზავნას უცხოეთში; თუ გამსესხებელი ჩვენი მოქალაქე იყო, პირიქით, ფული უცხოეთიდან შემოდიოდა საქართველოში.

ფულის საერთაშორისო მოძრაობას იწვევდა ელჩების გაცვლა სხვა ქვეყნებთან, სპეციალური მისიების გაგზავნა უცხოეთში ან მათი მიღება საქართველოში, უცხოელ მოგზაურთა სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში ან ქართველ მოგზაურთა წასვლა საზღვარგარეთ.

გარდა ამისა, ფულის მოძრაობას იწვევდა ჩვენი მოქალაქეების გადასახლება სხვა ქვეყანაში ან უცხოელების დასახლება საქართველოში. ამის საუკეთესო მაგალითია ვახტანგ VI-ის გადასახლება თავისი ოჯახით და მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში, სახელდობრ, მოსკოვში, სადაც დაარსდა დიდი ქართული კოლონია. მეორე მაგალითია კოლონისტების მოწვევა ქართლში ერეკლე II-ის მიერ.

1748 — 1750 წწ. ნახიჩევანის, ერევნის და განჯის სახანოები ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალები გახდნენ. ისინი ყოველწლიურად ხარკს უხდიდნენ მეფეს, რაც იწვევდა უცხოეთიდან ფულის შემოტანას. მეორე მხრივ, ზოგჯერ თვითონ ქართლი და კახეთი იხდიდა ხარკს სხვა ქვეყნის (მაგ., ირანის) სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში ფული საზღვარგარეთ გადიოდა.

ფულის მოძრაობას იწვევდა აგრეთვე ტყვეების გამოსყიდვა და ა. შ.

ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია ქართლ-კახეთის საგადასახდელო ბალანსი XVIII საუკუნის რომელიმე პერიოდისათვის (უცხოეთიდან მიღებული ფულადი შემოსავლის შეფარდება იმ თანხასთან, რომელიც ქართლ-კახეთმა გადაიხადა უცხოეთის სასარგებლოდ). ასევე უცნობია საგადასახდელო ბალანსის მთავარი შემადგენელი ნაწილი — სავაჭრო ბალანსი (განსაზღვრულ პერიოდში შემოტანილი და გატანილი საქონლის ფასების შეფარდება). ორივე ბალანსი უცნობია იმის გამო, რომ იმ დროს არავინ აწარმოებდა ფაქტების ამომწურავ რეგისტრაციას, საჭირო მასალების შეჯამებასა და ფიქსირებას.

საერთაშორისო ურთიერთობაში ფული გამოდის იმ ფუნქციაში, რომელსაც მსოფლიო ფული ეწოდება.

ფული ნაციონალურ სამოსელში წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით. მსოფლიო ბაზარზე არც ერთი სახელმწიფოს მონეტა არ ჰრის გადახდის კანონიერი საშუალება.

მსოფლიო ფულის როლს ასრულებს მხოლოდ ძვირფასი ლითონი ზოდების სახით. ნაციონალური მონეტაც, ე. ი. ფული ნაციონალურ სამოსელში, ასრულებს მსოფლიო ფულის როლს, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე იგი იხდის ნაციონალურ სამოსელს და მიიღება როგორც ძვირფასი ლითონის ნაჭერი, წონისა და სინჯის მიხედვით. ამრიგად, ნაციონალური სამოსელი არ უშლის მონეტას მსოფლიო ფულის ფუნქციის შესრულებას. ქართული მონეტაც, ისე როგორც სხვა ქვეყნის მონეტა, იხდიდა მსოფლიო ბაზარზე ნაციონალურ სამოსელს და ასრულებდა მსოფლიო ფულის ფუნქციას, როგორც ძვირფასი ლითონის ნაჭერი. ქართული მონეტების პოვნა საქართველოს საზღვრებს გარეთ ნათლად ამტკიცებს ამას.

მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ზოგიერთ მონეტებს ყველა ხალისით ღებულობდა იმის გამო, რომ მისი მომშრელი ქვეყანა დიდი სავაჭრო ქვეყანა იყო და თვითონ მონეტებიც კარგად იყო მოჭრილი ფორმის, წონისა და სინჯის მხრივ. მაგ., XVIII საუკუნეში აღმოსავლეთშიც გავრცელებული იყო ჰოლანდიური ოქროს მონეტები.

მსოფლიო ფულს აქვს რამდენიმე ფუნქცია.

მსოფლიო ფული, უპირველეს ყოვლისა, ღირებულების საზომია. XVIII საუკუნეში მსოფლიო ბაზარზე ორგვარი ღირებულების საზომი მოქმედებდა — ოქრო და ვერცხლი. საქართველო ამ

[1] ი. ყორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 203. უფრო დაწვრილებით იხ. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში.

ᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲘᲒᲘᲪ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲡ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡᲐᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲣᲚᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲧᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲪ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ. ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲧᲘᲓᲔᲐ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲔᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲧᲘᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ. ᲐᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ�წᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ — ᲜᲘᲡᲘᲐᲓ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲤᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ; ᲐᲛ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲝᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲗ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ.

XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲡᲘᲐᲓ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲔᲑᲘᲡ, ᲢᲠᲘᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ. ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ ᲑᲘᲠᲟᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ-ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ?

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ ᲣᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲘᲛᲘᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲗ[1]. ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲙᲘ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲐᲓ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲐ. ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲡ ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲓᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ.

ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ�წᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ?

XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲡᲘᲐᲓ. ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲩᲐᲡᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲡᲘᲐᲓ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲘᲬᲕᲘᲐᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲑᲣᲗᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ�წᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲨᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲛᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲛᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲜᲐᲦᲓᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲘᲔᲦᲝ ᲛᲝᲕᲐᲚᲔ ᲕᲐᲭᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲜᲐᲦᲓᲖᲔ ᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲤᲣᲚᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔ ᲕᲐᲭᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲑᲘᲠᲟᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐᲡ ᲤᲣᲚᲐᲓ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒ., ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐ, ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

[1] Архив Маркса и Энгельса, т. IV, Экономические рукописи, зд. 59.

მსოფლიო ფული ამ ფუნქციაშიც მოქმედებდა XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. იგი გამოდიოდა ამ ფუნქციაში მაშინ, როდესაც ჩვენი მეფე ხარკს უხდიდა სხვა სახელმწიფოს ანდა სხვა სახელმწიფო უხდიდა ხარკს ჩვენს ქვეყანას. ამ ფუნქციაში გამოდიოდა ფული მაშინაც, როდესაც ჩვენ მოქალაქეებს სხვა ქვეყნებში გადასახლებისას თავიანთი სიმდიდრე გაჰქონდათ ფულის ფორმით.

ამრიგად, ქართლ-კახეთში ფული მოქმედებდა როგორც მსოფლიო ფული, მსოფლიო ფული კი მოქმედებდა ყველა თავის ფუნქციაში.

ფულის, როგორც მსოფლიო ფულის, ფუნქციიდან გამომდინარეობს ფულით ვაჭრობა, მონეტებით ვაჭრობა, სამონეტო ბაზრის წარმოშობა. ფულით მოვაჭრეს ზარაფი ეწოდება. ზარაფი იცნობს ყველა იმ ქვეყნის მონეტებს, რომელთანაც კავშირი აქვს მის ქვეყანას. ზარაფი იცნობს ამ ქვეყნების მონეტების გარეგან სახეს, წონას, სინჯს. საეჭვო შემთხვევაში იგი ადვილად დაადგენს მონეტის წონასა და სინჯს. შემთხვევით არაა ნათქვამი პეტრონის „სატირიკონში" — „ზარაფი ვერცხლის ქვეშაც დაინახავს სპილენძს", ე. ი. ზარაფი ადვილად ამოიცნობს, რომ მონეტა სპილენძიდან არის მოჭრილი და მხოლოდ მოვერცხლილია იმისათვის, რომ მას მიეცეს ვერცხლის მონეტის სახე. მონეტების მოვერცხვლა გამოყენებული იყო XII საუკუნის საქართველოშიც.

მოქალაქე, რომელიც მიდიოდა უცხოეთში, ყიდულობდა ზარაფთან საჭირო მონეტებს, ანდა მიჰქონდა საკუთარი ნაციონალური მონეტები, რომელთაც იქ გაყიდდა და მოიხმარდა.

სამონეტო პარიტეტი არის სხვადასხვა ქვეყნების ფულის ერთეულის შეფარდება მათი ოქროსა და ვერცხლის კანონიერი წონითი შინაარსის მიხედვით.

მონეტის „ფასი" ანუ კურსი ბაზარზე მყარდება მისი მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე და ტრიალებს პარიტეტის გარშემო. მონეტის გაფუჭება, ე. ი. მონეტაში ძვირფასი ლითონის შინაარსის შემცირება, სათანადო გავლენას ახდენს მონეტის კურსზე.

XVIII ს. ქალაქ თბილისშიც წარმოებდა ფულით ვაჭრობა, იყო მონეტების ბაზარი. ერთ საბუთში, რომელიც 1779 წ. ეკუთვნის, წერია: „ჩ (ერთი მიზალთუნი) ოქროები რომ დავახურდავეთ დააკლდა"[1]. ცხადია, ლაპარაკია უცხო მონეტებზე და ზარაფზე.

თბილისის სამონეტო ბაზრის შესახებ ჩვენ შინაარსიანი მასალები მოგვეპოვება. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საუკეთესო წყაროა „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა" და მოგზაურ პ. ტურნეფორის წიგნი, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთში. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს გვილდენშტედტის წიგნი, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში. ზოგ მასალას იძლევა თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი ქართული საფასის შესახებ და ისტორიული დოკუმენტები, გამოქვეყნებული ა. ცაგარელის მიერ. ივ. ჯავახიშვილს თავის შრომაში „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია" გამოყენებული აქვს პირველი სამი წყარო. იგი მხოლოდ იმეორებს მათ მიერ მოცემულ ცნობებს მონეტების კურსის შესახებ და არ ჩერდება სპეციალურად სამონეტო ბაზარზე.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი შედგენილი იყო 1703 — 1709 წწ. ამ წიგნის მე-16 მუხლი გვაუწყებს, რომ „ერთი მისხალი ორშაურნახევრის წონა არის, ყიზილბაშნი უზალთუნს ეძახიან, ურუმნი და ფრანგნი გინგირს. ოთხს შაურს აბაზი ქვიან, ფრანგნი თულთს ეძახიან... ოც-და-ათ თუმანს ურუმნი ერთს ქისას ეძახიან. ფრანგულის თეთრის სახელები სხვა არის; მაგრამ აქ ამ თეთრზედ, როგორც ეფასების ისე იქნების. სამშაურს ფრანგნი რუბს ეძახიან. ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დაღი აჯდეს ერთი ფლური არის. ამ ფლურის ფასი დრო არის შვიდ აბაზად ფასობდეს, დრო არის შვიდ აბაზ უზალთუნად, ხან ერთშაურ ნაკლებადცა იქნების"[2].

ეს მუხლი ფრიად მნიშვნელოვანია თბილისის სამონეტო ბაზრის გასაგებად. მასში მოცემულია მონეტების უცხოური სახელწოდებანი. იგი გვაუწყებს ზოგიერთი მონეტის პარიტეტს და ნათლად გვიჩვენებს, რომ თბილისში წარმოებდა უცხოური

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი 1, თბილისი, 1938, გვ. 67.

[2] სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წიგნთაგან, СПБ, 1846.

ძონეტებით ვაჭრობა. აქ ისიც არის ნაჩვენები, რომ მონეტების „ფასი“ ცვალებადი იყო.

უცხოური მონეტების დასახელების, საბონეტო პარიტეტისა თუ მონეტების „ფასის“ აღნიშვნას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გვაუწყებს მე-15 მუხლი: „ეს თეთრის გარიგება ამისათვის დავწერეთ, რომელ, თუ კაცმან ეს არ იცის ან შაური, ან უზალთუნი, ან აბაზი, ან ასლანი, ან მისხალი, ან ფლური, ან ხუთი აბაზი, ან თუმანი რა ერთი არის, სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს, რომ იმდენი სისხლად გაუჩინონ“. თეთრის გარიგების სხვა დანიშნულება არ არის ნაჩვენები, მაგრამ გასაგებია, რომ თეთრს ამ დანიშნულების გარდა სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, იგი მსოფლიო ფულის როლშიც გამოდიოდა, რაც ნათლად ჩანს მე-16 მუხლიდან. ამ მუხლიდან ისიც ჩანს, რომ უცხოურ მონეტებს მსვლელობა ჰქონდა შიგ ქვეყანაშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, მცირე ზომით, ვინაიდან მათი მთავარი დანიშნულება იყო საერთაშორისო ურთიერთობის მომსახურება.

პ. ტურნეფორი, რომელიც თბილისში იყო 1701 წელს, თავის წიგნში აღწერს ქართულ სამონეტო სისტემას და გაკვრით აღნიშნავს, რომ თბილისში ტრიალებს „ვენეტიკური სეკინი“ და „პიასტრი“[1] (პიასტრი რატომღაც გამორჩა ივ. ჯავახიშვილს, როდესაც მას მოყავს ტურნეფორის მიერ დასახელებული უცხო მონეტები)[2].

ამრიგად, ხსენებული ორი წყაროს მიხედვით, თბილისის სამონეტო ბაზარზე ტრიალებდა: 1. ასლანი, 2. ფლური, 3. ვენეტიკური სეკინი, 4. უზალთუნი, 5. პიასტრი.

რა მონეტებია ეს?

იმ ხანაში ჰოლანდია ფართო ვაჭრობას აწარმოებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. იგი სჭრიდა ოქროს მონეტას. ზოგ მონეტაზე გამოსახული იყო ლომი. ლომს თურქულ ენაზე ჰქვია „ასლანი“, ამიტომ ეს მონეტა აღმოსავლეთში ცნობილი იყო „ასლანის“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, იგი საქართველოშიც იმდენად გავრცელებული იყო, რომ „საბართლის წიგნშია“ ნახსენები. ეგვიპტეში ეს „აბეყელ“ ეწოდებდნენ. ეს მონეტა დაახლოებით 3,44 გრამს იწონიდა.

„ფლური“ წარმოიშვა „ფლორინისაგან“. ფლორინი იყო ფლორენციის ოქროს მონეტა, რომელიც XIII — XIV საუკუნეებში იჭრებოდა. შემდეგში ამ სახელწოდებით იჭრებოდა მონეტები ევროპის რიგ ქვეყნებშიც. აღსანიშნავია, რომ „დუკატს“ იტალიაში და „გულდენს“ საფრანგეთში „ფლორინს“ უწოდებდნენ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში ყოველ ოქროს მონეტას „ფლურს“[1] უწოდებდნენ.

რას წარმოადგენდა „ვენეტიკური სეკინი“? „ვენეტიკური სეკინი“ არის „ვენეტიკური ცეხინი“ — იტალიურად „zecchino“. ეს სიტყვა წარმოშობილია სიტყვიდან „zecca“, რაც „ზარაფხანას“ ნიშნავს. „ცეხინი“ არის ძველებური ოქროს მონეტა, რომლის მოჭრა დაიწყო ვენეციაში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში. მისი წონა დაახლოებით 3,5 გრამი იყო. ეს მონეტა სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში. შემდეგში ცეხინები იჭრებოდა ევროპის ზოგ სახელმწიფოში სახელწოდებით „დუკატი“ (იტალიური სიტყვიდან „ducato“, რომელიც, თავის მხრივ, წარმოიშვა სიტყვიდან „ducatus“, რაც საჰერცოგოს ნიშნავს), დუკატის წონა, დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ცეხინის[2].

უზალთუნი სპარსული მონეტაა, თუმცა ასეთი სახელწოდების მონეტა ქართლშიც იყო.

„პიასტრი“ წარმოადგენდა თურქულ მონეტას. მონეტის სახელწოდება წარმოშობილია იტალიური სიტყვიდან „piastro“, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვას გამოთქმიდან: „piastro d'argento“ ანუ „ვერცხლის ფილა“.

ქართლში XVIII საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა ვერცხლის მონომეტალიზმი[3]. ხურდა ფულის როლს ასრულებდნენ სპილენძის მონეტები. ძირითადი მონეტა იყო აბაზი. სამ აბაზს ეწოდებოდა „მარჩილი“, ხუთ აბაზს „მინალთუნი“, 50 აბაზს „თუმანი“. მინალთუნი და თუმანი მხოლოდ საან-

[1] Pitton von Tournefort. Beschreibung einer auf königlichen Befehl unternommenen Reise nach der Levante, III B. Nürnberg, 1777.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა - მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 56.

[1] დასახელებული შრომა, გვ. 54.

[2] В Э Ф, „Цехин“, „Дукат“.

[3] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVIII 1946, XXIX, 1946 (არის ცალკე ამონაბეჭდი).

გარეშო, იდეალური მონეტები იყო. ერთი აბაზი შეიცავდა 2 უზალთუნს, 1 უზალთუნი — 2 შაურს. ყველა ეს მონეტა რეალური იყო და იჭრებოდა ვერცხლისაგან. შაური შეიცავდა 2,5 ბისტს, ბისტი ოთხ ფულს. ბისტი და ფული იჭრებოდნენ სპილენძისაგან.

როგორც ვხედავთ, მონეტების სახელწოდებანი ეცხოურია, სახელდობრ, ირანული და შემოვიდა ქართველში შაჰ-აბაზის დროიდან. სახელწოდებანი „აბაზი“ და „შაური“ დღემდე დარჩა საქართველოში. დროა ორივე სიტყვა ამოვიღოთ ქართული ენიდან, რადგანაც პირველი წარმოიშვა საქართველოს მოსისხლე მტრის შაჰ-აბასის სახელიდან, ხოლო მეორე — სიტყვა „შაჰიდან“, ე. ი. მისი ტიტულიდან.

როგორი იყო რეალიების წონა ამ პერიოდში? ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამონეტო პარიტეტისა და უცხოური მონეტების ფასის დასადგენად.

რეალიების წონა (გრამებში) ასეთი იყო:

ფული	4,24—4,50	(1707/09);
2 ფული . . .	7,90—9,15	(1708/09);
შაური	1,68	(1707/08);
უზალთუნი . .	3,20	(1715);
აბაზი	7,10	(1707/08).

მარჩილის რეალიები დაცული არ არის, ხოლო სამართლის წიგნის მიხედვით მისი წონა არის 21,29 გრ.

ასლანის პარიტეტი ან კურსი არ ჩანს ჩვენს წყაროებში, მაგრამ ცნობილია, რომ ეს მონეტა იწონიდა დაახლოებით 3,5 გრამს. ეს წონა ჩვეულებრივი იყო მაშინდელი ოქროს მონეტებისათვის.

ფლორის ოქროს შინაარსის და, მაშასადამე, პარიტეტის დადგენა ადვილად შეიძლება სამართლის წიგნის მე-16 მუხლის საშუალებით. იქ წერია: „ორი შაურის წონა ოქროს რომ მისი დაღი აჯდეს ერთი ფლური არის“. შაურის წონა, სამართლის წიგნის მიხედვით, იყო 1,77 გრ. მაშასადამე, ორი შაურის წონა იყო 3,54. ამ წონის იყო დაახლოებით მაშინდელი ოქროს მონეტები, რომლებიც „ასლანის“, „დუკატის“, „ცეხინისა“ და „ფლორინის“ სახელწოდებით არიან ცნობილი. სამართლის წიგნში მოცემულია ფლორის „ფასი“. ფლორის „ფასი“ მერყეევი იყო. იგი იყო ხან შვიდი აბაზი, ხან შვიდი აბაზი და ერთი უზალთუნი, ხან შვიდი აბაზი და ერთი შაური. ქართული ფული ვერცხლის ფული იყო. 3,54 გრ. ოქროს მონეტაში იძლეოდნენ მაღალსინჯიანი ვერცხლის მონეტებით 49, 56 ან 51,33 ან 53,10 გრამ ვერცხლს.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ოქროსა და ვერცხლის შეფარდებითი ღირებულება იყო 1:14, 1:15, სწორედ ისეთი, როგორიც იყო მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე.

ოქრო-ვერცხლის შეფარდებითი ღირებულება ცვალებადი იყო და, ცხადია, ესეც ახდენდა გავლენას ფლურის „ფასზე“.

ვენეტიკური სეკინის (ანუ სხვანაირად დუკატის, ფლურის) შეფარდება ტურნეფორის ცნობით იყო 6 აბაზი და 3 შაური. ტურნეფორი თბილისში იყო უფრო ადრე (1701 წ.), ვიდრე შედგებოდა სამართლის წიგნი (1703 — 1709 წწ.). ფლური 1701 წელს შედარებით იაფი ყოფილა. ეს განსხვავება კონიუნქტურული ცვლილებების შედეგი იქნებოდა, ვინაიდან მონეტების ლითონურ შინაარსში ცვლილებები ამ პერიოდში არ მომხდარა.

ირანული უზალთუნი, იმავე სამართლის წიგნის მიხედვით, უდრიდა 2,5 შაურს, ანუ 4,92 გრამს.

ტურნეფორს მოცემული აქვს პიასტრის შეფარდება ქართულ ფულთან. პიასტრი ფასობდა 10,5 შაურს. ამრიგად, რეალიების მიხედვით, პიასტრის ვერცხლის შინაარსი იყო 1,68×10,5, ანუ 17,64 გრ.

ტურნეფორს მოყავს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორია ქართული და ფრანგული მონეტების შეფარდება. იგი არ ლაპარაკობს ფრანგული მონეტების ფასზე თბილისში. უნდა ვიფიქროთ, რომ ტურნეფორს თვითონ გამოყავს ამ მონეტების დაახლოებითი შეფარდება. იგი ამბობს, რომ აბაზი დაახლოებით უდრიდა 22 სოლს ანუ სუს, რომელიც ფულის ერთეულის — „ლივრის“ ნაწილები იყო და, თავის მხრივ, 12 დენიეს შეიცავდა. 1720 წ. შეწყდა ვერცხლის ლივრის მოჭრა საფრანგეთში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1 სუ უდრიდა, დამრგვალებით, 2 ფულს. იგი წვრილი მონეტა იყო.

ჩვენს მიერ განხილულ წყაროებში არაფერია ნათქვამი რუსულ მონეტებზე.

ასეთი იყო თბილისის უცხოური მონეტების ბაზარი XVIII საუკუნის დამდეგს.

1723 — 1735 წწ. თბილისი ოკუპირებული იყო თურქეთის მიერ. ამ პერიოდში თბილისში იჭრე-

ბოდა სულთანის სახელით არა მარტო ვერცხლის, არამედ ოქროს მონეტებიც. ვერცხლის მონეტები იჭრებოდა თურქული ნიმუშების მიხედვით, მაგრამ იჭრებოდა ისეთი მონეტებიც, რომელიც უდრიდა მაშინდელ აბაზს, უზალთუნს და შაურს. ოქროს მონეტას, ალთუნს, მაშინდელი ოქროს მონეტების ჩვეულებრივი წონა ჰქონდა — 3,45 გრ.

1735 წ. თურქები შეცვალა ირანელებმა. ირანში გამეფდა ნადირი და ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა მონეტა სახელწოდებით „ნადირი" (11,5 გრ).

1744 წელს ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა თეიმურაზი, ხოლო კახეთის მეფედ ერეკლე. ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) ირანი კვლავ დასუსტდა. ქართლი და კახეთი განთავისუფლდა ირანის უღლისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქართული მონეტები მაინც ირანული ტიპისაა. მართალია დ. კაპანაძე, როდესაც წერს: „Совершенно очевидно, что в данном случае, как это случалось и в старину, тбилисской монете придавался облик иранской с той же целью свободного ее обращения на международном рынке. Немаловажное значение имел, конечно, и политический момент".[1]

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ჩვეულებიც — სამონეტო სისტემის შეცვლა, ისე როგორც წონის სისტემისა, მტკივნეულია მოსახლეობისათვის.

თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ (1762) ქართლ-კახეთი გაერთიანდა ერთ სამეფოდ.

განმტკიცდა და გაღრმავდა სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან. 1783 წ. დაიდვა ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატის შესახებ. ყოველივე ამან შეცვალა თბილისის სამონეტო ბაზრის სახე.

კაპიტანი იაზიკოვი 1770 წ. წერდა: „Деньги грузины имеют свои, только выше монеты пет как в 30 копеек серебром, и по их называется абаз, а медные копейки и деньги под именем царя Ираклия делают в Тифлисе. Золотая и серебряная разная монета в Грузии есть персидская и турецкая, которую достают они через продажу меда, масла".[1]

საუკეთესო ცნობებს თბილისის სამონეტო ბაზრის შესასწავლად გვაძლევს ი. გეილდენშტედტი, რომელიც 1772 წელს თბილისში იმყოფებოდა[2].

გეილდენშტედტი გვაუწყებს, რომ თბილისში ნაციონალური მონეტების გვერდით ტრიალებდნენ თურქული, ირანული და რუსული მონეტები. იგი დუკატის არსებობასაც აღნიშნავს თბილისის სამონეტო ბაზარზე.

როგორია ეს მონეტები?

ამ პერიოდში ოსმალეთში იჭრებოდა ვერცხლისა და ოქროს მონეტები. უძინესი მონეტა იყო „ფარა". მის გვერდით იყო „ხუთფარიანი", „ათფარიანი" და „ოცფარიანი". იყო აგრეთვე მონეტა, რომელიც შეიცავდა 39 ფარას (მონეტას ერქვა „კუმში") და 52 ფარიანი მონეტა, რომლის თურქული სახელწოდება არ ჩანს, მაგრამ ქართველები უწოდებდნენ „მარჩილს". ოქროს მონეტა, რომელიც 120 ფარას შეიცავდა, ცნობილი იყო სახელწოდებით „თურქული დუკატი". აღსანიშნავია, რომ „ფარა", გეილდენშტედტის ცნობით, არ იყო მიღებული ქართლში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ სხვა თურქული მონეტები არ იყო გავრცელებული. თვითონ გეილდენშტედტი აღნიშნავდა ქართლში თურქული მონეტების ბრუნვას[3]. იაზიკოვი წერდა, რომ ქართლ-კახეთში ტრიალებდა ირანული და თურქული ვერცხლისა და ოქროს მონეტები. უნდა ვიფიქროთ, რომ ხმარებაში იყო ოქროსა და ვერცხლის მსხვილი თურქული მონეტები.

თბილისის სამონეტო ბაზარზე ამ დროს იშვიათი იყო სპარსული მონეტები. სპარსული მონეტებიდან ბაზარზე მოიპოვებოდა სხვადასხვა ფორმის, წონისა და სხვადასხვა დროს მოჭრილი აბაზიანები და ნადირის დროს მოჭრილი 2,5 აბაზიანები, სხვანაირად „ნადირი" (1739 წ.), 1,5 აბაზიანები და ნახევარაბაზიანები (1737 წ.).

[1] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955, გვ. 121.

[1] Под ред. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, СПБ, 1891, გვ. 191.

[2] J. A. Güldenstädt, Reisen durch Russland und Caucasischen Gebürge, t. 1, SPB, 1787, გვ. 356—359 და 390—393.

[3] Güldenstädt, დასახ. შრომა, გვ. 356, 359.

თერქული და სპარსული მონეტების გვერდით ტრიალებდა ევროპული დუკატებიც, ე. ი. ოქროს მონეტები. ქართლში მათ „ოქროს“ ეძახდნენ.

რუსეთთან ვაჭრობის გაფართოებისა და 1769 წ. რუსეთის ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით, საქართველოში გავრცელდა რუსული მონეტები, კერძოდ იმპერიალები.

იმპერიალი იყო ოქროს მონეტა. იგი იჭრებოდა 1755 წლიდან 1897 წლამდე, შეიცავდა 11,61 გრ ოქროს და უდრიდა 10 ვერცხლის მანეთს. საქართველოში ამ მონეტას ერქვა „თუმანი“. იგი, როგორც გვილდენშტედტი აღნიშნავს, ხალისით მიიღებოდა მოსახლეობის მიერ. გასაგებია რატომ ეძახდნენ ქართველები ევროპულ დუკატებს „ოქროს“, ხოლო რუსულ იმპერიალს „თუმანს“ — ევროპული დუკატები გაცილებით უფრო მცირე წონის იყო, დაახლოებით 3,5 გრ.

გვილდენშტედტი იძლევა უცხოური მონეტების შეფარდებას რუსულ მონეტებთან. საჭიროა დავადგინოთ უცხოური მონეტებისა და ქართული მონეტების შეფარდება, რისთვისაც აუცილებელია იმ დროის ქართული ფეოდალი და სამონეტო სისტემების ცოდნა. ქართლ-კახეთში ამ პერიოდში ისევ ვერცხლის მონომეტალიზმი მოქმედებდა, სამონეტო სისტემაც იგივე დარჩა, მაგრამ ცვლილებები მოხდა მონეტის წონაში. წარმოებდა ე. წ. მონეტის გაფუჭება მისი წონის შემცირების სახით. მონეტის გაფუჭება საფინანსო ღონისძიება იყო. ამ გზით დიდდებოდა სახელმწიფოს ნომინალური შემოსავალი[1].

აბაზის წონა შემდეგნაირად მცირდებოდა (გრამებში):

1707/08	7,38;
1721/22	5,38;
1748/49	4,60.

ერეკლე მეორემაც შეამცირა აბაზის წონა. ქართული ვერცხლის მონეტების წონა ერეკლე II გარდაცვალებამდე იყო (გრამებში, უმნიშვნელო დამრგვალებით):

შაური	0,75;
უზალთუნი . . .	1,50;
აბაზი	3,00.

ამრიგად, მონეტების წონა საუკუნის მანძილზე 2,5-ჯერ შემცირდა.

ოქროს მონეტები რუსეთში 1701 წ., პეტრე I დროს მოიჭრა, როგორც დუკატებისა და ცეხინების წაბაძვა. მონეტას „ჩერვონეცი“ ეწოდებოდა და 3 მანეთს უდრიდა.

ოქროს მონეტები, „იმპერიალის“ სახელწოდებით, პირველად მოიჭრა ელისაბედის დროს, 1755 წელს.

ეკატერინე II დროს, 1764 წ. დაწესდა ოქროს იმპერიალის წონა. იგი შეიცავდა 270 წილ ანუ 12 გრამ წმინდა ოქროს. იმპერიალი 10 ვერცხლის მანეთს უდრიდა.

ეკატერინე II დროს უკანასკნელად (1764 წ.) შემცირდა ვერცხლის მანეთის წონა. დაწესდა ის ნორმა, რომელიც შემდეგშიც შეინარჩუნა მანეთმა — 18 გრამი.

მონეტების მოჭრა დამყარებული იყო ოქროსა და ვერცხლის ღირებულების შემდეგ შეფარდებაზე — 1:15. მართლაც, 12 გრამი ოქრო (იმპერიალი) უდრიდა 180 გრამ ვერცხლს (10 ვერცხლის მანეთი გამრავლებული 18-ზე). ოქროს ღირებულება თხუთმეტჯერ აღემატებოდა ვერცხლის ღირებულებას.

როგორც ჩანს, მიმოქცევაში ახალი იმპერიალების გვერდით ტრიალებდნენ ახალი ვერცხლის მონეტები, უფრო მსუბუქი, ვიდრე წინათ.

ჩვენ უკვე ვიცით როგორც ქართული, ისე რუსული მონეტების შინაარსი და ამიტომ უკვე შეგვიძლია მათი პარიტეტის დადგენა.

1769—70 წწ. მოჭრილი აბაზი იწონიდა 3,07 გრამს. გვილდენშტედტის თქმით ეს იყო ყველაზე გავრცელებული მონეტა[1]. ამ მონეტის სინჯი იყო 976, რაც დადგინდა 1943 წელს ჩვენი თხოვნით გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ[2]. აქედან გამოდის, რომ აბაზში 2,996 ან დამრგვალებით 3,00 გრ წმინდა ვერცხლი იყო. რადგანაც რუსულ

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახელებული შრომა.

[1] დასახ. შრომა, გვ. 357.

[2] იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 95 და შემდ.

მანეთიანში 18 გრ ვერცხლი იყო, ამიტომ სამონეტო პარიტეტი იქნება: 1 მანეთი = 6 აბაზს.

. რუსულ იმპერიალში იყო 12 გრ წმინდა ოქრო, იგი უდრიდა 10 ვერცხლის მანეთს. მოკრის საფუძვლად აღებული იყო ოქრო-ვერცხლის ღირებულების შეფარდება 1:15. ამ შეფარდების დაცვის პირობებში 1 იმპერიალი უდრიდა 60 აბაზს.

1770 წელს მეფე ერეკლემ გაუგზავნა რუსეთის საქმეთა რწმუნებულს ა. რ. მოურავოვს წერილი, რომელიც ეხება რუსეთის ოქროსა და ვერცხლის მონეტების ფასს ქართლ-კახეთში.

მეფის ამ წერილის შინაარსი მთლიანად მოგვყავს.

„შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა — მ. დიდ-ბის ოქრო და ვერცხლი როგორ იხარჯება გამომიცხადეო. ჩვენ ასე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალებისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ-ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად, რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრად, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურისათვის, რომ უნამეტნავესადაც გასულიყო ოქროც და ვერცხლიცა, მაგრამ რადგანაც გარშემო მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება, ამისათვის ვაჭართ ზიანს გაუფრთხილდით, რომ ქვეყანას საკაჭრო არ მოაკლდეთ“[1].

მეფე ერეკლეს წერილიდან ჩანს, რომ რუსული მონეტების კურსი ასეთი ყოფილა:

1 ძველი მანეთი	. . .	6 აბაზი;
1 ახალი მანეთი	. . .	5,25 აბაზი;
1 იმპერიალი	. . . .	50 აბაზი.

ძველი მანეთის ქვეშ იგულისხმება ანას და ელისაბედის დროს მოკრილი მანეთი, ხოლო ახალი მანეთის ქვეშ — ეკატერინე II დროს მოკრილი მანეთი. განსხვავება ძველი და ახალი მანეთების კურსში გასაგებია, ვინაიდან ეკატერინე II დროს მოკრილი მანეთები უფრო მსუბუქია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ვერცხლის მანეთის კურსი დგას პარიტეტზე ქვევით — ერთი ახალი მანეთი უდრის 6 აბაზს, ხოლო კურსია 5,25 აბაზი ანუ 5 აბაზი და ერთი შაური. ვფიქრობთ, რომ კურსის ჩამოყალიბებაზე გაელენას ახდენდა მანეთების მიწოდება-მოთხოვნა და ის დანაკარგები, რომელიც მოყვებოდა მანეთის გადაქცევას ნაციონალურ მონეტად. 1769 წლის ზაფხულის ბოლოს საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი. მას თან მოჰყვა ბლომად მანეთები, რითაც მანეთების მიწოდება ბაზარზე გაიზარდა.

ასეთივე მდგომარეობაა იმპერიალის მიმართაც. იმპერიალის და აბაზების შეფარდება უნდა ყოფილიყო 1 იმპერიალი = 60 აბაზს, სინამდვილეში კი იყო 50 აბაზი ანუ 1 თუმანი. ამრიგად, თბილისში 12 გრამ ოქროში (იმპერიალის წმინდა ოქროს წონა) იძლეოდნენ არა 180 გრამ ვერცხლს, როგორც რუსეთში, არამედ 50 × 3 = 150 გრამ ვერცხლს. ამ შეფარდებიდან გამოდის, რომ 1 ოქროს იმპერიალის ფასი თბილისის ბაზარზე მყარდებოდა გამომდინარე შეფასებიდან 1:12,5 და არა 1:15.

აქედან გამომდინარეობს, რომ ვერცხლს თბილისში მეტი „ფასი“ ჰქონდა, ვიდრე რუსეთში. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან იმ ეპოქაში საერთოდ საკმაოდ განსხვავებული შეფარდება იყო ოქროსა და ვერცხლის ღირებულებათა შორის. ამის მიზეზი იყო გზებისა და კავშირგაბმულობის სუსტი განვითარება.

ერეკლეს წერილში სხვა რამეც არის საინტერესო, რაც ჩვენს საკითხს ეხება. არსებული კურსი, ალბათ, არ აკმაყოფილებდა რუსეთის მმართველ წრეებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ იმაში, რომ რუსული მონეტების კურსი უფრო მაღალი ყოფილიყო. მეფე ერეკლე წერს, რომ მას შეეძლო სამსახური გაეწია რუსეთის მეფისათვის და დაეწესებინა იძულებითი და უფრო მაღალი კურსი და ამით აეწია რუსული ოქროსა და ვერცხლის მონეტების „ფასი“, მაგრამ იგი ამას მიუღებლად სთვლის იმის გამო, რომ რუსულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს მეტი ფასი არ ჰქონდათ მეზობელ ქვეყნებში. მეფე ერეკლეს ეშინია, რომ კურსის აწევა ზარალს მოუტანს ვაჭრებს და დაზიანებს ვაჭრობას.

ამ წერილში მოჩანს სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ესმის, რომ საგალუტო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, საგარეო ვაჭრობისათვის. მეფე ერეკლე მფარველობდა ვაჭრობას.

[1] А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии, т. II, вып. 1, стр. 36.

რუსული მონეტების კურსი 1772 წ. თბილისის სამონეტო ბაზარზე გვილდენშტედტის ცნობით ასეთი იყო:

1 ძველი მანეთი . . . . 6,50 აბაზი;
1 ახალი მანეთი . . . . 5,50 აბაზი.

როგორც ჩანს, მანეთის კურსი 1770 წელთან შედარებით რამდენადმე გაზრდილა. დროის ამ მანძილზე არც რუსული, არც ქართული ვერცხლის მონეტების შინაარსი არ შეცვლილა და კურსის ეს ცვლილება უნდა მივაწეროთ კონიუნქტურულ ცვლილებებს, მიწოდება-მოთხოვნის ცვლილებას. უნდა გვახსოვდეს, რომ 1772 წლის მაისში რუსეთის ჯარი გაწვეულ იქნა საქართველოდან, რაც შეამცირებდა მონეტების მიწოდებას ბაზარზე.

იმპერიალის კურსს გვილდენშტედტი არ იძლევა, მაგრამ აღნიშნავს, რომ მას ქართველები თუმანს უწოდებენ და ხალისით ღებულობენ[1]. სხვა ადგილას (გვ. 393) გვილდენშტედტი აღნიშნავს, რომ ქართველები იმპერიალებს ხმარობდნენ სამკაულებისათვის, რაც ადვილად დასაჯერებელია.

გვილდენშტედტი თავის შრომაში იძლევა თურქული მონეტების შედარებას რუსულ მონეტებთან, მაგრამ თავის შრომაში იგი აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში თბილისის 1 აბაზი უდრიდა 16 ფარას, ხოლო 1 შაური 4 ფარას. ეს გვაძლევს შესაძლებლობას გამოვსახოთ თურქული მონეტები ქართული აბაზებით. მართალია, ეს შეფარდება იყო დასავლეთ საქართველოში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი დიდად არ განსხვავდებოდა თბილისის ბაზარზე არსებული შეფარდებისაგან.

გადაანგარიშების შემდეგ ჩვენ ვღებულობთ ასეთ სურათს:

ფარა . . . . . 0,06 აბაზი;
ხუთფარიანი . . . . 0,31 აბაზი;
ათფარიანი . . . . . 0,62 აბაზი;
ოცფარიანი . . . . . 1,25 აბაზი;
კუმში . . . . . 2,44 აბაზი;
52 ფარიანი . . . . . 3,25 აბაზი.

თურქული დუკატის შესახებ გვილდენშტედტი წერს, რომ იგი იწონიდა ერთს დრახმს (მოჭრილი იყო წმინდა ოქროსაგან). მისი შეფარდება არ ჩანს არც რუსულ, არც ქართულ მონეტებთან. გვილდენშტედტი იძლევა მხოლოდ მის წონას — 1 დრახმი. უნდა ვიფიქროთ, რომ გვილდენშტედტი ხელმძღვანელობდა გერმანული წონით. ამ შემთხვევაში დრახმის წონა იქნებოდა 3,50 გრ. ამრიგად, თურქულ დუკატს ევროპული ოქროს მონეტის ჩვეულებრივი წონა ჰქონდა. რადგანაც იმ დროს თბილისში ოქრო-ვერცხლის ღირებულების შეფარდება იყო 1:12,5, ამიტომ ოქროს დუკატის ეკვივალენტი იქნებოდა 43,8 გრ ვერცხლი, ანუ 14,8 აბაზი (43,8 გრ : 3,00 გრ). ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია ხალასი ოქროს მონეტაზე, რომელიც 1690 წ. იყო მოჭრილი. გვიანდელი მონეტები, როგორც გვაუწყებს თეიმურაზ ბატონიშვილი, დაბალი ხარისხისა იყო.

გვილდენშტედტი გვაუწყებს, რომ 1 თურქული დუკატი უდრიდა 120 ფარას. 120 ფარა კი, მისივე ცნობით, უდრიდა 7,5 აბაზს. ცხადია, აქ ლაპარაკია გაფუჭებულ ფარაზე. იგი თვითონაც აღნიშნავს, რომ ფარა ცუდი ვერცხლისაგან იყო მოჭრილი. როდესაც იგი ლაპარაკობს, რომ 1 თურქული დუკატი უდრის 120 ფარას, იგულისხმება არასრულფასოვანი ფარა.

ივ. ჯავახიშვილის გაანგარიშებით თურქული დუკატის ანუ „ოქროს“ ფასი 10 აბაზი იყო, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს ეს გაანგარიშებული აქვს სულ სხვა დროისათვის.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულების შეფარდება ძალიან მოძრავი და ცვალებადი იყო დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების მაშინდელი მდგომარეობის გამო. „ფასის“ გარკვევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მონეტის წონა, სინჯი და სხვ. მომენტები.

ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა იმას, რომ 1772 წელს ერთი აბაზი უდრიდა 20 კაპიკს, მაგრამ ეს არ გამომდინარეობს არც პარიტეტიდან (1 ახალი მანეთი = 6 აბაზს) არც კურსიდან (1 ახალი მანეთი = 5,5 აბაზს). ამრიგად, მაშინდელი აბაზი 20 მაშინდელ კაპიკზე ნაკლები იყო, ამიტომ, დასკვნა, რომ აბაზი დასავლეთ საქართველოში მეტს ფასობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში მოკლებულია დამაჯერებლობას (გადახვევა პარიტეტისაგან

[1] Güldenstädt, დასახ. შრ., გვ. 359.

ზევით, რომელიმე უცხო მონეტასთან შედარებით, არ არის გამორიცხული აბაზიანებზე მაღალი მოთხოვნის პირობებში)[1].

გვილდენშტედტი ირანული მონეტების შეფარდებას ქართულ მონეტებთან არ იძლევა. იგი გვაძლევს მათ შეფარდებას რუსულ მონეტებთან. სპარსული ძირითადი მონეტა „ნადირი" ღირებულა 50 კაპიკი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ფულით იგი 2,5 აბაზს უდრიდა, ვინაიდან 1 აბაზი, როგორც ვთქვით, არ უდრიდა 20 კაპიკს. მართლაც, „ნადირის" წონა იყო 3 დრახმი და 6 გრანი სუფთა ვერცხლი, რაც აღემატებოდა 2,5 აბაზში მოცემულ სუფთა ვერცხლის წონას. ამის შესაბამისად ფასობდა სპარსული მონეტების სხვა ნომინალებიც. გვილდენშტედტი აღნიშნავს, რომ ეს სპარსული მონეტები იშვიათი იყო ქართლში.

1783 წ. აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, „მეგობრობის ტრაქტატი", ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. 1801 წ. მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან. დროის ამ მანძილზე რაიმე ცვლილება არ მომხდარა რუსეთის ფულად და სამონეტო სისტემაში, ასევე ქართულ ფულად სისტემაშიც. შესამჩნევია მხოლოდ ის, რომ 1777 წ. მოჭრილი აბაზის წონა არის 2,65 გრ, 1792—93 წწ. — 2,85. ამავე დროს, 1778—79 წწ. აბაზი გვიჩვენებს დაბალ სინჯს — 720-ს. ეს გარემოება, ცხადია, მოახდენდა ერთგვარ გავლენას მონეტების შეფარდებაზე, მაგრამ არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 57—58.

უცხო მონეტების ბაზრის მოკლე, მაგრამ სწორ დახასიათებას XVIII საუკუნის ბოლოსათვის იძლევა თეიმურაზ ბატონიშვილი: „ოქრო ჩვენში სრულიად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეციისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა, მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისათვის არ უყვარდა ქართველებსა"[1].

1804 — 1833 წლებში იჭრებოდა რუსულ-ქართული ვერცხლის მონეტები, ხოლო 1804 — 1810 წლებში სპილენძის მონეტებიც. ვერცხლის მონეტები მაღალსინჯიანი იყო, თითქმის ისეთივე, როგორც ქართული ვერცხლის მონეტები. რუსულ-ქართული აბაზი იწონიდა 3,15 გრ, ხოლო სპილენძის კაპიკი 7,80 გრ. ამ დროიდან აბაზი მართლაც გახდა 20 კაპიკის თანაბარი.

1834 წლიდან შეწყდა რუსულ-ქართული მონეტების მოჭრა. სამონეტო ბაზარი თბილისში დარჩა, მაგრამ უკვე რუსეთის მონეტებთან მყარდებოდა უცხოური მონეტების შეფარდება. ისინი ემსახურებოდნენ უზარმაზარ სახელმწიფოს, რომელშიც უკვე საქართველოც შედიოდა.

[1] თეიმურაზ ბატონიშვილი, წერილი ქართული საფასურის შესახებ, საისტორიო მოამბე, ტფილისი, 1925, I, გვ. 31.



ნოე უკლება და თებრონე კიკილაშვილი

თბილისის მიდამოების ჰიდროგრაფია

განსაზღვრა და რელიეფი. თბილისის მიდამოები მოიცავს მდ. მტკვრის აუზს სოფ. მცხეთისა და სოფ. სოღანლუღის მონაკვეთზე. მტკვრის აუზის ეს ნაწილი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაკეცი სტრუქტურის აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში და მორფოლოგიურად წარმოგვიდგება ირგვლივ მეტ-ნაკლები სიმაღლის მქონე ქედებით ჩაკეტილი და მტკვრის ხეობით ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფილი, ამფითეატრისებურად განვითარებული ქვაბურის სახით.

ხსენებული ქვაბური, რომელსაც თბილისის ქვაბურს უწოდებენ, ჩრდილოეთიდან ისაზღვრება დიდგორის, საწკეპელა-სათოვლიასა და საგურამოიალონის ქედებით. უკანასკნელნი ტექტონიკურად წარმოადგენენ ერთ მთლიან ანტიკლინს, რომელიც მტკვარს თავისი ეროზიული მოქმედებით გაუკვეთია. აღმოსავლეთით საკვლევი მიდამოები მდ. მდ. გლდანის წყლის, ხევძმარას და ორხევის წყალგამყოფამდე ვრცელდება. დასავლეთი და სამხრეთი საზღვარი ემთხვევა მდ. მდ. ვერას და ალგეთის წყალგამყოფს, რომელიც თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული განშტოებაა და თელეთის ქედით, სოფ. სოღანლუღთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წყდება.

ამრიგად, საკვლევი ტერიტორია მოიცავს მდ. მტკვრის მარჯვენა შემდინარეების — დიღომისწყლის, ვერას, წავკისის წყლის, ტაბახმელას წყლის, გლდანისწყლის, ხევძმარას და ორხევის აუზებს მთლიანად.

ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში მოქცეული თბილისის მიდამოების ოროგრაფიული სურათის ძირითად ფონს, ტექტონიკური სტრუქტურის შესაბამისად, ქმნიან განედურად განვითარებული ქედები, აგრეთვე მათ შორის მოქცეული ვაკე დაბლობები და ხეობები. წყლის გაძლიერებული ეროზიული და დენუდაციური მოქმედების შედეგად ოროგრაფიული ერთეულების პირვანდელი სახე საკმაოდ შეცვლილია და ქედები დღეს გადასწორებული თხემებით და ღრმად დასერილი ფერდობებით ხასიათდებიან.

მტკვრის მარჯვენა მხარეზე, რომელიც მარცხენა მხარესთან შედარებით მეტი ჰიფსომეტრიული განვითარებით ხასიათდება, მთავარ ოროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს თელეთის ქედი. იგი ქვაბურის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და ამავე სახელობის ანტიკლინს შეესაბამება. უდიდეს

ჰიფსომეტრიულ განვითარებას თელეთის ქედი იძენს დასავლეთ ნაწილში, სადაც მისი სიმაღლე 1 600 მ-ს აღემატება. აღმოსავლეთისაკენ ქედი თანდათანობით დაბლდება; მწვერვალ საყარაულოზე მისი სიმაღლე 1474 მ, ხოლო შავნაბადაზე— 825 მ შეადგენს.

თელეთის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს თაბორის ქედი, რომელიც თავისი ჩრდილო ფერდობით წავკისის წყლის ხეობაში ციცაბოდ ეშვება. განხილულ ორ ქედს შორის მოქცეულია მდ. ტაბახმელას წყლის ხეობა და, პატარა კახის არაჩვეულებრივი გმირობისა და ვაჟკაცობის მოწმე, კრწანისის ველი.

თელეთის ქედს კურორტ კოჯრის ჩრდილო-დასავლეთით გამოეყოფა ბთაწმინდის ქედი. უკანასკნელის წავკისის წყლის ხეობისაკენ წამოსული განშტოება, ე. წ. სოლოლაკის ქედი, მარცხენა მხრიდან ებჯინება მდ. წავკისის წყლის ხეობას და ძლიერ ავიწროებს მდინარეს შუა და ქვემო წელში.

მთაწმინდის ქედიც ყველაზე მეტად ამოზიდულია დასავლეთ ნაწილში, სადაც მისი უმაღლესი მწვერვალი უძო (1418 მ) მდებარეობს; აღმოსავლეთისაკენ შესამჩნევად დაბლდება და თბილისის-ქვაბურის ძირზე წყდება. მისი ჩრდილო კალთები მდ. ვერის ხეობის ძლიერ დანაწევრებულ მარცხენა ფერდობს ქმნის, ხოლო სამხრეთის ფართოდ და დამრეცად განვითარებული კალთები წავკისის და ოქროყანის ვაკეებში გადადის.

მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთით, თბილისის ფარგლებში გაშლილია საბურთალოს ვაკე, რომელიც ჩრდილოეთისაკენ თანდათანობით მაღლდება და მის ჩრდილოეთით მდებარე ლისის ქედს ერწყმის.

ლისის ქედის ჩრდილო ფერდობი საკმაოდ ციცაბოდ ეშვება დიღმის წყლის ხეობისაკენ და ხევ-ხეობებით ღრმად დანაწევრებული ადგილ-ადგილ ტერასისებრ საფეხურებს ქმნის.

განხილული ქედის გადასწორებულ თხემზე და საბურთალოს ვაკეზე კარგად არის შენახული მდინარეთა რეგრესიული ეროზიის შედეგები მშრალი ხეობების სახით.

დიღმის წყლის ქვემო წელში მდინარის ორივე მხარეზე მდებარეობს დაცემული ვაკე, ე. წ. დიღმის ველი, რომელიც ბუნებრივად მტკვრის მარცხენა მხარეზედაც ვრცელდება. ვაკე დასავლეთისაკენ თანდათანობით მაღლდება და გორაკ-ბორცვიან რელიეფში გადადის.

დიღმის ველის ჩრდილოეთით გაწოლილია საწკეპელა-სათოვლიას ქედი, რომლის სიმაღლე მცხეთასთან 667 მ აღწევს; დასავლეთ ნაწილში მისი უმაღლესი მწვერვალებია: დიდგორი (1275 მ), სათოვლე (1463 მ), საწკეპელა (1467 მ). ქედის სამხრეთი, ღრმად დანაწევრებული კალთები გორაკ-ბორცვებით მთავრდება დიღმის ველზე, ჩრდილო კალთები კი ციცაბოდ ეშვება მტკვრის ხეობისაკენ და მცხეთის ვიწრობის მარჯვენა მაღალ ფერდობს ქმნის.

მტკვრის მარცხენა მხარეზე თბილისის ქვაბურის რელიეფი თავისი შედარებით შერბილებული ხაზებით მარჯვენა მხარისაგან საკმაოდ განსხვავებულია. აქ აჭარა-თრიალეთის ნაკეცი სტრუქტურები იძირებიან და ზევიდან ახალგაზრდა ტერასული ნალექებით იფარებიან. ამიტომ რელიეფის ძირითად ფორმებს ქმნიან მობრტყელებულთხემიანი დაბალი სერები, გორაკ-ბორცვები, მცირე სიღრმის ქვაბურები და ვაკეები.

თბილისის ქვაბურის ამ ნაწილში მთავარი ოროგრაფიული ერთეული არის საგურამო-იალონის ქედი, რომლის თხემზე დენუდაციური ზედაპირები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. ქედის სამხრეთ კალთები მდ. გლდანის წყლის აუზის ფარგლებში საკმაოდ მაღალი და დაქანებულია და ქმნის წყალგამყოფს გლდანის წყლის, ხევძმარას და ლოჭინის აუზებს შორის. გლდანის წყლის სათავეებში მისი სიმაღლე 1 600 მ-მდეა, კურსიკაანთ-ჩრდილის მთაზე 1408 მ, ქვაკალის მთაზე 1208 მ. განხილული წყალგამყოფი სამხრეთით დამრეცად განვითარებულ და შედარებით მოვაკებული ზედაპირის მქონე მაღლობებში გადადის. რელიეფის ფორმების აბსოლუტური სიმაღლე აქ 1000 მ აღწევს (ქაშვეთის მთა 1099 მ). ამ მაღლობების დასავლეთით, მდ. მტკვრის ხეობის პარალელურად, დაახლოებით 510—535 მ სიმაღლეზე გავრცელებულია მტკვრის ძველი ხეობა, რომელშიც ახლო წარსულში კუკიის, ილგუნიანის და ავლაბრის მლაშე ტბები მდებარეობდნენ; ახლა ეს ღარტაფი თბილისის წყალსაცავს უჭირავს. ღარტაფი დასავლეთიდან ჩაკეტილია მცირე სიმაღლის მოსწორებული მაღლობებით. მათგან ყველაზე უდიდესია განედური მიმართულების მახათას ქედი, რომელიც თავისი ტექტონიკური და მორფოლოგიური ბუნებით მთაწმინდის

ქედის გაგრძელებაა. მახათის ჩრდილოეთით მდებარეობს ძეძვის მთა (639 მ), ხოლო თბილისის წყალსაცავის თავში — ყენის მთა.

თბილისის მიდამოების თანამედროვე რელიეფი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა. ძირითადად მესამეული პერიოდის ტუფოგენური ქანებით, ტუფოგენური ქვიშაქვებით, ქვიშაქვებით და ფიქლებით აგებული თავდაპირველი მარტივი შეკეცილი სტრუქტურა გაძლიერებული დენუდაციის შედეგად პენეპლენად იქცა, უკანასკნელი კი მტკვრის ეროზიულ-აკუმულაციური და ახალგაზრდა ეპეიროგენეტული მოძრაობების შეხამებულად მოქმედების შედეგად საფეხურებად დანაწევრდა. ეს საფეხურები, პირველად ა. ჯანელიძის მიერ დადგენილი და დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი, მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე არსებული ტერასებია

საკვლევი ტერიტორიის ჰიფსომეტრიული განვითარების სურათი საკმაოდ თავისებურია. თბილისის მიდამოების თითქმის ნახევარი 390—800 მ სიმაღლეზე მდებარეობს (ზ. დ.) და შეესაბამება ქვაბულის ძირს. 800 მ-ზე ზემოთ ქვაბურის კალთები თანდათანობით მაღლდებიან 1 600 მ-დე. 1 600 მ მაღლა ტერიტორიის 1,1% მდებარეობს.

ჰ ი დ რ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ქ ს ე ლ ი. შედარებით მცირე ატმოსფერული ნალექები, ინტენსიური აორთქლება და მწირი მცენარეული საფარი ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა არ უზრუნველყოფს მდინარეთა საზრდოობას მთელი წლის მანძილზე. ამიტომ ჰიდროგრაფიული ქსელი საკვლევ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით თბილისის ქვაბურის ძირში, ტრანზიტული მდინარეების გამოკლებით, ძირითადად მშრალი ხევებით და ხრამებითაა წარმოდგენილი. ქვაბურის ცენტრალურ ნაწილში, სადაც ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 450 მმ (დიღომი) — 510 მმ (თბილისის ბოტანიკური ბაღი) ფარგლებში ცვალებადობს, რელიეფის დახრილობა უმნიშვნელოა (ქვაბურის ძირი) და ქვემო ქართლის მშრალი კლიმატის გავლენა გაძლიერებულია, ჰიდროგრაფიული ქსელი მეტად სუსტად არის განვითარებული. აქ ჩვენს მიერ 1:200000 მასშტაბიანი რუკის მიხედვით გამოანგარიშებული მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტი 0,0-0,2 ფარგლებში ცვალებადობს. ქვაბურის ძირიდან პერიფერიებისაკენ, ატმოსფერული ნალექების გაზრდასთან დაკავშირებით (წყნეთი 637 მმ, კოჯორი 745 მმ), ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტი მატულობს, მაგრამ ეს მატება ყველა მიმართულებით ერთნაირი როდია; დასავლეთისაკენ სიმჭიდროვის გაზრდა უფრო ეფექტურია, განსაკუთრებით მდ. ვერის აუზის შუა წელში, სადაც აღნიშნული კოეფიციენტი (მცირე ტერიტორიაზე) 1,0-ს აღემატება. 1,0 აღწევს სიმჭიდროვის კოეფიციენტი მდ. მტკვრის ხეობის ძირზეც და გლდანის წყლის შესართავის რაიონშიც. დანარჩენ ტერიტორიაზე ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტი 0,2—0,8 შორის ცვალებადობს.

განვიხილოთ მოკლედ თბილისის მიდამოების მდინარეთა ჰიდროგრაფიული თავისებურებანი.

მ დ. მ ტ კ ვ ა რ ი თბილისის მიდამოების წყლების ეროზიის ადგილობრივი ბაზისია. იგი იწყება თურქეთის ფარგლებში, მაღალმთიან დაჭაობებულ გოლის ქვაბულებში, 2742 მ სიმაღლეზე (ზ. დ.) და ერთვის კასპიის ზღვას — 26 მ სიმაღლეზე. მისი საერთო ვარდნა უდრის: სათავიდან შესართავამდე 2768 მ, ხოლო სათავიდან თბილისამდე — 2350 მ. საშუალო ვარდნა ყოველ ერთ კილომეტრზე თბილისამდე 4,65 მ. (იხ. ცხრილი 1).

მდ. მტკვარი თავისი საშუალო ვარდნის და სხვა ჰიდროგრაფიული და ჰიდროლოგიური ნიშნების მიხედვით მთის მდინარეთა ტიპს მიეკუთვნება. იგი მოედინება მრავალფეროვან ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში, რის გამო მისი ჰიდროგრაფიული ქსელი, ქსელის საზრდოობის პირობები და მასთან დაკავშირებით ჰიდროლოგიური რეჟიმი, აუზის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვაგვარია.

თურქეთის ფარგლებში მისი აუზი მკვეთრი კონტინენტური კლიმატით ხასიათდება, მცენარეულობით ღარიბია და ქსელიც ნაკლებად განვითარებული აქვს. აუზის გეოლოგიურ აგებულებასთან დაკავშირებით, მდინარე ხან უფსკრულში ემწყვდევა და კლდოვან კალაპოტში მოქცეული მისი ბროლივით გამჭვირვალე წყალი საფეხურიდან საფეხურზე ჩანჩქერებად იღვრება, ხან გამოდის დაჭაობებულ ბრტყელ დაბლობზე და ისეთი მდორე დინება აქვს, რომ მოძრაობა არც კი ეტყობა. ასეთ

მონაკვეთებზე იგი ტიპიურ ვაკის მდინარის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მტკვარი მდ. კოდალას შესართავიდან გამოდის. აქ იგი შეზღუდულია აღმოსავლეთიდან ჯავახეთის მაღალი ვულკანური ზეგნით, ხოლო დასავლეთიდან ერუშეთის, აგრეთვე, ვულკანური მთიანეთით. შიდა ქართლის ვაკეზე გამოსვლამდე კვლავ იკვლევს გზას ვიწრო ხეობაში, რომელიც ადგილ-ადგილ კანიონის ხასიათს იძენს. განსაკუთრებით ღრმადაა ჩაძირული მდინარე ჩვენი ქვეყნის ხან დუხჭირი და ხან ბედნიერი წარსულის მოწმის თმოგვის ციხის მიდამოებში, სადაც მდინარის კალაპოტის სიგანე სულ რამდენიმე მეტრია, ხოლო სიღრმე ასეული მეტრით ოზომება. თავისსავე გამოკვეთილ, თვალწარმტაცი ბუნების მქონე ვიწრობში ემწყვდევა მტკვარი ბორჯომის რაიონში.

სულ სხვაგვარი ხასიათი აქვს მის ხეობას ახალციხის ქვაბურში, სადაც მას მისი უდიდესი შემდინარე (ზემო წელში) მდ. ფოცხოვი ერთვის. აქ იგი ფართო კალაპოტში ზლაზვნით მოედინება და ვრცელ ჭალაში ვეებერთელა მეანდრებს ქმნის. მნიშვნელოვანი მეანდრების წარმოშობის საშუალება ეძლევა მდინარეს ქართლის ვაკეზედაც, სადაც მთები საკმაოდ განზე იხევენ და მდინარე საკუთარ და შემდინარეთა მიერ დაფენილ ალუვიონში მიედინება. მდ. ქსნის შესართავს ქვემოთ მტკვარი კვლავ საკუთარი ძალ-ღონით გამომუშავებულ

ცხრილი 1

თბილისის მიდამოების მდინარეების მორფომეტრიული ცხრილი

№ № რიგზე	მდინარის დასახელება	სად ჩადინება	მდინარის სიგრძე კმ-ით	აუზის ფართობი კმ-ით	სიმაღლე ზღვის დონიდან მ-ით		მდინარის საერთო ვარდნა მ-ით	მდინარის დახრილობა	ქსელის განვითარების პრაფაზირობის კოეფიციენტი
					სათავე	შესართავი			
1	მტკვარი (თბილისამდე)		505	21120	2742	394,0	2348	0,00469	—
2	ვერა	მტკვარი (მარჯვ.)	45,2	193,8	1670	396,7	1273,3	0,02829	2 4
3	დიღმის წყალი	„	27,5	72,7	1300,5	408,3	892,2	0,03244	1,53
4	წავკისის წყალი (ლღღვთაბევი)	„	11,5	27,4	1200,0	394,0	806,0	0,07008	2,3
5	ტაბაწმელას წყალი	„	8,0	17,9	1000,0	392,0	608,0	0,07600	—
6	ბლდანის წყალი	მტკვარი (მარცხ.)	20,0	82,5	1365,5	423,5	942,0	0,04710	0,76
7	ხეკმარა	„	14,4	62,3	1080,0	420,0	660,0	0,04586	3,0
8	ორხევი	„	16,0	46,74	1120,0	365,0	795,5	0,04969	0,92

მცხეთის ვიწრობში შედის, საიდანაც ჩქარა დიღმის ვრცელ ვაკეზე დაბალ ნაპირებში იშლება. უკანასკნელ ვიწრობს მდინარე თბილისის ფარგლებში, მთაწმინდის და სოლოლაკის ანტიკლინების გარღვევის ადგილზე აჩენს, რომლის შემდეგ ქვემო ქართლის დაცემულ ველზე გაივაკებს.

მტკვარი ჩქარი მდინარეა. მის კალაპოტში ხშირად გვხვდება ჭორომები, ჩქერები, მუხლები; ჩვეულებრივ პირობებში მისი სიჩქარე 1,0 — 1,5 მ/სეკ. შეადგენს, წყალდიდობის დროს კი 6 მ/სეკ. აღწევს.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ფარგლებში მტკვარი განსაკუთრებით წვიმებით, სეზონური თოვლით და წყაროებით საზრდოობს. ამიტომ მისი რეჟიმი მთლიანად ატმოსფერული ნალექების წლიურ განაწილებასთან არის დაკავშირებული. ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული ხდება მტკვარი ს. ხერთვისთან, სადაც მდ. ფარავანს ფარავნის ტბის წყალი შეაქვს მასში. შიდა ქართლის ვაკის ფარგლებში მტკვრის საზრდოობაში მონაწილეობს კავკასიონის ყინვარები და მარადი თოვლიც, რომელთა წყალს მას ლიახვი, ქსანი და არაგვი აწვდიან. ამიტომ თბილისთან, შორიდან მოტანილი წყლების ხარჯზე, მტკვარი უკვე საკმაოდ წყალუხვ მდინარეს წარმოადგენს.

მტკვრის ვრცელ აუზში ღვარცოფული მოვლენებიც ხშირია. ღვარცოფული (ტურბულენტური) ხასიათის მდინარეები მას ერთვიან ვარძიის კლდის ქალაქსა და თმოგვის ციხეს შორის, ბორჯომის ხეობაში, შიდა ქართლის ვაკეზე და

თბილისის მიდამოებშიც. ღვარცოფების მოვარდნა აქ თითქმის ყოველთვის აუზისათვის დამახასიათებელ თავსხმა წვიმებთან არის დაკავშირებული.

მდ. ვერა იწყება სოფ. მოხისის ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდგორის ქედის სამხრეთ კალთებზე.

მისი აუზი საერთოდ წაგრძელებულია და ვიწროდ არის განვითარებული.

საშუალო სიგანის მიხედვით (იხ. ცხრ. 2) იგი მიეკუთვნება წყალგაუმტარ აუზთა ტიპს, რაც მისი წყლიანობის რეჟიმის თავისებურ ხასიათს აპირობებს.

ცხრილი 2

თბილისის მიდამოების მდინარეთა აუზების მორფომეტრიული დახასიათება

მდინარის დასახელება	უდიდესი სიგრძე-ით	აუზის უდიდესი სიგანე-ით	აუზის საშ. სიგანე-ით	აუზის წყალგამტარობა	აუზის ასიმეტრიულობის კოეფიციენტი
მტკვარი					
დიღმის წყალი	19,0	9,0	3,6	გაუმტარი	2,0
ვერა	30,0	10,0	6,4	„	0,2
წავკისის წყალი	9,0	3,4	3,0	„	2,0
ტაბახმელის წყალი	8,4	3,4	2,1	„	2,0
გლდანის წყალი	16,0	13,0	3,9	„	2,0
ხევძმარა	12,8	7,6	4,8	„	0,5
ორხევი	13,6	5	1,1	„	2,0

აუზის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთიანია და შუა და ქვემო წელში ტერასებიანი რელიეფით ხასიათდება, თუმცა ტერასების მთლიანობა ვერას შემდინარეთა ეროზიული მოქმედების შედეგად დარღვეულია და მდინარეთა ღრმა და ვიწრო ხეობებითაა დანაწევრებული.

ზემო და შუა წელში, სადაც აუზის აგებულებაში ფიქლებრივ თიხებთან, ქვიშაქვებთან და მერგელებთან ერთად ტუფოგენური ქანებიც მონაწილეობენ, მდინარის ხეობა წყალგამყოფი ზედაპირებიდან ღრმად და ვიწროდაა ჩაჭრილი და ხეობის გარდიგარდმო კვეთი „V“ ფორმისაა. ხეობის მნიშვნელოვნად დახრილი ფერდობების ძირში, რომელთა სიმაღლე მდინარის დონიდან 350—400 მეტრამდეა, შემდინარეთა შესართავებთან ხშირად გვხვდება გამოზიდვის კონუსები, ხოლო მდინარის კალაპოტში ჭორომები. ქვემო წელში, სადაც აუზის აგებულებაში ძირითად ქანებთან ერთად ტბური ნალექებიც მონაწილეობენ, ხეობის ფსკერი საკმაოდ გაფართოებულია და მდინარეს კარგად გამომუშავებული ჭალა და ჭალის ზედა ტერასი აქვს; უკანასკნელი ათვისებულია და ბაღებისა და ბოსტნებისათვის არის გამოყენებული.

ზემო წელში ვერის ხეობის ფერდობები შემოსილია მუხისა და რცხილის ტყით, ქვემოთ მათ მისდევს ჯაგრცხილა, არიდული თხელი ტყე და ბუჩქნარი.

მდ. ვერა თავისი თვისებებით მთის მდინარეა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ვარდნა და დახრილობა ახასიათებს (იხ. ცხრ. 2).

შენაკადთა სისტემა მდინარეს ასიმეტრიულად აქვს განვითარებული (იხ. ცხრ. 2). მას სულ 49 დიდი და პატარა მდინარე ერთვის, მათგან 57,2% მარცხენა შემდინარეებს წარმოადგენენ. ჩვენ მიერ გამოანგარიშებული ნაკადების სიხშირის კოეფიციენტი აუზში 0,25 შეადგენს, რაც მდინარის ქსელის სუსტი განვითარების მაჩვენებელია.

მდ. ვერას შემდინარეთაგან სიდიდის მიხედვით აღსანიშნავია: კვესეთის წყალი, ბეთანის წყალი, ლასტის ციხის ხევი, ვენახების წყალი, სურდოსხევი და იფნარის ხევი.

მდ. დიღმის წყალი იწყება დიდგორის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე (იხ. ცხრ. 1); ერთვის მტკვარს მარჯვნიდან, თბილისის ჩრდილოეთით. მისი აუზი განვითარებულია განედური მი-

მართულებით და, საშუალო სიგანის მიხედვით, წყალგაუმტარ აუზთა ტიპს მიეკუთვნება. ზემო წელში დიდგორისა და საწკეპელა-სათოვლიას ტყით შემოსილ ქედებს შორის, სადაც რელიეფის დახრილობა მნიშვნელოვანია, წყლის ეროზიული მუშაობა ძირითადად სიღრმით არის მიმართული და მდინარე ტურფოგენურ ქანებში „V" ფორმის ღრმა ხეობას გამოკვეთს. დიღმის წყალი ამ ნაწილში მნიშვნელოვნად დახრილ და ვიწრო კალაპოტშია ჩამწყვდეული. დაახლოებით 800 ᲛᲐ სიმაღლეზე (ზ. დ.) მდინარე ქვიშაქვებში და თაბაშირიან თიხებში გამოდის. ხეობის ძირი იწყებს გაფართოებას, მდინარის დახრილობა მცირდება და თბილისის ქვაბურის ძირზე უმნიშვნელო ხდება. აქ მდინარე მოედინება განიერ, დაბალნაპირებიან კალაპოტში და საკმაოდ ფართო, რიყის ქვით უხვად დაფენილ და მცენარეულ საფარს მოკლებულ ჭალას აჩენს.

მდ. დიღმის წყალს შენაკადთა სისტემა სუსტად აქვს განვითარებული (ნაკადების სიხშირის კოეფიციენტი 0,15 შეადგენს); შემდინარეები (რაოდენობით დაახლოებით 11) მხოლოდ ზემო და შუა, მთიან ნაწილებში აქვს. ქვემო წელში, რომელიც დიღმის ველის ფარგლებშია მოქცეული, რელიეფის უმნიშვნელო დახრილობის, დიდი აორთქლებისა და მცირე ნალექიანობის გამო, არც ერთი მუდმივი მდინარე არ ერთვის.

მ დ. წ ა ვ კ ი ს ი ს წ ყ ა ლ ი, რომელსაც კიდევ ლეღვთა ხევს უწოდებენ, უძოს ქედის სამხრეთ კალთებზე იწყება და ერთვის მტკვარს მარჯვნიდან, თბილისის ფარგლებში.

თბილისის მიდამოების მდინარეებიდან ეს მდინარე თავისი ჰიდროგრაფიული და ჰიდროლოგიური თავისებურებებით განსხვავებულია, ხასიათდება ახალგაზრდა მდინარის ყველა ნიშნებით — გამოუმუშავებელი გასწვრივი პროფილით, დიდი დახრილობით (იხ. ცხრ. 1), მაღალი ჩანჩქერებით და ჭორომებით. ზემო წელში, ფიქლებრივ თიხებში და ქვიშაქვებში გამომუშავებული მისი აუზი გაშლილია და ხეობის ფერდობები მდინარისაკენ საფეხურებრივად ეშვება. ხეობის განიერ ძირზე მდინარის კალაპოტი თითქმის გამოუმუშავებელია და, ჩვეულებრივ პირობებში, ღელეს მოგვაგონებს.

შუა წელიდან წავკისის წყალი ტუფოგენურ ქანებში შედის და ხეობის მორფოლოგიური სურათიც იცვლება; იგი ერთბაშად ვიწროვდება და კოჯრისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარცხენა მხარეზე, ბოტანიკური ბაღის მიდამოებში, ტიპიურ ვიწრობად იქცევა. მდინარის კალაპოტის დახრილობა მკვეთრად მატულობს, უჩნდება ჭორომები და ჩანჩქერები. ხეობის ძირი მოფენილია ნაკლებად დამუშავებული ღორღით, რომელიც უმთავრესად ხეობის ფერდობებიდან დაშვებული ღვარების მიერ არის მოტანილი და მათ შესართავებთან გამოზიდვის კონუსებადაა დაფენილი; საკმაო გავრცელება აქვთ გამოფიტვის კონუსებსაც. ხეობაში აქა-იქ შეინიშნება დაკიდული ხრამების შესართავები და სტრუქტურული ტერასების ფრაგმენტები. წავკისის წყლის აუზი სიგრძეზე წაგრძელებულ და სიგანეზე თითქმის თანაბრად განვითარებულ აუზთა ტიპს მიეკუთვნება. აუზი საერთოდ ვიწროა, უდიდესი და საშუალო სიგანე თითქმის თანაბარი აქვს (იხ. ცხრ. 2) და საშუალო სიგანის მიხედვით წყალგაუმტარია.

წავკისის წყლის სისტემა ასიმეტრიულია (იხ. ცხრ. 1), ამასთან შემდინარეები, რაოდენობით სულ ხუთი, მხოლოდ ზემო და შუა წელში აქვს ნაკადების სიხშირის კოეფიციენტი=0,18).

წავკისის წყლის ზემო წელის მარაოსებურად გაშლილი და შევიწროებული ტრანზიტული ნაწილი თბილისის მიდამოების კონტინენტური კლიმატის პირობებში მეტად ხელსაყრელია ჩამონადენის სწრაფი ფორმირებისათვის. ამიტომ თავსხმა წვიმების დროს მისთვის დამახასიათებელია უეცარი წყალმოვარდნა, რომელიც ხშირად ტურბულენტური ტიპის ღვარცოფის ხასიათს ატარებს და ინტენსიური თავსხმების შემთხვევაში კატასტროფულ ხასიათს იძენს.

განხილული აუზი მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რომელთაც მდინარის საზრდოობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვემო წელში უშუალოდ მდინარის ხეობაში გამომდინარე და საყოველთაოდ განთქმული გოგირდწყალბადიანი თერმული წყაროები, რომელნიც თაბორის ქედის ჩამოკვეთილ ჩრდილო ფერდობიდან გამოედინებიან.

მ დ. გ ლ დ ა ნ ი ს წ ყ ა ლ ი, ანუ როგორც კიდევ უწოდებენ — ლელუბნის წყალი, მოედინება საგურამო-იალონის ქედის სამხრეთ კალთებიდან კერსიკაანთ-ჩრდილის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ერთვის მდ. მტკვარს მარცხნიდან, ს. ქვემო ავჭალის მიდამოებში.

სათავიდან სოფ. მამკოდამდე გლდანის წყალი საგურამო-ციალონის ქედის სამხრეთ კალთებში, საუცხოო ტყით შემოსილ ვიწრო და ღრმა ხეობაში მოედინება და ტიპიური მთის მდინარის თვისებები აქვს. აღნიშნული სოფლის ქვემოთ ხეობა ფართოვდება და მდინარეც ფართო, რიყის ქვით აგებულ დაბალნაპირებიან კალაპოტში ექცევა.

სათავიდან დაახლოებით 800 მ (ზ. დ.) სიმაღლის ზონამდე გლდანის წყალი დიდი დახრილობით ხასიათდება და კალაპოტში მცირე სიმაღლის საფეხურებს ქმნის. ქვემო წელში დახრილობა მცირდება, მაგრამ ვერასთან და დიღმის წყალთან შედარებით მაინც მნიშვნელოვანია. აუზის ზემო წელი განვითარებულ აუზთა ტიპს მიეკუთვნება.

გლდანის წყალიც ხასიათდება განუვითარებელი და ასიმეტრული სისტემით, რომელსაც 12 დიდი და პატარა მდინარე ქმნის (ნაკადების სიხშირის კოეფიციენტი=0,19).

ზემოთ აწერილი მდინარეების გარდა, თბილისის მიდამოებში ბევრია მშრალი ხევები და პერიოდულად მოქმედი მდინარეები. მათ შორის აღსანიშნავია: ხევძმარა და ორხევი მარცხენა მხარეზე და ტაბახმელის წყალი მარჯვენა მხარეზე. ამ მდინარეების რეჟიმი ძირითადად ატმოსფერულ ნალექებთან არის დაკავშირებული, რის გამო წყლიანობა უმთავრესად გაზაფხულის პერიოდში ახასიათებთ, მშრალ პერიოდში კი ან სრულიად შრებიან ანდა უმნიშვნელო ჩამონადენი აქვთ.

თბილისის მიდამოების მდინარეები, მტკვრის გამოკლებით, ძირითადად წვიმის და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ. თოვლის წყლების მონაწილეობა, ისიც მცირე, მათ საზრდოობაში შეინიშნება მხოლოდ ვერას, დიღმის წყლის და გლდანის წყლის რეჟიმში. ასეთი საზრდოობის შესაბამისად ისინი მცირე თუ დიდი წყალუხვობით მხოლოდ გაზაფხულის პერიოდში ხასიათდებიან. მათი რეჟიმი მთლიანად ატმოსფერული ნალექების წლიური განაწილებით და გაზაფხულის პერიოდში ჰაერის ტემპერატურების მსვლელობით არის განსაზღვრული. როგორც ცნობილია, თბილისის მიდამოებში გაზაფხულის პერიოდი მეტად ხანმოკლეა და ხშირად ზამთრის სიცივეები ზაფხულისათვის ჩვეული სიცხეებით იცვლება. ასეთი თერმული რეჟიმი აუზის მთიან ნაწილებში ზამთარში დაგროვილი თოვლის ერთბაშად დნობას იწვევს; წვიმებიც, როგორც ყველა ირიდული კლიმატის მქონე ქვეყნებში, აქაც ამ პერიოდშია დამახასიათებელი და უმეტესწილად თავსხმის ხასიათისაა. ამიტომ საკვლევი ტერიტორიის მდინარეების რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის უეცარი და მოკლე პერიოდის წყალდიდობით, ზამთრის და ზაფხულის ხანგრძლივი დაცხრომით და შემოდგომის მცირე წყალდიდობით.

თბილისის მიდამოების ჰიდროგრაფიული ქსელის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენენ პატარა ტბებიც, რომელთა ნაწილი მდინარეული წარმოშობისაა, ხოლო ნაწილიც ტექტონიკური. გარდა ბუნებრივი ტბებისა თბილისის მიდამოებში არსებობს ხელოვნური წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა თბილისის ზღვა უწოდა.

თბილისის მიდამოების ბუნებრივ ტბებს შორის ყველაზე დიდია ლისის ტბა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ლისის ქედის მობრტყელებულ თხემზე, 640 მ სიმაღლეზე (ზ. დ.) მდებარეობს.

ტბის აუზის ფართობი 15,4 კმ² შეადგენს. იგი ოითქმის მრგვალი ფორმისაა (სიგრძე დაახლოებით 1 კმ, სიგანე 800 მ-დე). ტბა მდინარეული წარმოშობისაა და მდებარეობს მტკვრის მარჯვენა შენაკადის კალაპოტში, რომლის წყალი უფრო მძლავრმა საბურთალოს წყალმა მოიტაცა.

ლისის ტბა საზრდოობს ძირითადად ატმოსფერული ნალექებით და მცირე დებიტის მქონე წყაროებით.

ტბა თხელწყლიანია, მისი უდიდესი სიღრმე 4 მ არ აღემატება, იგი თითქმის სიბერის სტადიაშია შესული და ნაპირების მობალახიანებისა და დიდი აორთქლების გამო მისი სარკის ფართობი წლითიწლობით მცირდება.

ტბის თანდათანობითი, ნელი დაშრობის ნიშანს წარმოადგენს ჩრდილო სანაპიროს გასწვრივ არსებული ასეული მეტრის სიგანის დაჭაობებული ზოლი და დასავლეთ სანაპიროზე განვითარებული ლერწმის ვრცელი რაყა.

ტბიდან გამოდის არხი, რომლის სიღრმე 2—2,5 მ შეადგენს. ამ არხის საშუალებით ლისის ტბის წყალი საბურთალოს მშრალი ველის მოსარწყავად არის გამოყენებული, თუმცა ტბიდან გამონადენი დიდი არ არის. დონეები განიცდის სეზონურ რყევას. გაზაფხულზე წვიმების დროს ის მაღალია, ზამთარში და ზაფხულში კი ძლიერ მცირდება.

გ ლ დ ა ნ ი ს დ ი დ ი ტ ბ ა. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, სოფ. გლდანის აღმოსავლეთით 505 მ სიმაღლეზე (ზ. დ.). ტბა წაგრძელებულია 900 მ სიგრძეზე. საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით და მლაშე და მწარე წყაროებით, რის გამო იგი დამლაშებული და იხტიოფაუნასაც საესებით მოკლებულია. ტბა სიბერის სტადიაშია, მისი სარკის ფართობი თანდათანობით მცირდება. სანაპიროები დიდ სივრცეზე მლაშობის ღარიბი ბალახი მცენარეულობითაა დაფარული.

კ უ ს ტ ბ ა. მდებარეობს დავითის ქედის კალთების ძირში 691 მ სიმაღლეზე (ზ. დ.). მისი სარკის ფართობი 0,02 კმ² შეადგენს. ტბა ტექტონიკური წარმოშობისაა.

საზრდოობს მხოლოდ და მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით, ამიტომ მისი დონეების რეჟიმი დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების წლიურ განაწილებაზე. ტბა განიცდის მობალახიანებას.

თ ბ ი ლ ი ს ი ს ზ ღ ვ ა, თბილისელების საყვარელი დასასვენებელი ადგილი, როგორც ჰიდროლოგიური, ასევე ეკონომიური თვალსაზრისით საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ეს „ზღვა" ქართველმა ხალხმა შექმნა სულ ახლო წარსულში, თბილისის მიდამოების ნახევრად უდაბნო და საესებით გამოუყენებელ ადგილზე, სადაც ადრე მლაშე ტბები მდებარეობდნენ.

ზღვა საზრდოობს მდ. იორის ცივი და მტკნარი წყლით ზედა მაგისტრალური არხის საშუალებით. ქვედა არხის გზით თბილისის ზღვის წყალი აცოცხლებს სამგორის თვალუწვდენელ მშრალ ველს.

თბილისის ზღვის მორფომეტრიული ელემენტები, დონეების რეჟიმთან დაკავშირებით, ცვალებადია. გაზაფხულზე (მარტი, აპრილი), იორზე წყალდიდობის დადგომასთან დაკავშირებით, ზღვის უდიდესი სიღრმე 42 — 43 მ უდრის. ამის შესაბამისად იზრდება მისი სარკის ფართობი და მოცულობა (მოც. — 322,5 მილ. მ³). ზაფხულში, იორის ჩამონადენის შემცირებასა და რწყვასთან დაკავშირებით, სიღრმეები თანდათანობით მცირდება და მინიმუმს სექტემბერ-ოქტომბერში აღწევს; სიღრმე სექტემბერში შეადგენს 30 მ, მოცულობა— 172,5 მილ. მ³. ზამთარში აორთქლებისა და რწყვის შემცირებასთან დაკავშირებით აღნიშნული ელემენტები კვლავ იზრდებიან; იანვარში სიღრმე 38 მ უდრის, წყლის მოცულობა კი 255 მილ. მ³. უდიდესი სიღრმეების პერიოდში ზღვის სიგრძე 12 კმ აღწევს, სიგანე 2,5 კმ, ხოლო სარკის ფართობი დაახლოებით 30 კმ².

ტბის წყლის მაქსიმალური გამჭვირვალობა, რაც მას ზამთრის პერიოდში ახასიათებს, შეადგენს 9,4 მ, მინიმალური — 2—3 მ.

თბილისის ზღვას შიდა წყალსატევის თითქმის ყველა დამახასიათებელი ნიშნები აქვს, ოღონდ სუსტად გამოხატული: წყლის შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებით, წლის მანძილზე განიცდის დონეების მნიშვნელოვან რყევას, გაზაფხულზე ხასიათდება უმაღლესი დონეებით, ზაფხულისაკენ, ინტენსიური აორთქლებისა და რწყვაზე დანახარჯის გავლენით, დონეები კლებულობს და მინიმუმს სექტემბერში აღწევს. შემოდგომიდან, აორთქლებაზე და რწყვაზე დანაკარგის შემცირებასთან დაკავშირებით, დონეები ისევ მატულობს, მაგრამ გაზაფხულის დონეებზე მაინც დაბალია, რადგან იორის ჩამონადენიც შემცირებულია. ახასიათებს ღელვა და, ქარებთან დაკავშირებით, წყლის მიდენ-მოდენის მოვლენებიც. დროთა განმავლობაში წყლის ეროზიულ-აკუმულაციური მოქმედების შედეგად მას პლაჟიც გამოუმუშავდება და ნამდვილ ზღვად იქცევა.

თბილისის ზღვაში სულ მოკლე პერიოდის განმავლობაში გაჩნდა და გამრავლდა იხტიოფაუნა, რომელსაც ახლო მომავალში სამრეწველო მნიშვნელობა მიეცემა. ამჟამად წყალსაცავში თევზების ათამდე სახეობა ცხოვრობს. მათგან აღსანიშნავია: წყალსაცავის კალმახი, ქაშაყი, მტკვრის წვერა, მურწა, ჭანარი, კობრი, აღმოსავლეთის ჩქარულა, მტკვრის ნაფოტა და სხვ.

მდ. მტკვრისა და ვერას წყლიანობის რეჟიმი თბილისთან

ქ. თბილისთან მდინარეების წყლიანობის რეჟიმის შესასწავლად ჰიდრომეტრიული მასალები მხოლოდ მდ. მტკვარსა და ვერას გააჩნია. მდ. მტკვრის წყლიანობაზე დაკვირვების პერიოდი 47 წელს მოიცავს (1863 — 1865; 1912—1955 წწ.), მდ. ვერასი კი 10 წელს არ აღემატება. ორთავე ჰიდროლოგიური სადგურის ჰიდრომეტრიული მასალები დიდი ხარვეზებით ხასიათდება. ზოგიერთი წლის ხარჯები კი აღდგენილია ჰიდროლოგიაში

ცნობილი სხვადასხვა ხერხებით. აღდგენილი ხარჯები თუმცა მიახლოებითია, მაგრამ მაინც საშუალებას იძლევა აღნიშნული მდინარეების წყლიანობის რეჟიმის დასახასიათებლად.

მდ. მტკვარს საქართველოს ფარგლებში თბილისის ზევით მრავალი შემდინარე ერთვის. ზოგიერთი მათგანის შესახებ ცნობები № 3 ცხრილშია მოყვანილი.

ცხრილი 3

მდ. მტკვრის შემდინარეების მორფომეტრიული მაჩვენებლები

მდინარე	რომელი მხრიდან ერთვის	წლიური ჩამონადენი კმ³-ით	ჩამონადენის მოდული ლ/წ-ში 1 კმ²-დან
ფარავნის წყალი	მარჯვნიდან	0,628	8,60
ფოცხოვი	მარცხნიდან	0,713	13,1
შავი წყალი	მარჯვნიდან	0,082	16,1
დ. ლიახვი	მარცხნიდან	0,823	25.3
ტანა	მარჯვნიდან	0,042	5,10
ქსანი	მარცხნიდან	0,331	22,8
არაგვი	მარცხნიდან	1,409	23,5
ვერა	მარჯვნიდან	0,025	4,3

როგორც ჩანს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარის შემდინარეები, რომელნიც სამხრეთ მთიანეთში იღებენ სათავეებს და მშრალ კლიმატურ ზონაში მიმდინარეობენ, შედარებით მცირე წყლიანობით ხასიათდებიან, ვიდრე მარცხენა მხარის შემდინარეები, რომელნიც კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებიდან ჩამოედინებიან და საზრდოობის პირობები უკეთესი აქვთ. ამიტომ მათი წყლიანობა დიდად ჭარბობს მარჯვენა მხარის შემდინარეების წყლიანობას.

მდ. მტკვრის მრავალწლიური საშუალო ხარჯი (ნორმა) 204 მ³/წ უდრის, ჩამონადენის მოდული აუზის თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე 9,14 ლ/წ-ს არ აღემატება. წლიური საშუალო ხარჯების რყევადობის მაჩვენებელი—ვარიაციის კოეფიციენტი 0,21-ის ტოლია. მრავალწლიური საშუალო ხარჯიდან (ნორმიდან) კვადრატული გადახრის ცდომილება პროცენტებში 2,91%-ს უდრის.

თბილისთან მდ. მტკვარს 47 წლის მანძილზე ყველაზე მცირე წყლიანობა 1918 და 1947 წწ. ჰქონდა. 1918 წლის საშუალო ხარჯი 108 მ³/წ და 1947 წელს 139 მ³/წ იყო. ყველაზე წყალუხვი 1940 წელი აღმოჩნდა. მტკვრის წლიური საშუალო ხარჯი 325 მ³/წ უდრიდა. აღნიშნულ წლებში მდ. მტკვრის მცირე წყლიანობა გამოიწვია მცირე ატმოსფერული ნალექების მოსვლამ. 1918 წლის წლიური ატმოსფერული ნალექების ჯამი საშუალოდ აუზში 553 მმ არ აღემატებოდა, რაც ნორმაზე 28%-ით ნაკლები იყო, ხოლო 1947 წლის ნალექების ჯამი ნორმაზე 23%-ით ნაკლები აღმოჩნდა[1].

1940 წლის წყალუხვობა გამოიწვია უხვმა ატმოსფერულმა ნალექებმა. ამ წლის ატმოსფერული ნალექების ჯამი აუზში საშუალოდ 983 მმ უდრიდა, რაც 30%-ით მეტი იყო ნორმაზე. ციივ პერიოდის ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წლიური ჯამის 40% შეადგენდა, თბილი პერიოდისა კი 60%.

ამგვარად, მდ. მტკვრის წლიურ საშუალო წყლიანობას, მის წლიდან წლამდე რყევადობას თბილისთან, აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, კერძოდ კი აუზში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, მისი ციე და თბილ პერიოდებში განაწილება განაპირობებს.

მდ. ვერას წლიურ საშუალო ხარჯების 10-წლიან რიგში მცირეწყლიანი 1947 წელი იყო (0,26 მ³/წ), წყალუხვი კი 1952 წელი (1,22 მ/წ).

1947 წლის წყალმცირობა გამოიწვია მცირე ნალექების (365 მმ) მოსვლამ (ნორმაზე ნაკლები 30%-ით), ხოლო 1952 წლის წყალუხვობა იმავე წლის უხვმა ნალექებმა (ნორმაზე მეტი 37%-ით).

ქ. თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წყლიანობის განაწილების მკაფიო სურათს აღნიშნული პერიოდისათვის წლიური საშუალო ხარჯების რიგის უზრუნველყოფა იძლევა, რომელიც მოცემულია № 4 ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ 0,1% უზრუნველყოფის ხარჯი — 362 მ³/წ — ათასი წლის განმავლობაში უნდა განმეორდეს ერთხელ, ხოლო 316 მ³/წ ხარჯი კი 100 წელიწადში ერთხელ. ფაქტიურად 1940 წლის საშუალო ხარჯი 325 მ³/წ უდრიდა. 99% უზრუნველყოფის ხარჯი 118 მ³/წ-ის ტოლია, მაგრამ მასზე ნაკლებ ხარჯს ადგილი ჰქონია 1918 წელს

[1] მდ. მტკვრის აუზის საშუალო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი გამოანგარიშებულია შემდეგი მ/სადგურების მონაცემებით: თბილისის, ბურსაგირის, დუშეთის, გუდაურის, როკას, სტალინირის, გორის, ბაკურიანის, ბორჯომის და ორმოკის 15-წლიანი პერიოდისათვის.

(108 მ³/წ). 50% უზრუნველყოფა მდ. მტკვრისა და ვერასი ქ. თბილისთან უახლოვდება მრავალწლიური საშუალო ხარჯების ოდენობას და მათგან მცირედ გადაიხრება.

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წლიური საშუალო წყლიანობა წლის ცივ და თბილ (სავეგეტაციო) პერიოდებში არათანაბარი განაწილებით ხასიათდება. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი № 5 ცხრილიდან.

მდ. მტკვრის ჩამონადენი თბილისთან წლის ცივ პერიოდში წლიური წყლიანობის მხოლოდ 22% შეადგენს, დანარჩენი 78% თბილ პერიოდში (სავეგეტაციო პერიოდში) ჩამოედინება. მდ. ვერასთვის კი ცივი პერიოდის ჩამონადენი 27% უდრის, თბილი პერიოდისა — 73%. ცივ და თბილ პერიოდებს შორის წლიური წყლიანობის არათანაბარი განაწილება უნდა აიხსნას ამავე პერიოდში

ცხრილი 4

მდ. მტკვრისა და ვერას წლიური საშუალო ხარჯების უზრუნველყოფა %-ში

მდინარე	ჰ/სადგური	საშ. წლიური ხარჯი მ³/წ.	ვარიაციის კოეფიციენტი		უზრუნველყოფა პროცენტებში												
			C_v	C_s	0,1%	1%	3%	5%	10%	25%	50%	75%	90%	95%	97%	99%	99,9%
მტკვარი	თბილისთან	204	0,21	0,42	362	316	292	279	261	231	201	171	155	139	132	118	93,9
ვერა	„	0,79	0,40	0,80	2,11	1,69	1,48	1,37	1,21	0,97	0,74	0,56	0,42	0,35	0,32	0,24	0,15

აუზში მოსული ატმოსფერული ნალექების არათანაბარი განაწილებით, ჰაერის ტემპერატურების სხვადასხვაობით, აუზის რელიეფის ჰიფსომეტრიული განვითარებით და სხვ.

მტკვრის აუზში საშუალო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამის 30% ცივ პერიოდში თოვლის სახით მოდის. მისი როლი ამავე პერიოდში მდინარეების საზრდოობაში უმნიშვნელოა. ამ დროს მდინარეები მხოლოდ და მხოლოდ გრუნტის წყლებით საზრდოობენ, რადგან ჰაერის დაბალი ტემპერატურის გამო, განსაკუთრებით აუზის მაღალმთიან ზონაში, თოვლის დნობა არ მიმდინარეობს და თოვლი თბილ პერიოდამდე რჩება. აუზის დაბლობ ზონაში კი ზოგიერთი წლის ცივ პერიოდში დადებითი ტემპერატურის გამო

ცხრილი 5

ქ. თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერის წლიური საშუალო წყლიანობისა და წლიური ატმოსფერული ნალექების ჯამის განაწილება ცივი და თბილი პერიოდების მიხედვით

მდინარე	ჰ/სადგური	წლიური ატმოსფ. ნალექ. მმ-ით	წლიური ჩამონადენი	ცივი პერიოდი				თბილი პერიოდი			
				ატმოსფ. ნალექ. მმ-ით	% წლ. ჯამიდან	ჩამონად. მმ-ით	% წლ. ჩამონადენიდან	ატმოსფ. ნალექ. მმ-ით	% წლიური ჯამიდან	ჩამონადენი მმ-ით	% წლიურ ჩამონადენიდან
მტკვარი	თბილისთან	804	288	250	30%	62	22%	554	70%	226	78%
ვერა	„	497	142	145	29%	39	27%	352	71%	103	73%

თოვლი დნება, რაც მდინარის წყლიანობას ოდნავ ზრდის და ცივი პერიოდის წყალმცირობის მდგრადობას არღვევს. ამგვარად, თბილისთან მდ. მტკვრის ცივი პერიოდის წყალმცირობას იმავე პერიოდის ატმოსფერული ნალექების სიმცირე, მისი მყარი სახით მოსვლა და ჰაერის უარყოფითი ტემპერატურა განაპირობებს.

წლის თბილ პერიოდში მტკვრის აუზში საშუალო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამის 70% მოდის წვიმის სახით, რომელიც მდინარისათვის აქტიურ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს. იმავე პერიოდში ჰაერის დადებითი ტემპერატურების გამო ცივ პერიოდში დაგროვილი თოვლის ინტენსიური დნობა წარმოებს. წვიმისა

და თოვლის წყლის ერთობლივი მოქმედება განაპირობებს მდ. მტკვრის უხვ წყლიანობას თბილ პერიოდში.

მდ. ვერეს წლიური ჩამონადენიდან 27% მოდის ცივ პერიოდზე. 73% კი თბილ პერიოდზე. ცივ პერიოდში ჩამონადენის ოდნავი ზრდა, მტკვართან შედარებით, აიხსნება არა ატმოსფერული ნალექების სიდიდით, არამედ ვერეს აუზის ჰიფსომეტრიული ხასიათით. აუზის დაბალი ჰიფსომეტრიული მდებარეობის გამო ხშირად ცივ პერიოდში ჰაერის დადებითი ტემპერატურების გამო თოვლი დნება, არის შემთხვევები, როდესაც ნოემბერსა და დეკემბერში წვიმებიც მოდის, ეს მოვლენები კი წლიურ ჩამონადენში ადიდებს ცივი პერიოდის ჩამონადენს და ამცირებს თბილი პერიოდის წყლიანობას (იხ. ცხრ. № 5).

თბილისთან მდ. მტკვრის ცივი პერიოდის მრავალწლიური საშუალო ხარჯი (ნორმა) 110 მ³/წ უდრის, თბილი (სავეგეტაციო) პერიოდისა კი 270 მ³/წ. ცივი პერიოდის წლიური საშუალო ხარჯების რყევადობის მაჩვენებელი ვარიაციის კოეფიციენტი 0,28-ის ტოლია, თბილი პერიოდისა —0,23. როგორც ჩანს, მდ. მტკვრის წყლიანობა წლიდან წლამდე ცივ პერიოდში უფრო დიდი რყევადობით ხასიათდება, ვიდრე თბილ პერიოდში. ცივი პერიოდის წყლიანობის დიდი რყევადობის მიზეზი უნდა იყოს აუზში ამავე პერიოდში ჰაერის ტემპერატურების არათანაბარი ტერიტორიალური განაწილება. ცივ პერიოდში აუზის დაბლობ ზონაში გაცილებით მაღალი ტემპერატურებია, ვიდრე მაღალმთიან ზონაში. მდ. მტკვრის აუზის დაბლობ ზონაში ზოგიერთი წლის ცივ პერიოდში ადგილი აქვს დათბობას. ამ დროს დადებითი ტემპერატურების გამო თოვლი დნება და ცივი პერიოდის წყალმცირობის მდგომარეობას არღვევს, რაც წყლიანობის რყევადობას ზრდის. თბილი პერიოდის წყლიანობის რყევადობის სიმცირე აიხსნება აუზში თოვლის ზონალური დნობით, ზაფხულ-შემოდგომის წყალმცირობის მდგომარეობით, მდ. მტკვრისა და მთავარი შემდინარეების წყლების რეგულირებით და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენებით.

ცხრილი 6

ქ. თბილისთან მდ. მტკვრის ცივი და თბილი პერიოდის წყლიანობის უზრუნველყოფა პროცენტებში
ცივი პერიოდის $C_s = 2\,C_v$, თბილი პერიოდის $C_s = 2\,C_v$ (რიბკინის ცხრილის მიხედვით)

მდინარე	ადგილი	პერიოდი	საშ. ხარჯი მ³/წ	C_v	C_s	უზრუნველყოფა პროცენტებში											
						1%	3%	5%	10%	25%	50%	75%	90%	95%	97%	99%	99,9
მტკვარი	თბილისი	ცივი	110	0,28	0,56	193	174	165	190	128	107	87,8	72,9	65,0	60,0	51,4	39,9
		თბილი	270	0.23	0,46	435	396	379	352	308	264	225	194	177	166	147	118

ქ. თბილისთან მდ. მტკვრის ცივი და თბილი პერიოდის წყლიანობის უზრუნველყოფა პროცენტებში მოცემულია № 6 ცხრილში.

ცხრილში მოცემული ხარჯები ჩამოღებულია თეორიული უზრუნველყოფის მრუდიდან, იმ შემთხვევისათვის როდესაც $C_s = 2\,C_v$. თეორიული და ემპირიული უზრუნველყოფის მრუდების ურთიერთდამთხვევამ დაგვარწმუნა, რომ მდ. მტკვრის წყლიანობის ასიმეტრიულობის კოეფიციენტი ტოლია გაორკეცებული ვარიაციის კოეფიციენტისა.

თეორიული მრუდიდან ჩამოღებულ ხარჯებსა და ემპირიულ ხარჯებს შორის გადახრა მცირეა. ასე მაგალითად: თეორიულ მრუდზე 1% უზრუნველყოფის ხარჯი უდრის ცივი პერიოდის 193 მ³/წ, ხოლო გაზომილი ემპირიული ხარჯი — 194 მ³/წ. ასევე მცირეა განსხვავება თბილი პერიოდის 1% უზრუნველყოფის ხარჯებს შორისაც. თეორიული მრუდიდან ჩამოღებული ხარჯი ტოლია 435 მ³/წ, ემპირიული კი 438 მ³/წ. ნაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უზრუნველყოფის ხარჯი, ალბათობის თეორიის თანახმად, უნდა განმეორდეს

100 წელიწადში ერთხელ. მდ. მტკვარს ქ. თბილისთან 1—1,5% უზრუნველყოფის ხარჯი როგორც ცივ, ისე თბილ პერიოდში უკვე ჰქონია 47 წლის მანძილზე და ალბათ შემდგომი 53 წლის პერიოდისათვის ასეთი ხარჯები კიდევ განმეორდება. ამიტომ საჭიროა დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა მდ. მტკვარზე სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღონ, რომ 1% უზრუნველყოფა მდ. მტკვარს ქ. თბილისთან უკვე ჰქონდა. უმჯობესია ავიღოთ 0,01 ან 0,1%-ის უზრუნველყოფის ხარჯი. უზრუნველყოფის მრუდის ბოლო მონაკვეთზე, 90%-ის შემდეგ, გადახრა თეორიული მრუდიდან ემპირიულ მრუდს ცივ პერიოდში უფრო მეტი აქვს, ვიდრე თბილ პერიოდში. ცივი პერიოდის ემპირიული უზრუნველყოფის ხარჯების გადახრა თითქმის 10 მ³/წ-ით აღემატება თეორიული მრუდიდან ჩამოღებულ ხარჯებს. თბილი პერიოდის 90% — 95%-ის ემპირიული უზრუნველყოფის ხარჯები თეორიული მრუდიდან გადაიხრება 10—12 მ³/წ-ით, ხოლო 97—99%-ის უზრუნველყოფის ხარჯები ორთავე მრუდისა ერთიმეორეს უახლოვდება და გადახრა 2—3 მ³/წ არ აღემატება. თბილი პერიოდის თეორიული უზრუნველყოფის მრუდის 99% ხარჯი 147 მ³/წ უდრის, ხოლო ემპირიული 98%-ის ხარჯი კი 144 მ³/წ, ე. ი. მდ. მტკვარს ქ. თბილისთან თბილი პერიოდის მინიმალური ხარჯი (144 მ³/წ) უფრო ადრე ჰქონია, ვიდრე თეორიული უზრუნველყოფის მრუდითაა მოცემული. ამიტომ უმჯობესი იქნება თეორიული უზრუნველყოფის მრუდით სარგებლობის შემთხვევაში კოორდინატები გადიდებულ იქნას 1%—99% ნაცვლად 0, 1%—99,9 პროცენტამდე, რაც უპასუხებს 1000-წლიან პერიოდს.

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წლიური საშუალო წყლიანობა, ისე როგორც ცივ და თბილ პერიოდში, სეზონებს შორისაც არათანაბრად არის განაწილებული. წლის მანძილზე წყლიანობის არათანაბარი განაწილების მიზეზია აუზში წლიური ატმოსფერული ნალექების სეზონებს შორის არათანაბარი განაწილება, ჰაერის ტემპერატურების ცვალებადობა, აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული

ცხრილი 7

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წლიური საშუალო წყლიანობისა და აუზში მოსული საშუალო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამის სეზონებს შორის განაწილება (%-ში)

მდინარე	ს/სადგური	ზამთარი		გაზაფხული		ზაფხული		შემოდგომა	
		ატმოსფ. ნალექი	ჩამონადენი	ატმოსფ. ნალექი	ჩამონადენი	ატმოსფ. ნალექი	ჩამონადენი	ატმოსფ. ნალექი	ჩამონადენი
მტკვარი	თბილისთან	17,0	10,7	30,0	47,9	30,0	27,6	23,0	13,8
ვერა	„	11,0	12,5	34,0	47,2	32,0	24,9	23,0	15,4

ლანდშაფტის და გეოლოგიური აგებულების მრავალფეროვნება.

მდ. მტკვრისა და ვერას აუზში მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამიდან ყველაზე მცირე წილი ზამთრის სეზონში (11—17%) მოდის, ისიც თოვლის სახით, რომლის როლიც მდინარეთა საზრდოობაში ამავე სეზონში მცირეა. წლიური ნალექების ჯამის დიდი ნაწილი გაზაფხულის და ზაფხულის სეზონებზე (30—34%) მოდის. შემოდგომის სეზონს კი წილად წლიური ნალექების ჯამის 23% ხვდება. მდ. მტკვრის და ვერას წლიური ჩამონადენის სეზონური განაწილების ცხრილიდან ჩანს, რომ მდ. მტკვრის ზამთრის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 10,7%-ია, მდ. ვერასი კი 12,5%. ჩამონადენის ასეთი მცირე სიდიდე ზამთრის სეზონში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ზამთრის მცირე ნალექებით, ისიც თოვლის სახით, არის გამოწვეული.

ზამთრის შემდეგ წლიური საშუალო წყლიანობის მცირე წილი შემოდგომის სეზონზე მოდის (13,8 — 15,4%). შემოდგომის წყალმცირობის მიზეზია სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში უნალექო დღეთა შედარებით დიდი რაოდენობა და უკანასკნელ, ნოემბრის თვეში კი მაღალმთიან ზო-

ნაში თოვლის მოსვლა. აღნიშნულ სეზონებთან შედარებით უფრო წყალუხვი ზაფხულია, მისი ჩამონადენი წლიური წყლიანობის 24.9—27,6% შეადგენს. ზაფხულის წყალუხვობა გამოწვეულია ივნისის და ივლისის თვეებში აუზის მაღალმთიან ზონაში ნარჩენი თოვლის ინტენსიური დნობით და ზაფხულის ნალექებით (30—32%). წლიური საშუალო წყლიანობის ყველაზე დიდი ჩამონადენით გაზაფხული ხასიათდება (47,2—47,9%). გაზაფხულის წყლიანობა ზამთარში დაგროვილი თოვლის ნადნობი წყლისა და გაზაფხულის უხვი ნალექების ერთობლივი მოქმედების შედეგია.

წყალუხვ წელიწადში გაზაფხულის წყალდიდობის ხანგრძლიობა წყალმცირე წლის წყალდიდობის ხანგრძლიობაზე გაცილებით დიდია.

მდ. მტკვარი თბილისთან ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე ყველაზე უფრო წყალუხვი 1940 წელს იყო. ამ წლის საშუალო წლიური ჩამონადენი 11,8 მილიარდ კუბმეტრს უდრიდა. წყალდიდობა 18 მარტს დაიწყო და 29 ივლისამდე გაგრძელდა (125 დღ.). წყლის მატების პერიოდი 30 დღეს უდრიდა, დაცხრომის პერიოდი კი 95 დღეს. წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენმა 7,2 მილიარდ კუბმეტრამდე მიაღწია, რაც წლიური ჩამონადენის 61% შეადგენდა. 1940 წლის წყალუხვობა გამოიწვია გაზაფხულისა და ზამთრის უხვმა ნალექებმა.

წყალმცირე წელიწადში წყალდიდობის პერიოდი უფრო მცირეა. 1947 წელი წყალმცირე იყო. ამ წლის ჩამონადენი 5,2 მილიარდ კუბმეტრს უდრიდა, აქედან წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენი მხოლოდ 2,0 მილიარდი კუბმეტრი იყო, რაც მთელი წლის ჩამონადენის მხოლოდ 38% შეადგენდა. მცირე ატმოსფერული ნალექების მოსვლამ განაპირობა მდ. მტკვრის 1947 წლის წყალმცირობა.

წყალდიდობის პერიოდი მდ. ვერაზე, მტკვართან შედარებით ადრე, მარტის პირველი დეკადიდან იწყება და ივნისის პირველ რიცხვებში მთავრდება. გაზაფხულის წყალდიდობას აქ განაპირობებს თოვლის დნობა და გაზაფხულის თავსხმა წვიმები.

ამგვარად, მდ. მტკვრის და ვერას წყლების დაგროვება, მისი რეგულირება სახალხო მეურნეობაში გამოყენების მიზნით მრავალწლიურ პერიოდისათვის შესაძლებელია წყალუხვი წლების ჩამონადენის ხარჯზე, ხოლო სეზონური რეგულირება გაზაფხულის წყალდიდობის წყლის დაგროვებით.

თბილისთან მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეთა ტიპს მიეკუთვნება. მდინარის საზრდოობაში მონაწილეობს გრუნტის, თოვლის და წვიმის წყლები. თითოეული მათგანის წილი წლიურ ჩამონადენში მოცემულია, ვ. გვახარიას[1] გაანგარიშებით, ქვემოთ № 8 ცხრილში.

ცხრილი 8

მდ. მტკვრის წლიური ჩამონადენის განაწილება საზრდოობის კომპონენტების მიხედვით

დამახასიათებელი წლები	გრუნტის წყალი	თოვლის წყალი	წვიმის წყალი
წყალუხვი	54%	29%	17%
საშუალო წყლიანი	55%	33%	12%
წყალმცირე წელი	41%	41%	18%

როგორც ჩანს, მტკვრის წლიურ ჩამონადენში მთავარი წილი (41—55%) გრუნტის წყალს უჭირავს, შემდეგ თოვლის წყალს (29—41%) და უკანასკნელი ადგილი წვიმის წყალზე მოდის (12—18%). ამგვარად, მდ. მტკვრის წყლიანობაში უპირატესი ადგილი გრუნტის წყალს უკავია.

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წლიური საშუალო ჩამონადენის თვეებს შორის არათანაბარ განაწილებას აუზში მოსული ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურების არათანაბარი განაწილება განაპირობებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მდ. მტკვარს ქ. თბილისთან წლის განმავლობაში ყველაზე მცირე ჩამონადენი იანვრის თვეში აქვს. მისი წილი წლიურ ჩამონადენში მხოლოდ 3,35% შეადგენს, ასეთივე მცირე ჩამონადენით ხასიათდება თებერვალიც (3,56%) და დეკემბერიც (3,86%). ზამთრის თვეებში ჩამონადენის სიმცირის მიზეზი ჩვენთვის უკვე ცნობილია. ზაფხულ-შემოდგომის თვეებიდან მცირე ჩამონადენი სექტემბრის თვეშია (4,35%), ამ თვის მცირე ჩამონადენის მიზეზია სხვა თვეებთან შედარებით ნალექების სიმცირე და აორთქლების

[1] В. К. Гвахария, Генетический анализ стока р. Куры и ее притоков. Труды Тбилисского научно-исследов. гидрометинститута, вып. 2, Ленинград, 1957, вз. 234.

ინტენსივობა. სექტემბრის თვის ჩამონადენის კოეფიციენტი 0,22 უდრის და ტოლია თებერვლის თვის ჩამონადენის კოეფიციენტისა. ორთავე თვეების ჩამონადენის კოეფიციენტების სიმცირე უნდა აიხსნას აუზში გრუნტის წყლების მარაგის შემცირებით, რადგან ორივე ზამთრისა და ზაფხულის წყალმცირობის პერიოდის უკანასკნელი თვეებია. წლიური ჩამონადენის ყველაზე დიდი წილი მაისის თვეზე მოდის (23,2%). მაისს შემდეგ წყალუხვობით აგრეთვე გამოირჩევა აპრილი (17,7%) და ივნისი (14,6%). აღნიშნული თვეების წყალუხვობას, როგორც № 7 ცხრილიდან ჩანს, განაპირობებს ამავე თვეებში მოსული ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა და გაზაფხულის დადებითი ტემპერატურების დროს ინტენსიური თოვლის დნობა.

მდ. მტკვრის თვიური საშუალო ხარჯების რი-

ცხრილი 9

თბილისთან მდ. მტკვრის და ვერას წლიური ჩამონადენის და აუზის საშუალო ნალექების წლიური ჯამის თვეებს შორის განაწილება (%-ში)

მდინარე	ს/სადგური	დამახასიათებლები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლიური
მტკვარი	თბილისთან	ჩამონადენი	3,35	3,56	6,70	17,7	23,2	14,6	8,00	4,90	4,35	4,95	4,81	3,86	100
		ატმოსფერული ნალექები	4,80	5,80	6,70	9,70	14,0	12.5	9,80	7,80	7,50	7,90	7,40	6,10	100
		ჩამონადენის კოეფიციენტი	0,27	0,22	0,38	0,70	0,67	0,45	0,32	0,24	0,22	0,24	0,24	0,27	0,35
ვერა	თბილისი	ჩამონადენი	3,20	3,71	7,87	14,6	23,3	13,7	4,00	2,34	3,02	7,96	11,8	5,00	100
		ატმოსფერული ნალექები	2,70	4,10	5,50	11,2	17,4	14,5	10,0	7,00	8,40	7,6„	7,40	4,20	100
		ჩამონადენის კოეფიციენტი	0,30	0,23	0,46	0,36	0,37	0,26	0,11	0,10	0,16	0,30	0,43	0,33	0,27

გების რაოდენობა სხვადასხვაგვარია. ი. შაქარაშვილის მიხედვით[1], „გაზაფხულის თვეებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობა აპრილს ახასიათებს (C_v=0,46), ხოლო ყველაზე მცირე — მაისს (C_v=0,26). აპრილისათვის წყლიანობის დიდი რაოდენობა დაკავშირებულია ამ თვეში არამდგრად სინოპტიკურ პროცესებთან, კერძოდ, ზოგ წლებში გაზაფხულის ნაადრევად დაწყებასა და მაღალი ტემპერატურების ნაადრევად დადგომასთან...“ „ზაფხულის თვეებს შორის ივნისი წყლიანობის მცირე რაოდენობით ხასიათდება (C_v=0,26), რაც შეეხება ივლისისა და აგვისტოს თვეების ჩამონადენს, მას საკმაოდ დიდი რაოდენობა აქვს (C_v=0,38—0,36). მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამ თვეებში მტკვრის აუზში თავსხმა წვიმები იცის, და მდინარეებზე წყალმოვარდნის შემთხვევებს აქვს ადგილი, რის გამო წყლიანობა არასტაბილური ხასიათისაა. რაც შეეხება შემოდგომას, იგი დასაწყისში წყლიანობის დიდი რაოდენობით არ გამოირჩევა, მაგრამ შემდეგში (ოქტომბერი, ნოემბერი) მისი წყლიანობა ძლიერ მერყეობა. ცნობილია, რომ აღნიშნული თვეები მტკვრის აუზში არამდგრადი სინოპტიკური მდგომარეობით გამოირჩევიან, რაც მდინარეთა წყლიანობასაც არამდგრად ხასიათს ანიჭებს“.

მდ. ვერას წლიური საშუალო ჩამონადენიდან ყველაზე მცირე წილი აგვისტოზე (2,34%) და სექტემბერზე (3,02%) მოდის, თუმცა ამ თვეების ატმოსფერული ნალექების წილი წლიური ჯამიდან საკმაოდ მნიშვნელოვანია (7—8,4%). აგვისტოსა და სექტემბრის მცირე ჩამონადენის მიზეზია აუზში ინტენსიური აორთქლება და ჩამონადენის ნაწილის მორწყვისათვის გამოყენება. ორივე თვის ჩამონადენის კოეფიციენტი 0,1-ს არ აღემატება. ჩამონადენის სიმცირით აგრეთვე იანვარი (3,20) და თებერვალი (3,71%) გამოირჩევა. ამის მიზეზი ჩვენთვის უკვე ცნობილია. წლიური საშუალო ჩამონადენის ყველაზე დიდი ნაწილი მაისში (22,8%),

[1] ი. შაქარიშვილი, მდ. მტკვრის წყლიანობის რაოდენობის ხასიათი ქ. თბილისთან, საქ. სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, № 1—2, თბილისი, 1949, გვ. 72—73.

აპრილში (14,6%) და ივნისში (13,7%) ჩამოედინება. ამ თვეების ატმოსფერული ნალექებიც მნიშვნელოვანია (11,2—17,4%), ამავე დროს თოვლის ინტენსიური დნობა წარმოებს, მათი ერთობლივი მოქმედება გაზაფხულის თვეების ჩამონადენის წილს ზრდის წლიურ საშუალო ჩამონადენში. შემოდგომის თვეებიდან ჩამონადენის სიდიდით გამოირჩევა ოქტომბერი (7,96%) და ნოემბერი (11,8%). აღნიშნულ თვეებში ჩამონადენის ზრდა, წლის სხვა თვეებთან შედარებით, ამ თვეებში მოსული თავსხმა წვიმებით უნდა აიხსნას.

თბილისთან მდ. მტკვრის წლიური აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯების რიგის რყევადობის მაჩვენებელი ვარიაციის კოეფიციენტი 0,35 უდრის. მაქსიმალური ხარჯების ამპლიტუდა ორმოცდაშვიდი წლის პერიოდისათვის 1396 მ³/წ-ის ტოლია. აღნიშნულ პერიოდში მდ. მტკვარს თბილისთან ყველაზე დიდი მაქსიმალური ხარჯი (1760 მ³/წ) 1915 წლის მაისს და 1928 წლის 14 აპრილს ჰქონდა. ეს მაქსიმალური ხარჯები თოვლის წყლისა და წვიმის წყლის ერთობლივი მოქმედების შედეგია. მაქსიმალური ხარჯებიდან აგრეთვე აღსანიშნავია 1931 წლის 16 ივლისის (1740 მ³/წ) და 1952 წლის 25 ივნისის (1650 მ³/წ) ხარჯები. ამ ხარჯების წარმოშობაში ძირითადი როლი წვიმის წყლებს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცნობებიდან. 1952 წლის 24 ივნისს დღიური ატმოსფერული ნალექების ჯამი მდ. მტკვრის აუზში მოთავსებულ მეტ. სადგურ ბურსაჭირთან 128 მმ იყო, გუდაურთან 68,6 მმ, ბაკურიანთან 87 მმ, ქსანთან 108 მმ, თბილისთან 84,0 მმ. მტკვრის აუზში ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა თავსხმა წვიმების სახით მდ. მტკვრის მაქსიმალური წყლიანობის წინა დღეს მოსულა, რომლის წყალმაც თბილისთან მეორე დღეს (25 ივნისს) მოაღწია და კატასტროფული წყალმოვარდნა წარმოშვა.

1952 წ. 25 ივნისის წყალმოვარდნა მტკვრის ზემო წელს და მის ყველა შემდინარეებს არ შეხებია, ის უფრო მეტად განიცადა მდ. მტკვარმა და ვერამ თბილისთან, აგრეთვე მდ. მტკვრის მარცხენა შემდინარეებმა ქსანმა და არაგვმა. მათმა წყალდიდობამ აღნიშნულ დღეს სათანადო ზიანი მიაყენა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებს. მდ. მტკვრის 1952 წლის 25 ივნისის წყალმოვარდნის გავრცელების არეალი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრ. 10).

როგორც ჩანს, თბილისთან მდ. მტკვრის და მისი შემდინარეების: ქსნის, არაგვის და ვერას 1952 წ. 25 ივნისის წყალმოვარდნის ხარჯს წლიურ საშუალო ხარჯთან შედარებით უდიდესი ოდენობისათვის მიეღწევია. მათი მოდულის კოეფიციენტები 7-დან 27-მდე ირყევა. მდ. მტკვრის 1952 წლის 25 ივნისის მაქსიმალური ხარჯის მოდულის კოეფიციენტი (7,21) თბილისთან ჩამორჩება 1928 წ. 24 აპრილის აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯის (1760 მ³/წ) მოდულის კოეფიციენტს, რაც 8,40-ის ტოლია, ხოლო აღემატება 1915 წლის 7 მაისის აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯის (1760 მ³/წ) მოდულის კოეფიციენტს (6,93).

ქ. თბილისთან მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯების უზრუნველყოფა 0,1%-დან 10%-მდე მოცემულია № 9 ცხრილში.

როგორც ჩანს, დაკვირვებით მიღებული აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯი (1760) უახლოვდება 3% უზრუნველყოფას, ხოლო წვიმის წყლით წარმოშობილი მაქსიმალური ხარჯი (1650) 5% უზრუნველყოფას.

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას წლიური აბსოლუტური მინიმალური ხარჯები წლიდან წლამდე უფრო მეტი რყევადობით ხასიათდება, ვიდრე წლიური საშუალო და წლიური აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯები. მდ. მტკვრის წლიური აბსოლუტური მინიმალური ხარჯების რიგის ვარიაციის კოეფიციენტი 0,36 უდრის. ორმოცდაშვიდი წლის დაკვირვების პერიოდისათვის წლიური მინიმალური ხარჯების ამპლიტუდა 88 მ³/წ-ია, ხოლო აბსოლუტურ მაქსიმალურ და აბსოლუტურ მინიმალურ ხარჯებს შორის ამპლიტუდა 1743 მ³/წ-ის ტოლია.

მდ. ვერას წლიური მინიმალური ხარჯების ვარიაციის კოეფიციენტი 0,97-ს უდრის. ვარიაციის კოეფიციენტის ასეთი სიდიდე უნდა აიხსნას მინიმალური ხარჯების დიდი რყევადობით და დაკვირვების მოკლე და ხარვეზიანი პერიოდით.

მდ. მტკვრის აბსოლუტური მინიმალური ხარჯი ორმოცდაშვიდი წლის პერიოდისათვის უდრის 17,6 მ³/წ. მდ. ვერასი კი თორმეტი წლის პერიოდისათვის 0,003 მ³/წ.

ცხრილი 10

მდ. მტკვრის აუზში 1952 წ. 25 ივნისის წყალმოვარდნის გავრცელება

მდინარე	ჰ/სადგური	1952 წლის საშუალო ხარჯი მ³/წ-ით	1952 წლის 25/VI მაქსიმალ. ხარჯი მ³/წ-ით	მოდულის კოეფიციენტი $K = \frac{Q_{\text{მაქს}}}{Q_{\text{საშ}}}$
მტკვარი	ხერთვისთან	46,8	52,1	1,12
	მინაძესთან	66,7	110	1,66
	ლიკანთან	92,4	164	1,77
	ძეგვთან	243	1380	5,70
	თბილისთან	229	1650	7,21
მარცხენა შემდინარეები				
ფოცხოვი	სოფლის ხიდთან	25,0	81,8	3,27
დიდი ლიახვი	კეხვთან	30,2	67,3	2,22
ქსანი	კორინთასთან	14,1	150*	10,6
არაგვი	ყინვალთან	58,0	811*	14,0
შავი არაგვი	შესართავთან	8,17	110	13,4
მარჯვენა შემდინარეები				
ფარავანი	ხერთვისთან	20.4	35,6	1,74
შავი წყალი	ბორჯომთან	2,61	15,4	6,00
ვერა	თბილისთან		18,5	27,8

* 1952 წ. 25 ივნისს მდ. ქსანზე კორინთასთან და არაგვზე ჰ/სად. ყინვალთან საგუშაგოები წყალმოვარდნის გამო დახიანდა. აბსოლუტური მაქსიმალური ხარჯების ნაცვლად აღებულია საშუალო დღეღამური ხარჯი.

ცხრილი 11

თბილისთან მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯების უზრუნველყოფა %-ში, როცა $C_s = 2\,C_v$

დაკვირვებით მიღებული მაქს ხარჯი მ/³წ	თარიღი	უზრუნველყოფა				
		0,1%	1%	3%	5%	10%
1760	1915 წ. 7/5 1928 წ. 24/4	2489	2029	1794	1677	1507

ცხრილი 12

თბილისთან მდ. მტკვრისა და ვერას მინიმალური ხარჯების უზრუნველყოფა %-ში, როცა $C_s = 2C_v$

მდინარე	ჰ/სადგური	C_v	C_s	აბს. მინიმ. ხარჯი მ³/წ	თარიღი	უზრუნველყოფა %-ში						
						75%	80%	85%	90%	95%	97%	99%
მტკვარი	თბილისთან	0,36	0,72	17,6	1925, 28/12	34,4	32,2	29,7	26,5	22,8	20,3	16,4
ვერა	—„—	0,97	1,94	0,003	1942, 20/2	0,017	0,015	0,010	0,007	0,003	0,002	0,0007

მდ. მტკვრისა და ვერას მინიმალური ხარჯების განაწილების მკაფიო სურათს ქ. თბილისთან მათი უზრუნველყოფა იძლევა.

თბილისთან მდ. მტკვრის აბს. მინიმალური ხარჯი — 17,6 მ³/წ—უახლოვდება 99% უზრუნველყოფას, ხოლო მდინარე ვერას მინიმალური ხარჯი—0,003 მ³/წ კი 95% უზრუნველყოფას.

მდ. მტკვარს თბილისთან საშუალოდ წლიურად 10 მილიონ ტონაზე მეტი მყარი მასალა ჩამოაქვს. მყარი მასალის ჩამონადენის მოდული წელიწადში 460 ტონას უდრის აუზის ერთ კვადრატულ კილომეტრზე.

მდ. მტკვრის მყარი ჩამონადენის განაწილება წლის სეზონებს შორის გ. ხმალაძის[1] გაანგარიშებით მოცემულია ქვეეით ცხრილის სახით.

როგორც ჩანს, მდ. მტკვარს თბილისთან ყველაზე მეტი მყარი მასალა ჩამოაქვს გაზაფხულის და ზაფხულის სეზონში, მცირე ჩამონადენი კი ზამთრის და შემოდგომის სეზონში. გაზაფხულის და ზაფხულის მყარი ჩამონადენის სიდიდე წლიურ ჩამონადენში თანხვდენილია გაზაფხულისა და ზაფხულის წყალდიდობის პერიოდთან, ხოლო ზამთრისა და შემოდგომის მყარი ჩამონადენის სიმცირე კი წყალმცირობის პერიოდთან, როდესაც მდინარეები გრუნტის წყლებით საზრდოობენ და აუზის ზედაპირულ ჩამორეცხვას ადგილი არა აქვს.

მდ. მტკვრის წყალს თბილისელები უძველესი დროიდან იყენებდნენ. მტკვარს ქალაქის მშენებლობასა და მის კეთილმოწყობაში სათანადო როლი აქვს შესრულებული. უკანასკნელ დრომდე

ცხრილი 13

მდ. მტკვრის მყარი ჩამონადენის სეზონური განაწილება თბილისთან

(გ. ხმალაძის მიხედვით)

მდინარე	ბ/სადგური	აუზის ფართობი კვ. კმ²-ით	წლის სეზონში				
			ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	წლიური
მტკვარი	თბილისთან	21120	1,8%	66,6%	28,3%	3,3%	100%

მტკვრის წყალს სასმელადაც ხმარობდნენ, შემდეგ იგი ნატახტარის, ბულაჩაურის და ავჭალის წყაროების წყლებმა შეცვალა.

მდ. მტკვარი გამოყენებული იყო ნაოსნობისათვის. როგორც ცნობილია, უძველეს დროში დასავლეთის შავი ზღვისპირა ქვეყნები ჯერ რიონით და შემდეგ მტკვრით დაკავშირებულნი იყვნენ აღმოსავლეთის კასპიისპირა ქვეყნებთან და ურთიერთ შორის ვაჭრობას აწარმოებდნენ. ალბათ იმ დროს საქონლის გადასაზიდად და ხალხის გადასაყვანად ძირითადად ტივებითა და ნავებით სარგებლობდნენ. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტიც: როცა 1038 წელს ბაგრატ IV ჯარით თბილისს გარს შემოერტყა, რათა თბილისიდან გაეძევებინა არაბთა ემირა ჯაფარა თავისი გარნიზონით, არაბებმა გადაწყვიტეს ტივებითა და ნავებით თბილისიდან ღამით ქ. განძაში გაპარულიყვნენ.

თბილისის მიდამოებში მშრალი კლიმატური პირობების გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურები მორწყვას მოითხოვდნენ, ამ მიზნითაც მდ. მტკვრის წყალი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა.

უკანასკნელ ათეულ წლებში მტკვარზე მოწყობილია ავჭალის, ორთაჭალის და ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურები, რომელნიც იაფფასიან ელექტროდენს აწვდიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს.

[1] Г. П. Хмаладзе, Сезонный сток взвешенных наносов рек Грузии, Труды Тбилисского научно-исследов. Гидрометинститута, вып. 1, Ленинград, 1956, стр. 63.



არჩილ ჯანაშვილი

თბილისის მიდამოების ფაუნა

ძეტად ნაირფეროვანია თბილისისა და მისი მიდამოების ბუნება. ტყეებითა და ბუჩქებით შემოსილი მთები და გორაკები, ველები და კულტურული ლანდშაფტები, ტბები, „თბილისის ზღვა", მტკვარი და მასში შენაკადი მდინარეები ამშვენებენ დედაქალაქს მისი მისადევრებით.

XVIII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ თბილისი „ჰავითა არს მშვენი და მხიარული... გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე... ზაფხულ ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი, გაზაფხულ-შემოდგომა მშვენიერი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა" [1].

იგივე მკვლევარი აგვიწერს რა ლილოს მიდამოებს, აღნიშნავს, რომ აქ „ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე; სხდების წერო და ბატი მრავალი" [2]. თუმცა ამ მლაშე ტბებში, რომლებიც ვახუშტის აქვს მხედველობაში, ამჟამად მყვარიც არა გვხვდება.

ვახუშტის თქმით „ტფილისიდამ გორამდე მტკვრის კიდე აქა და იქით არს ჭალიანი; ნადირნი და ხოხობნი მრავალნი" [1]. სამწუხაროდ, დასახელებული ადგილის დიდ ნაწილში ხოხობი უთავბოლო ნადირობის შედეგად მოსპობილია და არცაა მისი აღდგენის პერსპექტივა.

ისტორიკოსთა გადმოცემით „მთელი არემარე თბილისისა ტყით მოცული იყო" [2]. ამასთან ამ ტყეებში დიდი რაოდენობით ბინადრობდნენ ფრინველები და ნადირი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ დღევანდელი ავლაბრის ზოგიერთ ადგილს შენარჩუნებული აქვს სახელწოდებანი „მგლის ჯარი", „ქურდღლის ჭალა" და სხვ.

თბილისის მიდამოების ცხოველთა შესახებ ბევრი ცნობაა შემონახული რიგ ნაშრომებში. მაგალითად, „ძველ ქართველ ისტორიკოსთა არაპი-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941.

[2] იქვე.

[1] იქვე.

[2] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს დედაქალაქი თბილისი, თბილისი, 1899.

რდაპირი ცნობები და ქართული თქმულებები გვარწმუნებენ, რომ თბილისის თავდაპირველი ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, სადაც უხვად იყო გარეული ფრინველი და ნადირი... მცხეთაში მჯდომ ქართლის მეფეებს აქ ჰყვარებიათ ნადირობა ირმებსა და ხოხბებზე" [1].

თბილისის ხანდაზმულ მცხოვრებთა მოთხრობით ყოფ. ვარდისუბნის ქუჩის მიდამოებში, რომელიც მაყვლის ბარდებით იყო დაფარული, დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა კურდღელი. და მწყერი [2].

თბილისი და მისი მისადგერები, როგორც დავინახეთ, ტყით ყოფილა დაფარული. მაგრამ ადამიანის ჩარევით, მეტწილად მტრების გამანადგურებელი შემოსევების შედეგად, ტყის დიდი მასივები გაჩეხილი და განადგურებული იქნა. ამის შედეგად წარმოიშვა ველები. თავის მხრივ ყოველივე ამან განაპირობა ცხოველთა სამყაროს სათანადო ცვალებადობა.

ამჟამად თბილისის მიდამოების გაბატონებული მცენარეული ფორმაცია ველების ტიპისაა, ბუჩქნარები და ტყეები კი ალაგ-ალაგ გვხვდება. აქაიქაა სუბალპური მდელოების ფრაგმენტებიც.

თბილისის მიდამოების დიდი ნაწილი კულტურულ ლანდშაფტებადაა ქცეული. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ სახალხო მეურნეობისათვის გამოუსადეგარი და მიუდგომელი ადგილები. სწორედ ამ უკანასკნელებშია ცოტად თუ ბევრად დაცული პირველყოფილი ფაუნა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მუშაობაა ჩატარებული თბილისისა და მისი მიდამოების გამწვანების მიზნით: მნიშვნელოვანი მასივები ტყეებით იმოსება. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს ამ ადგილებში მოსპობილ ან გახიზნულ სახეთა აღდგენას. თუმცა მაინც შეუძლებელია მთლიანი აღდგენა იმ პირველყოფილი ფაუნისა, რომელიც წარსულ საუკუნეებში ბინადრობდა თბილისსა და მის მახლობლად.

ცხოველთა იმ მრავალრიცხოვან სახეებიდან, რომლებიც თბილისსა და მის მიდამოებში გვხვდებოდნენ, შერჩენილია მხოლოდ ნაწილი. მათი უმრავლესობა ადამიანის მიერ ამოწყვეტილია, ხოლო ზოგი, საარსებო გარემო პირობათა შეცვლის გამო, გახიზნული. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის პირდაპირი ზეგავლენის შედეგად თბილისის მიდამოებში გამოჩნდნენ ისეთი ფორმები, რომლებიც წარსულში არ მოიპოვებოდნენ. სრულიად ახალი ფაუნა ჩამოყალიბდა „თბილისის ზღვაში", რომლის ფსკერის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა მლაშე ტბებს, რომლებიც ხერხემლიან ცხოველებს მოკლებული იყვნენ. ამ ახალ წყალსატევში გაჩნდნენ ნაირგვარი თევზები, რომელთაგან ზოგი ხელოვნურადაა აკლიმატიზებული, წყალხმელეთა ცხოველები და სხვ.

ნაწილობრივ ცვლილება განიცადა თბილისის მახლობელ ტბებში (ლისის, ქორქის, ახალდაბისა და სხვ.) მოსახლე ცხოველთა შემადგენლობამ.

შეიცვალა თევზების სახეთა რაოდენობა მდ. მტკვარშიც. ამას ხელი შეუწყო მსხვილი ელექტროსადგურების (ზაჰესი, მინგიჩაური) მშენებლობამ, რის შედეგად ზოგი თევზი აღარ მოიპოვება არა მარტო თბილისის, არამედ საერთოდ საქართველოს ფარგლებში.

ჩვენი მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ თბილისსა და მის მიდამოებში გავრცელებულ ცხოველთა ძირითადი სახეები. ამასთან, შევეხებით მხოლოდ ხერხემლიანებს, რადგან უხერხემლო ცხოველთა სიმრავლე თავისთავად მოითხოვს ცალკე ნარკვევის დამუშავებას. ხერხემლიანი ცხოველებიდანაც აღინიშნება მხოლოდ ძირითადი ფორმები, რადგან ყველას აღნუსხვა ასეთ მოკლე ნაშრომში შეუძლებელია.

წარმოდგენილ ნაშრომში ფაუნის შემადგენლობა განხილულია თბილისიდან 20 - 25 კილომეტრის რადიუსით.

* * *

ძ უ ძ უ მ წ ო ვ რ ე ბ ი. საკმაოდ მრავალფეროვანია თბილისის მიდამოების ძუძუმწოვართა ფაუნა.

ისტორიული წყაროების მიხედვით ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ტყეებში მრავლად მოიპოვებოდა კავკასიური ირემი (Cervus elaphus maral). ამჟამად თბილისთან უახლოესი პუნქტები, სადაც ეს ცხოველი მოიპოვება არის ავჭალა-ზედაზნისა და საგურამო იალონის ტყეები და მტკვრის სანაპირო ჭალები გარდაბნის მახლობლად. ამავე

[1] დ. ბ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, თბილისის ისტორია, თბილისი, 1952.

[2] Н. Б а д р и а ш в и л и, Тбилиси, 1957.

ადგილებში გვხვდება შველიც (Capreolus capreolus), რომელიც წარსულში ნადირობის ძირითადი ობიექტი იყო. უწესრიგოდ ნადირობის შედეგად მისი საერთო რაოდენობა ყველგან შემცირდა. ხელისუფლების მიერ მიღებული სათანადო ზომების შედეგად შვლის საერთო რაოდენობა თანდათანობით მატულობს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-ან წლებში თბილისის მიდამოების ველების დამამშვენებელი იყო ქურციკი (Gazella subgutturosa), რომელიც მოიპოვებოდა გარდაბნის, სამგორისა და ეაზიანის ველებზე. ეს ცხოველი უწესრიგო და დაუზოგველი ნადირობის შედეგად ამოწყდა არა მარტო თბილისის მიდამოებში, არამედ საერთოდ საქართველოს ფარგლებშიც. ამჟამად ერთეული ეგზემპლარების სახით-ღა გვხვდება.

თბილისიდან უახლოესი ადგილები, სადაც გარეული ღორი (Sus scrofa attila) ბინადრობს, არის გარდაბნის, ბორჩალოს, დმანისისა და ბოლნისის რაიონთა ტყეები და ჭალები. წარსულში ეს ცხოველი მოიპოვებოდა თბილისის ტერიტორიაზეც, მაგრამ სათანადო სტაციების განადგურების გამო, იგი მოისპო.

თბილისის მიდამოებში მტაცებლები შედარებით უფრო მრავლად გვხვდება, თუმცა მათი საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ამიერკავკასიური მაჩვი (Meles meles minor) მცირე რაოდენობით მოიპოვება კრწანისთან, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, შინდისის, ოქროყანის, წავკისის, კოჯრის, წყნეთის, ბაგების, ნახშირგორის, ლისის, დიღმის, ავჭალის, ზედაზნის, მარტყოფის, ლილოს, ახალი სოფლის, სამგორის, სოღანლუღისა და თელეთის მიდამოებში. ყველგან გვხვდება ერთეულების სახით. მცირეოდენი ზიანი მოაქვს სიმინდისა და ბოსტნეულის კულტურებისათვის.

ერთ-ერთ ძვირფასბეწვიან მტაცებელთაგანს წარმოადგენს წავი (Lutra lutra), რომელიც იშვიათად გვხვდება არა მარტო თბილისის მიდამოებში, არამედ საერთოდ საქართველოში. თბილისთან ამ ცხოველის გაერცელების უახლოესი პუნქტებია ავჭალა-მცხეთის მისადევრები და გარდაბნის მტკვრის სანაპირო ჭალები. წავის ერთი ეგზემპლარი, რომელიც გაბმულიყო თევზისთვის დაგებულ ბადეში, მოპოვებულია მტკვარში ყოფ. მუხრანის ხიდის მახლობლად.

შედარებით უფრო ფართო არეალით ხასიათდება კავკასიური თეთრყელა კვერნა (Martes foina nehringi). იგი გავრცელებულია ზედაზნის, წიწამურის, ავჭალისა და გლდანის ტყეებში, მარტყოფისა და ორხევის მისადევრებში, კუმისის, კოჯრის, წავკისის, ბეთანიის, ახალდაბის, წყნეთის, ბაგების, ნახშირგორის, ლისის, დიღმის, დელისის მიდამოებში. თეთრყელა კვერნა მოპოვებულია აგრეთვე დიღმის ბორანთან (ამჟამად ხიდთან), ყოფ. მუშტაიდის (ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების) პარკში, ბოტანიკურ ბაღში. ამ ცხოველის ერთი ეგზემპლარი, რომელიც დაჭერილი იყო სტალინის სახელობის ხიდის მახლობლად, დიდხანს ამშვენებდა თბილისის ზოოპარკს.

როგორც ბუჩქნარებსა და ბაღებში, ისე ველებზე, ზოგჯერ გარეუბნებში (ვაკე, საბურთალო, ნაძალადევი და ა. შ.) ბინადრობს აღმოსავლეთ-კავკასიური დედოფალა (Mustela nivalis dinniki).

თბილისის მიდამოებში ერთეულების სახით გვხვდება კავკასიური მურა დათვი (Ursus arctos caucasicus), რომელიც ცნობილია გლდანის, მარტყოფის, ქვაკალოსა და ნასომხარის ტყეებიდან.

კავკასიური მგელი (Canis lupus cubanensis) მოიპოვება ავჭალის, ზედაზნის, გლდანის, მარტყოფის ტყეებში, სამგორის ველზე, ლოქინის ხეობაში, თბილელის ხევში, სოღანლუღ-თელეთის, ნახშირგორა-დიღმის მისადევრებში. ამ მტაცებლის ერთი ეგზემპლარი მოკლულია მდ. ვერის ხეობაში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამხმარე მეურნეობის მახლობლად.

თითქმის ყველგანაა გავრცელებული ტურა (Thos aureus), რომელიც მოიპოვება თბილელის ხევში, ლოქინისა და საცხენისის ხეობაში, ეაზიანისა და სოღანლუღის ველებზე, თელეთის ქედზე, „თბილისის ზღვის", ნორიოს, ლილოს, ავჭალა-ზედაზნის, დიღმისა და ლისის მიდამოებში, ზოგჯერ ქალაქის გარეუბნებშიც კი შეიჭრება ხოლმე.

თბილისის მიდამოებში გვხვდება ორი ქვესახის მელა—ამიერკავკასიური მთის მელა (Vulpes vulpes alticola) და ამიერკავკასიური ველის მელა (V. v. alpherakyi), რომლებიც ბინადრობენ სამგორისა და ეაზიანის ველებზე, სოღანლუღის, თელეთის, შინდისის, წავკისის, წყნეთის, ნახშირგორის, დელისის, ლისის, დიღმის, ავჭალის, მარტყოფის, ლილოს და ნორიოს მიდამოებში, „თბილისის ზღვის" მახლობლად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თეთრყელა კვერნა, ტურა და მელა თბილისის მიდამოებში მასობრივად მომრავლდნენ 1924 წელს[1]. მომდევნო წლებში მათი რაოდენობა თანდათანობით შემცირდა.

თბილისის მიდამოებში ენოტისმსგავსი ძაღლი (Nyctereutes procyonoides) მოიპოვება ავჭალისა და გლდანის მიდამოებში, ტურნერის სერის კალთებზე. ეს მტაცებელი სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ამჟამად მიღებული ეფექტური ზომების შედეგად, ენოტისმსგავსი ძაღლის საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში თბილისის მიდამოებში ხშირად გვხვდებოდა ზოლებიანი აფთარი (Hyaena hyaena). ცნობილი მკვლევარის კ. სატუნინის[2] გადმოცემით ეს ცხოველი ბინადრობდა ყოფ. მლაშე ტბების (ამჟამად „თბილისის ზღვის") მიდამოებში, კუკიის სასაფლაოსთან, მახათის მთის მიდამოში. ერთი ეგზემპლარი მოკლულია ქორქის ტბასთან. 1935 წელს, სამგორის ველზე (სად. ვაზიანის მახლობლად) მოპოვებულ იქნა ზოლებიანი აფთრის 3 ლეკვი[3]. ამის შემდეგ თბილისის მიდამოებში ზოლებიანი აფთრის არსებობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

შესამჩნევი რაოდენობითაა გავრცელებული დედაქალაქის მისადევრებში კავკასიური ტყის კატა (Felis silvestris caucasicus), რომელიც ბინადრობს ნასომხრის, ქვაკალოს, მარტყოფის, გლდანის, ავჭალის, ზედაზნის, ბეთანიისა და კოჯრის მიდამოთა ტყეებში.

აღსანიშნავია, რომ თბილისიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, ზედაზნის ტყეში 1954 წელს მოკლეს ამიერკავკასიური ჯიქის (Pardus pardus tullianus) საკმაოდ მოზრდილი ეგზემპლარი[4]. თბილისის მახლობლად ამ მტაცებლის მოპოვება უაღრესად იშვიათი მოვლენაა.

[1] Н. Чиджавадзе, К появлению хищников в Тифлисе, Спорт и охота в Закавказье, № 5, 1924.

[2] К. А. Сатунин, Млекопитающие Кавказского края, т. I, Тифлис, 1915.

[3] არჩ. ჯანაშვილი, მასალები მტაცებლების (Fissipedia) საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის, თბილისის ზოოპარკის შრომები, ტ. II, 1948 (1938).

[4] არჩ. ჯანაშვილი, საქართველოში ამიერკავკასიის ჯიქის (Pardus pardus tullianus Valens) გავრცელების საკითხისათვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 54, 1954.

არანაკლებ შემთხვევითია ის ფაქტი, რომ 1922 წელს თბილისიდან 25 კილომეტრის დაშორებით, სოფ. ლელობასთან მოკლულია თურანული ვეფხვი (Tigris tigris virgata), რომელიც საერთოდ საქართველოს ფაუნისათვის უცხო ელემენტს წარმოადგენს.

მტკვრის ხეობის ჭალებში მცირე რაოდენობით გვხვდება ლელიანის კატა (Chaus chaus), რომელიც თბილისის ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდება ავჭალა-მცხეთის მიმართულებით.

კავკასიური ფოცხვერი (Lynx lynx orientalis) ბინადრობს ავჭალა-ზედაზნის, გლდანისა და მარტყოფის ტყეებში, თუმცა ყველგან გვხვდება ერთეულების სახით. წარსულში ეს მტაცებელი თბილისის მიდამოებში იმდენად მრავლად ყოფილა, რომ ზოგჯერ ქალაქის გარეუბნებშიც კი შეიჭრებოდა ხოლმე. მაგალითად, 1906 წელს კ. სატუნინმა[1] ფოცხვერი მოკლა თავის სახლის ეზოში, რომელიც მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ამჟამად სამკურნალო კომბინატია (ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტის გვერდით).

თბილისის ახლომახლო მინდვრებსა და ბუჩქნარებში თითქმის ყველგან მოიპოვება ამიერკავკასიური კურდღელი (Lepus europaeus cyrensis). იგი გვხვდება დელისისა და დიღმის მინდვრებზე, „თბილისის ზღვის", მარტყოფის, ნორიოს, ლილოს, ორხევის, ლოჭინის, რუსთავის, სოლანლუღის, შინდისის, წავკისის, ოქროყანის, წყნეთის მისადევრებში, მთაწმინდის პლატოზე.

წარსულში კურდღელი უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ზევით უკვე აღვნიშნეთ ყოფ. ვარდისუბნის ქუჩის მიდამოებში ამ მღრღნელის მოპოვების შესახებ. 40—45 წლის წინათ თანამედროვე კავშირის ქუჩიდან დაწყებული დასავლეთით არსებულ ყანებში ხშირად გვხვდებოდა კურდღელი. ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ იგი ბინადრობდა ახლანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. ასევე ითქმის სამედიცინო ქალაქის ტერიტორიის შესახებაც, ხოლო ხუდადოვის ტყეში კურდღელი ეხლაც გვხვდება.

მარტყოფის, გლდანის, ავჭალა-ზედაზნის ტყეებში ერთეულების სახით მოიპოვება სპარსული ციყვი (Sciurus persicus anomalus). თბილისის

[1] К. А. Сатунин, Млекопитающие Кавказского края, т. I, Тифлис, 1915.

მიდამოთა ტყეებსა და ბუჩქნარებში, ზოგჯერ ბაღებშიც უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება კავკასიური ძილგუდა (Glis glis tschetschenicus), რომელიც ზოგან აზიანებს კულტურულ მცენარეულობას. მარტყოფის, ლილოს, ნორიოს, გლდანის, აეშალა-ზედაზნის, ბეთანიის ტყეებსა და ბუჩქნარებში, ზოგჯერ ბაღებსა და ეზოებშიც ერთეულების სახით ბინადრობს ღნავი (Dyromis nitedula tichomirovi). მცხეთა-ზედაზნის მისადეგრებში გავრცელებულია ამ მღრღნელის მეორე ქვესახეც—კავკასიური ღნავი (D. n. caucasica).

თბილისის მიდამოებში რიცხვმრავლად გვხვდება თაგვისებრი მღრღნელები. „თბილისის ზღვის" მიდამოებში, ვაზიანისა და სამგორის ველებზე, რუსთავის, სოღანლუღისა და თელეთის მისადეგრებში მოიპოვება ამიერკავკასიური ობანა (Cricetus auratus brandti), თანასაზოგადოებრივი მემინდვრია (Microtus socialis binominatus), რუხი ზაზუნა (Cricetulus migratorius) და სხვ. რუსთავის მახლობელ ველებზე ერთეულების სახით გავრცელებულია წითელკუდა მექვიშია (Meriones erythrourus caucasicus). ასევე ითქმის სამგორის ველზე მოსახლე ველის თაგვის (Mus musculus tataricus) შესახებაც. თბილისის მახლობელ სარწყავ არხებსა და მის სანაპირეებზე მოიპოვება წყლის მემინდვრია (Arvicola terrestris). თბილისის მიდამოების ტყეებში გვხვდება ტყის თაგვი (Sylvimus silvaticus). როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ისე მის მიდამოებში ყველგან ბინადრობენ რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus), შავი ვირთაგვა (R. rattus) და სახლის თაგვი (Mus musculus).

თბილისის მიდამოებში საკმაოდ მრავლადაა ხელფრთიანები. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს დიდი ცხვირნალა (Rhinolophus ferrum-equinum), მცირე ცხვირნალა (Rh. hipposideros), ყურწვეტა მღამიობი (Myotis oxygnathus), ნატერერის მღამიობი (M. nattereri), ულვაშა მღამიობი (M. mystacinus), ყურდიდა ღამურა (Plecotus auritus), მაჩქათელა (Barbastella barbastellus), ჩია ღამურა (Vespertilio pipistrellus), ნათუზიუსის ღამურა (V. nathusii) ხმელთაშუაზღვისეული ღამურა (V. kuhli), მეგვიანე ღამურა (V. serotinus), ღამურა (V. murinus) და სხვ. ბინადრობენ სახლის სხვენში, კედლების ნაპრალებში, ძველ შენობათა ნანგრევებში და სხვა მსგავს ადგილებში.

თბილისის მიდამოებში უმნიშვნელო რაოდენობის სახეებით არიან წარმოდგენილი მწერიჭამიები. მათ შორის შეიძლება დასახელებულ იქნას ამიერკავკასიური ზღარბი (Erinaceus rumanicus transcaucasicus), რომელიც ბინადრობს ბუჩქნარებსა და ტყიან ადგილებში. მცირე რაოდენობით გვხვდება კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica) და აღმოსაელური თხუნელა (T. orientalis). უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება კავკასიური მცირე ბიგა (Sorex minutus volnuchini), კავკასიური კბილთეთრა (Crocidura russula guldenstedti), სპარსული კბილთეთრა (C. leucodon persica), მცირე კბილთეთრა (C. dinniki), ჩია კბილთეთრა (Pachyura etrusca). ბიგისებრთ მაენე მწერების განადგურებით სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი. თბილისის მიდამოსათვის დამახასიათებელია საკმაოდ ნაირფეროვან ფრინველთა ფაუნა, რომელიც შეიცავს საქართველოში მობინადრე სახეთა უმრავლესობას. ზოგი მათგანი ქალაქის ქუჩებისა და ეზოების ბინადარია, დიდი ნაწილი კი ქალაქის მისადეგრებში ცხოვრობს. თბილისის ფრინველების სახეთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება მიმოფრენის პერიოდში — გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც ადგილობრივ ძირითად სახეებს ემატება მიმომფრენი ფორმებიც. აღვნიშნოთ ზოგიერთი დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული სახე.

თბილისის მიდამოთა ყანებსა და ველებზე გვხვდება მწყერი (Coturnix coturnix), რომელიც ახლო წარსულში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა ვაკის, საბურთალოს და სხვა უბანთა ტერიტორიაზე, სადაც ხორბალი და ქერი ეთესა ხოლმე.

მთაწმინდისა და თაბორის მთის კალთებზე თელეთის ქედის მამართულებით ყველგან გვხვდება კავკასიური კაკაბი (Alectoris graeca caucasica), რომლის საერთო რაოდენობა უკანასკნელ წლებში, უწესრიგო ნადირობის გამო, საგრძნობლად შემცირდა.

თბილისისა და მისი მიდამოების დამამშვენებელი იყო ქართული ხოხობი (Phasianus colchicus lorenzi), რომელიც აქ დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა. ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით დედაქალაქის დაარსების ლეგენდა ხოხობზე ნადირობასთანაა

დაკავშირებული. ამჟამად თბილისთან ხობის გავრცელების უახლოესი ადგილებია მცხეთა წიწამურის მიდამოები. სასურველია ამ ფრინველის რეაკლიმატიზაცია მის ძველისძველ საბინადროში.

მცირე რაოდენობით ბინადრობს სამგორის ველსა და მტკვრის ხეობაში ამიერკავკასიური გნოლი (Perdix perdix canescens). თბილისის მიდამოებში ჯერ კიდევ ისმის ღუღუნი გარეული მტრედის (Columba livia neglecta), გულიოსი (C. oenas) და ქედნისა (C. palumbus), რომლებიც თავს აფარებენ ძველ შენობათა ნანგრევებსა და ტყეებში. თბილისის მიდამოებში ხშირად ვხვდებით შარაგზების პირას მოგოგმანე ან ტელეფონის მავთულზე მჯდომ გვრიტს (Streptopelia turtur). ზოგჯერ კი თავზე გადაგვიფრენენ ხოლმე მისი რიცხვმრავალი გუნდები. სამწუხაროდ ეს სასარგებლო ფრინველი ხშირად ხდება ბრაკონიერთა სამიზნო.

თბილისის მიდამოებში იშვიათად გვხვდება მნიშვნელოვანი სანადირო ობიექტი მელოტა (Fulica atra), ხონთქრის ქათამი (Porphirio porphirio) და, უფრო ხშირად, წყლის ქათამი (Gallinula chloropus). რიგ ადგილებშია ძვირფასი სანადირო ობიექტი ღალღა (Crex crex). მიმოფრენისას თბილისის მიდამოებს ეწვევა ხოლმე წეროტურფა (Anthropoides virgo). ზოგჯერ ზამთრობით მტკვრის ხეობაში, გარდაბნისა და სამგორის ველებზე გვხვდება სავათი (Otis tarda) და სარსარაკი (O. tetrax). ალაგ-ალაგ თბილისის მიდამოებში მოიპოვება საყელოიანი მეკვავია (Charadrius hiaticula). უფრო ხშირად წყალსატევთა სანაპირო ტყეებსა და ჭალებში ბინადრობს პრანწია (Vanellus vanellus). ჭაობიან ადგილებსა და ტბათა სანაპიროებში, „თბილისის ზღვის" მიდამოებში იშვიათად მოიპოვება ჭაობის კოკორინა (Tringa glareola), მებორნე (T. hyeoleucos), შავული (T. ochropus), რუხი კოკორინა (Terekia cinerea) და სხვ.

თბილისის მიდამოებში იშვიათადაა ტყის ქათამი (Scolopax rusticola). ასევე ითქმის მისი მონათესავე ჩიბუხას (Capella gallinago) შესახებაც. მიმოფრენის პერიოდში დედაქალაქის მისადგომებში შესაძლებელია შეეხვდეთ გოჟას (C. media), ჭყიმპოს (Lymnocryptes minima), მდინარის მეთოვლიას (Sterna hirundo).

თბილისის მიდამოებში გედები გვხვდება მიმოფრენისას. სოლანლუღთან მოპოვებული ყვითელნისკარტა გედი (Cygnus cygnus) ერთხანს ცხოვრობდა თბილისის ზოოპარკში. შედარებით უფრო ხშირადაა, მით უმეტეს მიმოფრენის პერიოდში, რუხი ბატი (Anser anser), სხვადასხვა სახის იხვი. „თბილისის ზღვის" მიდამოში მიმოფრენისას აღინიშნება გარეული იხვი (Anas platyrhynchos). ამავე ადგილს ზამთრობით ეწვევა ხოლმე იხვინჯა (A. querquedula). იშვიათად შეიძლება შეეხვდეთ ბოლოსადგისას (A. acuta). სამგორის ველზე ზოგჯერ აღინიშნება წითელი იხვი (Tadorna ferruginea).

ლისის ტბის მიდამოებში მოპოვებულია ჟერო (Platalea leucorodia), რაც იშვიათია თბილისის მიდამოს ფრინველთა ფაუნისათვის. ამავე ადგილებში ზოგჯერ გვხვდება ივეოსი (Plegadis falcinellus).

თბილისის მიდამოს რიგ ადგილებში შეიძლება შეეხვდეთ ყარყატს (Ciconia ciconia). სამგორისა და გარდაბნის ველებზე რიგ შემთხვევაში მოიპოვება რუხი ყანჩა (Ardea cinerea). შედარებით ხშირადაა ქარცი ყანჩა (A. purpurea), რომლის ერთი ეგზემპლარი მოკლულია ვერის ხეობაში, ზოოპარკის ტერიტორიაზე. მიმოფრენის პერიოდში ზოგჯერ გვხვდება ღამის ყანჩა (Nycticorax nycticorax). ლისის ტბის სანაპიროებზე იშვიათად ბინადრობს წყლის ბუღა (Botaurus stellaris).

თბილისის მიდამოებში მრავალ ადგილას გვხვდება შავარდენი (Falco peregrinus), რომელიც ტყეების ბინადარია. მარტყოფის, გლდანის, ავჭალა-ზედაზნის მისადგომებში ხშირად მოიპოვება ალალი (F. subbuteo). თბილისის მიდამოების ტყეებში, ბუჩქნარებში გვხვდება ჩვეულებრივი კირკიტა (F. tinnunculus), რომელსაც მავნე მღრღნელების მასობრივად განადგურებით მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. ველზე მოსახლეობს მისი მონათესავე ველის კირკიტა (F. naumanni). თბილისის მიდამოებში ხშირია კავკასიური ქორი (Accipiter gentilis caucasicus), რომელიც ზოგჯერ გარეუბნის ქუჩებშიც კი დაფრინავს ხოლმე. მარტყოფის, ნორიოს, გლდანის ავჭალისა და ზედაზნის მიდამოებში არანაკლებ ხშირად გვხვდება მიმინო (A. nisus).

მიმოფრენის პერიოდში თბილისის მიდამოს ეწვევა ხოლმე მდელოს ბოლობეჭედა (Cyrcus pygargus), უფრო ხშირად კი — მინდვრის ბოლობეჭედა (C. cyaneus). ფართოდაა გავრცელებული

შავი ძერა (Milvus korschun), რომელიც ხშირად თბილისის გარეუბნებშიც დაფრინავს. ასევე ითქმის წითელი ძერის (M. milvus) შესახებაც.

თბილისის მიდამოებში იშვიათად გვხვდება ფსოვი (Haliaeetus albicilla), რომლის ერთი წყვილი ბუდობდა ბოტანიკურ ბაღის პირას, თაბორის მთის კლდეში. იშვიათად შემოფრინდება ხოლმე საკვლევი უბნის ფარგლებში ფასკუნჯი (Neophron percnopterus), რომლის რამდენიმე ეგზემპლარი მოპოვებულია დიღმის მისადევრებში. თბილისის მახლობელ ველებზე მცირე რაოდენობით მოიპოვება ველის არწივი (Aquila rapax). ასევე ითქმის კავკასიურ კაკაჩას (Buteo buteo menetriesi) შესახებაც.

საკმაოდ მრავალრიცხოვნად გვხვდება ჩვეულებრივი ჭაობის ბუ (Asio flammeus flammeus), რომელიც ბუდობს ტყიან ადგილებსა და ბუჩქნარით დაფარულ ფერდობებზე. იშვიათია კავკასიური ფეხბანჯგვლიანი ბუ (Aegolius funereus caucasicus), რომელიც ძირითადად ჭაობებში ბინადრობს. რიგ ადგილებში მოიპოვება ტყის ბუ (Strix aluco) და ჭოტი (Bubo bubo).

თბილისის მიდამოს ტყეებში ყველგან გვხვდება გუგული (Cuculus canorus), რომლის მოძახილი ხშირად გვესმის გარეუბნებშიც კი.

თბილისის მიდამოების ტყის პირებსა და ბაღებში ბინადრობს ყაჩყაჩი (Coracias garrulus), რომელსაც ხშირად ვხვდებით ხოლმე გზის პირებზე, ტელეფონის ან სხვა სახის მავთულებზე ჩამომჯდარს. საკვების ძებნისას იგი შორს შეიჭრება ხოლმე ველებზე. გარეუბნებისა და ქალაქის ცენტრალური ნაწილის თავზე მრავალრიცხოვანი გუნდების სახით დაფრინავს კვირიონი (Merops apiaster). უმნიშვნელო რაოდენობით, ისიც წყალსატევთა სანაპირო ჭალებსა და ბუჩქნარებში, მოიპოვება ალკუნი (Alcedo atthis). ტყის პირებში, ბუჩქნარებში, ბაღებში, ზოგჯერ ეზოებშიც კი გვხვდება ოფოფი (Upupa epops).

თბილისის ქუჩებსა და მის თავზე დაფრინავენ ნამგალას (Apus apus) რიცხვმრავალი გუნდები, მით უმეტეს ეს ითქმის გარეუბნებისა და მიდამოებისათვის.

ტყიან ადგილებში გვხვდება შავი კოდალა (Dryocopus martius). საყურადღებოა მწვანე კოდალა (Picus viridis), რომელიც ფართოდაა გავრცელებული თბილისის მიდამოს ტყიან ადგილებში. იგი მოპოვებულია ვერის ხეობაში, ზოოპარკის ტერიტორიაზე, სადაც ბუდობს კიდეც. აქა-იქ ტყეებში გვხვდება დიდი ჭრელი კოდალა (Dendrocopos major), საშუალო კოდალა (D. media) და, უფრო ხშირად, მცირე ჭრელი კოდალა (D. minor).

როგორც საერთოდ ყველგან, ისე თბილისის მიდამოებშიც, ბეღურასნაირნი წარმოდგენილი არიან რიცხვმრავალი სახეებით. ამასთან, ისინი თითოეული სახის ფარგლებში ინდივიდთა მრავალრიცხოვნობითაც ხასიათდებიან.

თბილისის მიდამოებში იშვიათად გვხვდება ყორანი (Corvus corax), რომელიც მეტწილად მოიპოვება მარტყოფის, გლდანის, აეჭალა-ზედაზნის მისადევრებში. საკვლევი უბნის ფარგლებში ჩვეულებრივია რუხი ყვავი (C. corone), რომლის რიცხვმრავალი გუნდები ხშირად ქალაქის თავზე გადაიფრენენ ხოლმე. ბუდობს ახლომახლო ტყეებში ყველგან. თბილისის მიდამოების ხშირი სტუმარია ჭილყვავი (C. frugilegus), რომელიც მრავალრიცხოვნად შეინიშნება ხოლმე შემოდგომაზე მინდვრის ხვნისას. კაჭკაჭი (Pica pica) თბილისის მიდამოებში გავრცელებულია მცირე რაოდენობით. მას ვხვდებით ახლომაალო ტყეებში, ზოგჯერ შეიჭრება ხოლმე გარეუბნის ბაღებში. თბილისის მიდამოთა ტყეებში მოიპოვება კავკასიური ჩხიკვი (Garrulus glandarius krynicki). მრავლადაა შოშია (Sturnus vulgaris), რომლის რიცხვმრავალი გუნდები ქალაქის თავზე ხშირად დაფრინავენ ხოლმე. თბილისის მიდამოების ტყიან ადგილებში, ზოგჯერ ბაღებში გვხვდება მოლაღური (Oriolus oriolus), კულუმბური (Coccotraustes coccotraustes). როგორც თბილისის მიდამოების ტყეებსა და ბუჩქნარებში, ისე ქალაქის გარეუბნების, ზოგჯერ ცენტრალური ნაწილის ბაღებსა და ეზოებში ბინადრობენ მწვანულა (Chloris chloris), ჩიტბატონა (Carduelis carduelis), ჭვინტა (C. cannabina), ჭივჭავი (C. spinus), მეეოლია (Serinus pusillus), ნიბლია (Fringilla coelebs). ზოგჯერ ამავე ადგილებს ესტუმრება ხოლმე სტვენია (Pyrrhul pyrrhula). როგორც თბილისის მიდამოებში, ისე თვით ქალაქში ყველგან გვხვდება სახლის ბეღურა (Passer domesticus), რომლის რიცხვმრავალი კოლონიები ხშირადაა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებშიც. თბილისის მიდამოებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მინდვრის ბეღურა (P. montanus). ესპა-

ნური ბეღურის (P. hyspaniolensis) გუნდები ზოგჯერ შესამჩნევია ხოლმე სამგორისა და რუსთაველის მახლობელ ველებზე. თბილისის მიდამოების ტყითა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებში ხშირად გვხვდება მეფეტვია (Emberiza calandra), რომელიც ზოგჯერ ბაღებშიც შეიჭრება ხოლმე. რიგ ადგილებში მოიპოვება შავთავა გრატა (E. melanocephala), ბაღის გრატა (E. hortulana). თბილისის მიდამოების ველებზე ყველგან გვხვდება მინდვრის ტოროლა (Alauda arvensis), ქოჩორა ტოროლა (Galerida cristata), მცირე ტოროლა (Calandrella cinerea), ველის ტოროლა (Melanocorhypha calandra). თბილისის მიდამოებში განსაკუთრებით კი წყალსატევთა მახლობლად ხშირადაა წყალწყალა (Motacilla alba), ბზეწვია (M. cinerea), ბოლოქანქალა (M. flava) და სხვ. საკელეე უბანში გავრცელებულია მდელოს მწყერჩიტა (Anthus pratensis), მინდვრის მწყერჩიტა (A. campestris).

თბილისის მიდამოების ტყეებსა და ბუჩქნარებში, ზოგჯერ გარეუბნის ბაღებშიც, ხშირად გვხვდება დიდი წივწივა (Parus major), წიწკანა (P.coerileus), თოხიტარა (Aegithalus caudatus) და სხვ. ამავე ადგილებში მოიპოვება კავკასიური ღაჟო (Lanius cristatus kobylini), რუხი ღაჟო (L. excubitor), შავთავა ღაჟო (L. minor), წითელთავა ღაჟო (L. senator) და სხვ., რომლებსაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ სახალხო მეურნეობისათვის მავნე მწერების მასობრივად განადგურებით.

მცირე ზომის ფრინველთაგან, რომლებიც აგრეთვე მასობრივად ანადგურებენ მავნე მწერებს, თბილისის მიდამოებში გვხვდება ყვითელთავა ნარჩიტა (Regulus regulus), ყარანა (Phylloscopus collybitis), რომლებიც ძირითადად ტყეებსა და ბუჩქნარებში ბინადრობენ, ზოგჯერ გარეუბნის ბაღებსა და ეზოებშიც შეიჭრებიან ხოლმე. ტყეებისა და ჭაობიანი ადგილების ბინადარია ბოლოგანიერი მეჩალია (Cettia cetti), შავისებრი მეჩალია (Acrocephalus arundinaceus), ჭაობის მეჩალია (A. palustris).

საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული თბილისის მიდამოების ბუჩქნარებში, ბაღებში, ზოგჯერ ეზოებში მგალობელი ასპუჭაკა (Sylvia hortensis), ბაღის ასპუჭაკა (S. borin), შავთავა ასპუჭაკა (S. atricapilla), რუხი ასპუჭაკა (S. communis).

თბილისის მიდამოების ტყეებსა და ბუჩქნარებში, ბაღებში, ზოგჯერ ეზოებშიც, გვხვდება შაშვი (Turdus merula). ამავე ადგილებში მოიპოვება ჩხართვი (T. viscivorus), ბოლოშავი (T. pilaris), წრიპა (T. cricetorum) და სხვ.

თბილისის მახლობელი ბორცვების ქვიანსა და თიხნარ ფერდობებზე, ხრამებში, გზის პირებში ბინადრობს მეღორღია (Oenanthe oenanthe), მელოტჩიტა (O. hispanica), ბოლოთეთრი მეღორღია (O. isabelina), მდელოს ოვსადი (Saxicola rubetra). რიგ ადგილებში მოიპოვება ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (Phoenicurus phoenicurus).

დასახელებული ადგილების ტყეების, ჭალების, ბუჩქნარების, ბაღების, ზოგჯერ პარკების დამამშვენებელს წარმოადგენს დასაელური ბულბული (Luscinia megarynchos), მიმოფრენისას გვეწვევა ხოლმე აღმოსავლური ბულბულიც (L. luscinia). ამ ფრინველების მასობრივად გავრცელებასთანაა დაკავშირებული ქორქის ტბის მახლობლად არსებული ტყე-ბუჩქნარის სახელწოდება—„ბულბულების წალკოტი", რომელშიც ბულბულების საამური სტვენა ისმის გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ამავე სტაციების ბინადარია გულწითელაც (Erithacus rubecula), როგორც ტყეებსა და ბუჩქნარებში, ისე ბაღებსა და გარეუბნების ეზოებში ხშირად გვხვდება ჭინჭრაქა (Troglodytes troglodytes).

თითქმის ყველგანაა სოფლის მერცხალი (Hirundo rustica), რომლის ბუდეებსაც ხშირად ვხვდებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც. მით უმეტეს ამ ფრინველის გუნდები დაფრინავენ თბილისის თავზე. ამავე ადგილებში ხშირადაა ქალაქის მერცხალი (Delichon urbica), რომლის რიცხვმრავალი კოლონია ცხოვრობს დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ბუდეს იკეთებს მაღალი სახლების კედლებზე, ქვითკირის ხიდის ქვეშ და სხვა მსგავს ადგილებში.

ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი. თბილისის მიდამოებში საკმაოდ მრავლად გვხვდება ქვეწარმავლები. კლდოვან ადგილებში — თელეთის ქედზე, თაბორის მთაზე, სოლოლაკში, მთაწმინდაზე, ვერის ხეობაში, საბურთალოზე, „თბილისის ზღვის" მიდამოებში მოიპოვება კავკასიური ჯოჯო (Agama caucasica). უკანასკნელ სამიოდე წლამდე ამ ქვეწარმავლის რიცხვმრავალი კოლონიები ცხოვრობდნენ ვარაზის ხევში (უნივერსიტეტის მეტეოროლოგიური სადგურის მახლობლად).



მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

სასტუმრო „თბილისი"

გამოჩენილი მკვლევარი ა. ნიკოლსკი[1] თბილისის მიდამოებისათვის ასახელებს მრგვალთავას (Phrynocephalus helioscopus), რასაც უარყოფს ვ. როსტომბეგოვი[2].

თბილისის მიდამოებისათვის დამახასიათებელია ზოლებიანი ხვლიკი (Lacerta strigata), საშუალო ხვლიკი (L. media), კლდის ხვლიკი (L. saxicola) და სხვ.

ყურადღებას იპყრობს თბილისის მიდამოებში მობინადრე გველთავა (Ophiops elegans). თითქმის ყველგან გვხვდება გველხოკერა (Ophisaurus apodus). იგი ზოგჯერ გარეუბნის ბაღებშიც შეიკრება ხოლმე. საკვლევი რაიონის ხვლიკისნაირთა შორის დამახასიათებელია ბოხმეჭა (Anguis fragilis), რომელიც მოიპოვება ორთაჭალაში, კრწანისში, კოჯორთან, ბეთანიასთან, წყნეთთან, ახალდაბასთან, ლისთან, ქორქის ტბასთან, აეჭალასთან. თბილისის მიდამოებში იშვიათად გვხვდება მარდი ფსევნი (Eremias velox). ხვლიკისნაირთა ყველა წარმომადგენელს მავნე მწერების განადგურებით სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს.

თბილისის მიდამოებში თითქმის ყველგანაა გავრცელებული გველბრუცა (Typhlops vermicularis). იგი ზოგჯერ თბილისის გარეუბნებშიც გვხვდება. ამ გველის რამდენიმე ეგზემპლარი მოპოვებულია ქალაქის ქუჩებშიც (რუსთაველის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის შესაყართან, ჭავჭავაძის პროსპექტზე. უნივერსიტეტის მახლობლად, ჩელიუსკინელთა მოედანზე, საბურთალოზე, ხილიანის ქუჩაზე, სტუდენტთა ქალაქში და სხვ.). უვნებელი გველთაგანია. ახლო მიდამოს ველებზე და ზეგნებზე თითქმის ყველგან მოიპოვება ველის მახრჩობელა (Eryx jaculus), რომელსაც მავნე მღრღნელების განადგურებით სარგებლობა მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. წყალსატევების მიდამოებსა და ჭაობიან ადგილებში, მდინარეთა სანაპიროებზე ყველგან გვხვდება წყლის ანკარა (Natrix tesselata), ჩვეულებრივი ანკარა (N. natrix). ათეული წლის წინათ ამ გველის რამდენიმე ეგზემპლარი მოპოვებულია კახეთის მოედნის მახლობლად. თბილისის მიდამოს ტყიანსა და ბუჩქნარიან ადგილებში, ხშირად ყანებსა და სათიბებში, აგრეთვე ბაღებში, გვხვდება მეცელყვითელი მცურავი (Coluber jugularis). იგი მოპოვებულია ზოოპარკის ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის ეზოს მიდამოში. უშხამოთა შორის ეს გველი ყველაზე ავია და ზოგჯერ თავს ესხმის და კბენს ადამიანსაც, მაგრამ შხამი არა აქვს და ამდენად იგი არაა სახიფათო. გარდა აღნიშნულისა თბილისის მიდამოებში გვხვდება მწვანე მცურავი (C. najadum), ფერადი მცურავი (C. ravergieri), ხალებიანი მცურავი (Elaphe situla), წყნარი კონტია (Coutia modesta), ხშირია კატის გველი (Tarbophis fallax), რომელიც ნახევრად შხამიან გველთა რიცხვს ეკუთვნის.

შხამიანი გველებიდან თბილისის მიდამოებში გავრცელებულია გიურხა (Vipera lebetina). მოიპოვება ეს გველი სოღანლუღის ველებზე, კრწანისიდან შინდისამდე არსებულ კლდოვან ფერდობებზე[1], თაბორის მთასთან. ყველგან გვხვდება იშვიათად. აღნიშნულ სახეზე არანაკლებ შხამიანია ცხვირრქოსანი გველგესლა (V. ammodytes), რომელიც გვხვდება ქოროღლის ციხის ნანგრევებთან, კოჯორსა და პრიუტს შორის არსებულ ტყეებში, ბეთანიასთან, დიღმის მიდამოში.

თბილისის მიდამოებში უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება კასპიური კუ (Clemmis caspica), რომელიც ცნობილია კუმისის ტბის მიდამოებიდან და ყოფ. მლაშე ტბებიდან (ამჟამად „თბილისის ზღვა“). თბილისის მიდამოების ტბებსა და ჭაობიან ადგილებში უფრო ხშირად გვხვდება ჭაობის კუ (Emys orbicularis). ველებზე, ბუჩქნარებსა და ტყეებში, ბაღებში და ზოგჯერ გარეუბნის ეზოებშიც, მოიპოვება ბერძნული კუ (Testudo graeca).

ამფიბიები. ისე როგორც მთელ საქართველოში, თბილისის მიდამოებში წყალხმელეთა ცხოველების ანუ ამფიბიების სახეთა რაოდენობა არაა დიდი. თუმცა საქართველოში გავრცელებულ ფორმათა უმრავლესობა გვხვდება დედაქალაქსა და მის მისადგომებში. ახალდაბის ტბაში მცირე რაოდენობით მოიპოვება სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus cristatus). ეს სახე გვხვდებოდა მთაწმინდაზე, ბულბულების წალკოტის მახლობლად

[1] А. М. Никольский, Пресмыкающиеся, Фауна России и сопредельных стран, Петроград, 1916.

[2] В. Н. Ростомбеков, К герпетофауне окрестностей Тифлиса, Закавказский Краеведч. сборник, т. I, Тифлис, 1930.

[1] იხ. ვ. როსტომბეგოვის დამოწმებული ნაშრომი.

არსებულ ჭაობში. ამჟამად ეს უკანასკნელი მთლიანად ამომშრალია და, ბუნებრივია, მასში მცხოვრები ტრიტონები (ასევე სხვა სახის ცხოველებიც) მოსპობილია. ამავე ჭაობში და აგრეთვე ახალდაბის ტბაში. ვ. როსტომბეგოვი[1] მიუთითებს მცირეაზიური ტრიტონის (T. vittatus) არსებობას. ა. ნიკოლსკი[2] აღნიშნავს ამ სახის ტრიტონის ქორქის ტბაში გავრცელებას, რაც არაა მართებული.

ქორქის ტბაში მოპოვებულია სირიული წყვარი (Pelobates syriacus), რომელიც იშვიათია ჩვენს ფაუნაში. ფართოდაა გავრცელებული და თითქმის ყველგან გვხვდება ჩვეულებრივი გომბეშო (Bufo bufo) და მწვანე გომბეშო (B. viridis). მავნე მწერების განადგურებით გომბეშოებს მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ. თბილისის მიდამოების ტყეებსა და ბუჩქნარებში, ბაღებში, ზოგჯერ ეზოებშიც გვხვდება ვასაკა (Hyla arborea), რომელიც წყალსატევს ეტანება მხოლოდ გამრავლების პერიოდში, დანარჩენ დროს იგი ხეზე ატარებს. თბილისის მიდამოებში ყველგან, აგრეთვე ქალაქის ფარგლებში მტკვრის სანაპიროების ზოგიერთ ადგილას, მოიპოვება ტბის ბაყაყი (Rana ridibunda). ზიანი მოაქვს თევზმეურნეობისათვის ნორჩი ლიფსიტების მასობრივად განადგურებით. ახალდაბის ტბაში, ლისის ტბასა და ქორქის ტბაში გავრცელებულია ამერიკაკავკასიური ბაყაყი (R. macrocnemis).

თევზები. მდინარე მტკვარი მისი შენაკადებით და აგრეთვე თბილისის მიდამოების რიგი წყალსატევები თევზების მნიშვნელოვანი რაოდენობის სახეებს შეიცავენ.

მტკვარში მოიპოვება კასპიური სალამურა (Caspiomyzon wagneri). წარსულში მტკვარში თბილისის დასავლეთით ვრცელდებოდა ზუთხი (Acipenser guldenstedti). მტკვარში თბილისამდე და მის დასავლეთით ფართოდ ვრცელდებოდა კასპიური ორაგული (Salmo trutta caspius). ამჟამად, განსაკუთრებით მინვეჩაურის ჰიდროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეწყდა ამ თევზის სვლა არა მარტო თბილისისაკენ, არამედ საერთოდ საქართველოსაკენ. მტკვარში ხშირად გვხვდება ქაშაპი (Leuciscus cephalus tauricus). იშვიათად, ქვირითობის პერიოდში, მტკვარში მოიპოვება ჭერები (Aspius aspius teniatus). აქვე იჭერენ ტობს (Chondrostoma cyri). შედარებით უფრო ხშირად გვხვდება მექვიშია ანუ ფეტვია (Gobio persa). თბილისის ფარგლებისათვის ჩვეულებრივს წარმოადგენს ხრამული (Varicorhynus capoeta). მტკვარში ხშირად მოიპოვება წვერა (Barbus cyri), მურწა (B. mursa); გვხვდებიან მტკვრის შენაკადებშიც. მტკვარში თბილისამდე და მის დასავლეთით არაგვამდე აღწევს კასპიური შამაია (Chalcalburnus chalcoides); შედის მტკვრის შენაკადებშიც. თბილისის ფარგლებში ხშირად მოიპოვება შავწარბა ნაფოტა (Acanthalburnus microlepis). მტკვარსა და მის შენაკადებში შედარებით ხშირად მოიპოვება კობრი (Cyprinus carpio). აღსანიშნავია, რომ ლისის ტბაში აკლიმატიზებულია ამ თევზის მოშინაურებული ფორმა — სარკისებრი კობრი. მტკვარსა და მდ. ვერაში გვხვდება გოჭალა (Nemachilus brandti). მტკვარში მოიპოვება ლოქო (Silurus glanis), ღორჯო (Gobius platirostris cyrius). თბილისის მიდამოების ყველა ტბაში აკლიმატიზებულია ამერიკული წარმოშობის გამბუზია (Gambusia affinis), რომელიც იკვებება რა კოღოს მატლებით, მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

„თბილისის ზღვაში" თევზები შესახლდნენ მდ. ივრიდან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ აკლიმატიზებულია რიგი ახალი ფორმები.

---

[1] იხ. ვ. როსტომბეგოვის დამოწმებული ნაშრომი.

[2] А. М. Никольский, Земноводные, Фауна России и сопредельных стран, Петроград, 1918.



მიხეილ საბაშვილი

თბილისის მიდამოების ნიადაგები

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებისა და, კერძოდ, ზედაპირის ძლიერი დასერილობის გამო თბილისის მიდამოებს ნიადაგების დიდი სხვადასხვაობა ახასიათებს. თბილისის მიდამოების ტერიტორიის უმეტეს ნაწილში თვალსაჩინოდ არის გამოსახული თანამედროვე სტადიაზე ტყის მცენარეული ფორმაციის შეცვლა ველის მცენარეულობით, რაც აძლევს მას ტყესა და ველს შორის გარდამავალი ლანდშაფტის სახეს. ზოგან ამ პროცესს აქვს უფრო დასრულებული სახე (სამგორის ვაკე, სოღანლუღის ველი და სხვ.) და აქ ტიპობრივად გამოსახული ველის ლანდშაფტია წარმოდგენილი; თბილისის მიდამოების შედარებით მაღალ ნაწილში კი ტყეს უფრო მეტად აქვს შენარჩუნებული თავისი პირვანდელი სახე და იგი ტიპობრივად წარმოდგენილი ტყის ზონას მიეკუთვნება (ლისი, წყნეთი, კოჯორი და სხვ.).

აღნიშნულის შესაბამისად თბილისის მიდამოებში ვხვდებით ჩამოყალიბებული სახის ველის ტიპის, კერძოდ, წ ა ბ ლ ა ნიადაგებს, გარდამავალი სახის მ დ ე ლ ო ს ყ ა ვ ი ს ფ ე რ და რ უ ბ-ყ ა ვ ი ს ფ ე რ ნიადაგებს და მთა-ტყის ზონისათვის დამახასიათებელ ტ ყ ი ს ყ ა ვ ი ს ფ ე რ, ხოლო უფრო მაღლა—ტ ყ ი ს ყ ო მ რ ა ლ ნიადაგებს. ველის ზონაში (სამგორის ველზე) საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ე. წ. გ ა ჯ ი ა ნ ნიადაგებს; აქ და სოღანლუღის ველზე გავრცელებულია აგრეთვე სხვადასხვა სახის მ ლ ა შ ო ბ ი და ბ ი ც ო ბ ი ა ნ ი ნიადაგები.

ახლო წარსულში ტყეების მოსპობამ და ნიადაგის არაწესიერმა გამოყენებამ, ზოგან ფერდობების დიდმა დახრილობამ გამოიწვია თბილისის მიდამოებში ეროზიული პროცესების ძლიერი განვითარება და ამის შედეგად ალაგ-ალაგ ძ ლ ი ე რ ჩ ა მ ო რ ე ც ხ ი ლ ი და ს უ ს ტ ა დ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ნიადაგების გავრცელება. მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს სხვადასხვა სისქისა და შედგენილობის ა ლ უ ვ ი უ რ ნიადაგებს.

ამრიგად, თბილისის მიდამოებში გამოიყოფა მშრალი ველის ნიადაგების ზონა—მის აღმოსავლეთ (სამგორის ვაკე) და სამხრეთ-აღმოსავლეთ (სოღანლუღის ველი) ნაწილში, ვაკეების (დიღმის ვაკე, ხევძმარის ხეობა) და მთისწინების გარდამავა-

ლი ტყე-ველის ნიადაგების ზონა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში და მთა-ტყის ნიადაგების ზონა — დასავლეთ, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ზონების მიხედვით თბილისის მიდამოებში გვხვდება შემდეგი სახის ნიადაგები:

I. ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ

1. წაბლა ნიადაგები

1) წაბლა ნიადაგები, საშუალო და მძიმე თიხნარი, ურწყავი;

2) იგივე, სარწყავი;

3) იგივე, სუსტად ბიცობიანი და სუსტად დამლაშებული;

4) მუქი წაბლა, საშუალო და მძიმე თიხნარი, ურწყავი;

5) იგივე, სუსტად ბიცობიანი და სუსტად დამლაშებული.

2. გაჯიანი (ნეშომპალა-სულფატური) ნიადაგები

6) გაჯიანი (ნეშომპალა-სულფატური) მცირე სისქის, ალაგ-ალაგ ხირხატიანი;

7) იგივე, საშუალო სისქის.

3. დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები

8) მდელოს, სუსტად ბიცობიანი და სიღრმით დამლაშებული;

9) მლაშობი ნიადაგები, მძიმე თიხნარი და თიხიანი;

10) ბიცობიანი ნიადაგები, მძიმე თიხნარი და თიხიანი.

II. ᲒᲐᲙᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ

11) მდელოს ყავისფერი საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, უმეტესად სარწყავი;

12) ალუვიური მდელოს თიხნარი, საშუალო და დიდი სისქის კარბონატული, უმეტესად სარწყავი;

13) რუხი ყავისფერი, საშუალო და მცირე სისქის თიხნარი;

14) იგივე, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ალაგ-ალაგ ხირხატიანი და ძლიერ ჩამორეცხილი.

III. ᲛᲗᲐ-ᲢᲧᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ

1. ტყის ყავისფერი ნიადაგები

15) ტყის ყავისფერი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე და საშუალო თიხნარი;

16) იგივე, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ხირხატიანი.

2. ტყის ყომრალი ნიადაგები

17) ტყის ყომრალი, საშუალო და დიდი სისქის, თიხნარი და თიხიანი, უმეტესად ხირხატიანი;

18) იგივე, მცირე სისქის, ხირხატიანი;

19) ტყის ყომრალი ათვისებული (ტყე-მდელოს), მძიმე თიხნარი და თიხიანი;

20) ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები და ქანების გაშიშვლებანი.

თბილისის მიდამოებში გავრცელებული ნიადაგების მაგალითებზე მოკლედ დავახასიათებთ ზემოთ ჩამოთვლილი ნიადაგების ტიპებს.

ᲬᲐᲑᲚᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘ

წაბლა ნიადაგებს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს თბილისის მიდამოების აღმოსავლეთ ნაწილში—სამგორის ველზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში—სოღანლუღის ველზე; განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ეს ნიადაგები გვხვდება უშუალოდ თბილისის ფარგლებში—მტკვრის ორივე მხარეზე.

წაბლა ნიადაგები გავრცელებულია ვაკე რელიეფის პირობებში—მდინარეთა ძველ ტრასებზე და ნაწილობრივ ფერდობების შლეიფებზე ძველ ალუვიურ და ლოესისებრ ნაფენებზე. ამ ნიადაგებს უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს საშუალო ან მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობა და ძლიერი კარბონატულობა.

თბილისის მიდამოების ზემოთ დასახელებული საზღვრების ფარგლებში, განსაკუთრებით სამგორის ველზე, მეტი გავრცელება აქვს საშუალო ტიპის წაბლა ნიადაგებს, რომლებშიც ჰუმუსიანი და გარდამავალი ფენების სისქე 30—40 სმ, ხოლო ჰუმუსის რაოდენობა ზედა ფენაში 2,0—2,5% უდრის. უმეტეს ნაწილში ამ ნიადაგების მორწყვა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობის შემდეგ; მორწყვის გავლენა მათ დიდად არ ემჩნევა. უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს მორწყვას სოღანლუ-

ღის ველზე, სადაც წაბლა ნიადაგებს შორის მეტი ფართობი უჭირავს მუქ წაბლა ნიადაგებს და განსაკუთრებით კი სუსტად ბიცობიან და სუსტად დამლაშებულ წაბლა ნიადაგებს. მუქ წაბლა ნიადაგებში შედარებით დიდია ჰუმუსიანი ფენების სიღრმე და, მაშასადამე, ჰუმუსის რაოდენობაც (2,5—3,0%); ნაკლებია ზედა ფენებში კარბონატების შემცველობა.

სუსტად ბიცობიანი წაბლა ნიადაგები გამოირჩევა მეორე ფენის შემკვრივებული აგებულებით, უფრო მძიმე შედგენილობით და ბელტოვანი სტრუქტურით; ქვედა ფენებში ზოგან საკმაოდ დიდია ხსნადი მარილების რაოდენობა.

მოგვყავს წაბლა (№ 6) და მუქი წაბლა სუსტად ბიცობიანი (№ 13) ნიადაგების დამახასიათებელი ჭრილების აღწერა და ზოგიერთი ანალიზური მონაცემები.

ჭრ. № 6. სამგორის ვაკე, ორხევის მიდამოებში.

ჰორ. A (0—16 სმ)—მუქი მურა ფერის, წვრილი კოშტოვანი სტრუქტურის, ფხვიერი, თიხნარი, მრავალი ფესვით, სუსტად შხუის;

ჰორ. B (16—38 სმ)—მურა-წაბლისფერი, სუსტად გამოსახული კოშტოვანი სტრუქტურით, მომკვრივო, მძიმე თიხნარი, შხუის;

ჰორ. C (38—68 სმ)—მურა-მოჩალისფრო, სუსტად გამოსახული სტრუქტურით, მომკვრივო, ლიოსისებრი თიხნარი $CaCo_3$ მრავალი „თვლებით", ძლიერ შხუის;

ჰორ. D (68—107 სმ და ქვევით)—ლიოსისებრი თიხნარი, თაბაშირის კრისტალებით, ძლიერ შხუის.

ჭრ. № 13. სოღანლუღის ველი, სოფ. კუმისის მიდამოებში.

ჰორ. A (0—11 სმ)—მუქი მურა ფერის, კოშტოვანი სტრუქტურის საკმაოდ ფხვიერი, მძიმე თიხნარი,მრავალი ფესვით, სუსტად შხუის;

ჰორ. B (14—32 სმ)—არათანაბარი, წაბლისფერი, კოშტოვან-ბელტოვანი სტრუქტურის, საკმაოდ მკვრივი, მძიმე თიხნარი, საშუალოდ შხუის;

ჰორ. B/C (32—48 სმ)—არათანაბარი წაბლისფერი, სუსტად გამოსახული კოშტოვანი სტრუქტურის, მომკვრივო, $CaCo_3$ იშვიათი „თვლებით", მძიმე თიხნარი, ძლიერ შხუის;

ჰორ. C (48—62 სმ)—მოჩალისფრო, სუსტად გამოსახული სტრუქტურის, მომკვრივო, $CaCO_3$ მრავალი „თვლებით", ძლიერ შხუის;

ჰორ. D (62—98 სმ—და ქვევით) — მოჩალისფრო, უსტრუქტურო ლიოსისებრი თიხნარი, მომკვრივო, ძლიერ შხუის.

ცხრ. 1

წაბლა ნიადაგებში ჰუმუსის, აზოტის და $CaCO_3$ შემცველობა (% %-ით)

ნიადაგი	ფენა სმ-ში	ჰუმუსი	აზოტი	$CaCO_3$
№ 6 წაბლა ნიადაგი	0—8	2,16	0,21	4,24
	18—29	1,42	0,14	12,45
	48—57	0,51	0,06	20,31
	90—102	—	—	14,95
№ 13 მუქი წაბლა ნიადაგი	0—10	2,72	0 23	
	20—31	1,81	0,16	4,70
	50—60	0,80	0,10	16,51
	82—95	—	—	17,38

მოყვანილი აღწერილობა და ანალიზური მონაცემები ადასტურებენ წაბლა ნიადაგების ზემოთ მოცემულ დახასიათებას. ორივე ჭრილში ჩვენ ვხედავთ კარბონატების დაგროვებას დიდი რაოდენობით ქვედა ფენებში და მეორე ფენის გამკვრივებას სუსტად ბიცობიან წაბლა ნიადაგში. ქვედა ფენებში კარბონატების დიდი რაოდენობით დაგროვებას მოწმობენ ანალიზური მონაცემებიც; როგორც ირკვევა, კარბონატების მეტი რაოდენობა ახასიათებს წაბლა (საშუალო წაბლა) ნიადაგს, შედარებით მაღალია მათი გამორეცხილობა მუქ წაბლა ნიადაგში; ამ ნიადაგში, გასაგებია, გაცილებით მეტია ჰუმუსი და შესაბამისად აზოტის რაოდენობაც.

სოღანლუღის ველის სუსტად ბიცობიანი ნიადაგის დამლაშებას ქვედა ფენებში ადასტურებენ წყლის გამონაწურის ანალიზის მონაცემები. ქვედა ფენებში მარილების საერთო რაოდენობა (მშრალი ნაშთი) 0,984—1,728% ფარგლებში მერყეობს, რაც დამლაშების სუსტსა და საშუალო ხარისხს მოწმობს. მარილებში ჭარბობს სულფატები (ნატრიუმის სულფატები), ქლორიდები კი მცირეა. ნიადაგის ბიცობიანობას ადასტურებს მეორე და მესამე ფენის გადიდებული საერთო ტუტიანობა.

წაბლა ნიადაგების უმეტესი ფართობი გამოყენებულია მარცვლეული კულტურებისათვის, ხოლო სარწყავ პირობებში ბოსტნეული კულტურების, ხეხილისა და ვენახებისათვის. ხეხილი და ვენახი

ცუდად ხარობს ბიცობიან და დამლაშებულ წაბლა ნიადაგებზე.

ცხრ. 2

ხუსტად ბიცობიანი წაბლა ნიადაგის წყლის გამონაწურის მონაცემები (%%-ით)

(დ. გუდევანიშვილის მიხედვით)

ნიადაგი	ფენა სმ ში	მკვრივი ნაშთი	სერთო ტუტ-ნობა	Cl	SO_3	CaO
სუსტად ბიცობიანი წაბლა ნიად. სოღანლუღის ველზე	0—6	0,154	0,032	0,002	ნიშნ.	ნიშნ.
	10—15	0,153	0,075	0,013	„	0,009
	30—40	0,400	0.061	0,133	0,040	0,013
	70—80	0,934	0,012	0,131	0,386	0.014
	100—110	1,726	0,059	0,131	0,814	0,148

ჰაეის დიდი სიმშრალის გამო მორწყვა აუცილებელი წინაპირობაა წაბლა ნიადაგებზე მაღალი მოსავლის მისაღებად. ხანგრძლივი რწყვის შედეგად წაბლა ნიადაგებს ზოგან საკმაოდ აქვთ შეცვლილი პირვანდელი სახე და წარმოდგენილი არიან კულტურულ-სარწყავი ვარიანტების სახით.

სარწყავ წაბლა ნიადაგებზე განსაკუთრებით დიდია ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანობა; მინერალური სასუქებიდან დიდ ეფექტს იძლევა აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქების ერთად შეტანა.

დამლაშებული ნიადაგები

დამლაშების მეტი ხარისხი ახასიათებს მლაშობ ნიადაგებს, რომელთაც, როგორც ადრე ითქვა, საკმაოდ დიდი ფართობი უკავიათ სოღანლუღის ველის სამხრეთ ნაწილში კუმისის ტბასთან. ამ ველის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ფართობი უკავია აგრეთვე ბიცობიან ნიადაგებს. ზემოთ აღწერილ სუსტად ბიცობიან წაბლა ნიადაგებთან შედარებით, ისინი გამოირჩევიან უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობით, საშუალო ფენების დიდი სიმკვრივით და უარყოფითი ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, რაც მკვეთრ გავლენას ახდენს ამ ნიადაგების ნაყოფიერებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათ გამოყენებაზე.

ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესების საქმეში კარგ შედეგს იძლევა კომპლექსური მეთოდის გამოყენება—ღრმა მელიორაციული მოხვნა, მოთაბაშირება გაჯის გამოყენებით, ბალახების თესვა და სასუქების შეტანა.

გაჯიანი ნიადაგები. თბილისის მიდამოების ველიან ზონაში, კერძოდ სამგორის ვაკეზე და სოღანლუღის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში წაბლა ნიადაგებს შორის დიდი ფართობი უჭირავს ე. წ. ნეშომპალა-სულფატურ ანუ გაჯიან ნიადაგებს. ამ ნიადაგების თავისებურ სახეს განსაზღვრავს, ჩვეულებრივ, ჰუმუსიანი ფენების მცირე სისქე (5—25 სმ.) და ზედაპირთან ახლოს გაჯის ფენის არსებობა, რომელსაც ახასიათებს თაბაშირის ძალიან დიდი შემცველობა, ხშირად 40—70% და მეტიც. გაჯის ფენის სისქე უმეტესად 1,0—2,5 სმ უდრის. მოგვყავს გ. კ. ახვლედიანის შემდეგი მონაცემები სამგორის გაჯიანი ნიადაგისათვის.

ცხრ. 3

გაჯიან ნიადაგში თაბაშირის შემცველობა (% %-ით)

ფენა სმ-ში	SO_4	$CaSO_4$
0—10	0,23	0,41
30—40	0,23	0,51
60—70	30,75	55,04
90—100	29,21	52,29
140—150	12,18	21,81
180—190	1,84	3,29

ცხრილი გვიჩვენებს თაბაშირის განსაკუთრებით დიდ შემცველობას 60—100 სმ სიღრმეზე.

გაჯიანი ნიადაგების წარმოშობას გ. კ. ახვლედიანი უკავშირებს წინამორბედ მდელოს—მლაშობ სტადიაზე ძლიერ მინერალიზებული გრუნტის წყლების გავლენას და აგრეთვე თაბაშირის შემოტანას წყლებით იალონის და სხვა ქედების მოსაზღვრე ფერდობებიდან. დადაბლებულ ადგილებში გაჯიანი ნიადაგები ტბური წარმოშობისაა და მოწმობენ აქ წარსულში სულფატური მლაშობების არსებობას.

მცირე სისქის გაჯიანი ნიადაგების უმეტესი ნაწილი არ იყო გამოყენებული სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ჩატარებული ცდების შედეგად (გ. კ. ახვლედიანი) სამგორის ველზე დადგენილია მათი გამოყენების შესაძლებლობა მორწყვისა და მაღალი აგროტექნიკის პირობებში მრავალწლიანი

(ვენახი, ხეხილი) და მარცვლეული კულტურებისათვის. ბევრად უფრო ხელსაყრელი ფიზიკური თვისებები, ჰუმუსის და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა ახასიათებს საშუალო სისქის გაჯიან ნიადაგებს; ჰუმუსიანი ფენების სისქე აქ 25—50 სმ და მეტსაც აღწევს. ყველა მაჩვენებლებით ეს ნიადაგები მუქ წაბლა და შავმიწა ნიადაგებს უახლოვდება და უმეტესად გამოსადეგია მარცვლეული და სხვა კულტურებისათვის. თბილისის მიდამოებში საშუალო სისქის გაჯიან ნიადაგებს მეტი ფართობი უკავია, ვიდრე ამავე სახის მცირე სისქის ნიადაგებს.

გაჯიანი ნიადაგების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებებია ღრმა მოხვნა, ბალახების თესვა, ნაკელის და მინერალური სასუქების (NP) შეტანა.

მდელოს ყავისფერი და რუხი-ყავისფერი ნიადაგები

მდელოს ყავისფერი და რუხი-ყავისფერი ნიადაგების ზონა თავისებურია ნიადაგურ-კლიმატური, გეობოტანიკური და სხვა პირობების მხრივ. მას, როგორც ადრეც ვთქვით, გარდამავალი საფეხური უჭირავს ზემოთ აღწერილი მშრალი ველისა და მთა-ტყის ზონას შორის.

მდელოს ყავისფერი ნიადაგები. ჩვენს მიერ განსახილველ რაიონში მდელოს ყავისფერ ნიადაგებს ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს დიღმის ვაკეზე, სადაც მათ უფრო ხშირად დიდი სისქე, მძიმე თიხნარი ან თიხიანი შედგენილობა, კარგი სტრუქტურიანობა და კარბონატების მაღალი შემცველობა ახასიათებს. ზოგან (სოფ. ავჭალა) გვხვდება მდელოს ყავისფერი ნიადაგების უფრო მძიმე შედგენილობა და საკმაო შემკვრივება, სუსტ ბიკობიანობასთან დაკავშირებით. დიღმის ვაკეზე ფერდობების ძირში დამახასიათებელია ზოგან აგრეთვე ამ ნიადაგების სუსტი სულფატური დამლაშება.

მდელოს ყავისფერი ნიადაგების წარმოშობას ჩვენ ვუკავშირებთ წარსულ სტადიაზე ჭალის ტყის არსებობას; შემდეგ საფეხურზე ვითარდებოდა ტყის ყავისფერი ტიპის მსგავსი ნიადაგი, ხოლო ამჟამად, ტყის მოსპობასა და საერთო გამშრალებასთან დაკავშირებით, მდელოს ყავისფერი ნიადაგი გაველების პროცესს განიცდის და იღებს წაბლა ნიადაგის მსგავს ნიშნებს.

უმეტეს ნაწილში მდელოს ყავისფერი ნიადაგები სარწყავია.

ცხრ. 4

მდელოს ყავისფერი ნიადაგის ქიმიური და მექანიკური შედგენილობის ზოგიერთი მონაცემები (%%-ით)

ნიადაგი	ფენა სმ-ში	ჰუმუსი	აზოტი	$CaCO_3$	შთანთქმული ფუძეები მ. ეკვ. Ca	Mg	ჯამი	<0,001	ჯამი <0,01
მდელოს ყავისფერი (დიღმი)	0—10	3,69	0,24	არ არ.	34.75	4,75	38,50	32,62	51,90
	30—40	1.43	0,16	2,66	27,40	5,33	32,73	31,03	50.10
	75—85	1,21	0,13	5,06	26,70	3,25	29.95	27,31	44,70
	130—140	—	—	9,12	25 05	3,00	28,05	19,13	38,68

ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოწმობენ ზედა ფენაში ჰუმუსის და აზოტის საშუალო რაოდენობას, მაგრამ არც ღრმა ფენებშია (75—85 სმ) მათი შემცველობა დაბალი, რაც მორწყვის გაელენით არის გამოწვეული და მდელოს ყავისფერი ნიადაგებისთვისაა უფრო ხშირად დამახასიათებელი. ახლო წარსულში ტყის გაველენით და მორწყვით უნდა იყოს გამოწვეული განხილულ ნიადაგში კარბონატების სიმცირე, რომელთა რაოდენობა, როგორც ვხედავთ, არ აღემატება 5,06%, ხოლო ზედა ფენაში სულაც არ მოიპოვება. საკმაოდ დიდია ამ ნიადაგში შთანთქმული კათიონების შემცველობა, რაც შეესაბამება ლამისა და კოლოიდური ნაწილაკების (<0,001 მმ) რაოდენობას. მექანიკური შედგენილობით, როგორც გვიჩვენებს <0,01 მმ ნაწილაკების ჯამი, ეს ნიადაგი ზედა ფენებში მძიმე თიხნარს, ხოლო ღრმა ფენებში საშუალო თიხნარს მიეკუთვნება.

მდინარე მტკვრის ქვედა ტერასებზე, აგრეთვე გლდანის, ავჭალის და სხვა მდინარეთა ხეობებში

მდელოს ყავისფერ ნიადაგებს ცვლიან ალუვიური მდელოს, უფრო ხშირად მცირე სისქის და ხირხატიანი ნიადაგები. ამ ნიადაგებს უმეტესად თიხნარი ან ქვიშნარი შედგენილობა და ზედაპირიდანვე კარბონატულობა ახასიათებს.

დიღმისა და სხვა ვაკეების მდელოს ყავისფერ და ალუვიურ ნიადაგებს დიდი გამოყენება აქვს მარცვლეული და ბოსტნეული კულტურებისათვის, აგრეთვე ხეხილისა და ვენახებისათვის. მაგალითად, ვენახებს ვრცელი ფართობი უჭირავს დიღმის ვაკის დასავლეთ ნაწილში.

მდელოს ყავისფერი ნიადაგების გამოყენების და მასზე მოსავლიანობის გადიდების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს მორწყვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა; დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქარსაფარი ზოლების გაშენებას.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები. რუხი-ყავისფერი (რუხი-წაბლა) ნიადაგები გავრცელებულია თელეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე და თბილისის მიდამოების ჩრდილოეთ ნაწილში — თბილისის „ზღვისაკენ", ყეენის, ძეძვისა და სხვა. ფერდობებზე, აგრეთვე ავჭალისაკენ — გლდანის და ხევძმარის ხეობათა წყალგამყოფ მთისწინების ზოლში. ყველა მახვენებლებით რუხი-ყავისფერი ნაადაგები ტყის ყავისფერ ნიადაგებს უახლოვდება, მაგრამ მათთან შედარებით აქ უფრო მეტად არის გამოსახული ყაველების პროცესი, რის გამოც გარეგნული ნიშნებით, ქიმიური შედგენილობით და სხვა მონაცემებით მათ წაბლა ნიადაგების მსგავსი სახე ახასიათებს. მაშასადამე, რუხ-ყავისფერ ნიადაგებს ყარდანავალი საუეხური უჭირავს ტყის ყავისფერსა და წაბლა ნიადაგებს შორის. ამით აიხსნება, რომ ადრე (პროფ. ს. ზახაროვი და სხვ.). ისინი „რუხი-წაბლა" ნიადაგების სახელწოდებით იყენენ ცნობილი.

ამ ნიადაგებს საკმაოდ დიდი სავადასხვაობა ახასიათებს მექანიკური შედგენილობის, ხირხატიანობის, სისქის და სხვა მხრივ. უფრო ხშირად ისინი თიხნარი შედგენილობისაა, ხირხატიანია და საშუალო ან მცირე სისქის; ისევე როგორც წაბლა ნიადაგებში, დიდია აქ კარბონატების შემცველობა, ჰუმუსის რაოდენობა კი 3—4% იშვიათად აღემატება.

სრული სახის რუხი-ყავისფერი ნიადაგები განვითარებულია შედარებით დაბალი მთისწინების ზოლში დამრეც ფერდობებზე, ქვიშაქვების გამოფიტვის ლიოსისებრ პროდუქტებზე ან დელუვიურ-პროლუვიურ ნაფენებზე.

ზოგან ეროზიული პროცესების ძლიერი განვითარების გამო ციცაბო ფერდობებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც მოსპობილია ბუჩქნარი და სხვა მცენარეულობა, რუხი ყავისფერი ნიადაგები ძალზე მცირე სისქისაა, ძლიერ ხირხატიანი და ალაგ-ალაგ ძლიერ ჩამორეცხილი, აქა-იქ ზედაპირზე გაშიშვლებული ქანებით. ასეთია, მაგალითად, თელეთის ქედის აღმოსავლეთი ფერდობის რუხი-ყავისფერი ნიადაგების დიდი ნაწილი.

თავისი შედგენილობით და გამოყენებითი თვისებებით, რუხი-ყავისფერი ნიადაგები ემსგავსება, ერთის მხრივ, ტყის ყავისფერ ნიადაგებს, მეორეს მხრივ, ზემოთ აღწერილ წაბლა ნიადაგებს, ამიტომ მათ დახასიათებაზე აქ აღარ შევჩერდებით.

მთა-ტყის ნიადაგები

თავისებური ბუნებრივი პირობების გამო, თბილისის მიდამოების ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მრავლადაა მთა-ტყის ნიადაგები. ამ ნიადაგთა შორის უმეტესი გავრცელება ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აქვს მთიანი ტყეების ქვედა სარტყლისათვის დამახასიათებელ **ტყის ყავისფერ** ნიადაგებს; მხოლოდ დასავლეთ ნაწილში, რომელსაც უფრო მაღალი მდებარეობა უჭირავს (ტაბახმელა, კოჯორი, კიკეთი, ბევრეთი და სხვ.), ტყის ყავისფერ ნიადაგებს ცვლიან **ტყის ყომრალი** ნიადაგები.

მთა-ტყის ზონაში დიდი ხვედრითი ადგილი უჭირავს **სუსტად განვითარებულ, მცირე სისქისა** და ზოგან **ძლიერ ჩამორეცხილ** ნიადაგებს, ალაგ-ალაგ ზედაპირზე ქანების გაშიშვლებით.

ტყის ყავისფერი ნიადაგები. ტყის-ყავისფერ ნიადაგებს თბილისის მიდამოებში დიდი ფართობი უკავიათ მთისწინების და დაბალმთიან ზოლში — დიღმის წყლის, ვერას, ვარაზისხევის, ლელვთახევის, გლდანის, ხევძმარის და სხვა ხეობებში, სადაც ქვიშაქვების და სხვა ქანების გამოფიტვის კარბონატული პროდუქტები და ლიოსისებრი ნაფენებია გავრცელებული. შედარებით დამრეც, გადაურეცხავ ფერდობებზე ტყის ყავისფერი ნიადაგები გამოირჩევიან უმეტესად საშუალო სისქით, კარგად გამოსახული ჰუმუსიანი ჰო-


თბილისის მიდამოების
ნიადაგების დარაიონების სქემა
1:25000
ქ.თბილისი
პირობითი ნიშნები:
I. ბარული ეროვნების ზონა
II. ეროვნული და მთიანეთის
მარადმწვანე ნიადაგების
ზონა
III. ფთა-ფუთის ნიადაგების ზონა

რიზონტით და მისი სტრუქტურით; ნახშირმჟავა კირი ამ ნიადაგის ზედა ფენებში ხშირად არ მოიპოვება, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით ახასიათებს ნიადაგის ქვედა ფენებს და დედაქანის გაშოფიტვის ქერქს ან ქვაფენილ ლიოსისებრ ქანს. მექანიკური შედგენილობის მხრივ ტყის ყავისფერი ნიადაგები უმრავლეს შემთხვევაში საშუალო ან მძიმე თიხნარებს წარმოადგენენ ხირხატის სხვადასხვა შემცველობით.

ასეთი სურათი გვიჩვენა ვარაზისხევში ჯაგნარით დაფარულ ფერდობზე ტყის ყავისფერი ნიადაგის ჭრილმა (ჭრ. 3).

ჰორ. A_1 (0—10 სმ)—მუქი ყავისფერი, ძლიერ ფესვებიანი, ფხვიერი, მტვრიან-კოშტოვანი, მძიმე თიხნარი, არ შხუის;

ჰორ. A_2 (10—32 სმ)—უფრო ღია ფერის, ნაკლებად ფესვებიანი, ფხვიერი, მტვრიან-კოშტოვანი სტრუქტურის, მძიმე თიხნარი, ქანის ერთეული ნატეხებით, შხუის;

ჰორ. B (32 – 52 სმ)—მორუხო ფერის, სუსტად სტრუქტურიანი, მძიმე თიხნარი, ძლიერ შხუის;

ჰორ. C (52 – 75 სმ)—მორუხო, უსტრუქტურო, თიხნარი, ქანის მრავალი ნატეხით, უძლიერესად შხუის;

ჰორ. C/D (75 – 110 სმ)—ნახევრად გამოფიტული ფიქლის მასა; ძლიერ შხუის ნატეხების ზედაპირზე; უფრო ღრმად – თიხა-ქვიშიანი ფიქალი.

ქვემოთ ცხრილში მოგვყავს ტყის ყავისფერ ნიადაგებში ჰუმუსის, აზოტის, კარბონატებისა და შთანთქმული ფუძეების განსაზღვრის შედეგები.

ცხრილი 5

ტყის ყავისფერ ნიადაგებში ჰუმუსის, აზოტის და $CaCO_3$ შემცველობა (% %-ით) და შთანთქმული ფუძეების შედგენილობა

ნიადაგი	ფენა სმ ში	ჰუმუსი	აზოტი	$CaCO_3$	შთანთქმული ფუძეები მ. ეკვ.		
					Ca	Mg	ჯამი
№ 3, ვარაზის ხევი	0 – 10	5,83	0,41	არ არ	34 50	4,33	38,83
	17—26	3,51	0,24	1,18	38,30	4,58	42,83
	32—43	1.04	—	14,07	—	—	—
	55 – 65	0.59	—	17.24	26,05	3 41	29.46
№ 19, დილომი	0—10	4,69	0,29	არ არ	33.75	4.75	38,50
	30—40	1.43	0,18	2.66	27.40	5,33	32,73
	75—85	1,21	0,15	5,06	26,70	3,25	29.95

ეს მონაცემები გვიჩვენებენ № 3 ჭრილში ჰუმუსის საკმაოდ დიდ შემცველობას და მის თანდათანობით დაცემას ქვედა ფენებში, რაც საერთოდ ტყის ყავისფერი ნიადაგებისათვის არის დამახასიათებელი. შედარებით უფრო ნაკლებია ჰუმუსი მეორე ჭრილში (№ 19); ჰუმუსს შეესაბამება აზოტის შემცველობაც. კარბონატების რაოდენობა, როგორც ვხედავთ, დიდია № 3 ჭრილის ქვედა ფენებში და ბევრად მცირეა დილმის ტყის ყავისფერ ნიადაგში.

შთანთქმული ფუძეების მონაცემებიც იძლევიან ტყის ყავისფერი ნიადაგებისათვის ტიპობრივ სურათს—შთანთქმის დიდ ტევადობას (შთანთქმული ფუძეების ჯამს), განსაკუთრებით ჰუმუსიან ფენებში, და ფუძეთა შორის კალციუმის ძირითად როლს.

ტყის ყავისფერი ნიადაგები ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება და ხელსაყრელია ხეხილის, ვაზის, მარცვლეული და სხვა კულტურებისათვის. რელიეფის პირობების შესაბამისად ეს ნიადაგები ძირითადად ურწყავია. მაგრამ ტყის ყავისფერი ნიადაგების გავრცელების ზონაში მიმდინარეობს ძლიერი ეროზიული პროცესები, რის გამო უფრო ხშირად ვხვდებით მცირე სისქის, სუსტად განვითარებულ და ხშირად ძლიერ ხირხატიან ნიადაგებს. ზოგან კი ნიადაგი ძლიერ არის ჩამორეცხილი და ზედაპირზე დაუშლელი ქანიცაა გაშიშვლებული. ასეთი ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები გვხვდება უშუალოდ თბილისში დავითის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე, ძეძვის, მახათის მთების ფერდობებზე და სხვ.

ეროზიული პროცესების ძლიერ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი თბილისის მიდამოებში ახლო წარსულში ტყეების მოსპობამ და ნიადაგის არაწესიერმა გამოყენებამ.

ტ ყ ი ს ყ ო მ რ ა ლ ი ნ ი ა დ ა გ ე ბ ი. ამ ნიადაგების გავრცელების არეები ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ტყის ყავისფერ ნიადაგებთან შედარებით, ტყის ყომრალი ნიადაგები გამოირჩევიან ნაკლები სისქით, დიდი ხირხატიანობით, კარბონატების უქონლობით და უფრო ხშირად სუსტი მჟავე რეაქციით. მეტი ფართობი უჭირავს ვულკანური და დანალექი ქანების განოფიტვის მონატეპროდუქტებზე განვითარებულ საშუალო სისქის ხირსატიან (ხრეშიან) ტყის ყომრალ ნიადაგებს. ამ ნიადაგებს ახასიათებს უმეტესად მძიმე თიხნარი ან თიხიანი შედგენილობა, აგრეთვე ტყიან ადგილებში კარგად გამოსახული ჰუმუსიანი ჰორიზონტის და ტყის მკვდარი საფარის არსებობა. შედარებით ნაკლები ადგილი უკავია მცირე სისქის, ზოგან სუსტად განვითარებულ ტყის ყომრალ ნიადაგებს.

საკმაოდ დიდ ფართობზე (ტაბახმელა-კოჯორი-წავკისი) ტყის ყომრალი ნიადაგების გავრცელების არეებში ტყე აღარ არის და ნიადაგი გამოყენებულია მარცვლეული და სხვა კულტურების მოსაყვანად. ეს ნიადაგები ცნობილია ტ ყ ი ს ყ ო მ რ ა ლ ი ა თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი ს (ტყე-მდელოს) სახელწოდებით და მათში აშკარად არის გამოსახული კორდიანი პროცესის განვითარება.

როგორც საერთოდ მთა-ტყის ზონაში, ტყის ყომრალ ნიადაგებს შორისაც საკმაოდ დიდი გავრცელება ცალკე ლაქების სახით აქვს სუსტად გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ დ ა ძ ლ ი ე რ ჩ ა მ ო რ ე ც ხ ი ლ ნიადაგებს, ალაგ-ალაგ ზედაპირზე ქანების გაშიშვლებით.

ტყის ყომრალ ნიადაგებს თბილისის მიდამოების ჩვენს მიერ განხილულ საზღვრებში დიდი ხვედრითი ადგილი არ უჭირავს და ამიტომ მათ დახასიათებაზე ვრცლად არ შეეჩერდებით.

თბილისის მიდამოების ნიადაგური დარაიონება

თბილისის მიდამოების სხვადასხვა ნაწილში, მათი რელიეფის, კლიმატური, ჰიდროლოგიური და სხვა პირობების შესაბამისად, სხვადასხვა ნიადაგების გავრცელება საფუძველს გვაძლევს ზემოთ დასახელებული ზონების მიხედვით გამოვყოთ შემდეგი მიკრორაიონები.

მშრალი ველების ზონა

1) სამგორის ვაკის წაბლა და გაჯიანი ნიადაგების მიკრორაიონი;

2) სოღანლუღის ველის წაბლა, გაჯიანი, ბიცობიანი და მლაშობი ნიადაგების მიკრორაიონი.

ვაკეებისა და მთისწინების გარდამავალი ნიადაგების ზონა

3) დიღმის ვაკის მდელოს ყავისფერი და ალუვიური ნიადაგების მიკრორაიონი;

4) ქვემო ავჭალის და ხეევმარის ხეობის იმავე ნიადაგების მიკრორაიონი;

5) მტკვრის ხეობის ალუვიური მდელოს ნიადაგების მიკრორაიონი;

6) ავჭალა-ძეგვის რუხი ყავისფერი და ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგების მიკრორაიონი;

7) თელეთის ქედის (თელეთ-კუმისის) იგივე ნიადაგების მიკრორაიონი.

მთა-ტყის ნიადაგების ზონა

8) ავჭალა-ყენის ტყის ყავისფერი ნიადაგების მიკრორაიონი;

9) დიღომ-თხინვალის ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი;

10) წყნეთ-შინდისის ავჭალა-ძეგვის ტყის ყავისფერი ნიადაგების მიკრორაიონი;

11) კოჯორ-ტაბახმელას ტყის ყომრალი ნიადაგების მიკრორაიონი.

გამოყოფილი რაიონების (მიკრორაიონების) სახით ჩვენ ვგულისხმობთ ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილს, რომელსაც ბუნებრივი პირობების (ზედაპირი, ჰავა, მცენარეულობა, ნიადაგები და სხვ.) გარკვეული კომპლექსი და ამავე დროს ნიადაგების გარკვეული აგროსაწარმოო (გამოყენებითი) მაჩვენებლები ახასიათებს.



ნიკო კეცხოველი

თბილისისა და მისი მიდამოების მცენარეულობის წარსული და აწმყო

თბილისის დაარსებასთან ლამაზი ლეგენდაა დაკავშირებული: ვახტანგ გორგასალი დაბურულ ტყეში ნადირობდა და ხოხობი დასჭრაო, ტყეში პატარა მდელოზე გავიდნენ, სადაც ცხელი წყარო მოდიოდა და ხოხობი შიგ ჩავარდნილიყო...

იქ, სადაც ვახტანგი ნადირობდა, დღეს უკვე ტყის ნასახი აღარაა.

თბილისის მიდამოების მცენარეულობა, ისე როგორც მთელი საქართველოსი, იცვლებოდა ბუნებრივი განვითარებისა თუ გარეშე პირობების ზეგავლენის შედეგად; მცენარეულობის ერთი ჯგუფი ადგილს უთმობდა მეორეს. ეს ზეგავლენა-განვითარება, და ბუნებრივ პირობათა მრავალფეროვნება—როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მდებარეობა სხვადასხვა პუნქტებისა (300—1800 m), ერთის მხრივ, ისე ისტორიული და გეოლოგიური წარსული, მეორეს მხრივ, და სხვ. აპირობებდნენ მცენარეული საფარის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ახლა გვაქვს.

ამჟამად თბილისის მიდამოებში აღინიშნება მცენარეულობის შემდეგი ჯგუფები:

ნახევარუდაბნოს მცენარეულობა, (აბზინდიანი, ყარღანიანი, ხურხუმიანი და სხვ.), ველის მცენარეულობა (ურიანი, ვაციწვერიანი, წივანიანი, ნაირბალახოვანი და სხვ.), კლდეთა ქსეროფიტები (ბეგქონდარიანები, ვაციწვერიანები). კლდეთა ქსეროფიტი-ბუჩქნარები (ნარეკლიანები, შავჯაგიანები, ძეძვიანები, გრაკლიანები და სხვ.), ნათელი ტყეები (საკმლისხიანი, აკაკიანი, ღვიიანი, მუხნარ-საკმლისხიანი და სხვ.), ჯაგეკლიანი ველები, მთის კალთების მუხნარები, მუხნარ-რცხილნარები, წიფლნარები, წიფლნარ-რცხილნარები, ბზიანები, ჭალისტყეები (ტირიფნარები, ვერხვნარები, თელნარები, დაბლობის მუხნარები, ქაცვიანები და სხვ.), მდელოები (ჭანგიანები, გლერტიანები), ჭაობის მცენარეულობა, წყლის მცენარეულობა და სხვ.

ასეთი ფიტოცენოლოგიური მრავალფეროვნება ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რომელსაც ვიხილავთ (1800 კვ/კლ) ბევრგან არ გვხვდება. საინტერესოა ვიცოდეთ წარსულშიც, თუნდაც ამ 1500 წლის წინათ, ამდენივე იყო მცენარეულობის ტიპები, თუ ეს შემდგომი განვითარების პროდუქტია?

ვფიქრობ, რომ ფიტოცენოლოგიური ტიპების რაოდენობაში დიდი ცვლილება არ მომხდარა. გვაქვს ისტორიული ცნობები, რომლითაც დას-

ტურდება, რომ თბილისის ახლო მახლო ადგილებში დაახლოებით იმავე ტიპის მცენარეულობის ჯგუფები იყო გავრცელებული, როგორიც დღეს გვაქვს.

ასე მაგალითად, მეათე-მეთერთმეტე საუკუნის ერთ-ერთ წყაროში (5) ვკითხულობთ:

„ხოლო, ვითარცა მიიწივნეს პირველ თქმულსა მას უდაბნოსა, შეიშთობოდეს წყურვილითა და თანაც სიცხითა შეიწუებოდნენ, რამეთუ ეს ადგილი მძაფრად შეშწველი არს მზისა მცხუნვარებითა მიერ ზედ მოფენილითა; ვინაითგან ვორიოსა კერძოდ მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავლეთისა სანახებთა სიცხისა მიერ შეიწვების, რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკლულევან არს და სხვათა ყოველთაცვე სხეულისა ნუგეშინის მცემელთა სახმართაგან“.

„...და ვითარცა მიიწივდეს უდაბურსა და ურწყულსა, მოეწყურა მათ ფრიად და პოვეს მცირე წყალი შეკრებილი წვიმისაგან ნაპრალსა შინა კლდისასა და სუეს მისგან და დასხდეს განსუენებად ჩრდილმა რასმე კლდისასა“.

ეს ამონაწერი აგვიწერს გარეჯის უდაბნოს, რომელიც დღესაც თითქმის ასეთია — უდაბური და ურწყული. როგორც ჩანს, ზოგიერთი ცენოზისათვის 500 თუ 1500 წელიწადი ისეთი დრო არა ყოფილა, რომელსაც შეეძლოს ცვლილების გამოწვევა, სამაგიეროდ ზოგი საკმაოდ სწრაფად იცვლება.

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის მიდამოებში ფიტოცენოლოგიური ტიპების რაოდენობა დიდად არ შეცვლილა, სამაგიეროდ ფართობი და კონფიგურაცია ზოგისა ფრიად შეიცვალა.

მოგვეპოვება როგორც ისტორიული წყაროები, ისე საბუთები თვით ბუნებაში, რომლითაც შეიძლება დავადასტუროთ ამა თუ იმ ფიტოცენოლოგიური ტიპის ფართობი რამდენად გაიზარდა ან შემცირდა.

ზემოდასახელებულ წყაროშივე ვკითხულობთ, რომ დავით გარეჯელი (VI საუკუნე) თავდაპირველად დასახლდა თბილისის (ძველი თბილისის) დასავლეთით მდებარე მთის პატარა გამოქვაბულში, რომელიც დაფარული იყო ტყით (ეხლანდელი მამადავითის მთა). დღეს ამ მთის ტყის ნაცვლად გვაქვს ჯაგეკლიანი ველი, ნარეკლიანები, კლდის ქსეროფიტების ჯგუფები და სხვ. თბილისის მიდამოების მცენარეთა სამყაროს შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონიც (1).

„ნაგების აღმოსავლეთით არს ველი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდნენ მეფენი წლითი წლად. ხოლო მტკვრის კიდესა ჭალა დიდი (ხაზი ჩემია—ნ. კ.) სავსე ეშვითა, მშველითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა; ირემი იმყოფის ჟამად. და ჴოკობნი მრავალნი. გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი; ზამთარ თბილი, ხაფხულს გრილი... არ არს აქ წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშენ და აცხობენ“...

„არამედ მთა ესე (სარკინეთი[1]) არს ტყიანი, ღელი ღრანტოიანი, უწყლო, ნადირიანი, თვნიერ ირმისა, ყოველნი“.. „არაგვის დასავლით, ნარეკვავსა ზედა, არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ხოხბითა სავსე“... „ხოლო მუხრანმა მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“. მრავალ ასეთ ამონაწერთა მოტანა შეიძლება. სარკინეთის მთის დასავლეთი ნაწილი უკვე ბუჩქნარითაა დაფარული; ნარეკვავის ჭალის ნაცვლად, უკეთეს შემთხვევაში ჯაგეკლიანი ველია, და ასეთივე თელა, რომელიც სოფ. წილკნის მინდვრებში პატარა ოლესა ქმნის, „დიდი ჭალა მტკვრის კიდესა“ ყარაიაში უკვე ფრიად შემცირებულია, მათ ნიადაგებზე ჯაგეკლიანი ველია ან კულტურული ნაკვეთები.

ძველი ფართობები, უმთავრესად ჭალის ტყისა, ვაკის ტყისა და სხვათა შემცირებულია. გარდა ლიტერატურული წყაროებისა ამაზე მიგვითითებს ის ძველი ტყის ნაშთები (თითო-ოროლა ეული ხე, ბალახეულ საფარში შემორჩენილი ტყის ელემენტი, ნიადაგი — ტყის ელემენტებით და სხვ.). ძველი მეზოფილური ტიპი იცვლებოდა, მცირდებოდა, ღარიბდებოდა ფლორისტულადაც. იქმნებოდა ახალი ცენოლოგიური ტიპი.

თბილისის მიდამოები მდიდარია არა მარტო მცენარეული ტიპებით, არამედ ფლორისტულადაც: საქართველოში 4000 მეტი სახეობაა (4032—4100). აქედან თბილისის მიდამოებში 1643 სახეობა გვხვდება, ე. ი. 40%-მდე (9).

---

[1] სარკინეთი ის მთაა, რომელიც მდ. არაგვსა და ქსანს შორის მდებარეობს, მტკვრის კიდეს.

თბილისის მიდამოების ფლორა მდიდრდებოდა ეგზოტური მცენარეებით. ეს პროცესი დღესაც ინტენსიურად გრძელდება. უკანასკნელ 3 - 4 ათეული წლის განმავლობაში თბილისში და მის რაიონებში დაიწყო დეკორაციული მცენარეების (და არა მარტო დეკორაციულის) ფართოდ შემოტანა სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნებიდან. კულტურულ მცენარეს მოსდევს ველურიც. ბევრი მათგანი, მართალია, იღუპება, მაგრამ ზოგი გადადის ველურ ცენოზში და სახლდება, ეგუება ახალ პირობებს.

თბილისის მიდამონი მდიდარია ენდემური მცენარეებითაც. ესენია:

არმაზის შეინდანწლა (Thelycrenia armazica Sanadze) არმაზის ჭანჭყატა (Evonymus armazica Gatschet.), საგურამოს ფურუსელა (Primula saguramica B. Gaw. Isatis tphilisiensis A. Grossh), საგურამოს ანაგვირილა (Anthemis saguramica D. Sosn.), მაიას იორდას სალამი (Paconia maja N. Ketz.) და სხვა მრავალი.

საქართველოსა და კავკასიისათვის ბევრი დამახასიათებელი ენდემი თბილისის მიდამოებიდან იქნა აღწერილი, ბოლო შემდგომმა კვლევამ გააფართოვა მათი გავრცელების არეალი და თბილისის უახლოეს საზღვრებს გააცილა. საერთოდ საქართველო ცნობილია ენდემიზმით (400-ზე მეტი). კავკასიისათვის დამახასიათებელი 600-ზე მეტი ენდემური მცენარე საქართველოშიც გვხვდება (9).

საქართველოს ფონზე თბილისი განსაკუთრებულად გამოიყურება. კავკასიაში (და არა მარტო კავკასიაში) მეორე ისეთი კუთხე არ არის, სადაც შეიძლებოდეს მიეუთითოთ, ერთის მხრივ, კოლხური ელემენტები: კოლხური სურო (Hedera colchica C. Koch.), თაგვისარა (Ruscus hypophyllum L.), მოცვი (Vaccinium Arctostaphylos L.), მაჯალერი (Daphne caucasica Pall.), იელი (Azalea pontica L), რომელნიც წიფელთან ერთად ტიპიურ კოლხურ ცენოზს ქმნიან (საგურამოს ქედი) და, მეორეს მხრივ, კი შუაზიისა და ირანის უდაბნოს ელემენტები: Gamanthus pilosus Bge., Petrosimonia brachiata (Pall.) Bge., Salsola glauca Mb., Salsola dendroides Pall., Salsola ericoides MB. და მრავალი სხვა, რომლებიც Artemisia Meyeriana-სთან ერთად ქმნიან ტიპიურ ნახევარ უდაბნოსა და უდაბნოს ცენოზებს. ამ ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ტიპებს შორის მთელი გარდამავალი საფეხურები არსებობს, მაგრამ, ნიუხედავად ამისა, ან ორ განაპირა ცენოზს შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობს. მართალია, გვაქვს მთელი რიგი ისეთი ნიშნებისა, რომლითაც დასტურდება, რომ კოლხური ელემენტები და მათ მიერ შექმნილი ცენოზები თანაბედროვე ისტორიულ პერიოდში მცირდება, მაგრამ მათ უახლოეს ნაალაგეზე დღეისათვის, ზემოჩანოთვლილი მცენარეების მონაწილეობით, მლაშნარი უდაბნოს ტიპი არა გვაქვს. ამ ტყის ნაალაგეზე უფრო ხშირია და ტიპიური კლდეთა ქსეროფიტების განვითარება. (კლდეთა ქსეროფიტული ბუჩქნარი, ნარეკლიანი -- ნასპარსეზე. ხერკზე, ზედაზნის წინაკალთებზე და სხვაგან.).

ყოველი ნიშნებით დასტურდება (ისტორიული წყაროები, ტყის ელემენტები ჯაგეკლიანებში და ველის ფრაგმენტებში; ტყის ნიადაგები ან ნიადაგებში ტყის ნიადაგის ელემენტები ველისა, ჯაგეკლიანის, ძეძვიანების და სხვათა გავრცელების არეში და სხვ.), რომ თბილისის დღევანდელი ტერიტორია და მისი მიდამოები ტყით იყო დაფარული. ტყისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო კუმისისა და მლაშე ტბების ის ფართობი, რომელიც ნახევარუდაბნოს მცენარეებით არის და იყო დაფარული, აგრეთვე მწვავე გაჯიანი ციცაბო ფერდონი (3,4).

თბილისის მიდამოები შესანიშნავია იმითაც, რომ მის ახლო-მახლო ტყეებში შემორჩენილია საქართველოს ტყეებისათვის დამახასიათებელი თითქმის ტყის ყველა ცენოზი, სახელდობრ: წიფლნარი კოლხური ელემენტებით (საგურამო—იალნო), წიფლნარი აღმოსავლეთ საქართველოს ტიპისა (კოჯორი-წოდორეთი), რცხილნარი (საგურამო, კოჯორი, წოდორეთი), მუხნარი ქართული მუხისაგან შექმნილი (მთის წინაკალთები), ღვიანი (სარკინეთი, კარსანი), საკმლისხიანი (სარკინეთი), აკაკიანი (კლდოვან ადგილებზე ბევრგან), ბერყენიანი, ჭალის ტყე და სავანი და აგრეთვე ამ ცენოზთა ნაწარმოებნი (ძეძვიანები, ნარეკლიანები და სხვა).

საგურამოს ქედის მწვერვალს ვიწრო ზოლად გასდევს წიფლნარი, რომელიც საკმაოდ მდიდარია კოლხური ელემენტებით. თვითონ წიფელნარი მაღალი, კარგად გამართული ხეებისაგან არის შექმნილი. წიფლის კალთა საკმაოდ შეკრულია.

ქვეტყეში აღინიშნება: იელი, ბაძგი, მაჯაღვერი (Daphne caucasica Pall.), მოცვი, კოლხური სურო და სხვა. ბალახეული საფარი მდიდარია საინტერესო მცენარეებით: Paeonia taurica Salisb., Doronicum macrophyllum DC., Ornithogalum arcuatum Stev., Orobus roseus Led. Smyrnium perfoliatum L. და სხვ. (11).

იქ, სადაც ტყე ნაჩეხია, სახეობათა რაოდენობა მეტია. ასეთ ადგილებში ჩვეულებრივია: წიფელი, რცხილა, ქართული მუხა, პანტა, ნეკერჩხალი, ბოყვი (Acer laetum C. A. M.), თამელი [Sorbus Forminalis (L.) Gr.], ბევრია ქვეტყის ბუჩქიც: თხილი, შვინდი, viburnum lantana L., w. orientale Pall., Lonicera caprifolium L., Leaucasica Pall. და სხვა. მხვიარებიდან გვხვდება კატაბარდა, კოლხური სურო. მდიდარია ბალახეული საფარიც.

თბილისის მიდამოებისათვის დამახასიათებელია, რომ მისი ტყეების უფრო მეზოფილურ ზონაში ადვილად ხდება ძველი კოლხური ელემენტების აღდგენა. ასეთ ელემენტებს უეჭველად ეკუთვნის ბზა (Buxus colchica Pojark.). ბზის საკმაოდ კარგი კორომი საგურამოს ქედზე პირველად აღწერილ იქნა 1928 წ. ნ. ტროიცკის მიერ (11), 1954 წელს კი ჩემ მიერ—სოფ. ჭოპორტის ჩრდილო აღმოსავლეთით, ე. წ. ბზიან-ხევში, სადაც ბზა მოქცეულია მუხნარ-რცხილნარში და უჭირავს 2 ჰექტარამდე ფართობი. ეს ბზიანიც, მსგავსად საგურამოს ქედის ბზიანისა, საკულტო შენობის ირგვლივ გვხვდება.

ხეები ყოველწლიური დაბელვითა და ჩეხვით დაჩაგრულია, (ბზის ტოტი მოქმედ ეკლესიებში აქედან მიჰქონდათ) ყველაზე მსხვილი ხის დიამეტრი 10—15 სმ-ია; აღდგენა შესანიშნავია: ნორჩნარი ზოგან კვ. მეტრზე 500—800 ცალია, 15—20 სმ სიმაღლისანი კი—25—100 ცალი.

ცენოზი შემდეგი შემადგენლობისაა: Quercus iberica Stev. Sp[3], Carpinus caucasica A. Grossh. Sp[1]. Acer campestre L. Sol, Cornus mas L. Sp.[2], Viburnum lantana L. Sp[1]. Buxus colchica Pojark. Sp[9]. Cop[1], Lonicera caprifolium L. Sp[1], L. caucasica Pall. Sp[1]. Hedera Helix L. Sp[1]. და სხვ. ბალახეულობიდან აღინიშნება: Poa nemoralis L., Festuca montana M. B., Melica uniflora Retz., Vicia truncatula M. B., Primula saguramica B. Çawr., Asperula odorata L., Sanicula europaea L. და სხვანი.

ბზიანს ფართობის ზრდის ტენდენცია აქვს. იგი გადასულია სამხრეთის ფერდობებზეც, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქონლის გამუდმებული ძოვებაც საშუალებას არ აძლევს უფრო განზე გავიდეს.

თბილისთან უახლოეს ადგილებში (კოჯორი, წოდორეთის სატყეო) წიფლნარები უფრო გაღარიბებულია, ვიდრე საგურამოსი, კოლხური ელემენტები აქ ისე დამახასიათებელი არაა, როგორც საგურამოს ქედზე. ადამიანის ზეგავლენას, რასაკვირველია, თავისი დაღი დაუჩნევია.

რცხილას აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ზონა აქვს, ესაა წიფლის და მუხის (ქართული მუხის) ზონებს შორის მდებარე სარტყელი. მისი ოპტიმალური განვითარების ადგილსამყოფელია ზღვის დონიდან 800—1000 მ-დან, ვიდრე 1100—1200 მ. სიმაღლემდე. აქაა, ასე ვთქვათ, პირველადი, ტიპიური რცხილნარები, მაგრამ რცხილა ძალიან ადვილად იჭერს წიფლნარის ადგილს. თბილისის მიდამოების რცხილნარები (კოჯორი, წოდორეთი, დიდგორი, სხალთბა, საგურამო) ძირითადად წიფლნარების შემდგომ განვითარებულნი არიან და სწორედ ამიტომაა, რომ ამ ტყეებში სრულიად თავისუფლად შეიძლება შევხვდეთ კოლხეთის ისეთ ელემენტებს როგორიც არიან: Jlex colchica Pojark., Hedera colchica C. Koch., Vaccinium Arctostaphylos L. (საგურამო, იალნო) და სხვანი.

ზონალურად რცხილნარებს, ქვევით მდებარე ქართული მუხის სარტყელი ხშირად უმთავრესად ადამიანის ზეგავლენის შედეგად შენაცვლის ხოლმე რცხილნარს, პირველ ხანებში, თუ გვაქვს რცხილნარ-მუხნარი, მალე იგი მუხნარად ეითარდება ან უფრო ხშირად ჯაგდება (წყნეთი, დიდგორი, საგურამოს წინა კალთები, წოდორეთი და სხვა).

თბილისის მიდამოებში შემორჩენილი გვაქვს ნაძვნარები (წოდორეთი) და ფიჭვნარები (კოჯრის მიდამონი). თუ ფიჭვი (Pinus Sosnowskyi Nakai) აგრესიული ელემენტია და მას შეუძლია ახალახალი ადგილები დაიჭიროს, ნაძვი (Picea orientalis (L.) Link.) მომაკვდავი ელემენტია, მისი ადგილსამყოფელი დაჭერილი აქვს წიფელს და რცხილას.

მ უ ხ ნ ა რ ი ს განვითარების არეალი საკმაოდ დიდია, მას თბილისის მიდამოებში ვერტიკალურად უკირავს ის სარტყელი, რომელიც რცხილნარსა და ქალის ტყის შორის მდებარეობს. თუ მასში აქა-იქ შეჭრილი არ არის ნათელი ტყე (სარკინეთი, კარსნის ხევი, უმთავრესად სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდონი), ანდა მეორადი ურიანი ველი, მუხნარი, რომელიც ქართული მუხისაგან იქმნება, უფრო აქტიურია. ამიტომაცაა, რომ მან ასე სწრაფად შენაცვლა რცხილნარებიც და წიფლნარებიც კი (კოჯორ-მანგლისის შორის მდებარე თრიალეთის ქედზე).

უახლოეს პერიოდში თბილისის ახლო მდებარე მთის ფერდონი, თრიალეთის ქედის წინა კალთები (თელეთის ქედი, თაბარის ქედის, მამადავითის ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ფერდონი წყნეთის აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ფერდონი, ნახშირგორის ქვედა კალთები, ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, საგურამოს ქედის ქვედა ნაწილი და სხვა) დაფარული იყო ქართული მუხნარით, რომელშიაც ურევია აღმოსავლეთ საქართველოს ტყის შემდეგი სახეობანი: იფნი, ნეკერჩხალი, თამელი, პანტა, მაჟალო და ამის მაგვარნი, ნაპირებიდან კი მასში შეჭრილია ბერყენა (Pyrus salicifolia Pall.), ღვია (Juniperus oblonga M. B.). ეს უკანასკნელი გამეჩხრებულ მუხნარის ქვეტყეშიც დიდ მონაწილეობას იღებს. ღვიასთან ერთად, ამ მუხნარში ძეძვიც გვხვდება, მაგრამ ამ უკანასკნელის მონაწილეობა მუხნარში დასახლებულ ტყის ცენოზის გედის სიმღერაა; როგორც ღვია, ისე ბერყენა აღმოსავლეთ საქართველოს ნათელი ტყეების კომპონენტებია (თბილისის მიდამოებში: კარსანი, სარკინეთი, თელეთის ქედის სამხრეთის კალთები, გარდაბანი და სხვ.) და ამიტომ მათი მონაწილეობა ხშირად ნათელი ტყის მოსაზღვრეობის მომასწავებელიცაა. აღრე გაზაფხულზე მთის წინაკალთების ტყეებში, მუხნარში, ჯაგრცხილნარში, რცხილნარში ლამაზად ჰყვავიან ყოჩივარდა (Cyclamen ibericum Stev.), ხარისძირა [Helleborus caucasicus A. Br.], თეთრი ყვავილი [Galanthus caucasicus (Baker) Grossh.], ცისთვალი (Scilla azurea Golob.), ია (Viola odorata L.), Corydalis angustifolia M. B., საგურამოს ფურუსელა (Pr. Saguramica B. Gawr.), ფურუსელა (P. macrocalyx Bge.).

ამ დროს ამ ტყის ნახვას ვერაფერი შეედრება: მაშინ, როდესაც ხეები გაიფოთქებიან ლამაზად მოყვავილენი ქრებიან და მათ შემნაცვლელად უკვე სხვები ჩნდებიან: Fragaria viridis Duch. Geranium Robertianum L., Trifolium pratense L., Poa nemoralis L., Dactylis glomerata L. და სხვანი.

ქართული მუხისაგან შექმნილი ცენოზი უშუალო კონტაქტში იმყოფება თბილისის მიდამოებში არსებულ ნ ა თ ე ლ ტ ყ ე ე ბ თ ა ნ, რომლის შედარებით შენახული ჯგუფები გადარჩენილია კარსანში— არმაზის ქედის სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდოზე და სარკინეთის ქედის სამხრეთის ფერდოზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ადგილი უმთავრესად ღვიიანი ნათელი ტიპის ტყეებითაა დაფარული, ფოთლოვანი ნათელი ტიპის ტყე შემორჩენილია სარკინეთის ქედზე. მხოლოდ შიომღვიმეს მიდამოებში. ეს ნათელი ტყეები ტიპიურნი არიან სამხრეთის ფერდობებისათვის, თუმცა გვხვდება ჩრდილოეთის ფერდოზეც (არმაზის ქედი) და აღმოსავლეთის ფერდოზეც (სარკინეთი-არაგვისაკენ მიქცეული ფერდონი), უფრო სწორად ჩვეულებრივ ჯაგრცხილნარ-მუხნარში შეჭრილი.

ამ ნათელი ტყეებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მასში ქართული მუხის მონაწილეობა, დაახლოებით ისე, როგორც ამას ვამჩნევთ იმ ხევებში გავრცელებულ ნათელ ტყეებში, რომელნიც შირაქიდან ალაზნის ველისაკენ გადიან. (ამ ხევების ტყეებში გვხვდება: საკმლის ხე, აკაკი, ბერყენა, ქართული ნეკერჩხალი, ქართული მუხა, ჯაგრცხილა, თელა, ძეძვი, ცხრატყავა, შვინდი და სხვ.). მუხის, ღვიების და საკმლის ხის (Pistacia mutica F. et M.) გარდა სარკინეთი-შიომღვიმეს მიდამოებში გვხვდება აგრეთვე იფნი, ნეკერჩხალი, ჯაგრცხილა, თელა და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ აქაურ ნათელ ტყისათვის დადასტურებულია საკმაოდ ტიპიურ ღვიიანებში (კარსნის ხევი, სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდო), თვით ღვიის ბუჩქში და მისი გარემო საკმარისად კარგად არის გამოსახული თაგვისარას (Ruscus hypophyllum L.) ფრაგმენტები. ეს მომენტი ამ ნათელ ტყეებს ანსხვავებს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი ნათელი ტყეებისაგან (პანტიშარა, ვაშლოვანი, უფადარი, გარეჯი და სხვ.), ეს ფაქტი

ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში თბილისის უახლოეს მიდამოებში და ღვიანების არეში ფრიად ფართოდ იყო გავრცელებული უფრო მეზოფილური ტყის ტიპები.

ამ ნათელი ტყეების შემქმნელი ღვიებია: Juniperus oblonga M. B., J. sabina L., J. polycarpos C. Koch.

აი ამ ფრაგმენტების დამახასიათებელი სიებიც:

სარკინეთის მთის სამხრეთის ფერდო, შიომღვიმე:

Janiperus polycarpos C. Koch. sp[2]
J. oblonga M.B. sp[2]
J. rufescens Liuk sp[1]
Pistacia mutica F. et M. sp[1]
Quercus iberica Stev. sp [3]
Carpinus orientalis Mill sp[1]
Ulmus foliacea Gilib. sol
Ulmus suberosa Moench. sol
Paliurus spina-Chrsiti Mill. sp[3] Cop[1]
Ruscus hypophyllum L. sp[2]
Ephedra procera F. et M. sp[1]
Rhamnus Pallasii F. et M. sp[1]
და სხვანი.

მცხეთა, კარსნის ხეობა, სამხრეთის ფერდო:

Juniperus polycarpos C. Koch. sp[3]
J. foetidissima N. sp[2]
J. rufescens Link. sp[1]
Celtis caucasica W. sol
Quercus iberica Stev. sol
Carpinus orientalis Mill. sp[1]
Carpinus caucasica A. Grossh. sol.
Paliurus spina-Christi Mill. Cp[1]
Rhamnus Pallasii F. et M. sp[1]
Spiraea hypericifolia L. Cop[2]
Atraphaxis spinosa L. sp[1]
Fraxinus excelsior L. sol
Ulmus suberosa Moench. sp[1]
Lonicera iberica M. B. sp[1]
Ruscus hypophyllum L. sp[1]
Ephedra procera F. et M. sp[2]

ამ ტყეთა მოსპობა და გაჩანაგება ქმნის ჯაგეკლიან ველს-ძეძვიანს-ნარეკლიანს. საკმარისია ფოთლოვან ნათელ ტყეში მაღალმოზარდი ხეების მოსპობა, რომ დარჩეს ძეძვიანის ერთ-ერთი ვარიანტი, რადგან ძეძვი ნათელი ტყის მთავარი მონაწილეა.

როდესაც მუხნარი ისპობა, იქ პირველ რიგში რჩება მუხნარის ქვეტყის ელემენტი: ჯაგრცხილა, კუნელი, კვიდო, ღვია და სხვანი. ძეძვი ამ ბუჩქნარში მისი გაჯაგების შემდეგ იჭრება. გადამეტებული ძოვებისაგან ნიადაგიც ალაგ-ალაგ იშლება. ძეძვის თანდათანი გაძლიერების შედეგად ვიღებთ ჯაგეკლიან ველს. ამგვარად ვიღებთ ორი სხვადასხვა წარმოშობის ძეძვიანს. ერთს, შედარებით პირველადს და, მეორეს, მუხნარის ბუჩქნართან ბრძოლის შედეგად წარმოშობილს. თუ ამ ორ ძეძვიანს შორის კონტაქტი არსებობს, ხდება ურთიერთის ელემენტებით გამდიდრება და საბოლოოდ მთლიანად დამსგავსება. ასეთი წარმოშობისა უნდა იყოს თბილისის მიდამოებში, თელეღის ქედის და კუმისის მიდამოების ძეძვიანები, თბილისიდან დაშორებით კი—შირაქ ალაზნის ველის ძეძვიანები.

თბილისის მიდამოებში დღეს ჩვეულებრივია ჯაგ-ეკლიანი ველი, ძეძვიანი და ნარ-ეკლიანი. ჯაგეკლიანი ველის წარმოშობის და განვითარების შესახებ უკვე საკმაოდ ითქვა (3). ჯაგეკლიანი ველი წარმოიშვა მთების წინა კალთების ტყეების (მუხნარის) ნათელი ტყეების, ვაკის ტყეებისა და ჭალის ტყეების გადაგვარების შედეგად. პირველად ესენი ატარებენ იმ ცენოზის ელემენტებს, რომლის გადაგვარების შედეგად წარმოიშვნენ, შემდეგ მათი საერთო იერი თანაბრდება.

წმინდა ძეძვიანი სხვა წარმოშობისაა. ჯერ ერთი, როდესაც ნათელი ტყის შემქმნელი ძირითადი ჯიში ისპობა და რჩება ძეძვი, იქმნება შედარებით წმინდა, უფრო ძეძვიანი, ვიდრე ესაა მუხნარისა ან ჭალის ტყის გადაგვარების შედეგად წარმოშობილი; მეორე, ნათელი ტყის ფარგლებში, მთის წინა კალთების მუხნარებში და რცხილნარებშიც ხშირად არის საკმაოდ დიდი ფართობები, რომელიც წმინდა ძეძვით არის დაფარული, სადაც ირგვლივი ტყის ელემენტი არ გვხვდება, სადაც სხვა ბუჩქნარიც ქსეროფიტულია, ბალახეული საფარი ან ურიანი; ან ვაციწვერიანი და იშვიათად აბზინდიანია (ნათელ ტყეში). როდესაც ასეთი ფრაგმენტის ირგვლივ ტყე ისპობა, რჩება წმინდა ძეძვიანი, რომელიც ნატყევარზე მიიწევს და ქმნის ჯაგეკლიანს. ასეთი წმინდა თავისთავადი ძეძვიანია, მაგ., კუმისის ფხეკოებზე.

ნარეკლიანი ისეთი დაჯგუფებაა, რომელიც უფრო თავისთავადია, და, რომელშიც მონაწილეობას ღებულ ეკლიანი ასტრაგალუსები და მიწასგართხმული ბუჩქები. ძეძვი დაბალია და წვრილღეროიანი. აქ უფრო ჩვეულებრივია Astragalus caucasicus Pall., Acantholimon lepturoides Bge., Rhamnus Pallasii F. et M., Atraphaxis spinosa L. და სხვ. ასეთი ნარეკლიანი მთის ქსეროფიტების ერთ-ერთი ვარიანტია.

გრაკლიანი (Spiraea hypericifolia L.) ჩვეულებრივია ქორქის ტბის მიდამოების ფერდობებზე. ეს გრაკლიანი განსხვავდება შირაქ-გარეჯის გრაკლიანისაგან, რომელიც უფრო ქსეროფიტული იერისაა. კლდეთა ქსეროფიტები, რომელიც ხშირად ნარეკლიანში გადადის თბილისის მიდამოებში მკაფიოდ არის გამოსახული. მაგალითად, ვერის ხევში, ვერის სასაფლაოს პირდაპირ, საბრეთისაკენ დაქანებული ნაშალი ფერდო, კუმისის მიდამოების სამხრეთის ფერდონი, თელეთის ქედის ზოგიერთი სამხრეთის ექსპოზიის ფერდო და სხვა კლდის ქსეროფიტებითაა მოსილი. ასეთი ფართობები თბილისის მიდამოებში ძლიერდება და მრავლდება. ასეთ ადგილებში მარცვლოვანებიდან ჩვეულებრივია ვაციწვერა (უმთავრესად, Stipa Lessingiana Trin.), ურო, წივანა (Festuca sulcata Hack.), Alopecurus tiflisiensis Grossh. და სხვანი. ამ ადგილებისათვის ტიპიური და დამახასიათებელია Aacantholimon lepturoides Bge. (A. Fomini Kusn. შორეულ მიდამოებისათვის გარეჯუდაბნოსათვის). Astragalus caucasicus Pall., Atraphaxis buxifolia F. et M., Rhamnus Pallasii F. et M., Ephedra procera F. et M., Caragana grandiflora (M. B.)DC., Berberis iberica Stev. et Fisch. Dianthus orientalis Ad., Teucrium polium L., T. chamaedrys L., Scutelaria orientalis L., Thymus transcaucasicus Ron., Ziziphora stenophylla Juz., Scorzonera eriosperma M.B. და სხვანი.

ეს დაჯგუფება თბილისის მიდამოებში საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ხშირად სრულიად ღია, ჩამოფხეკილ ადგილებზე სახლდება და ქმნის ნიადაგის ფენას თუ არა, ნიადაგის პირველ ელემენტებს მაინც, რაზედაც შეიძლება სხვა მცენარეთა დასახლება.

ჯაგეკლიან ველებსა, ძეძვიანებსა და ნარეკლიანებს ზოგიერთი ბოტანიკოსი აიგივებს ხმელთაშუა ზღვის „შიბლიაკთან", მაგრამ, რასაკვირველია, ხმელთაშუა ზღვის შიბლიაკთან ჩვენს ძეძვიანებს და ჯაგეკლიანებს კავშირი არა აქვთ. ისინი თავისი ბუნებრივი პირობებით, ადგილსამყოფელით, წარმომშობი ცენოზით განსხვავებულია, რაც საკმარისია იმისათვის, რომ მას თავისი კუთვნილი სახელი მიეცეს.

ზოგიერთი საერთო სახეობის არსებობა ორივე დაჯგუფებაში სრულიად არ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ იგი ტიპიური „შიბლიაკია", შესაძლებელია 2 ცენოზის სახეობანი საერთოც იყოს, მაგრამ მათ მიერ იქმნებოდეს სრულიად სხვადასხვა ცენოზი.

მტკვრის ხეობისათვის დამახასიათებელია **ჭალის ტყე** (4), როგორც თბილისისათვის, ისე მისი მიდამოებისათვის ჭალის ტყეც ტიპიური იყო. ამჟამად ჭალის ტყე გადარჩენილია გარდაბანში, რუსთავში, თბილისის ფარგლებში კი—ნავთლუღის პირდაპირ და დიღმის მინდვრის გადასწვრივ. დასახელებული ტყეები პირველი ტერასის ტყეებია, მეორე ტერასის ჭალის ტყე ამჟამად აღარსად არ არის გადარჩენილი. თბილისის ფარგლებში გადარჩენილი ჭალის ტყეებს ქმნის ტირიფი (Salix australior Anderss.), შავი ალვერხი (Populus nigra L.—განსაკუთრებით ნავთლუღის გადარჩენილ ჭალაში), ხვალო (Populus hybrida M. B.) დიღმის ჭალაში. ნაქულბაქევის ქვეეთ გადარჩენილია თითო-ოროლა მეორე ტერასის ჭალის ტყის ელემენტი, უმთავრესად ტერასის შუბლზე. ესენია: გრძელყუნწა მუხა (Quercus longipes Stev.), თელა (Ulmus foliacea Gilib.), მაჟალო (Malus orientalis Ugl.) და სხვანი.

საგურამოს არაგვის პირის ჭალის ტყე შედარებით კარგადაა შენახული ფლორისტულად მაინც (მეორე ტერასის მუხნარი და თელნარი უკვე მოსპობილია). ერთის მხრივ, საგურამოს მინდვრებში და, მეორეს მხრივ, ნატახტარ-მისაქციელის და საფურცლის მინდვრებში გადარჩენილია თითო-ოროლა საკმარისად კარგად შენახული გრძელყუნწა მუხა, და თელები (Ulmus foliacea Gilib., U. suberosa Moench.). სამწუხაროდ, მუხების უმრავლესობა ამ ადგილში დაბელილია. გრძელყუნწა მუხა კონტაქტში იმყოფება ქართულ მუხასთან საგურამოს ქედის წინა კალთების ფერდობებზე.

ის ტყე, რომელშიც ლეგენდის მიხედვით ჩვენი სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასალი ნა-

დირობდა, წარმოადგენდა მტკვრის მეორე იარუსის ჭალის ტყეს—მუხნარ-თელნარს (Quercus longipes Stev. + Ulmus foliacea Çilib), რომელშიც ერია ნეკერჩხალი, იფნი, წითელი კუნელი (Crataegus monogyna Jacg.), შავი კუნელი (C. kyrtostyla Fing.), პირველი იარუსიდან ამოსული თითო-ოროლა ოფი, თეთრი ვერხვი და სხვა. ეს ტყე კონტაქტში იყო თელეთისა და თაბორის ქედის მუხნარებთან, რომელიც ქართული მუხისაგან შედგებოდა და რომლის ნაშთები დღესაც კარგად არის შემორჩენილი თელეთის ქედზე. ნათელი ტყის ელემენტები მთის კალთის მუხნარ ტყეში უნდა ყოფილიყო ბერყენები (Pyrus salicifolia Pall., P. georgica Sch. Kuth., P. Ketzkhowelii Sch. Kuth., P. Fedorovii Sch. Kuth. და სხვ.), ღვია (Juniperus oblonga M. B.), თუთუბო (Rhus coriaria L.), თრიმლი (Cotinus coggygria Scop.). გამორიცხული არ არის, რომ თელეთის ქედის გასწვრივ საკმლის ხეც იყო.

დასტურდება, რომ დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე არსებობდნენ შემდეგი ცენოზები: ჭალის ტყე ვერხვნარი (მტკვრის გასწვრივ), ჭალის ტყე-მუხნარ-თელნარი (მტკვრის მეორე ტერასაზე—ორთაჭალა, რუსთაველის პროსპექტის ქვეითა მხარე, პლეხანოვის პროსპექტის გასწვრივ და სხვა). ნათელი ტყე (თელეთის ქედი, ისნის და ნავთლუღის შემაღლებული ადგილები (მცირედად), მუხნარი — თელეთის ქედი, მამადავითის ქედის კალთები მთაწმინდის უბნის ჩათვლით და სხვა).

თბილისის მიდამოების შორეულ ნაწილში, სარკინეთის ქედზე, კარგადაა გამოსახული ჭალის ტყის მეორე იარუსის შემდეგ ნათელი ტყე საკმელის ხით, რომელიც ქართულ მუხასთან ერთად ჰქმნის ცენოზს და რომელიც თავისებური ტიპია. ეს ტიპიც ბევრგან ჯაგეკლიან ველში გადადის, სადაც ძეძვთან ერთად დაჯაგებულია; Crataegus monogyna Jacq., C. kyrtostyla Fing., Prunus spinosa L.. Pyracantha coccinea Roem. და სხვანი. პირველ ხანებში მათი დიდი მონაწილეობით განსხვავდება ეს ჯაგეკლიანი, იმ ჯაგეკლიანისაგან, რომელიც ქართული მუხის ცენოზის შემდეგ ვითარდება.

თბილისის მიდამოებში ნახევარუდაბნოთა მცენარეულობა ტიპიურად გვხვდება ქალაქის ქვემოთ: გარდაბანის ვაკეზე, იაღლუჯის ფერდობებზე და მის წინა კალთების გაგრძელებაზე (გავაკებებზე)—კუმისის ტბის ირგვლივ და სხვ. თბილისის ზევით პატარ-პატარა ფრაგმენტების სახითა გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოთა მცენარეულობის ძირითადი შემქმნელი აბზინდა (Artemisia Meyeriana Bess.). ურო და აბზინდა ერთად ჰქმნიან გარდამავალ ცენოზებს ნახევარუდაბნოდან ველებზე.

აბზინდასთან ერთად დიდ მონაწილეობას იღებენ კალია ბალახები—Salsola-ნი, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „აქ (იაღლუჯზე— ნ. კ.) არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ და ნაცრითა მისითა ადუღებენ საპონს უმჯობესსა. კვალად ხმარობენ სხვაფერც“ (1). მართლაც, Salsola-ებში საკმაო დიდი რაოდენობით გროვდება სოდა და სხვა მარილები. Salsola-ებიდან აქ ჩვეულებრივია: Salsola dendroides Pall., S. ericoides M. B., Çamanthus pilosus (Pall.) Bge. კუმისის ტბის ირგვლივ აღინიშნება Salicornietum-ი (Salicornia herbacea L.) Suaedetum (Suaeda heteropylla Bge. Salsoletum (Salsola soda L.). გარდა ამისა არის შედარებით მრავალფეროვანი ცენოზები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ Petrosimonia brachiata Bng., Limonium Meyeri (Boiss.) Kntze., Atropis bulbosa Grossh. შედარებით მშრალ ადგილებში აღინიშნება ჭანგიანი, რომელიც შექმნილია Agropyrum repens (L.) P. B. v. glaucescens A. Engl.-სგან. ეს ჭანგიანი კარგი სათიბია, შემოდგომაზე კი ჭანგის აქვიტი და ზოგიერთი სხვა მცენარე, რომელიც ამ დროისათვის ვითარდება (Petrosimonia brachiata Bge. და სხვ.) კარგი საძოვარია (2).

აბზინდიანი ნახევარუდაბნო შედარებით კარგად არის გამოსახული იაღლუჯის ფერდობებზე, გარდაბნის ურწყავ ადგილებში. ამ ცენოზში აღინიშნება Artemisia Meyeriana+Agropyrum repens. Artemisia Meyeriana+Agropyrum cristatum, Artemisia Meyeriana+Salsola dendroides, Artemisia Meyeriana+Andropogon Jschaemum და სხვა მრავალი.

ნახევარუდაბნოს მცენარეულობის ტიპიური და დამახასიათებელია ეფემერებისა და ეფემეროიდების განვითარება. მათ შორის ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელია Poa bulbosa L. v. vivipara C. Koch., Bromus Japonicus Thunb., Eremopyrum orientale (L.) E. et Sp., Colpodium

humile (M. B.) Çriseb., Helianthemum salicifolium (L.) Mill.

მაისის ბოლოსათვის ეფემერები აბთავრებენ სასიცოცხლო ციკლს და ადგილს უთმობენ უფრო გამძლეთ. ზამთრის პირს ამ დაჯგუფებაში აეშანი, ყარღანი და ზოგიერთი სხვა ხეშეშლეროიანი მცენარე რჩება.

თბილისის მიდამოების ღია ადგილების ველებისათვის უფრო ტიპიური და დამახასიათებელია ურროიანი (Andropogonetum). ამ მიდამოებში ურროიანი ველი ძირითადად მეორადი წარმოშობისაა. იგი უმთავრესად ჩამოყალიბებულია ტყის უკან დახევის რამდენიმე საფეხურის გავლისა და შედარებით მყარი ველის ცენოზების გადაგვარების შედეგად. ურროიანი ველი მორიგეობს ჯაგეკლიან ველს და ყოველ ნიადაგობრივ ვარიანტზე (გარდა ვეძიანი ნიადაგისა) საკმარისად კარგად გრძნობს თავს. ურროიანი ველისათვის დამახასიათებელი და ჩვეულებრივია წმინდა ველის ტიპიდან კლდეთა ქსეროფიტებზე ყოველგვარი თანდათანი გარდამავალი საფეხურები. ზოგიერთი მკვლევარი ურროიან ველს ნახევარველს უწოდებდა (8). ვითომ იმის გამო, რომ ურროს კორდი ნიადაგს ფარავს არა უმეტეს 60 — 75% - ისა. არის, რასაკვირველია, ურროიანის ისეთი ვარიანტი, სადაც, მართლაც, ურროს კორდით ნიადაგი დაფარულია 40—60%-ით. მაგრამ ასეთი ვარიანტები ჩვეულებრივია იქ, სადაც გადამეტებული ძოვება წარმოებს და ნიადაგის ზედაფენი საქონლის ჩლიქითაა გადაძეწკილი. კორდებს შორის დატოვებული ადგილი ზაფხულიდან მოტიტვლებულია, გაზაფხულზე კი ეფემერებით არის დაფარული. სამაგიეროდ ისეთ ადგილებში, სადაც ჭარბი ძოვება არ წარმოებდა, ურროს მიერ კორდი მთლიანად შეკრულია (გარდაბნის აღმოსავლეთი ნაწილი უდაბნოს საზღვარზე და სხვ.). ჩვეულებრივია ურროიანი ქსეროფიტული ორლებნიანებით, ურროიანი ეფემერებით, ურროიანი ძირტკბილით, ურროიანი აბზინდით, ურროიანი მდელოს ბალახეულობით და სხვა. თბილისის უახლოეს მიდამოებში ურროიანი ყამირები უკვე იშვიათი მოვლენაა, მათი ფორმაციები უკვე გადახნულია. ცოტად თუ ბევრად კარგად გამოსახული დაჯგუფებანი ძეძვის ბუჩქებს შორის არის აღნიშნული.

წივანიანი დაჯგუფებანი, რომელიც შექმნილია Festuca sulcata Hack. – ბიერ. სახლდება ძეძვიანების ურროიანებისა და სხვა ცენოზების უკან დახევის შემდეგ ხირხატიან ნიადაგებზე, სადაც, თუ ძოვება ინტენსიური არ არის, კელავ შეიძლება შეინაცვლოს ურროთი და საერთოდ ურროიანით. ზეორეს მხრივ. თუ ჭარბი ძოვების შედეგად ურროიანის სტრუქტურა დაირღვა, ნიადაგი გადირეცხა და გამოიქარვა, შესაძლებელია ურროიანიც წივანიანით შეინაცვლოს, რომელშიც ჭარბად იქნება წარმოდგენილი ისეთი ორლებნიანები, როგორიც არიან: Thymus transcaucasicus Ronn., Th. tiflisiensis Klok., Teucrium polium L., Scutelaria orientalis L. და სხვა. მარცვლოვანებიდან მონაწილეობას იღებენ Stipa capillata L., Koeleria gracilis Pers., Phleum phleoides (L.) Simk. და სხვა.

ვაციწვერიანი ვარიანტები თბილისის მიდამოებში ტიპიურად არსად არა გვხვდება. არის შემთხვევები, როდესაც ნატყევარზე მდელოს ელემენტებთან ერთად სახლდება Stipa stenophylla Czern. მაგრამ ასეთი მოვლენა ფრიად იშვიათია. (მამადავითის გრაკლიანები, ნახშირგორის აღმოსავლეთი ფერდობები და სხვ.). ველის ფარგლებში მაგალითად დიდ-ლილოსაკენ, საცხენისისაკენ, ქვემო სამგორზე და სხვაგან შეიძლება აღინიშნოს პატარ-პატარა ნაკვეთები, რომლებიც შექმნილია ისეთი ვაციწვერებისაგან, როგორიც არიან: Stipa stenophylla Czern. უფრო ხშირად St. Lessingiana Trin., S. capillata L., S. pulcherima C. Koch. და სხვ. თბილისის მიდამოებში შემჩნეულია ვაციწვერიანთა შენაცვლა ურროთი, განსაკუთრებით სათიბებზე (9). მშრალ ადგილსამყოფელზე კლდეთა ქსეროფიტებს შორის ხშირია და ჩვეულებრივი St. Lessingiana Trin., St. pulcherima C. Koch. ამ უკანასკნელ ხანში ვაციწვერიანები გადიხვნენ, ვაციწვერა გავრცელებულია შავმიწა ნიადაგებზე ან შავმიწამინაგვარ ნიადაგებზე.

მდელოები თბილისის მიდამოებში ორგვარი გვაქვს დაბლობებისა, მდინარის ტერასების ალუვიალურ ნიადაგებზე და მთის ტყეებში, მოსპობილი ტყეების ნაალაგევზე.

პირველი ტიპის მდელოები გვხვდება მტკვრის ტერასებზე გლერტიანების სახით. გლერტა Cynodon dactylon (L.) Pers. ფრიად თავისებურ დაჯგუფებას ჰქმნის, ხშირად იგი გარდამავალი საფეხურია

ნესტჟარბ და ჭაობიან ცენოზის ველის მცენარეულობისაკენ. უმთავრესად ურიანებისაკენ ან ყარღანიანებისაკენ. გლერტას გარდა ამ დაჯგუფებაში მონაწილეობას იღებს ფართეფოთლოვანი მარცვლოვანები (Poa pratensis L., Agropyrum repens (L.) P. B., Alopecurus myosuroides Huds., Dactylis glomerata L., Bromus Japonucus Thunb.).

თბილისის მიდამოებში გლერტიანი მცირე რაოდენობითღაა გავრცელებული. მლაშე ტბების ირგვლივ მას საკმაოდ განიერი ზოლი ეჭირა, მაგრამ იგი უკვე წყლითაა დაფარული. ღრმა ღელის გლერტიანი უკვე ქალაქის ახალმა უბანმა დაიპირა. მხოლოდ მტკვრის ჭალებში, მდინარის ნაპირებზე, ზოგან კიდევ არის პატარ-პატარა ნაკვეთი შემორჩენილი.

ნესტჟარბ ნიადაგებზე, სადაც გრუნტის წყალი მზის სინათლეზე გადმოდის, ან ხევების ფართე, პირველ ტერასებზე, სახლდება მდელოს ტიპის **მცენარეულობა**, რომელშიც დიდ მონაწილეობას იღებს ჩვეულებრივად ფართეფოთლოვანი მარცვლოვანები Dactylis glomerata L., Agropyrum repens (L.) P. B., Phleum pratense L., Lolium rigidum Çaud., Poa pratensis L., Juncus Çerardi Lois., Trifolium pratense L., T. parvflorum Ehrh, Vicia vilosa Rhot. და სხვა ორლებნიანები, რომელნიც ნესტიან ადგილამყოფელოსთან არიან დაკავშირებულნი. მაშინ, როდესაც ირგვლივ ველი გადახრუკულია, ეს დაჯგუფება მწვანედ გამოიყურება. თბილისის მიდამოებში გვხვდება ლოქინის ხევში, ყურყუთაზე და სხვაგან.

ეს დაჯგუფება ლანდშაფტის შექმნაზე დიდ გავლენას არ ახდენს, თუმც უკანასკნელ ხანებში სამგორის არხის გაყვანის შემდეგ ასეთი ტიპი ზოგან კიდევ ჩნდება.

მთის მდელოები ზოგიერთი სუბალპიური ელემენტით აღინიშნება კოჯრის მიდამოებში და განსაკუთრებით იალნოზე, ისინი წარმოშობილნი არიან მთის ტყეების ნაალაგევზე.

ჭ ა ო ბ ი ს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ო ბ ა, თბილისში და თბილისის მიდამოებში წარსულში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული. ცნობილია, რომ თბილისსა და იაღლუჯს შორის მდებარე ჭაობებმა ხელი შეუშალეს რუსეთის კავალერიას, რომელიც 1928 წელს თბილისიდან დაიძრა ერევნისაკენ. 1950 წლებში დაშრობილ იქნა ყურყუთას (სოღანლუღის) ჭაობები, სადაც ძირითადი ასოციაციები ღელიანი (Phragmitetum-ი) და ლაქაშიანი (Typhetum-ი) იყო.

თბილისის მიდამოებში ჭაობის მცენარეულობა დაკავშირებულია ან მდინარე მტკვრის ჭალის ტყეებთან (ნაქულბაქევ-დიღმის ჭალა), ან ტბებთან (კუმისის ტბა, ლისის ტბა, ქორქის ტბა, ბულბულის ტბა სხვ.). ეს ჭაობები უმთავრესად მარცვლოვანი მცენარეების მიერ არის შექმნილი. ისლიანები შედარებით იშვიათი მოვლენაა. ამ ჭაობებში დაჯგუფებათა შექმნაში მონაწილეობას ღებულობენ: Phragmites communis Trin., Typha latifolia L., Calamagrostis epigeios (L.) Rhot., Glyceria arundinacea Knth., Alopecurus ventricosus Perk., Bolboschoenus macrostachys W., B. maritimus (L.) Pall., Carex riparia Curt., Carex compacta Lam. Juncus Gerardi Loiss. და სხვა. (9).

თბილისის მიდამოების ლანდშაფტის შექმნაში მათ დიდი მნიშვნელობა არა აქვთ. თბილისის მიდამოების ტბების კეთილმოწყობის დროს ეს ჭაობებიც ალბათ გარდაიქმნებიან და დაიფარებიან ან წმინდა წყლით ან სხვა რომელიმე თვალისათვის უფრო სასიამოვნო ცენოზით.

ამგვარად, თბილისის მიდამოებში მცენარეულ საფარში დიდი ცვლილებებია მომხდარი ცენოზის კონფიგურაციაში. ზოგიერთი დაჯგუფება შემცირდა და ფრიადადაც (ჭალის ტყე, მუხნარი), სამაგიეროდ, მეორენი, ფრიად გაიზარდნენ: ჯაგეკლიანი ველი, ძეძვიანი. პირველადი ცენოზები ბევრგან შენაცვლა კულტურულმა მიწამ: (სახნავსათესი, ბაღი, ვენახი და სხვ.). ამ მხრივ განსაკუთრებული ცვალებადობა მოხდა იმ ტერიტორიაზე რომელზედაც განვითარებული იყო: ურიანი ველი, ვაციწვერიანი ველი, ჯაგეკლიანი ველი, ჭალის ტყე და ნაწილობრივ მუხნარი მთების წინა კალთებისა (ქართული და ვაკეთა მუხნარი გრძელყუნწა მუხისაგან შექმნილი).

თბილისის მიდამოებში შესამჩნევია ძველი, უფრო მეზოფილური ტიპის უკან დახევა და ისეთი უარყოფით (ტყესთან შედარებით) დაჯგუფებათა წინწამოწევა როგორიც არიან ძეძვიანი, ნარეკლიანი, კლდეთა ქსეროფიტები, ნახევარუდაბნონი და სხვ. ტყეების ამ გზით განვითარება, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ყოვლად მიუღებელია. საჭიროა ამ პროცესის

შეჩერება და მთის ფერდობებზე ტყეების აღდგენა იმ მეთოდების სრული გამოყენებით, რომელიც თანამედროვე მეტყეველობას გააჩნია.

ველების ცვალებადობა ამჟამად სხვაგვარად წარიმართა. იქ, სადაც წყალი იქნა გაყვანილი ლანდშაფტი იცვლება, ჩნდება ბაღი და ვენახი, ტყის მფარავი ზოლი, პურისა და სიმინდის ყანები, მაშასადამე სარწყავად გადაქცეული ველი ინაცვლება ისეთი საფარით, რომელიც შემდეგში უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.
2. ა. ქაკულია, თბილისის მიდამოების ზამთრის საძოვრების შესწავლისათვის, თბილისის ბოტ. ინსტ-ის შრომები, VIII, 1942.
3. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.
4. ნ. კეცხოველი, აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები და მისი აღდგენის საკითხი. თბილისი, 1942.
5. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. 1862.
6. ვ. შროხია, ახალი ცნობები თბილისის მიდამოებისა და საქართველოს ფლორისათვის, თბილისის ბოტ. ინსტ. შრომები, VIII, 1942.
7. საქართველოს ფლორა, I—VIII, თბილისი, 1941—50.
8. Гроссгейм А. А., Растительный покров Кавказа. Москва, 1948.
9. Сахокия М. Ф., Ботаническое описание окрестностей гор. Тбилиси и по маршруту гор. Тбилиси плато Шираки, Ботанические экскурсии по Грузии, Тбилиси, 1958.
10. Синадзе А., Материалы для изучения зимних пастбищ ближайших окрестностей гор. Тифлиса, ტფილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერულ-გამოყენებით გაკეთილებათა ნაწერები, თბილისი, 1926.
11. Троицкий П. А. Самшит на Сагурамском хребте, Изв. Тифлисского полит. инст-а, 1928.

* * *

საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს



ალექსანდრე ჯანელიძე

თბილისი და გეოლოგია

თბილისი, რომელსაც უკვე ათასხუთასი წელიწადი შეუსრულდა დაარსებიდან, ბევრად უფრო ახალგაზრდა არის, ვიდრე საქართველოს არაერთი ძველი ქალაქი. მაგრამ უკანასკნელთაგან ზოგი დღეს აღარც არსებობს, ხოლო სხვები, როგორც ეა-ქუთათისი, შორს ჩამორჩებიან თბილისს თავისი მნიშვნელობით.

ცნობილია, რომ ასეთ ბედს თბილისი თავის მდებარეობას უმადლის. მას საკვანძო ადგილი უჭირავს ძველ სავაჭრო გზაზე, რომელიც რიონ-ყვირილისა და მტკვრის ხეობებით შავ ზღვას კასპიურს უკავშირებდა და რომლის მნიშვნელობა ამიერკავკასიის რკინის გზამ განსაკუთრებით გაზარდა; მტკვრისავე ხეობა მას აერთებს სამხრ. საქართველოსთან, რომლის როლი ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებაში უზარმაზარია; დასასრულ, არაგვისა და თერგის ხეობა დარიალით ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებს. უკანასკნელ გარემოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიეცა ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ.

თბილისი თრიალეთის ქედის აღმოს. დაბლობებს და კახეთის ქედის საგურამოს ტოტის საზღვარზე მდებარეობს, ქართლის და კახეთის მომიჯნეა. ამიტომ ის არასოდეს არ ყოფილა რომელიმე კუთხის ქალაქი და ბუნებრივად იქცა ჯერ აღმოს. საქართველოს და შემდეგ მთელი საქართველოს ცენტრად.

ყველა ეს გარემოება დაპირობებული არის თბილისის გეოლოგიური სიტუაციით. ქალაქი ამიერკავკასიის დადაბლებაში მდებარეობს, უკეთ, მის კიდეზე. ეს ზოლი დაკავშირებული არის საქართველოს და აზერბაიჯანის მთათაშუა ბელტებთან და ისაზღვრება კავკასიონის და ანტიკავკასიონის ნაოჭა სისტემებით. ჩრდილოეთისკენ და დასავლეთისკენ ქალაქს მთიანი მხარე აკრავს, რომელიც საკმაო სინესტეს იზიდავს და ბუნებრივად ტყით არის დაფარული, თუ ადამიანს არ აუკაფავს; წინ, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გაშლილია შედარებით ვაკე ნახევარუდაბნო, მშრალი და, თუ ჭალებში არა, უტყეო, მლაშე ტბები აქვთ თვით ქალაქის გარეუბნიდან, აწინდელი თბილისის ზღვიდან იწყება. მთიანი მხარე უკვე სარმატულის ზედა ნაწილიდან და ნაწილობრივ უფრო ადრეც ხმელეთს წარმოადგენდა, მეორე—პლიოცენური ზღვის უბეს ეჭირა, აღჩაგილურს და აფშერონულს; შემდეგში

პირველი ბუნებრივ თავშეაფარად იქცა, მეორე პტრიოტათვის ღია იყო — თბილისი საქართველოს კარიბჭე არის.

თბილისის ჰიდროს რელიეფის გამოკვეთაში მტკვარსაც საპატიო როლი მიუძღვის, თვით ქალაქიც ხომ ამ მდინარის ტერასებზეა განლაგებული. მაგრამ მტკვარი ყოველთვის თბილისზე არ მოედინებოდა. მიოპლიოცენში (ნაცხორის დროის ჩათვლით), ე. ი. ათი-თუთხეტი მილიონი წლის წინათ, კავკასიონის და თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდის ჩამონადენი ერთ დიდ მდინარეში იყრიდა თავს და აწინდელი ცივ-გომბორის ქედის ზოლს ჰიპყვებოდა. ეს არც იყო მტკვარი. შეიძლება. მას ნ ა ც ვ ა ლ მ ტ კ ვ ა რ ი ვუწოდოთ.

თვით მტკვარი, სამხრული საქართველოდან მომდინარე, ახალქალაქის დაბლობიდან, რომელიც შემდეგ ლავებმა დაჰფარეს, ალბათ წალკას მოჰყვებოდა და იაღლუჯასთან გადადიოდა ზღვის უბეში. ეს იყო ძ ვ ე ლ ი მ ტ კ ვ ა რ ი.

ამ დროის მოწამეა ერთი მხრით მიოპლიოცენური კონგლომერატები შიგა ქართლში და კახეთის ქედზე — ისინი კავკასიონის მასალას შეიცავენ ბოლოდ, თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდის ჩამონარეცხს მცირე ზინარეკით, მეორე მხრით იაღლუჯის კონგლომერატები, რომელნიც მთლიანად ანტიკავკასიონური მასალისგან შედგებიან და რომელთა გამოტანა აქ მხოლოდ ძველ მტკვარს შეეძლო.

მიოპლიოცენის დანაოჭებამ რადანული ფაზისის დროს წარმოშვა კახეთის ქედი და მტკვარს აქეთკენ გზა დაეკეტა. მუხრან-საგურამოს აწინდელი ტაფობიც დანაოჭებული ჰიოპლიოცენით ამოიევსო, ისევე როგორც მთელი ეს ადრინდელი ხეობა. ნაცვალმტკვრის ჩრდილო შენაკადები ახლა ამ კონგლომერატებზე გადადიოდნენ და ერთვოდნენ მდინარეს, რომელმაც კონგლომერატების სამხრეთი თრიალეთის ქედის ფერდზე გადაინაცვლა. მცხეთიდან[1] ნაცვალმტკვარი ახლა სამხრეთისკენ მიედინებოდა, თრიალეთის ქედის გადავლით.

დაახლოებით ამავე დროს სამხრ. საქართველოში ინტენსიური ზედაპირული ვულკანიზმი გაცხოველდა. ძველი მტკვრის აუზში ლავის ზეწრებმა უზარმაზარი ფართობი დაჰფარეს. როგორც თავის დროზე აბიხმაც აღნიშნა, ხეობები ამოიევსო და გუბდებოდა ხან ძველი მტკვარი, ხან მისი შენაკადები, ხან აქ, ხან იქ. წარმოიშვა მთელი რიგი დიდი და პატარა ტბა, რომელთაგან ზოგს დღემდე მოუღწევია, ზოგი კი დამშრალა. ახალქალაქის პლატოს ლავებმა და აბულ-სამსარის ვულკანების მწკრივმა საბოლოოდ დაუკეტა მტკვარს გზა აღმოსავლეთისაკენ. მდინარე გაიჭრა ახალციხის ტაფობისკენ, რისთვისაც მისივე შენაკადის, ქვაბლიანის[1] ხეობით ისარგებლა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეს მტკვრის კალაპოტის დადაბლება ხერთვისიდან ოხერამდე 75-ოდე მეტრი არის, და დავუშვებთ, სრული უფლებით, რომ ქვაბლიანის დაქანებაც ხერთვისისკენ ასეთივე რიგის იყო, ადვილად დავინახავთ, რომ საკმაო იქნებოდა ლავის ზეწარს ქვაბლიანის კალაპოტის დონე სულ რაღაც 80-ოდე მეტრით აეწია ხერთვისთან, რათა წყალს აღმა ეწყო დინება ახალციხისკენ. სინამდვილეში აწევა გაცილებით უფრო მეტია. მეორე მხრით, რადგან ახალციხის ტაფობის დრენაჟი უეჭველად ჩრდილოეთისკენაც წარმოებდა ნაცვალმტკვრისკენ, მტკვარი აქეთკენ ადვილად გაიკვლევდა ადრევე გამზადებულ გზას ბორჯომის ხეობით, ახლა უკვე ნაცვალმტკვრის ხეობისკენ.

მტკვრის კალაპოტის გეოლოგიური დონე ოხერასთან ამ დროს აწინდელზე უფრო მაღალი იქნებოდა 75 მეტრით პლუს სიმაღლე მტკვრის კალაპოტიდან ახალქალაქის პლატოს ზედაპირამდე ხერთვისთან. ასეთივეა მასშემდეგი ეროზიის სიღრმე იქ. ეს გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე იმავე დროის ეროზიის სიღრმე თბილისთან, და ასეც უნდა იყოს: ხერთვის-ოხერასთან მდინარე გაცილებით უფრო პატარაა და მისი საწყისი დაქანება უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

ახალციხის აუზის თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელი ნათლად მოწმობს, რომ ძველად დრენაჟი სამხრეთისკენ წარმოებდა. ამასვე ადასტურებს მერმინდელი ტერასების მორფოლოგია ოხერის ჩრდილოეთით. რაც შეეხება ძველი მტკვრის გაგრძელებას იაღლუჯისკენ, იქ მის სანაცვლოდ

[1] იგულისხმება მცხეთის პროდუქცია ზევითკენ, იმდროინდელ ზედაპირზე.

[1] ჩვეულებრივ ფოცხოვს ამბობენ, რადგან ქვაბლიანს სთელიან ფოცხოვის შენაკადად და არა პირიქით.



მტკვრის სისტემა საქართველოს ფარგლებში. წყვეტილი ხაზით ნაჩვენებია ძველი მტკვარი და ნაცვალმტკვარი

მხოლოდ ხრამის სისტემა დარჩა, რომელიც ლამსღა ლექავს. კონგლომერატებისთვის აღარც მასალა დარჩა — ლავებმა დაჰფარა და აღარც მდინარეს აქვს მათ საზიდავად ძალა.

ვულკანიზმის გარდა აწერილ პროცესში, ვფიქრობ, ტექტონიკასაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ ამ საკითხზე შეჩერება ახლა საჭირო არ არის და არც სათანადო დაკვირვებები მომეპოვება.

ამგვარად ათიოდე მილიონი წლის წინათ თანამედროვე მტკვრის სისტემა უკვე ორგანიზებული არის. მაგრამ იმ დროს ეს მდინარე ჯერის მონასტერზე მაღლა მოედინებოდა, ჯერ განედურად ქარსნის ხევიდან და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ამ დროის ნაშთია ქვაშვეთის ტერასი, ლილოს თავზე რომ არის, და სამგორის ველი. ორივე ძველი ალუვიური ველის რელიქტს წარმოადგენს. მტკვრის კალაპოტი 625 მეტრით უფრო მაღლა იყო, ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტის ეზოა დღეს.

შემდეგ მდინარე უფრო ღრმად ჩაიჭრა და უფრო სამხრეთით გადაიწია. მიჰყვებოდა ჯერ თანამედროვე თბილისის ზღვის დეპრესიას და მახათის ტერასი წარმოშვა. კიდევ უფრო გვიან ჯიქურ სამხრეთისაკენ ქნა პირი და ლოტკის-გორა — ელაბრის ტერასი გამოჰკვეთა. ამას მოჰყვა საბურთალოს ტერასი, შემდეგ დიდუბის და, ბოლოს, აწინდელი ჭალა და კალაპოტი.

ამას იმიტომ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რომ ტერასებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს თბილისის განვითარებაში. ტერასები რომ არ ყოფილიყო, ვერც თბილისი იქნებოდა. მცხეთის მდებარეობა თბილისისაზე უკეთესიც არის, მაგრამ მას სამშენებლო ფართობი არ გააჩნია.

რაც შეეხება მტკვრის გადახვევას სამხრეთისაკენ, ეს ალბათ ჩრდილოეთისკენ, კახეთის ქედისკენ შეფარდებით აზევების შედეგი უნდა იყოს.

ასეთი არის თბილისის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გეოლოგიური პირობები. თბილისის დ ა ა რ ს ე ბ ა ს ისინი ვერ ახსნიან. ძველ ხარფუხში, სადაც სახნავ-სათესი მიწა არ არის, ადამიანი პირველად უეჭველად თერმულმა წყლებმა მიიზიდა. მართალია, თუ არა, ვახტანგ გორგასალის და ხოხობის ამბავი, ეს კრ უდავოა, რომ თბილისის დაარსება, თუნდაც პრიმიტიული აბანოების სახით, ისევ გეოლოგიამ გამოიწვია. შემდეგშიც ეს აბანოები ქალაქის ღირსშესანიშნავ თავისებურებას წარმოადგენენ. მოგეხსენებათ როგორი ფეროვანი სურათი დაგვიხატა პუშკინმა თბილისის აბანოებისა და მათი მექისეების შესახებ.

როგორც ვხედავთ, გეოლოგიამ ბევრი რამ მისცა თბილისს. არც თბილისი დარჩენილა გეოლოგიის მიმართ ვალში.

უკვე XVIII საუკუნის მიწურულში, საქართველოს რუსეთთან შეერთების პროცესში, შეიქმნა საქართველოს სამთო ექსპედიცია, რომელსაც ალაევერდის მაღაროების პატრონობა და საქართველოს ტერიტორიაზე მადნეულის ძებნა ჰქონდა დავალებული. მას სათავეში გრაფი მუსინ-პუშკინი ედგა და ბაზა თბილისში ჰქონდა.

საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარის დიუბუა დე მონპერეს დასაყრდენიც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თბილისი იყო.

კავკასიის გეოლოგიის მამად წოდებული აბიხი ვეტ წილად თბილისიდან აწარმოებდა მუშაობას. თუმცა მისი საკვლევი ფართობი გაცილებით უფრო შორეულ მხარეებს სწვდებოდა, მან დეტალურად შეისწავლა თბილისის მიდამოებიც და ჩვენი თერმების ჰიდროლოგია.

ისევ გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულში თბილისში დაარსდა კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგიური განყოფილება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე სისტემატურად აწარმოებდა საქართველოს გეოლოგიურ შესწავლას და მისი ტერიტორიის აგეგმვას. ამ დაწესებულებაში მუშაობდნენ პირველი ქართველი გეოლოგები სპირიდონ სიმონოვიჩი და გრიგოლ წულუკიძე.

თბილისი იყო საქართველოს (და კავკასიის) გეოლოგიის უცხოელი მკვლევარების — ფავრის, ფურნიეს და სხვათა ბაზაც.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თბილისშივე, ჩვენი უნივერსიტეტის წიაღიდან განვითარდა ქართული გეოლოგია. დღეს აქ გეოლოგიურ დაწესებულებათა მთელი რიგი მოსაქმეობს. აკადემიის ფარგლებში ასეთი არის გეოლოგიური, პალეობიოლოგიური და გეოფიზიკის ინსტიტუ-

ტები; აკადემიის გარეთ საქართველოს გეოლოგიური სამმართველო, „საქნავთი"-ს გეოლოგიური ექსპედიცია, საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური განყოფილება და სხვა. თბილისშივე არის ფინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი. ამ დაწესებულებებში მრავალი ასეული გეოლოგი მუშაობს და გატაცებით ემსახურება სოციალისტური სამშობლოს და მისი დედაქალაქის აყვავებას. ყველანი ჩვენი უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოწაფეები არიან, მაშასადამე ისევ თბილისის გამოზრდილები,

* * *

ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის (ყოფილი სახაზინო) თეატრი. XIX საუკუნე

იოსებ ჟურდიანი

თბილისის ჰავა

ჰავა ხასიათდება სხვადასხვა მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური და მრავალწლიური ცვალებადობით. ეს ელემენტები არის: ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე, ატმოსფეროს წნევა, ქარების სიჩქარე და მიმართულება, ღრუბლიანობა და სხვა. ამ უკანასკნელთ ზოგჯერ კლიმატურ ელემენტებსაც უწოდებენ.

ჰავის ელემენტებზე დაკვირვებები თბილისში პირველად 1844 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე აღნიშნული მიმართულებით დაგროვდა დიდძალი რიცხობრივი მასალა, რომელიც დროთა განმავლობაში იბეჭდებოდა ან წლიური მატიანეების, ანდა ცალკე გამოკვლევების სახით. პირველი ცდა თბილისის ჰავის გამოკვლევისა ეკუთვნის ა. ფილადელფინს, რომელმაც 1857 წ. რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა ვრცელი მიმოხილვა.

ბატონიშვილი ვახუშტის „გეოგრაფიაშიც" ვხვდებით როგორც მთელი საქართველოს, ისე მისი ცალკე ნაწილების ჰავის დახასიათებას. მაგრამ იმ დროისათვის მეტეოროლოგიური დაკვირვებების არ არსებობის გამო ჰავის დახასიათება ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებდა.

ამჟამად ქ. თბილისის ტერიტორიაზე რამდენიმე მეტეოროლოგიური სადგური არსებობს: გეოფიზიკური ობსერვატორია, ფუნიკულიორის, აეროპორტის, ბოტანიკური ბაღის, უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სადგურები. გარდა ამ სადგურებისა თბილისის ჰავის დახასიათების მიზნით ჩვენ ვსარგებლობთ ქალაქის უშუალო სიახლოვეში მყოფი სადგურების ცნობებითაც. ეს სადგურებია: კოჯრის, ვაზიანის, მცხეთის და დიღმის.

ზემოჩამოთვლილი სადგურებიდან ძველზე ძველია თბილისის ობსერვატორია, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც შეუსრულდა ასი წელი.

საშუალო თვიური ტემპერატურა თბილისში იცვლება 0,5°-დან (იანვარი) 24,1°-მდე (იელისი). ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში კი, სამგორის ველისაკენ, როგორც ამას აეროპორტის და ვაზიანის დაკვირვებები გვიჩვენებენ, ჰაერის ტემპერატურა ზაფხულობით უფრო მეტია, ზამთრობით კი გაცილებით ნაკლები, ვიდრე ქალაქის რომელიმე მხარეში.

მტკვრის ხეობის ქვედა დინებისაკენ ჰაერის ტემპერატურის წლიური რყევადობა მატულობს, რაც აშკარად ჰავის მზარდი კონტინენტალობის შედეგია.

თბილისის მიდამოების მაღლობ ადგილებში (კარსანი, კოჯორი, ფუნიკულიორი) გადასვლა 0° ტემპერატურაზე სხვადასხვა დროს ხდება. გაზაფხულის პირველი სუნთქვის შემოვრა აქ დაახლოებით 9 — 12 თებერვალს იგრძნობა; დაბლობ ადგილებში კი საშუალო ტემპერატურა მუდამ მეტია 0°-ზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მტკვრის ხეობის გასწვრივ ყინვიანი პერიოდები უფრო მცირეა, ვიდრე მაღლობ ადგილებში.

როდესაც საშუალო წლიური ტემპერატურა 35° სკარბობს, რაც უმთავრესად ივლის-აგვისტოშია მოსალოდნელი, დიდი სიცხეები დგება; უწვიმობის გამო ჰაერი შრება და მტვრიანდება. ასეთი ცხელი დღეები ხშირია თბილისში. განსაკუთრებით გვალვიან ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში 40°-მდე აღწევს. ეს ჩვენი ქალაქისათვის ძალზე დიდი რიცხვია. ჩვეულებრივ კი საშუალოდ ივლის-აგვისტოში ტემპერატურა 35°—36° არ აღემატება.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა თბილისში —20° აღწევს (იანვარში); ზაფხულის უმცირესი ტემპერატურა კი არ ეცემა+7°-ზე დაბლა (ივნისი).

გაზაფხულის სამივე თვე (მარტი, აპრილი, მაისი) თბილისში ხასიათდება სასიამოვნო და გრილი ამინდებით. წლის ეს დრო ყველაზე უფრო ნალექიანია, განსაკუთრებით მაისი. მარტის დამლევისათვის ჰაერის ტემპერატურა იმდენად მაღლა იწევს, რომ შესაძლებელი ხდება ადგილობრივი სახის ელვექების წარმოშობაც კი. ამ თვეში ჰაერის მოძრაობაც ინტენსიურად მიმდინარეობს, უფრო ხშირად ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქარების სახით. შუადღის საათებში ჰაერის დენადობა თანდათან სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადაინაცვლებს. გადასვლა გაზაფხულიდან ზაფხულის სიცხეებისაკენ ხშირად ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს, რომ შეუძლებელი ხდება მათი გამყოფი დღეების ან პერიოდის დადგენა.

საგაზაფხულო წვიმების პერიოდის დამთავრებისთანავე, რასაც ადგილი აქვს მაისის დამლევიდან ივნისის შუა რიცხვებამდე, ზაფხულის ჩვეულებრივი ცხელი დღეები იწყება. ივლისსა და აგვისტოში თბილისისათვის დამახასიათებელია მაღალი სიცხეები და გვალვა. ჰაერის ცირკულაცია ამ თვეებში უმთავრესად მთა-ბარის გავლენითაა გამოწვეული. დღისით ქარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უბერავს, საღამოთი კი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ამ ორი სახის დენადობას შორის დიდი განსხვავებაა. პირველი დაკავშირებულია დიდ სიცხეებთან, ხოლო მეორე ერთგვარ სიგრილესთან, რაც ქალაქის შუა ნაწილში თითქმის შეუმჩნეველი რჩება ქუჩებისა და შენობების ძლიერი გახურების გამო.

თბილისის ზაფხულის სიმხურვალე სექტემბერშიც გადადის, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სექტემბრის პირველი ნახევარი მაინც ზაფხულს მიეკუთვნება თავისი მაღალი სიცხეებითა და მშრალი ჰაერით. შემდეგი ორი თვე — ოქტომბერი და ნოემბერი — შემოდგომის ნამდვილ სახეს წარმოადგენს თბილისისათვის. სიმშრალე, ზომიერი და სასიამოვნო სითბო, მოწმენდილი ცა და თითქმის უქარო ამინდები.

შემოდგომა თბილისში წლის საუკეთესო დროდ ითვლება.

ზამთრის დასაწყისი ნოემბრის ბოლო რიცხვებს ემთხვევა. თოვლი თბილისისათვის არ არის მუდმივი მოვლენა. ზოგიერთ წლებში თოვლი სულაც არ მოდის, ამიტომ თოვლის საბურველი აქ მეტად ცვალებადია. მისი სიმაღლე საშუალოდ 20 სანტიმეტრამდე აღწევს, ძალიან იშვიათად 40 სანტიმეტრამდის.

მრავალი წლების განმავლობაში (რამდენადაც ამის დადგენა შეიძლება ერთი საუკუნის მანძილზე) შემჩნეულია კლიმატური პირობების ცვლილება 11-წლიანი პერიოდით. განსაკუთრებით ემჩნევა ეს ზამთრის ტემპერატურებს. სპეციალური გამოთვლებით დადგენილია, რომ თბილისის ჰავა განიცდის მკაცრ ცვლილებებს 11 წელიწადში ერთხელ. ეს მოვლენა კარგადაა ცნობილი მეტეოროლოგიაში და აიხსნება ჩვეულებრივ მზის ლაქათა რიცხვის ცვალებადობით იმავე 11 წლის განმავლობაში.

ქალაქის ზრდასთან ერთად შემჩნეულია მოღრუბლულობის ზრდა. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ წვის პროდუქტები კვამლისა და ჭვარტლის სახით ჰაერს მატებენ ე. წ. კონდენსაციის გულებს. წყნარ, უქარო ამინდებში თუ გადმოვხედავთ თბილისს ფუნიკულიორიდან, შევამჩნევთ

მოლეკულურ-რუხი ფერის ფენას, რომელიც მზის ამოსვლის შემდეგ თანდათან ბაღლა მიიწევს და ძნელად იფანტება. ეს ფენა ქრება მხოლოდ ქარიან დღეებში და ჰაერიც კვლავ სუფთავდება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჰაერის გასუფთავებას თბილისში ხელს უწყობს მხოლოდ ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარი. სამხრეთის ქარის დროს, პირიქით, ჰაერი უფრო მეტად ჭუჭყიანდება.

მზის სხივურ ენერგიაზე დაკვირვებები, რომლებსაც აწარმოებენ თბილისში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, გვარწმუნებენ აგრეთვე, რომ ღრუბლიანობის ზრდის გამო შემცირდა მზის სხივების ე. წ. პირდაპირი რადიაციის სიძლიერე, განსაკუთრებით იკლო მან ზამთრის თვეებში, როდესაც ჰაერი თბილისზე თითქმის უძრავი რჩება რამდენიმე დღის განმავლობაში.

თბილისისა და მისი მიდამოების ჰავა მიეკუთვნება ზომიერ კონტინენტალურ ტიპს, რომელიც ხასიათდება მშრალი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით.

ზაფხულის ზოგადი ხასიათი თბილისში და მის მიდამოებში ყალიბდება უმთავრესად იმ ატმოსფერული პროცესების ზეგავლენით, რომლებიც სუბტროპიკულ ზონაში წარმოებს. ეს გავლენა მხოლოდ დროგამოშვებით ირღვევა დასავლეთიდან შემოჭრილი მასების მოქმედებით, რომელთაც ერთგვარი აგრილება მოსდევს, განსაკუთრებით ელჭექების პერიოდში. დანარჩენ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზაფხულის პერიოდი ცხელია და ზოგიერთ წლებში ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში 40° აღწევს.

ზაფხულის სიცხეების გამო თბილისის კლიმატური პირობები არასაკმაოდ ხელსაყრელია და მოითხოვს ერთგვარ გარდაქმნას მათი შერბილების მიმართულებით.

ამის მიღწევა ნაწილობრივ შეიძლება ქალაქის ფართობზე მცენარეთა სამოსელის გაზრდით.

უკანასკნელ წლებში სამგორის ველის მორწყვასთან დაკავშირებით თანდათან შესამჩნევი გახდა ზაფხულის სიცხეების შენელება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბომავალი წლების საქმეა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ „თბილისის ზღვის" შექმნაა. ამ წყალსაცავს შეუძლია თავისი აორთქლების ხარჯზე შეანელოს ჰაერის სიმშრალე, ოდნავ მაინც დაანოტიეოს იგი. ეს გარემოება კი გააუმჯობესებს. თბილისის ჰავას, განსაკუთრებით ზაფხულობით.

გარდა ამისა, ჰაერის განთავისუფლება განუწყვეტელი ქვარტლისა და კვამლისაგან უსათუოდ დიდ შედეგს გამოიღებს უახლოეს წლებშივე და საგრძნობლად გააუმჯობესებს ჩვენი ქალაქის ჰავას.

* * *

ძველი თბილისი. მეტეხი, ნარიყალა



შოთა ბერაძე, გიორგი მაზიაშვილი

თბილისის მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ზოგიერთი საკითხი (1922—1940 წწ)

თბილისის მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისას საინტერესოა ზოგი რამ გავიხსენოთ მისი ისტორიული წარსულიდან.

მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის სტატისტიკურ შესწავლას საბჭოთამდელ თბილისში ძირითადად ორი მიზნით (სამხედრო და ფისკალური) აწარმოებდნენ — ჯარში გასაწვევად ვარგის მამაკაცთა რიცხოვნობისა და საგადასახადო თანხების რაოდენობის გასარკვევად. ამას ადასტურებს ფეოდალურ საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი სამფლობელოს (მეწინავე სადროშოს) 1721 წლის აღწერის დავთრის წინასიტყვაობა, რომელშიაც ვკითხულობთ: „აღვწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი"[1].

საბუთს, რომელშიაც შეჰქონდათ მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, „დავთარი" ეწოდებოდა. საკანონმდებლო ძეგლებიდან ირკვევა, რომ ასეთი აღწერები უწარმოებიათ და აღწერის დავთრები შეუდგენიათ არა მარტო თბილისში, არამედ გორში, თელავში და სხვ. როგორც თბილისის, ისე სხვა ქალაქების მოსახლეობის აღწერის დავთართა უმეტესი ნაწილი შემოსეული მტრებისაგან განადგურებულა.

თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან გადარჩენილა მხოლოდ ერთ-ერთი დავთრის ნაწყვეტი, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო და ამის გამო უთარიღოა. როგორც ჩანს, დავთარი ცუდად შეუდგენიათ. ბევრ ადგილას სტრიქონები გადახაზულია და ჩამატებული.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ სხვა დავთართაგან. თუ არ ჩავთვლით მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან ამოღებულ ზოგად ცნობებს საერთო ჯამების სახით, დღემდე ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი და შესწავლილი არ არის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის აღწერები თბილისში წინასწარ შემუშავებული გარკვეული წესებითა და პროგრამებით უწარმოებიათ. სტატისტიკური აღწერების დებულებისა და წესების შესახებ მოგვითხრობენ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი წყაროები. არსებობს

[1] ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მე-18 საუკუნეში, ტფილისი, 1907, გვ. 3.

სპეციალური დანიშნულების რამდენიმე იურიდიული დოკუმენტი, რომლებშიც მითითებულია ქალაქის მოსახლეობის აღწერების დებულებისა და წესების შესახებ. დებულებით ქალაქის მოსახლეობის, ისევე როგორც სოფლის მოსახლეობის აღწერები, პერიოდული იყო. საქართველოს ქალაქების, და მაშასადამე, თბილისის მოსახლეობის აღწერები ყ ო ვ ე ლ შ ვ ი დ წ ე ლ ი წ ა დ შ ი ერ თ ხ ე ლ ხ დ ე ბ ო დ ა[1]. აღმწერებს ქალაქებსა და სამეფო მამულებში ნიშნავდა თვით მეფე. აღწერაში მონაწილე პერსონალისათვის დაწესებული იყო ასამწერლო — „კომლზე ორი შაური"[2]. ქალაქის მოსახლეობის აღმწერლებს სოფლის მოსახლეობის აღმწერლებისაგან განსხვავებით ულუფა არ ეძლეოდათ, ე. ი. არ ხდებოდა მათი სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა.

ფეოდალური თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა გამოყენების დროს ყოველ მკვლევარს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ეს მონაცემები არ მოიცავს მთელ მოსახლეობას.

როგორც ვთქვით, მაშინდელი აღწერები სამხედრო და ფისკალური მიზნებით წარმოებდა. ქალებსა და ბავშვებს სამხედრო და ფისკალური საქმე ნაკლებად ეხებოდათ და ისინი ხშირად აღწერის გარეშე რჩებოდნენ, ე. ი. ძველი თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესწავლისას მხედველობაში იღებდნენ მხოლოდ სრულასაკოვან მამრობითი სქესის მოსახლეობას, ხოლო დედრობითი სქესის მოსახლეობა, არასრულასაკოვანი მამრობითი სქესის მოსახლეობა, მოხუცებულები, უმიწაწყლონი და ღარიბ-ღატაკნი ხშირად აღწერებში ვერ ხვდებოდნენ.

ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვარკვიოთ საბჭოთამდელი თბილისის მოსახლეობის არა მარტო რიცხოვნობა, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სქესობრივი, ეროვნული და ნაწილობრივ სოციალური შემადგენლობაც.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მოჰყავდა ყველა მკვლევარს თუ სახელმწიფო მოღვაწეს, რომლებიც კი ეხებოდნენ საქალაქო ცხოვრების განვითარების აქტუალურ საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური ცნობები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ ორ საუკუნეს) არ მოგვეპოვება. ამის შესახებ ცნობებს ვღებულობთ მხოლოდ არაპირდაპირი წყაროებისა და მემატიანეთა სავარაუდო მონაცემების საფუძველზე. ამგვარ მონაცემთა მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნის შუა წლებისათვის თბილისი საქართველოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა.

არაბი ისტორიკოსების ცნობებით არაბთა შემოსევების დროს (ბუღა-თურქის ლაშქრობის პერიოდში) 853 წლის აგვისტოში თბილისის 50.000 მცხოვრებზე მეტი დაღუპულა.

ქართველი ისტორიკოსის, ჟამთ-აღმწერლის ცნობით XIII საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისში ამოუწყვეტიათ 100.000 მცხოვრები[1]. ეს ცნობა როგორადაც არ უნდა იყოს გაზვიადებული, იმას მოწმობს, რომ ამ პერიოდის თბილისში 100.000 მცხოვრებზე მეტი უნდა ყოფილიყო.

რუსი ელჩების ცნობებით 1597 წელს ოსმალთა ბატონობის დროს თბილისში მხოლოდ 2000 კომლი (დაახლოებით 10.000 სული) ცხოვრობდა[2].

XVII საუკუნის ბოლოსათვის ფრანგი ბოტანიკოსის ტ ო ურ ნ ე ფ ო რ ი ს ცნობით 1700 წელს თბილისში დაახლოებით 20.000 მცხოვრები ითვლებოდა[3].

70 წლის შემდეგ, 1770 წლის 5 აპრილისათვის თბილისში ყოფილა 4.000 კომლი. ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ფრანგები და თათრები[4].

რუსი მოგზაურის გ ი ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ცნობით 1772 წლისათვის თბილისში ეპიდემიას ამოუწყვეტია 4.000 კაცი და დარჩენილა 20.000 სუ-

[1] „დასტურლამალი" მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფილისი, 1886, გვ. 86.

[2] იქვე.

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1906, გვ. 380.

[2] С. А. Б е л о к у р о в, Сношения России с Кавказом, Материалы, п. I, М., 1889, გვ. 311.

[3] М. П о л и е в к т о в, Г. Н а т а д з е, Старый Тифлис, Тифлис, 1938, გვ. 30.

[4] ა ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს წარსულის სტატისტიკური და საეკონომიო შესასწავლათ, „ძველი", 1898, № 11.

ლი[1], ე. ი. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 1772 წლისათვის დაახლოებით ყოფილა 24.000 სული.

თუ მხედველობაში მიეიღებთ, რომ მომდევნო წლებში თბილისის მოსახლეობის ზრდისათვის შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა, XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში თბილისის მოსახლეობა 30.000 კაცამდე უნდა გაზრდილიყო[2].

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ შედარებით საიმედო ცნობები მოგვეპოვება XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და ფართო გასაქანი მიეცა საქალაქო აღწერების წარმოების საქმეს საქართველოში. ამ პერიოდის თბილისი იცნობს მოსახლეობის რამდენიმე აღწერას. 1802 — 1803 წლების აღწერას, 1808 წლის აღწერას, 1864 — 1865 და 1876 წლების ერთდღიურ აღწერებს და 1897 წლის რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერას, რომელიც თბილისსაც შეეხო.

არსებული ცნობების თანახმად თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა XIX საუკუნის დასაწყისში (1803 წ.) უდრიდა 20.000 სულს[3], 1835 წლისათვის იგი გადიდდა 25.000 სულამდე და 50-ან წლებში მიაღწია 30—35 ათას სულს[4].

საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესაბამისად, რაც დაკავშირებულია საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრასთან, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა შედარებით მეტად გაიზარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. ეს პროცესი მკაფიოდ არის ასახული ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 1).

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს კაპიტალიზმის ერთგვარი გავლენა თბილისის მოსახლეობის ზრდაზე.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა დიდი გავლენა იქონია თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობამ არა თუ არ მოიმატა, არამედ შემცირდა კიდეც. მრეწველობის დაქვეითებამ, უმუშევრობის ზრდამ და სხვა უარყოფითმა მომენტებმა გამოიწვია თბილისის მოსახლეობის განთესვა, საგრძნობლად შეამცირა მისი რიცხოვნობა.

ცხრილი № 1

თბილისის მოსახლეობის ზრდა რეფორმისშემდგომ-დელ პერიოდში

წლები	მოსახლეობა (ათ. სული)
1865	68,0
1886	78,0
1897	160,0
1902	191,7
1908	270,0
1910	303,0
1914	344,0
1915	345,0
1917	242,0

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის სისტემატური ზრდისათვის საუკეთესო პირობები შეიქმნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ეს ფაქტი ილუსტრირებულია ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 2).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა. 1897 წლიდან 1922 წლამდე, ე. ი. 25 წლის მანძილზე, თბილისის მოსახლეობა გაზრდილა მხოლოდ 74.400 კაცით. მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთი ზრდა მაჩვენებელია იმისა, რომ მეფის ხელისუფლების პირობებში ქალაქის მოსახლეობის ზრდა მრავალ სხვადასხვა მიზეზთა გამო ფერხდებოდა. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, ისიც, რომ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა პირდაპირი გავლენა მოახდინა თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობაზეც, ხოლო საქართველოში მენშევიკური მთავრობის პერიოდში თბილისის მოსახლეობა არა თუ არ გაზრდილა, არამედ სასურსათო კრიზისის, სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის და სხვა დარგთა დეგრადაციის გამო, სწრაფად მცირდებოდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა ქალაქი და თავი სოფელს შეაფარა.

[1] Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия И. А. Гюльденштедта, СПб., 1809.

[2] თბილისი, 1957, გვ. 87.

[3] М. Д. Полиевктов, Г. Натадзе, Старый Тифлис, 1938, гв. 65.

[4] Кавказский календарь, 1844, 1847.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 19 წლის განძილზე (1921-1940 წწ.), თბილისის მოსახლეობას მიეტანა 304.300 კაცი.

ამრიგად, თუ 1897 წლიდან 1921 წლამდე თბილისის მოსახლეობის მატება — 46.6% შეადგენდა, 1922 წლიდან 1940 წლამდე ბან 130%-ს მიაღწია. აქედან გასაგებია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. ამას ხელი შეუწყო ქალაქში წარმოებულმა ფართო მასშტაბის სამშენებლო საბუშაოებმა. გაფართოვდა და გადაკეთდა ძველი საწარმოები, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება სწრაფად მიიწევდა წინ. თბილისში მეწყობრში ჩადგა მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად თბილისი გადაიქცა ინდუსტრიულ ქალაქად. ახალი სამრეწველო საწარმოების გაჩენასთან ერთად დაარსებულ იქნა მრავალი დაწესებულება, მოწესრიგდა ტრანსპორტი, გაუჯობესდა ჯანმრთელობის დაცვა, კულტურული მომსახურების დაწესებულებათა საქმიანობა. სოციალისტური მშენებლობის ასეთმა ბრწყინვალე აღმავლობამ, ცხოვრების პირობებისა და სისტემატურმა გაუჯობესებამ განაპირობა თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა.

უნდა ითქვას, რომ თბილისის მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური პროცენტი (ტემპი), გარდა რამდენიმე შემთხვევისა, ყოველთვის მაღლია. განსაკუთრებით ეს ითქმის შემდეგი წლების მიმართ: 1926 წ. (8,77%), 1931 წ. (9,46%), 1932 წ. (10,56%) და 1939 წ. (9, 52%).

1939 წლისათვის, თბილისის მოსახლეობა განაწილებული იყო ხუთ რაიონში, რომელთაც შემდგომში კიდევ გამოეყო ორი ახალი რაიონი. თბილისის მოსახლეობა განაწილებული იქნა სულ შვიდი რაიონის მიხედვით. ეს რაიონებია: ლენინის სახელობის რაიონი, სტალინის სახელობის რაიონი, 26 კომისრის სახელობის რაიონი, ორჯონიკიძის

ცხრილი № 2

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და დინამიკა წლების მიხედვით[1]

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასებში	აბსოლუტური მატება	მატების ტემპი (%)	ზრდის საშუალო წლ. ტემპი (%)	წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასებში	აბსოლუტური მატება	მატების ტემპი (%)	ზრდის საშუალო წლ. ტემპი (%)
1897	159,6	—	—		1931	340,9	30,8	9,9	9,49
1922	234,0[2]	74,4	46,5	1,52	1932	378,6	38,0	11,1	10,56
1923	245,2	11,2	4,8	4,67	1933	395,0	16,1	4,2	4,16
1924	257,0	11,8	4,8	4,70	1934	416,6	21,6	5,5	5,32
1925	269,3	12,3	4,8	4,67	1935	426,3	9,7	2,3	2,68
1926	294,0	24,7	9,2	8,77	1936	445,1	18,8	4,4	5,06
1927	295,2	1,2	0,4	0,41	1937	453,2	8,1	1,8	1,80
1928	306,1	10,9	3,7	3,62	1938	472,0	18,8	4,1	4,06
1929	318,1	12,0	3,9	3,84	1939	519,2	47,2	10,0	9,52
1930	310,1	—8,0	—2,5	—2,54	1940	538,3	19,1	3,7	3,61

სახელობის რაიონი, კიროვის სახელობის რაიონი, კალინინის სახელობის რაიონი და ოქტომბრის სახელობის რაიონი.

როგორც ვიცით, 1939 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით თბილისში ცხოვრობდა 519.220 კაცი. ეს რიცხვი რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ლენინის სახელობის რაიონი — 69.370 (13,3%);
2. სტალინის „ „ — 75.734 (14,6%);
3. 26 კომისრის „ „ — 90.932 (17,5%);
4. ორჯონიკიძის „ „ — 69.435 (13,4%);
5. კიროვის „ „ — 55.488 (10,7%);
6. კალინინის „ „ — 63.813 (12,3%);
7. ოქტომბრის „ „ — 94.448 (18,2%).

ამრიგად, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფებოდა ოქტომბრის

[1] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

[2] ჯარის ნაწილების გამოკლებით, რაც ზოგიერთ მაჩვენებელთა გამოანგარიშებაზე უშუალო გავლენას ახდენს.

[illegible] 26 კომისრის სახელობის, შესაძლებელ სტალინის სახელობის, ძველთხეზე ორჯონიკიძის სახელობის, შეექვსეზე ლენინის სახელობის, შვიდეზე კალინინის სახელობის, ხოლო მეშვიდეზე კიროვის სახელობის რაიონი.

თბილისის ძოსახლეობის დინამიკის მაჩვენებლები ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების მიხედვით, ორი წლის მაგალითზე, მოცემულია ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 3).

[illegible] ბრძოლის [illegible] ბოლო [illegible] ბრძოლის [illegible] ბრძოლის [illegible] ბრძოლის

1932 წლისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი წინა წელთან შედარებით რამდენადმე მცირდება, მაგრამ წმინდა მატებამ მაინც + 1827 სული მოგვცა. ამავე პერიოდისათვის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა დაბადების 20,9 შემთხვევა, ხოლო გარდაცვალების 16,1 შემთხვევა.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების საგრძნობ გადიდებას ჰქონდა ადგილი 1937 წელს. ამ წლისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატება უდრიდა + 8319 სულს და ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა დაბადების 30,2 შემთხვევა, ხოლო გარდაცვალების — 11,9 შემთხვევა.

1940 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება უდრიდა + 5009 სულს. ყოველ ათას სულზე მოდიოდა დაბადების — 22,3 შემთხვევა, ხოლო გარდაცვალების — 13,2 შემთხვევა.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობაზე გავლენას ახდენდა არა მარტო მოსახლეობის ბუნებრივი, არამედ მექანიკური მოძრაობაც. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სრულყოფილი მონაცემები თბილისის მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის შესახებ. მიუხედავად ამისა, თბილისის მოსახლეობის ზრდა მექანიკური მატების საფუძველზე შეიძლება ზოგადად დავახასიათოთ შემდეგი მონაცემებით:[1] თბილისის მოსახლეობას მოემატა თბილისგარეთ დაბადებული: 1923 წელს — 16.753 სული, 1924 წელს — 13.212 სული, 1925 წელს — 10.546 სული, 1927 წელს — 8.500 სული, ხოლო 1928 წელს — 5738 სული.

როგორც ვხედავთ თბილისის მოსახლეობის მექანიკური მატება თანდათანობით შემცირებულა. თუმცა ეს პროცესი, ე. ი. მოსახლეობის მექანიკური ზრდა შემდეგშიც გრძელდებოდა, ზოგჯერ მეტი მასშტაბითაც. ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა წინა წლებში. ასე, მაგალითად, 1940 წელს, თბილისის მოსახლეობის მექანიკურმა მატებამ დაახლოებით 18.327 სულს მიაღწია.

* * *

თბილისის მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობის ანალიზს ვაწარმოებთ 1922, 1926 და 1939 წლების მოსახლეობის აღწერების ნონაცემთა საფუძველზე. ეს საკითხი მრავალმხრივ საინტერესოა. როგორც ვიცით სტატისტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრაში მდგომარეობს. მოცემული საკითხის შესწავლა ხორციელდება მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნების მიხედვით განაწილების საფუძველზე. პირველყოველისა ქვემომოტანილ ცხრილში ასახულია თბილისის მოსახლეობის განაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

ცხრილი № 5

თბილისის მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა[1]

წლები	სულ	მათ რიცხვში		%%-ში ჯამის მიმართ	
		მამრობითი	დედრობითი	მამრობითი	დედრობითი
1922	233958	111996	121962	47,87	52,13
1926	294044	147319	146695	50,11	49,89
1939	519220	250916	268304	48,33	51,67

საერთოდ, თბილისის მოსახლეობაში, დედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა დიდად არ განსხვავდება მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობისაგან. 1922 წელს, ეს განსხვავება შედარებით უფრო მეტად იგრძნობოდა, რაც უმთავრესად გამოწვეულია პირველი იმპერიალისტური ომით, რომელმაც მამრობითი სქესის მოსახლეობა დიდი რაოდენობით იმსხვერპლა. ცხრილში ადვილად შევამჩნევთ, რომ შემდგომ წლებში ადგილი აქვს დედრობით და მამრობით სქესის წარმომადგენელთა რაოდენობის გათანასწორების ტენდენციას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, სხვა თანაბარ პირობებში, დაახლოებით იმდენივე იბადება ვაჟი, რამდენიც ქალი. ახალშობილთა სქესობრივი განაწილების ასეთი თანაფარდობა შესაძლებელია გამოვლინდეს და გამოვლინდა კიდეც დაკვირვების მხოლოდ საკმაოდ დიდი რიცხვის აღების პირობებში.

გამომდინარე ზემომოტანილი ცხრილიდან შეიძლება ითქვას, რომ 1922 წელს, თბილისში ყოველ ათას კაცზე მოდიოდა 1.089 ქალი, 1926 წელს — 996 ქალი, ხოლო 1939 წელს — 1.069 ქალი.

[1] ბ. ჯანდიერი, ქალაქ თბილისის მოსახლეობა, გვ 21.

[1] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

მეტად მნიშვნელოვანს წარმოადგენს თბილისის მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის განილვა ასაკობრივ ჯგუფებთან დაკავშირებით. ეს დაკავშირება მოცემულია ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 6).

როგორც ვხედავთ 0—4 წლამდე ასაკის მქონე პირთა რაოდენობა ყველა შემთხვევაში აჭარბებს 60 წელზე მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობას. ეს გასაგებიცაა. მაღალ ასაკში გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობა ყოველთვის მეტია, ვიდრე დაბალ ასაკში. ამიტომ რამდენადაც დიდია დაბალი ასაკის ჯგუფი (0—4 წლამდე), მაღალი ასაკის (60 წელზე მეტის) ჯგუფთან შედარებით, იმდენად დიდია მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ფარგლები. ამავე დროს ეს გარემოება მიუთითებს დაბალ ასაკში გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის შედარებით სიმცირეზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებს გარკვეული ცვალებადობა ემჩნევა, რაც უმთავრესად, გამოწვეული იყო მოსახლეობის მე-

ცხრილი № 6

თბილისის მოსახლეობა სქესისა და ასაკის მიხედვით[1]

ასაკობრივი ჯგუფები / წლები. სქესი		0—4	5—9	10—14	15—19	20—24	25—29	30—39	40—49	50—59	60 ზე მეტი	გაურკვეველი
1922 წ. აღწ.	მამრობითი	10331	10219	12759	11462	9939	10957	18823	12949	8192	6230	136
	დედრობითი	10086	9694	13154	13391	14421	13226	18968	11400	8651	8836	135
	ს უ ლ	20417	19913	25913	24853	24360	24183	37791	24348	15843	15066	271
1926 წ. აღწ.	მამრობითი	16155	11547	12815	15460	23183	14053	21877	15869	8987	7277	106
	დედრობითი	15767	11063	12646	16924	16889	16198	23357	13808	9325	10672	41
	ს უ ლ	31922	22615	25461	32404	40072	30251	45234	29677	18312	17949	147
1939 წ. აღწ.	მამრობითი	24772	20039	25063	25301	29130	29058	40329	25257	17883	13993	91
	დედრობითი	23929	19766	25670	26330	28543	30228	46432	27704	19603	19738	61
	ს უ ლ	48701	39805	50733	51631	57973	59286	86761	52961	37486	33731	152

ქანიკური მოძრაობით. ეს ფაქტი განსაკუთრებით ნათლად ჩანს შრომითი ასაკის ჯგუფებში,—15-დან 60 წლამდე — მამრობითი სქესისათვის, ხოლო 15-დან 55 წლამდე — დედრობითი სქესისათვის.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ თბილისის მოსახლეობის დაბალ ასაკობრივ ჯგუფში (0—4 წლამდე), ვაჟების რაოდენობა ჭარბობს ქალების რაოდენობას, ე. ი. დაბადების შემთხვევათა საერთო რაოდენობაში მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი ვაჟები, ვიდრე ქალები. მაგრამ, ეს თანაფარდობა იცვლება მაღალ ასაკობრივ, მაგ., 50—59 წლამდე და 60 წელზე მეტი ასაკის ჯგუფებში, — საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ ჯგუფებში მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია დედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობასთან შედარებით.

* * *

თბილისი მრავალერიანი სოციალისტური ქალაქია, სადაც ცხოვრობენ: ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები და სხვ.

[1] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი მაჩვენებლებით (იხ. ცხრ. № 7).

უნდა ითქვას, რომ 1922 წლის აღწერით მრავალი ეროვნება, მაგ., გერმანელი, ქურთი, აზერბაიჯანელი და სხვ., ცალკე ეროვნულ ჯგუფად არ ყოფილა გამოყოფილი. ეს ეროვნებანი გაერთიანებული იყვნენ „დანარჩენთა" ჯგუფში.

თბილისში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნება განცალკევებულ ჯგუფებად პირველად 1939 წელს აღირიცხა. შედარების გაადვილების მიზნით, ცხრილში შევიტანეთ ყველა ეროვნება, რომელიც გამოცალკეევდა 1922 წ., 1926 წ. და 1939 წ. მოსახლეობის აღწერებში. დანარჩენ შემთხვევებში, ეროვნებანი, რომელნიც პირველად გამოცალკეევდა 1939 წ. აღწერით, გავაერთიანეთ „დანარჩენში".

თბილისში არსებულ ეროვნებათაგან მოსახლეობის საერთო რაოდენობაში დიდ ადგილს იჭერენ ქართველები, რუსები, სომხები. ეროვნებათა ეს სამი ჯგუფი, იმის გამო, რომ დიდი რაოდენობით

ცხრილი № 7

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

წლები	ქართველი	რუსი	სომეხი	ოსი	ბერძენი	ებრაელი	თათარი	დანარჩენი	სულ
1922[1]	80994	38612	85309	1445	1257	8768	7239	10443	233958
1926[2]	112205	47843	100148	2990	1402	8962	6788	11216	291455
1939[3]	228394	93337	137331	9328	3207	13715	1468	32220	519220

არიან წარმოდგენილი, ყოველთვის განსაზღვრავდნენ თბილისის მოსახლეობის ზრდის ტემპს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად თბილისის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა. შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობა მრავალრიცხოვან თბილისის მოსახლეობაში ძმური თანაცხოვრების დამკვიდრებისათვის.

უკვე 1926 წლიდან, თბილისის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, სხვა ერებთან შედარებით, დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქართველობა. ამ პერიოდისათვის თბილისში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობამ მიაღწია — 112.206 კაცს. ამასთან გაიზარდა სხვა ეროვნებათა მოსახლეობის რაოდენობაც.

1939 წლისათვის თბილისში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობამ მიაღწია — 228.394 კაცს, სომეხთა რაოდენობამ—137.331 კაცს, ხოლო რუსთა რაოდენობამ — 93.337 კაცს. თუ ჩვენ ზემომოტანილ მაჩვენებლებს შევუდარებთ 1922 წლის საერთო მაჩვენებლებს, აღმოჩნდება, რომ ქართველების რაოდენობა გაზრდილა — 2,8-ჯერ, სომხების — 1,6-ჯერ, რუსების — 2,4-ჯერ. აქედან ნათელია, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განმავლობაში თბილისში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა იზრდებოდა როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით.

ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რაიონების მიხედვით. ავიღოთ 1939 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ცნობები (იხ. ცხრ. № 8).

როგორც ვხედავთ, სხვა ეროვნებებთან შედარებით ქართველების უმრავლესობა ცხოვრობდა ლენინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის და სტალინის სახელობის რაიონებში. 26 კომისრისა და კიროვის სახელობის რაიონებში, ყველაზე მეტი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები. დანარჩენი ეროვნებანი მეტნაკლებად განაწილებული იყვნენ თბილისის მაშინდელ ადმინისტრაციულ რაიონებში.

* * *

მოსახლეობის შესწავლა დედა-ენის ნიშნის მიხედვით დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სსრ კავშირში დედა-ენად ითვლება ის ენა, რომელსაც თვით მოქალაქე აირჩევს.

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი 1921—1931, 1931, გვ. 24—27.

[2] იქვე.

[3] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

[1] ასეთებია: აზერბაიჯანელი—5874, უკრაინელი—7415, გერმანელი—5528, ქურთი—4511.

თბილისში, 1939 წლისათვის ოცზე მეტი სხვადასხვა დედა-ენის მქონე მოსახლეობა გვხვდებოდა. ცნობები თბილისის მოსახლეობის დედა-ენის შესახებ, 1939 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით, მოცემულია ქვემოთმოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 9).

ცხრილიდან ჩანს, რომ ქართული ენა, თბილისის მცხოვრებთა შორის, სხვა დანარჩენ ენებთან შედარებით, ყველაზე უფრო გავრცელებულ ენას წარმოადგენდა. თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან ქართული ენა დედა-ენად აღიარა მოსახლეობის 49,91%, რუსული — 24,86%, ხოლო სომხური — 18,39%. ე. ი. თბილისში გაბატონებულ ენას წარმოადგენდა ქართული ენა.

საყურადღებო დასკვნის გაკეთება შეიძლება დედა-ენისა და ეროვნების ნიშანთა ურთიერთ დაკავშირების საფუძველზე. როგორც ვიცით, 1939 წელს თბილისში ცხოვრობდა — 228.394 ქართველი. ამავე პერიოდისათვის ქართული ენა დედა-ენად მიიღო 259.092 კაცმა. აქედან ცხადია, რომ 30.698 თბილისელმა მოქალაქემ, რომელნიც სხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ, დედა-ენად აღიარა ქართული ენა. ასევე შეიძლება ითქვას რუსული ენის მიმართაც. მაგრამ ეს არ ითქმის სომ-

ცხრილი № 8

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რაიონების მიხედვით 1939 წლისათვის [1]

რაიონების დასახელება	ქართველი	რუსი	სომეხი	აზერბაიჯანელი	ებრაელი	ოსური	ებრაელი	უკრაინელი	გერმანელი	ბერძენი	თათარი	დანარჩენი	სულ
სულ თბილისში	228394	93337	137331	5874	9328	3207	13915	7415	5528	4511	1488	8892	519.220
მათ შორის:													
1. ლენინის სახელობის რ-ნი	65783	21057	14087	291	4371	607	581	1549	1613	1353	99	2169	113.560
2. 26 კომისრის „ „	29433	21799	52414	424	821	397	2119	1878	611	204	667	1489	112.256
3. კიროვის „ „	25309	9678	31446	3187	823	773	7522	963	369	618	158	1356	82.242
4. ორჯონიკიძის „ „	59413	20479	14892	1740	1349	752	1533	1599	959	1023	427	2282	106 448
5. სტალინის „ „	48455	20324	21452	232	1964	678	2160	1426	1946	1313	127	1596	104.714

ცხრილი № 9

თბილისის მოსახლეობის განაწილება დედა-ენის მიხედვით 1939 წ. [1]

ენის დასახელება	მამრობითი	დედრობითი	სულ	ენის დასახელება	მამრობითი	დედრობითი	სულ
ქართული ენა	126606	132486	259092	ასირიული ენა	1139	1089	2228
რუსული „	57506	71596	129102	თათრული „	939	658	1597
სომხური „	47197	48289	95486	პოლონური „	67	136	203
ებრაული „	846	939	1785	თურქული „	338	284	622
ოსური „	3631	2900	6531	სპარსული „	216	157	373
უკრაინული „	2709	1928	4634	აფხაზური „	145	31	176
აზერბაიჯ. „	3447	2429	5875	ლეკური „	114	21	135
გერმანული „	1790	2313	4103	ესტონური „	20	18	38
ქურთული „	2437	1812	4249	ჩეჩნური „	15	2	17
ბერძნული „	661	568	1229	სხვა...	1093	652	1745
				სულ:	250916	298304	519220

ხურ ენაზე. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1939 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით თბილისში ცხოვრობდა — 137.331 სომეხი, აქედან სომხური ენა დედა-ენად მიიღო — 95.486 მოქალაქემ, ხოლო დანარჩენმა (41845 კაცმა) მშობლიურ ენად აღიარა უმთავრესად ქართული ენა.

[1] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

როგორც ვხედავთ, ეროვნება `ყოველთვის არ ემთხვევა დედა-ენას. ეროვნება და დედა-ენა ზოგჯერ მართალია, ერთიმეორეს შორდება, მაგრამ

[1] თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

ისე, რომ ეროვნებათა აბსოლუტური უმრავლესობა ინარჩუნებს თავისი ერის ენას. საერთოდ, ეს შეიძლება განსაკუთრებით ითქვას მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მიმართ.

თბილისის მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელების დონის შესწავლა ფრიად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მოცემული საკითხის დაწერილებითი ანალიზისათვის ყველა საჭირო ცნობა არ მოგვეპოვება. აბიტომ, ჩვენ დავკმაყოფილდებით ზოგადი ხასიათის დასკვნებით.

1922 წელს, თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, ხუთ წლამდე ასაკის მქონე პირთა გამოკლებით, (რაც — 213.541 სულს უდრიდა) წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 153.285 სულს შეადგენდა, ე. ი. მთელი ზემოთ აღნიშნული მოსახლეობის საერთო რაოდენობის 71,78%-ს. 1926 წელს თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, რომელიც 291.455 სულს შეადგენდა, ხუთ წლამდე ასაკის მქონე პირთა გამოკლებით, წერა-კითხვა იცოდა 193.963 კაცმა, რაც საერთო რაოდენობის 66,55% შეადგენს. 1939 წელს, თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (470.519 კაცი), ხუთ წლამდე ასაკის მქონე პირთა გამოკლებით, წერა-კითხვა იცოდა 432.475 კაცმა, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 91,91% შეადგენს.

უნდა ითქვას, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლებამ, რომელიც ჩვენში შემოღებულ იქნა 1930 წელს, გადამწყვეტი როლი შეასრულა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა მაშინდელი თბილისის მოსახლეობის შესწავლა განათლების ცენზის მიხედვით. 1922 წელს თბილისის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა უდრიდა 6.510 კაცს. აქედან მამრობითი იყო — 4.761, ხოლო დედრობითი — 1.749. საშუალო სასწავლებელდამთავრებულ პირთა რაოდენობა უდრიდა 27.724 კაცს. თბილისის მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მოდიოდა: უმაღლესი განათლების მქონე დაახლოებით 27,83, ხოლო საშუალო განათლების მქონე — 118,5.

ამ მხრივ. ენიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა 1939 წლისათვის. მოცემული პერიოდისათვის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (519,2), უმაღლესი განათლებით იყო—21.753, მათ შორის მამრობითი — 7.966, დედრობითი—13.787. 1922 წელთან შედარებით, 1939 წლისათვის უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა გაზრდილა დაახლოებით 3,3-ჯერ. ამავე წლისათვის თბილისის მოსახლეობის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა უმაღლესი განათლების მქონე 41,9 კაცი, ხოლო საშუალო განათლების მქონე — 143.840 კაცი. მათ შორის მამრობითი — 68.753, დედრობითი — 75.087. საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობა 1939 წელს, 1922 წელთან შედარებით, გაზრდილა დაახლოებით 5,2-ჯერ და ყოველ ათას მცხოვრებზე 277,0 კაცამდე მიუღწევია.

* * *

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის განაწილებას გეგმიანი ხასიათი აქვს. შრომა ნაწილდება სახალხო მეურნეობის დარგთა შორის და მათ შიგნით, მოსაქმეობის ცალკეული კონკრეტული სახეების მიხედვით. საერთოდ, მოსახლეობის საქმიანობის ხასიათის შესწავლისათვის საჭიროა გამორკვეულ იქნას ცალკეულ დარგებს შიგნით ჩაბმული თვითმოქმედი მოსახლეობის რაოდენობა. უნდა ითქვას, რომ ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად, ჩვენი სახალხო მეურნეობის მძლავრ განვითარებასთან ერთად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, შრომის სხვადასხვა დარგში დიდი ცვლილება მოხდა. შეიცვალა თვითმოქმედი მოსახლეობის რაოდენობაც. წარმოიშვა მანამდე არარსებული, წარმოების სრულიად ახალი დარგები, რამაც დიდი რაოდენობით მიიზიდა თვითმოქმედი მოსახლეობა, ამავე დროს მოსაქმეობის გარკვეული დარგები, ან სრულიად გაქრა, ანდა შეიკვეცა. ეს უკანასკნელი შეეხება, წარმოების ისეთ დარგებს, რომელთაც წვრილი ხელოსნური ხასიათი ჰქონდა.

თბილისი საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრს წარმოადგენს. თვითმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმულია მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში — ფაბრიკა- ქარხნებში და ა. შ. ქვემოთ დავინახავთ, რომ თბილისის მოსახლეობამ 1922 წლიდან 1939 წლამდე, მოსაქმეობის მხრივ დიდი ცვლილება განიცადა.

თბილისის მოსახლეობის განაწილება მოსაქმეობის სხვადასხვა დარგში 1922 წლის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია დავახასიათოთ შემდეგი ცხრილით (იხ. ცხრ. № 10).

აღსანიშნავია, რომ 1922 წლის აღწერით მოპოვებული ცნობები ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ზემომოტანილ ცხრილში წარმოდგენილი მოსაქმეობის ჯგუფები შედგება მრავალ სრულიად სხვადასხვაგვაროვან ქვეჯგუფებისაგან, რომელთა გამოცალკევების გარეშე ძნელია მეცნიერული ანალიზის წარმოება. 1922 წელს თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობა შეადგენდა 98.104 სულს, ე. ი. საერთო რიცხოვნობის 41,9%, ხოლო დანარჩენი — 58,1%, ე. ი. თბილისის იმდროინდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი, წარმოადგენდა არათვითმოქმედ მოსახლეობას. თვითმოქმედი მოსახლეობის განაწილება მოსაქმეობის ჯგუფების მიხედვით შემდეგ მაჩვენებლებში გამოიხატება: სასოფლო მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა ერთად აღებული — 1,62%, მრეწველობა —

ცხრილი № 10

თბილისის მოსახლეობის განაწილება მოსაქმეობის მიხედვით 1922 წლის აღწერით [1]

მოსახლეობა	სულ	მოსაქმეობის მთავარი ჯგუფები							
		სასოფლო მეურნ. სატყეო მეთევზ.	მრეწველობა	კრედიტი, შუამავლობა, ვაჭრობა	სადგომის და სასმელ-საჭმ. გაცემა	ტრანსპორტი	საზელმწ. და საზოგ. სამსახური	შრ. დანარჩ. დარგები, შრ. გაუწევ. მიღ. შემოსავალი	დანარჩენი
მამრობითი	69855	1490	13891	11371	1479	10802	17074	6784	6964
დედრობითი	28249	105	3957	1064	863	1411	7074	5878	7897
თვითმოქმ. მოსახლეობა	98104	1595	17843	12435	2352	12213	24148	12662	14861
არათვითმოქმ. მოსახლეობა	135854	2694	29950	24997	3494	23196	31369	8757	11297
სულ მოსახლეობა	233958	4289	47798	37432	5836	35409	55517	21419	26258

18,19%, კრედიტი, შუამავლობა, ვაჭრობა — 12,67%, სადგომისა და სასმელ-საჭმელის გაცემა — 2,38%, ტრანსპორტი — 12,44%, მოსამსახურე — 24,61%, შრომის დანარჩენი დარგები და შრომის გაუწევლად მიღებული შემოსავალი — 12,91%, დანარჩენი მოსაქმეობა — 15,14%.

ამრიგად, თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობის უმრავლესობის საქმიანობა განისაზღვრებოდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ხასიათის სამუშაოთა შესრულებით. ამასთან თვითმოქმედი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეწეოდა სამრეწველო ხასიათის მოსაქმეობას (18,19%). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ ჯგუფში გაერთიანებულია არა მხოლოდ თვითმოქმედი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მოსაქმეობდა ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ ის ნაწილიც, რომელიც ჩაბმული იყო წვრილ-ხელოსნურ წარმოებაში, რომელსაც იმდროინდელ თბილისში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა.

თვითმოქმედი მოსახლეობის დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა იყო ჩაბმული კრედიტის, საშუამავლო ვაჭრობის და ტრანსპორტის დარგებში. მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი შრომის დანარჩენ დარგებში ჩაბმული თვითმოქმედი მოსახლეობა და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უშრომო შემოსავლის მქონე პირთა ჯგუფს შეადგენდა. მოსახლეობის ეს ნაწილი ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი.

[1] საქ. სსრ თბილისის აღმ. სტატ. ეკ. განყ. სტატისტიკური კრებული, 1925, გვ. 376—381.

თბილისის მოსახლეობის შრომითი საქმიანობის შედარებით უფრო დეტალურ დახასიათებას გვაძლევს მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა, რომელიც ასახულია ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 11).

როგორც ცხრილიდან გამომდინარეობს, 1926 წელს თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან თვითმოქმედი მოსახლეობა შეადგენდა 38,5%, ხოლო არათვითმოქმედი — 61,5%. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდისათვის თბილისის მოსახლეობაში თვითმოქმედ და არათვითმოქმედ მოსახლეობის თანაფარდობაში მოხდა გარკვეული ცვლილება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1922 წელს თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თვითმოქმედი მოსახლეობა შეადგენდა 41,9%, ხოლო არათვითმოქმედი — 58,1%. 1926 წელს კი თვითმოქმედი მოსახლეობა განისაზღვრა 38,5%-ით, ხოლო არათვითმოქმედი — 61,5%-ით, ე. ი. 1926 წელს თბილისის მოსახლეობაში თვითმოქმედი მოსახლეობის ხვედრითი წონა შემცირებულა; თუმცა, აბსოლუტურად გაზრდილა, რაც უმთავრესად აიხსნება დაბადების შემთხვევათა რაოდენობის ზრდის შედარებით სწრაფი ტემპით.

ცხრილი № 11

ქ. თბილისის მოსახლეობა შრომის დარგებისა და თვითმოქმედების მიხედვით 1926 წლ. აღწერით[1]

მოსახლეობა	სულ	მათ შორის									
		სოფლის მეურნეობა	საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობა	შინა და ხელოსნური მრეწველობა	მშენებლობა	რკინიგზის ტრანსპორტი	ტრანსპორტის დანარჩენი დარგები	ვაჭრობა და კრედიტი	დაწესებულებანი	შრომის სხვა დარგები	მოსახლეობა, რომელიც შრომის დარგების მიხედვით არ არის განაწილებული
თვითმოქმედი	113311	2681	8215	12029	1355	10322	4341	12094	20664	7656	33954
არათვითმოქმედი	190733	6724	16651	25003	3007	23410	9934	27569	31928	14447	22069
სულ თვითმოქმედი და არათვითმოქმედი	294044	9405	24866	37032	4362	33732	14275	39654	52592	22103	56023

თბილისის მაშინდელი მოსახლეობის განაწილება შრომის ცალკეული დარგებისა და ჯგუფების მიხედვით, გამოსახული პროცენტებში, შემდეგ სურათს გვაძლევს: სოფლის მეურნეობა — 2,36%, საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობა — 7,26%, შინა და ხელოსნური მრეწველობა — 8,62%, მშენებლობა — 1,20%, რკინიგზის ტრანსპორტი—9,10%, ტრანსპორტის დანარჩენი დარგები — 3,84%, ვაჭრობა და კრედიტი — 8,67%, დაწესებულებანი — 18,94%, შრომის სხვა დარგები — 6,76%, მოსახლეობა, რომელიც შრომის დარგების მიხედვით არ არის დანაწილებული — 29,96%. გარდა ზემოხსენებულისა უნდა ვივარაუდოთ, რომ 1926 წელს, თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 35% ეწეოდა მატერიალური წარმოების სფეროში მიმდინარე საქმიანობას, ხოლო ამავე წელს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ჩაბმულ მუშაკთა ხვედრითი წონა არ აღემატებოდა 18,24%.

ზემომოტანილ ცხრილში განაწილებულია არათვითმოქმედი მოსახლეობაც. ამ პერიოდისათვის თვითმოქმედი მოსახლეობის ყოველ ას სულზე მოდიოდა არათვითმოქმედი მოსახლეობა: სოფლის მეურნეობაში — 251, საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში — 203, შინა და ხელოსნურ მრეწველობაში — 208, მშენებლობაში — 222, რკინიგზის ტრანსპორტის დარგში — 227, ტრანსპორტის დანარჩენ დარგებში — 229, ვაჭრობასა და კრედიტში — 228, დაწესებულებებში — 155, შრომის სხვა დარგებში — 189, დანარჩენი — 65.

თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობა 1926 წლისათვის, 1922 წელთან შედარებით, გაიზარდა 1,15-ჯერ, ხოლო არათვითმოქმედი მოსახლეობა — 1,33-ჯერ.

[1] საბჭოთა საქართველო ციფრებში, 1929, გვ. 20—21.

1926 წლიდან 1940 წლამდე, ორი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საერთოდ თბილისის მოსახლეობის, კერძოდ, თვითმოქმედი მოსახლეობის ზრდაზე. სათანადო მაჩვენებლები მოცემულია ქვემომოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. № 12).

ამრიგად, 1939 წელს, თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობა 206.816 კაცს შეადგენდა, რაც 1922 წლის სათანადო მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილა 21,1-ჯერ. დაახლოებით ამდენჯერვეა გაზრდილი არათვითმოქმედი მოსახლეობაც[1].

აღსანიშნავია, რომ თუ წინა პერიოდში თბილისის თვითმოქმედ მოსახლეობაში დიდი ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი დაწესებულებათა მუშაკები, ამ მხრივ, 1939 წლისათვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. თვითმოქმედი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში უმრავლესობას წარმოადგენდა მრეწველობის მუშაკები, ამავე დროს საგრძნობლად შემცირდა დაწესებულებათა მუშაკების რაოდენობა.

1939 წელს, თვითმოქმედი მოსახლეობის განაწილება სქესის ნიშნის მიხედვით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, შემდეგ სურათს გვაძლევს: სატყეო მეურნეობაში: მამრობითი — 87,5%, დედრობითი — 12,5%, პოფლის მეურნეობაში: მამრობითი 62,2%, დედრობითი — 37,7%;

ცხრილი № 12

თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობის განაწილება სახალხო მეურნეობაში მოსაქმეობის დარგების მიხედვით 1939 წლის აღწერით

მოსახლეობა	სულ მოსაქმეობის მქონე პირთა რაოდენობა	მათ შორის										
		სატყეო მეურნეობა	სოფლის მეურნეობა	მრეწველობა	მშენებლობა	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	ვაჭრობა, დამზადება, საკვება	საბინაო და კომ. მეურნეობა	საახალგაზ. და საბ. ორგ.	ჯანმრთ. დაცვა	განათლება	არ არის განაწილებული სახ. მ. დარგებში
მამრობითი	138305	426	7671	43281	15623	15409	14883	5412	13472	3897	11457	6774
დედრობითი	68511	61	4660	20029	1881	3882	7013	2735	5650	8148	10999	3453
სულ თვითმოქმედი მოსახლეობა	206816	487	12331	63310	17504	19291	21696	8147	19122	12045	22456	10227

მრეწველობაში: მამრობითი — 68,4%, დედრობითი — 31,6%; მშენებლობაში: მამრობითი—89,3%, დედრობითი — 10,7%; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში: მამრობითი — 79,9%, დედრობითი — 20,1%; ვაჭრობა, დამზადება, საზკვება: მამრობითი — 68,0%, დედრობითი — 32,0%; საბინაო და კომ. მეურნეობა: მამრობითი — 66,4%, დედრობითი—33,6%; სახელმწიფო მმართველობის და საზოგადოებრივ ორგანოებში: მამრობითი—70,5%, დედრობითი — 29,5%; ჯანმრთელობის დაცვაში: მამრობითი — 32,3%, დედრობითი — 67,7%; განათლების დარგში: მამრობითი — 51,0%, დედრობითი — 49,0%; დანარჩენ დარგებში: მამრობითი—66,2%, დედრობითი — 33,8%; თვითმოქმედი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში: მამრობითი — 66,9%, დედრობითი — 33,1%.

მოსაქმეობის ზემოჩამოთვლილ დარგებში ქალის შრომა ჯეროვნად არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის დარგი, სადაც მუშაკთა საერთო რაოდენობაში დედრობითი სქესი შეადგენდა 67,7%. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, განათლების დარგი, სადაც ჩაბმულია თვითმოქმედი მოსახლეობიდან დედრობითი სქესი 49,0%-ის რაოდენობით.

ჩვენ მიერ ზემოგანხილულ მაჩვენებელთა სისტემიდან შესაძლებელია გამოყოფილ იქნას სამი ძირითადი ჯგუფი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩაბმულია შრომის სხვადასხვა დარგში. მეორე ჯგუფს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს

[1] თბილისის არათვითმოქმედი მოსახლეობა 1939 წელს შეადგენდა 312404 სულს.

კმაყოფაზე იმყოფება, ხოლო მესამე ჯგუფი შედგება თვითმოქმედი მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფ პირთაგან. პირველ ჯგუფს სხვაგვარად უწოდებენ აქტიურ მოსახლეობას, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფს — პასიურს.

მოსახლეობის მოსაქმეობასთან დაკავშირებულია სოციალური შემადგენლობის საკითხი.

თბილისის მოსახლეობა სხვადასხვა კლასობრივი ჯგუფებისაგან შედგებოდა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველყო პროლეტარიატის დიქტატურის გაბატონება, წელში გასტეხა ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის ექსპლოატატორთა კლასი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ შეიძლება უცებ მოისპოს. საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა ანტაგონისტური კლასებისა და კლასობრივი ელემენტების მოსპობა.

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემთა მიხედვით თბილისის თვითმოქმედი მოსახლეობის განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად შემდეგ მაჩვენებლებში გამოისახება (ათასებში): მუშები — 94,6 (38,2%), მოსამსახურეები — 88,2 (35,6%), კოლმეურნენი— 11,0 (4,4%), კოოპერირებული შინამრეწველები — 8,7 (3,5%), არაკოოპერირებული შინამრეწველები — 2,6 (1,1%), ერთპიროვნული გლეხები — 1,7 (0,7%), მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფები — 40,8 (16,5%).

სოციალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა არსებითად განსხვავდება ყველა სხვა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისაგან. ჩვენში არსებობენ მეგობრული კლასები: მუშათა კლასი და გლეხთა კლასი. არსებობს, აგრეთვე, ინტელიგენცია, როგორც ფენა.

ამრიგად, თბილისი ერთ-ერთი მრავალეროვანი ქალაქია. მისი მოსახლეობის მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა დიდ როლს თამაშობს საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის კულტურისა და მეცნიერების აღმავლობის საქმეში.

ამ შრომაში სათანადო სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე მოვახდინეთ ერთგვარი ცდა შეგვესწავლა თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ზოგიერთი საკითხი 1922 — 1940 წლებში.

თბილისის მოსახლეობაში მძლავრი რაოდენობრივი და სტრუქტურული ძვრები მოხდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, რაც სპეციალური შესწავლის საგანს შეადგენს.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც დასახულია სკკპ XX ყრილობის მიერ, ითვალისწინებს თბილისის განვითარების ახალ, ბრწყინვალე პერსპექტივებს, ქალაქის შემდგომ ზრდა-განვითარებაში ძირეულ ცვლილებებს, რაც მომავალში უდავოდ გამოიწვევს თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის უდიდეს ზრდას.



გიორგი ბაქრაძე

მრეწველობის განვითარება თბილისში XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში თბილისი წარმოადგენდა საქართველოს მრეწველობის მნიშვნელოვან ცენტრს. ბატონყმობის გაუქმებამდე აქ ძირითად როლს ასრულებდა მრეწველობის პრიმიტიული ფორმები, რეფორმის შემდგომ პერიოდში კი შეიქმნა და განვითარდა კაპიტალისტური მრეწველობა. აღნიშნული საუკუნის 70-ანი წლებიდან თბილისში ჩნდება პირველი მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა რიცხვიც უფრო გვიან სულ უფრო და უფრო იზრდება.

ქალაქ თბილისის მრეწველობის წარმოშობა და განვითარება უშუალოდ უკავშირდება საქართველოს მთელ ისტორიას, მის სახელოვან წარსულს. ამიტომ საჭირო მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევჩერდეთ საქართველოს სამრეწველო განვითარების ზოგიერთ საერთო მომენტზე.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველომ განელო განვითარების სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, მათ შორის კაპიტალიზმიც. კაპიტალისტური განვითარების გზას საქართველო დაადგა მაშინ, როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დამთავრებული იყო სამრეწველო გადატრიალება, ხოლო რუსეთში კი აშკარად შეიმჩნეოდა სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრი ზრდა. ამ გარემოებამ უდიდესი გავლენა მოახდინა კაპიტალიზმის აღმოცენებასა და განვითარებაზე საქართველოს მრეწველობაში. მან, უწინარეს ყოვლისა, ძლიერ იმოქმედა თბილისის მრეწველობის განვითარების პროცესზე.

ქართველი ტომების სამრეწველო საქმიანობა იწყება ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. არქეოლოგიური გათხრების შედეგები, აგრეთვე სხვა წყაროები გვაძლევენ ნათელ წარმოდგენას უძველესი ქართული ხელოსნობის განვითარების მაღალი დონის შესახებ. ძველ სამარხებსა და სხვა ისტორიულ ადგილებში (თრიალეთი, არმაზი, სამთავრო, ურბნისი და სხვა) აღმოჩენილი მატერიალური ნივთები მოწმობენ, რომ წარმოების ზოგიერთ დარგში ნაწარმის დამზადების პროცესში ქართველი ხელოსნები იჩენდნენ არაჩვეულებრივ ოსტატობას; დიდად იყო განვითარებული სამუშაოთა შესრულების ხელოვნება. მაგალითად, ქართული სპილენძისა და რკინის ნაწარმი სახელგანთქმული იყო და ფართო გასაღებას პოულობდა საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში.

ოქრომჭედლობის გამოჩენილი ქართველი ოსტატების მიერ იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ნაკეთობანი მომხმარებლებში მაღალ შეფასე-

ბასა და მოწონებას იმსახურებდა. ამიტომაც მათზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მისი საზღვრების გარეთაც. ქვაზე, ხეზე და სხვა საგნებზე კვეთილობა, ლითონის მხატვრულად დამუშავება, შინამრეწველური ნაკეთობანი, ქართული ოქრომჭედლობა და ა. შ. ჩვენი ხალხის მაღალ ისტორიულ კულტურაზე მეტყველებს.

საქონლის ხელოსნურმა და შინამრეწველურმა წარმოებამ საქართველოში XII საუკუნეში და უფრო ადრეც პოვა მნიშვნელოვანი განვითარება. შემდეგ კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მოკლე პერიოდებს, განუწყვეტელი ომების შედეგად იგი მნიშვნელოვნად დაეცა, შესუსტდა და თითქმის განადგურებამდე მივიდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. არა ერთი ნგრევა და ძარცვა განიცადეს საქართველოს ქალაქებმა. ზოგი მათგანი ჟამთა სიავისაგან სავსებით განადგურდა და მოისპო, როგორც წყაროებშია აღნიშნული, „Села, храмы, замки князей, цветущие некогда промышленностью города исчезли"[1].

გამუდმებული თავდასხმებისა და ომიანობის შედეგად დიდად დაზიანდა და დაზარალდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი თბილისიც. მისი მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა[2], მრეწველობა დაქვეითდა, ბევრი სახელმოხვეჭილი ხელოსანი და ოსტატი დაიღუპა, ხოლო ნაწილი ტყვედ ჩავარდა. მრავალი კულტურული დაწესებულება განადგურდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1 500 წლის ისტორიის მანძილზე თბილისმა განვლო დიდი და სახელოვანი გზა. მან შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე. თბილისი ყოველთვის მოწინავე და ტონის მიმცემი იყო ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ჩვენში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებისა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების წინსვლას. რუსეთთან შეერთებამ, რომელსაც უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობა ჰქონდა, ქართველ ხალხს შეუნარჩუნა ფიზიკური არსებობა და მშვიდობიანი შრომის პირობები შეუქმნა. საქართველო გადარჩა უცხოელ დამპყრობთა უღელს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების პროცესში. რუსეთთან საქართველოს შეერთება, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. რუსეთთან შეერთებით ბოლო მოეღო დაუსრულებელ ომებს. საქართველო განთავისუფლდა განუწყვეტელი აწიოკების მუდმივი შიშისაგან. თურქ და ირანელ მტაცებელთა თავდასხმების შეწყვეტამ ქართველ ხალხს ნაყოფიერი შრომის გაჩაღების საშუალება მისცა, რის შედეგადაც მან შესძლო მიეღო მეტი ნაწარმი, ვიდრე მანამდე ღებულობდა. რუსეთთან შეერთებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ გახსნილ იქნა საქართველოს სამხედრო გზა, გაიყვანეს აგრეთვე სხვა გზებიც, ააგეს ხიდები და ა. შ. ყოველივე ამან კი მოამზადა პირობები სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებისა და ნატურალური მეურნეობის დაშლისათვის. თანდათან მოისპო საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობა. მრეწველობის ზოგიერთი დარგის შექმნა-განვითარების მიზნით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოციან წლებში რუსეთიდან საქართველოში გაიგზავნა ოსტატები[1], რომელთა დახმარებითაც საქართველოში მოეწყო კასრის, მინის და სხვა სახის საწარმოები.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს მოსახლეობა შესამჩნევად გაიზარდა; ამან გამოიწვია საზოგადოების მოთხოვნილებათა შესამჩნევი აღმავლობა. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში თანდათან გაფართოვდა საქონლის მიმოქცევა. მეტად ნელა, მაგრამ მაინც, ძლიერდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ამის შედეგად გაიზარდა საქონლური წარმოება, გაფართოვდა ხელოსანთა სპეციალიზაცია. ასე მაგალითად, თუ XIX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს თბილისში იყო დაახლოებით ხელოსნობის ოცამდე სხვადასხვა სახეობა[2], 1835 წლისათვის ხელოსნური სპეციალიზაცია გაიზარდა 32 სახეო-

[1] ЦГИАЛ, ф. 1269, оп. 1(68), д. № 9, 1937, л. 7.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა 15 ათასს არ აღემატებოდა (იხ. პროფ. შ. მესხია, თბილისი 1500 წლისაა, თბილისი, 1956, გვ. 24. მისივე, სტატია ჟურ. „კომუნისტში", 23.XI-1957 წ.).

[1] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. № 536, 1828, л. 119.

[2] АСКАК, т. II, Тифлис, 1868, გვ. 1046, იხ. აგრეთვე О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, С.-Петербург, 1835, გვ. 134—135.

ბამდე[1]. ხოლო 1865 წლისათვის მან 40-ს მიაღწია[2], ე. ი. ორჯერ გადიდდა. ადგილობრივი აზიური ფეხსაცმლის მკეთებელი ხელოსნების გვერდით ჩნდებიან რუსული და ევროპული ფეხსაცმლის მკეთებელი ხელოსნებიც. 1846 წელს თბილისში უკვე იყვნენ რუსული ნიმუშების ფეხსაცმლის ხელოსნებიც[3]. შემოდის და ფეხს იკიდებს ევროპული კოსტიუმების დამზადებაც. ამ დროიდან იწყება და ვითარდება თბილისის აზიური ქალაქიდან ევროპულ ქალაქად გადაქცევის პროცესი. ჯერ კიდევ რეფორმამდელ საქართველოში ვითარდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ეს ნიშნავდა წვრილი მწარმოებლის გადაქცევას საქონლის მწარმოებლად. ხელოსნებისა და გლეხების ნაწილი თავიანთი პირადი შრომითა და საკუთარი საწარმოო საშუალებებით სხვადასხვა პროდუქტებს ამზადებდა არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ გასაცვლელად ან გასაყიდად. წვრილი მწარმოებლები სულ უფრო მეტად ებმებოდნენ საბაზრო ურთიერთობაში.

თანდათანობით გაძლიერდა ვაჭრობა. გაჩნდა ბაზრები. პირველი ბაზრობა მოეწყო თბილისში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოციან წლებში[4]. ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საშინაო ვაჭრობის განვითარებაში. ბაზრობა იმართებოდა აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებშიც, ბაზრობაში მონაწილეობას იღებდნენ გლეხები და ხელოსნები. მაგრამ ქვეყნის საერთო სამრეწველო ჩამორჩენილობის პირობებში შეუძლებელი იყო მოსახლეობის მაღალი ფენებისა და ქალაქის მცხოვრებთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სათანადო საქონლით. მართალია, ხელოსნური და კუსტარული წარმოება იზრდებოდა, მაგრამ, ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილებანი მნიშვნელოვნად წინ უსწრებდნენ მას. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში (XIX საუკუნის 20-ან წლებში) რუსეთის კაპიტალიზმი ყოველნაირად ცდილობდა დაუფლებოდა ცენტრალური რუსეთის ბაზარს, მაგრამ ყურადღების გარეშე სტოვებდა განაპირა მხარეების ბაზრებს. ამიტომ, სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოტანის წაქეზებისა და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, მეფის ხელისუფლება იძულებული იყო 1821 წელს დაეშვა საქართველოში შეღავათიანი (5%) ტარიფის მოქმედება უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე. ამის შედეგად გაიზარდა უცხო საქონლის შემოზიდვა ჩვენში, საგრძნობლად გაფართოვდა სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის. ასე მაგალითად, 1822 — 1831 წწ. უცხოეთიდან საქონლის შემოტანა 1812 — 1821 წლებთან შედარებით გაიზარდა თითქმის სამჯერ, ხოლო გატანა შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტად[1]. უცხოეთთან შეღავათიანი ვაჭრობის შემოღებამ ხელი შეუწყო ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; ამავე დროს, შეღავათიანი ვაჭრობის შედეგად თბილისის ვაჭრებმა შესძლეს დაეგროვებინათ დიდი ფულადი კაპიტალი. როგორც წყაროებშია აღნიშნული 1822 წლიდან 1881 წლამდე „Обогатились несколько домов и то только в Тифлисе и в весьма немногих других городах"[2].

კაპიტალის დაგროვება, თავის მხრივ, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კაპიტალიზმის განვითარებისათვის როგორც თბილისში, ისე მთელ საქართველოში.

სავაჭრო და სავაჭრო ოპერაციების მეოხებით თბილისის ვაჭრები სულ უფრო და უფრო ადიდებდნენ თავიანთ ფულად კაპიტალს.

XIX საუკუნის 30-ან წლებში პირველ რიგში თბილისში და აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებშიც შემოიღეს რუსული ზომა-წონის საზომები და ფულის ერთეულები. ამის შედეგად გაადვილდა თბილისის სავაჭრო-ეკონომიური კავშირი რუსეთის ქალაქებთან. XIX საუკუნის 40-ან წლებში თბილისის ეკონომიური ცხოვრება ხასიათდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა შემდგომი ზრდით. ამ პერიოდში რუსეთის ფაბრიკა-ქარხნები სულ უფრო მეტ საქონელს აგზავნიან თბილისსა და საქართველოში.

რუსეთიდან ფაბრიკული საქონლის შემოკრის შესახებ საქართველოში, რუსეთსა და საქართვე-

[1] Обозрение российских владений за Кавказом, ч. II, С.-Петербург, 1836, გვ. 213—214.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869, გვ. 116—117.

[3] იხ. Кавказский календарь, Тифлис, 1848, გვ. 161.

[4] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. № 559, 1828, л. 3.

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. № 134, 1845, л. 334, 335.

[2] იქვე, ლ. 360.

ლოს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1847 წელს მოსკოვის ვაჭრებმა და ფაბრიკანტებმა თბილისში სავაჭრო დეპო მოაწყვეს[1]. ამავე პერიოდში რუსეთის კაპიტალისტებმა ი. ბარნოვმა, ფ. ბობილევმა, ძმებმა გუჩკოვებმა და სხვებმა თბილისში გახსნეს რუსული მანუფაქტურული საქონლის მაღაზიები. მათ თბილისში ჰქონდათ კანტორები, რომელთა მეშვეობით აწარმოებდნენ ადგილობრივი ნედლეულისა და ნაწარმის შესყიდვას. ამავე წლებში თბილისში იყო მაღაზიები, რომლებიც ეწეოდნენ უცხო საქონლის გაყიდვას. 1845 წელს ბრუნვაში გაშეებული სავაჭრო კაპიტალის მოცულობა მარტო თბილისში შეადგენდა 5 მილიონ მანეთს ვერცხლით[2].

ცხრილი 1

ხელოსნებისა და საერთო მოსახლეობის ზრდა თბილისში 1804—1865 წწ[3]

წლები	ხელოსნების რიცხვი	წლები	მცხოვრებთა რიცხვი	ხელოსნების რიცხვი %-ში მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით
1804	1032	1803	20.000	5,1
1835	1266	1834	25 000	5,1
1845	2065	1843	33.793	6,1
1854	4846	1852	34.888	13,8
1865	5668	1869	71 051	7,9

1847 წელს თბილისში გაიხსნა სავაჭრო და საბანკო კანტორები, რომლებიც ადგილობრივი მოქალაქეების საკუთრებას შეადგენდნენ. თბილისში გაიხსნა აგრეთვე სავაჭრო სახლის სტეფანოვიჩისა და კომპანიის კომერციული კანტორა, იგი ხელს უწყობდა სავაჭრო საქმიანობის ზრდასა და განვითარებას. ყოველივე ეს აძლიერებდა საქონლის წარმოებასა და გაცვლას, ქმნიდა პირობებს ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

რეფორმამდელ პერიოდში თბილისში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხელოსნური მრეწველობა. ხელოსნური წარმოების განვითარებისა და გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ხელოსნების რიცხვის გადიდება, რაც მოცემულია № 1 ცხრილში.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1804 წელს ხელოსნების რაოდენობა თბილისში შეადგენდა ქალაქის მოსახლეობის 5,1%, 1845 წელს — 6,1%, 1854 წელს — 13,8%, ხოლო 1865 წელს — 7,9%.

ეს ციფრები ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ თბილისში რეფორმამდელ პერიოდში სწრაფად იზრდებოდა ხელოსნების რიცხვი, მისი ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია 1845 — 1854 წლებში. პროცენტულად ხელოსნების რიცხვის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ ქალაქის მოსახლეობის ზრდას. 61 წლის განმავლობაში (1804-დან 1865 წლამდე) ხელოსნების რიცხვი გაიზარდა 5,5-ჯერ, მაშინ, როდესაც მცხოვრებთა რიცხვი გადიდდა მხოლოდ 3,5-ჯერ. 1865 წელს ხელოსნების რიცხვი 1804 წელთან შედარებით გაიზარდა 449,1%, 1835 წელთან შედარებით — 347,8%, 1845 წელთან — 174,9%, ხოლო 1854 წელთან შედარებით 17,0.

ხელოსნების რიცხვის სწრაფი ზრდა თბილისში XIX საუკუნის პირველ ნახევარში აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში თბილისის ხელოსნური წარმოება არ ხვდებოდა სერიოზულ კონკურენციას და დაბრკოლებებს მრეწველობის სხვა, უფრო მაღალი, ფორმების მხრივ. რაც შეეხება სხვა ქვეყნებიდან შემოზიდულ საქონელს, იგი არც ისე დიდად ავიწროებდა ადგილობრივ ხელოსნურ წარმოებას. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმის რომის დროს იკლო უცხოეთიდან საქონლის შემოზიდვამ. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ხელოსნურ პროდუქციაზე მოთხოვნილების გადიდებას. ხელოსნების რიცხვი გაიზარდა აგრეთვე რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მოსული ხელოსნების ხარჯზეც. წარმოიშვა და გაძლიერდა კონკურენცია ადგილობრივ და ჩამოსულ ხელოსნებს შორის.

[1] იხ. „Кавказский календарь", Тифлис, 1850, გვ. 91—93.

[2] იქვე, გვ. 93.

[3] ცხრილი შედგენილია ჩემს მიერ შემდეგი საარქივო და ოფიციალური წყაროების მიხედვით:

ა) ЦГИАЛ, ф. 1977, оп. 1, д. № 15, 1830, лл. 12, 12 об.

ბ) იქვე, ф. 1268, оп. 68, д. № 349, 1815, лл 96. 97.

გ) იქვე, ф. 1268, оп. 1, д. № 744, 1813, л. 97.

დ) АСКАК, т. II, Тифлис, 1868, გვ. 1049.

ე) Обозрение российских владений за Кавказом, СПБ, 1836. გვ 213, 214.

ვ) Кавказский календарь, Тифлис, 1854, გვ. 298—299.

ზ) Сборник статистических сведений о Кавказе, т, IV, Тифлис, 1869, გვ. 59—60.



გოგირდის აბანო (ყოფილი ორბელიანებისა)

შემდგომში ბრძოლა ამქრულ ხელოსნებსა და ამქრის გარეშე მყოფ, ე. ი. ჩამოსულ, ხელოსნებს შორის სულ უფრო მწვავდებოდა და ღრმავდებოდა. ეს კი ხელს უწყობდა ამქრული ხელოსნობის დაშლას. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ სპეციალურ საზოგადოებებში, ე. წ. ამქრებში[1] და ჩამოსული ხელოსნების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ორგანიზებულად, მაინც გამარჯვება უკანასკნელებს რჩებოდათ. ამის მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია უფრო მეტად შეეფერებოდა საქალაქო ცხოვრების ახალ მოთხოვნებს, ვიდრე ადგილობრივი ხელოსნების პროდუქცია.

როდესაც ხელოსნების რიცხობრივ ზრდაზე ელაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ხელოსნების რიცხვში შეჰყავდათ წვრილი ვაჭრებიც[2], რითაც საგრძნობლად იზრდებოდა ხელოსნების რაოდენობა. ამიტომ, შესაძლოა, ხელოსნების რიცხვის დიდი ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა 1854 წელს, ნაწილობრივ ამითაც აიხსნას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თბილისში ხელოსნების რიცხვის სწრაფი ზრდა 1845—1854 წლებში უდავოდ ფაქტს წარმოადგენს.

ხელოსნობის უმარტივესი ფორმებისა და პატრიარქალური სარეწების გარდა, თბილისში ამ დროს არსებობდა აგრეთვე შედარებით უფრო განვითარებული სამრეწველო საწარმოებიც, სადაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას.

როგორც პირველადი წყაროები (საწარმოთა უწყისები) მოწმობენ, დაქირავებული შრომის გამოყენებას მიმართავდა აგრეთვე ზოგიერთი ქართველი ხელოსანიც[3].

ხელოსნური ნაწარმის განსაზღვრული ნაწილი იყიდებოდა შინაურ ბაზარზე. ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება გარკვეული ცნობა, სადაც ნათქვამია: „...Вся, как промышленная так и ремесленная производительность Тифлиса, по преимуществу составляют предмет торговли внутренней. В 1845 году в Тифлисе всех изделий вышло на сумму 145554 руб. сер.“[1] როგორც ვხედავთ აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის 40-ან წლებში თბილისში საქმე გვაქვს არა მარტო უბრალო ხელოსნებთან, რომლებიც მომხმარებლის შეკვეთით მუშაობდნენ, არამედ ისეთ ხელოსნებთანაც, რომელთა პროდუქცია გამოდიოდა ბაზარზე. ხელოსანი აქ უკვე გადაქცეულია საქონლის მწარმოებლად. ამიერიდან პროდუქტთა წარმოება ბაზრისათვის, წინანდელ პერიოდთან შედარებით, იღებს უფრო რეგულარულ ხასიათს.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისში ძირითადად გაბატონებულია ხელოსნობის პრიმიტიული ფორმები. ხელოსნები, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად მუშაობდნენ შეკვეთის შესასრულებლად. მაგრამ, ამასთან ერთად, წარმოების ზოგიერთ დარგში არსებობდა აგრეთვე ისეთი სახელოსნოებიც, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ მუშებს (1—2 კაცს) და საქონელს ბაზრისათვის ამზადებდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს ჯერ კიდევ 1805 წელს თბილისში თავად სუმბათაშვილის მიერ მოწყობილი ტყავის „ქარხანა“. საფაბრიკო-საქარხნო უწყისის მიხედვით, 1841 წელს ამ საწარმოში მუშაობდა სულ 70 კაცი. ამათგან 25 ოსტატი, 25 ქარგალი, ხოლო 20 შავი მუშა[2]. ამ საწარმოს წლიური პროდუქცია შეადგენდა 65 ათას მანეთს. აღნიშნულ საწარმოში წარმოების ორგანიზატორად გამოდიოდა მრავალ ოსტატთა კაპიტალი. ამიტომ დასახელებულ „ქარხანას“ ჰქონდა წვრილი ხელოსნური ფორმა. როგორც წყაროშია აღნიშნული, ოსტატები ტყავის გამოქნასა და გამოყვანას აწარმოებდნენ „თავიანთი ფულით“, ხოლო ქარგლები და შავი მუშები „დაქირავებული ჰყავდათ ოსტატებს“[3]. ამგვარად, მუშებსა და ქარგლებს ქირაობდა არა თვით საწარმოს „მეპატრონე“ სუმბათაშვილი, არამედ ოსტატები, რომელთა

[1] ამქრული ორგანიზაციების, ე. ი. ცეხების რაოდენობა თბილისში 1864 წელს აღწევდა 64-მდე (იხ. П. Дункель-Веллинг, Статистическое описание Тифлиса, 1865, გვ. 57).

[2] მაგალითად, 60-ან წლების ოფიციალურ მასალებში ნამდვილი ხელოსნების გვერდით დასახელებულია ე. წ. ხელოსანი—ყასბები (ремесленники—мясники). მათი რაოდენობა 110 კაცს შეადგენს და მნიშვნელოვნად ადიდებს ხელოსნების საერთო რიცხვს (იხ. Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869, გვ. 116—117). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყასბები სინამდვილეში წარმოადგენდნენ ვაჭრებს და არა ხელოსნებს.

[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. № 349, 1845, лл. 96, 97.

[1] Кавказский календарь, Тифлис, 1846, გვ. 163.

[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. № 6351, 1841, л. 26.

[3] იქვე, ლ. 26, 27.

რიცხვი მოცემულ საწარმოში, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენდა 25 კაცს. ამ საწარმოში ვხედებით როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ელემენტებს.

ოსტატობით გამოირჩეოდნენ საპურვლის მკეთებელი თბილისელი ხელოსნები. მათ სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით ცნობილი იყო ძმები ელიზარაშვილების ოსტატობა ციცი იარაღის დასამზადებელი ფოლადის წარმოების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოსნურ და შინამრეწველურ საწარმოებს გარდა, რეფორმამდელ თბილისში არსებობდა აგრეთვე ისეთი საწარმოებიც, რომლებსაც ჰქონდათ არა მხოლოდ კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ფორმა, არამედ მანუფაქტურის ფორმაც. ჩვენს მიერ გამოვლინებული ახალი საარქივო მასალები[1] ადასტურებენ ამ დებულებას. ასე მაგალითად, „ფაბრიკებისა" და „ქარხნების" უწყისების მიხედვით, XIX საუკუნის 30-ან და 40-ან წლების დასაწყისში თბილისში არსებობდა ქართველი ვაჭრის ზუბალაშვილის შაქრის „ქარხანა" 50 მუშითა და 186 ათასი მანეთის პროდუქციით, ლ. მელიქოვის საპნის „ქარხანა" 18 მუშითა და 5 ათასი მანეთის პროდუქციით, ზავრიევის ქვაბების „ქარხანა" 54 მუშით, ყორჩიბაშევის საღებავების „ქარხანა" 33 მუშით და სხვა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოებისა, კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმა ჰქონდა ვაჭარ კასტელას აბრეშუმსახვევ „ფაბრიკას", რომელიც დაარსებულ იქნა ჯერ კიდევ 1827 წელს თბილისში. დაქირავებული მუშების რაოდენობა ამ საწარმოში უდრიდა 30 კაცს. ეს საწარმო გაიხსნა იმ ვარაუდით, რომ მას აბრეშუმის ნართი მიეწოდებია მეტროპოლიის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკებისათვის. 1837 წელს თბილისში არსებობდა სპირტის სახდელი საწარმო ორთქლის ძრავით. 1847 წელს აქვე ამუშავდა ვაჭარ ზეტცერის ავეჯის დამამზადებელი საწარმო, სადაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას.

1850 წელს თბილისში დაიწყო მექანიკურ-სამსხმელო საწარმოს მშენებლობა. იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1852 წელს. ამ საწარმოს პროდუქცია 5675 მანეთიდან (1852 წ.) გაიზარდა 40 ათას მანეთამდე (1864 წ.) ე. ი. 12 წლის განმავლობაში გადიდებულ იქნა 7-ჯერ.

ცოტა უფრო ადრე თბილისშივე დაიწყო მუშაობა კორლანოვის თუჯის „ქარხანამ". 1852 წელს თბილისში ამუშავდა ენფიანჯიანის თამბაქოს „ფაბრიკა". ამავე წელს დაარსდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამამზადებელი მექანიკური საწარმოც.

1858 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმომ.

1863 წელს თბილისში იყო ბამბეულის დამამზადებელი საწარმო 24,5 ათასი მანეთის პროდუქციით. 1866 წელს ამ საწარმოში მუშაობდა 70 მუშა, გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა კი შეადგენდა 71 ათას მანეთს[1].

1864 წელს თბილისში ორთქლის ძრავით მუშაობდა რაისის სადურგლო საწარმო. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ბატონყმობის გადაუარდნამდე, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებსა და ადგილებში სხვადასხვა დროს იქმნება სამრეწველო საწარმონი, რომლებშიაც აშკარად შეიმჩნევა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საწარმონი, რომლებიც აღმოცენდნენ რეფორმამდელ თბილისში, ემყარებოდნენ დაქირავებულ შრომას. მათი უმეტესობა წარმოების პროცესში შრომის დანაწილებასთან ერთად იყენებდა დაქირავებული მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას (ერთ საწარმოში 15 კაცს და მეტს). ამიტომ ცხადია, რომ ამ საწარმოებს ჰქონდათ კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმა.

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა რიც-

[1] ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. № 5543, 1838, л. 3. იხ. აგრეთვე д. № 5679, 1837, л. 125. д. № 6951, 1841, л. 26, ф. 17, д. № 486, 1850, л. 50. ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. № 110, 1843, л. 111, 112 и др. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული წყაროების მიხედვით, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე, ე. ი. 1795 წლამდე, თბილისში არსებობდა ხარბაზნის მკეთებელი საწარმო, თოფის წამლის საწარმო, სტამბა, ზარაფხანა და სხვ., მაგრამ დღემდე არ მოიპოვება სათანადო საბუთები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იყოს ამ საწარმოთა ფორმებისა და ბუნების განსაზღვრა.

[1] იხ. Военно-статистический сборник, выпуск СПБ, 1871, გვ. 330.

ხვი თბილისში შედარებით ძალზე მცირე იყო[1]. ამ საწარმოთა უმეტესობა არ გაფართოებულა ფაბრიკის დონემდე, პირიქით, სრულიად შეწყვიტა თავისი არსებობა.

მაშასადამე, მანუფაქტურული მრეწველობა თბილისში იმ დროს წარმოდგენილი იყო მხოლოდ მცირე ზომის ცალკეული საწარმოების სახით. სამრეწველო წარმოებაში გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ წვრილი ხელოსნური და შინამრეწველური საწარმოები. ამქრული ორგანიზაციები მკაცრი რეგლამენტაციის მეოხებით ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების წარმოშობასა და განვითარებას. ამიტომ მანუფაქტურას რეფორმამდელ თბილისში არ შეეძლო აღმოცენებულიყო და არც აღმოცენებულა ამქრების შიგნით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სუმბათაშვილის ტყავის „ქარხანა" თბილისში შეიქმნა ჯერ კიდევ 1805 წელს, იგი ვითარდებოდა მეტად ნელა და ინარჩუნებდა წვრილ საქონლურ ფორმას. ამ საწარმოს არ მოუხდენია გადასვლა არა თუ ფაბრიკაზე, არამედ მანუფაქტურაზეც კი.

[1] ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1865 წლისათვის თბილისში ითვლებოდა 135 „ფაბრიკა" და „ქარხანა". ამათგან 119 იყო კერძო „ქარხანა", 15 კერძო „ფაბრიკა", ხოლო 1 სახელმწიფო (სახაზინო) „ფაბრიკა", 507 ათასი მანეთის პროდუქციით. (იხ. Н. Дункель-Веллинг, Статистическое описание г. Тифлиса, Тифлис, 1865, გვ. 51—59).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი ციფრი არ შეიძლება ჩაითვალოს მაშინდელი თბილისის ნამდვილი ფაბრიკებისა და ქარხნების რაოდენობის გამომხატველ ზუსტ ციფრად, ვინაიდან მასში დიდი რაოდენობით არის შესული წვრილი, არაფაბრიკული ხასიათის საწარმოებიც. საქმე ის არის, რომ მაშინ აღრიცხვის ორგანოებსა და ავტორებს არ ჰქონდათ სწორი მეცნიერული წარმოდგენა ფაბრიკისა და ქარხნის ცნების შესახებ. ამის შედეგად ფაბრიკის ცნებაში ისინი გულისხმობდნენ წვრილ ხელოსნურ სარეწებსაც. ამით ისინი ერთმანეთში ურევდნენ მრეწველობის სხვადასხვა ფორმებს. ზემოთ დასახელებულ წყაროებშიაც ფაბრიკის ქვეშ ნაგულისხმევია მცირე ზომის ხელის საწარმოებიც, რომელთა პროდუქციაც ათას მანეთზე ნაკლებია. აქ ერთ ჯგუფშია მოთავსებული სადურგლო სარეწი, რომელსაც ორთქლის ძრავი ჰქონდა და სამეთუნეო სახელოსნო, რომლის წლიური პროდუქცია არ აღემატებოდა 500 მანეთს; ან კიდევ თუჯის სამსხმელო საწარმო 40 ათასი მანეთის პროდუქციით და კრამიტის სარეწი 4 ათასი მანეთის პროდუქციით და სხვა.

მანუფაქტურული ხასიათის კაპიტალისტური საწარმო პირველად თბილისში გაჩნდა XIX საუკუნის 20-ან წლებში. კასტელას აბრეშუმსახვევ „ფაბრიკას", რომელიც აგებულ იქნა თბილისთან ახლოს 1827 წელს, ჰქონდა მანუფაქტურული ფორმა. მაგრამ, მისი წარმოშობა არ ყოფილა ქვეყნის შინაგანი სამრეწველო განვითარების შედეგი. დასახელებული „ფაბრიკა" უშუალოდ არ აღმოცენებულა ადგილობრივი წვრილი საქონლური წარმოებიდან. იგი აშენებულ იქნა საფრანგეთიდან მოსული ვაჭრის კასტელას მიერ.

მართალია, ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში თბილისში ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა კაპიტალისტური ტიპის რამდენიმე საწარმო, მაგრამ ამ საწარმოთა მფლობელებს წარმოადგენდნენ არა ხელოსნები, არამედ ვაჭრები. წვრილ საქონლის მწარმოებლებს — ხელოსნებსა და შინამრეწველებს თბილისში არ გაუვლიათ და არც შეეძლოთ გაეკლოთ თანმიმდევრულად მრეწველობის ყველა ფორმები და საფეხურები, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, რუსეთში. საწარმოთა ორგანიზატორებად თბილისში გეეელინებიან ადგილობრივი,

იმავე წყაროს მიხედვით, 1865 წელს თბილისში არსებობდა 18 სხვადასხვა სახის სამრეწველო საწარმო შემდეგი პროდუქციით: საკუთხავი და კარტონის სარეწი 1, 12 ათასი მანეთის პროდუქციით; თუჯის სამსხმელო 1, 40 ათასი მანეთის პროდუქციით; სადურგლო საწარმო ორთქლის ძრავით — 1, 15 ათასი მანეთის პროდუქციით; სპილენძის ჭურჭლეულის 1, 4500 მანეთის პროდუქციით; ბამბეულის 1, 24500 მანეთის პროდუქციით; მანქანით მოქმედი პურის საცხობი 1, 3 ათასი მანეთის პროდუქციით; ლუდის სახდელი — 4, 3 ათასი მანეთის პროდუქციით; სანთლის 2, 2 ათასი მანეთის პროდუქციით; სახერხი 19, 27 ათასი მანეთის პროდუქციით, საზეინკლო 1, 11 ათასი მანეთის პროდუქციით; ტყავის — 10, 68 ათასი მანეთის პროდუქციით; საპნის — 8, 17 ათასი მანეთის პროდუქციით; სამეთუნეო სახელოსნო 5, 2 ათასი მანეთის პროდუქციით; აგურის — 60, 228 ათასი მან. პროდუქციით; კრამიტის 11, 11 ათასი მანეთის პროდუქციით; კირის 1 ათასი მანეთის პროდუქციით; თამბაქოს 7, 21 ათასი მანეთის პროდუქციით და ეტლის (საკარეტო) 4, 17 ათასი მანეთის პროდუქციით (საწარმოთა რიცხვი გამოყოფილია მძიმით).

ასეთი იყო სამრეწველო საწარმოთა სტრუქტურა და მოცულობა მაშინდელ თბილისში. ზემოთ მოტანილ ციფრებიდან ჩანს, რომ საწარმოთა შორის ყველაზე დიდი ზვედრითი წონა აგურის სარეწებს ეჭირათ.

ან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ვაჭრები, რომლებიც სავაჭრო ოპერაციების შესრულებასთან ერთად ხსნიდნენ სამრეწველო საწარმოებს და გასაყიდ ნაწარმს ამზადებდნენ. როგორც აღნიშნული იყო, მანუფაქტურული ტიპის კაპიტალისტური საწარმოები მაშინდელ თბილისში არ ატარებდა მასობრივ ხასიათს. მათ არ ჰქონდათ შესამჩნევი როლი ქვეყნის სამრეწველო ცხოვრებაში. არსებულ კაპიტალისტურ საწარმოებიდან საწარმოთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ასრულებდა კვლავწარმოების პროცესს. მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი ისე მცირე იყო, რომ მას აღნიშნულ პერიოდში არ წარმოუქმნია კაპიტალისტური წყობა მრეწველობაში. რეფორმამდელ ხანაში, ბატონყმურ ურთიერთობათა ჰეგემონიისა და ქვეყნის საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობის პირობებში საქონლურ წარმოებას თბილისში არ მიუღია ფართო განვითარება. მას არ მიუღწევია ისეთი დონისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი გადაქცევა კაპიტალისტურ წარმოებად. მაშინ თბილისში არ იყო საკმაო რაოდენობის კაპიტალი, რაც აუცილებელი პირობაა კაპიტალისტური წარმოების წარმოშობისა და განვითარებისათვის. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი ძირითადად რჩებოდა ვაჭრობისა და მევახშეობის სფეროში; იგი ნაკლებად ეტანებოდა მატერიალური წარმოების პროცესს. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, უარყოფით გავლენას ახდენდა სამრეწველო საწარმოთა გაჩენასა და ზრდაზე. კაპიტალისტურ მანუფაქტურას განვითარებისა და გავრცელებისათვის არ გააჩნდა, აგრეთვე, საკმაო რაოდენობით დაქირავებული მუშახელი. იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მთლიანად იყვნენ მოწყვეტილი საწარმოო საშუალებებისაგან და ყიდდნენ თავიანთ სამუშაო ძალას, მეტად მცირე იყო. არ არსებობდა სამუშაო ძალის თავისუფალი გაყიდვა, ამიტომ რეფორმამდელი მრეწველობა უმთავრესად ბატონყმურ შრომას ემყარებოდა. თავისუფალი მუშახელის ნაკლებობის გამო ზოგიერთი საწარმო არა თუ არ ვითარდებოდა, არამედ, პირიქით, ძლიერ სწრაფად ისპობოდა კიდეც. მაგალითად, კასტელას აბრეშუმსახვევი „ფაბრიკის" დახურვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო თავისუფალი დაქირავებული მუშახელის ნაკლებობა.

ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობასა და განვითარებას მეტად აბრკოლებდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელებს არ მიაჩნდათ საჭიროდ საქართველოსა და საერთოდ სხვა განაპირა მხარეებში ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება[1] და ამაზე სახსრების გაღება. ყოველივე ამის შედეგად საქართველო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ გამოვიდა დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების გზაზე.

ამგვარად, რეფორმამდელ პერიოდში მრეწველობა თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მეტად ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრულ უძრაობასა და უცვლელობას მაინც არ ჰქონია ადგილი. ამას მოწმობენ ქვემოთ მოყვანილი ციფრები (იხ. ცხრ. № 2)[2].

როგორც ვხედავთ, თუ 1843 წ. თბილისში 56 სამრეწველო საწარმო იყო 111 ათასი მანეთის პროდუქციით, საწარმოთა რიცხვმა 1864 წლისათვის 196-მდე მიაღწია, 602 ათასი მანეთის პროდუქციით, ხოლო 1866 წლისათვის 217-მდე, 660 ათასი მანეთის პროდუქციით. მაშასადამე, 1864 წელს სამრეწველო საწარმოთა რიცხვი 1843 წელთან შედარებით გაიზარდა სამჯერ და უფრო მე-

[1] ამ მხრივ დამახასიათებელს წარმოადგენს ბარონ განის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, წარმოდგენილი იმპერატორის სახელზე. მასში მოცემულია მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და არსი, აქ ნათქვამია: „В воспитании закавказцев, народа, ещё юного в гражданском быту, не нужно скачков, не нужно тут университетов, ни фабрик, ни заведений много стоющих. Нужны коммерческие пути для сближения края с отечеством Россией, для сбыта тем сырых произведений и получения взамен того наделий мануфактурных". (იხ. ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. № 150, 1841, л. 8, 75, 76).

[2] ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ შემდეგი საარქივო წყაროების მიხედვით:

ა) ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. № 110, 1843, лл. 111, 112.

ბ) Кавказский календарь, Тифлис, 1846, гг. 163, 164.

გ) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, д. № 21, 1851, л. 114.

დ) იქვე, ф. 1268, оп. 10, № 228, 1860, л. 118.

ე) ЦГИА Груз. ССР, ф. 414, д. № 10, 1864, л. 15.

ვ) იქვე, ф. 26, д. № 9465, 1866, л. 111.

(იხ. აგრეთვე სათანადო წლების სხვა უწყისებიც).

ცხრილი 2

სამრეწველო საწარმოებისა და მათი პროდუქციის ზრდის დინამიკა დამმუშავებელ მრეწველობაში თბილისში 1843 წლიდან 1866 წლამდე

წლები	სამრეწველო საწარმოთა რიცხვი	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)	წარმოების ჯამი ერთ საწარმოში საშუალოდ
1843	56	111	1,9
1845	68	145	2,1
1851	102	108	1,0
1858	72	311	4,3
1860	90	262	2,9
1861	117	251	2,1
1862	116	528	4,5
1863	137	448	3,2
1864	196	602	3,0
1865	213	632	2,9
1866	217	660	3,0

ტად, ხოლო პროდუქცია ხუთჯერ და უფრო მეტად. 1866 წელს კი როგორც საწარმოთა რიცხვის მხრივ, ისე გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მხრივაც, კიდევ უფრო მეტ ზრდასთან გვაქვს საქმე.

უნდა ითქვას, რომ ქალაქ თბილისს საქართველოს მრეწველობაში დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. ასე მაგალითად, ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, რეფორმის წინ, ე. ი. 1863 წელს, თბილისის წილად მოდიოდა საქართველოს სამრეწველო საწარმოთა 32% და მთელი სამრეწველო პროდუქციის 67%.

რეფორმამდელ პერიოდში თბილისის სამრეწველო საწარმოთა შორის, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დიდი ადგილი ეჭირა აგურის სარეწებს. საქალაქო ცხოვრების ზრდასა და გაფართოებასთან დაკავშირებით მრეწველობის ეს დარგი სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად, პირველადი წყაროების მიხედვით, თუკი 1858 წელს თბილისში აგურის 48 დამამზადებელი წვრილი საწარმო იყო, 58 ათასი მანეთის პროდუქციით[1], 1864 წლისათვის მათ რიცხვმა 93-მდე მიაღწია, 372 ათასი მანეთის პროდუქციით[2]. როგორც ვხედავთ, ექვსი წლის განმავლობაში აგურის საწარმოთა რიცხვი გაიზარდა თითქმის ორჯერ, ხოლო პროდუქცია ექვსჯერ და კიდევ უფრო მეტად. აგურის სარეწებში აღგილი ჰქონდა წარმოების კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას. ასე მაგალითად, თუ 1858 წელს ერთ საწარმოზე მოდიოდა 1210 მანეთის პროდუქცია, 1864 წლისათვის იგი გაიზარდა 4 ათას მანეთამდე, ე. ი. გადიდდა სამჯერ და უფრო მეტად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნული საწარმოების, ისე სხვა სარეწების პროდუქციის მოცულობა მეტად მცირე იყო. ცხრილში ჩამოთვლილი სარეწები უმთავრესად წვრილი მრეწველობის საწარმოებს წარმოადგენდა.

ზემოთ თქმულის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ რეფორმამდელ პერიოდში თბილისში ნელა, მაგრამ მაინც, ვითარდებოდა საქონლური წარმოება და საქონლური მიმოქცევა; ამით იქმნებოდა ზოგიერთი საერთო პირობა კაპიტალისტური წარმოების წარმოშობისათვის. ძირითადად ეს გამოიხატებოდა ფულადი კაპიტალის დაგროვებაში, გასაღების ბაზრის ზრდასა და კაპიტალისტური ტიპის ცალკეულ საწარმოთა შექმნაში. აღნიშნულ პერიოდში გაჩნდა გარკვეული ნიშნები ნატურალური მეურნეობის დაშლისათვის. წარმოების ცალკეულ დარგებში უკვე შესამჩნევი გახდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა.

რეფორმის შემდეგ გაფართოვდა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობის ინტენსიური პროცესი. ამ პერიოდში იწყება პროდუქციის სულ უფრო მეტი რაოდენობით დამზადება ბაზრისათვის; სამუშაო ძალაც მასიური მასშტაბით იქცევა საქონლად.

• • •

ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის აღმოცენების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გლეხთა რეფორმამ, რომელიც გატარდა საქართველოში ძირითადად 1864 — 1866 წლებში.

რეფორმამ გაათავისუფლა გლეხი მემამულის პირადი დამოკიდებულებისაგან და მოსპო ბატონყმური ურთიერთობა. ყმა-გლეხი გადაიქცა თავისი სამუშაო ძალის მესაკუთრედ. ამით მოსპობილ

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. № 170, 1858, л. 63.

[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 414, д. № 10, 1864, л. 15. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის კალენდარში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით 1864 წელს თბილისში ითვლებოდა აგურის 60 წვრილი საწარმო, 228 ათასი მანეთის პროდუქციით (იხ. „Кавказский календарь", Тифлис, 1864, გვ. 58). მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საარქივო მასალებიდან ჩვენ მიერ მოტანილი ციფრები 1864 წლისათვის თბილისში აგურის საწარმოთა რაოდენობისა და მათი პროდუქციის მოცულობის შესახებ შედარებით უფრო ზუსტი უნდა იყოს, ვიდრე კავკასიის კალენდარში გამოქვეყნებული ციფრები.

იქნა სერიოზული შეზღუდვა სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, გაყიდვაში.

რეფორმის შედეგად მემამულეებმა ქართველ გლეხებს წაართვეს საუკეთესო მიწის ნაკვრები. გლეხობის მცირე მიწიანობისა და გლეხობის ერთი ნაწილის სრული უმიწობის შედეგად სამუშაო ძალამ სულ უფრო და უფრო მიიღო საქონლური ფორმა. ამგვარად, რეფორმამ გზა გაუხსნა სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევას. ამით დაჩქარდა ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის აღმოცენების პროცესი. წვრილი მწარმოებლის პროლეტარიზაციას აძლიერებდა აგრეთვე სავაჭრო და სავახშო კაპიტალის შეუზღუდავი მოქმედება საქართველოს სოფლებში. ვაჭრები და მევახშეები სხვადასხვა გზებით ხელში იგდებდნენ დიდ ქონებას, რასაც შემდგომში ყიდდნენ და მსხვილ ფულად კაპიტალად აქცევდნენ.

უმიწობა, დიდი გადასახადები, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის მიერ უხეში ექსპლოატაცია და ა. შ. აძლიერებდა გლეხთა მასების გაღატაკებას, ამის შედეგად გლეხები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი სოფლები და სამუშაოს საძებრად წასულიყვნენ ქალაქად. ამ პროცესს ხელს უწყობდა და აჩქარებდა რკინიგზების გაყვანა და მიმოსვლის გაადვილება.

ამგვარად, რეფორმის შემდეგ, თავისუფალი სამუშაო ძალის გაჩენისა და ექსპლოატატორთა ხელში მსხვილი ფულადი სახსრების დაგროვების შედეგად შეიქმნა საქართველოში, კერძოდ, თბილისში კაპიტალისტური წარმოების აღმოცენებისა და განვითარების ძირითადი პირობები.

ფეოდალიზმის დაშლა საქართველოში ფართო ხასიათს იღებს XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან, რაც დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გაძლიერებასთან, რაც, თავის მხრივ, რკინიგზების გაყვანითა და მთელი რიგი სხვა მომენტებით იყო განპირობებული.

როგორც ცნობილია, 1872 წელს გაიხსნა რკინიგზა ფოთიდან თბილისამდე, რომელმაც მჭიდროდ დააკავშირა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო.

ფოთი — თბილისის რკინიგზამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობის საქმეში. ის გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სამრეწველო კაპიტალიზმის წარმოშობისა საქართველოში, პირველ რიგში კი თბილისში. კაპიტალისტური მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა თბილისში აღმოცენებას იწყებს XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან. 1870 წლის ბოლოს თბილისში ამუშავდა ადგილობრივი კაპიტალისტის მირზოევის საკმაოდ დიდი ბამბეულის ფაბრიკა, 450 მუშითა და 400 ათასი მანეთის პროდუქციით; ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა რუქსის მექანიკურ ქარხანას, 1875 წელს მუშაობა დაიწყო ადელხანოვის ტყავის ქარხანამ და ა. შ.

თბილისის მრეწველობაში კაპიტალიზმის კიდევ უფრო სწრაფ და ძლიერ განვითარებას ხელი შეუწყო 1883 წელს ბაქო—თბილისს და ბათუმს შორის რკინიგზის ამუშავებამ.

ამ გზისა და ბაქო—როსტოვის რკინიგზის ხაზის გახსნის შემდეგ შრომის საზოგადოებრივმა და ტერიტორიულმა დანაწილებამ საქართველოში მიიღო ფართო ხასიათი. რკინიგზამ დაამყარა საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო რეგულარული ეკონომიური კავშირი და მოსპო საქართველოს წინანდელი სამეურნეო კარჩაკეტილობა. საქართველოსა და ამიერკავკასიის რკინიგზების რუსეთის რკინიგზის საერთო ქსელში ჩართვის შემდეგ რუსეთის კაპიტალიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კოლოსალურად გაძლიერდა.

რეფორმის შემდგომ პერიოდში რუსეთის კაპიტალიზმმა საქართველოს ეკონომიკა ჩაითრია არა მარტო საერთო რუსეთის ბაზრის სფეროში, არამედ აგრეთვე „საქონლის მსოფლიო ბრუნვაშიც"[1].

რუსეთის ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებათა და, საერთოდ, რუსეთის ეკონომიკის საჭიროებათა დაკმაყოფილება იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რკინიგზების გაყვანა.

რკინიგზების სწრაფი მშენებლობა და უკვე გაყვანილი ხაზების ექსპლოატაცია, ადიდებდა მოთხოვნას, ერთის მხრივ, სამუშაო ძალაზე, ხოლო მეორეს მხრივ, მეტალურგიულ, მანქანათმშენებლობის, სათბობის და აგრეთვე წარმოების სხვა დარგების პროდუქციაზე. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამუშაო ძალის შინაგანი ბაზარი, გაიხსნა მექანიკური, თუჯსამსხმელო, ხეტყის სახერხი საწარმოები და სხვ.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

რკინიგზისათვის საჭირო იყო საკუთარი მექანიკური და სარემონტო ბაზის შექმნა. ამასთან დაკავშირებით 1883 წელს თბილისში გაიხსნა მსხვილი სამრეწველო საწარმო ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარი სახელოსნოების სახელწოდებით. ამ საწარმოს 80-ანი წლების ბოლომდე ჰქონდა მანუფაქტურის ფორმა. 90-ან წლებში იგი უკვე ფაბრიკად გადაიქცა. 1888 წელს ამ საწარმოში ითვლებოდა ათასამდე მუშა[1], 1900 წელს მუშების რიცხვმა მიაღწია 2 265-მდე[2], ხოლო 1909 წლისათვის 3 500 კაცამდე გაიზარდა. ამგვარად, მუშების რიცხვი აღნიშნულ საწარმოში 21 წლის განმავლობაში გაიზარდა 3,5-ჯერ. ბევრი მუშის თავმოყრა ამ საწარმოში ქმნიდა ფართო პირობას თბილისის მუშებს შორის პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის პირველი მნიშვნელოვანი რაზმი ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში. აქ, უფრო ადრე, ვიდრე თბილისის სხვა სამრეწველო საწარმოებში, დაიწყო მძლავრი რევოლუციური გამოსვლები თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამგვარად, რკინიგზის მთავარი სახელოსნოები წარმოადგენს უძველესს და ყველაზე უდიდეს საწარმოს თბილისში, რომელსაც სახელოვანი საბრძოლო რევოლუციური ტრადიციები აქვს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს საწარმო გადაკეთდა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხნად. მიმდინარე წლის მაისში აღნიშნულ ქარხანას შეუსრულდა 75 წელი. რევოლუციური წარსულისა და რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის ეს ქარხანა დაჯილდოვებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

რკინიგზამ მძლავრი ბიძგი მისცა მრეწველობის არა მარტო ახალი, არამედ ძველი დარგების განვითარებასაც. მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა ვაჭრობაც. ასე მაგალითად, თუ 1851 წელს მთელ თბილისის გუბერნიაში სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 6 მილიონ მანეთს[1], 1885 წლისათვის მხოლოდ თბილისში საერთო საკაჭრო ბრუნვამ მიაღწია 30 მილიონ მანეთამდე[2], ე. ი. გადიდდა ხუთჯერ.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან და საქალაქო ცხოვრების ზრდასთან დაკავშირებით იზრდება ქალაქის მოსახლეობაც. ასე მაგალითად, 32 წლის განმავლობაში (1865-დან 1897 წლამდე) მოსახლეობა თბილისში გაიზარდა დაახლოებით 2,3-ჯერ.

ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ წარმოების ზოგიერთ დარგში ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალი სწრაფად გადაიქცა სამრეწველო კაპიტალად. ამის შედეგად, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, XIX საუკუნის 70-ან წლებში თბილისში გაჩნდა პირველი კაპიტალისტური მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები. ამის შედეგად მრეწველობის შესაბამის დარგებში სულ უფრო ფართოდ გავრცელდა ამქრული ხელოსნობისა და პატრიარქალურ საწარმოთა დაშლა. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ძლიერდება 80-ან წლებში. მაგალითად, ავიღოთ ქეჩის წარმოება. ამ დარგში შინამრეწველური სარეწების სახით დიდხანს ბატონობდა წვრილი წარმოება, რომელიც ემყარებოდა ხელის ტექნიკას. 1889 წელს თბილისში გაიხსნა ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკა. იქ წარმოების პროცესში გამოყენებულ იქნა ორთქლის მანქანა. ამის შედეგად საქართველოს ბევრ ადგილებში შეეწროვდა და დაეცა ქეჩის შინამრეწველური და კუსტარული წარმოება. როგორც წყაროებშია აღნიშნული, „Фабричное производство войлока почти убило в губернии (ე. ი. თბილისის გუბერნიაში—გ. ბ.) кустарный промысел“.[3]

1889 წელს ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკას ჰქონდა 15-ძალიანი 1 ორთქლის ძრავი და 2 ორთქლის ქვაბი. ამ დროისათვის ფაბრიკაში მუშაობდა 137 მუშა, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენდა 220 ათას მანეთს. შემდგომში ეს ფაბრიკა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1902 წლისათვის მას უკვე ჰქონდა 4 ორთქლის ძრავი 215 ძალით და 4 ორთქლის ქვაბი. ფაბრიკას ჰქონდა აგრეთვე 2 დინამო-მანქანა. წარმოების პროცესში ის იყე-

[1] С. Гулиятамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, 1888. გვ. 186.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ф. 31, д. № 153, л. 82.

[1] ЦГИАЛ, ф. 1269. оп. 8, д. № 21, 1851, л. 37.

[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 12, д. № 516, 1885, л. 25.

[3] ЦГИАЛ, ф. 29, оп. 17, д. № 738, 1900, л. 64.

ნებდა ელექტროენერგიას. ამ წლისათვის ფაბრიკაში ითვლებოდა 130 მუშა, ხოლო წარმოების ჯამი 371 ათას მანეთს აღწევდა[1].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ფაბრიკაში მუშების რიცხვი შემცირდა, მაგრამ წარმოების მამოძრავებელი ძალა 13 წლის განმავლობაში (1889 — 1902 წწ.) 14-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. წარმოების ჯამი გაიზარდა 68,6%-ით. 80-ანი წლების ბოლოს წარმოების ჯამი საშუალოდ 1 მუშაზე შეადგენდა 1,6 ათას მანეთს, 1902 წელს კი ის აღწევდა 2,8 ათას მანეთს. მექანიზაციის შედეგად აღნიშნულ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა თითქმის ორჯერ.

გარდა ქეჩის შინამრეწველური საწარმოსი, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა აზიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის[2], სანთლის, საპნის, აგურის და ოქრომკედით მქარგველისა[3] და სხვა დარგების წვრილი ხელოსნური და კუსტარული საწარმოებიც. ეცემოდა აგრეთვე ადგილობრივი ქსოვილის, ე. წ. „ხამი"-ს[1] შინამრეწველური წარმოება, რომელიც წინათ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.

ამგვარად, ძველ ფეოდალურ საწარმოთა დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა კაპიტალისტური საფაბრიკო მრეწველობის აღმოცენება და განვითარება თვით საქართველოშივე. მაგრამ მრეწველობის ახალი ფორმები საქართველოში, კერძოდ თბილისში, არ იყო ისე განვითარებული, რომ მათ შეძლებოდათ თავიანთი საქონლური მასით გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებიათ ხელოსნური წარმოებისა და მისი ორგანიზაციისათვის ყველა დარგში. ამიტომ წარმოების ბევრ დარგში მრეწველობის პრიმიტული ფორმების დაშლის პროცესში წამყვან და გადამწყვეტ როლს ასრულებდა რუსეთიდან და აგრეთვე სხვა ქვეყნებიდანაც დიდი რაოდენობით შემოზიდული ფაბრიკული საქონლის სულ უფრო მზარდი კონკურენცია. ამ პროცესს თავის გენიალურ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად ახასიათებს: „...თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკი-

[1] იხ. „Перечень фабрик и заводов", СПБ, 1897. იხ. აგრეთვე ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. № 926, 1902, лл. 77, 80.

[2] ამას ადასტურებს ბევრი საარქივო და სამუზეუმო მასალა; მაგალითად: „По отделу Тифлисской ремесленной управы, в отчетном году (ე. ი. 1885 წ.—გ. ბ.) замечен был упадок в производстве некоторых ремесел, преимущественно портняжного и сапожного, причину чего следует искать в уменьшении спроса на местные изделия этого рода, так как московские, одесские и варшавские мастерские снабжают Тифлис громадным количеством своих изделий, которые по достоинству и дешевизне находят здесь значительный сбыт". (იხ. ЦГИА Груз. ССР, ф. 12, оп 1, д. № 516, 1835, лл. 23, 24).

[3] როგორც ცნობილია, ვერცხლისა და ოქრომკედით მქარგველობა განვითარებული იყო ქ. ახალციხეში. ახალციხის ხელოსნების ნაწარმი პოულობდა ფართო გასაღებას როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუსეთსა და საზღვარგარეთაც კი. მაგრამ ზემოთ დასახელებული ნაწარმის ფაბრიკული წარმოება აღმოცენდა რუსეთში. შემდეგ დაიწყო მისი შემოზიდვა იქედან საქართველოსა და ამიერკავკასიაში. როგორც წყაროებშია აღნიშნული: „Не только в Тифлисе, но даже в самом Ахалцихе нередко можно встретить в продаже ажурную серебряную вещицу московского приготовления". (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Выпуск одиннадцатый. Тифлис, 1891, გვ. 211). რუსული ფაბრიკული ნაწარმის კონკურენციის შედეგად დაიწყო აღნიშნული ხელოსნობის დაცემა ახალციხეში. ხელოსნები, რომლებმაც ვერ გაუძლეს შემოზიდული ფაბრიკული საქონლის კონკურენციას, იძულებული იყვნენ მიეტოვებიათ ახალციხეში აღნიშნული დარგის წარმოება და წასულიყვნენ სხვაგან სამუშაოს საძებნელად. როგორც მასალებიდან სჩანს ისინი „Переселились в другие города, главным образом в Тифлис и Ростов на Дону" (იხ. დასახელებული წყარო, გვ. 210—211); ეკონომიურად განადგურებული ხელოსნებისაგან, თავის მხრივ, თბილისის ფაბრიკული მრეწველობა ღებულობდა კვალიფიციურ მუშახელს. ხელოსნების ნაწილი, რომელმაც დასტოვა თავისი მშობლიური ქალაქი და თავისი სარეწი, ეწყობოდა ფაბრიკაში სამუშაოდ და ამგვარად იქცეოდა დაქირავებულ მუშად, ნაწილი კი ცდილობდა განეგრძო თავისი ხელობა ახალ ადგილას.

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით პირველად წყაროებში ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ: „Производство это (ე. ი. „ხამის" წარმოება—გ. ბ.) в настоящее время совершенно пало, так как с проведением Поти—Тифлисской железной дороги мануфактурные произведения, привозимые из России, стали продаваться значительно дешевле против прежнего". (იხ. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", выпуск 11-й, Тифлис, 1891, გვ. 228).



რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი

ნის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს"[1].

მაშასადამე, პატრიარქალურ და წვრილ შინამრეწველურ-ხელოსნურ სარეწთა ნაწარმი ვერ უძლებდა ფაბრიკულ იაფფასიანი საქონლის კონკურენციას. ამის გამო ეს საწარმოები იშლებოდნენ. საქართველოს სამრეწველო განვითარება კაპიტალიზმის გზით მიდიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა წვრილი ხელოსნური საწარმოები მთლიანად არ განადგურებულა, ისინი წარმოების ზოგ დარგებში შემდეგაც განაგრძობდნენ არსებობას. ასე მაგალითად, 1876 წელს თბილისში, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ითვლებოდა 1160 წვრილი სახელოსნო[2]. ეს სახელოსნოები თავიანთი სტრუქტურის მიხედვით ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

ცხრილი 3

№№ რიგ.	ხელოსნურ საწარმოთა დასახელება	ხელოსნურ სარეწთა რიცხვი	%
I	საკვები	277	23,88
II	ტანსაცმელი და საღებავი	427	36,81
III	ფეიქრობა და ნართი	1	0,09
IV	ტყავის წარმოება	12	1,03
V	საცხოვრებელი ბინის მორთულობა	82	7,07
VI	ხის ნაკეთობანი	44	3,79
VII	ლითონის ნაკეთობანი	128	11,04
VIII	განათება	1	0,09
IX	ქიმიური და სამკურნალო პროდუქტები	5	0,43
X	მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან დაკავშირებული საგნები	35	3,02
XI	გადაზიდვასთან დაკავშირებული საგნები	136	11,72
XII	სხვადასხვა ნაკეთობანი	12	1,03

როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი რაოდენობა ხელოსნურ სარეწებისა მოდიოდა ტანსაცმელებისა და საღებავების წარმოების დარგზე, შემდეგ კი საკვებ პროდუქტთა წარმოებაზე, გადაზიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, ლითონის ნაკეთობათა დარგზე; მეხუთე ადგილი ეჭირა საცხოვრებელი ბინის მორთულობის ხელოსნურ საწარმოებს.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

[2] იხ. Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 года, Тифлис, 1880, გვ. 203—204.

რეფორმის შემდეგ ხელოსნების რიცხვის ზრდის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ-მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი 4

ხელოსნების რიცხვის ცვალებადობა თბილისში 1868 წლიდან 1894 წლამდე[1]

წლები	ოსტატი	ჯარგალი	შეგირდი	სულ	შენიშვნა
1868	2628	1130	1157	4915	
1869	2541	1063	1150	4754	
1870	2610	1176	1258	5004	
1871	3075	1643	1930	6648	
1872	3154	1702	2005	6861	
1875	3076	2869	1318	7263	
1876	3079	2863	1125	7067	
1880	—	—	—	7755	მოცემულია ერთად
1882	—	—	—	5687	მოცემულია ერთად
1883	2782	2002	1091	5875	
1884	2995	2229	1260	6484	
1886	2526	1858	1058	5472	
1888	—	—	—	6000	მოცემულია ერთად
1890	3109	3085	—	6194	
1891	3102	3223	—	6325	
1892	2437	1942	1207	5586	
1893	2430	1942	1207	5579	
1894	2331	1849	1280	5460	

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხელოსნების რიცხვი 60-ანი წლების ბოლოს 1865 წელთან შედარებით (5668) მნიშვნელოვნად შემცირდა. ასე მაგალითად, 1868 წელს ხელოსნების რიცხვი 753 კაცით შემცირდა, ხოლო 1869 წელს — 914 კაცით. მაგრამ სამოცდაათიან წლებში ადგილი აქვს ხელოსნების რიცხვის ისევ გადიდებას. 1880 წელს ხელოსნების რიცხვი 1871 წელთან შედარებით გაიზარდა 1107 კაცით. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ხელოსნების რიცხვში 1880 წელს შეყვანილი იყო შავი მუშებიც 1569 კა-

[1] ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ შემდეგი საარქივო წყაროების მიხედვით:

ა) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18, д. 182, 1872, л. 266.

ბ) ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. 2072, 1884, л. 3.

გ) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, д. 174, 1875, л. 18 об.

დ) ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 669, 1880, л. 19.

ე) ЦГИАЛ, ф. 1263, Комитет Министров, б/оп., д. 4333, 1882, л. 479.

ვ) ЦГИАЛ, ф. 1263, д. 4921, 1890, л. 417.

ზ) ЦГИА Груз. ССР, ф. 12, оп. 1, д. № 3755, 1894, л. 36. იხ. აგრეთვე სათანადო წლების სხვა უწყისებიც.

ცის რაოდენობით[1]. ეს მუშები გაერთიანებული იყვნენ ცალკე ამქარში (არტელში); მაშინ როდესაც 1871 წლის ცნობებით შავი მუშები არ იყო მიჩნეული ხელოსნებად და ამდენად ისინი არ შედიოდნენ ხელოსნების საერთო რიცხვში. ამით უნდა აიხსნას აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 1894 წელს ხელოსნების რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1880 წელს, რეფორმის შემდგომ პერიოდში ამქრული ხელოსნობა სულ უფრო და უფრო მცირდება. ასე მაგალითად, თუ 60-ან წლებში თბილისში 64 ამქრული ორგანიზაცია იყო, 80-ანი წლების დასაწყისში მათი რიცხვი 44-მდე დავიდა. მაგრამ წარმოების ზოგიერთ დარგებში ისეთი ხელოსნობა, რომელიც ამქრულ შეზღუდულობისაგან თავისუფალი იყო და ბაზრისათვის აწარმოებდა საქონელს, არა თუ მცირდებოდა, არამედ მატულობდა კიდეც. განსაკუთრებით ეს ითქმის 900-ან წლებზე.

ქალაქის მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ეჩვეოდა ახალი, უფრო უკეთესი საგნების მოხმარებას. ამასთან დაკავშირებით ჩნდებოდა ხელოსნობის ახალი სახეები, რომელთა რიცხვი მნიშვნელოვნად სჭარბობდა ძველი, ადგილობრივი ხელოსნობის რიცხვს. მაგალითად, 1884 წელს თბილისში ევროპული ფეხსაცმელების მოხელე იყო 355 კაცი, ხოლო აზიურის — 100[2].

ამავე წელს თბილისში ითვლებოდა მამაკაცის ევროპული ტანსაცმლის 360 მოხელე. აზიურის კი— 160[3]. თუ 1879 წელს თბილისში ხელოსნური წარმოების პროდუქცია შეადგენდა 1 მილიონ მანეთამდე[4], 1912 წლისათვის ის უდრიდა 4181782 მანეთს[5], ე. ი. 33 წლის განმავლობაში ხელოსნური პროდუქცია გაიზარდა 4-ჯერ, და კიდევ მეტად, ხელოსანთა რიცხვმა კი თბილისში იმავე წლისათვის 8890-მდე მიაღწია[1]. ამრიგად, ხელოსანთა რაოდენობა 1912 წელს 1894 წელთან შედარებით 3430 კაცით გაიზარდა. მთელ საქართველოში 90-ან წლებში რიცხვი ხელოსნებისა, რომლებიც ამზადებდნენ საქონელს უშუალოდ გაყიდვისათვის, შეადგენდა 27695[2].

რეფორმის შემდგომ პერიოდში ზოგიერთ დარგში იმ ხელოსნურ საწარმოთაგან, რომელთაც საქონლური ხასიათი ჰქონდათ, აღმოცენდა დაქირავებულ შრომაზე დამყარებული ხელოსნური სარეწები. ისინი თანდათანობით გადაიქცნენ წვრილ კაპიტალისტურ სარეწებად. ოფიციალური ცნობების მიხედვით, 1900 წელს თბილისში რიცხვი იმ ხელოსნური სარეწებისა, რომელთაც ჰყავდათ 1 დაქირავებული მუშა ან ორი შეგირდი, შეადგენდა 1973[3], ხოლო იმ ხელოსნურ სარეწთა რაოდენობა, რომელთაც ჰყავდათ საშუალოდ 4,3 მუშა, შეადგენდა 439[4]. ამ უკანასკნელთა წლიური პროდუქცია 2098 ათას მანეთამდე აღწევდა; მათში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა უდრიდა 1863 კაცს. აღნიშნულ წელს თბილისში ახალგახსნილ ხელოსნურ სარეწთა რაოდენობა 211 შეადგენდა, დაქირავებულ მუშათა რიცხვი კი 627-ს აღწევდა. აქ ერთ საწარმოზე საშუალოდ 3 კაცამდე მოდიოდა.

ამგვარად, აღნიშნული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1900 წ. თბილისში სულ იყო 2623 ხელოსნური საწარმო 2098 ათასი მანეთის პროდუქციით; ამ საწარმოებში 4463 მუშა მუშაობდა. 1876 წელს კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხელოსნურ სარეწთა რიცხვი უდრიდა 1160. მაშასადამე, 24 წლის (1876-დან 1900 წლამდე) განმავლობაში ხელოსნურ სარეწთა რიცხვი გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ. ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა როლს ასრულებდა ხელოსნური წარმოება აღნიშნულ პერიოდში თბილისის სამრეწველო ცხოვრებაში.

იმავე ოფიციალური ცნობებით, 1900 წელს თბილისში ითვლებოდა 76 სამრეწველო საწარმო,

[1] ამის შესახებ 1880 წ. ქ. თბილისის წლიურ ანგარიშში ჩუნ გკითხულობთ: „Из числа лиц, записанных в 44 ремесленных цехах, всего в количестве 7755 чел. первое место по численности занимает черноработчия артель в 1569 чел.“ (იხ. ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 669, 1888, л. 19).

[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 2283, 1884, л. 34.

[3] ЦГИА Груз. ССР, ф. 17. д. № 2283, 1884, л. 34.

[4] ЦГИА Груз. ССР, ф. 5/12, д. № 5399, 1879 лл. 61, 64

[5] ს. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, 1926, გვ. 43.

[1] იქვე, გვ. 42.

[2] იხ. Журнал „Кавказский вестник“, 1901, № 9, Тифлис, 1902, გვ. 158.

[3] იხ. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, ч. I, Тифлис, 1902, გვ. 237.

[4] იქვე, გვ. 236.

თვითეულ მათგანს ჰყავდა 9-ზე მეტი დაქირავებული მუშა. აღნიშნულ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია 4937 ათას მანეთს უდრიდა[1], ხოლო მუშათა რიცხვი 7894 შეადგენდა. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, ჩვენი დაჯგუფებისა და გამოანგარიშების მიხედვით, კაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოთა საერთო რიცხვიდან (76) 30 იყო მცირე ზომის კაპიტალისტური საწარმო 387 ათასი მანეთის პროდუქციითა და 290 მუშით, 25 — კაპიტალისტური მსხვილი მანუფაქტურული საწარმო, 1380 ათასი მანეთის პროდუქციითა და 2510 მუშით, ხოლო 21 კაპიტალისტური, მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა, 3170 ათასი მანეთის პროდუქციითა და 5094 მუშით.

როგორც ვხედავთ, ფაბრიკული ხასიათის მქონე საწარმოთა რიცხვი ნაკლები იყო, ვიდრე წვრილ-კაპიტალისტური და მანუფაქტურული საწარმოებისა. მიუხედავად ამისა, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და მუშათა რიცხვის მიხედვით ფაბრიკული საწარმოები თითქმის ორჯერ აღემატებოდა წვრილ-კაპიტალისტურ და მანუფაქტურულ საწარმოთა პროდუქციასა და მუშათა რიცხვს.

რაც შეეხება ხელოსნურ საწარმოებს, ისინი რიცხობრივად 35-ჯერ მეტი იყო, ვიდრე კაპიტალისტური საწარმონი. მიუხედავად ამისა, პროდუქციის ოდენობის მიხედვით კაპიტალისტური ხასიათის საწარმონი ხელოსნურ საწარმოთა პროდუქციას აღემატებოდა უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ, ხოლო მუშათა რიცხვის რაოდენობის მიხედვით კი თითქმის ორჯერ.

ზემომოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისში რეფორმის შემდგომ პერიოდში მრეწველობის მაღალი ფორმების აღმოცენებასთან და განვითარებასთან ერთად არსებობდნენ აგრეთვე მრეწველობის დაბალი ფორმებიც. გამოშვებული პროდუქციის ოდენობისა და მუშათა რიცხვის რაოდენობის მიხედვით გაბატონებული ადგილი ეჭირა მრეწველობის კაპიტალისტურ ფორმებს. მრეწველობის დაბალ ფორმებში კი წარმოების პროცესში ზოგჯერ დაქირავებული შრომაც გამოიყენებოდა.

თუ როგორ ვითარდებოდა აღნიშნულ პერიოდში დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მრეწველობის განსხვავებული ფორმები, ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრ. № 5).

ამ ცხრილიდან ცხადია მრეწველობის სწრაფი განვითარება თბილისში რეფორმის შემდგომ პერიოდში. ასე, მაგალითად, მუშების რიცხვი 30 წლის (1870 — 1900 წწ.) განმავლობაში გაიზარდა 265 პროცენტით. თუ 1870 წელს მუშების საშუალო რიცხვი ერთ სარეწზე შეადგენდა 8,6, 1880 წელს იგი უდრიდა 13,3, 1891 წელს — 19,9-ს, ხოლო 1900 წელს 23,7 აღწევდა. ამგვარად, 1900 წელს მუშების საშუალო რიცხვი ერთ სარეწზე, 1870 წელთან შედარებით, გაიზარდა თითქმის სამჯერ.

შესამჩნევად მატულობს სამრეწველო პროდუქციის ჯამი. მაგალითად, 1870 წელს წარმოების ჯამი, 1860 წელთან შედარებით, გაიზარდა 197 პროცენტით. 1900 წელს წარმოების ჯამი, 1890 წელთან შედარებით, გაიზარდა 209%-ით, 1880 წელთან შედარებით კი — 258 პროცენტით.

30 წლის განმავლობაში, ე. ი. 1870 — 1900 წწ. წარმოების ჯამი გაიზარდა 13,8-ჯერ, ხოლო რეფორმამდელ პერიოდთან (1860 წ.) შედარებით 41-ჯერ და კიდეე უფრო მეტად.

1870 წელს წარმოების ჯამი საშუალოდ 1 სარეწზე შეადგენდა 3,9 ათას მანეთს, 1880 წელს 14,3 ათას მანეთს, 1891 წ. — 26,0 ათას მანეთს, 1900 წელს კი 41,0 ათას მანეთს.

ამგვარად, 1900 წელს წარმოების ჯამი საშუალოდ 1 სარეწზე, 1870 წელთან შედარებით, გაიზარდა 10,5-ჯერ.

მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციის წლიური გამომუშავება ერთ მუშაზე. მაგალითად, 1870 წელს წარმოების ჯამი საშუალოდ 1 მუშაზე შეადგენდა 457 მანეთს, 1880 წელს 1082 მანეთს, 1891 წელს — 1300 მანეთს, ხოლო 1900 წელს — 1730 მანეთს. ამგვარად, 1900 წელს წარმოების ჯამი საშუალოდ 1 მუშაზე, 1870 წელთან შედა-

---

[1] იხ. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Контратенко, ч. 1 Тифлис, 1902, стр. 238—246.

აღნიშნული წარმოების ჯამსა და მუშების რაოდენობაში შედის აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებებში გაერთიანებულ სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება და მუშათა რიცხვიც.

დასახელებულ წყაროში მოტანილ სხვა ხასიათის (არა სამრეწველო საწარმოო) სააქციონერო საზოგადოებათა ბრუნვა უდრიდა 7580 ათას მანეთს, ხოლო მუშათა რიცხვი 348.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ წყაროში მოტანილი ცნობები, განსაკუთრებით გამოშვებულ პროდუქციის მხრივ, არ არის სრული.

ცხრილი 5

სამრეწველო საწარმოთა, მათი პროდუქციისა და მუშათა რიცხვის ზრდის ცვალებადობა ქ. თბილისის დამმუშავებელ მრეწველობაში 1870-დან 1900 წლამდე [1]

წლები	სამრეწველო საწარმოთა რიცხვი	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)	მუშების რიცხვი	წარმოების ჯამი საშუალოდ 1 საწარმოზე (ათას მანეთებში)	მუშების საშუალო რიცხვი 1 საწარმოზე	წარმოების ჯამი საშუალოდ 1 მუშაზე (მანეთებში)
1870	198	779	1704	3,9	8,6	457
1871	206	855	2024	4,2	9,8	423
1872	182	754	1675	4,1	9,2	450
1873	175	1127	2086	6,4	12,0	540
1874	183	1022	2589	5,5	14,0	395
1875	144	1257	2123	8,7	15,0	592
1876	153	12.0	1916	7,9	12,5	636
1877	234	1195	1952	5,1	8,0	612
1878	230	1442	1118	6,3	5,0	1289
1879	210	2320	2289	11,0	10,9	1014
1880	210	3008	2780	14,3	13,3	1082
1881	207	3481	2641	16,8	12,7	1325
1882	219	3657	2554	16,7	11,6	1432
1883	228	3449	2577	15,1	11,3	1338
1884	210	3977	2295	19,0	10,9	1733
1885	263	3329	2269	12,6	8,6	1467
1886	246	3539	2110	14,5	8,6	1677
1887	228	3313	2429	14,5	10,6	1364
1888	210	3642	3017	17,3	14,3	1207
1889	216	3472	2736	16,0	12,7	1269
1890	711	3473	2511	31,3	22,6	1383
1891	135	3495	2683	26,0	19,8	1300
1892	174	3581	2730	20,0	15,7	1313
1893	239	4203	3 05	17,6	13,0	1353
1894	282	4608	3512	16,3	12,4	1312
1895	281	5773	3565	18,4	12,7	1451
1896	258	6524	4978	25,3	19,2	1310
1897	291	5973	4669	20,0	16,0	1280
1898	334	7049	4842	21,1	14,5	1456
1899	278	8506	4762	30,0	17,1	1807
1900	262	10766	6220	41,0	23,7	1730

[1] ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ ძირითადად საერთო უწყისების საფუძველზე:

ა) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 17, д. 38, 1870, лл. 158, 161.

ბ) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18, д. 91, 1871, лл. 130, 131

გ) ЦГИА Груз. ССР, ф. 5, д. № 2581, 1872, лл. 53, 56.

დ) ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, д. 174, 1875, лл. 49, 50.

ე) ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 670, 1880, лл. 40, 43.

ვ) იქვე, ф. 12, д. № 516, 1885, лл. 73, 76.

ზ) ЦГИАЛ, ф. 1263, д. № 4921, 1890, лл. 448, об.

თ) ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 3160, 1891, лл. 863, 868 об.

რებით, გაიზარდა 3,8-ჯერ. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ქ. თბილისის მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა.

მრეწველობის სწრაფი განვითარება და მუშათა კლასის ზრდა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, გამოწვეული იყო ძირითადად გლეხთა რეფორმების გატარებითა და ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში რკინიგზების გაყვანით. კაპიტალისტური მრეწველობა თბილისში აღმოცენდა სწორედ ბატონყმობის გადავარდნისა და რკინიგზების გაჩენის შემდეგ, მისი სწრაფი განვითარება ხდება 80-ან, განსაკუთრებით კი 90-ან წლებში. ჩვენში საერთოდ, კერძოდ კი თბილისში, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობასა და განვითარებაზე, როგორც აღნიშნული იყო, დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის კაპიტალიზმს.

ზემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ გაიზარდა აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა რაოდენობაც. ასე მაგალითად, 1900 წელს სარეწთა რიცხვი თბილისში, 1890 წელთან შედარებით, გაიზარდა დაახლოებით 2,3-ჯერ; 1870 წელთან შედარებით — 32,3%-ით, ხოლო 1860 წელთან შედარებით — 191%-ით.

ცნობები „ფაბრიკებისა" და „ქარხნების" რიცხვის შესახებ ზუსტი არ არის. არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მონაცემები თითქოს 1880 წელს თბილისში ითვლებოდა 210 „ფაბრიკა" და „ქარხანა", ხოლო 1890 წელს — 111. სინამდვილეში, 1890 წელს ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი, 1880 წელთან შედარებით, არა თუ მცირდება, არამედ, პირიქით, მატულობს კიდეც. ეს ჩანს იქედანაც, რომ 1890 წელს პროდუქციის გამოშვება, 1880 წელთან შედარებით, შესამჩნევად გაიზარდა, და თუ მონაცემები მაინც შემცირებულად წარმოგვიდგენენ სარეწთა რიცხვს, ეს აიხს-

ი) ЦГИАЛ, ф. 1263, д. № 5256, б/оп., 1895, лл. 608, 610.

კ) ЦГИА Груз. ССР, ф. 12, д. № 2234, 1897, лл. 31, 31.

ლ) ЦГИАЛ, ф. 1263, б/оп., д. № 5330, 1898, лл. 458, 460.

მ) ЦГИА Груз. ССР, ф. 414, д. № 3, 1899, лл. 552, 522 об.

ნ) ЦГИАЛ, ф. 23, Департамент торговли и промышленности, оп. 17, д. 738, 1900, лл. 59, 61. ის. აგრეთვე სათანადო წლების სხვა უწყისებიც.

ნება იმით, რომ 1880 წლის უწყისში წვრილი სარეწები დიდი რაოდენობით არის შეტანილი, 1890 წლის უწყისთან შედარებით.

ასე მაგალითად, უწყისების მიხედვით, 1880 წელს თბილისში ითვლებოდა 95[1] აგურის „ქარხანა", 63 ათასი მანეთის პროდუქციითა და 300 მუშით, 1890 წელს კი აგურის „ქარხნების" რიცხვი უდრიდა 38-ს[2], 188 ათასი მანეთის პროდუქციითა და 176 მუშით. როგორც ვხედავთ, 1890 წელს აგურის წვრილი სარეწები, 1880 წელთან შედარებით, შემცირდა 2,5-ჯერ. ამან კი თავის მხრივ მოახდინა გავლენა სამრეწველო საწარმოთა საერთო რიცხვზე. მაგრამ მცირდება არა ფაბრიკებისა და ქარხნების რაოდენობა, არამედ წვრილ პატრიარქალურ სარეწთა რიცხვი. ეს ჩანს აგრეთვე იქედანაც, რომ თუ 1880 წელს მუშათა საშუალო რიცხვი აგურის ერთ „ქარხანაში" შეადგენდა 3,2 კაცს და გამოშვებული პროდუქციის ღირებულება საშუალოდ 1 მუშაზე უდრიდა 210 მანეთს, 1890 წელს კი მუშების საშუალო რიცხვი ერთ სარეწზე გაიზარდა 4,4 კაცამდე, ხოლო ერთ მუშაზე გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ საშუალოდ 1078 მანეთამდე მიაღწია, ე. ი. გადიდდა დაახლოებით 5-ჯერ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ სარეწზე მუშების საშუალო რიცხვის დადგენა ვერ ასახავს მრეწველობის ფორმების ცვლილებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას ისტორიულ განვითარებაში. ჩვენს მაგალითში 1890 წელს აგურის ერთ სარეწზე მუშების საშუალო რიცხვი შეადგენს 4,4 კაცს. მართალია, ეს ციფრი 1880 წელთან შედარებით (3,2) გვიჩვენებს მუშების რიცხვის განსაზღვრულ ზრდას, მაგრამ, მეორე მხრით, ქმნის ერთგვარ მოჩვენებით სურათს, თითქოს 1890 წელს თბილისში არსებული ყველა აგურის სარეწი წვრილი და უწვრილესი იყო. სინამდვილეში მრეწველობის ამ დარგშიაც თბილისში არსებობდა ისეთი სარეწები, რომლებსაც ჰქონდათ არა მხოლოდ მანუფაქტურის, არამედ ქარხნის ფორმაც კი. მაგალითად, პროხოროვის აგურის ქარხანაში, რომელიც თბილისში ამუშავდა 1885 წელს[3] 35 მუშა იყო; ქარხანას ჰქონდა ორთქლის ქვაბი. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება უდრიდა 15 ათას მანეთს. ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროხოროვის ქარხანას ჰქონდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ფორმა. ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდა აგრეთვე ელჩიევის აგურის ქარხანასაც. კაპიტალისტური მსხვილი საწარმოს ფორმა ჰქონდა ბარონ ფონ-კუჩენბახის აგურის ქარხანას, რომელიც ამუშავდა თბილისში 1899 წელს[1]. ამ ქარხანას ჰქონდა ორთქლის ძრავი, მასში დაკავებული მუშების რიცხვი შეადგენდა 21 კაცს, ხოლო მისი წარმოების ჯამი უდრიდა 28 ათას მანეთს. მანქანური წესით მზადდებოდა აგური აგრეთვე ხიმშიაშვილის აგურის ქარხანაშიც, რომელმაც მუშაობა დაიწყო 80-ან წლებში.

1882 — 1890 წლების განმავლობაში აგურის წარმოებას თბილისში შეემატა 7 სარეწი, რომელთაგან, ჩვენი დაჯგუფების მიხედვით, 6-ს ჰქონდა მანუფაქტურის, ხოლო 1-ს ფაბრიკის ფორმა. 1892 — 1900 წლებში შეიქმნა კიდევ მანუფაქტურის ხასიათის 6 სარეწი და ფაბრიკის ტიპის ერთი სარეწი. ამგვარად, აგურის მრეწველობის დარგში წვრილი სარეწების გარდა, თბილისში არსებობდა სულ 14 სარეწი, რომელთაგან 12-ს ჰქონდა მანუფაქტურის ფორმა, 2-ს კი ფაბრიკის ფორმა.

თქმულიდან ცხადია, რომ 90-ან წლებში, წინა წლებთან შედარებით, აგურის წარმოებაში მანუფაქტურულ და ფაბრიკულ სარეწთა რიცხვი თბილისში კი არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, თანდათან გაიზარდა კიდეც.

რეფორმის შემდგომი პერიოდის წყაროების მიხედვით, 1865 წელს თბილისში 135 „ფაბრიკა" და „ქარხანა" იყო[2], 1876 წლისათვის კი მისმა რიცხვმა 141-მდე მიაღწია[3].

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოტანილი რიცხვიდან უმეტესობა არსებითად წვრილ სარეწებს წარმოადგენდა. მაგალითად, უწყისის მიხედვით, თბილისში არსებობდა თიხის „ქარხანა", სადაც მუშაობდა 3 კაცი, მათგან მხოლოდ ერთი იყო

[1] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 670, 1880, лл. 40, 43.

[2] ЦГИАЛ, ф. 1263, д. № 4921, 1890, л. 458 об.

[3] Перечень фабрик и заводов, С.-Петербург, 1897, сз. 468, 471.

[1] Список фабрик и заводов Европейской России, С.-Петербург, 1903, сост. Варзар, сз. 399.

[2] Н. Дункель-Веллинг, Статистическое описание г. Тифлиса, сз. 51.

[3] см. Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 года, Тифлис, 1880, сз. 141.

დაქირავებული[1]. ამ სარეწის წლიური პროდუქცია არ აღემატებოდა 240 მანეთს. ასეთი წვრილი სარეწი, მაშინდელი სტატისტიკის მიხედვით, ითვლებოდა ქარხანად. ან კიდევ. ავიღოთ მეორე მაგალითი: უწყისის მიხედვით თბილისში არსებობდა ცემენტის „ქარხანა", რომელიც ეკუთვნოდა გ. ბაგდასაროვს და რომლის პროდუქციაც შეადგენდა 400 მანეთს. ამ სარეწში არც ერთი მუდმივი დაქირავებული მუშა არ იყო. „ქარხნის" მფლობელმა განაცხადა: „Рабочих не держу и в случае надобности нанимаю по дням 1—2 и трех, смотря по работам".[2] ასეთი წვრილი სარეწიც ქარხანად იყო მიჩნეული, რაც სელოვნურად ზრდიდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვს.

ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, რომელიც გაკეთებულია „ფაბრიკებისა" და „ქარხნების" ცალკეული უწყისების[3] საფუძველზე, 1880 წელს თბილისში მრეწველობის სხვადასხვა დარგში ისეთ სარეწთა რიცხვი, რომელთაგან თვითეულს ჰყავდა 16 მუშა და მეტი, შეადგენდა 26-ს, 2666 ათას მანეთის პროდუქციითა და 1652 მუშით. მათგან 15 სარეწი, ე. ი. 57,7% ორგანიზებული იყო კაპიტალისტური მანუფაქტურის სახით, ხოლო 11-ს, ე. ი. 42,3%-ს ჰქონდა ფაბრიკის ფორმა. ფაბრიკულ სარეწთა წარმოების ჯამი შეადგენდა 1493 ათას მანეთს, ე. ი. მთელი გამოშვებული პროდუქციის 56%-ს, მუშების რიცხვი უდრიდა — 854-ს, ე. ი. დამმუშავებელი მრეწველობის მსხვილ სარეწთა მუშების საერთო რაოდენობის 51,7%-ს.

ამრიგად, ჯერ კიდევ 1880 წელს თბილისში კაპიტალისტურ მსხვილ სარეწთა საერთო რაოდენობაში ჭარბობდა მანუფაქტურულ სარეწთა რიცხვი (57,7%), მაგრამ, წარმოების ჯამისა (56%) და მუშების რიცხვის (51,7%) მიხედვით უპირატესობა ფაბრიკული ტიპის სარეწებს ჰქონდა.

შემდგომში კი ფაბრიკების რიცხვმა შესამჩნევად იმატა და წინ გაუსწრო მანუფაქტურული სარეწების რიცხვს. ასე მაგალითად, 1897 წლისათვის[1] მსხვილ სარეწთა რიცხვმა თბილისში 47-ს მიაღწია, რომელთაგან, ჩვენი დაჯგუფების მიხედვით, 31-ს, ანუ 65,9%-ს ჰქონდა ფაბრიკის ფორმა. ამგვარად. ფაბრიკების რიცხვი 1897 წელს, 1880 წელთან შედარებით, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა აგრეთვე წარმოების ჯამი და მუშების რიცხვიც. თბილისის ფაბრიკული მრეწველობის წარმოების ჯამი 1897 წელს დაახლოებით შეადგენდა 4 მილიონ მანეთამდე.

ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვის ზრდა საინტერესოა იმით, რომ იგი წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების ყველაზე არსებით მაჩვენებელს.

ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის მრეწველობის განყოფილების მასალების მიხედვით, 1900 წელს თბილისში. სამრეწველო. საწარმოთა რიცხვი დამმუშავებელ მრეწველობაში შეადგენდა 262-ს[2], წლიური პროდუქცია კი უდრიდა 10766 ათას მანეთს, მუშათა რიცხვი — 6220.

ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, თბილისის სამრეწველო სარეწთა ამ საერთო რაოდენობიდან კაპიტალისტურ (მანუფაქტურა და ფაბრიკა ერთად) მსხვილ სარეწთა რიცხვი, რომელთაგან თვითეულში დასაქმებული იყო 16 და მეტი მუშა, შეადგენდა 75-ს, ე. ი. 28,6%-ს; ასეთ საწარმოში მუშაობდა 4748 კაცი, ანუ ყველა მუშის 76,3%. მანუფაქტურულ და ფაბრიკულ სარეწთა საერთო პროდუქცია დაახლოებით შეადგენდა 8030 ათას მანეთს, ე. ი. თბილისის ყველა სარეწთა მთლიანი პროდუქციის 74,6%-ს. წვრილ სარეწთა რიცხვი

[1] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 486, 1880, л. 82.
[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 486, 1880, л. 83.
[3] იქვე. л. 1—149.

ჩვენ მიერ განხილულია 100 მეტი უწყისი, რომელიც ინახება აღნიშნულ ფონდში. ნაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასახელებულ ფონდში თავმოყრილია მთლიანად თბილისში იმ დროს არსებულ სარეწთა ყველა უწყისი.

[1] Перечень фабрик и заводов, СПБ, 1897. ამ წყაროში არ არის ცნობები ისეთი მსხვილი სარეწის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები. გარდა ამისა, ამავე წყაროში არ არის მოცემული სწორი ცნობები ზოგიერთ სარეწთა შესახებ. ასე მაგალითად, როგორც სხვა სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანას თბილისში წარმოების პროცესში გამოყენებული ჰქონდა ორთქლის ძრავი, დასახელებულ წყაროს მიხედვით კი არ სჩანს სარაჯიშვილის ქარხანას ჰქონდა თუ არა ორთქლის ძრავი.

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 17, д. 738, 1900, л. 59. იხ. აგრეთვე ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. № 2914, 1901, л 3. გარდა ამ წყაროებისა იხ. აგრეთვე საერთო და ცალკეული უწყისები „ფაბრიკებისა" და „ქარხნებისა". ზემოთ მოტანილ ციფრში არ შედის ა/კავკასიის რკინიგზის მთ. სახელოსნოები, წყლის წისქვილები და აგრეთვე—უწვრილესი სარეწები.

სამჯერ აღემატებოდა კაპიტალისტურ მსხვილ სარეწთა რიცხვს. მაგრამ წვრილ სარეწთა წილი წარმოების საერთო ჯამში უდრიდა მხოლოდ 25,4%-ს. ამ სარეწებში მუშაობდა ყველა მუშის მხოლოდ 23,7%.

ამგვარად, კაპიტალისტური მსხვილი სარეწები 1900 წელს თბილისში შეადგენდა ყველა „ფაბრიკის“ და „ქარხნის“ 28,6%. მათში თავმოყრილი იყო მუშათა საერთო რაოდენობის 76,3% და იძლეოდა მთელი წარმოების ჯამის 74,6%-ს. თბილისში ამ პერიოდში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ჩათვლით იყო 76 მანუფაქტურული და ფაბრიკული სარეწი, ე. ი. ყველა სარეწის 29%. მათში კონცენტრირებული იყო თბილისის მსხვილ და წვრილ სარეწებში დასაქმებული ყველა მუშის 82,1%.

საქართველოში 1900 წელს[1] არსებული კაპიტალისტური მსხვილი სარეწების საერთო რიცხვიდან (148) 51,4% მოდიოდა ქ. თბილისზე.

ზემომოტანილი ციფრებიდან გამომდინარეობს, რომ თბილისის მთელ მრეწველობაში აღნიშნულ პერიოდში გაბატონებული ადგილი ეჭირა კაპიტალისტურ მსხვილ წარმოებას.

90-ანი წლების ბოლოს თბილისის დამმუშავებელ მრეწველობაში მსხვილი წარმოების შიგნით კაპიტალისტური ფაბრიკებისა და მანუფაქტურული სარეწების დაჯგუფება მუშათა რიცხვის მიხედვით გვაძლევს შემდეგ სურათს[2].

ცხრილი 6

სარეწთა ჯგუფები მუშათა რიცხვის მიხედვით (მუშების რიცხვი თვითეულ სარეწში)	სარეწთა საერთო რიცხვი	მუშების საერთო რიცხვი	სარეწთა რიცხვი ცალკეულ ჯგუფებში %-ში	მუშების რიცხვი სარეწთა ცალკეულ ჯგუფში %-ში საერთო რიცხვთან
ა) 16-დან 19 კაცამდე	19	331	25,3	7,0
ბ) 20 „ 50 კაცამდე	39	1161	52,0	24,5
გ) 51 „ 100 კაცამდე	8	583	10,7	12,3
დ) 101 „ 500 კაცამდე	9	2670	12,0	56,2
სულ	75	4748	100%	100%

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, თბილისში არსებულ ყველა ფაბრიკულ და მანუფაქტურულ სარეწებიდან ყველაზე მეტი რიცხვი ასეთი სარეწებისა მოდიოდა სარეწთა იმ ჯგუფზე, რომელშიც თვითეულ წარმოებაში დასაქმებული იყო 20-დან 50-მდე მუშა. ეს ჯგუფი შეადგენდა ფაბრიკებისა და მანუფაქტურების საერთო რიცხვის 52,0%-ს, მასში კონცენტრირებული იყო თბილისის ყველა ფაბრიკული და მანუფაქტურული სარეწის მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ 24,5%. 101-დან 500-მდე მუშიანი სარეწთა რიცხვი შეადგენდა თბილისის მსხვილ სარეწთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 12,0%-ს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში თავმოყრილი იყო თბილისის ყველა ფაბრიკული და მანუფაქტურული სარეწის მუშათა საერთო რაოდენობის 56,2%.

ამ პერიოდში თბილისში წვრილი წარმოების შიგნით სარეწები (გარდა წყლის წისქვილებისა) მუშათა რიცხვის მიხედვით ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

ცხრილი 7

სარეწთა ჯგუფები მუშათა რიცხვის მიხედვით (მუშების რიცხვი თვითეულ სარეწში)	სარეწთა საერთო რიცხვი	მუშათა საერთო რიცხვი	სარეწთა რიცხვი ცალკეულ ჯგუფებში %-ში საერთო რიცხვთან	მუშების რიცხვი სარეწთა ცალკეულ ჯგუფებში %-ში საერთო რიცხვთან
ა) 5 კაცამდე	26	90	14,0	6,1
ბ) 5-დან 15-მდე	161	1382	86,0	93,9
სულ	187	1472	100%	100%

როგორც ეხედავთ, თბილისში ყველაზე მეტი რაოდენობა წვრილი სარეწებისა მოდიოდა იმ ჯგუფებზე, რომელთაგან თვითეულ სარეწში დასაქმებული იყო 5-დან 15-მდე მუშა. სარეწთა ეს ჯგუფი შეადგენდა თბილისის წვრილ სარეწთა საერთო რიცხვის 86,0%-ს; მასში თავმოყრილი იყო ასეთ სარეწთა მუშების საერთო რაოდენობის 93,9%. მთელ საქართველოში კი, როგორც წყაროები გვიჩვენებენ, წვრილი სარეწების ყველაზე დიდ რაოდენობას ჰყავდა (თვითეულს) 1-დან 5-მდე მუშა.

თუ როგორი იყო XIX საუკუნის ბოლოს თბილისის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრ. № 8).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პერიოდში თბილისის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში,

[1] ЦГИАЛ, ф. 23. оп. 17, д. 738, 1900, лл. 55, 59.

[2] ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ უკვე ზემოდასახელებული წყაროების საფუძველზე.

დაქირავებული მუშების რიცხვის მიხედვით, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების შემდეგ, პირველი ადგილი ეჭირა ბოჭკოვან ნივთიერებათა დამმუშავებელ წარმოებას, მეორე ადგილზე იდგნენ ის სარეწები, რომლებიც ამზადებდნენ კვების პროდუქტებს.

სამრეწველო საწარმოთა საერთო შემადგენლობაში გაცილებით მეტი იყო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველად გადამმუშავებელ სარეწთა ხვედრითი წონა. ჩვენი გამოანგარიშების მიხედ-

ცხრილი 8[1]

№№ რიგზე	წარმოების დასახელება	სარეწთა რიცხვი	მუშათა რიცხვი	პროდუქციის ათას მან-ში	მუშების საშუალო რიცხვი 1 სარეწზე	წარმოების ჯამი 1 მუშაზე (მან-ში)
1	ბოჭკოვან ნივთიერებათა დამმუშავებელი წარმოება	8	798	1495	99,7	1873
2	ხე-ტყის დამმუშავებელი წარმოება	15	158	168	10,5	1063
3	ლითონთა დამმუშავებელი წარმოება	28	918	821	33,0	894
4	აგურის, თიხის და სხ. ნივთიერებათა დამმუშავებელი წარმოება	105	1065	480	10,1	450
5	ცხოველური (პირუტყეული) პროდუქტების დამმუშავებელი წარმოება . . .	34	1029	2722	30,3	2645
6	საკვები (მასაზრდოებელი) ნივთიერებათა დამმუშავებელი წარმოება . . .	53	1833	4702	34,6	2565
7	სხვადასხვა წარმოება . .	19	419	378	22,0	902
	სულ	262	6220	10766	23,7	1730

ვით, 1900 წელს მთელ საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში ერთ სარეწზე საშუალოდ მოდიოდა 10,8 მუშა, ხოლო წარმოების ჯამი საშუალოდ უდრიდა 16217 მანეთს[2], თბილისის მრეწველობაში კი ერთ სარეწზე მუშების საშუალო რიცხვი, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღწევდა 23,7 კაცს, ე. ი. ორჯერ და კიდევ უფრო მეტს, თვითეული სარეწის პროდუქცია საშუალოდ საერთოდ უდრიდა 41092 მანეთს, ე. ი. 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს მრეწველობაში.

ამგვარად, რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოს სამრეწველო წარმოებაში თბილისის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას ეჭირა უმთავრესი ადგილი. საკმარისია ითქვას, რომ თბილისის კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობა მთელი საქართველოს ფაბრიკულ და მანუფაქტურულ სარეწებში დასაქმებული მუშების საერთო რაოდენობის 62%-ს მოიცავდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი წარმოადგენდა საქართველოს უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიულ ცენტრს, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა ქვეყნის მთელ სამრეწველო განვითარებაზე. თბილისში გეხვდებოდა მრეწველობის სხვადასხვა ფორმა. აქ წვრილი ხელოსნური და კუსტარული სარეწების გვერდით არსებობდა კაპიტალისტური მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები. მათი რიცხვი რეფორმის შემდეგ სულ უფრო და უფრო მატულობდა. თბილისში ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში წვრილ მექანიკურ სარეწებთან ერთად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა მექანიკური ქარხნები, რომელთაც ფაბრიკული ფორმა ჰქონდათ; ასე იყო მრეწველობის სხვა დარგებშიც. ამდენად სწორი არ არის ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული აზრი, თითქოს რევოლუციამდელ საქართველოში საერთოდ, და თბილისში, კერძოდ, იყო მხოლოდ წვრილი კუსტარული და ნახევრადკუსტარული სარეწები. ეს მცდარი აზრი, სამწუხაროდ, გაპარულია საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოშიც, სადაც ეკითხულობთ: „Развитие промышленности в Закавказье шло довольно медленно. В Тифлисской губернии были только мелкие предприятия".[1]

საჭიროა ეს მცდარი დებულება გასწორდეს. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-ან და 60-ან წლებში თბილისში არსებობდა სამრეწველო საწარმოები, მაგალითად, ზეტცერის ავეჯეულობის ფაბრიკა (1866 წ.), ვეტცელის ლუდის ქარხანა (1869 წ.), მირზოევის ბამბეულის ფაბრიკა (1870 წ.), რუქსის მექანიკური ქარხანა (1870 წ.), ადელხანოვის ტყავის ქარხანა (1875 წ.) და სხვა.

[1] ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ შემდეგი საარქივო მასალების მიხედვით:

ა) ЦГИАЛ, ф. 23, оп. 17, д. № 758, лл. 58, 59, 60, 61.

ბ) იქვე, ф. 22, оп. 2, д. № 2914, лл. 3, 3 об. и др.

აღნიშნულ ცხრილში არ არის შესული თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, წყლის წისქვილები და ყველაზე წვრილი სარეწები.

[2] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тбилиси, 1958, გვ. 60.

[1] იხ. „История СССР", под редакцией проф. А. М. Панкратовой, 1956, გვ. 253.



საქნახშირის ადმინისტრაციული სახლი

ეს სარეწები სრულებითაც არ ყოფილა კუსტარული ან ნახევრადკუსტარული; პირიქით, ისინი წარმოადგენდნენ მსხვილ ფაბრიკულ სარეწებს. თითეულ ამ სარეწში გამოყენებული იყო ორთქლის მანქანები, დაქირავებული მუშების რიცხვი კი შეადგენდა 16 კაცს და მეტს. ზოგიერთ სარეწში დაქირავებული მუშების რაოდენობა აღწევდა 600 კაცს, რომ არაფერი ვთქვათ ისეთი საწარმოს შესახებ, როგორიც იყო ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები, სადაც დაქირავებული მუშების რაოდენობა 90-ანი წლების ბოლოს უდრიდა 2265 კაცს[1], ხოლო 900-ან წლებში 3500 კაცს მიაღწია. არ დავინახოთ ყოველივე ეს — ნიშნავს უგულებელყოთ ფაქტები.

თბილისის მრეწველობის სხვადასხვა დარგში კაპიტალისტური ფაბრიკა აღმოცენდა არა ერთდროულად და არა ერთნაირი გზით. ავეჯეულობის, თამბაქოსა და წარმოების ზოგიერთ სხვა დარგში ფაბრიკა აღმოცენდა თბილისში მრეწველობის დაბალი ფორმებიდან თანდათანობით უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლის გზით, წარმოების ბევრ დარგში კი ფაბრიკა გაჩნდა წვრილ საქონლურწარმოებისა და მანუფაქტურის საფეხურების წინასწარი გავლის გარეშე. ჩვენში ავეჯეულობის წარმოებაში კაპიტალისტური ფაბრიკა პირველად აღმოცენდა 1866 წ. ეს იყო ზეტცერის ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელიც მანამდეც არსებობდა თბილისში, მაგრამ მანუფაქტურის ფორმა ჰქონდა. ზეტცერის სარეწის მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოხდა 1866 წელს, ე. ი. როცა წარმოებაში დაიწყეს ორთქლის მანქანის გამოყენება. როგორც უწყისშია აღნიშნული, ეს სარეწი გაიხსნა თბილისში 1847 წელს, მაგრამ „Паровая сила применяется с 1866 года.“ [2]

მაგრამ თუ ავიღებთ ბამბეულის წარმოებას, ამ დარგში კაპიტალისტური ფაბრიკა პირველად წარმოიშვა 1870 წელს. ეს იყო მირზოევის ბამბეულის ფაბრიკა, რომელიც აღმოცენდა თბილისში წვრილ საქონლურ წარმოებისა და მანუფაქტურული საფეხურების გავლის გარეშე. ფაბრიკულ სარეწთა უმრავლესობა როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ისე თბილისშიც ამგვარად შეიქმნა. ეს ფაქტი განპირობებული იყო იმით, რომ კაპიტალიზმი თბილისის მრეწველობაში ვითარდებოდა განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში.

საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, თბილისში უფრო ადრე აღმოცენდა პირველი კაპიტალისტური ფაბრიკები და ქარხნები. აქ კონცენტრირებული იყო საპნის, ასანთის, ტყავის, ფეხსაცმლის, ლუდის, კონიაკ-ლიქიორისა და არაყის, თამბაქოს, სახერხი, თუჯისჩამომსხმელი, მექანიკური და სხვა სარეწები. თბილისის სამრეწველო სარეწთა შორის ზოგი იმდენად დიდი იყო, რომ მისი პროდუქცია ადგილობრივი მნიშვნელობის ფარგლებს სცილდებოდა. მაგალითად, ფირფიცრის სარეწი, რომელიც არსებობდა თბილისში ჯერ კიდევ 80-ან წლებში. მის შესახებ წყაროებში ნათქვამია: „Удовлетворяя местному потреблению Тифлисский завод снабжает своими произведениями Одессу, Варшаву, Москву и другие города внутренней России“.[1]

როგორც საქართველოში, ისე მთელს კავკასიაში და აგრეთვე რუსეთშიაც ცნობილი იყო თბილისის კონიაკ-ლიქიორის ქარხნის პროდუქცია, იგი ეკუთვნოდა ქართველ კაპიტალისტს დ. სარაჯიშვილს. მასვე ეკუთვნის ინიციატივა აღნიშნულ დარგში საქართველოში კაპიტალისტური წარმოების შექმნისა და განვითარებისა. თუ 1890 წელს სარაჯიშვილის კონიაკ-ლიქიორის და სპირტსახდელ ქარხანაში მუშაობდა 35 მუშა, ხოლო წარმოების ჯამი შეადგენდა 334 ათას მანეთს[2], 1900 წელს კი მუშების რიცხვმა ამ საწარმოში 62-ს მიაღწია, ხოლო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 893411 მანეთამდე[3] ავიდა. ამგვარად, 11 წლის (1890-დან 1901 წლამდე) განმავლობაში მუშების რიცხვი სარაჯიშვილის ქარხანაში თითქმის ორჯერ გაიზარდა, წარმოების ჯამმა კი თითქმის სამჯერ იმატა.

ადელხანოვის ტყავის ქარხანაში 1880 წელს მუშების რიცხვი შეადგენდა 150 კაცს, ხოლო გამოშვებული პროდუქცია უდრიდა 432 ათას მა-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის არქივი, ფ. 31, д. № 153, л. 62. დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ ჩვენ შრომაში „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке“, Тбилиси, 1958, გვ. 72—77.

[2] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 486, 1880, л. 118.

[1] ЦГИА Груз. ССР, ф. 12, д. № 844, 1890, л. 91 об.

[2] ЦГИАЛ, ф. 20, оп. 22, д. № 227, 1890, л. 6.

[3] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. № 2925, 1901, л. 53—56.

ნეთს[1], 1901 წელს ამ ქარხანაში უკვე იყო 222 მუშა, ხოლო დამზადებული პროდუქცია აღწევდა 764 ათას მანეთს[2]. ამგვარად, 21 წლის (1880-დან 1901 წლამდე) განმავლობაში მუშების რიცხვი ადელხანოვის ქარხანაში გაიზარდა 48%-ით, წარმოების ჯამმა კი 76,8%-ით იმატა. 1891 წელს ადელხანოვის ქარხანას ჰქონდა 3 ორთქლის მანქანა. 90-ან წლებში ამ საწარმოში უკვე იწყეს ელექტროობის გამოყენება. როგორც წყაროებშია აღნიშნული, ადელხანოვმა „Впервые в России ввел в своем заводе применение электричества при процессе дубления кожи".[3]

ადელხანოვის ქარხნის პროდუქცია განირჩეოდა მაღალი ხარისხით და ამიტომ ის არა თუ უძლებდა სხვა ქარხნების საქონლის კონკურენციას, არამედ, პირიქით, თვითონვე წარმატებით უწევდა კონკურენციას ვარშავის[4] და აგრეთვე სხვა ქალაქების პროდუქციას. ადელხანოვის ტყავის ქარხნის ამუშავება 1875 წელს თბილისში მოასწავებდა ფაბრიკული წარმოების დაწყებას საქართველოს ტყავის მრეწველობაში.

რეფორმის შემდგომ პერიოდში სწრაფად განვითარდა ფეხსაცმლის მრეწველობა. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში 1901 წელს მუშათა რიცხვი უდრიდა 507 კაცს, ხოლო დამზადებული პროდუქცია შეადგენდა 937 ათას მანეთს[5]. ფაბრიკა წარმოების პროცესში იყენებდა ელექტროენერგიას.

1900 წელს თბილისის დამუშავებულ მრეწველობაში რკინიგზის მთავარ სახელოსნოებთან ერთად ერთ მცირე სარეწზე საშუალოდ მოდიოდა 92,3 მუშა, მაშინ, როდესაც მთელ საქართველოში იგი უდრიდა 76,7 კაცს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის მრეწველობაში ადგილი აქვს მფლობელობის ერთპიროვნულ ფორმებიდან აქციონერულ ფორმებზე გადასვლის შედარებით ძლიერ პროცესს. ოფიციალური ცნობებით, 1900 წელს აქციონერულ საზოგადოებათა რიცხვი თბილისში შეადგენდა 14-ს, მათი წლიური ბრუნვა უდრიდა 9059 ათას მანეთს, ხოლო მუშების რიცხვი 1906 კაცს[1].

სამწუხაროდ, ერთ წერილში არ ხერხდება უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თბილისში არსებული ყველა ფაბრიკისა და ქარხნის ისტორია, მაგრამ განხილულ სარეწთა მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისმა რეფორმის შემდგომ პერიოდში, ისე როგორც მთელმა საქართველომ, ნაბდვილად განვლო სამრეწველო კაპიტალიზმის სტადია და XX საუკუნის დასაწყისიდან გადავიდა კაპიტალიზმის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაზე — იმპერიალიზმზე. კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა გაუჯობესებული მანქანებისა და იარაღების გამოყენება წარმოებაში[2]. ამ მანქანებიდან ზოგი თვით თბილისის მექანიკურ სარეწებშივე კეთდებოდა, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ამიტომ როგორც მთელი საქართველოს, ისე კერძოდ თბილისის მრეწველობაც ძირითადად იყენებდა რუსეთიდან და აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან შემოზიდულ მანქანებს. მაგალითად, 90-ან წლებში თბილისში მოქმედებდა ხ. პ. პავლოვისა და კომპანიის სავაჭრო მაღაზია, სადაც შეიძლებოდა ორთქლის მანქანების, ტურბინების, დაზგებისა და ხხვა მოწყობილობის ყიდვა.

საზღვარგარეთიდან მანქანების იმპორტისაგან ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გამომუშავებულ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგად საქართველოში, კერძოდ თბილისში, შეიქმნა საკუთარი მანქანათმშენებლობის ბაზა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ ვერ შესძლო ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის შედეგად. მხოლოდ საბჭოთა წყო-

[1] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 486, 1880, л. 72.
[2] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. № 2925, л. 17.
[3] „Закавказский альманах", Тифлис, 1896, зд. 190.
[4] ЦГИА Груз. ССР, ф. 17, д. № 3574, 1893, л. 33.
[5] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. № 2925, 1901, лл. 21, 24.

[1] „Сборник статистических сведений по Закавказскому краю, ч. 1, Тифлис, 1902, зд. 238—240.
[2] მაგალითად, მთელ კავკასიაში ორთქლის მანქანების რიცხვი გაიზარდა 51-დან (1875—1878 წწ.) 514-მდე (1892 წ.) ე. ი. უფრო მეტად, ვიდრე 10-ჯერ, მათი სიმძლავრე კი 9-ჯერ გადიდდა (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 600).

ბილების პირობებში გადაიქცა საქართველო ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად.

რეფორმის შემდგომ პერიოდში თბილისში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის აღმოცენებასთან და განვითარებასთან ერთად წარმოიშვა სამრეწველო პროლეტარიატი. კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს და კლასთა ბრძოლას კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს აძლევდა.

თუ 70-ან და 80-ან წლებში კლასობრივი ბრძოლა თბილისში ვლინდებოდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში, XIX საუკუნის ბოლოს იგი მასიურ ხასიათს იღებს. ამ დროიდან სწრაფად იზრდება მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნებულობა. რუსეთის სახელოვან პროლეტარიატთან ერთად თბილისის პროლეტარიატი საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში მძლავრ რევოლუციურ ძალად იქცა ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თბილისის პროლეტარიატი წარმოადგენდა საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე და ძლიერ რაზმს, რომელმაც განვლო დიდი და სახელოვანი გზა 70-ანი წლების პირველი სტიქიური გამოსვლებიდან 900-ანი წლების ორგანიზებულ პოლიტიკურ გაფიცვებამდე და შეიარაღებულ აჯანყებამდე. მან არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ისტორიაში.

ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დიდი რუსი ხალხის დახმარებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი არნახულად გაძლიერდა და განვითარდა. საბჭოთა პერიოდში თბილისი გადაიქცა სოციალისტური ინდუსტრიის ქალაქად და საქართველოს უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. ქალაქ თბილისის 1 500 წლისთავი ქართველი ხალხის დიდი დღესასწაულია. მას მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი სიხარულითა და აღტაცებით ხვდება.

• • •



თბილისის საქალაქო სათათბიროს დარბაზი (დარბევის შემდეგ)
1905 წლის 29 აგვისტოს



ბალაძტიონ მინდაძე

ძველი თბილისის წყლით მომარაგება

საქართველოს დედაქალაქი, ჩვენი საყვარელი თბილისი, რომელსაც უკვე 1 500 წლის ისტორია აქვს, გარეშე მტრების შემოსევის შედეგად მრავალჯერ განადგურებულა და აოხრებულა. თავდამსხმელები ანგრევდნენ და წვავდნენ არსებულ შენობებსა და მათ შორის, ქართული მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს; ანგრევდნენ აგრეთვე წყალსადენისა და სარწყავი ქსელის ყოველგვარ ნაგებობას, ჩეხავდნენ და ცხენების სადგომებად იყენებდნენ თბილისის მდიდარ ბაღებს.

მტრების განდევნის შემდეგ ქართველი ხალხი ხელახლა იწყებდა ქალაქის მეურნეობის აღდგენასა და კეთილმოწყობას.

თბილისის განთქმული ბაღების აღდგენას, მათ მორწყვას უდიდესი ყურადღება ექცეოდა, რადგან უამისოდ აქაურ კლიმატურ პირობებში მცენარეულობა ვერ გაიხარებდა. ამიტომ ბაღის გაშენებამდე სარწყავი წყლის გამოყვანის საქმე უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ძველ თბილისში არა თუ სარწყავი, არამედ სასმელი წყლით მომარაგების საკითხიც კი მტკივნეული იყო. დადასტურებულია, რომ ჩვენი წინაპრები იყენებდნენ მაშინდელ ყველა ტექნიკურ შესაძლებლობას ბაღებისა და ნარგავების მოსარწყავად, აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

* * *

ჩვენი ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელ წყალს XIX საუკუნეში ეზიდებოდნენ მდინარე მტკვრიდან, ბუნებრივი წყაროებიდან და ჭებიდან ურმებით, სახედრებით, ცხენებითა და ზურგითაც კი. პროფესიულ წყლის მზიდავებს „მეთულუხეებს“ ანუ „თულუხჩებს“ ეძახდნენ.

ისმის კითხვა, გარდა მტკვრის წყლით სარგებლობისა, საიდან შემოჰყავდათ ძველ თბილისში მცენარეთა მოსარწყავად და სასმელად საჭირო წყალი, რომელი მდინარე ან ხევი იყო ამ მხრივ მასაზრდოებელი?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია დაახლოებით მაინც შემოვფარგლოთ იმდროინდელი თბილისის საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრანგი მოგზაურის შარდენის ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით.

ქალაქის სამხრეთის კედელი იწყებოდა ნარიყალიდან (წავკისის ანუ დაბახანის ხევის პარალელუ-

რად), გრძელდებოდა დღევანდელი კომკავშირის ხეივნის მიმართულებით და თავდებოდა სიმაგრით, რომელსაც ვახუშტი „შაჰისტახტს" უწოდებს; ამ სიმაგრის ნანგრევთა ნაშთები დღემდეა შემორჩენილი.

კედელი უხვევდა ქვემოთ ჩრდილოეთისაკენ, დღევანდელი ილია ჭავჭავაძისა და პუშკინის ქუჩების გაყოლებით მიემართებოდა და ბარათაშვილის ქუჩის კუთხემდე გრძელდებოდა, იქედან კი მიჰყვებოდა „ავანაანთხევის" მარჯვენა ნაპირს, ბარათაშვილის ქუჩის დღევანდელ მიმართულებას, ჩადიოდა მტკვრის ნაპირამდე და თავდებოდა იქ, სადაც დღეს ბარათაშვილის სახელობის ხიდია. ამ ძველი გალავნის ნარჩენები დღესაც ჩანს პუშკინის ქუჩის № 27 და № 29 სახლებს შუა.

ფრიად საინტერესო ისტორიულ საბუთს წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი თბილისის ტოპოგრაფიული გეგმა; საყურადღებოა აგრეთვე ფრანგულ ენაზე 1785 წელს შედგენილი გეგმაც. დასახელებული გეგმა მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს ძველი თბილისის შესწავლის თვალსაზრისით.

მე-18 საუკუნის თბილისში არსებობდა ტყავეულობის, მინის, ლითონის, ფულისა და ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხნები, სტამბა, სამღებრო, საოქრომჭედლო სახელოსნოები, მაუდის საწარმოები, წისქვილები და სხვ. რომელთათვისაც საჭირო იყო ტექნიკური წყალი. საჭირო იყო წყლის შეყვანა თბილისის ციხე-სიმაგრეებშიც.

ასე, მაგალითად, ცნობილი ნარიყალას ციხე-სიმაგრის წყლით უზრუნველყოფის საკითხი გარკვეული და მოგვარებული უნდა ყოფილიყო მისი მშენებლობის დაწყებისთანავე.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთი უძველესი წყალსადენი, რომელიც 5 კილომეტრით დაშორებული ადგილიდან გამოუყვანიათ; ოსტატურად ჩაწყობილი თიხის მილების საშუალებით სასმელი წყლით მარაგდებოდა ნარიყალას ციხე და ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

1955 წლის 10 ივნისს, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების წარმოებისას, ერთნახევარი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ოსტატურად ნაგები ძველი წყალსადენის ნაშთები. ეს იყო ერთიმეორეში მჭიდროდ ჩასმული კერამიკული (წითლად გამომწვარი, 10 სანტიმეტრი დიამეტრის) თიხის მილები, მათ ძირსაც ეგოთ და ზემოდანაც ეფარათ ორ ქანობად ძველებური კვადრატული, ეგრეთწოდებული „ქართული" აგური ზომით 22×22×5 სმ, მილსადენი სამკუთხა განივკვეთიან ბუდეში იყო მოქცეული და მონაცრისფერო კირის დულაბით გამაგრებული. მილსადენი რამდენიმე ადგილას გავაშიშვლეთ და აშკარა გახდა, რომ იგი თბილისისაკენ მოემართებოდა.

ჩვენ განვაგრძეთ აღმოჩენის ადგილისა და მისი მიდამოების შესწავლა, რათა გაგვეკვლია ძველი წყალსადენის ტრასა და სათავე. ამ წინასწარ საძიებო მუშაობას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კონსულტაციით ვაწარმოებდით.

აღმოჩენის ადგილის ზემოთ რამდენიმე ადგილას ჩაჭრილ ვიწრო თხრილებში კვლავ გამოჩნდა ძველი წყალსადენის ისეთივე ოსტატურად ნაგები ახალ-ახალი ნაწილები.

ძიებამ მიგვიყვანა იმ ადგილამდე, სადაც ჩვენის აზრით, აღნიშნული წყალსადენის სათავე ყოფილა.

იგი მდებარეობს სოფელ ოქროყანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მეოთხე აგროუბნის კანტორის მახლობლად, კოჯრის ასფალტიანი გზის პირას, კომკავშირის ხეივნიდან სამი კილომეტრის დაშორებით. აქ ღრმა ხევში სალ კლდეებზე ჩანჩქერია, ხოლო მის გვერდით გამოჭრილია გვირაბი (დიამეტრით 1,5 მ), საიდანაც დღესაც დის წყარო, რომლის სიგრძე 14 მეტრია. მას ტეხილი მიმართულება აქვს. გვირაბი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 7,5 მეტრზე მიემართება, შემდეგ 2 მეტრზე დასავლეთით უხვევს, შემდეგ ისევ 4,5 მეტრზე სამხრეთისაკენ იცვლის მიმართულებას. ჩანჩქერის ძირიდან გვირაბი 2,5 მეტრ სიმაღლეზეა, მისი ფსკერი დაქანებულია ისე, რომ წყალი მასში თავისუფლად გამოედინება. გვირაბის ტეხილი მიმართულება იმით უნდა აიხსნას, რომ მისი გამჭრელები ცდილობდნენ გვირაბის ტეხილი პროფილით შეემცირებინათ ნაკადის სიჩქარე, რათა წყლის დაგროვებისას აუზში ნაკლები ყოფილიყო წყლის ჰიდრავლური დაწნევა და დაგროვებისათვის ხელი არ შეეშალა. ამავე მიზნით გვირაბის სიმაღლე შიგნით მეტია, ვიდრე შესასვლელში.

ისმის კითხვა, როგორ გადაჰყავდათ სამივე აღნიშნული წყაროდან მოგროვილი წყალი ხევის მარცხენა ნაპირზე? (გვირაბიცა და წყაროებიც ხეევის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო წყალსადენი ხევის მარცხნივ მიემართება). საფიქრებელია, რომ აქ მოწყობილი იქნებოდა საამისო მცირე ნაგებობა, ხიდი-აქვედუკი (ბერღარა), რომელშიც ჩადგმული იქნებოდა კერამიკული მილსადენი.

გვირაბის ქვევით, საკმაოდ დაქანებული ფერდობის გარდიგარდმო გადაკვეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე, წყალსადენი მიემართება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ გადაჰკვეთს ახლანდელ კოჯრის გზატკეცილს, 500 მეტრს გაივლის ჩრდილოეთისაკენ ფუნიკულიორის მიმართულებით (იქ სადაც კლდოვანი ფერდობები სოლოლაკს დაჰყურებენ), შემდეგ ისევ აღმოსავლეთით უხვევს და ჩადის სოლოლაკის განაპირა სახლებთან კოჯრის ახალი გზის ქ. № 7 და № 10 სახლებს შორის. შემდეგ წყალსადენი ერთხანს იკარგება და თავს იჩენს მხოლოდ „ქვის დუქნის ხევთან", რომელიც ხელოვნურად უნდა იყოს გაჭრილი. აღნიშნული ხევის დასავლეთ ნაპირზე, ქალაქის ამ უბნის დაცვის მიზნით ნიაღვრისაგან 500 მეტრი სიგრძისა და 1—1,5 მ სისქის ქვიტკირის ძლიერი სამაგრი კედელია აგებული. ამ ხევზე შემორჩენილია უაღრესად საყურადღებო ძველი ნაგებობა, რომელიც აწ უკვე მიკვლეულ წყალსადენთან არის, დაკავშირებული. ეს არის ქართული აგურით ნაშენი მცირე რკალური ხიდი ბერღარა-აქვედუკი, რომლის ერთი ბოლო აღნიშნული ხევის კლდოვან ნაპირს ეყრდნობა, ხოლო მეორე — ხევის მეორე მხარეს დაყოლებულ ქვიტკირის სამაგრ კედელს. ამ „ხიდში" კარგად ჩანს შიგ წყობაში ჩატანებული ჩაკირული მილები იმავე წყალსადენისა, ასე რომ ეს ხიდი აქვედუკია და მას სხვა დანიშნულება არც უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ წყალსადენი ჩატანებულია აღნიშნულ სამაგრ კედელში და გამოდის ზედ გზატკეცილის პირას. ჩანს იგი პირდაპირ შიდა ციხეში შედიოდა (ახლანდელი კომკავშირის ხეივნის მიმართულებით); ამრიგად, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს უძველეს წყალსადენთან, რომელსაც ოქროყანის მიდამოებიდან 5 კილომეტრზე მოჰყავდა წყაროს სუფთა და ცივი წყალი თბილისის ძველისძველი შიდაციხის მოსამარაგებლად. რა თქმა უნდა, მის კარგად მოწყობასა და, რაც მთავარია, ოსტატურად შენიღბვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ციხეში გამაგრებულთა სიმტკიცისა და გამძლეობისათვის. მართლაც, სადაც კი მივაკვლიეთ ამ წყალსადენის ნაშთებს, ყველგან აშკარად ჩანს, რომ იგი ოსტატურად შეუნიღბავთ და მტრისათვის ძნელი მისაგნები გაუხდიათ (გვირაბიანი სათავიდან უკანასკნელ აქვედუკამდე და სამაგრ კედლამდე). უნდა აღინიშნოს, რომ წყალსადენის ნაშთების შესწავლისას აქა-იქ შეგვხვდა მილის ნატეხები, რომელთაც შიგნით მშვანე თუ მოყვითალო ჭიქური უჩანს, მაგრამ მეტწილად კი თიხის მილები მოჭიქული არ უნდა იყოს, თუმცა რაღაც საკმაოდ მოსქო რუხი ქერქი კი აკრავს შიგნიდან. შესაძლებელია, მილები მხოლოდ ალაგ-ალაგ იყოს მოჭიქული ანდა მოუჭიქავი მილები სხვადასხვა ხანას ეკუთვნოდეს და ძველი წყალსადენის შემდეგ შეკეთება-განახლებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

დღესდღეობით ამ წყალსადენის თარიღის შესახებ გარკვევით უნდა ითქვას, რომ იგი ძველისძველი ციხის მშენებლობასთანაა დაკავშირებული და ერთ-ერთ ძველ წყალსადენს წარმოადგენს; რაც შეეხება ზოგ ადგილას მის შეკეთება-განახლებას, ეს უფრო გვიან, შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

ერთი რამ ცხადია, ციხე-სიმაგრის არსებობა უწყლოდ შეუძლებელი იყო, ამიტომ წყლის გაყვანის საკითხი ციხე-სიმაგრის მშენებლობასთან ერთად იქნებოდა მოგვარებული. ნარიყალას ციხე-სიმაგრეში აუზებიც ჰქონიათ და შიგ თევზები ჰყოლიათ მოშენებული. ხსენებული წყალსადენი ციხიდან ქალაქში ჩამოდიოდა, მის წყალს ლამაზად გაფორმებული შადრევნებისათვის იყენებდნენ. შადრევნიდან ამონახეთქ წყალს აუზებში აგროვებდნენ და ბაღების მოსარწყავად ხმარობდნენ.

ჩვენ მიერ აღმოჩენილი წყალსადენი ატარებდა წამში დაახლოებით 10 ლიტრს, დღე-ღამეში კი 864000 ლიტრს, ანუ 864 კუბურ მეტრ წყალს, ამ წყალს თავისუფლად შეეძლო 15 ჰექტარი ბაღის მორწყვა.

ცხადია, ამ მილებით მონადენ წყალს ძირითადად იყენებდნენ სასმელად, აუზებში თევზების მოშენებისა და შადრევნების საჭიროებისათვის, ხოლო შადრევნის აუზში დაგროვილი წყალი ხმარდებოდა ნარგავების მორწყვას.

ამ ახლად აღმოჩენილი წყალსადენის სუფთა წყაროს წყალი, ჩვენი გაანგარიშებით, მშვიდობიან პირობებში დააკმაყოფილებდა ქალაქის 14.400 სული მცხოვრების საყოფაცხოვრებო საჭიროებას.

ოქროყანის უძველესი წყალსადენის გარდა, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებდა ნარიყალის ციხე-სიმაგრეს და ქალაქის მოსახლეობას, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ჩვენს მიერ იქვე ახლოს აღმოჩენილი ხევის ჰიდროტექნიკური ნაგებობის ნამთები, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენდა „ოხრახევიდან“ ქალაქში გაყვანილი ბაღების სარწყავი წყლის სადინარს. იგი მსხვილკენჭოვანი ცემენტისაგან არის გაკეთებული, წარმოადგენს მრავალწახნაგოვან მილს და ჩანს, XIX საუკუნეზე ადრინდელ ხანას არ უნდა ეკუთვნოდეს. ეს მილები დაყოლებულია გაცილებით უფრო ძველ, ძირითადად, აგრეთვე კლდეში გაჭრილ სადინარის გასწვრივ, რომელიც დღესაც შეიმჩნევა, ე. ი. იგი ძველი სარწყავი არხის ტრასაზეა განახლებული, ლეღვთახევის მარცხენა ნაპირს რომ მიჰყვება. ამ მილსადენის სათავე ჩანს ბოტანიკური ბაღის ზემოთ, იქ, სადაც სოფელ შინდისისაკენ მიმავალი ბილიკი გადადის ხევზე. ამ ადგილს ოხრახევსაც უწოდებდნენ. ამ სარწყავი მილის ხელოვნურად შემაღლებული სათავე ხუთიოდე მეტრით უფრო მაღლაა, ვიდრე ხევის კალაპოტი; აღნიშნული მილები გადის სათავიდან 130-მდე მეტრ მანძილზე. ტრასა ჩრდილოეთით უხვევს, კვეთს ზემოაღნიშნულ „ქვის დუქნის ხევს“, კოჯრის გზას და მიემართება კომკავშირის ხეივნის ფერდობზე დასავლეთით. დავითაშვილის გასასვლელის № 8 და კოჯრის ქუჩის № 14 სახლებს შორის ქუჩის ზედაპირზე კარგად ჩანს ასეთივე მილები. ახლანდელ დავითაშვილის ქუჩაზე (ადრე კი ხევზე) გადასაყვანად აგებული ყოფილა ქვის მასიური, ხუთი მეტრი სიმაღლის საყრდენებზე აგებული აქვედუკი, დავითაშვილის ქუჩის № 30 სახლთან დგას ქვით ნაშენი დიდი—5 მეტრი სიმაღლისა და 2 მეტრი სიგანის—ბურჯი. მეორე ასეთი დასაყრდენი ბურჯი (დავითაშვილის ქუჩა № 35) ახალი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით დაუნგრევიათ 1954 წელს.

ერთი ხანდაზმული მოქალაქის თქმით, მას ბავშვობიდან ახსოვს, როგორ მიდიოდნენ დროდადრო ჯარისკაცები აუზის გასაწმენდად, როცა იგი დაილესებოდა. სარწყავი წყალი შეფისნაცვლის (ამჟამად პიონერთა) სასახლის ბაღში მიდიოდა და მისი შეწყვეტა არ შეიძლებოდა. იგივე არხი რწყავდა სხვა ბაღებთან ერთად ყოფილ ალექსანდრეს, ახლა 26 კომუნარის სახელობის ბაღსაც.

ჩვენი გაანგარიშების თანახმად, ეს სარწყავი მილი წამში ატარებდა დაახლოებით 80 ლიტრ ანუ დღე-ღამეში 6912 კუბურ მეტრ წყალს.

ამ რაოდენობის წყლით შეეძლოთ 150 ჰექტარამდე ფართობის მორწყვა.

მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ადგილობრივი ბუნებრივი წყლებით შედარებით ღარიბი იყო. XII საუკუნეში მტკვრის ხსენებულ ნაპირზე ძველი თბილისის ბაღებს რწყავდა ფშავის არაგვიდან გამოყვანილი არხი. იმ დროისათვის ჩვენში იმდენად მოწესრიგებული ყოფილა ირიგაცია, რომ შედარებით მაღლობი ადგილებიც ირწყვებოდა.

მდინარე მტკვარზე წყლის ამწევი ჩარხები ყოფილა მოწყობილი, რასაც ადასტურებს XIII საუკუნის დამდეგის სპარსული ძეგლი: „თბილისში აუშენებიათ მრავალი წისქვილი, რომელთაც ჯაჭვით აჩერებენ (ამაგრებენ) მდინარეში, მრავალია დოლაბი (წყლის ამწევი ბორბლები) და დოვლათით სავსე ბაღები, მასში (თბილისში) 65 აბანოა“.

XIII საუკუნიდან საქართველო მტრების შემოსევის შედეგად მრავალჯერ აუოხრებიათ, თბილისის წყლის მეურნეობაც გაუნადგურებიათ. ამას ადასტურებს XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები, იგი თბილისში გამდინარე მტკვრის შესახებ წერდა: „მოსავლისათვის მდინარე მტკვარს (თბილისში) სარგებლობა არ მოაქვს... ამიტომ ბუნებრივია, რომ „ქორს“ (ბრმას) უწოდებენ“.

შემდეგ საუკუნეებში ქართველებს მდინარე მტკვრიდან გამოუყვანიათ სარწყავი არხი თბილისის მარცხენა მხარისა და მათ შორის, დიდუბის ცნობილი ბაღების მოსარწყავად. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი დიდუბის უწყლობას ასე აგვიწერს: „თბილისის ჩრდილოეთით არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველს ეწოდა ცხენის ტერფი. თბილისიდან მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი“. დიდუბე ქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარეუბნად ითვლებოდა. აქ ჰქონდა სასახლე თამარს.

ცნობილია, რომ ძველი თბილისის გარეუბნებში დირსიჭალის, ორთაჭალის, კრწანისის, დიდუბის,

სეიდაბადის, სოლოლაკის, ვერისა და საბურთალოს მიდამოებში შესანიშნავი ბაღები ყოფილა გაშენებული. ვერაზე წყნეთამდე გრძელდებოდა საუკეთესო ბაღები, რომლებიც მდინარე ვერიდან გამოყვანილი არხით ირწყვებოდა, ამავე არხით ირწყვებოდა საბურთალოს ველიც. „გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მისი სამჭრით არს ველი საბურთალოსა. ამის შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი და აწ უამისოდ უნაყოფო არს“.

საფიქრებელია, რომ ეს მშვენიერი ბაღნარი გარეშე მტრების მიერ სარწყავი არხის დანგრევის შედეგად გაუერანებულა და უნაყოფო ადგილად ქცეულა.

ცნობილია, რომ დირსიქალა თავისი სახელგანთქმული ბაღებით ძველი თბილისის ტერიტორიის გარეუბანი იყო, დირსიქალის (ნავთლუღის) ბაღების სარწყავი წყლით მომარაგების ადგილზე შესწავლის დროს, ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა ექვსი სხვადასხვა ბუნებრივი სუფთა ციცი წყარო, რომელიც ქართველ მებაღეებს დიდი ჯაფითა და ოსტატობით გამოუყვანიათ ძველად ჩრდილოეთის მხრიდან, რამდენიმე ასეულ მეტრ მანძილზე 2—7 მეტრი სიღრმის გვირაბით.

ვინაიდან ამ მიდამოებში ნიადაგის დამუშავებისა და დასახლების დროს ძველი მარნებია აღმოჩენილი, საგულისხმოა, რომ აქ უმთავრესად მისდევდნენ მევენახეობასა და მეხილეობას. მებოსტნეობას. იმ დროისათვის შედარებით უფრო ნაკლები ადგილი ექნებოდა დათმობილი, რადგან ზემოხსენებული წყაროები მლაშეა და როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, კიტრისა და პამიდორის კულტურაზე დადებითად არ მოქმედობს.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მონადენი ექვსი წყაროს ტრასაზე ყოველი 30 მეტრის დაშორებით არსებობს საკონტროლო ჭები, რომელთა სიღრმე ზოგან 7 მეტრსაც აღწევს. ჭის თავი მუხის მორებით ყოფილა დახურული და წყლის დინების შეფერხების დროს გამოცდილი შერჩეული პირი ამ საკონტროლო გზით ჩადიოდა და გვირაბს ასუფთავებდა.

აღსანიშნავია, რომ გვირაბის სიმაღლე და დიამეტრი შიგნით უფრო დიდია, ეიდრე შესასვლელთან, ამავე დროს გვირაბი იმდენად მაგარ ფენებში და სათანადო დაქანებითაა ნაკეთები, რომ მასში წყლის დინებისათვის თიხის მილები არაა დატანებული.

ზემოთ აღწერილ ამ ექვს ობიექტს შორის საინტერესოა ჩვენ მიერ აღმოჩენილი № 4 წყარო, რომლის გვირაბის შესასვლელი ბოლოვდება ძველი ქართული აგურით ნაგებ აუზ-მაცივრით; იგი მდებარეობს მანავის ქ. № 10 სახლის ეზოში, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის საკარმიდამო ნაკვეთზე.

აღსანიშნავია, რომ აუზ-მაცივრის კედლებში დატანებულია 60×30 სანტ. მოცულობის 4 თახჩა: ორი — ჩრდილოეთის, ერთი აღმოსავლეთისა და ერთი — დასავლეთის მხარეს, რაც ადასტურებს, რომ ხსენებულ აუზს მებაღეები ზაფხულში მაცივრადაც იყენებდნენ. ამრიგად, ეს ნაგებობა ასრულებდა ორ დანიშნულებას: ერთი — როგორც სარწყავი წყალსაცავისა და მეორე — ზაფხულის პერიოდში პროდუქტების შესანახი ადგილისას.

რომელ პერიოდს მიეკუთვნება ეს ახლად აღმოჩენილი აუზ-მაცივარი?

ქართული აგურის (21×21 სანტ.) მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, ის მე-18 საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს; რაც შეეხება გვირაბებით მორწყვის სისტემას, იგი უდავოდ უფრო ძველია და წინა საუკუნეებს ეკუთვნის, რადგან დირსიქალის ბაღები დიდი ხნიდანაა ცნობილი და ეს მიდამოები, რა თქმა უნდა, წყლისა და მორწყვის გარეშე სახელს ვერ მოიხვეჭდა.

წყლის ასეთი გამოყვანის სისტემა ჩვენ აღმოვაჩინეთ აგრეთვე ძველი თბილისის სხვა ადგილებშიც — სიონის ქ. № 8 სახლის — ყოფილ ქარვასლის ეზოში; ქუჩის ზედაპირიდან 10 მეტრ სიღრმეზე ბნელ სარდაფში, ძველი ქართული აგურით ნაგებ გვირაბიდან მოჰქუხს სუფთა ციცი წყალი, რომლის სათავე, ვფიქრობთ, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ მთების ძირში უნდა იყოს. ამ წყალგაყვანილობის აგურით ნაგები თაღი XVIII საუკუნეს მიეკუთვნება და თუ XVIII საუკუნეში ძველი თბილისისათვის წყლის გაყვანის ასეთი ტექნიკა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ცხადია, ქალაქის გარეუბნებისათვის მიწის სიღრმეში გვირაბების საშუალებით წყლის შეგროვება შორი მანძილიდან და მისი ფოსარწყავად გამოყენება შესაძლებელი და ხელისაწვდომი იქნებოდა. ამიტომ ზემოხსენე-

ბული აუზ-მაცერის წყალგაყვანილობა, როგორც ბორწყვის სისტემა, ვფიქრობთ, უფრო ძველია, ვიდრე ჩვენ ვიფარაუდეთ.

თბილისის ბუნებრივი თბილი გოგირდოვანი წყლის აბანოები, ძველთაგანვე იპყრობდნენ მკვლევართა და მოგზაურთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ა. ს. პუშკინს ერზერუმში მოგზაურობის დროს გამოუცია თბილისში და გოგირდის აბანოში უბანავნია: „ჩემს სიცოცხლეში არაფერი შეშხვედრია თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი, არც რუსეთში და არც ოსმალეთშიო“ — ამბობს გენიალური პოეტი.

როგორც აღვნიშნეთ, მტრები ანადგურებდნენ ყოველგვარ ნაგებობას, მათ შორის აბანოებსაც. როცა საქართველოს მეფე როსტომმა შაჰ-აბაზის მიერ განადგურებული თბილისი ხელახლა აღადგინა, განაახლა თბილისის აბანოებიც.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის აოხრებისას ისევ დაანგრია აბანოები.

ქართველმა ხალხმა აოხრებული თბილისის აღდგენასთან ერთად აბანოებიც კვლავ აღადგინა და ცდილობდა გამოეყენებინა გოგირდის ცხელი წყაროები არა მხოლოდ როგორც სამკურნალო, არამედ როგორც სამეურნეო წყალიც — ტყავეულობის გამოყვანისათვის.

აღსანიშნავია, რომ გოგირდის ცხელ წყლებს ძველ თბილისში იყენებდნენ აგრეთვე ნარგავნათესების მოსარწყავად. ამის დამადასტურებელია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. 26 კომისრის რაიონის ტერიტორიაზე, ქალაქის პირველ საავადმყოფოს ეზოს განაპირას, წინანდლის ქუჩის აღმოსავლეთით (სახლი № 55) დიდი ღია აუზი იყო მოწყობილი. ჩრდილოეთის მხრიდან 300 მეტრის მანძილზე, ხსენებულ აუზამდე 3 მეტრი სიღრმის გვირაბის საშუალებით გამოყვანილი იყო მინერალური ცხელი წყალი. ხსენებული აუზიდან იქ დაგროვილი წყალი მილების საშუალებით შეჰყავდათ ბაღებში სამხრეთის მიმართულებით 300 მეტრ მანძილზე, სადაც ორი ოთხკუთხი აუზი იყო მოწყობილი, მათი ნაშთი დღესაც შესამჩნევია. აუზებში დაგროვილი ცხელი წყალი გრილდებოდა და შემდეგ იმით ირწყოდა ბოსტნები და ბაღები.

აღსანიშნავია, რომ მინერალური წყლით მორწყვა უარყოფითად მოქმედებდა მხოლოდ კიტრის კულტურაზე.

ჩვენ მიერ აღმოჩენილია აგრეთვე ფუნიკულიორის ქვედა სადგურიდან 180 მეტრ სიმაღლეზე, ლიანდაგის ჩრდილოეთით 30 მეტრის მანძილზე ძველი ქართული აგურით ნაგები წყლის სათაველნაგებობა, სადაც მიწის სიღრმიდან დღესაც საკმაოდ ამოდის წყაროს სუფთა სასმელი წყალი.

წყლის სათავეს აქვს 8 მეტრი სიღრმე და 4 მეტრი სიგანე.

წყლის სათავე, სისუფთავისა და აორთქლების დაცვის მიზნით მთლიანად დახურული ყოფილა და მას მუხის ფიცრისაგან შეკრული კარიც ჰქონია.

აღმოჩენისას სათაველს არც კარები ჰქონდა და აგურის თაღიც ნაწილობრივ დარღვეული იყო. ამ ნაგებობიდან წყალი თიხის მილების საშუალებით 350 მეტრ მანძილზე დაბლა — ქალაქში ჩამოდიოდა — მთის და ჩიტაძის შესახვევსა და ნიაღვრის ქუჩის მიდამოებში. ზემოთ აღწერილ წყაროს წყალს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდნენ. თიხის წყალსადენის მილების ნაშთი დღესაც შესამჩნევია ფუნიკულიორის ქვედა სადგურის დასავლეთ მხარეს. 1927-28 წლის პერიოდში, როცა ხელოვნურად ნაყარ მიწის ფართობზე, ქვედა სადგურთან, გაშენებულ იქნა ბაღი, ხოლო ფუნიკულიორის ფერდობებზე — ტყე-პარკი ელდარის ფიჭვის, კვიპაროსის და ნუშის ნარგავებისაგან, სარწყავი წყალგაყვანილობის უქონლობის გამო ამ ნარგავთა მოსარწყავად ზემოაღნიშნული ძველი წყაროს წყალს ხმარობდნენ.

ასეთია ზოგიერთი ცნობა ძველი თბილისის სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგების შესახებ.



მიხეილ ნოდია

თბილისის მაგნიტური ობსერვატორია—მაგნიტურ ობსერვატორიათა მსოფლიო ქსელში

მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულიდან სხვადასხვა მეცნიერი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა დედამიწის მაგნეტიზმის ამა თუ იმ ელემენტზე როგორც საეარიაციო, ისე აბსოლუტური სისტემატური დაკვირვებები. ერთ-ერთი ამ მეცნიერთაგანი — ალექსანდრე ჰუმბოლტი წინადადებას იძლეოდა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებში წინასწარ განსაზღვრულ დროს ჩატარებული ყოფილიყო სათანადო მაგნიტური დაკვირვებები ამ გაზომვებისათვის სპეციალურად განკუთვნილ ეგრეთწოდებულ ობსერვატორიებში, რომელთაც იგი „მაგნიტურ სახლებს" უწოდებდა.

ასე მაგალითად, 1823 წ. გამოჩენილმა ფრანგმა ფიზიკოსმა არაგომ პარიზის ობსერვატორიის ბაღში მაგნიტური დაკვირვებებისათვის მის მიერ აგებულ პავილიონში მოაწყო მაგნიტური დაკვირვებები ჰორიზონტალური ისრის მიმართულების ცვლილებაზე. ამ დაკვირვებების ჩატარებისათვის არაგომ მოიწვია ახალგაზრდა მეცნიერი ალექსანდრე იაკობის ძე კუფერი, რომელმაც შემდეგ, ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის პროფესორის თანამდებობაზე მუშაობის დროს, თვითონვე ააგო ასეთი პავილიონი. დაკვირვებებმა, რომლებიც პარიზსა და ყაზანში 1825—1826 წლებში ჩატარდა, აჩვენა, რომ მაგნიტური ისრის უწესო მოძრაობა ერთდროულია და ზოგჯერ საკმაოდ ერთნაირია დედამიწის ზედაპირის საკმაოდ დიდ ფართზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თითქმის მე-18 საუკუნის ბოლომდე დაკვირვებები ტარდებოდა მხოლოდ მიხრილობასა და დახრილობაზე, რომლებიც აღმოჩენილ იქნა შესაბამისად მე-15 (კოლუმბი, 1492 წ.) და მე-16 (ჰარტმანი და ნორმანი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) საუკუნეებში. რაც შეეხება დაკვირვებას დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობაზე, ეს შესაძლებელი გახდა 1833 წლიდან, როდესაც გეტინგენელმა მეცნიერმა გაუსმა გამოაქვეყნა დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობის ჰორიზონტალური მდგენელის განსაზღვრის აბსო-

ლუტური მეთოდი. გაუსმა თავისი მეგობრებისა და მოწაფეების დახმარებით, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ მაგნიტურ საზოგადოებაში, შეძლო, გეტინგენის გარდა, სადაც მის მიერ აგებულ იქნა პირველი მაგნიტური ობსერვატორია, განეხორციელებინა მაგნიტური დაკვირვებები სხვა პუნქტებშიც. ეს პუნქტები გერმანიის ტერიტორიის საზღვრებს არ სცილდებოდნენ, რის გამოც დაკვირვებების შედეგები, რომლებიც უმთავრესად გამოხატავდნენ მაგნიტური ისრის უწესო მოძრაობის ერთდროულობას, არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო უფრო დიდ სივრცეებზე. ეს გარემოება დაბეჯითებით მოითხოვდა დაკვირვებების ორგანიზაციას ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ისეთ პუნქტებში, რომლებიც შეძლებისდაგვარად მოიცავდა დედამიწის მთელ სფეროს. ცხადია, რუსეთს, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია, შეეძლო ფასდაუდებელი როლი ეთამაშნა მაგნიტური მოვლენების შესწავლის საქმეში. მართლაც, 1834 წ. რუსეთში სამთო სამმართველოს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სამი მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია — ეკატერინბურგში, ბარნაულში და ნერჩინსკში, რომლებიც სამადნო ოლქების ძირითადი ქალაქებია. გარდა ამისა, პეტერბურგის სამთო ინჟინერთა ინსტიტუტში დაარსებულ იქნა ნორმალური ობსერვატორია, რომელსაც სხვათა შორის, ევალებოდა დამკვირვებლების მომზადება პერიფერიის ობსერვატორიებისათვის. ამ ობსერვატორიების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაევალა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს ა. ი. კუფერს, რომელიც ზემოთ იყო მოხსენებული.

რუსეთსა და გერმანიაში არსებული ობსერვატორიების მაგალითებმა და გაუსის შრომებმა დედამიწის მაგნეტიზმის დარგში ხელი შეუწყო ალექსანდრე ჰუმბოლტს დაეინტერესებინა ინგლისის მთავრობა მის ფრიად ვრცელ ტერიტორიაზე მაგნიტური დაკვირვებების ორგანიზაციაში. კონტაქტის დამყარებისა და საერთო სამუშაო გეგმის გამომუშავების მიზნით ინგლისის მთავრობამ გეტინგენსა და პეტერბურგში მიავლინა ორი მეცნიერი, სებინი და ლოიდი, მაგრამ მათი გამგზავრება პეტერბურგში არ შედგა, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში რუსეთის მთავრობამ აკად. კუფერი გაგზავნა გეტინგენში მაგნიტურ კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდა გაუსის თავმჯდომარეობით 1839 წ. 16 ოქტომბერს.

კონგრესის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყველა მაგნიტურ ობსერვატორიაში: 1. ჩატარებულიყო დაკვირვებები მიხრილობის, დახრილობისა და დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელების ვარიაციებზე — ყოველ ორ საათში ერთხელ, ერთსა და იმავე დროს, გეტინგენის საშუალო დროით; 2. ყოველთვიურად ჩატარებულიყო მიხრილობის, დახრილობისა და დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობის ჰორიზონტალური მდგენელის აბსოლუტური განსაზღვრა; 3. გარდა ამისა, უნდა ჩატარებულიყო დაკვირვებები მიხრილობის, დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელების ვარიაციებზე თვეში ერთხელ, 24 საათის განმავლობაში ერთდროულად ყოველ ხუთ წუთში, გეტინგენის დროით.

გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესისა, მაგნიტურ დაკვირვებებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული ინტერესიც გააჩნდათ და ეს იმიტომ, რომ ისინი იძლეოდნენ დედამიწის ზედაპირზე მაგნიტური მიხრილობის განაწილების ხასიათის შესწავლის საშუალებას, რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს კომპასის ჩვენებათა სწორი გამოყენებისათვის საზღვაო ნაოსნობის საქმეში. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ რუსეთისა და ინგლისის მთავრობები მათ ვრცელ ტერიტორიაზე მაგნიტური ველის შესწავლის მიზნით ადვილად შეთანხმდნენ, რათა საერთო პროგრამით ორგანიზაცია ეყოთ მაგნიტური ობსერვატორიებისათვის და მათი შემწეობით პარალელური დაკვირვებები ჩაეტარებინათ სამი წლის განმავლობაში, დაწყებული 1842 წლის 1 იანვრიდან.

პარალელურ დაკვირვებებში მონაწილეობის მიღების მიზნით რუსეთის მთავრობამ სამთო საუწყებო სისტემაში მოაწყო ათი მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია (პეტერბურგში, ეკატერინბურგში, ბარნაულში, ნერჩინსკში, ყაზანში, ნიკოლაევში, თბილისში, კუნძულ სიტხაზე, ჰელსინგფორსსა (ახლანდელ ჰელსინკსა) და პეკინში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ობსერვატორიებში დაკვირვებები ყველგან არ დაწყებულა 1842 წ. 1 იან-

ვრიდან და რომ გაზომვები ყველგან ერთი და იმავე სიზუსტით, ერთნაირი მოცულობით არ ტარდებოდა.

აკად. კუფერი დიდ ძნიშვნელობას ანიჭებდა მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოებას ისეთ პუნქტში, როგორიცაა თბილისი, ამიტომ მან ჯერ კიდევ 1834 წ. 20 დეკემბერს დასვა საკითხი ამიერკავკასიის მთავარმართებლის გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენის წინაშე, რათა თბილისში და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სხვა ადგილებშიც მოწყობილიყო მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები. ამასთან, აკად. კუფერი მიუთითებდა, რომ ობსერვატორიების ორგანიზაციის საქმეში ხელმძღვანელად დანიშნულიყო მისი ყოფილი მოწაფე, გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი შესტაკოვი. როზენმა აკად. კუფერის მიერ წამოყენებული წინადადების შესასრულებლად თბილისის ობსერვატორიის მოწყობა და მეთვალყურეობა დაავალა კავკასიის ცალკე კორპუსის ობერ-კვარტირმეისტერს, გენერალ-მაიორ ბარონ ფონ-დერ-ხოვენს, რომელმაც თავის მხრივ, შენობის აგებისა და ხელსაწყოების შეძენისათვის გამოყო 12 ათასი მანეთი. 1836 წელს ობსერვატორიის აგება თითქმის დამთავრებული იყო, რომელიც მთლიანად 1837 წ. დასრულდა. სამწუხაროდ, ეს ობსერვატორია, მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება ამას არ მოითხოვდა, აგებულ იქნა ქალაქიდან ძალიან შორს, მის საჰრეთით მთის ციცაბო ფერდობზე, რის გამოც იქ დაკვირვებების ჩატარება შეეძლოთ მხოლოდ იმ მორიგ დამკვირვებლებს, რომლებიც იცხოვრებდნენ თვით ობსერვატორიაში.

1839 წ. თებერვალში, საქართველოდან როზენისა და ხოვენის წასვლის შემდეგ, ობსერვატორია, რომელიც გადავიდა გიმნაზიის დირექტორის განკარგულებაში, ფაქტიურად დარჩა დამკვირვებლების გარეშე, რომელთა მოვალეობას მანამდე ასრულებდნენ სამხედრო უწყებაში შემავალი ტოპოგრაფიული სკოლის მოწაფეები. ამას გარდა, ობსერვატორია თითქმის არსებობისათვის საჭირო სახსრების გარეშე აღმოჩნდა, რის გამოც დაკვირვებებისა და სხვა სამუშაოების წარმოება ძალაუნებურად მთლიანად დაეკისრა ობსერვატორიის გამგეს, გიმნაზიის უფროს მასწავლებელს — შესტაკოვს, რაც ფაქტიურად ობსერვატორიის სიმორის გამო მაში ყოველგვარი დაკვირვებების შეწყვეტას ნიშნავდა.

1839 წლის ბოლოს ობსერვატორიის საქმეების მოგვარების ჭიზნით შესტაკოვი გაემგზავრა პეტერბურგში აკად. კუფერთან და ასევე ძძიმე მდგომარეობაში მყოფი ობსერვატორია დაუტოვა ამავე გიმნაზიის უფროს მასწავლებელს ა. ფილადელფინს.

1842 წ. ეს ობსერვატორია, რომელიც სოლოლაკის მთაზე მდებარეობდა, გაუქმებულ იქნა. და მის მაგიერ მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებებისათვის ობსერვატორია აგებულ იქნა თბილისში, მამადავითის მთის ფერდობებთან, 1844 წელს.

აი, რას წერს ამის შესახებ ობსერვატორიის მაშინდელი ხელმძღვანელი ა. ფილადელფინი: „ნამდვილი სრულფასიანი დაკვირვებები დავიწყე 1844 წ. 1 მაისს (ძვ. სტილით) და განვაგრძე 1847 წლის 14 აგვისტომდე. ამ დროიდან პეტერბურგში სამსახურის საქმეების გამო ჩემს მოვალეობასთან დაკავშირებით ობსერვატორიის ხელმძღვანელობა დავავალე სხვა პირს. ვატარებდი დაკვირვებებს: 1. მეტეოროლოგიურს: ჰაერის ტემპერატურაზე—გარეთ ჩრდილში და მზეზე, ატმოსფეროს წნევაზე, ჰაერში შემავალი წყლის ორთქლის რაოდენობაზე, წვიმისა და თოვლის რაოდენობაზე, ქარის მიმართულებასა და ძალაზე, ცის მდგომარეობაზე და, ნაწილობრივ, ატმოსფეროს ელექტრულ მდგომარეობაზე; 2. მაგნიტურს: მიხრილობაზე, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაძაბულობაზე. გარკვეულ დღეებში ზოგიერთ ამ ელემენტზე დაკვირვებები ტარდებოდა ყოველ ხუთ წუთში, ხოლო მაგნიტურ ელემენტებზე, გარდა აღნიშნულისა, თვეში ერთხელ აუცილებლად პირადად მე ვატარებდი ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ დაკვირვებებს. დაკვირვებებს ყოველთვიურად ვაგზავნიდი სამთო ინჟინრების კორპუსის შტაბში, სადაც მათ სისტემატურად ბეჭდავდნენ".

ამრიგად, თბილისის ობსერვატორია რუსეთისა და ინგლისის მაგნიტურ ობსერვატორიებთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმ პარალელურ მაგნიტურ დაკვირვებებში, რომლებიც ამ ქვეყნებთან სათანადო ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამ მაგნიტურ დაკვირვებებში მონაწილეობას იღებდა ინგლისის ათი ობსერვატორია. შემდეგ

ადგილებში: დუბლინში, გრინვიჩში, წმ. ელენეა კუნძულზე, კეთილი იმედის კონცხზე, ფან-დიმენის პიწაზე, ტორონტოში (კანადა), მადრასში, სინგაპურში, სიმლაში (ჰიმალაიზე), ადენში (არაბეთის ყურესთან), ბრესლავლში (პრუსია), ტამერფორსში (ნორვეგია), კაიროში, ალჟირში, (უკანასკნელი ოთხი სადგური საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყო ინგლისის მთავრობამ); აქვე საჭიროა გავიხსენოთ სხვა ადგილებში მოქმედი მაგნიტური ობსერვატორიებიც, სახელდობრ ბრიუსელის, ბრედის, ბერლინის, კოპენჰაგენის, გეტინგენის, გოთას, ჰანოვერის, ჰაიდელბერგის, ლაიპციგის, მარბერგის, მილანის, მიუნხენის, ფილადელფიის, პრაღისა და უპსალას ობსერვატორიები.

დაკვირვებები მამადავითის მთის მისადგომებთან თავდაპირველად ტარდებოდა სავსებით დამაკმაყოფილებლად, მაგრამ შემდეგში ობსერვატორიის გარშემო მშენებლობის თანდათანობითი გაზრდის შედეგად აქ მაგნიტური დაკვირვებების წარმოება შეუძლებელი შეიქნა, ხოლო მეტეოროლოგიური დაკვირვებები გრძელდებოდა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით. ამის გამო ობსერვატორია გადატანილ იქნა აკლაბარში, სადაც მისთვის სპეციალურად ააგეს შენობა 1850 — 1851 წლებში. 1850 წლის 22 ოქტომბერს ახალი დებულების მიხედვით თბილისის დროებითი მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია გარდაიქმნა მუდმივად და დაენიშნა დირექტორი. ამასთან, ობსერვატორია კავკასიის მეფის ნაცვლის უწყებაში შედიოდა და, მმართველობის წესით, ექვემდებარებოდა კავკასიის კორპუსის გენერალურ შტაბს, ხოლო, მეცნიერული საქმეების მიხედვით, პეტერბურგის მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიას, ამ უკანასკნელის მეშვეობით კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას.

ამრიგად, იმის გამო, რომ თბილისის პირველი ობსერვატორიისათვის უაღრესად ცუდად იქნა შერჩეული ადგილი, საჭირო შეიქნა მისი გაუქმება მანამდე, ვინმ იგი შეძლებდა რაიმე სარგებლობის მოტანას. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისში მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებების 7 წლით გვიან დაწყება; სახელდობრ, აქ რეგულარული დაკვირვებები 1837 წლის ნაცვლად დაწყებულ იქნა 1844 წელს.

როგორც ობსერვატორიის პირველი დირექტორის ა. მორიცის შრომიდან ჩანს, ყოველსაათიერი დაკვირვებები აკლაბრის მაგნიტურ-მეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში 1851 წ. 1 დეკემბერს დაიწყო.

1858 წელს შეუდგნენ ახალი მაგნიტურ-მეტეოროლოგიური და ასტრონომიული ობსერვატორიის პროექტის შედგენას. ევროპაში არსებული მაგნიტური ობსერვატორიების მიღწევათა გაცნობის მიზნით საზღვარგარეთ მივლინებულ იქნა ობსერვატორიის დირექტორი, რომლის დაბრუნებისთანავე შეუდგნენ ახალი ობსერვატორიის მშენებლობას. ეს ობსერვატორია აგებულ იქნა პლეხანოვის პროსპექტზე (№ 150) 1860-61 წლებში იმ ადგილზე, სადაც იგი ამჟამადაც იმყოფება. ა. მორიცი მას კუკიის ობსერვატორიას უწოდებს. აღნიშნულ ობსერვატორიაში 1861 წ. 1 მაისიდან წარმოებული დროებითი მეტეოროლოგიური დაკვირვებების ნაცვლად 1862 წ. 1 მაისის 0 საათიდან, ასტრ. დროით, დაწყებულ იქნა განუწყვეტელი ყოველსაათიერი დაკვირვებები. ობსერვატორიის სამეცნიერო შენობები და ხელსაწყოების დადგმულობა აღწერილია მორიცის შრომაში.

1865 წ. 28 მარტს თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია სამხედრო უწყებიდან კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარ-სამმართველოს უწყებაში ე. ი. სამოქალაქო უწყებაში გადავიდა. ხოლო 1867 წ. 7 (19) ივნისს მას თბილისის ფიზიკური ობსერვატორია ეწოდა.

ამრიგად, თბილისის ობსერვატორიამ ქალაქის მიდამოებში დღიდან მისი დაარსებისა ოთხჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა.

აქვე შევნიშნავთ, რომ 1851 წლამდე, ე. ი. ობსერვატორიის პირველი დირექტორის ა. მორიცის დანიშვნამდე, ა. ფილადელფინის შემდეგ, დაკვირვებები ობსერვატორიაში ტარდებოდა აკად. აბიხის ხელმძღვანელობით.

ზემოთ ჩამოთვლილი ათი ობსერვატორიიდან, რომლებიც აგებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ, მათი დაარსების დღიდანვე ჯერ კიდევ ძველი რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შედარებით რეგულარულად და განუწყვეტლივ მუშაობდნენ ლენინგრადის (სლუცკი, პავლოვსკი), სვერდლოვსკის (ვისოკაია დუბრავა) და თბილისის (კარსანი, ხოლო ახლა დუ-

შეთი) მაგნიტური ობსერვატორიები. ბარნაულის, ნერჩინსკისა და ნიკოლაევის ობსერვატორიები კი თანდათანობით დაიხურა (რამდენადმე იგივე შეიძლება ითქვას ყაზანის ობსერვატორიაზეც), ხოლო სხვა ობსერვატორიები (პეკინისა და შემდეგ სიტხასი, რომელიც ალიასკასთან ერთად 1867 წ. რუსეთმა დაუთმო აშშ-ს, აგრეთვე ჰელსინგფორსის) არ აღმოჩნდნენ ძველი რუსეთის ტერიტორიაზე.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიურმა ობსერვატორიამ თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკავა რუსეთის ობსერვატორიათა სისტემაში და შეავიდა ძირითადი მაგნიტური ობსერვატორიების მსოფლიო ქსელში.

მაღალი სიზუსტის დაკვირვებების წყალობით, რომელნიც ყოველთვის მსოფლიოს პირველხარისხოვანი მაგნიტური ობსერვატორიების მაქსიმალური პროგრამით ტარდებოდა, თბილისის ობსერვატორიის მდგომარეობა შემდეგში კიდევ უფრო განმტკიცდა. 1879 წლიდან ახლად დანიშნულმა დირექტორმა ი. მილბერგმა, რომელიც თბილისში გადმოყვანამდე პავლოვსკის მაგნიტურ-მეტეოროლოგიურ ობსერვატორიის ხელმძღვანელი იყო, შეძლო მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები მაღალ მეცნიერულ დონეზე დაეყენებინა; საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მაშინ მაგნიტურ ობსერვატორიებში, მაგნიტური ელემენტების აბსოლუტური განსაზღვრების გარდა, უშუალო ვიზუალური დაკვირვებები ტარდებოდა მაგნიტური ელემენტების ვარიაციებზე.

თბილისის მაგნიტურ ობსერვატორიაში ნორმალური მაგნიტური დაკვირვებების სანიმუშოდ დაყენებამ უზრუნველყო მისი მონაწილეობა პოლარულ ექსპედიციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ სპეციალურ დაკვირვებებში 1882 და 1883 წლებში (პირველი პოლარული წელი); ამ დაკვირვებების შედეგები დაბეჭდილია თბილისის ობსერვატორიის 1883 წლის გამოცემებშიც.

გარდა ამისა, საჭიროა შევნიშნოთ, რომ აკად. რიკაჩოვი კასპიის ზღვის ახალი მაგნიტური რუკების შედეგნისას ფართოდ იყენებდა თბილისის ობსერვატორიის მაგნიტურ მონაცემებს.

თავის დროზე მ. ა. რიკაჩოვის მიერ შედგენილ კასპიის ზღვის მაგნიტურ რუკებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზღვის ირგელ ტერიტორიაზე ზღვაოსნობის საქმისათვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი დღესაც მნიშვნელოვან მეცნიერულ ინტერესს იწვევს, როგორც სიფაქიზელი აღნიშნულ ტერიტორიაზე მაგნიტური ელემენტების საუკუნეობრივი სვლის შესწავლისათვის.

თბილისის ობსერვატორიაში ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოების დროულად დადგმამ და მისმა სრულფასოვანმა ათვისებამ შემდგომში უზრუნველყო, უფრო მაღალ დონეზე მიეღო მონაწილეობა დედამიწის მაგნეტიზმის ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში, მსოფლიოს სხვა ძირითად მაგნიტურ ობსერვატორიებთან ერთად.

ამ დროისათვის წამოყენებულ იქნა პრობლემები (შემდგომში მაგნიტური აქტივობის საკითხებთან დაკავშირებული), რომლებიც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ მაგნიტური ელემენტების ვარიაციების განუწყვეტელი რეგისტრაციის გზით. პავლოვსკის ობსერვატორიის შემდეგ თბილისის ობსერვატორია პირველი იყო რუსეთში, რომელმაც უზრუნველყო მაგნიტური ელემენტების ვარიაციების განუწყვეტელი რეგისტრაცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, რუსეთის სხვა ობსერვატორიებთან შედარებით, ეს საქმე რამდენიმე წლით ადრე გაკეთდა თბილისში.

დაკვირვებების მაღალმა სიზუსტემ და ყველა მაგნიტური ელემენტის ვარიაციის განუწყვეტელმა რეგისტრაციამ, რომელიც ჯერ კიდევ 1900 წლიდან წარმოებდა, განაპირობეს თბილისის ობსერვატორიის მონაწილეობა საერთაშორისო მასშტაბის სამუშაოებში, როგორიცაა მაგნიტური დღეების დახასიათება, რომელიც როგორც ცნობილია, აუცილებელია იმის გამოკვლევისათვის, თუ რა კავშირია დედამიწის მაგნიტური ველის სხვადასხვა ვარიაციებსა და მზის აქტივობას შორის.

ჰოლანდიელი მეცნიერი ვან-დიიკი თავის შრომაში, სადაც იგი 1900 — 1905 წლების მაგნიტურ დახასიათებას ეხება, იყენებს 26 ობსერვატორიის მონაცემებს. რომელთა შორის რუსეთის ობსერვატორიებიდან შედის სამი: პავლოვსკის, თბილისისა და ეკატერინბურგის ობსერვატორიები.

თბილისის ობსერვატორიამ შეძლო უზრუნველეყო მაგნიტური დაკვირვებების არა მარტო მაღალი სიზუსტე, არამედ განუწყვეტელი ჩატარებაც. თბილისის ქუჩების ელექტროფიკაციასთან

დაკავშირებით მაგნიტური დაკვირვებები, მეცნიერების ყველა მოთხოვნის დაცვით, 1904 წლის ბოლოდან დროულად იქნა გადატანილი კარსანში, ჰცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად.

თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის ს. გლასეკის მიერ კარსანში, პავლოვსკის ობსერვატორიის მსგავსად, 1910—1912 წლებში აგებულ იქნა პირველხარისხოვანი მაგნიტური ობსერვატორია, მაგრამ სამწუხაროდ, შეუფერებელ ადგილზე: იგი საჭიროების გარეშე აგებული იყო მიყრუებულსა და ძნელად მისადგომ მთიან ადგილას, რომლის შესაფერისი გზით დაკავშირება საქართველოს სამხედრო გზასთან ვერ მოხერხდა. ამის გამო ობსერვატორია თითქმის მოწყვეტილი აღმოჩნდა როგორც მცხეთის, ისე თბილისისაგან.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მაგნიტური ობსერვატორია 1917 წლიდან, როდესაც ს. გლასეკმა და მაგნიტოლოგმა მ. სიტნოვმა დატოვეს იგი და გაემგზავრნენ თბილისიდან. მათ შემდეგ მაგნიტურ სამუშაოთა ღრმა მცოდნე პირი თბილისის ობსერვატორიის სისტემაში, თვით თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ცენტრში არავინ აღმოჩნდა. ამიტომ სწრაფად დაეცა ობსერვატორიის ნორმალური მუშაობა კარსანში. აღსანიშნავია, რომ ობსერვატორიის ადიუნქტი შ. ხუჭუა ერთადერთი თანამშრომელი იყო, რომელიც არ ჩამოშორდა ობსერვატორიას და ამით შეუნარჩუნა მას მისი მეცნიერული ღირებულება.

ცხადი იყო, რომ საქმის გამოსწორება შეეძლო სათანადო თეორიული და პრაქტიკული განათლების მქონე პირს, რომელიც მივლინებული იქნებოდა ლენინგრადში, რუსეთის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, და იქ ღრმად შეისწავლიდა ამ დარგში მეცნიერულ-თეორიულსა და პრაქტიკულ მუშაობას. მაგრამ ამ საკითხის მოგვარება მოხერხდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ასეთი მივლინება წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორს, რადგანაც საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის (სგო). დირექტორის პროფ. ა. დიდებულიძის მოწვევით მე უკვე 1923 წლის მაისიდან ვმუშაობდი კარსნის ობსერვატორიაში. მივლინებამდე თითქმის წელიწადნახევარი ვიმუშავე კარსნის მაგნიტურ ობსერვატორიაში სპეციალური ცოდნის შესაძენად, რაშიაც ხელს მიწყობდა როგორც იქ—კარსანში, ისე თბილისში სგო-ს სისტემაში არსებული ბიბლიოთეკები, სადაც სპეციალურ ლიტერატურა რუსულსა და უცხოურ ენებზე.

რუსეთის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში სამივლინებო ვადის გასვლისა და უკან დაბრუნების შემდეგ, 1924 წლის დეკემბრის ბოლოდან მე, როგორც კარსნის ობსერვატორიის ხელმძღვანელი, შევუდექი ამ ობსერვატორიაში ნორმალური მუშაობის აღდგენას, რასაც ძირითადად დასჭირდა ერთ წელზე მეტი. ამის შემდეგ მიმდინარეობდა ობსერვატორიის მუშაობის შემდგომი განვითარება. აღნიშნულ სამუშაოთა პროცესში მომზადებული იქნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მაგნიტოლოგები—ნ. ინწკირველი, შ. ფაველენიშვილი და აგრეთვე დამხმარე პერსონალი.

1926 წლიდან განახლებულ იქნა მაგნიტურ დაკვირვებათა ყოველწლეულის გამოცემა. განახლებულ იქნა აგრეთვე მაგნიტური დღეების დახასიათების სისტემატური გზავნა საერთაშორისო მეტეოროლოგიურ კომიტეტში და ა. შ.

ძველმა რუსეთმა ვერ მოახერხა მისი ტერიტორიის გენერალური აგეგმვა. ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც ყველა ღონისძიებას მიმართა, რომ ეს სამუშაო შემჭიდროებულ ვადებში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულიყო. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გენერალური მაგნიტური აგეგმვის მეცნიერული და ოპერატიული ხელმძღვანელობა დაევალა მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან საგანგებოდ ჩამოყალიბებულ სსრ კავშირის გენერალური მაგნიტური აგეგმვის ბიუროს. გარდა ამისა, სამეცნიერო საკითხების დასამუშავებლად ბიუროსთან მოქმედებდა ცენტრალური მაგნიტური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მაგნიტური ობსერვატორიის გამგეები და სხვა ცნობილი მაგნიტოლოგები. კარსნის ობსერვატორიას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, დაევალა ამიერკავკასიის ტერიტორიის აგეგმვა, რაც განხორციელებულ იქნა 1931 — 1934 წლებში ორი მაგნიტური პარტიის მიერ მ. ნოდიას, ნ. ინწკირველისა და შ. ფაველენიშვილის ხელმძღვანელობით. უფრო გვიან, 1932 წელს, ამ ხაზით ჩატარებულ ზოგიერთ სამუშაოში მონაწილეობა მიიღო პავლოვსკის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერ-

ვატორიის მაგნიტური განყოფილების ყოფილმა გამგემ რ. ხუციშვილმა, რომელიც იმავე წელს იყო ქოწვეული.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ კარსნის ობსერვატორია წარმოადგენდა მეცნიერულ დასაყრდენ ბაზას გენერალური აგეგმვის იმ პუნქტებისათვის, რომლებიც განლაგებულია ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე და მის ჩრდილოეთითაც, სადაც აღნიშნული სამუშაო ჩაატარეს უკრაინის პარტიებმა გენერალური მაგნიტური აგეგმვის ხაზით ცნობილი მაგნიტოლოგის პროფ. მ. ა. აგანინის ხელმძღვანელობით.

სსრ კავშირის გენერალურმა აგეგმვამ, რა თქმა უნდა, შექმნა მტკიცე საფუძველი მისი ტერიტორიის მაგნიტური ველის მეცნიერული შესწავლისათვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მაგნიტური ძიების რაციონალური გამოყენება.

კავკასიის ტერიტორიის აგეგმვის მასალები სათანადოდ დამუშავებულ და გაანალიზებულ იქნა ჩვენ მიერ, რისთვისაც გამოვიყენეთ სფერული ანალიზური მეთოდი. აღნიშნული გამოკვლევის შედეგად გამოვლინებულ იქნა კავკასიის ტერიტორიის მაგნიტური ველის სხვადასხვა თავისებურება. ერთ-ერთი ამ თავისებურებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ კავკასიონს ორივე მხარეზე, მის გასწვრივ, მისდევს უარყოფითი ანომალიის ზოლი, რაც, შესაძლებელია, გამოწვეულია თვით კავკასიონით, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს სამთო ნაგებობათაგანს.

ზაჰესის ჰიდროელსადგურის აგებამ დასვა თბილის-ხაშურის რკინიგზის უბნის ელექტროფიკაციის საკითხი, რის გამოც აუცილებელი იყო კარსნის ობსერვატორიის დროზე გადატანა რკინიგზიდან არა ნაკლებ 30—40 კილომეტრის მანძილზე. აღნიშნული საკითხის მეცნიერულად შესწავლისათვის და სათანადო ღონისძიებათა გამოსამუშავებლად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის მიერ, რომელიც თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ობსერვატორიისადმი, 1927 წელს დანიშნულ იქნა საგანგებო კომისია პროფ. ა. დიდებულიძის, პროფ. აკინფიევის, ინჟ. ა. მუსხელიშვილისა და საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მ. ნოდიას (თავმჯდომარე) შემადგენლობით. ამ კომისიამ სათანადო გამოკვლევის საფუძველზე მიზანშეწონილად ცნო ობსერვატორიის გადატანა კარსნიდან. საამისო მესაფერის ადგილად მიჩნეული იქნა დუშეთი, სადაც დაგეგმილებით, მხოლოდ 1935 წელს მოეწყო დროებითი ობსერვატორია, თუმცა მეცნიერული მონაცემის საფუძველზე იქ მაშინვე შეიძლებოდა მუდმივი მაგნიტური ობსერვატორიის აგება.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის გამო მუდმივი ობსერვატორიის აგება შემდეგშიც გადაიდო. მხოლოდ 1950—1953 წლებში მოხერხდა დიდი აბსოლუტური პავილიონის აგება, რომელიც კარსნის პავილიონის მასალისაგანაა აგებული მისივე მსგავსად.

მაგნიტური ობსერვატორია კარსანში და შემდეგ დუშეთში ისე, როგორც წინათ თბილისში, წარმოადგენდა მტკიცე მეცნიერულ ბაზას საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის გეომაგნეტიზმის დარგში. მისი მეცნიერ თანამშრომლების მიერ საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილია საკმაოდ მრავალი შრომა, რომლებშიც გაშუქებულია როგორც მუდმივი მაგნიტური ველის აგებულება საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიის ზოგიერთ უბანზე. ისე ცვალებადი ველის ზოგიერთი თავისებურება ჩვენი მაგნიტური ობსერვატორიის ჩანაწერების მიხედვით. (მ. ნოდია, რ. ხუციშვილი, ნ. ინწკირველი, შ. ფაველენიშვილი, ნ. კაციაშვილი, გ. ბერიშვილი, მ. ჭელიშვილი, ვ. მაცაბერიძე, ნ. ხვედელიძე).

გარდა ამისა, მაგნიტურ ობსერვატორიაში, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველად ეზიარა მეცნიერებას მრავალი ახალგაზრდა, რომლებმაც შემდეგ წარმატებით გაშალეს მეცნიერული მოღვაწეობა, როგორც გეოფიზიკის, ისე ფიზიკა-მათემატიკის სხვადასხვა დარგში. ამათ შორის მოხსენიების ღირსნი არიან: ი. ქურდიანი, კ. პაპინაშვილი, გ. თვალთვაძე, ი. ეეკუა, გ. ხარაული, ვ. აბაკელია, ვ. ქებულაძე, ბ. ბალავაძე, ა. ბუხნიკაშვილი, ვ. ქოიავა, ლ. ეეკუა და სხვები. ქართულ ენაზე პირველად 1935 წელს დაიბეჭდა მ. ნოდიას დედამიწის მაგნიტიზმის საკმაოდ ვრცელი სახელმძღვანელო.

მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წელი (1. VII. 1957 — 31. XII. 1958), რომელიც მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღო-

ნისძიებას წარმოადგენს ბუნების შესწავლის საქმეში, განსაკუთრებული ვრცელი პროგრამითა და წარმატებით ტარდება საბჭოთა კავშირში, რომელმაც დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვებით 1957 წლის 4 ოქტომბერს ახალი ეპოქა დაამყარა თანამედროვე მეცნიერებაში. ამას მოყვა კიდევ მეორე და მესამე თანამგზავრის გაშვება, რასაც უაღრესად მაღალი შეფასება მისცეს აგრეთვე უცხოელმა ცნობილმა მეცნიერებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის სპეციალური კომიტეტის მეხუთე ასამბლეის მუშაობაში.

მაგნიტური ობსერვატორია დუშეთში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარებაში მონაწილეობას იღებს სრული მოცულობით. მაგნიტური ველის ვარიაციათა შესასწავლად, გარდა ჩვეულებრივი მაგნიტოგრაფებისა, გამოყენებულია გეოფიზიკურ წელთან დაკავშირებით საგანგებოდ გამარჯვული ფლუქსმეტრული სადგური პროფ. კალაშნიკოვისა. ამ სადგურის შგრძნობიარობა ასჯერ აღემატება ჩვეულებრივი მაგნიტოგრაფისას. საერთაშორისო დავალების შესასრულებლად დუშეთის მაგნიტურ ობსერვატორიაში ისე, როგორც სხვა წამყვან საბჭოთა ობსერვატორიებში, მაისიდან სპეციალურ პავილიონში დაიდგა ლაკურის სწრაფმწერი მაგნიტოგრაფი.

ამრიგად, თბილისის ობსერვატორია ერთ-ერთი უძველესი ობსერვატორიათაგანია მსოფლიოში და იგი მისი მაღალმეცნიერული მუშაობის შედეგების მიხედვით ყოველთვის იყო ჩართული მაგნიტურ ობსერვატორიათა საერთაშორისო ქსელში.

* * *



1874 წელს დამშვარი თეატრის მაყურებელთა დარბაზი

შინაარსი

1. დ. გვრიტიშვილი, თბილისი 1500 წლისაა 1
2. შ. მესხია, თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში 7
3. ა. შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის 19
4. ნ. ლომოური, უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ 23
5. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძალისი—თბილისი— ფაიტაკარანი 29
6. გ. ფუთურიძე, ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ 39
7. ვ. კობალიანი, თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წლებში 49
8. ა. სურგულაძე, განახლებული თბილისი 65
9. შ. ამირანაშვილი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი 85
10. ზ. შველიძე, რევოლუციური ბრძოლა თბილისში XIX საუკუნის 60—80-ან წლებში 95
11. ჩ. გუგუშვილი, რევოლუციური მოძრაობა თბილისში (1900—1921 წწ) . . 109
12. ლ. მენაბდე, თბილისი—ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა 131
13. კ. კეკელიძე, თბილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში 161
14. ტ. რუხაძე, თბილისი ძველ ქართულ და რუსულ ნათარგმნ ლიტერატურაში 171
15. ნ. ქოიავა, თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში 179
16. ნ. უკლება, თ. კიკილაშვილი, თბილისის მიდამოების ჰიდროგრაფია . 191
17. არჩ. ჯანაშვილი, თბილისის მიდამოების ფაუნა 209
18. მ. საბაშვილი, თბილისის მიდამოების ნიადაგები 219
19. ნ. კეცხოველი, თბილისისა და მისი მიდამოების მცენარეულობის წარსული და აწმყო 227
20. ალ. ჯანელიძე, თბილისი და გეოლოგია 239
21. ი. ქურდიანი, თბილისის ჰავა 243
22. შ. ბერაძე, გ. მაზიაშვილი, თბილისის მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ზოგიერთი საკითხი (1922—1940 წწ) 247
23. გ. ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში XIX საუკუნეში . . . 261
24. გ. მინდაძე, ძველი თბილისის წყლით მომარაგება 285
25. მ. ნოდია, თბილისის მაგნიტური ობსერვატორია—მაგნიტურ ობსერვატორიათა მსოფლიო ქსელში 291

СОДЕРЖАНИЕ

1. Д. Гвритишвили, Тбилиси 1500 лет 1
2. Ш. Месхия, Роль Тбилиси в истории грузинского народа 7
3. А. Шаниидзе, К названию столицы Грузии 19
4. Н. Ломоури, Древнейшее известие о Тбилиси 23
5. Л. Меликсет-Бек, Залисса—Тбилиси—Пайтакаран 29
6. Г. Путуридзе, Известия Эвлия Челеби о Тбилиси 39
7. В. Копалиани, К вопросу об ориентации тбилисцев в 1121—1122 гг. . 49
8. А. Сургуладзе, Обновленный Тбилиси 65
9. Ш. Амиранашвили, Серебряная чаша ранне-сасанидской эпохи из раскопок в Армазисхеви 85
10. З. Швелидзе, Революционная борьба в Тбилиси в 60—80-ых годах XIX столетия 95
11. Ч. Гугушвили, Революционное движение в Тбилиси в 1900—1921 гг. . . 109
12. Л. Менабде, Тбилиси—центр древнегрузинской письменности 131
13. К. Кекелидзе, Тбилиси в древнегрузинской литературе 161
14. Т. Рухадзе, Тбилиси в древнегрузинской и русской переводной литературах 171
15. Н. Конава, Монетный рынок Тбилиси в XVIII веке 191
16. Н. Уклеба, Т. Кивилашвили, Гидрография окрестностей Тбилиси . . 191
17. А. Джанашвили, Фауна окрестностей Тбилиси 209
18. М. Сабашвили, Почвы окрестностей Тбилиси 219
19. Н. Кецховели, Прошлое и настоящее растительности Тбилиси и его окрестностей 227
20. А. Джанелидзе, Тбилиси и геология 239
21. И. Курдиани, Климат Тбилиси 243
22. Ш. Берадзе, Г. Маиашвили, Некоторые вопросы статистического изучения населения Тбилиси в 1922—1940 гг. 247
23. Г. Бакрадзе, Развитие промышленности Тбилиси в XIX столетии . . . 261
24. Г. Миндадзе, Водоснабжение в древнем Тбилиси 285
25. М. Нодия, Тбилисская магнитная обсерватория в мировой сети магнитных обсерваторий 291

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ს. ულენტი

კამომშკები ზ. დოლიძე

კორექტორები { ე. ტაბუცაძე
მ. თადუმაძე
მ. ინასარიძე

გადაეცა წარმოებას 14/VIII-58 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 6/X-58 წ. ანაწყობის ზომა 9×12.
ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო თაბახი
38. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი
29,35. უე 01270. შეკვეთის № 1475.
ტირაჟი 2500.

ფასი 25 მან.

*

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბა-ლითოგრაფია, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

*

Типо-литография издательства Тбилисского государственного университета
им. Сталина, проспект Ильи Чавчавадзе, 1.